მცირე ომი

რომელმაც მსოფლიო შეძრა

საქართველო, რუსეთი და
დასავლური სამყაროს
მომავალი

რონალდ დ. ასმუსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ILIA STATE
UNIVERSITY PRESS

შინაარსი

წინათქმა vii

შესავალი 1

1. გადაწყვეტილება 21
2. კავკასია: ცივიდან ცხელ ომამდე 57
3. კოსოვოს პრეცედენტი 95
4. დიპლომატიური შეხლა-შემოხლა ბუქარესტში 121
5. ხელმოცარული დიპლომატია 155
6. ბრძოლა 183
7. ცეცხლის შეწყვეტა 207
8. საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი 235

ბიბლიოგრაფიისა და გამოყენებული წყაროების მიმოხილვა 257

შენიშვნები 259

მადლიერების სიტყვები 271

ინდექსი 273

შესავალი

2008 წლის 7 აგვისტოს ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში – შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე იმ ქალაქში ვიმყოფებოდი, სადაც 1444 წელს დიდი ბრძოლა გაიმართა ოტომანებთან და კონსტანტინოპოლის დაცემისათვის მომზადდა ნიადაგი; ჩემს კოლეგა ივან კრასტევს ვსტუმრობდი – ევროპის ერთ-ერთ წამყვან პოლიტოლოგსა და ანალიტიკოსს რუსეთის საკითხებში. ზაფხულის იმ ცხელ დღეებში გადავწყვიტეთ ერთად დაგვესვენა და ერთმანეთისათვის საკუთარი მოსაზრებები გაგვეზიარებინა რუსეთში ახლად გამოკვეთილი ტენდენციების თაობაზე. ორივე ვხედავდით, რომ ეს ქვეყანა სულ უფრო და უფრო ავტოკრატიული ხდებოდა შინ, ჭირვეული – გარეთ და სულ ახალ-ახალ თავსატეხს უჩენდა დასავლეთს. მაშინ, ცხადია, არ ვიცოდით, რომ მომდევნო ხუთი დღის მოვლენები უკეთ წარმოაჩენდა ჩვენი საუბრის თემატიკის დრამატულობას...

აივანზე ვისხედით და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს სილამაზით ვტკბებოდით; ირგვლივ სრული სიმშვიდე სუფევდა, თუმცა ჩემი მობილური ტელეფონი მთელი დატვირთვით მუშაობდა – ხან ტექსტური შეტყობინებები მომდიოდა და ხან ზარები იკლებდა იქაურობას: საქართველოდან მეხმიანებოდნენ – ერთ დროს ბერძნებისა და რომაელების მიერ „სტუმართმოყვარედ“ მონათლული ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე იმ ქვეყნიდან, სადაც ახლა ცხოვრება გაცილებით ნაკლებ მშვიდობიანი გახლდათ, ხოლო რუსული საგარეო პოლიტიკის ამბიციურობა ვერანაირად ვერ ჩაითვლებოდა განყენებულ თემად. საქართველო და რუსეთი ომის ზღვარზე იდგნენ: დაძაბულობა ამ ორ ქვეყანას შორის თვეების განმავლობაში ღრმავდებოდა – ურთიერთობები აქამდეც კარგა ხანია საკმაოზე მეტად ცივი იყო, მაგრამ მოსკოვმა თბილისის მიმართ წნეხი განსაკუთრებით მას შემდეგ გააძლიერა, რაც დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა ცნო, ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე კი ატლანტიკურმა ალიანსმა განაცხადა – ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოცა და უკრაინაც ჩვენი წევრები გახდებიანო.

მოსკოვმა არაერთხელ გააფრთხილა საქართველო, რომ დასავლეთისაკენ მის სწრაფვას სავალალო შედეგები მოჰყვებოდა და აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთში სეპარატიზმის პრობლემების მოგვარებაც სწორედ იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, რამდენად გაითვალისწინებდა საქართველო რუსეთის მოთხოვნებს. საქართველო, თავის მხრივ, ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ამგვარ ზეწოლას, მაგრამ ამ დროისათვის მოსკოვი, როგორც ჩანს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდა: დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარებასა და ნატო-ს მხრიდან საქართველოსთვის გაწევრიანების პირობას მან სეპარატისტულ რეგიონებთან კავშირების გაძლიერებით უპასუხა, რაც უკვე ძალიან წაგავდა ე.წ. *მცოცავი ანექსიის* სტრატეგიას: რუსეთს უკანონოდ შეჰყავდა იქ ჯარი, შეჰქონდა შეიარაღება და იმ ტიპის ინფრასტრუქტურასაც ქმნიდა, რომ ძალაუნებურად გაფიქრებინებდა – სამხედრო თავდასხმისათვის ემზადებაო. ნუთუ ახლა იმპერია საპასუხო დარტყმას აპირებდა?

თბილისი მართლაც არაერთხელ შეეცადა განგაშის ატეხას: დასავლეთს სთხოვდა უშუალო ზემოქმედება მოეხდინა მოსკოვზე, რუსების ჩასანაცვლებლად მართლაც ნეიტრალური დამკვირვებლები თუ მშვიდობისმყოფელები გამოეგზავნა რეგიონში და მოლაპარაკებათა არსებული ფორმატიც შეეცვალა, რათა სამშვიდობო პროცესი წარმატებით განხორციელებულიყო და დაძაბულობაც განმუხტულიყო; მაგრამ დასავლეთს არც მოსკოვის რამენაირად იძულება სურდა და არც იმ რისკის გაწევა, რასაც კონფლიქტურ რეგიონებში მის აქტიურად ჩარევას შეეძლო მოეტანა. იგი, უბრალოდ, თავს იკავებდა მსგავსი ნაბიჯების გადადგმისაგან. ბევრს მიაჩნდა, რომ საქართველოს ამგვარი შიში გაზვიადებული იყო და „მგელი" თბილისში მხოლოდ ელანდებოდათ. სხვები ეჭვობდნენ – რუსეთისათვის ახალი პირობების იძულებით თავსმოხვევა, უბრალოდ, შეუძლებელიც იქნებაო. ესეცაა, რუსეთი ხშირად კი ამღვრევდა წყალს სეპარატისტულ რეგიონებში, რათა საქართველო მუდმივი არასტაბილურობის პირობებში ყოფილიყო და თბილისსაც მუდმივი საფრთხის განცდა ჰქონოდა, მაგრამ მაინც ძალზე ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა, რომ მოსკოვი ასე შორს წავიდოდა და ქვეყნის ტერიტორიაზე პირდაპირ შეჭრას მოინდომებდა. ეს ვარაუდი თითქოს სრულიად გამორიცხული ჩანდა ცივი ომის შემდგომ ევროპაში. ასეა თუ ისე, თავად ევროპა სრულიად სხვა საკითხებით იყო დაკავებული – საზაფხულო შვებულებებისათვის ემზადებოდა და ბევრი იქაური ლიდერიც ან უკვე ჩასული იყო ჩინეთში, ან გამგზავრებას აპირებდა ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად.

განწყობის მხრივ დიდად არც ვაშინგტონი განსხვავდებოდა: პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ფეხს ითრევდა, რამდენადაც მისი მეორე საპრეზიდენტო ვადა უკვე იწურებოდა და, შესაძლოა, ის მართლაც საქართველოს ყველაზე ძლიერი მხარდამჭერიც ყოფილიყო დასავლეთში, მაგრამ იმხანად მისი ყურადღებაც

სულ სხვა მხარეს იყო მიპყრობილი – თეთრი სახლის ადმინისტრაცია უმთავრეს ძალისხმევას ერაყის პრობლემას უთმობდა და ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო თვეებში ახლო აღმოსავლეთში ვითარების რეგულირებით იყო დაკავებული. სატელიტური დაკვირვებებისა თუ დაზვერვის უმთავრესი საშუალებებიც სხვა პრიორიტეტებზე გახლდათ ფოკუსირებული და აშშ, მთლიანობაში, ნათლად ვერც კი ხედავდა, რა ხდებოდა საქართველოში. ეს რუსებს საკუთარი სამხედრო აღმშენებლობის უპრობლემოდ განხორციელების საშუალებას აძლევდა. ომის დაწყებამ აშშ-ის დაზვერვის სამსახურები ნამდვილად გააკვირვა და თავდაპირველად, თეთრი სახლისთვის შეუძლებელიც კი აღმოჩნდა მიმდინარე მოვლენების მკაფიო სურათის შექმნა. ყველაფერმა ამან, ცხადია, ხელ-ფეხი გაუხსნა მოსკოვს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

პოლიტიკური თვალსაზრისით საარჩევნო კამპანია და ბრძოლა ბარაკ ობამასა და ჯონ მაკ-კეინს შორს გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა და ვაშინგტონში ყველას ყურადღება ახლა ამ ამბისაკენ იყო მიპყრობილი, რამდენადაც ორივე კანდიდატი საბოლოო საჯარო განცხადების გასაკეთებლად ემზადებოდა. როგორც ჩანს, საქართველო არც მათ ახსოვდათ – იმ წლის გაზაფხულზე და ზაფხულში, მეც ერთი იმ მრავალ დამკვირვებელთაგანი ვიყავი, ვინც სავარაუდო სცენარის განვითარება იწინასწარმეტყველა პრესაში და დასავლეთს მოვუწოდე კიდეც, მეტი ყურადღება მიეპყრო საქართველოსათვის ყველაზე უარესი შედეგის თავიდან ასაცილებლად. სამწუხაროდ, გაფრთხილება გაფრთხილებად დარჩა: ვაშინტონი სულ სხვა საზრუნავითა და საკუთარი თავით გახლდათ დაკავებული.

ივლისის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად მეც ვესწრებოდი იმ ოფიციალურ სადილს, დალმაციური სანაპირო ქალაქის – დუბროვნიკის სასტუმრო „ექსელსიორის“ ვერანდაზე რომ გაიმართა ხორვატიის ხელისუფლების მიერ გამართული კონფერენციის დასრულების შემდეგ. ისიც აღსანიშნავია, რომ ხსენებული კონფერენცია სწორედაც ხორვატიის ნატო-ში სავარაუდო გაწევრიანების საკითხს ეხებოდა. ჩვენ გარდა, სუფრასთან ისხდნენ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენ ფრიდი, პროექტის – *გარდამავალი დემოკრატიისათვის* – ხელმძღვანელი ბრიუს ჯექსონი და კიდევ არაერთი წამყვანი ანალიტიკოსი ატლანტიკის ოკეანის ორივე სანაპიროდან. მზის ჩასვლისას, ზღვის ხედი კიდევ უფრო თვალწარმტაცი გახდა, ჩვენი საუბარი კი – პირდაპირი: უკვე ღიად ვლაპარაკობდით იმ ზაფხულს რუსეთის სამხედრო აგრესიის რისკ-ფაქტორის თაობაზე. რამდენიმე კვირის წინ სააკაშვილს რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევისთვის კონფიდენციალური სამშვიდობო წინადადებები ჰქონდა გაგზავნილი აფხაზეთთან დაკავშირებით და იმედოვნებდა, პასუხს მეორე დღისათვის ყაზახეთში დაგეგმილ შეხვედრაზე მიიღებდა.

ხოლო ახლა, დუბროვნიკში, ერთდროულად ცდილობდა ბოლოდროინდელი დასავლური დიპლომატიის ინიციატივების გულწრფელი მომხრე გამხდარიყო და თან შავ ბაზარზე *სტინგერის* მსგავსი თანამედროვე შეიარაღებაც შეეძინა – იმ შემთხვევისათვის, თუკი დაძაბულობა უკვე სრულმასშტაბიან კონფლიქტში გადაიზრდებოდა.

მაგიდასთან მსხდომნი ვარწმუნებდით, არ აჰყოლოდა პროვოკაციებს ან თავად არ წამოეწყო ომი, რომელშიც გამარჯვება არ ეწერა. რამდენიმე დღეში ამერიკის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც გეგმავდა საქართველოში ჩასვლას, რათა ერთხელ კიდევ ეცადა სამშვიდობო პროცესების განახლება. სააკაშვილი კარგად აცნობიერებდა საფრთხეს და დახმარებასაც ითხოვდა, ამავე დროს ისიც პირდაპირ გვითხრა – ასე ხელებჩამოშვებული ვერ ვიდგები, თუკი რუსეთი ამ ორი სეპარატისტული რეგიონის წაგლეჯას მოინდომებსო. ბოლოს ისიც გვკითხა – კონკრეტულად რისი გაკეთება სურდა დასავლეთს ომის აშკარა საფრთხის აღსაკვეთად: დიპლომატიურ ზემოქმედებას მოვახდენდით მოსკოვზე ამ ესკალაციის შესაჩერებლად თუ ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ნეიტრალურ დამკვირვებლებს გავაგზავნიდით რეგიონში. ადეკვატური პასუხის გაცემა ვერავინ მოვახერხეთ. მე და სააკაშვილი რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს – კვლავ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც უკვე ყირიმის საკურორტო ქალაქ იალტაში გაიმართა. სადილობისას ვუთხარი: მოსკოვის მხრიდან საფრთხე ალბათ აგვისტოს შუა რიცხვებშია მოსალოდნელი-მეთქი... სულ ერთი კვირით კი შევცდი!

და აი, 7 აგვისტოს ვარნაში ვიჯექი და ჩემი მობილური ერთხელ კიდევ აზუზუნდა: თემურ იაკობაშვილი მირეკავდა – საქართველოს მინისტრი, რომელსაც „გაყინული კონფლიქტების“ მოგვარება ჰქონდა მინდობილი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – იმ ორ რეგიონში, რომელთაც, ძირითადად, რუსეთი და მისი სეპარატისტი დამქაშები აკონტროლებდნენ და სადაც წუთი-წუთზე ომი უნდა დაწყებულიყო. სინამდვილეში ორივეგან ვითარებას თითქმის მთლიანად რუსეთის სამხედრო და სადაზვერვო სამსახურები მართავდნენ; სწორედ მათ აქციეს თანდათანობით ეს ანკლავები რუსეთის პოლიტიკის პაიკებად და ახლა მოსკოვი მათ თბილისის ომში ჩასათრევად იყენებდა. თავად თემურს კარგა ხანია ვიცნობდი: ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა არასამთავრობო სექტორის აქტივისტი და ანალიტიკოსი გახლდათ, ხოლო იმ დროისათვის უკვე მიხეილ სააკაშვილის მთავრობის წევრი იყო. ტელეფონში დაძაბული ხმა ჰქონდა: მითხრა, ახლა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალისაკენ მივემგზავრები – მინდა ადგილზე გავარკვიო ვითარება და თუ ჯერ კიდევ შესაძლებელია, დიპლომატიური ხერხებით ვცადო ყველაზე უარესის თავიდან აცილებაო. შიში არც დაუმალავს – რაღაც დიდი და გამოუსწორებელი ხდებაო; არც ის გამოურიცხავს, რომ პროცესი, შესაძლოა, უმართავიც კი გამხდარიყო.

ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს უვარგის კინოფილმს ვუყურებდი, რომლის ბოლოც წინდაწინვე ცხადი იყო, თუმცა იმედი ბოლოს კვდება და მეც რაღაც გაურკვეველ იმედს ვებღაუჭებოდი – იქნებ ვარაუდი გამიცრუვდეს-მეთქი. ქართულ-რუსული ჯახის გარდუვალობა წლების თუ არა, თვეების განმავლობაში მაინც მზადდებოდა, ამას ყოველთვის ვხედავდი და ვგრძნობდი, როცა კი საქართველში თუ მის სეპარატისტულ რეგიონებში ჩავდიოდი ხოლმე, ახლა კი ყველაფერი საბოლოო მიჯნამდე მისულიყო. იმავე საღამოს საააკაშვილმა ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტა გამოაცხადა, რათა დაძაბულობა განემუხტა და ვითარება როგორმე ძველ კალაპოტში დაებრუნებინა, მაგრამ ამას განა რა შედეგი უნდა მოეტანა? კიდევ ჩემს რამდენიმე ქართველ მეგობარს ვესაუბრე ტელეფონით, მერე ივანთან ერთად რუსულ ვებ-გვერდებსაც გადავავლე თვალი და დასაძინებლად იმ იმედით დავწექი, რომ სცენარის ყველაზე უარესი განვითარება, თუნდაც გარკვეული დროით, თავიდან იქნებოდა აცილებული. მეორე დილით გავიღვიძე და ჩემი ეს იმედი საპნის ბუშტივით გასკდა: რუსეთი და საქართველო უკვე ომში იყვნენ ჩაბმულნი.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი სულ 5 დღე გაგრძელდა და განსაკუთრებით დიდი მსხვერპლიც არ მოჰყოლია – თანამედროვე სტანდარტებით და მასშტაბით იგი მცირე ომი იყო და მაინც, მან მთელი მსოფლიო შეძრა... ევროპული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ის უდიდეს კრიზისად იქცა მას მერე, რაც სერბმა დიქტატორმა სლობოდან მილოშევიჩმა XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს თავისი „ნაგაზები“ აუშვა და ეთნიკური წმენდა ჩაატარა ბალკანეთში, რამაც რუსეთი და დასავლეთი ლამის ახალი ცივი ომის ზღვარზე მიიყვანა. ავღანეთში 1979 წელს საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ პირველად, მოსკოვი არამარტო ძალით შეიჭრა მეზობელ ქვეყანაში, არამედ ცივი ომის შემდგომი ევროპის უსაფრთხოების უმთავრესი კანონიც არად ჩააგდო, რომლის თანახმადაც იარაღის ძალით ევროპაში საზღვრები აღარასოდეს უნდა შეცვლილიყო. 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საკუთარი პოლიტიკის ის მახინჯი, ნეოიმპერიალისტური მხარე წარმოაჩინა, რაც ბევრს ევროპაში საბოლოოდ უარყოფილი ეგონა. ამ კონფლიქტის შემდეგ ვლადიმირ პუტინის რუსეთისათვის, წესით, აღარავის უნდა შეეხედა იმ თვალით, რა თვალითაც მანამდე უყურებდნენ: უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ მეზობლებითვის საკუთარი ნების თავსმოსახვევად რუსეთი კვლავაც არაფერზე დაიხევდა უკან.

ყველაზე მეტად ომის შედეგები უპირველეს ყოვლისა შავი ზღვის რეგიონში გახდა საგრძნობი: დასავლეთის დიპლომატიურმა ჩარევამ დაიგვიანა და ისღა მოახერხა, საქართველოს დამხობის ზღვარზე მყოფი ხელისუფლება გადაერჩინა. კონფლიქტის კიდევ უფრო გამძაფრება, რეგიონში დასავლეთ-აღმოსავლეთის შესაძლო სამხედრო დაპირისპირება თუ ახალი ცივი ომის გაჩაღებაც ასევე თავიდან იქნა აცილებული. ამ თვალსაზრისით, დასავლურმა

დიპლომატიამ ვინძლო განაცხადოს კიდეც, რომ თბილისში რეჟიმის ძალით შეცვლის მცდელობაც აღკვეთა და აღმოსავლურ-დასავლური ახალი კრიზისიც; მაგრამ ისიც ცხადია, რომ აშშ-მა და ევროპამ მოსკოვის მიერ სამხედრო გზით ტერიტორიების მიტაცების შედეგები ვერ აღმოფხვრეს და ომამდელი სტატუს-კვო ვერ აღადგინეს: ამერიკის ახლო პარტნიორს და ნატო-ს წევრობის კანდიდატ ქვეყანას შემოესივნენ და მის დასახმარებლად თავი დიდად ვერც ვაშინგტონმა გამოიდო და ვერც – ატლანტიკურმა ალიანსმა.

ცეცხლის შეწყვეტის პირობები, რაც პარიზისა და მოსკოვის შეთანხმებას მოჰყვა, ასევე უსამართლო იყო. დასავლეთმა ვერ მოახერხა ეიძულებინა რუსეთი, მთლიანად შეესრულებინა წინასწარი შეთანხმება და საერთაშორისო თანამეგობრობის ნების საწინააღმდეგოდ, ვერც სეპარატისტული რეგიონების აღიარებაზე ააღებინა ხელი; ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგაც საქართველოს მომავალი გაურკვეველი ჩანს, კონფლიქტი მოსკოვსა და თბილისს შორის კვლავაც მოუგვარებელია, სისხლისგან დაცლილი, ტერიტორიებწართმეული, ომის გამო დასავლეთისაკენ საკუთარ მისწრაფებებში ფრთებშეკვეცილი ქვეყანა კი მაინც აგრძელებს პროდასავლური კურსით სვლას; მოსკოვიც ჯიუტად, ყველა საშუალებით ცდილობს ამას ხელი შეუშალოს და ძველებურად, როგორც საქართველოში ხელისუფლების შეცვლას, ასევე მისი დასავლური მისწრაფებების ალაგმვას ისახავს მიზნად. რეგიონი დღეს გაცილებით ნაკლებად სტაბილური ჩანს, ვიდრე ადრე და რუსეთ-საქართველოს შორის ახალი დაპირისპირების ალბათობაც – სავსებით რეალური.

ოღონდ ეს ომი მხოლოდ საქართველოს კი არა, არამედ ვაშინტონის, ნატო-სა, და ზოგადად – დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი ასევე მიზანში იღებდა ევროპული უსაფრთხოების სისტემას, რომელიც საქართველოს მსგავს ქვეყნებს აგულიანებდა, დასავლეთისაკენ აეღოთ გეზი – მოსკოვის ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთის მიზანი იყო ნებისმიერი შესაძლებლობა მოესპო ნატო-ს გაფართოებისათვის – საქართველოსა თუ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში და ამავე დროს, მეზობლებისთვისაც დაენახვებინა, რა შეიძლება მოჰყვეს დასავლეთთან ზედმეტად დაახლოების სურვილს. ამას ისიც ადასტურებს, როგორ შუქდებოდა ომი რუსულ პრესაში, რა წარწერები დატოვეს რუსმა ჯარისკაცებმა საქართველოში და როგორ უხსნიდნენ საომარი მოქმედებების ზონაში მყოფი რუსი მაღალჩინოსანი ოფიცრები საკუთარ მისიას ქართველ და დასავლელ ჟურნალისტებს. რუსეთის ქმედება მიზნად ისახავდა ჭკუის სწავლებას არამარტო საქართველოსთვის, არამედ დასავლეთისთვისაც: ყველას ნათლად უნდა დაენახა – მოსკოვი დღეს ანგარიშგასაწევი ძალაა და რუსეთის სტრატეგიული უკანდახევის ხანაც უკვე წარსულს ჩაბარდა.

ეს ომი სხვა მიზეზის გამოც აღმოჩნდა წყალგამყოფი: 20 წლის წინ, რკინის ფარდის მოხსნის შემდგომ, დასავლეთი და რუსეთი ერთობლივად ცდილობდ-

ნენ ევროპის უსაფრთხოების *კოოპერატიული* მოდელი შეექმნათ და ამ მცდელობის შედეგი არაერთი ის შეთანხმემება თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება გახლდათ, რომელთაც, ევროპის თვალსაზრისით, წერტილი უნდა დაესვა მისი გეოპოლიტიკური დაყოფისათვის და იმ ახალი, დემოკრატიული მშვიდობისათვის ჩაეყარა საფუძველი, რაც ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფდა საყოველთაო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ეს ახალი სამშვიდობო ტრაქტატის იმგვარი *ფუნქციური ეკვივალენტის* შემუშავების მცდელობა იყო, რაც ცივი ომის დასრულებას დაუსვამდა ბეჭედს. ხსენებული პროცესი პარიზის ქარტიის ხელმოწერით დაიწყო და შემდგომში მას *ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის* (ეუთო) ეგიდით არაერთი სხვა შეთანხმებაც მოჰყვა.

ამ ახალი „თამაშის წესების" თავი და თავი კი იყო პირობა, რომ საზღვრები იარაღის ძალით აღარ შეიცვლებოდა, ყველა დიდსა თუ მცირე სახელმწიფოს ექნებოდა უფლება ერთნაირად დაცული ყოფილიყო და თავად აერჩია უსაფრთხოების რომელ ალიანსში გაწევრიანედებოდა. ამავე წესების თანახმად, ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარი ეთქვათ იმ დრომოჭმულ აზროვნებაზე, რაც ე.წ. *გავლენათა სფეროების* არსებობას გულისხმობდა. ყველა ეს ახალი წესი თუ პირობა, გარკვეული თვალსაზრისით თავისებური „უფლებათა დეკლარაცია" იყო, რასაც უნდა დაყრდნობოდა კიდეც ევროპული უსაფრთხოების ეს ახალი წესრიგი. ეს იყო მცდელობა, დემოკრატიული მშვიდობა დამყარებულიყო მთელს ევროპაში, ბოლო მოღებოდა კონტინენტის ცივი ომისდროინდელ ორ პოლუსად გახლეჩას, გეოპოლიტიკურ მეტოქეობას და ახლა უკვე *კოოპერატიულ თანამშრომლობაზე* აგებულ უსაფრთხოებას დასდებოდა სათავე. რუსეთი ყველა მოლაპარაკების სრულუფლებიანი პარტნიორი და თანამონაწილე იყო – აკი შეთანხმებებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ხელმოწერაც ადასტურებს...

მაგრამ, რუსეთის გადასახედიდან პრობლემა სწორედ ის იყო, რომ თამაშის ამგვარი წესები ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოებას აკანონებდა მის უშუალო სიახლოვეს. არადა, როგორც კი საკუთარი გეზის არჩევის შესაძლებლობა მიეცათ, ადრე საბჭოთა იმპერიაში შემავალი თითქმის ყველა ქვეყანა დაუყოვნებლივ შეეცადა დასავლეთისაკენ ექნა პირი, უსაფრთხოების გარანტიები უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიეღო და იმავე ხარისხის უსაფრთხოებითა თუ კეთილდღეობით ესარგებლა, რაც უკვე ათწლეულების განმავლობაში არსებობდა დასავლეთევროპელთათვის. ამის პასუხად, დასავლეთმა მოქმედების სტრატეგია ორი მიმართულებით დასახა: თან ამ ახალ წევრებს უხსნიდა კარს და თან რუსეთსაც იმგვარ პირობებს სთავაზობდა, რასაც რუსეთის მასთან დაახლოება უნდა მოყჰოლოდა. ამგვარი სტრატეგიის ლოგიკა როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დასავლურ

ორბიტაზე მოქცევას, ასევე მოსკოვთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებს გულისხმობდა – ორივე მხარისათვის მისაღები პირობებითა და ტემპებით. შესაბამისად, დასავლეთმა მოსკოვს ნატო-სთან და ევროკავშირთან პარტნიორობის ახალი სტილი და გაძლიერებული ეუთო შესთავაზა – როგორც ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის შენების სტრატეგიის ნაწილი.

თავდაპირველად, ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს, მართალია უხალისოდ, მაგრამ მოსკოვი მაინც აჰყვა ამ გეგმას; ოღონდ საბოლოოდ, ხსენებულმა სტრატეგიამ მაინც მარცხი განიცადა და რატომ მოხდა ასე, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მოგვიანებით შევეცდებით, ახლა კი ვიტყვით მხოლოდ, რომ 2008 წლის ზაფხულისათვის მოსკოვმა არათუ ზურგი აქცია დასავლეთს, არამედ სულ უფრო და უფრო მზარდი ნაციონალიზმისა და რევიზიონიზმის ფონზე, უკვე ევროპული სისტემის წინააღმდეგაც აღიმაღლა ხმა – იმ მოტივით, თითქოსდა ეს სისტემა რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და ბოროტადაც სარგებლობდა ქვეყნის დროებითი შესუსტებით. მოსკოვის მიერ წინა ორი ათწლეულის განმავლობაში ხელმოწერილი ის დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა ქვეყნების უფლებას – თავად აერჩიათ მოკავშირეები და პარტნიორები, იმხანად კრემლისთვის ფარატინა ქარალდებად იყო ქცეული, რაკი მოსკოვს საბოლოოდ გადაეწყვიტა – აღეკვეთა მეზობლების სწრაფვა დასავლეთისაკენ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთ-საქართველოს ომი იქნებ მართლაც მცირემასშტაბიანი იყო, მაგრამ ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა დაბადა ევროპული უსაფრთხოების მომავალთან დაკავშირებით. ის, რის შექმნასაც დიპლომატებმა – ევროპული უსაფრთხოების სისტემის „არქიტექტორებმა" – ორი ათეული წელი შეალიეს, 2008 წლის აგვისტოში ერთბაშად დაიმსხვრა: ამ კონკრეტულ შემთხვევაში მყიფე აღმოჩნდა ყველა ის ნორმა, პრინციპი და მექანიზმი, რასაც, სავარაუდოდ, მომავალში ამგვარი კონფლიქტები უნდა აღეკვეთა. მოსკოვი მის საზღვრებთან ომს კვლავინდებურად საკუთარი გავლენის სფეროების შენარჩუნების აუცილებლობით ამართლებდა, მაშინ, როცა ახალი სისტემა სწორედ ამ ცნების ხმარებიდან ამოღებას ითვალისწინებდა! მოკლედ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც XX საუკუნის ევროპაში უსაფრთხოებისკენ გადადგმული ნაბიჯები უშედეგო აღმოჩნდა, სწორედ ის გახლდათ, რომ დაძაბულობის კერების წარმოქმნისას (ეს კი ხშირად ისეთ გეოგრაფიულად დაშორიშორებულ ქვეყნებში ხდებოდა, რომელთა სახელიცა და ადგილმდებარეობაც ბევრისათვის მანამდე საერთოდ უცნობი იყო) დიდი სახელმწიფოები უშუალო ჩარევას ერიდებოდნენ – ან თავად საკითხი მიაჩნდათ გადაუჭრელად, ან ესა თუ ის ქვეყანა – ნაკლებმნიშვნელოვნად, ან ერთ-ერთი დაინტერესებული მხარე – იმდენად ძლიერად, ერჩივნათ თავი შეეკავებინათ ძალის გამოყენებისაგან; არადა, სწორედ ამგვარი პოლიტიკის გამოძახილი იგრძნობა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომშიც.

აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, რაც ჯერაც არსებობს იმ კითხვებთან დაკავშირებით, როგორ და რატომ დაიწყო ეს ომი, როგორ დამთავრდა და რა მნიშვნელობა მიენიჭება მომავალში – წინამდებარე წიგნის დაწერის ერთი მიზანი ისიცაა, მეტი სიცხადე შევიტანო ამ საკითხში. ამასთანავე, დარწმუნებული ვარ, ყველას გვმართებს უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ, რაში იყო შეცდომა და რას უქადის მსგავსი მოვლენები როგორც ზოგადად დასავლურ პოლიტიკას, ისე – უშუალოდ ევროპასაც. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ჩემი პროფესიული საქმიანობა იმთავითვე თეორიულ, შემდეგ კი უკვე პრაქტიკულ თანამონაწილეობას გულისხმობდა იმ *კოოპერატიული ევროპული უსაფრთხოების* ჩამოყალიბებაში, რამაც, მე თუ მკითხავთ, 2008 წლის აგვისტოში სრული მარცხი განიცადა. იმედი მაქვს, ეს წიგნი დასავლეთს სარკეში ჩაახედებს და ბევრს ამ მარცხის მთავარი მიზეზების გაცნობიერებაშიც დაეხმარება.

ჩემი აზრით, აუცილებელია მკაცრად შევაფასოთ აშშ-სა და ევროპის სტრატეგია, თუკი გვსურს, სამომავლოდ სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ზოგადად, ეს ომი სერიოზული მარცხის გამოხატულებაა და მისი შედეგები არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთისთვისაა გასათვალისწინებელი. უნდა გავიაზროთ, როგორ და რატომ მოხდა ყოველივე: ამ ომს არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი გადაუჭრელი საკითხი რჩება დღის წესრიგში. იგი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჩვენ-ჩვენი გაკვეთილი გვაქვს სასწავლი – ევროპული უსაფრთხოების მომავლის შესახებ და არსებითი შეკითხვებიც ჩნდება იმასთან დაკავშირებით, ურთიერთობის რა ფორმები უნდა გამონახონ აშშ-მა და ევროპამ ახალ დემოკრატიებთან, რა ბედი ელის დასავლურ ალიანსებს, რა ენაზე ველაპარაკოთ სულ უფრო და უფრო აგრესიულ რუსეთს, რომელიც მეზობლებზე ძველი გავლენის აღდგენას ლამობს და იმაზეც დავფიქრდეთ, ამ ახალ ეპოქაში ევროპული უსაფრთხოების წესების ხელახლა დაწერაც ხომ არ მოგვიწევს...

ამ წიგნში გამოთქმული მოსაზრებები 5 მთავარ თეზისად შეიძლება შეჯამდეს: ჯერ ერთი, ომი არ გამართულა ტერიტორიის, უმცირესობათა უფლებებისა თუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების სამომავლო სტატუსის გამო – რუსეთი აცხადებს, თითქოს „იძულებული გახდა“ საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთში განხორციელებული აგრესიის პასუხად ჩარეულიყო და ის, უბრალოდ, თავის სამშვიდობოებსა და მოქალაქეებს იცავდა. ყველაფერი ეს თითიდანაა გამოწოვილი: არავისთვის სადავო არ არის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ნამდვილად დაძაბული იყო და ეს კონფლიქტებიც – რეალური. მაგრამ, ომის უმთავრესი მიზეზი გეოპოლიტიკურია – საქართველოს დასავლეთისაკენ ეჭირა თვალი, რუსეთი კი ამას ვერ შეეგუა. ამ დაპირისპირებაში მოსკოვმა ხსენებული კონფლიქტები საბაბად და საშუალებად, უფრო ფართო რუსული სტრატეგიის ნაწილად გამოიყენა, რათა

საქართველოსთვის წონასწორობა დაეკარგვინებინა, საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია და თბილისის პროდასავლური მისწრაფებებიც საბოლოოდ ჩაეკლა.

რუსეთი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა და ხელს უშლიდა საქართველოს მცდელობას, მისი ისტორიული გავლენის სფეროდან გამოსულიყო და დასავლეთს მიჰკედლებოდა: საქართველოს პროდასავლური, დემოკრატიული ექსპერიმენტის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში, ამგვარი ვითარება უკვე მთელ ამიერკავკასიაზე და, სავარაუდოდ, რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიაზეც აისახებოდა. მოსკოვის გადასახედიდან, საქართველოსა და უკრაინაში სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ფაქტი, იმის საპირისპიროდ, რომ ოლიგარქიას თავისი გასაყვანი ხალხი წინასწარ შეერჩია, სახიფათო პრეცედენტს ქმნიდა. მეტიც – ამ ქვეყნებში ოლიგარქიული რეჟიმების დამხობას სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობამ შეუწყო ხელი. თუკი უკრაინა და საქართველო ლიბერალური დემოკრატიის გზას დაადგებოდნენ და დასავლეთის ნაწილად ქცევასაც მოახერხებდნენ, რუსეთის მმართველი კლასის ზღაპრები – შინ „სუვერენული დემოკრატიის“ არსებობისა და გარეთ – „რუსეთის ძველი დიდების აღდგენის“ თაობაზე, საპნის ბუშტივით შეიძლებოდა გამსკდარიყო.

ამ კონფლიქტის დანიშნულება არ გახლდათ მხოლოდ იმ ძველთაძველი დილემის დადასტურება, რაც ითვალისწინებს რომ რუსეთი თავს უსაფრთხოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში გრძნობს, როცა მოსაზღვრე ქვეყნები მის კონტროლს ემორჩილებიან და თავს დაუცველად გრძნობენ: არ უნდა გამოირიცხოს ისიც, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ენერგომატარებლების, როგორც რუსეთის გავლენის გაძლიერების საშუალება, სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მოსკოვის მიზანი ენერგოწყაროებისა და ევროპისათვის მათი მიწოდების გზების ცალმხრივად გაკონტროლება იყო, თბილისი კი სწორედ იმ კოალიციის ნაწილად მოიაზრებოდა, რომელიც ამ ვითარების შეცვლას ცდილობს კასპიის რეგიონიდან – რუსეთის გვერდის ავლით დასავლეთისაკენ ალტერნატიული გზების შესაქმნელად. კრემლმა ღიად განუცხადა თბილისს, თავად აერჩია, მოსკოვის მხარეს დადგებოდა თუ დასავლეთის, არც ის დაუმალავს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაყინული კონფლიქტების გადაჭრაც საქართველოს მხრიდან ამ უმთავრესი კითხვის პასუხზე იქნებოდა დამოკიდებული. თუკი საქართველო დასავლეთისაკენ სწრაფვაზე იტყოდა უარს და რუსეთის მოთხოვნებს დაჰყაბულდებოდა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – აღარც ეს ომი დაიწყებოდა. მაგრამ საქართველომ ასე მოქცევა არ ისურვა და ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაც იმდენად დაიძაბა, შეიარაღებული კონფლიქტი უკვე გარდაუვალი გახდა.

ის, რაც 7 აგვისტოს მოხდა, გაცილებით უფრო ხანგრძლივი და რთულსიუჟეტიანი დრამის მხოლოდ ბოლო მოქმედება იყო. როცა მოსკოვი საბოლოოდ

დარწმუნდა – თბილისი არჩეული გზიდან არ გადაუხვევსო, საქართველოს ომი *დე-ფაქტო* ჯერ კიდევ მანამდე გამოუცხადა, ვიდრე 2008 წლის ზაფხულის საომარი მოქმედებები დაიწყებოდა: ომი რუსეთისათვის ძველი კურსისაკენ დაბრუნების უფრო ზოგადი სტრატეგიული ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილი იყო – იმ სტრატეგიისა, რომელსაც მზარდი ნაციონალიზმი და ნავთობდოლარები კვებავდა, მისი საბოლოო მიზანი კი მეზობლებზე ხელახალი ბატონობის სურვილი გახლდათ. ყალყზე შემდგარი რუსეთი წუთითაც არ ფიქრობდა საქართველოს „ხელიდან გაშვებას" და ამიერკავკასიაში საკუთარ პრეტენზიებზე უარის თქმას – აი, ამიტომაც იყო კრემლისათვის მნიშვნელოვანი ის, რაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ამ პატარა, სულ რაღაც 4-5 მილიონიან ქვეყანაში მოხდა; ამიტომაც გამოიწვია კრემლის ესოდენი რისხვა თბილისის გულაცრუებამ რუსეთისადმი. მოსკოვის გადასახედიდან, სწორედ ამის გამო იყო აუცილებელი თბილისის დემოკრატიული ექსპერიმენტისათვის ფრთების შეკვეცა, სახელის გატეხვა და, საბოლოოდ მისი კრახით დასრულებაც.

მეორე: თავად საქართველომაც არაერთი შეცდომა დაუშვა, რამაც ომამდე მიიყვანა საქმე. როგორც ქვემოთ დავინახავთ, პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილება – 7 აგვისტოს ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით – გარკვეულ ლოგიკას ემყარებოდა: მისი ქმედება სასოწარკვეთილი პასუხი იყო იმ გარდაუვალ საფრთხეზე, რაც საქართველოს ათობით ათასი მოქალაქის ეთნიკურ წმენდას, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ერთხელ და სამუდამოდ დაკარგვასა და რუსების თავად თბილისში შემოჭრის ალბათობასაც გულისხმობდა; ამავე დროს, იგი დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკურადაც ვეღარ გაძლებდა, თუ თავადაც არ გამოიღებდა ხელს. მაგრამ ეს არგუმენტები იმას არ ნიშნავს, რომ ბრძნული გადაწყვეტილება იქნა მიღებული: პრეზიდენტმა სააკაშვილმა წამოიწყო ომი, რომლის დაწყებასაც არც ერთი მოკავშირე არ ურჩევდა – აკი აფრთხილებდნენ კიდეც, რომ ამ წამოწყებას მხარს არ დაუჭერდნენ და რომ ამ ომის „მოგება" მისთვის იმთავითვე შეუძლებელი ჩანდა. ისიც ითქვას, საომრად გაგზავნილი საქართველოს შეიარაღებული ძალები არც გაწვრთნილი და არც აღჭურვილი არ იყო საიმისოდ, რუსეთის არმიას დაპირისპირებოდნენ. სამხედრო სტრატეგებისთვის აქსიომადაა ქცეული აზრი, რომ ომის დაწყება გაცილებით იოლია, ვიდრე მისი წარმატებით დასრულება და ამაში თბილისიც დარწმუნდა, როცა იძულებული გახდა თავის გადასარჩენად ზავის უსამართლო პირობებს დათანხმებოდა.

საერთოდ, ქართული მხარის შეცდომების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა: რუსეთთან იმთავითვე რთული ურთიერთობების მოგვარებაში თბილისს მაინც შეეძლო უკეთ ემოქმედა. „ნელთბილი" ევროპული მხარდაჭერის მიზეზიც მხოლოდ რუსეთის დაშოშმინება-თავის მოქონვაში არ არის საძიებელი – როგორც ზოგჯერ ქართველებს ეგონათ. ამგვარი განწყობა იმის ანარეკლი

იყო, რომ ევროპას გარკვეული ეჭვები ჰქონდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებთან დაკავშირებით, ხოლო ქართული დიპლომატია არ იყო ძლიერი. გაყინული კონფლიქტების რამენაირად მოგვარების მცდელობისას ქართული სტრატეგია თან ამ რეგიონებში რუსეთის ყოფნა-ჩარევის დელეგიტიმიზაციის მუქარას იყენებდა და თანაც საიდუმლო გარიგებებს სთავაზობდა მოსკოვს – იმ სეპარატისტი ლიდერების ზურგს უკან, რომელთათვისაც რუსეთი ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენდა. თბილისი თითქოს სწორედ იმ გზით მიდიოდა ხოლმე, რასაც რიჩარდ ნიქსონმა ერთხელ „სიშლეგის თეორია“ უწოდა ანუ – საგარეო პოლიტიკაში ირაციონალური ქმედებებით დამუქრება – ყურადღების მისაპყრობად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველო რუსეთთან ომის დაწყებით იმუქრებოდა და სასოწარკვეთილი, ასე ცდილობდა ევროპის მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

ამ თამაშში საქართველოს ნამდვილად რთული პოზიცია ეკავა: მისი გზა დასავლეთისაკენ მართლაც გაცილებით გრძელი, ხიფათიანი და წინააღმდეგობრივი ჩანდა იმასთან შედარებით, რაც ათი წლით ადრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ევროკავშირამდე და ნატო-მდე გაიარეს. ერთი მხრივ, საქმეს გეოგრაფია და რუსეთის განსაკუთრებული წინააღმდეგობა ართულებდა, მეორე მხრივ – საქართველო უფრო სუსტიც იყო, როგორც სახელმწიფო, და რეფორმების თვალსაზრისითაც მეტი ჰქონდა გასაკეთებელი. ის კი არა, 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციამდე“ ამ ქვეყნის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ალბათობა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მემკვიდრეობადაც ვარდების რევოლუციის ლიდერებს ის გაყინული კონფლიქტები ერგოთ, თავად რომ არ შეუქმნიათ – აფხაზეთი თუ სამხრეთი ოსეთიც ერთგვარი მარყუჟი იყო თბილისის კისერზე, რომელიც უკიდურესად ართულებდა დასავლეთისაკენ მის სწრაფვას. ამ სირთულეებისა და წინააღმდეგობების გათვალისწინებით, თბილისისათვის შეცდომის დაშვება განსაკუთრებით სარისკო იყო: მის წინააღმდეგ ამხედრებული ძალის პირობებში, წარმატება სახელმწიფო მართვის სისტემის სიმწყობრეს, უმაღლესი დონის დიპლომატიასა და გონივრულ, მიზანმიმართულ, გრძელვადიან ხედვას მოითხოვდა – სამწუხაროდ, გონიერება და მიზანმიმართულობა, ხშირ შემთხვევაში, აქ გვარიანი დეფიციტი გახლდათ, პარადოქსული ვითარება შეიქნა: ის ხელისუფლება, რომელიც პროდასავლური და რეფორმების მხარდამჭერი იყო, ევროპული ორიენტაციის დასტურად ევროგაერთიანების დროშას აფრიალებდა და ვაშინგტონთან ახერხებდა თანამშრომლობას – ვერა და ვერ ახერხებდა საკუთარი განწყობები ნდობასა და პარტნიორობაზე დაფუძნებულ ურთიერთობად ექცია ევროკავშირთან მიმართებაში!

მესამე: ომი იმიტომაც გაჩაღდა, რომ არსებული საერთაშორისო ინტერესი და ჩარევის მექანიზმები უკიდურესად შეუსაბამო აღმოჩნდა მშვიდობის შესა-

ნარჩუნებლად, კონფლიქტური ვითარების წარმატებით განმუხტვას რომ თავი დავანებოთ. ესეც დასავლური პოლიტიკური ნებისა და სტრატეგიული ხედვის სიმწირის კიდევ ერთი გამოვლინება გახლდათ. აფხაზეთში გაერო-ს მისია მუშაობდა და სამხრეთ ოსეთში – მსგავსი ტიპის მისია, ეუთო-ს ეგიდით. ორივე მათგანი XX საუკუნის 90-იანი წწ. დასაწყისიდან გამოჩნდა ამ რეგიონებში ცეცხლის შეწყვეტის პროცესზე დასაკვირვებლად. სამწუხაროდ, მათი ქმედებები ვერანაირად ვერ ჩამოყალიბდა მხარდაჭერის იმ სისტემებად, რაც ავთენტურ სამშვიდობო პროცესსა თუ შერიგებას შეუწყობდა ხელს. პირიქით, დროთა განმავლობაში ისინი რუსეთმაც კი გამოიყენა საკუთარი მიზნების შესანიღბად. არადა, დასავლეთში არც არავინ გამოჩნდა, ვინც მოსკოვს პასუხს მოსთხოვდა ამისათვის. ამ ტენდენციის გაგრძელება საერთაშორისო თანამეგობრობის მარცხად უნდა ჩაითვალოს. დასავლეთი მუდმივად უთმობდა რუსეთს და ნებას აძლევდა მისთვის არასასურველი ნებისმიერი ინიციატივა დაებლოკა.

ამ კუთხით შეიძლება ერთმანეთთან შევადაროთ უფრო სწორად, დავაპირისპიროთ, რა ინტერესს იჩენდა და პოლიტიკური ნებისა თუ რესურსის რა ინვესტიციას დებდა დასავლეთი – ერთი მხრივ, ბალკანური კონფლიქტების მოგვარებასა და, მეორეს მხრივ, საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში. პირველ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობამ – აშშ-ისა და ევროპის მეთაურობით, ძალისხმევა არ დაიშურა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად; აქ სრული მასშტაბით განხორციელდა გაერო-ს მიერ სანქცირებული მცდელობები მშვიდობის დაცვის, კონფლიქტების მოგვარებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური რეკონსტრუქციის კუთხით, რასაც სათავეში სწორედ აშშ, ევროკავშირი და ნატო ჩაუდგნენ. საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარ კონფლიქტებს მსგავსი ყურადღებისა და რესურსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დაეთმო: გაერო/ეუთო-ს მისიები კი დაფუძნდა, მაგრამ მათ არავითარი რეალური ძალა და გავლენა ამ რეგიონში არ გააჩნდათ; ვერც სამშვიდობო სტრუქტურები დარჩა ნეიტრალურად და იმ ქვეყნის გავლენის ქვეშ მოექცა, რომელიც თავადაც კონფლიქტის მხარეს წარმოადგენდა და წესებსაც საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე ადგენდა.

დასავლეთი მუდამ საუბრობდა ევროპის ერთიან უსაფრთხოებაზე და ეუთო-ს დოკუმენტებშიც ეს ხედვა მნიშვნელოვან პრინციპად ფიგურირებდა, მაგრამ სინამდვილეში გეოგრაფიას კორექტივი შეჰქონდა; იმავე დასავლეთისათვის ბალკანეთის ამბები უფრო იყო ყურადსაღები, ვიდრე მოვლენები, რომლებიც შავი ზღვის მიღმა რეგიონში ვითარდებოდა. საერთაშორისო თანამეგობრობას იმავე მასშტაბის სამშვიდობო ღონისძიებები საქართველოშიც რომ ეწარმოებინა, რაც ბალკანეთში განახორციელა, ან მტკიცე ნება გამოევლინებინა და იქ მართლაც ნეიტრალური მშვიდობის დამცველები შეეყვანა, საქმე ომამდე იქნებ აღარც მისულიყო... მომხდარი საერთაშორისო

თანამეგობრობის მარცხზე მიუთითებს და ამ აზრს ერთი მაგალითიც ადასტურებს: უკვე ომის შემდეგ, ევროკავშირმა სწრაფად მოახერხა რეგიონში რამდენიმე ასეული ოფიცრის მივლინება – ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველსაყოფად და მეთვალყურეობის გასაწევად; იმავე ოდენობის დამკვირვებლები წინა წლის გაზაფხულზეც რომ გაეგზავნათ, რასაც ასე დაჟინებით ითხოვდა საქართველოს ხელისუფლება, შესაძლოა, მოვლენები სულ სხვანაირად განვითარებულიყო.

არადა, 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში რაიმე სერიოზული სამშვიდობო ღონისძიება არ განხორციელებულა. ასევე, ამ დროის განმავლობაში ძნელია კაცმა თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი სამშვიდობო ინიციატივა გაიხსენოს მოსკოვის მხრიდან; თბილისმა ინიციატივათა მთელი პაკეტი კი წარმოადგინა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქცა სათანადო ყურადღების ღირსად, იმის მიუხედავადაც კი, რომ ზოგი მათგანი პრობლემის მოგვარების სავსებით რეალურ შესაძლებლობებს სახავდა. საქართველოს, სულ ცოტა, ორი შორსმიმავალი, კონფიდენციალური შეთავაზება ჰქონდა: 2006 წელს – სამხრეთ ოსეთთან და 2008 წელს – აფხაზეთთან დაკავშირებით და ეს შეთავაზებები ნამდვილად შეიძლებოდა საქმიანი მოლაპარაკებების საფუძვლად ქცეულიყო. ოღონდ რუსულმა პრესამ ორივე დაუყოვნებლივ გაახმაურა და, ფაქტობრივად, ჩანასახშივე დაასამარა. ზოგიერთი ბრალს ქართულ მხარესაც სდებს იმის გამო, როგორ იქნა წარმოდგენილი ეს შემოთავაზებები, მაგრამ ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვს ამ კონფლიქტების მოგვარება საერთოდ არ ეხატებოდა გულზე – მისი აზრით, ეს მხოლოდ დააჩქარებდა საქართველოს სწრაფვას დასავლეთისაკენ. იგივე შეიძლება ითქვას მის მოკავშირე სეპარატისტ ლიდერებზეც, რომელთა პოლიტიკური მომავალი, მსუბუქად რომ ვთქვათ, სათუო გახდებოდა, თუკი კონფლიქტური ზონები როდისმე მაინც „გაიხსნებოდა" გარე სამყაროსათვის.

მეოთხე: სარკეში ჩახედვა არც ზოგადად დასავლეთს აწყენს – ომისკენ სვლა ჩვენმა შეცდომებმა და გათიშულობამაც დააჩქარა. ერთი ფაქტორთაგანი გახლდათ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მოსკოვის გაფრთხილებების მიუხედავად – საპასუხოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე ვიფიქრებო... მეორე შეცდომა საქართველოსა და უკრაინის მიმართ ნატო-ს პოზიცია იყო 2008 წლის ბუქარესტის საგაზაფხულო სამიტზე. ამ ყველაფერმა მოსკოვს ორმაგი წინაპირობა შეუქმნა საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედოდ. დასავლეთს კი არავითარი გეგმა არ გააჩნდა – როგორ უნდა დაეცვა თბილისი თავისივე პოლიტიკის შედეგებისაგან. ბევრი ალბათ საქართველოს შეცდომებს მოიმიზეზებს ან მისი პრეზიდენტის ზედმეტად ფეთქებად ხასიათს და უმთავრესად ასე ახსნის, რატომ ვერ მოიპოვა თბილისმა ფართო საერთაშორისო თუ დასავლური მხარდაჭერა. შესაძლოა, ეს მიზეზები არც მთლად უსაფუძვლო იყოს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პარიზის ქარტიის

ძირეული პრინციპები – თანაბარი უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობის,სუვერენიტეტის, ალიანსებში ნებაყოფლობით გაწევრიანების უფლება – ახალი, ცივი ომის შემდგომი წესრიგის ქვაკუთხედად უნდა ქცეულიყო. ამ პრინციპების დაცვა-დაუცველობა არ შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ პრეზიდენტის პიროვნული თვისებებით ან ქვეყნის წარმატების ნიშნულით საშინაო რეფორმებსა თუ საგარეო პოლიტიკაში. იმთავითვე მათი დანერგვა სწორედაც რომ მცირე სახელმწიფოების უფრო ძლიერთა მტაცებლური მიდრეკილებებისაგან დაცვას გულისხმობდა – მათი ხელშეუხებლობა აუცილებელი უნდა ყოფილიყო ნებისმიერი გამოწვევის შემთხვევაში, თუკი გვსურდა, რომ ცივი ომის შემდგომი წესრიგი ცარიელ სიტყვებად არ დარჩენილიყო. ეს კი ვერ მოხერხდა, რადგან არც საქართველოსა და დასავლეთს შორის არსებობდა აუცილებელი ურთიერთნდობა და არც ბევრი წამყვანი დასავლური სახელმწიფო ჩანდა მაინცდამაინც გულშემატკივარი.

ძაღლის თავიც აქ გახლდათ დამარხული: საქართველო და რუსეთი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ომის ზღურბლს, მაგრამ ცოტა ვინმე თუ ხედავდა ამ მოსალოდნელ ომში ცივი ომის შემდგომი ევროპული წესრიგის თავად საფუძვლებისადმი მუქარასა და მოსკოვის მხრიდან ყველა იმ წესის შესაძლო ფეხქვეშ გათელვას, როგორ უნდა გადაჭრილიყო ესა თუ ის სადავო საკითხი. პირიქით, ძალზე ბევრისთვის ეს ყველაფერი რაღაც შორეულ დაპირისპირებად რჩებოდა რომელიღაც იმ მხარეში, რომლის ბედ-იღბალი მათზე არანაირად არ აისახებოდა, ძნელად გამოსათქმელი ტოპოგრაფიული სახელწოდებებიც არას ეუბნებოდა და, საერთოდ, ისიც სათუოდ მიაჩნდა – იყო თუ არა იქაურობა ევროპის ნაწილი! ყველა უფრთხოდა – რუსეთის საზღვრების სიახლოვეს გაჩაღებულ კონფლიქტში შემთხვევით არ გარეულიყო და იმდენად ერიდებოდა თავად მოსკოვთან ურთიერთობების „აჭრას“, რომ აღარც ის სჯეროდათ, მთავარი საკითხი ამ პატარა, ალყაში მოქცეული ქვეყნის მხარდაჭერა თუ იყო. რატომ და როგორ მივიდა საქმე აქამდე, ეს სწორედ ის თემაა, რის კვლევასაც ახლა შევეცდებით; ერთიანი პასუხის სხვადასხვა ნაწილად კი შეიძლება ერაყის მოვლენების შემდგომი დასავლეთის სისუსტე და გათიშულობა, ევროპის სულ უფრო მზარდი დამოკიდებულება რუსეთის ენერგომატარებლებზე და, უბრალოდ, სათანადო ინტერესის არარსებობა დაგისახელოთ.

მეხუთე და ბოლო თეზისი კი ის არის, რომ რუსეთ-საქართველოს ომმა რუსეთის მიმართ დასავლეთის არსებულ სტრატეგიაზე, ზოგადად ჩვენი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის ავ-კარგზე და, კონკრეტულად, ევროპული სამეზობლოს გავრცობა-გაფართოებაზე დაფიქრების საჭიროებას გაუსვა ხაზი. ამ ომმა ბევრი ის ძველი წარმოდგენა შეარყია, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში განსაზღვრავდა დასავლურ პოლიტიკას. ამ პოლიტიკას მოჰყვა ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოება ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ამ

გაფართოებამ უკეთესობისაკენ შეცვალა ევროპის რუკა. მან კონტინენტი უფრო დემოკრატიული და უსაფთხოა, ვიდრე ოდესმე. ჩვენი მცდელობების თავი და თავი ახალი პანევროპული უსაფრთხოების მოდელის აწყობა იყო, რაც რუსეთთან ახალი პარტნიორობის დაწყებასაც ნიშნავდა და ერთიანი, თავისუფალი, მშვიდობიანი ევროპის წინაპირობასაც შექმნიდა.

მაგრამ იმავე 15 წელიწადში ჩამოყალიბდა რევიზიონისტული და ანტიდასავლურად განწყობილი რუსეთი, რომელმაც ირწმუნა, რომ დასავლეთი შეგნებულად ასუსტებდა მას და ამით თვითონ სარგებლობდა. წიგნში ვეცდები პასუხი მოვუნახო კითხვას – ამგვარი რუსეთის ჩამოყალიბება დასავლური პოლიტიკის შედეგი იყო თუ ქვეყნის შიდა დინამიკით განპირობებული გარდუვალობა. ასეა თუ ისე, რუსეთ-საქართველოს ომი, გარკვეული თვალსაზრისით, მოსკოვის ახალი რევიზიონისტული რეჟიმის მხრიდან შექმნილი სისტემის წინააღმდეგ ამბოხი გახლდათ. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ საქართველოსთან ომის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტ მედვედევის ერთ-ერთი განცხადება სწორედ ევროპული უსაფრთხოების სისტემის წესების გადასინჯვას შეეხებოდა, რადგან მოსკოვი ამ არსებულ წესებს მეტისმეტად *ევროატლანტიკულად* და დასავლეთის უპირატესობათა დამაკანონებლად მიიჩნევდა.

ერთი რამ ცხადია – აღმოსავლეთით გაფართოების პროცესის შესაბამისად, დასავლეთში უკვე სულ უფრო და უფრო ნაკლები თანხმობაა ჩვენივე საკუთარი სტრატეგიის მიმართ, გვიანდელი კანდიდატი ქვეყნების გარკვეული წრეებიც უფრო სუსტნი და ნაკლებ მიმზიდველნი აღმოჩნდნენ. რუსეთის უკმაყოფილება და წინააღმდეგობა კი – გაფართოებისა თუ ზოგადად დასავლეთისადმი – სულ უფრო მატულობს. გაფართოების პროცესის შენელების ნიშნები ჯერ კიდევ საქართველოში ატეხილ ომამდე შეიმჩნეოდა, დღეს კი უკვე თვალში საცემია. ასე რომ, თუ გვინდა გაფართოება კვლავაც სიცოცხლისუნარიან სტრატეგიად დარჩეს, მაშინ ეს დოქტრინა უკვე საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს და ახალ ვითარებებსაც მოერგოს: ახალი მიზეზი უნდა გამოინახოს მისი საჭიროების დასადასტურებლად, მოინახოს ის პრაქტიკული ჩარჩო, რაც ამ პროცესს უკვე დღევანდელ, უაღრესად განსხვავებულ მსოფლიოს მიუსადაგებდა და, რაც მთავარია, ძირეულად განსხვავებული მიდგომაც შემუშავდეს მოსკოვთან ურთიერთობებში.

ამ წიგნში საუბარია იმ მიზეზებზე, რატომ და როგორ დაიწყო ომი საქართველოში, მაგრამ მთელი ეს ამბავი იმ უფრო ფართო თემის ნაწილად უნდა განვიხილოთ, რომელიც ტრანსატლანტიკური ურთიერთობების გაუარესებასა და ახალი დასავლურ-რუსული დაპირისპირების მიზეზებს შეეხება. მოვლენები დამაჯერებლად რომ ავხსნათ, უკანაც უნდა გავიხედოთ და წინაც: უკან იმიტომ, რომ ავხსნათ, რამ გამოიწვია ურთიერთობათა გაუცხოება ამერიკასა და ევროპას შორის, და მეორე მხრივ, დავადგინოთ, რატომ გაუარესდა ურთიერთობა

მოსკოვთან. ამავე დროს, უთუოდ წინაც უნდა ვიყურებოდეთ: რუსეთის მიმართ შემუშავებულ ახალ პოლიტიკაში უცილობლად გასათვალისწინებელია, რამდენად ჯიუტად ცდილობს დღევანდელი რუსეთი საკუთარი გზით სიარულს. დასავლეთმა იმგვარი სტრატეგია უნდა შეიმუშავოს და რუსეთთან იმ სფეროებში სცადოს თანამშრომლობა, სადაც შეხების წერტილები იკვეთება; თუმცა, არც ჩვენს ღირებულებებზე უნდა ვთქვათ უარი და არც იმ პრინციპებზე ავიღოთ ხელი, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის საბოლოოდ დამკვიდრების ერთადერთი წინაპირობაა.

ამგვარი სტრატეგია აშშ-ისა და ევროპის კიდევ ერთხელ შეწყვილებასა და ტრანსატლანტიკური პარტნიორობის განახლებას მოითხოვს. ომი საქართველოში სწორედ იმ დროს დაემთხვა, როცა ამ ურთიერთობებში ერთგვარი „დამუხრუჭება“ შეინიშნებოდა; ხსენებული კონფლიქტის შესაძლებლობა კი, თავის მხრივ, დასავლეთის სამყაროს ისტორიაში უძლიერესი ალიანსის ბოლო ათწლეულის ერთგვარმა შესუსტებამაც განაპირობა. ახლა პრეზიდენტად ბარაკ ობამას არჩევამ ის იმედები გამოაცოცხლა, რომ შეერთებული შტატები და ევროპა ახალი ეპოქის გამოწვევებთან გასამკლავებლად კვლავაც მოახერხებენ საერთო ენის გამონახვას; მისმა ადმინისტრაციამ – იმ უმთავრესი გამოწვევების გათვალისწინებით, რაც ავღანეთში, პაკისტანსა, თუ ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში არსებობს და ასევე, აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის აღზევების ფაქტორისათვის თვალის გასწორების გარდა – გახლეჩილი ალიანსის გამთლიანება და აღმოსავლეთ ევროპის მიმართ ახალი სტრატეგიის დასახვაც უნდა მოახერხოს.

– 06416 –

რასაკვირველია, ერთ წიგნში მსგავსი ხასიათის ყველა ამ კითხვას პასუხი ვერ გაეცემა და ამიტომ გადავწყვიტე იმ საკითხებზე გამემახვილებინა ყურადღება, რაც საკვანძოდ მივიჩნიე და რაშიც ყველაზე უკეთ ვერკვევი – თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა ევროპის უსაფრთხოების თაობაზე მიმდინარე დავა-კამათებში, თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გაყინული კონფლიქტების მოგვარების მცდელობაში. მესმის, რომ ამ წიგნში წარმოდგენილი მტკიცებულებანი ერთგვარი მოზაიკის შთაბეჭდილებას ტოვებს – ეს იმ მონაცემთა ცალკეული ნაწილების ერთობლიობაა, რაც ცალ-ცალკე იქნებ გადამწყვეტი არც მოგეჩვენოთ, მაგრამ მთლიანობაში – ჭეშმარიტ სურათს იძლევა და, ჩემი აზრით, იმის ნათელ დადასტურებადაც გამოდგება, სინამდვილეში რა მოხდა 7 აგვისტოს.

და ბოლოს, მინდა მკითხველმა იმთავითვე იცოდეს საქართველოს მიმართ ჩემი დამოკიდებულების შესახებ: მე წილად მხვდა პირადად მცნობოდა ბევრი ის მთავარი მოქმედი პირი, ვიზეც შემდგომში ვისაუბრებ და ამ წიგნში აღწერილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი შეხვედრის უშუალო მთხრობეც გახლდით. ყველაფერი კი ამ ოციოდე წლის წინ დაიწყო, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა

პაცი, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში აღმოვჩნდი – სწორედ კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ. ნატო-ს გაფართოების ერთ-ერთი გულმხურვალე მხარდამჭერიც გახლდით და მოგვიანებით, 90-იანი წლების შუახანებში, კლინტონის ადმინისტრაციამ თანამშრომლობა შემომთავაზა სწორედ ამ პოლიტიკის გატარებაში.

შედეგად, მეც ვმონაწილეობდი იმ დიპლომატიურ აქტივობებში, რამაც გაფართოების პირველ რაუნდამდე მიგვიყვანა, ხელი შეუწყო 1997 წელს ნატო-სა და რუსეთს შორის დამფუძნებელი ხელშეკრულების გაფორმებას – რუსეთისა და დასავლეთის დაახლოებისაკენ მიმართულ ზოგ მცდელობას. მაგრამ მაშინ რომ ვინმეს ეკითხა ჩემთვის – საქართველო და უკრაინა ნატო-ში როდისმე თუ გაწევრიანდებიანო, ალბათ უარყოფითად ვუპასუხებდი: იმხანად ჩვენს თვალსაწიერში მხოლოდ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა იყო მოქცეული – ბალტიის ზღვიდან შავი ზღვის დასავლეთ სანაპირომდე და მნიშვნელოვან მიზნად ჯერ ისევ მოსკოვთან ახალი პარტნიორობის ჩამოყალიბება გვესახებოდა. ყველაფერი მას მერე შეიცვალა – ჯერ 2003 წლის ნოემბერში საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა, ერთი წლის შემდეგ კი უკრაინაში – ნარინჯისფერი. ორივე ამ მოვლენამ განამტკიცა განცდა, რომ დემოკრატიული გარღვევა კიდევ უფრო ღრმად – ევრაზიასა და ამიერკავკასიაშიც შესაძლებელი იყო და ჩვენც სათანადო სტრატეგია გვესაჭიროებოდა ამ რეალობის საპასუხოდ. 2004 წლის გაზაფხულზე ჩემი ყოფილი ხელმძღვანელი (სახელმწიფო დეპარტამენტს ვგულისხმობ) სტროუბ ტელბოტი და მე სადილზე მოვხვდით მირჩა გეოანასთან, რომელიც იმხანად რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მანამდე კი – ამ ქვეყნის ელჩი ვაშინგტონში. იგი დაბეჯითებით ითხოვდა გაფართოება შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს ქვეყნებით, რუმინეთით და ბულგარეთით არ შემოფარგლულიყო და ზღვის გადაღმაც – უკრაინისა და საქართველოს მიმართულებით გაგვეგრძელებინა.

გაორებული გრძნობა დამეუფლა: კარგად მესმოდა, საითკენაც უბერავდა ქარი, მაგრამ თან ისიც ვიცოდი, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან შედარებით, რამდენად რთული იქნებოდა ხსენებულ ქვეყნებში ამის განხორციელება და ჩემი ცხოვრების შემდეგი 10 წელიც ამ საქმისთვის უნდა შემეწირა. ისიც საკითხავი იყო, იქნებოდა ეს დემოკრატიული პროცესების კიდევ ერთი ლოგიკური ნაბიჯი, თუ იმთავითვე შეუსრულებელი მისია? რამდენიმე თვის შემდეგ პირველად გავფრინდი თბილისში ვითარების ადგილზე გასაცნობად. ბევრი დასავლელის მსგავსად, აეროპორტიდანვე გამიჩნდა შეკითხვა – შესწევდა თუ არა საქართველოს იმ ნახტომის გაკეთების უნარი, რაც ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ევროატლანტიკური თანამეგობრობის წევრად აქცევდა? ერთი დღის განმავლობაში პრეზიდენტ სააკაშვილსაც შევხვდი, პრემიერ-მინისტრ ჟვანიასაც და პარლამენტის თავმჯდომარე ქ-ნ ბურჯანაძესაც. ძალიან მალე

დავრწმუნდი, რომ ჩვენი ეჭვების საპირისპიროდ, თავად ქართველებს საკუთარი ევროპული ორიენტაციის თაობაზე არავითარი ეჭვი არ ღრნღიდათ.

ქვეყანაში მოგზაურობისას პროდასავლური, დემოკრატიულად განწყობილი ახალგაზრდა თაობა ვნახე, ვისაც დასავლეთისაკენ სვლა ჰქონდა განზრახული – საკუთარი პერსპექტივებისა თუ ჩვენი მხარდაჭერის დონის მიუხედავად. ამან ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა თუ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში ჩემი ადრეული სტუმრობები გამახსენა, სადაც ადამიანები ერთთავად მეკითხებოდნენ – ჩემი აზრით, რამდენად შეეძლოთ ასეთი აუცილებელი ნახტომის გაკეთება და ჰქონდათ თუ არა შანსი – ოდესმე ნატო-ს ან ევროკავშირის კარი შეეღოთ... მოკლედ, საქართველოთი მალევე მოვიხიბლე არამარტო გემრიელი კერძების, ჩინებული ღვინის, ზღვის ულამაზესი სანაპიროსა თუ მთების გამო: უფრო იმ აზრმა მომხიბლა, რომ წარმატების შემთხვევაში, ლიბერალურ-დემოკრატიული საქართველო შესაძლოა ამიერკავკასიისა და, ზოგადად, შავი ზღვის რეგიონის ტრანსფორმირების გასაღებადაც ქცეულიყო, რითაც იმ დემოკრატიული რეფორმებისა და სტაბილურობის ახალ საყრდენს შექმნიდა, ევროპა-ევრაზიის როგორც პოლიტიკურ, ისე სტრატეგიულ რუკას სასიკეთოდ რომ გადაასხვაფერებდა.

როგორ შეიძლებოდა მათთვის მხარი არ დაგვეჭირა?! ან პირადად როგორ არ უნდა მეცადა დახმარება – მთელი იმ ძალისხმევის გათვალისწინებით, რაც დემოკრატიული პროცესების გაფართოების საქმეში მედო? ეს კითხვები მხოლოდ მე არ გამჩენია: იმ ე.წ. „შიდა მაფიის“ დიდი ნაწილი – ამერიკელი თუ ევროპელი ექსპერტები, პროდემოკრატიული არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტები და გაფართოების საჭიროების თაობაზე 90-იანი წლების დავა-კამათის მონაწილე სხვა ვეტერანები – ახლა თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა დედაქალაქებში გამართულ კონფერენციებსა თუ სემინარებში მონაწილეობდნენ და ბჭობდნენ – რა ნაბიჯები უნდა გადაედგა დასავლეთს! ყოველ შემთხვევაში, ბევრი ჩვენგანისთვის ადრეული პროექტების ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან ამ რეგიონში გადმოღება უკვე სავსებით ლოგიკური ჩანდა.

მომდევნო წლებში რამდენიმე სტატია დავწერე და წიგნებიც გამოვეცი შავი ზღვის რეგიონის მიმართ დასავლური სტრატეგიის შემუშავების თაობაზე; გერმანიაში ამერიკის მარშალის ფონდს პროგრამის განხორციელებაშიც დავეხმარე, რაც არაერთი ამერიკელი თუ ევროპელი თანამდებობის პირის საქართველოში ჩამოსვლასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაყინული კონფლიქტების უშუალოდ გაცნობას გულისხმობდა; გავიცანი საქართველოს ხელისუფლების ბევრი მაღალჩინოსანი და პირადად მათგან მოვისმინე, რას ფიქრობდნენ და რა ეეჭვებოდათ. ამ ვიზიტებმა და გაწეულმა მუშაობამ უკეთ მიმახვედრა, რით ცხოვრობდა ეს ქვეყანა, რეალურად რა ხდებოდა აფხაზეთსა

თუ სამხრეთ ოსეთში და, ამავე დროს, ვაშინგტონსა თუ ევროპულ ხელისუფლებებში ჩემი ძველი კავშირების წყალობით დასავლეთის პოლიტიკურ დებატებში გარკვეული ხმის უფლებაც მომანიჭა.

არ უნდა დავივიწყოთ – საუბარია საქართველოსა და ამიერკავკასიაზე და არა პრაღასა თუ ტალინზე: აქ უცხო არ ყოფილა ქაოსი და ძალადობაც კი, დემოკრატიული ფესვები ჯერაც სუსტი ჩანდა და არც ნაციონალიზმი იყო უცხო ხილი, ადგილობრივი კულტურა კი ჰიპერბოლიზაციისაკენ დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებდა: საქართველოში პირველად ჩასულებს, ამერიკის ელჩი ჯონ ტეფტი აფრთხილებდა კიდეც – ქართული პოლიტიკის უპირველესი წესი ყველაფრის 25%-ით და იქნებ კიდევ უფრო მეტით გაზვიადებაა. მოკლედ, სტრატეგიული ხასიათის შეხვედრები პრეზიდენტსა თუ მაღალი რანგის მრჩევლებთან ზოგჯერ შუაღამისას იწყებოდა და დილამდე გრძელდებოდა ხოლმე...

აქ ერთდროულად იგრძნობოდა „ველური დასავლეთის“ ატმოსფეროც და რუსულ-ქართული ცივი ომიც, რომელსაც არც დაბომბვები და მკვლელობები აკლდა. ჩვენ აქაურობას „ველურ" და არა "გაფართოებულ" ევროპას ვეძახით – ეს უკანასკნელი ფრაზა პოლიტკორექტული ევროპელებისათვის ნატო-ს და ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობლების აღმნიშვნელი იყო. „თბილისი მერიოტის“ ბარი კი რებეკა უესტის რომანში აღწერილს მოგაგონებდათ: აქ ერთმანეთში ირეოდნენ ქართველი ჩინოსნები, დიპლომატები, დაზვერვის ხალხი – დილამდე სვამდნენ და ჭორებს ეტანებოდნენ...

ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ საქართველოს მიმართ ჩემი დამოკიდებულების გამო წიგნში აღწერილი მოვლენების მიუკერძოებელ დამკვირვებლად ვერ გამოვდგებოდი; მაგრამ სწორედ ამ ქვეყანასთან კავშირმა და მიღებულმა გამოცდილებამ, ასე ვთქვათ, *შიგნიდან* დამანახა, რაც მოხდა და რატომაც მოხდა. მეც მხოლოდ ამის აღწერა ვცადე – ბედმა სრულიად განსაკუთრებული გადასახედიდან დამანახა ის მოვლენები, რამაც ომი განაპირობა და, ამდენად, სათქმელიც დამიგროვდა; ასეა თუ ისე, ახლა განსჯაცა და შეფასებაც უკვე თქვენთვის მომინდვია.

თავი 1

გადაწყვეტილება

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ყურმილი დადო: თბილისში 7 აგვისტოს გვიანი ღამე იდგა – თორმეტს 25 წუთი აკლდა. მან ის-ის იყო საკუთარ შეიარაღებულ ძალებს უბრძანა, იერიში მიეტანათ სამხრეთ ოსეთის პატარა ქალაქ ჯავიდან დაძრულ რუსულ სამხედრო კოლონაზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან სამხრეთით მდებარე ამ დასახლებული პუნქტიდან სეპარატისტული ანკლავის დედაქალაქ ცხინვალისაკენ მიემართებოდა და რის შესახებაც მას დაზვერვა აცნობებდა. მან ასევე გასცა ბრძანება იმ რუსული ძალების შესაჩერებლად, რომლებიც როკის გვირაბის გავლით დაიძრნენ საქართველოსაკენ. ქართულ შეიარაღებულ ძალებს დაევალა სამხრეთ ოსური შენაერთების მხრიდან ქართული სოფლების დაბომბვის აღკვეთაც იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ქართული მშვიდობის დამცველები და პოლიცია აკონტროლებდა. ეს დაბომბვები ხანგამოშვებით მთელი წინა კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, იმ საღამოს კი განსაკუთრებით გაძლიერდა – იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პრეზიდენტს კონფლიქტის ზონაში ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის ბრძანება ჰქონდა გაცემული. დაიჭრა და დაიღუპა არაერთი ქართველი სამოქალაქო პირი და სამშვიდობო ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურე. საქართველოს პრეზიდენტმა ცოტა ხანს შეიცადა, შემდეგ ისევ ყურმილს დასწვდა და ახლა მესამე ბრძანებაც გასცა: „მოსახლეობას გაუფრთხილდით!“.

სააკაშვილმა ომში ჩაბმა გადაწყვიტა. ეს მყისიერი გადაწყვეტილება გახლდათ – სწორედ ის, რაც *ევროკავშირის დამოუკიდებელმა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში* (IIFFMCG) და მისმა ხელმძღვანელმა, საგანგებო ელჩმა, ჰეიდი ტალიავინმა შემდგომში საერთაშორისო სამართლის ნორმების თვალსაზრისით გაუმართლებლად მიიჩნია. ეს გადაწყვეტილება არა მარტო საქართველოს მომავალს ხდიდა ბუნდოვანს, არამედ შეეძლო ისეთ დაპირისპირებამდე მიეყვანა რუსეთი და დასავლეთი, რაც კომუნისტური სისტემის მსხვრევის შემდგომ უკვე 20 წელია აღარ

ყოფილა. წინა საღამოს საქართველოში მობილური ტელეფონით საუბარი მოისმინეს სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო ძალების წარმომადგენელთა შორის და ამ ინფორმაციის თანახმად, გაირკვა რომ რუსეთის სასაზღვრო ძალებს საკუთარ კონტროლქვეშ მოექცია როკის გვირაბი საქართველო-რუსეთის საზღვრის სამხრეთით და რუსულ სამხედრო კოლონასაც დაახლოებით დილის 4 საათზე უკვე გამოევლო ხსენებული გვირაბი. შინაგან საქმეთა მინისტრი, ივანე (ვანო) მერაბიშვილი გვიან ღამით თათბირზე იმყოფებოდა, როცა ეს ამბავი აცნობეს და მანაც დაუყოვნებლივ საქმის კურსში ჩააყენა სააკაშვილი. კოლონის სიდიდე მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი; როკის გვირაბის სიგრძე თითქმის 4 კმ-ია და როგორც ტელეფონით ერთ-ერთი მოსაუბრე აცხადებდა, იგი მთლიანად სავსე იყო.[1] ქართულ დაზვერვას გვირაბის სამხრეთ გამოსასვლელთან საკუთარი ინფორმატორი ჰყავდა, რომელმაც 150 ერთეული ჯავშანტექნიკა დააფიქსირა; თუმცა ეს ინფორმატორი სამხედრო დაზვერვის საკითხებში ექსპერტად ვერ ჩაითვლებოდა.

მოსმენილ სატელეფონო საუბარში ასევე ნახსენები იყო მავანი პოლკოვნიკი, რომელიც რუსეთის 58-ე არმიის მე-19 დივიზიის 693-ე პოლკს მეთაურობდა. არადა, წესით, ამ შენაერთს საქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ არაფერი ესაქმებოდა. შემდგომმა მონაცემებმა დაადასტურა, რომ რეგიონში 135-ე პოლკის ნაწილებიც იმყოფებოდა. საქართველოს დაზვერვა იმასაც ვარაუდობდა, რომ შესაძლოა, ლაპარაკი მხოლოდ რუსულ ქვეითთა ერთ ბატალიონზე იყო, ანუ დაახლოებით 550 კაცზე, მაგრამ დარწმუნებით ვერავინ ვერაფერს ამბობდა.[2] დაახლოებით იმავე დროს ქართულმა სამშვიდობო ძალებმა რუსული ნაწილების გადაადგილება შენიშნეს სამხრეთისაკენ, ჯავიდან ცხინვალისაკენ შემოვლითი გზით. ქართველ სამშვიდობოთა მეთაური, ბრიგადის გენერალი მამუკა ყურაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა თავის რუს კოლეგას, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მეთაურს, გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვს და ჰკითხა, რას ნიშნავდა ამ ძალების გადაადგილება, მით უმეტეს, მძიმე არტილერიის თანხლებით. რუსულმა მხარემ ყურაშვილს ვითარებაში გარკვევის პირობა მისცა, თუმცა ეს პირობა პირობადვე დარჩა. ცხადი ხდებოდა, რომ მოსკოვი რაღაცისთვის ემზადებოდა...[3]

მთელი იმ დღის განმავლობაში ქართული მხარე დაზვერვითი ოპერაციებით იყო დაკავებული და ცდილობდა ზუსტად დაედგინა, საით მიემართებოდნენ ეს ნაწილები და რას ისახავდნენ მიზნად. ქართულ შეიარაღებულ ძალებს ბევრი რამ აკლდა, თუმცა თბილისმა თანხები არ დაიშურა შორ მანძილზე სათვალთვალო მოწყობილობების – მათ შორის, ღამით დაკვირვების თერმული აღჭურვილობის შესაძენად. ომში ჩაბმის საბოლოო ბრძანების გაცემისაკენ სააკაშვილს რამდენიმე ფაქტორმა უბიძგა: ოსურმა თუ რუსულმა მხარეებმა უპასუხოდ დატოვეს ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის მისი ინიციატივა, იმავე

საღამოს განაახლეს ქართული სოფლების დაბომბვა, რუსული შენაერთები კი კვლავინდებურად აგრძელებდნენ წინსვლას; ამავე დროს, დაზვერვის ახალი მონაცემების თანახმად, დაღამებისთანავე რუსეთის დამატებითი ძალებიც აპირებდნენ როკის გვირაბის გამოვლას. თუმცა ბოლო წვეთი მაინც ქართული დაზვერვის მიერ უშუალოდ დაფიქსირებული ის კოლონა გახლდათ, რომელიც ჯავიდან ცხინვალისაკენ მოემართებოდა. მისი რაოდენობა და აღჭურვილობა – ტანკები, ჯავშანმანქანები და არტილერია – ქართულ მხარეს საფუძველს აძლევდა დაესკვნა, რომ კოლონა არც სამხრეთ და არც ჩრდილო ოსეთის „მოხალისეებისაგან" არ შედგებოდა – ეს რუსული არმია იყო. ამ დასკვნამ საბოლოოდ დაადასტურა სააკაშვილის ეჭვი, რომ მის ქვეყანას მოსკოვი შემოესია და გვიან ღამით საპასუხო ნაბიჯების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებაც სწორედ ამან განაპირობა.

რუსეთის 58-ე არმია – მოსკოვის მთავარი დამრტყმელი ძალა ჩრდილოკავკასიაში – ჩეჩნეთის ომებში გამოჩენილი სისასტიკით იყო ცნობილი. საქართველოში შემოჭრამდე რამდენიმე კვირით ადრე, მან საზაფხულო სამხედრო წვრთნები, ე.წ. „კავკასია – 2008" ჩაატარა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან. ამ წვრთნების ოფიციალური მიზანი „ტერორისტული ჯგუფების აღმოჩენა, ბლოკირება და განადგურება" იყო ადგილობრივ მთაგორიან არეალში. შეირაღება მოიცავდა დაახლოებით 700 საბრძოლო მანქანას, ავიაგამანადგურებლებსა და შავი ზღვის ფლოტის გარკვეულ ნაწილებს. მსგავსი შეიარაღება ნაკლებად გამოსადეგია მთებში ტერორისტებთან საბრძოლველად, თუმცა – იდეალური მეზობლის ტერიტორიაზე შემოსაჭრელად. სინამდვილეში, მთელი ეს „წვრთნები" სავარაუდო აგრესიის რეპეტიცია გახლდათ: სცენარი გულისხმობდა რუსეთის ძალების შეჭრას განდგომილ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში – რუსი სამშვიდობოებისა და იქ მყოფი რუსეთის მოქალაქეების დასაცავად. ფაქტობრივად, ეს იყო საქართველოზე თავდასხმის მოდელის წინასწარი გამოცდა: წვრთნებში მონაწილე ჯარისკაცებს დაურიგეს კიდეც პატარ-პატარა ბროშურები სათაურით – „ჯარისკაცო, ცნობდე შენს სავარაუდო მტერს!" ამ მასალის თანახმად, მტერში საქართველოც იგულისხმებოდა...[4]

წვრთნების დასრულების შემდეგ ბევრი შენაერთი თავდაპირველი დისლოკაციის ადგილებს კი არ დაუბრუნდა, რეგიონშივე დარჩა. შესაბამისად, როკის გვირაბის ჩრდილოეთით მნიშვნელოვანმა რუსულმა სამხედრო ძალამ მოიყარა თავი. 5 აგვისტოს საღამოსათვის, 12000 ჯარისკაცი, [5] საბრძოლო ჯავშანტექნიკა და არტილერია სრულ მზადყოფნაში ელოდა საქართველოსკენ დაძვრის ბრძანებას. მანამდე, სამი დღით ადრე, 2 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთში ჩავიდნენ ნიკოლაი პანკოვი, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე და ანატოლი ხრულიოვი – დაზვერვის შეფის მოადგილე და შეთავსებით, 58-ე

არმიის სარდალი. ისინი შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის ხლმძღვანელობას და რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურს – როგორც ჩანს, ამ ნაწილებისათვის შემდგომი სამოქმედო გეგმის დასაზუსტებლად.

მოსკოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ 8 აგვისტოს, დღის 14 სათზე შევიდნენ, თუმცა ეს განცხადება, უბრალოდ, სიცრუეა. რუსეთის რეგულარული ჯარების ზუსტად რა რაოდენობამ დაიწყო საზღვრის გადმოლახვა და უკვე რამდენი იყო სამხრეთ ოსეთში არალეგალურად შემოსული 7 აგვისტოს საღამომდე ჯერაც გაურკვეველია და გაცხოველებული კამათის საგნად რჩება. მართალია, როკის გვირაბის შესასვლელიცა და გამოსასვლელიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ გვირაბს მოსკოვი აკონტროლებდა და მუდმივად უარს ეუბნებოდა საერთაშორისო დამკვირვებლებს იქ გამსვლელ-გამომსვლელთა შემოწმებაზე. მოსკოვი კი ირწმუნება, თითქოს მისმა შეიარაღებულმა ძალებმა გვირაბი მხოლოდ 8 აგვისტოს ნაშუადღევს გაიარეს, მაგრამ აი, ანდრეი ილარიონოვი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ომისათვის რუსეთის მზადების ფაქტები, ამტკიცებს, რომ უკვე 7 აგვისტოსათვის, სამხრეთ ოსეთში არალეგალურად იქნა შეყვნილი დაახლოებით 1200 რუსი ჯარისკაცი – სამედიცინო და საკომუნიკაციო ქვედანაყოფებთან ერთად, ხოლო როგორც მავანი ოფიციალური პირი აცხადებს[6] „კიდევ 12000 სამხედრო მზად იყო, რათა დაუყოვნებლივ გადაელახა საზღვარი და დახმარება აღმოეჩინა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალებისათვის.“ სხვა წყაროები და პრესაში ომის თუ ომის შემდგომ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რაც უშუალოდ სამხრეთ ოსეთში მყოფი კორესპონდენტების მასალებს ეყრდნობა, ასევე მიუთითებს, რომ 2-დან 7 აგვისტომდე პერიოდში, 58-ე არმიის 135-ე და 693-ე პოლკების ქვედანაყოფები, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების 22-ე ბრიგადა და რამდენიმე სატანკო ქვედანაყოფი უკვე შესული იყო სამხრეთ ოსეთში, ხოლო ამ შენაერთებიდან რამდენიმე 8 აგვისტოს დილით, ცხინვალში ქართული ნაწილების შესვლის შემდგომ დაუყოვნებლივ ჩაერთო ბრძოლაში ქართველების წინააღმდეგ[7].

მათ გარდა ბრძოლებში მონაწილეობდნენ ჩეჩენი, კაზაკი და ჩრდილოეთ ოსეთში შეკრებილი „მოხალისები“, რომელთა მობილიზება და ოფიციალური რეგისტრაცია მოსკოვმა ჯერ კიდევ საქართველოს საზღვრის გადმოლახვამდე მოახდინა და ბევრი მათგანი უკვე 3 აგვისტოსდან „ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის“ შემადგენლობას მიაწერა.[8] თუმცა, ამ ხალხს ყველაფერი ეთქმოდა, „მშვიდობიანის“ გარდა! სწორედ ისინი წარმოადგენდნენ იდეალურ შემსრულებლებს ეთნიკური წმენდის ჩასატარებლად, რაც ძალიან მალე განახორციელეს კიდეც. ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის სამხედრო უწყების გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ დაიბეჭდა სტატია 135-ე მოტომსროლელი პოლკის კაპიტნის შესახებ, რომელმაც აღიარა, რომ მისი ბატალიონი 7 აგვისტოს

უკვე სამხრეთ ოსეთში იმყოფებოდა, 8-ში კი ცხინვალში გადაისროლეს, სადაც კაპიტანი დაიჭრა კიდეც. როგორც ყოველთვის, აქაც *ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს* პრინციპი იჩენს თავს: მას მერე, რაც ამ სტატიამ გადაჭარბებული ყურადღება მიიპყრო, ჯერ ტექსტი შეცვალეს, მერე ოფიცერს ხელახლა ჩამოართვეს ინტერვიუ და ათქმევინეს, რომ მისი ნაწილი საქართველოში თურმე მხოლოდ 8 აგვისტოს შევიდა, საბოლოოდ კი რესპონდენტი საერთოდ გაქრა თვალთახედვიდან...[9]

მართალია, საქართველომ დე ფაქტო კონტროლი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველი დაპირისპირებისას დაკარგა,მაგრამ ოფიციალურად ეს რეგიონი მაინც საქართველოს სუვერენულ ტერიტორიად ითვლებოდა. რუსეთს უფლება მიეცა საქართველოში „სამშვიდობოთა“ შეზღუდული კონტინგენტი ჰყოლოდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტურ ზონებში, რასაც ცეცხლის შეწყვეტის ის შეთანხმებები გულისხმობდა, რომლებიც ეუთო-სა და გაერო-სთან იქნა მიღწეული გასული საუკუნის იმავე წლებში. ცხადია, რუსეთის ამ სამშვიდობო შენაერთების მოქმედების ხასიათი და აღჭურვილობაც მათი დანიშნულების შესაბამისი უნდა ყოფილიყო და თავადაც საგანგებო ხელმძღვანელობას დაქვემდებარებოდა. ამგვარი ძალების ნებისმიერი როტაცია თუ გაძლიერება წინასწარ, 30 დღით ადრე უნდა ყოფილიყო გაცხადებული. სინამდვილეში, მოსკოვი იმთავითვე არად აგდებდა დადგენილ წესებს – მისი ამ ძალების გადაადგილებაცა და გამსხვილებაც არსებული შეთანხმებების გვერდის ავლით ხდებოდა და, შესაბამისად, უკანონოც იყო.

სააკაშვილი 7 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში იღებდა დაზვერვის ცნობებს რუსული და სხვა ქვედანაყოფების როგორც როკის გვირაბის ჩრდილოეთით, ასევე ჯავის მახლობლად, *უგარდანტას* სამხედრო ბაზაზე თავმოყრის შესახებ. ეს ბაზა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ უნდა დახურულიყო, მაგრამ მოსკოვმა პირიქით – ერთი წლით ადრე განაახლა კიდეც და ახლა იქ გაცილებით მეტი სამხედრო ძალის განთავსება იყო შესაძლებელი. ცხადია, ამ ფაქტს დამთხვევად ვერ ჩავთვლით. უკვე ივლისის შუა რიცხვებში, საქართველოს დაზვერვამ დასავლეთის მეგობარი ქვეყნების შესაბამისი სამსახურებიდან მიიღო ინფორმაცია, რომ ჩრდილოეთ ოსეთში დამატებით განათავსეს რუსული მოიერიშე თვითმფრინავები. 7 აგვისტოს დილით კი ქართული მხარისათვის ცნობილი გახდა, რომ 4 თუ 5 აგვისტოს მოსკოვმა სამხედრო თვითმფრინავები ივანოვოს სამხედრო-საჰაერო ბაზიდან ჩრდილოეთ ოსეთში, მოზდოკის ბაზაზე გადააფრინა. მათ შორის იყო რუსული A50 – ჰაერიდან მართვის სპეციალური თვითმფრინავი, საიდანაც უშუალოდ შეიძლებოდა საქართველოს წინააღმდეგ საჰაერო ოპერაციების კოორდინირება.[10] გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ სევასტოპოლის ბაზიდან რამდენიმე დღით ადრე რუსეთის შავი ზღვის

ფლოტის ნაწილი გავიდა ზღვაში და მასშტაბური ოპერაციისათვის ემზადებოდა. ესეც იმის კიდევ ერთი დასტური გახლდათ, რომ რუსეთი საქართველოში შეჭრას აპირებდა.

ის დღე უაღრესად ქაოსური გამოდგა – ქართველები ცდილობდნენ გამოეცნოთ, კონკრეტულად რა ხდებოდა მათ ჩრდილო საზღვართან და – რა მიზნით. სახმელეთო ჯარების თავმოყრისა და ავიაციის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის ერთობლიობა დიდი საფრთხის მომასწავებელი ჩანდა. სააკაშვილისათვის უმთავრესი შეკითხვა ის იყო, ჩრდილოეთში თავმოყრილი რუსული სამხედრო ძალა იქვე დაიკავებდა პოზიციებს თუ – სამხრეთისაკენ, ცხინვალისაკენ დაიძვრებოდა; და თუ მეორე ვარაუდი გამართლდებოდა, შეადგენდა თუ არა რუსეთის მიზანს მხოლოდ ცხინვალის გარშემო საქართველოს კონტროლირებადი სოფლებისა და ტერიტორიის დაკავება, თუ კიდევ უფრო წაიწევდნენ წინ; იყო ეს სააკაშვილზე ზეგავლენის მოხდენის კიდევ ერთი მცდელობა, თუ რუსეთი მართლაც აპირებდა მეზობელ ქვეყანაში შეჭრას? ვითარებაში გასარკვევად, სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან ტელეფონით დაკავშირება რამდენჯერმე სცადა, მაგრამ მისი ზარები უპასუხოდ რჩებოდა.

რაც უფრო მეტი სამხედრო ძალა შემოდიოდა სამხრეთ ოსეთში, მით უფრო მძიმე ალტერნატივის წინაშე დგებოდა საქართველოს პრეზიდენტი: ბედს მინდობოდა თუ საპასუხო დარტყმაზე ეფიქრა. დასავლელი მოკავშირეები ჯიუტად არწმუნებდნენ – არავითარ შემთხვევაში რუსეთთან ბრძოლაში არ ჩაბმულიყო; მაგრამ რუსები წინ მოიწევდნენ და მათ გზაზე იყო არა მარტო დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები, არამედ თბილისის მიერ მხარდაჭერილი, სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული ხელისუფლების სამყოფელად ქცეული სოფ. ქურთაც. ამ სოფლებში არა მარტო საქართველოს ათასობით ის მოქალაქე ცხოვრობდა, რომელთა დაცვაც თბილისის მოვალეობა იყო, არამედ სწორედ ქურთა განიხილებოდა ქართული სტრატეგიის ქვაკუთხედად – იგი გულისხმობდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის საქართველოსაკენ შემობრუნებას ე.წ. „რბილი ძალის“ – მომხიბლავი არჩევანის – მეშვეობით. თუკი რუსული შენაერთები ამ სოფლებს დაუბრკოლებლად გამოივლიდნენ, ამას შეიძლებოდა სისხლიანი ეთნიკური წმენდის ახალი ტალღა მოჰყოლოდა და საბოლოოდ დაესამარებინა თბილისის სტრატეგია, რაც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას გულისხმობდა, ოღონდ – თბილისის პირობებით. მოვლენების ამგვარი განვითარება, სააკაშვილის რწმენით, ისეთი პოლიტიკური მარცხი იქნებოდა, რომ მის ხელისუფლებასაც თან გადაიყოლებდა.

თუმცა სააკაშვილს სხვა უფრო დიდი თავსატეხიც ჰქონდა: მას ყოველთვის სჯეროდა, და ღიადაც ეუბნებოდა ყველა უცხოელ სტუმარს (მათ შორის, ამ წიგნის ავტორსაც), რომ მისი აზრით, მხოლოდ სამხრეთ ოსეთის გამო მოსკოვი სამხედრო მოქმედებებს არასოდეს დაიწყებდა. ეს პაწაწინა ანკლავი

უბრალოდ, ბრდღვნად არ ღირდა. მისი გადასახედიდან, თუ მოსკოვი სამხრეთ ოსეთში შემოვიდოდა, ეს მხოლოდ უფრო ფართომასშტაბიანი საფრთხის მომასწავებელი იქნებოდა, საბოლოო მიზანი კი – თბილისის აღება. ცხინვალიდან სამხრეთით, მართლაც სწორი და პირდაპირი გზა იხსნება თბილისისაკენ; ამიტომაც პრეზიდენტს არ ასვენებდა კითხვა: შეჩერდებოდა რუსული სამხედრო ძალა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში თუ საქართველოს დედაქალაქისაკენ გააგრძელებდა გზას და თავად სააკაშვილზე დაიწყებდა ნადირობას. არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს, რომ კრემლი მის მოშორებას ნამდვილად ცდილობდა: კრემლის „ჯიბის ექსპერტები“ ტელეეკრანებიდან შეფარვით მისი მოკვლის შესაძლებლობებზეც კი მიანიშნებდნენ.[11] სააკაშვილის ხელისუფლების შესარყევად მოსკოვმა მანამდეც არაერთი ღია თუ ფარული პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯი გადადგა, ხოლო პუტინმა პირადად არაერთხელ გააფრთხილა სააკაშვილი: პროდასავლური კურსი მძიმე შედეგების მომტანი იქნება თქვენთვისო...

თუმცა, აგვისტომდე ვერანაირმა მუქარამ ვერ გაჭრა. არადა, სააკაშვილი მაინც მოუსვენრად იყო – საქართველო-რუსეთის ურთიერთობები სულ უფრო და უფრო იძაბებოდა ჯერ კიდევ გაზაფხულიდან, როცა მოსკოვმა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და თებერვალში ნატო-ს ბუქარესტის სამიტის პასუხად ზეწოლა გააძლიერა და ის ნაბიჯები გადადგა, რამაც საბოლოოდ, ორ სეპარატისტულ ანკლავში ე.წ. „მცოცავი ანექსიის“ სახე მიიღო. იმავდროულად, მოსკოვი ფარულად ემზადებოდა საომარი მოქმედებებისთვის და შესანიღბად, საკუთარი სამშვიდობოების მანდატს იყენებდა. სწორედ სამშვიდობოების ეგიდის გამოყენებით, არაკანონიერად ახდენდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, შეჰყავდა დამატებითი ძალები და სულ უფრო მეტ შეიარაღებას აწვდიდა სეპარატისტებს, რომლებიც მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი ოპერაციებისთვის ემზადებოდნენ. ამგვარ ქმედებათა მეტი წილი აფხაზეთში ხორციელდებოდა, სადაც დაძაბულობამ განსაკუთრებით იმატა გაზაფხულსა და ზაფხულში. დროდადრო მოსკოვს თითქოს სურდა კიდეც, თავი მოეწონებინა თამაშის წესების უგულებელყოფით – ასე მაგალითად, მას არაფერი გაუკეთებია დასავლური მედიისათვის იმის დასამალად, ზაფხულის დამდეგს უკანონოდ როგორ შეიყვანა დამატებითი ჯარი და შეიტანა შეიარაღება სეპარატისტულ რეგიონში.

ქართული მხარის აზრით, რუსეთის გეგმები სრულიად აშკარა იყო: მოსკოვი ამ ორი სადავო ანკლავის ნელ-ნელა, თანდათანობით, დე ფაქტო ანექსიას ეწეოდა და თან ამოწმებდა, რა რეაქცია ექნებოდა დასავლეთს – გაბედავდა თუ არა იგი თბილისის შეგულიანებას საპასუხო ქმედებების გასატარებლად. იმავე ქართული მხარის თვალსაზრისით, დასავლეთის საპასუხო პოლიტიკა უნიათო და გულსგარე გახლდათ: თბილისის მოკავშირეები ორივე მხარეს

„თავშეკავებისაკენ“ მოუწოდებდნენ და მუდმივად აფრთხილებდნენ სააკაშვილს – რუსეთთან ბრძოლაში კი არ ჩაბმულიყო, არამედ მხოლოდ დიპლომატიისათვის მიემართა ვითარების განსამუხტავად. ოღონდ ეგაა, რომ დიპლომატია რუსეთთან არ ჭრიდა და ვერანაირად ვერ უშლიდა ხელს მის ქმედებებს ხსენებულ რეგიონებში. საქართველომ კულუარული დიპლომატიის გატარებაც სცადა რუსეთთან, მაგრამ არც ამ მცდელობებს მოუტანია რაიმე შედეგი. თბილისის აზრით, დიპლომატიამ საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა, მოსკოვი საქართველოს ხელახალ დანაწევრებას ლამობდა და მალე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე თეორიულ განსჯა-საუბარს, შესაძლოა, სრულიად დაკარგვოდა აზრი. რუსეთი ფაქტობრივად ყველა წესსა და კანონს არღვევდა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალწინ; იმავდროულად, კუნთებსაც ათამაშებდა და სამხედრო ძალით აპირებდა საქართველოს დაჩოქებას, თუკი თბილისი მის შესაჩერებლად გამოიღებდა ხელს.

ამ რეგიონში, აგვისტოს თვე ყველა თვალსაზრისით ცხელი იყო ხოლმე: თითქოს რაღაც წეს-ჩვეულებადაც კი იქცა სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის ბოლო საარტილერიო ბათქა-ბუთქის ატეხა ივლისის მიწურულსა თუ აგვისტოს დასაწყისში – შემდგომი საზაფხულო „დაზავებების“ წინ. სცენარიც თითქოს მუდმივად მეორდებოდა: ზაფხულობით სამხრეთ ოსეთის მხარე სროლას ატეხდა, ქართველები უპასუხებდნენ, და მერე, ერთი-ორი დღის შემდეგ, რომელიმე მხარე – ჩვეულებრივ, ოღონდ არა ყოველთვის, საქართველო – ცეცხლს წყვეტდა ხოლმე. ერთადერთი გამონაკლისი 2004 წელი იყო, როცა ვითარება ქართულმა მხარემ დაძაბა და უკანაც მხოლოდ მას შემდეგ დაიხია, რაც მნიშვნელოვანი ზარალი ნახა. ეს გაკვეთილი თბილისს არ დავიწყებია და შემდგომში ბევრად უფრო ფრთხილად მოქმედებდა. 2007 წლის ზაფხულში ორმა რუსულმა თვითმფრინავმა სოფელ წითელუბანთან, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტური ზონის საზღვრის სიახლოვეს, ქართული სარადარო სისტემა დაბომბა. ერთ-ერთი გაშვებული რაკეტა არ აფეთქდა და, მოსკოვის ფიცი-მტკიცის მიუხედავად, დასავლელ ექსპერტებს მისი რუსული წარმოშობის დამტკიცება არ გასჭირვებიათ.

2008 წლის 29 ივლისს, როდესაც სროლები ისევ დაიწყო, ბევრმა დამკვირვებელმა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, თავდაპირველად ეს ყველაფერი უკვე ჩვეულ ამბად მიიჩნია, მაგრამ ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ იმ ზაფხულის მოვლენები გაცილებით შემაშფოთებელი უნდა ყოფილიყო. როდესაც იმ დღეს სამხრეთ ოსეთის გასამხედროებულმა ნაწილებმა ცეცხლი გაუხსნეს ქართულ პოზიციებსა და სოფლებს, ეს უფრო სისტემურ ხასიათს ატარებდა და შედეგებიც ბევრად უფრო სავალალო იყო. სროლა დაღამებამდე არ შეწყვეტილა. გამოყენებული იყო 100 და 120 მმ-იანი არტილერია, ანუ – ის გაცილებით უფრო მსხვილკალიბრიანი იარაღი, რომელიც კონფლიქ-

ტის ზონაში ოფიციალურად იყო აკრძალული და ადრე არც არასოდეს უხმარიათ. ეს იარაღი იქ თავისით ვერ გაჩნდებოდა – მხოლოდ რუსეთიდან შეიძლებოიდა შემოეტანათ. 4 აგვისტოს რუსული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა მარატ კულახმეტოვმა დაადასტურა ქართული სოფლების მიმართულებით სროლისას, არსებული შეთანხმებების თანახმად აკრძალული მსხვილკალიბრიანი საარტილერიო საშუალებების გამოყენება. მართალია, მან უარი თქვა დაესახელებინა სახელდობრ ვინ ისროდა, მაგრამ ქართული მხარისათვის მაინც ყველაფერი ნათელი იყო: საქართველოში უკვე მოსმენილი ჰქონდათ ის სატელეფონო საუბრები, საიდანაც დასტურდებოდა რუსული და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების თანამშრომლობა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ნაწილებთან, რაც ქართველების მიზანში ამოღებასა და შემდგომ ნებისმიერ მტკიცებულებათა უარყოფას გულისხმობდა.[12]

ცხადია, უფრო მძიმე არტილერიის გამოყენებას შედეგებიც მძიმე მოსდევს: ეუთო-ს 4 აგვისტოს ანგარიშში ნათქვამია, რომ 1 აგვისტოს შემდეგ გამართული ბრძოლები ყველაზე სასტიკი იყო ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. 29 ივლისიდან 7 აგვისტომდე დაიჭრა 6 ქართველი პოლიციელი, სამშვიდობო ქვედანაყოფების 11 ჯარისკაცი და 14 სამოქალაქო პირი. 2 ქართველი ჯარისკაცი უშუალოდ სროლის დროს დაიღუპა, კიდევ ორი კი, მიღებული ჭრილობებისაგან მოგვიანებით გარდაიცვალა. ორივე მხარეს მთელი სოფლები, ფაქტობრივად, დაიცალა, გარე სამყაროს მოწყდა ან სულაც განადგურდა. ქართული მხარის საპასუხო ქმედებებმაც მიაყენა გარკვეული ზარალი ოსურ ძალებს – ასე მაგალითად, 1 აგვისტოს საღამოს მოკლეს 6 მებრძოლი – მათგან ოთხი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა, ხოლო 13 – დაიჭრა (7 – იმავე სნაიპერების მიერ). როგორც ადრე, ამ შემთხვევაშიც გაერთიანებულმა სამშვიდობო ძალებმა, რუსეთის მეთაურობით, ბევრი არაფერი იღონეს მსგავს ინციდენტთა აღსაკვეთად, იმის მიუხედავად, რომ ქართული სმშვიდობო ძალები, ნომინალურად, რუსეთის დაქვემდებარებაში შედიოდნენ და მათ უსაფრთხოებაზეც სწორედ რუსეთი აგებდა პასუხს.

სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მხარე საკუთარ ტაქტიკას მიმართავდა, რაც მსოფლიოსთვის კარგადაა ცნობილი ახლო აღმოსავლეთის პრაქტიკიდან და ფარად მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყენებას გულისხმობს. ახლო აღმოსავლეთში ასეთ „ფარს" ხშირად იყენებენ ხოლმე პალესტინელი მეამბოხეები – ისრაელის მხრიდან შეტევების მოსაგერიებლად ან მათი იძულებისათვის, შემოაკვდეთ უდანაშაულო ადამიანები და ამგვარად გამოიწვიონ საერთაშორისო აღშფოთება. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, იმავე მიზნის მისაღწევად, ფარად უკვე რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალები და მათი პოზიციები გამოიყენეს: ისინი ქართულ სოფლებს ცეცხლს სწორედ რუსი სამშვიდობოების პოსტების

სიახლოვიდან უშენდნენ. ამით, ცხადია, ქართველების გამოწვევას ცდილობდნენ და თუკი ქართველებიც საპასუხო ცეცხლს გახსნიდნენ, უკვე დიდი ალბათობაც ჩნდებოდა, რომ რუსი ჯარისკაცებიც დაიღუპებოდნენ და, შესაბამისად, მოსკოვთან ფართომასშტაბიანი კონფლიქტიც გარდაუვალი გახდებოდა. ესეც იმის ერთი მაგალითია, როგორ იქცა სამშვიდობო პროცესი ამ რეგიონში სრულ ფარსად.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსური მხარის ეს მზაკვრობა მოსკოვთან შეუთანხმებელი ყოფილიყო: სამხრეთ ოსეთის მთავრობა, კონკრეტულად კი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები რუსეთის უშიშროების უშუალო დაქვემდებარებაში იყვნენ; ის კი არა, ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ათობით გავლენიანი წევრი ეთნიკურად რუსი გახლდათ – მათ შორის, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე... სამხრეთ ოსეთის ლიდერს, მოსკოვის მიერ ხელდასხმული ედუარდ კოკოითის ოფისსაც კრემლი პირდაპირი ხაზით უკავშირდებოდა ცხინვალში ანუ, ფაქტობრივად, რეგიონის ხელმძღვანელობაცა და იქ განვითარებული მოვლენებიც მთლიანად რუსეთის კონტროლქვეშ იყო; საკითხი მხოლოდ ისაა, მოსკოვსა თუ ზოგადად რუსეთში, პირადად ვინ „ჭრიდა კარტს“.[13]

4 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გრიგოლ ვაშაძე მანქანით გაემგზავრა სამხრეთ ოსეთის მიმართულებით და მოახერხა კიდეც ქართულ სოფელ ნულიმდე ჩასვლა. სოფელი მას თითქმის მთლიანად დანგრეული დახვდა, თბილისში დაბრუნდა და დიპლომატიური კორპუსის თანამშრომელთა იქ წაყვანას აპირებდა, რათა მათ საკუთარი თვალით ენახათ ყოველივე. მომდევნო დღეს, 5 აგვისტოს, საქართველოს ხელისუფლებამ თბილისში მყოფი მთელი დიპლომატიური კორპუსი მართლაც მიიწვია კონფლიქტურ რეგიონში. ევროკავშირის საგანგებო ოფისის ხელმძღვანელმა, პიტერ სემნებიმ ბრიუსელს აცნობა, რომ ნამდვილად არსებობდა სამხრეთ ოსეთის მხრიდან ქართული პოზიციებისაკენ საარტილერიო ცეცხლის წარმოების მტკიცებულება, მაგრამ, ამავე დროს, როგორც ჩანს, არც მეორე მხარე აკლებდა ხელს. ევროკავშირის დასკვნაში ნათქვამია: „ამ ეტაპზე, როგორც ჩანს [sic!] მხარეები დაინტერესებულნი არ არიან აწარმოონ ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება და მცირე, ლოკალური შეხლა-შემოხლით იფარგლებიან, რასაც შეიძლება მსხვერპლიც მოჰყვეს...“. ეუთო-ს მისიის თვალით დანახული რეალობა კი უფრო პესიმისტური და, სიმართლე ითქვას, ვითარებასთანაც უფრო ახლოა. იმ კვირის განმავლობაში ზედიზედ გაგზავნილი რამდენიმე ანგარიში, ფაქტობრივად, დიპლომატიური განგაშის ტოლფასია – ნათლად ჩანს, რაოდენ სახიფათო სახეს იძენდა რეგიონში მიმდინარე მოვლენები. თუმცა, განსაკუთრებული ინტერესი მაშინ არც არავის გამოუჩენია.

ხალხის ყურადღება პეკინის ოლიმპიადის გახსნისაკენ თუ მოახლოებული საზაფხულო შვებულებებისკენ იყო გადატანილი.

მაგრამ თბილისის შეშფოთების მიზეზი მხოლოდ ცეცხლის გაძლიერება არ გახლდათ: კოკოითის სეპარატისტულმა მთავრობამ რამდენიმე ისეთი ნაბიჯიც გადადგა, რაც სამხრეთ ოსეთის მხრიდან ომის წამოწყებისთვის მზადებას მოასწავებდა. ჯერ კიდევ 2 აგვისტოს სამხრეთ ოსეთმა საჯარო განცხადება გააკეთა ცხინვალიდან ქალებისა და ბავშვების ევაკუაციის თაობაზე; ახალი დაპირისპირების გაღვივებამდე, მომავალი საომარი მოქმედებების არეალში მცხოვრები მოსახლეობის დიდი უმრავლესობაც, ჩრდილოეთ ოსეთში იქნა გახიზნული. სახელმწიფოს მიერ მართულ სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ტელევიზიებში მოვლენათა გაშუქება მთელი კვირის განმავლობაში ისე ხდებოდა, რომ საქართველოსთან ჯახი უკვე გარდაუვალი ჩანდა. 7 აგვისტოს დილით, რუსეთისა და ადგილობრივი მედიის წინაშე გამოსულმა კოკოითმა ყველა გააფრთხილა: ჩვენი შენაერთები რეგიონს აქ მყოფი ქართული ძალებისა და ქართული სოფლების მოსახლეობასაგანაც „გაწმენდენ", თუკი საქართველოს შეიარაღებული ძალები უკან არ გაბრუნდებიანო.[14] სხვათა შორის, 2-დან 6 აგვისტომდე ცხინვალში თითქმის 50 რუსი ჟურნალისტი ჩავიდა,[15] რომლებიც წამყვან ტელეარხებს, რადიოსადგურებსა თუ გაზეთებს წარმოადგენდნენ – რაც, თავის მხრივ, რიგით ამბად ასევე ვერანაირად ჩაითვლებოდა.

აშკარად რაღაც მწიფდებოდა და ეს იმ დროს, როცა ქართული ხელმძღვანელობის მეტი წილი არდადეგებზე ქვეყნიდან იყო გასული იმ იმედით, გაზაფხულისა და ზაფხულის კრიზისის ყველაზე უარესმა ფაზამ უკვე გადაიარაო. ქვეყანაში არ იმყოფებოდა ქვეყნის თავდაცვის მინისტრი და მისი ორი მოადგილეც ასევე გასამგზავრებლად ემზადებოდა... საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნაც ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა დამაკმაყოფილებლად, რადგან ხელმძღვანელებს ბოლოს და ბოლოს უფლება მისცეს, რამდენიმე თვის სრული მობილიზაციის შემდეგ, ნაწილებისათვის ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. თავად სააკაშვილიც იტალიაში იმყოფებოდა, გამაჯანსაღებელ ცენტრში და ზედმეტი წონის პრობლემებს ებრძოდა; იქვე აპირებდა ოჯახთან ერთად ხანმოკლე შვებულების გატარებას, ვიდრე ოლიმპიადის გახსნაზე დასასწრებად პეკინს გადაფრინდებოდა. მხოლოდ მას მერე შეშფოთდა, როცა სასტუმროს ოთახში, ტელევიზორთან მჯდარი, მართვის პულტს ათამაშებდა ხელში და უცებ რუსულ არხებზე სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას გადააწყდა. გაოგნებულიც დარჩა რუსული მედიის აგრესიული ტონით, ეჭვებიც მოეძალა – დაუყოვნებლივ დაბრუნდა თბილისში და ვითარების სადავეების ხელში აღებას შეეცადა.

მოსკოვის მხრიდან არც პირველი იყო და არც მოულოდნელი – აფხაზი თუ ოსი სეპარატისტების გამოყენება თბილისის წონასწორობიდან გამოსაყვანად;

რუსული სტრატეგიის ამოსავალს სწორედ ეს შეადგენდა, ასე ცდილობდა მუდმივ გაურკვევლობაში ყოლოდა საქართველო და გარე სამნყაროსთვისაც ჯიუტად შეეხსენებინა, რამდენად არასტაბილური იყო ქვეყანა, რომელიც დასავლეთთან ინტეგრირებას ესწრაფვოდა. მოსკოვის ქმედება ასევე მიმართული იყო თბილისის გასაღიზიანებლად და იმ შეიარაღებულ პროვოკაციაში ჩასათრევად, რაც რეგიონში ძალადობის ახალ ტალღას გამოიწვევდა და სააკაშვილის, როგორც გაუწონასწორებელი, ჩხუბისთავი ლიდერის იმიჯს განამტკიცებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში დაძაბულობა უფრო აფხაზეთში შეინიშნებოდა, სადაც მოსკოვი და საქართველო ლამის ომის ზღვარზე იდგნენ და რუსულმა მედიამაც არაერთხელ ივარაუდა – ეს ომი გარდაუვალიაო, მაგრამ ივლისის შუა რიცხვებში კრიზისმა თითქოს გადაიარა კიდეც.

7 აგვისტოს საკუთარ კანცელარიაში მყოფი სააკაშვილი მიხვდა, რომ ნაადრევად დაიმშვიდა თავი, ახლა კი საგონებელში ჩავარდნილიყო: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები დამოკლეს მახვილივით ეკიდა მის თავზე და იმგვარი გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რაც ერთდროულად აშინებდა კიდეც და წლების განმავლობაში გარდუვალადაც მიაჩნდა. მართალია, ბევრი კეთილისმსურველი მრჩეველი და დასავლელი მეგობარი ურჩევდა – მიივიწყე გაყინული კონფლიქტების მნიშვნელობა, დააბრალე მათი დაკარგვა წინამორბედებს – მაგრამ სააკაშვილს მაინც მხურვალედ სჯეროდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა და ამ სეპარატისტული პროვინციების დაბრუნებას თავისი პოლიტიკური მანიფესტის უმნიშვნელოვანეს ნაწილად აცხადებდა. მას ვერც ის წარმოედგინა, როგორ შეინარჩუნებდა პრეზიდენტობას, თუკი ვერ მოახერხებდა ჯერ კიდევ ნომინალურად მისი კონტროლის ქვეშ მყოფ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეთა დაცვას ან მით უფრო – ერთხელ და სამუდამოდ თუ დაკარგავდა ამ ტერიტორიებს. ამგვარი *სტატუს კვოს* პირობებში ცხოვრება თავისთავად მძიმე გახლდათ, მით უფრო – იმ წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მოსკოვი ვითარებას სისტემატურად აუარესებდა სააკაშვილის საზიანოდ. ამიტომაც, ცდილობდა იგი მოსკოვის პოლიტიკის მიმართ დასავლელი მოკავშირეების გააქტიურებას, მათი მეტი ინტერესის გაღვივებას და მოსალოდნელი საფრთხის აცილებას, თუმცა, როგორც ვნახეთ, წარუმატებლად.

სააკაშვილმა ალბათ ყველაზე უკეთ იცოდა, რამდენად საძულველი იყო მოსკოვისთვის, კერძოდ კი, პირადად ვლადიმერ პუტინისათვის და რის სიმბოლოს განასახიერებდა მთელ რეგიონში. ბოლოს და ბოლოს, სწორედ თავად იყო რუსეთისა და კონკრეტულად პუტინის სამიზნე, რომელიც დაუფარავად იმუქრებოდა – რას დამართებდა სააკაშვილსაც და მთლიანად საქართველოსაც, თუკი მისი პრეზიდენტი პოლიტიკურ კურსს არ შეიცვლიდა. მართალია,

მისთვის ნაცნობი იყო მოსკოვის უხეში ტაქტიკა, მაგრამ მაინც გაოგნებული დარჩა იმით, რაც ახლა მის თვალწინ ხდებოდა. დიდი განსხვავება ჩანდა იმ ვითარებებს შორის, როცა რუსეთი სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ძალებს ქართული სოფლებისა და სამშვიდობოების დასაბომბად იყენებდა და ახლა, როცა საკუთარი არმიის გამოყენებით აპირებდა საქართველოში შემოჭრასა და ალბათ, ქვეყნის სრულ ოკუპაციასაც. ნუთუ პუტინმა ბოლოს და ბოლოს, მუქარის აღსრულება და საქართველოში რეჟიმის შეცვლა გადაწყვიტა?! ვითომ რუსეთი თბილისში მარშით შემოსვლასა და სააკაშვილის ხელისუფლების დამხობას აპირებდა? ან იქნებ ეს სწორედ ის ხაფანგი იყო, რის თაობაზეც ასე ხშირად აფრთხილებდნენ დასავლელი მეგობრები და რის თავიდან აცილებასაც დაბეჯითებით ურჩევდნენ...

სააკაშვილს ნამდვილად არ ჰქონდა იმის ილუზია, რუსეთთან ბრძოლაში ჩაბმის შემთხვევაში დასავლეთი საქართველოს სრულ სამხედრო დახმარებას გაუწევსო – მასზე უკეთ ვის ახსოვდა, რამდენჯერ და რა ნათლად განუმარტა ვაშინგტონმა – შენს გადასარჩენად ციდან ამერიკული კავალერია არ დაეშვებაო. აზრი არა აქვს იმაზე ტვინის ჭყლეტას, აუნთო თუ არა ვაშინგტონმა თბილისს მწვანე შუქი: არც ერთ ქართველ მაღალჩინოსანს არასოდეს უთქვამს, თითქოს ამერიკა ამას თუნდაც შეფარვით მიანიშნებდა; პირიქით – ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები მუდმივად აფრთხილებდნენ მსგავსი ქმედების უპერსპექტივობაზე. თუმცა არც ის დაუმალავთ, რომ თავის მხრივ, თბილისიც გაიძახოდა – არც ერთი ხელისუფლება არ მოითმენს მოსკოვის მხრიდან „წითელი ხაზების“ გადაკვეთას და ვერც იმას დაგპირდებით, მშვიდად ვუყურებთ ქვეყნის დანაწევრებასო.

პრობლემა სხვა რამ გახლდათ: არც ერთი მხარე ერთმანეთის ნათქვამს ყურს არ უგდებდა; დასავლეთისათვის მთავარი იყო საქართველოს რუსეთთან ომი არ გაემართა, საქართველოსთვის კი – უმოქმედოდ არ დარჩენილიყო, თუკი ხსენებული რეგიონების დაკარგვაზე მიდგებოდა საქმე. არადა, ეს ერთი და იგივე სულაც არ გახლდათ. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილი აფხაზეთის ტერიტორიის ძალზე მცირე ნაწილისა და სამხრეთ ოსეთის ნახევარზე ნაკლებს აკონტროლებდა, ის მაინც მუდმივად უმეორებდა ამერიკელ და ევროპელ კოლეგებს, რომ ეს ორი რეგიონი მისთვის ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობას იძენდა და შეუძლებელი იყო ათვლის რაიმე ისეთი წერტილის გამონახვა, რაც მათი სამუდამოდ დაკარგვის პერსპექტივას შექმნიდა. ეს იყო სწორედ დასავლეთის მიმართ საქართველოს გზავნილის უმთავრესი ნაწილი, მაგრამ დასავლეთი ამას ნაკლებად ითვალისწინებდა, ან, სულაც, ყურს უყრუებდა. მისი პასუხი ერთთავად იგივე იყო: ნუ ჩაერთვებით ბრძოლაში, რომელშიც დამარცხება, უბრალოდ, გარდაუვალიაო... ამგვარი გახლდათ ის ნაპრალი საქართველოსა და

დასავლეთს შორის, რასაც ახლა მოსკოვი მშვენივრად იყენებდა და სწორედ ამ ნაპრალში აგებდა კიდეც თავის ხაფანგს.

დადგა გადაწყვეტილების მიღების ჟამი და საქართველოს ლიდერმაც, ასე ვთქვათ, „წილი ყარა“: რჩევა ყურად არ იღო და ჩათვალა, რომ სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქეებისთვის შექმნილი საფრთხე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და, ასევე, მისი როგორც პოლიტიკური ფიგურის გადარჩენა ავალდებულებდა წინ აღდგომოდა მოვლენათა ამგვარ განვითარებას. უკვე ნაკლებად აეჭვებდა, რომ რუსეთი მის ქვეყანაზე გამოლაშქრებას აპირებდა – ამაზე მიუთითებდა იმ საბედისწერო საღამოს მიღებული დაზვერვის ცნობებიცა და მოსკოვთან მრავალწლიანი ურთიერთობების გამოცდილებაც. ამიტომ რისკის გაწევას და იმის დაშვებას, რომ რუსები და მათი სეპარატისტი მოკავშირეები ქართულ სოფლებსა და პოსტებს გადაჯეგავდნენ და სავარაუდოდ, თბილისშიც შემოვიდოდნენ, სააკაშვილმა ამჯობინა რუსეთისათვის ერთი სვლით დაესწრო: სჯეროდა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება ავალდებულებდა კიდეც, დაეცვა საკუთარი მოქალაქეები და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. სხვაგვარად მოქცევს უფლებას ის საკუთარ თავს ვერ აძლევდა.

გადაწყვეტილება არც ერთპიროვნული იყო და არც ნაუცბათევი. მას ხშირად ავტოკრატიულ მმართველად იხსენიებენ, თუმცა კი სააკაშვილს ადამიანებთან საკუთარი მიდგომა და გადაწყვეტილებების კოლექტიურად მიღების „არაფორმალური“ სტილი გამოარჩევდა – იგი მთელი დღის განმავლობაში ეთათბირებოდა ეროვნული უსაფრთხოების გუნდის წევრებს და 13:00 წუთზე უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაც მოიწვია სწრაფად ცვალებადი ვითარების თაობაზე მოსალაპარაკებლად. 7 აგვისტოს ამ სხდომას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ზურაბ ადეიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია. ამ დროს სააკაშვილთან დაახლოებული რამდენიმე წამყვანი ფიგურა კუთვნილი შვებულებით სარგებლობდა და ქვეყანაში არ იმყოფებოდა; მათ შორის – პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია. სხდომას ასევე არ ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი, ეკატერინე ტყეშელაშვილი და დაზვერვის შეფი – გელა ბეჟუაშვილი.

თათბირი წეროვანის სამთავრობო რეზიდენციაში გაიმართა – ზუსტად შუა გზაზე თბილისსა და გორს შორის, სადაც სულ ცოტა ხნით ადრე სააკაშვილმა დაჭრილი ქართველი პოლიციელები და სამშვიდობო ჯარების ჯარისკაცები მოინახულა იქაურ საავადმყოფოში. თათბირის მონაწილეები ადრეც არაერთხელ მსხდარან მრგვალ მაგიდასთან და ბევრჯერ უკამათიათ, რა უნდა

მოემოქმედათ ან რისგან უნდა შეეკავებინათ თავი იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი მართლაც განახორციელებდა სამხედრო მუქარას მათი ქვეყნის მიმართ. დღეს კი ეს მუქარა უკვე სავსებით რეალური ჩანდა. შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა. თავდაპირველად შინაგან საქმეთა მინისტრმა მერაბიშვილმა მოკლედ გააცნო დამსწრეთ დაზვერვის მიერ წინა საღამოს მიწოდებული ცნობები იმის თაობაზე, როგორ აკონტროლებდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალები როკის გვირაბს და როგორ მოძრაობდნენ მისი გავლით საქართველოს მიმართულებით. ზუსტად არავინ იცოდა, კონკრეტულად რა ძალა შემოვიდა ქვეყანაში, თუმცა კი ვარაუდობდნენ, რომ ლაპარაკი ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ბატალიონზე იყო.[16]

სააკაშვილმა შეკრებილებს ჰკითხა: მთელი ამ ახალი ფაქტორების – კონფლიქტის ზონაში მსხვილკალიბრიანი იარაღის გამოყენების, რუსეთის სახმელეთო და საჰაერო ძალების თავმოყრის, ჩრდილო კავკასიელი „მოხალისეების" შემოჭრისა და როკის გვირაბის გავლით წინა საღამოს რუსული ჯარის დამატებითი კონტინგენტის შემოყვანის გათვალისწინებით – ხომ არ ნიშნავდა ეს რუსეთის მხრიდან კიდევ ერთი ახალი წითელი ხაზის გადმოლახვას საქართველოს დაშინების მიზნით; ხარისხობრივად განსხვავდებოდა თუ არა ვითარება წარსული მოვლენებისაგან და ბოლოს ისიც იკითხა – დადგა თუ არა წუთი, როცა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, თავდაცვის მიზნით, აუცილებელი ნაბიჯები უნდა გადადგასო.

თათბირის თითოეული მონაწილე ერთსულოვანი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა ნამდვილად გადალახა წყალგამყოფი და საქართველოც თვისობრივად ახალი ვითარების წინაშე იდგა. საყოველთაო აზრით, ქვეყანას მცოცავი ანექსია ემუქრებოდა. საკითხავი ახლა ის იყო, თავად როგორ ემოქმედათ. შეხვედრის ბოლოს, მოულოდნელად თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილს დაურეკეს და რაღაც ისეთი უთხრეს, რომ სახეზე ფერი დაკარგა. კეზერაშვილმა დამსწრეთ სამშვიდობო კონტინგენტში მყოფი კიდევ ერთი ჯარისკაცის დაღუპვა ამცნო. სააკაშვილმა საჭიროების შემთხვევაში ქართული შეიარაღებული ძალების კონფლიქტის ზონის საზღვართან მიყვანის ბრძანება გასცა, ხოლო თავდაცვის მინისტრმა საყოველთაო მობილიზაციაც გამოაცხადა. დაახლოებით 18:00 საათზე ამ ძალებს უკვე მართლაც ებრძანათ კონფლიქტის ზონის საზღვრისკენ დაძვრა.

თუმცა, მოსკოვს შემოსევის გეგმა წუთი წუთზე ჰქონდა გათვლილი: საქართველო მზად არ იყო ფართომასშტაბიანი ოპერაციის ჩასატარებლად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე – იმავე წლის გაზაფხულზე, ქართული არმიის მობილიზაციისა და რუსეთთან შესაძლო დაპირისპირების ალბათობის მიუხედავად, თბილისის ყურადღება თითქმის მთლიანად აფხაზეთისკენ იყო მიმართული. იმ მიზეზთა გამო, რომელთაც უფრო მოგვიანებით განვიხილავთ,

არ არსებობდა არავითარი უახლესი სამოქმედო გეგმა სამხრეთ ოსეთში ქართული არმიის საომარი მოქმედებების თვალსაზრისით. გაზაფხულიდან მოყოლებული, ბევრი ქართული სამხედრო შენაერთი სრული მზადყოფნის რეჟიმში იმყოფებოდა, ომის დაწყების დროისათვის კი მათ მოდუნების უფლება მიეცათ და ბევრი ჯარისკაცი შვებულებაშიც კი გაუშვეს – რათა შინ ზაფხულის სასოფლო-სამეურნეო საქმეებისათვის მიეხედათ. რეალურად, აგვისტოს პირველ კვირაში თბილისის შეიარაღებული ძალების მზადყოფნის დონეც უკიდურესად დაბალი გახლდათ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია დასასვენებლად მიემგზავრებოდა და უკვე წყლის თხილამურებიც კი ჰქონდა მანქანაზე დამაგრებული, როცა ტელეფონით დაურეკეს და უბრძანეს გორში ჩასულიყო და საომარი გეგმა შეემუშავებინა. ანუ ოპერაციის გეგმები უახლოეს 24 საათში უნდა დასახულიყო. ომის დაწყების ჟამს თბილისის არცთუ მრავალრიცხოვანი სატანკო ქვედანაყოფების მნიშვნელოვანი ნაწილიც სარემონტოდ იდგა ფარეხებში და ბრძოლისთვის სრულიად მოუმზადებელი იყო.

ქართულ ძალებს ბრძოლისათვის განლაგებაც არახელსაყრელი ჰქონდათ: ჩვეულებრივ, გორში, ცხინვალიდან სულ რაღაც თხუთმეტიოდე კილომეტრში დაბანაკებული ელიტარული პირველი ქვეითი ბრიგადა იმხანად ერაყში იყო გადასროლილი. ცხადია, საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ შესაძლებელი კი იქნებოდა მისი უკან გამოხმობა, მაგრამ მაინც დაგვიანებით – საიმისოდ, ომში რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა. მეოთხე ქვეითი ბრიგადაც ერაყში გასამგზავრებლად ემზადებოდა, თავდაპირველად ვაშინგტონმა სენაკის მახლობლად დაბანაკებული მეორე ბრიგადა ითხოვა, მაგრამ უარი მიიღო, აფხაზეთის საზღვართან დაძაბული ვითარების გამო. მოკლედ, მხარეები ისევ მეოთხე ბრიგადაზე შეთანხმდნენ.

6 აგვისტოს საღამოს ამ ბრიგადის მეთაური, მაიორი გრიგოლ კალანდაძე მეგობარ-ნათესავებთან ერთად ტრადიციულ ქართულ სუფრას უჯდა; ცხადია, ლხინი და ცეკვა-სიმღერა დიდხანს გაგრძელდებოდა და ღვინოც ბევრი დაილეოდა. ასე რომ შესაძლოა, მეორე დილით მეთაური სრულ საბრძოლო ფორმაში ვერც ყოფილიყო.[17] არადა, სწორედ მეორე დღეს მიიღო ბრძანება – ბრიგადა ამერიკელების მიერ დაგეგმილი წინასაერაყო წვრთნებიდან მოეხსნა, გორისაკენ დაეძრა და რუსებთან საბრძოლველად განეწყო. 12 საათზე ნაკლები დრო ჰქონდა რეორგანიზაციისათვის და სამხრეთ ოსეთში შესაძლო ოპერაციისათვის მოსამზადებლად: შვებულებაში გასული ჯარისკაცები და ოფიცრები ნაწილში რომ დაებრუნებინა, ახლადშეძენილი ამერიკული M4 კარაბინები, რომელთა ვაზნების რაოდენობა შეზღუდული იყო, ძველი, რუსული კალაშნიკოვებით შეეცვალა (ამ მხრივ ტყვიების ნაკლებობა არ იგრძნობოდა) და მერე ბრიგადა სატვირთო ავტომობილებითა და რკინიგზით გორისაკენ გადაესროლა. სამი დღის შემდეგ კალანდაძე დაიჭრა, ორი ბატალიონის მეთაური დაეღუპა,

მთელი მეოთხე ბრიგადა კი რუსული ჯავშანტექნიკისა და ავიაციის გააფთრებული შემოტევების გამო იძულებული გახდა ცხინვალიდან გამოსულიყო. ვინდა როგორც არ უნდა შეაფასოს ქართული საბრძოლო ძალების მოქმედება, არც თავად ქვეყანა და არც მისი არმია სამხრეთ ოსეთში შეტევითი სამხედრო ოპერაციის წარმოებისათვის მზად არ იყო. არადა მოგვიანებით, მოსკოვის პროპაგანდა თბილისს სწორედაც რომ შეტევის დაწყებას უკიჟინებდა.

უშიშროების საბჭოსთან თათბირის პარალელურად სააკაშვილმა „უკანასკნელი იმედის" დიპლომატიურ სვლასაც მიმართა და ზეთისხილის რტო გაიწვდინა – ვინძლო სრულმასშტაბიანი ომი მაინც აეცილებინა თავიდან. იმავე 7 აგვისტოს მან თავისი მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, თემურ იაკობაშვილი ცხინვალში მიავლინა საგანგებო წარმომადგენელად, რათა პირდაპირი კავშირის დამყარება ეცადა რუსეთისა თუ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებათა წარმომადგენლებთან და რაიმე მაინც ეღონა.

იაკობაშვილი რამდენჯერმე შეეცადა თავის რუს და ოს კოლეგებს დაკავშირებოდა; სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას შეხვედრაზე პირდაპირ უთხრეს უარი; რაც შეეხება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენელს, იური პოპოვს, ის ჯერ იაკობაშვილთან ერთად ცხინვალში გამგზავრებას დათანხმდა, მაგრამ მოგვიანებით ავტომობილის საბურავის დაზიანება მოიმიზეზა და შეხვედრაც აღარ შედგა. როცა იაკობაშვილმა ჰკითხა – სათადარიგოს რატომ ვერ დააყენებთო, *ისიც დაშვებულიაო* – მიიღო პასუხად... მოკლედ, რუსებს არაფერზე ეტყობოდათ, რომ კრიზისის განმუხტვას ან, საერთოდ, ამ თემაზე საუბრის წამოწყებას ჩქარობდნენ. ამის მიუხედავად, იაკობაშვილი მაინც გაემგზავრა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქისაკენ. ერთადერთი რუსი, ვინც მასთან შეხვედრას დათანხმდა, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი კულახმეტოვი გახლდათ. სწორედ ის ხელმძღვანელობდა რეგიონში იმ რუსულ-ქართულ-ოსურ ქვედანაყოფებს, რომელთაც, წესით, იქ მშვიდობის შესანარჩუნებლად უნდა ეთანამშრომლათ (სხვათა შორის, დასავლელი დამკვირვებლებიცა და თავად ქართველებიც კულახმეტოვს, ზოგადად, პატიოსან პროფესიონალად ახასიათებდნენ).

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, იაკობაშვილს რუსი სამშვიდობოები დახვდნენ და ცხინვალის ჩრდილო გარეუბანში, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების შტაბამდეც მიაცილეს. აღსანიშნავია, რომ ამ ძალებს ორი შტაბი ჰქონდა: ერთი სწორედ ეს „ნიჟნი გოროდოკი" იყო, სადაც მთავარსარდალი იმყოფებოდა, მეორე კი, „ვერხნი გოროდოკად" წოდებული, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ცხინვალის შესასვლელთან, ზედ ქართული სასაზღვრო პოსტის სიახლოვეს, ამ ბოლო დრომდე პუტინის ვეებერთელა ბილბორდი იდგა – მართალია, აქაურობა იურიდიულად

საქართველოს სუვერენულ ტერიტორიად ითვლებოდა, მაგრამ სურათს ამგვარი წარწერა ამშვენებდა: „პუტინი – ჩვენი პრეზიდენტია!" ეს თავისთავად უკვე იმის ნათელი დადასტურება გახლდათ, რომ ქაღალდზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დადასტურების მიუხედავად, აქაურობის რეალური ბატონ-პატრონი მაინც სულ სხვა ვინმე იყო. ეს ბილბორდი მხოლოდ მას შემდეგ მოიხსნა, რაც პრეზიდენტის პოსტზე პუტინი მედვედევმა შეცვალა.

ცხინვალში შესული იაკობაშვილი ქუჩების სიცარიელემ გააოგნა: ქალაქი თითქოს ჩამკვდარიყო. სამხრეთ ოსეთის მხარის მიერ განხორციელებული ევაკუაციის შემდეგ, იქ დაახლოებით 3-4 ათასი ადამიანიღა იყო დარჩენილი.[18] იაკობაშვილი შტაბში მივიდა და გენერალთან ერთი ერთზე დაჯდა სასაუბროდ. კულახმეტოვმა კაბინეტში ჩამხშობი აპარატურა ჩართო, რათა მათი საუბარი საიდუმლოდ დარჩენილიყო. შემდგომ, იაკობაშვილის თქმით, კულახმეტოვმა გულწრფელად აღიარა, რომ სროლები ქართული მხარის მიმართულებით მართლაც რუსი სამშვიდობოების პოზიციების ახლომდებარე ტერიტორიებიდან ან უშუალოდ ამ პოზიციებიდანვე ხდებოდა, ანუ – სამხრეთ ოსური მხარე ნამდვილად იყენებდა ფარად რუს სამშვიდობოებს. თურმე ისიც უთქვამს, მე ამას ვერ აღვკვეთ, რადგან მე ისინი უკვე აღარც მემორჩილებიანო.

იაკობაშვილი სახტად დარჩა: რას ნიშნავდა რუსი გენერლის ეს სიტყვები – იმას, რომ უბრალოდ, ვერც სიტუაციას მართავდა, ვეღარც უშუალოდ მის დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილებს თუ იმას, რომ ამყამინდელი ქმედებები უფრო მაღალი თანამდებობის პირთა მიერ იმართებოდა? ასე იყო თუ ისე, საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანდა. იაკობაშვილი დარწმუნდა, რომ რუსი გენერალი კი ცდილობდა სიტუაცია მთლად არ გამოსულიყო კონტროლიდან, მაგრამ მისთვის ისიც ნათელი გახდა, რომ სროლების შეწყვეტა მასზე აღარ იყო დამოკიდებული. წამოსვლის წინ გენერალს ჰკითხა – თქვენი აზრით, როგორ შეიძლება შემდგომი გამწვავების თავიდან აცილებაო, რაზეც კულახმეტოვმა უპასუხა – ერთადერთი გამოსავალი ის იქნება, თუ ქართული მხარე ცეცხლის ცალმხრივად შეწვეტას გამოაცხადებს და რაც შეიძლება დიდხანს შეინახავს სიტყვასო. მისი თქმით ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა ერთდღიანი მაინც უნდა ყოფილიყო. იაკობაშვილს უპასუხია – დაპირებით ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ ყველაფერს ჩემს ხელმძღვანელობას მოვახსენებ და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთო.

სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, ადგილზე ვერ ისვენებდა. უშიშროების საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას, მობილურით სამჯერ სცადა ცხინვალში მყოფ იაკობაშვილთან დაკავშირებას. ცხინვალიდან გამოსულმა იაკობაშვილმაც მაშინვე თვითონ დაურეკა პრეზიდენტს და მოკლედ მოახსენა საქმის ვითარება. სააკაშვილმა ცეცხლის შეწყვეტის იდეა აიტაცა და თბილისში

დაბრუნებულმა იაკობაშვილმაც 18:40 გამართულ პრესკონფერენციაზე საჯაროდ განაცხადა ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის თაობაზე: ეს იყო ერთადერთი გზა, რითაც ქართველებს სამხრეთ ოსეთისათვის საკუთარი პოზიციის გაგებინება შეეძლოთ, რადგან ცხინვალი არათუ მოლაპარაკებაზე, დალაპარაკებაზეც კი ჯიუტად ამბობდა უარს. ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის გადაწყვეტილება უკვე თავად სააკაშვილმაც დაადასტურა – ნახევარი საათის შემდეგ გამართულ საკუთარ პრესკონფერენციაზე. სწორედ ამ დროს, საქართველოს შეიარაღებული ძალები უკვე კონფლიქტის ზონის საზღვართან იდგნენ და მოვლენების შემდგომ განვითარებას ელოდნენ.

დაახლოებით საღამოს 9 სთ-ზე იაკობაშვილი კანცელარიაში მივიდა საკაშვილის სანახავად. პრეზიდენტს სურდა მისი იმდღევანდელი ცხინვალში სტუმრობის ამბები ერთხელ კიდევ, გამოწვლილვით მოესმინა – იქნებ რუსების განზრახვა ამოეცნო. „ხომ გესმის, ყოველი წვრილმანიც კი მნიშვნელოვანია!" – უთხრა იაკობაშვილს. მერე დაინტერესდა, თავად იაკობაშვილს როგორი შთაბეჭდილება დარჩა ამ მოლაპარაკებების შემდეგ: ცრუობდა კულახმეტოვი თუ – არც ისე... ცდილობდა, რუსეთთან შეიარაღებული დაპირისპირება თავიდან აეცილებინა და ახლა გამოსავალს ეძებდა. იმედი ჰქონდა, თუკი ცეცხლის განუახლებლობა მოხერხდებოდა, მაშინ ეს ყველაფერი შემდგომში სამხრეთ ოსეთის ადგილობრივ სეპარატისტებს დაბრალდებოდათ. მაგრამ მთავარი კითხვაც სწორედ ეს გახლდათ – მოხერხდებოდა კი ცეცხლის შეწყვეტა და რას აპირებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული დამატებითი რუსული ძალები? თუკი ისინი სვლას განაგრძობდნენ, ცხინვალისკენ აიღებდნენ გეზს თუ თბილისისაკენ?

ცხრის ნახევარზე კანცელარიაში ტელეფონის ზარი გაისმა; პრეზიდენტთან შინაგან საქმეთა მინისტრმა, მერაბიშვილმა დარეკა და აცნობა, ქართული სოფლების დაბომბვა არ შეწყვეტილაო. „სროლით არ უპასუხოთ," – უთხრა სააკაშვილმა. დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე კი უკვე თავდაცვის მინისტრმა, კეზერაშვილმა დარეკა: მისი თქმით, კვლავაც ისროდნენ მიმდებარე ქართული სოფლების მიმართულებით, ქართული სამშვიდობო ძალების პოზიციებზეც დაიწყო შეტევა და რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი უკვე დაიჭრა და დაიღუპაო. მისივე თქმით, თუკი ქართულ შეიარაღებულ ძალებს საპასუხო ცეცხლის გახსნის უფლება არ მიეცემოდათ, ვერც დაჭრილებს გამოიყვანდნენ და მსხვერპლიც, სავარაუდოდ, გაცილებით მეტი იქნებოდა. სააკაშვილმა ამოიოხრა და კვლავ იგივე ბრძანება გასცა : „არ უპასუხოთ!"

დაახლოებით თორმეტის ნახევარზე ზარის ხმა ისევ გაისმა. იაკობაშვილის თქმით, ამჯერად პრეზიდენტს თურმე სახე მიტკალივით გაუფითრდა: აცნობეს, რომ არა მარტო ცეცხლი გაძლიერდა რამდენიმე ქართული სოფლისა და პოზიციის მიმართულებით, არამედ, დაზვერვის მონაცემებით, დამატებითი

რუსული ძალები როკის გვირაბში შემოვიდნენ და საზღვრის გადმოლახვის ბრძანებაც მიიღესო. ამავე დროს, ქართულმა სადამკვირვებლო საშუალებებმა ჯავიდან სამხრეთით, ცხინვალის მიმართულებით რუსული არმიის კოლონის მოძრაობა დააფიქსირეს. ქართული მხარის აზრით, ეს სწორედ ის რუსული შენაერთი იყო, რომელიც წინა საღამოს შემოვიდა როკის გვირაბით და ჯავის მახლობლად, რუსულ ბაზაზე განლაგდა. სააკაშვილისთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო: შემოსევა იწყებოდა! მან შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს, ზაზა გოგავას დაურეკა და ორი ბრძანება გასცა: შეეჩერებინათ ცხინვალისაკენ დაძრული და როკის გვირაბიდან გამომავალი რუსული კოლონები და ოსური მხარის საცეცხლე წერტილებიც გაენადგურებინათ. მერე ყურმილი დადო, მცირე ხანს შეიცადა, ისევ აკრიფა ნომერი და მესამე ბრძანებაც დაამატა: მინიუმუმამდე შეამცირეთ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლიო... შუაღამის დადგომას 25 წუთი აკლდა.[19]

მერე იაკობაშვილს გადახედა და უთხრა: „დაიწყო... როგორ გგონია, ისრაელის ბედი გველის თუ პალესტინის?“ ამ ნათქვამში გარკვეული იმედი გამოსჭვიოდა, რომ პატარა საქართველოს როგორღაც მაინც შეეძლო გამარჯვება რუსეთთან დავითისა და გოლიათის ამ ორთაბრძოლაში; ხოლო თუ მარცხი ელოდა, მაშინ ქვეყანას დაქუცმაცება და დამონება არ ასცდებოდა,ისევე როგორც მე-20 საუკუნის ოციან წლებში. ღამის 01:44 საათზე პრეზიდენტის ოფისში დაზვერვის ახალი ცნობა მოვიდა, რომლის თანახმადაც 58-ე არმიის შენაერთები უკვე ცხინვალში შედიოდნენ.[20] ეს ამბავი უკვე შემაშფოთებელზე მეტი იყო: ცხადი გახდა, რომ იმ წუთიდან სამხრეთ ოსეთის დედაქალაქისათვის იწყებოდა ბრძოლა. ამან საბოლოოდ დაადასტურა ქართული მხარის რწმენა, რომ ფართომასშტაბიანი რუსული აგრესიის გეგმა ამოქმედდა.

სააკაშვილის გადაწყვეტილება დღემდე საკამათოდ რჩება და მართალია, დასავლეთის ბევრმა ქვეყანამ შემდგომში ხაზგასმით გამოხატა საქართველოს მიმართ თანადგომა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გაუმართლებია საქართველოს ლიდერის გადაწყვეტილება ომში ჩაბმის თაობაზე. თვით უახლოესმა მოკავშირემ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც კი, როცა რუსეთის ქმედებებს „გადამეტებული“ უწოდა, იმავდროულად, სააკაშვილის ეს ნაბიჯიც „შეცდომად“[21] მონათლა. ზოგმა ამაში საქართველოს პრეზიდენტის ფიცხი და ფეთქებადი ხასიათის დადასტურება და იმის გამართლებაც დაინახა, რატომ იკავებდა ზოგადად დასავლეთი თავს მისი სრული მხარდაჭერისაგან – რათა თავადაც არ აღმოჩენილიყო რუსეთთან ასე ჰაიჰარად კონფლიქტში ჩათრეული. მოსკოვი, ცხადია, დღემდე ჯიუტად აცხადებს, რომ საქართველომ სამხედრო აგრესია განახორციელა, გენოციდის მოწყობა სცადა სამხრეთ ოსეთში და რუსეთიც იძულებული შეიქნა ეპასუხა, რათა დაეცვა თავისი სამშვიდობოებიცა და მოქალაქეებიც.[22]

და მაინც, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი სააკაშვილმა? თუკი ქართული მხარის მიერ იმდღევანდელი გადაწყვეტილებების მიღების მთელ პროცესს უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, რამდენიმე საკვანძო დასკვნაც შეიძლება გამოიკვეთოს: ჯერ ეს ერთი, როცა სააკაშვილმა რუსეთთან ომში ჩაბმა გადაწყვიტა, უკვე აღარავითარი ეჭვი არ იყო, რომ რუსული შეიარაღებული ძალები მის ქვეყანაში შემოდიოდნენ. მოსკოვმა მნიშვნელოვანი სამხედრო სამზადისი ჩაატარა და ქართული დაზვერვა მის მიერ საზღვრის გადმოლახვასა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სოფლების მოსახლეობისათვის რეალური საფრთხის არსებობასაც უდასტურებდა. გარდაუვალი საფრთხის ეს განცდა კიდევ უფრო ძლიერდებოდა იმის შეგნებით, რომ მოსკოვთან დაძაბული ურთიერთობა კარგა ხანია არსებობდა და თანდათანობით კრიტიკულ ნიშნულს აღწევდა. იმ საბედისწერო დღეს, ტაქტიკური თვალსაზრისით, საქართველო მოუმზადებელი აღმოჩნდა, მაგრამ რუსეთის შემოჭრა თავისთავად მოულოდნელი ვერაფრით იქნებოდა – პირიქით, წლების განმავლობაში ომის შესაძლებლობა მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა ქვეყანას – თბილისსა და მოსკოვს შორის რაღაც ცივი ომის მაგვარ პირობებში – როცა რუსეთი ერთთავად საქართველოს ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრას ცდილობდა და როგორც პუტინთან, ისე მედვედევთან შეხვედრების მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტი თვალნათლივ ხედავდა, გაზაფხულიდან დაწყებული, როგორ ხორციელდებოდა ე.წ. მცოცავი ანექსია მის ქვეყანაში. აგვისტოს ომი გაუგებარი დარჩება, თუკი, ასე ვთქვათ, წინარე ისტორიასაც არ გავითვალისწინებთ: ანუ რუსეთის მხრიდან განხორციელებულ წნეხს, საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის არაერთ მცდელობასა და იმ პროვოკაციებსა თუ მუქარებს, რამაც საქართველოს ხელმძღვანელობას წონასწორობა დააკარგვინა.

აგვისტოს პირველ კვირაში ქართული სოფლებისა და პოზიციების მიმართულებით ცეცხლის გაძლიერება დაძაბულობის იმგვარ აღმასვლაზე მიუთითებდა, რასაც 2004 წლის შემდეგ ადგილი არ ჰქონია. სროლების პარალელურად, სეპარატისტები ისეთ რიტორიკასა და ქმედებებსაც მიმართავდნენ, რაც ცხინვალის ომის გზით წასვლის სურვილს ადასტურებდა. ქართული დაზვერვა თვეების განმავლობაში იუწყებოდა, როგორ შეჰქონდა მოსკოვს რეგიონში დამატებითი აღჭურვილობა, კონფლიქტის ზონაში ახალ ინფრასტრუქტურას ქმნიდა, ახდენდა ძალების გადაჯგუფებას და სხვა ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რაც დაპირისპირებისთვის მზადების უტყუარი ნიშანი გახლდათ. მართალია, რუსეთის სამხედრო სწავლებები საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან წინა წლებშიც მიმდინარეობდა, მაგრამ იმ წლის მანევრები სინამდვილეში, საქართველოში შემოჭრისათვის მზადებას უფრო წააგავდა. საფრთხის მაუწყებლად ჩანდა ავიაციის დისლოკაციის შეცვლა და საქართველოს საზღვრებთან მათი უფრო ახლოს თავმოყრაც. მოახლოებულ შეტევაზე დაზვერვის

სხვა მონაცემებიც მიანიშნებდა: როგორ აიღეს რუსულმა შენაერთებმა კონტროლი როკის გვირაბზე, როგორ გამოიარეს ეს გვირაბი ჯერ არარეგულარულმა, შემდეგ კი რეგულარულმა ნაწილებმა და როგორ დაიძრა რუსული კოლონა ჯავიდან – სამხრეთისაკენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ომის დაწყების წინა დღესაც კი, სულ უკანასკნელი ცნობებიც არ იყო ბოლომდე უტყუარი, და საერთოდ, ვითარება სრულიად ქაოსური ჩანდა. „ომის ბურუსი" დგებოდა. ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ დაზვერვის საქმე ქართველებს მთლად რიგზე ვერ ჰქონდათ დაყენებული: ზუსტად რა რაოდენობით და რა შეფარდებით მონაწილეობდნენ ამ ოპერაციაში რუსეთის, ჩრდილო ოსეთის, ჩეჩნეთისა თუ სხვა ძალები, ბოლომდე არც მაშინ იყო გარკვეული და არც ახლაა. ნათელი მხოლოდ ის იყო, რომ მათი გადაადგილებები არსებული შეთანხმებებისა და საქართველოს სუვერენიტეტის აშკარა ხელყოფა გახლდათ. ეს იყო პირდაპირი მუქარა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული სოფლებისა თუ სამშვიდობო პოზიციებისათვის და შესაძლოა, საკუთრივ საქართველოს ხელისუფლებისთვისაც კი – ქვეყანაში რეჟიმის შეცვლის თაობაზე რუსეთის მოწოდებებს თუ გავიხსენებთ. საფრთხის განცდას თბილისს ისიც უმძაფრებდა, რომ არც მოსკოვმა და არც ცხინვალმა სააკაშვილის მხრიდან ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტას არანაირად არ უპასუხა; მათ არც რაიმე სახის მოლაპარაკებაზე წამოსვლის სურვილი გამოუხატავთ: აშკარად ჩანდა – მოსკოვს ვითარების განმუხტვა საერთოდ არ აწყობდა.

პირიქით – რუსეთმა კუთხეში მოიმწყვდია სააკაშვილი და, როგორც ჩანს, რეგიონში ახალ-ახალი თავსატეხების გაჩენით თბილისზე ზეწოლის გაძლიერებასაც აპირებდა. ეს ფაქტობრივად, უკვე ულტიმატუმი იყო მოსკოვის მხრიდან. სააკაშვილს ისღა დარჩენოდა ან რუსეთის სამხედრო უპირატესობა უსიტყვოდ ეცნო, ბედს შეგუებოდა და სამუდამოდ დაეკარგა სეპარატისტული რეგიონები, ან იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და საკუთარი სამშვიდობო კონტინგენტის დასაცავად, იმთავითვე უთანაბრო ბრძოლაში ჩაბმულიყო, ოღონდ იმ იმედით, რომ საპასუხო სამხედრო ძალის გამოვლენა რუსებს გეგმაზე ხელს ააღებინებდა ან დასავლეთს დარაზმავდა და დიპლომატიური ჩარევის გზით მაინც გადაარჩენდა დამხობას. მისი აზრით, თავად სწორედ ამგვარი არჩევანის წინაშე იდგა 7 აგვისტოს იმ საბედისწერო საღამოს.

მაგრამ ეს განწირულის არჩევანი გახლდათ. რუსეთს, რა თქმა უნდა, ნებისმიერ ომში შეეძლო საქართველოს განადგურება, მაგრამ სააკაშვილს საჯაროდ ჰქონდა დაფიცებული საკუთარი მოქალაქეების დაცვაცა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაც. როგორც ადრევე ვთქვი, მას არ სჯეროდა, რომ საკუთარ პოლიტიკურ მდგომარეობას შეინარჩუნებდა, თუკი ხელს არ გამოიღებდა საფრთხეში ჩავარდნილი ათასობით თანამემამულის დასაცავად. იმასაც შიშობდა, ეს თანდათანობითი დაპყრობა „მხოლოდ" სამხრეთ ოსეთის

ტერიტორიის დაკავებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ მისი ხელისუფლების შეცვლასა და ქართული დემოკრატიული ექსპერიმენტის დასამარებასაც. ამიტომაც არჩია საპასუხო დარტყმის ტაქტიკა. მისი ანგარიშით, დრო უნდა მოეგო, რათა საერთაშორისო თანამეგობრობა – პირველ რიგში აშშ და ევროპა გამოფხიზლებულიყო და მისი ქვეყნის დასაცავად დარაზმულიყო. შეიძლება ეს გადაწყვეტილება შეცდომადაც მივიჩნიოთ, მაგრამ არა – აუხსნელად.

ბევრ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით დღემდე აზრთა დიდი სხვადასხვაობაა: უპირველესი და უმთავრესი კითხვაა – რა მიზანი ამოძრავებდა საქართველოს ამ ომში ჩართვისას? აზრთა სხვადასხვაობას აჩენს ბრიგადის გენერლის, ქართული სამშვიდობო კონტინგენტის მთავარსარდლის, მამუკა ყურაშვილის განცხადება – 7 აგვისტოს საღამოს ტელევიზიით სწორედ მან განაცხადა, რომ თბილისი მიზნად ისახავდა „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას მთელს რეგიონში“. მისი ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული მხარე არსებითად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საკუთარი იურისდიქციის აღდგენას ლამობდა. თუმცა, ეს იყო საბრძოლო გენერლის სიტყვები, რომელმაც მიკროფონში საუბრისას აზრი იქნებ მთლად სწორად ვერც ჩამოაყალიბა. ეს განცხადება არამცთუ არაოფიციალური გახლდათ, იმჟამად ყურაშვილმა ხეირიანად არც კი იცოდა, რას გეგმავდა თბილისი ან როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს თავდაცვითი ქმედებები, რისი აუცილებლობაც მხოლოდ წინა დღით დადგა დღის წესრიგში. და მაინც, მისი ნათქვამი საზოგადოებასთან ურთიერთობის მხრივ სრული უგუნურება იყო. ეს სიტყვები მერე მთელ მსოფლიოს მოედო და საქართველოს მეგობრებიცა და მოკავშირეებიც, პირდაპირ რომ ითქვას, დაზაფრა.

სააკაშვილის რეალური ამოცანები მის მიერვე გაცემულ ბრძანებებში ისახება: ეს ბრძანებები არ გულისხმობდა სამხრეთ ოსეთის *დაპყრობას* – ქართულ შეიარაღებულ ძალებს ებრძანათ ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე განეხორციელებინათ მცირემასშტაბიანი თავდაცვითი ოპერაციები, რათა დაეცვათ საფრთხეში ჩავარდნილი ქართული სოფლები და ჩრდილოეთიდან რუსების შემოსვლა შეეჩერებინათ. სხვა შემთხვევაში მათ განსხვავებული სამოქმედო გეგმა ექნებოდათ და არა ის, რის განხორციელებასაც ცდილობდნენ. ქართული მხარის სტრატეგია – კრიტიკოსებმა იქნებ მას ილუზორულიც უწოდონ – საკუთარი მოქალაქეების დაცვა იყო იმ იმედით, რომ ძალისა და საბრძოლო მზადყოფნის გამოვლენის შემთხვევაში, შემდგომი ესკალაცია თავიდან იქნებოდა აცილებული.

საქართველოს ამგვარი სამხედრო მიზნების დადასტურებად შეიძლება გამოდგეს მისი შეიარაღებული ძალების ფოკუსირება გუფთას ხიდზე: ეს ხიდი ჯავიდან სამხრეთით და ქართველებით დასახლებული პირველი სოფლიდან ჩრდილოეთით მდებარეობს. ხიდიდან სამხრეთით მთავარი შემოვლითი გზები

გადის ცხინვალისაკენ და თუკი ქართული გეგმა მთელი სამხრეთ ოსეთის დაკავებას გულისხმობდა, მაშინ ამ ხიდის აღება და შენარჩუნება გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო, რათა ქართულ შეიარაღებულ ძალებს ჩრდილოეთისაკენ გასავლელი ჰქონოდათ, თუკი რეგიონის სრულ ოკუპაციას ისახავდნენ მიზნად. არადა, საქართველოს სამოქმედო სამხედრო გეგმის თანახმად, მიზანი ხიდის დანგრევა გახლდათ – სწორედ იმიტომ, რომ თავდაცვით ოპერაციებს ახორციელებდნენ და ამოცანად ცხინვალის ჩრდილოეთით ქართული სოფლების დაცვა და ჯავიდან ცხინვალისაკენ რუსული ძალების გადაადგილების აღკვეთა ჰქონდათ დასახული. ქართველებმა სამჯერ მიიტანეს იერიში ხიდზე, მისი ბოლომდე დანგრევა მაინც ვერ მოახერხეს და უმთავრესად ამან განსაზღვრა კიდეც ბრძოლის ბედი. 8 აგვისტოს, რუსებმა დაზიანებული ხიდის აღდგენა სულ რამდენიმე საათში მოახერხეს და სწორედ ამ ხიდის გავლით, მალევე დიდი ძალებით დაიძრნენ ცხინვალისაკენ.[23]

საბრძოლო ამოცანების ამგვარი შემოსაზღვრა დიპლომატიაშიც აისახა: ომის დაწყებიდან სულ მცირე ხანში, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა საჩქაროდ წარმოადგინა ცეცხლის შეწყვეტის სამპუნქტიანი პაკეტი. მისი გეგმა გულისხმობდა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას; რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების დაბრუნებას 6 აგვისტოს პოზიციებზე; სამხრეთ ოსეთში ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანას და იქ ახალი არჩევნების ჩატარებას. ეს ის დრო იყო, როცა ქართული შენაერთები ჯერ კიდევ საკუთარ პოზიციებს ინარჩუნებდნენ და ცხინვალის უმეტეს ნაწილსაც აკონტროლებდნენ. სწორედ ეს გეგმა იქცა რაისისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის შეხვედრის მთავარ თემად. სააკაშვილი არსებითად დათანხმდა ამ პაკეტის პირობებს, ოღონდ განსაკუთრებული კატეგორიულობით ითხოვდა კოკოითის ხელისუფლების გადადგომას და ახალი არჩევნების ჩატარებას მთელ რეგიონში. თუმცა ეს ყველაფერი მალევე ფუჭი დავის საგნად იქცა, რაკიღა მოსკოვმა სამხედრო კამპანია გააააქტიურა და უკვე ნათელიც გახდა, რამდენად ფართომასშტაბიან და ამბიციურ სამხედრო მიზნებს ისახავდა რუსეთის მხარე. მაგრამ ეს ფაქტები, თავისთავად, იმაზეც მიუთითებს, რომ სააკაშვილის პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები ქართული სოფლებისა და ქართველი სამშვიდობოების პოზიციების დაცვით შემოიფარგლებოდა.

ქართული შეიარაღებული ძალების სვლა ცხინვალისაკენ განპირობებული იყო როგორც ტაქტიკური სამხედრო მოსაზრებებით, ისე პოლიტიკური მიზნებითაც: სამხრეთ ოსეთის მხარის არტილერიაცა და ქვეითი შენაერთებიც უმთავრესად სწორედ ამ ქალაქში იყო თავმოყრილი. ასევე, ცხინვალის გავლით სვლა უმოკლესი საშუალება იყო ქალაქის ჩრდილოეთით დარჩენილი ქართული სოფლებისაკენ. სააკაშვილმა თავის შენაერთებს დერეფნების შექმნა

უბრძანა – აუცილებლობის შემთხვევაში, მშვიდობიანი მოსახლეობის გამოსაყვანად. ცხადია, ქართული შეიარაღებული ძალები ცხინვალს ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვის მქონე სამიზნედაც განიხილავდენ და მართალია დროებით, მაგრამ დიდი აღტკინებით კი გაანთავისუფლეს ქალაქი, რომელსაც მტრული, სეპარატისტული ხელისუფლების საყრდენად მიიჩნევდნენ. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, გორის ადგილობრივი ხელისუფლება ცხინვალში გამარჯვების აღლუმის გამართვასაც კი აპირებდა და საზეიმო ცერემონიალისათვის განკუთვნილი კათედრებით, წითელი ხალიჩებითა და საქართველოსა თუ სამხრეთ ოსეთის დროშებით დატვირთული ორი საბარგო მანქანა გაემზადებინა...

არც ერთი ხსენებული არგუმენტი მაინც არ გამოდგება იმ ამოსავალი დებულების უარსაყოფად, რომ საქართველო ისეთ ომში ჩაება, რომლისთვისაც მზად არ იყო, გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა და, ზოგადად, მისი სამხედრო მიზნები უაღრესად შეზღუდული გახლდათ – როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რატომ ვერ გაართვეს საქმეს თავი ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, ისაა, რომ რეგიონში ბრძოლა არც იგეგმებოდა – მით უმეტეს, რუსეთის არმიის წინააღმდეგ. სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ უკანასკნელ წუთს ნაჩქარევად და ჰაიჰარად შედგენილი გეგმა ალბათ იმის ყველაზე მკაფიო დადასტურებაა, რომ სამხრეთ ოსეთში შეჭრის გრძელვადიანი გათვლა მათ არც არასოდეს ჰქონიათ.

ნატო-საკენ საქართველოს სწრაფვის ერთ-ერთი პარადოქსი ის გახლავთ, რომ თუკი ეს თანამშრომლობა უფრო თანამედროვე შეიარაღებული ძალების შექმნის წინაპირობას იძლეოდა, მეორე მხრივ – ალიანსის დოქტრინა ავალდებულებდა თბილისს ნაკლები აქცენტები გაეკეთებინა სავარაუდო საფრთხეზე რუსეთის მხრიდან, ძირითადი ყურადღება გადაეტანა ალიანსის პრიორიტეტებზე ანტიტერორისტული და სამშვიდობო ოპერაციების მიმართულებით, თანხები და ძალისხმევა კი ტერიტორიული თავდაცვის საშუალებებზე აღარ დაეხარჯა. საქართველო ასეც იქცეოდა, რათა ნატო-სთან დაახლოების შესაძლებლობა ხელიდან არ გაეშვა, მაგრამ ბედის ირონიაც ისაა, რომ საბოლოო ჯამში ამ ქვეყანამ ვერც ნატო-სთან ეს სასურველი მჭიდრო ურთიერთობა შეინარჩუნა და 2008 წლის აგვისტოში ვერც სამხედრო თვალსაზრისით აღმოჩნდა მომზადებული მტერთან ერთი ერთზე გასამკლავებლად.

აი, რუსეთის ზრახვები და მოქმედებათა ლოგიკა, კი გაცილებით ბუნდოვანია. თავდაპირველად ოფიციალურმა მოსკოვმა ომში ჩარევა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ქართველთა მხრიდან შესაძლო „გენოციდის“ აღსაკვეთად გადაწყვიტა; რუსეთის ხელისუფლება და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტი ლიდერები აცხადებდნენ, რომ ომის პირველივე საათებში ცხინვალში 2000-მდე ოსი დაიღუპა.[24] სწორედ მსგავსმა განცხადებებმა განაპირობა შემდგომში

ქართველთა ეთნიკური წმენდა და ხოცვა-ჟლეტა.[25] თუმცა ეს განცხადებები სრული სიყალბე აღმოჩნდა და ეს მოგვიანებით ევროკავშირის ე.წ. „ტალიავინის დასკვნამაც" დაადასტურა. 2008 წლის დეკემბერში კი რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამომძიებო კომისიის მონაცემები გამოქვეყნდა, რომელთა თანახმადაც სამხრეთ ოსეთში მთლიანად 162 იქაური მოქალაქე დაიღუპა. რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაცია *მემორიალმა* იგივე ციფრი დაასახელა, თუმცა თავადვე აღნიშნა, რომ სანდო და სარწმუნო სიის მოპოვება ვერ შეძლო. სამხრეთ ოსეთის მხარე აცხადებს, რომ ომმა მისი 350 მოქალაქე შეიწირა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან არაა გამიჯნული სამხედრო და სამოქალაქო პირები, და ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი პიროვნება სულ სხვა დროს და სხვა მიზეზითაა დაღუპული. ქართული მხარის მსხვერპლმა, ოფიციალური მონაცემებით, 412 ადამიანი შეადგინა; მათგან 184 სამხედრო და პოლიციელია; რუსეთმა კი, მისივე თქმით, ამ ომში 67 ჯარისკაცი დაკარგა.[26]

საბრძოლო მოქმედებების დაწყების კიდევ ერთ ოფიციალურ მიზეზად მოსკოვმა სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების დაცვა დაასახელა. არანაირად არ ვაპირებ ომში დაღუპულთა ტრაგედიის დაკნინებას, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის მოქალაქეების „დიასპორა" სამხრეთ ოსეთში ძირითადად, თავად მოსკოვის მიერვე იყო ხელოვნურად შექმნილი ათასობით იმ ადამიანისათვის რუსული პასპორტების ჩამორიგებით, ვინც ოფიციალურად საქართველოს ტერიტორიად აღიარებულ რეგიონში ცხოვრობდა და ამან მოსკოვს უფლება მისცა, „საკუთარი მოაქალაქეების" დაცვის აუცილებლობაზე ელაპარაკა. იმავე ტალიავინის დასკვნის თანახმად მოსკოვის ე.წ. „პასპორტიზაციის პოლიტიკა" იმთავითვე უკანონო გახლდათ, პირდაპირ ემუქრებოდა საქართველოს სუვერენიტეტს და მის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის მაგალითს წარმოადგენდა.

არაერთი დამკვირვებელი დამეთანხმება, რომ მსგავსი პოლიტიკა ზედმიწევნით წააგავს იმას, რაც ფაშისტურმა გერმანიამ მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, სუდეტებში გამოიყენა, როცა გერმანული დიასპორა ამ რეგიონის გერმანიასთან შეერთების საბაბად აქცია და შემდეგ ჩეხოსლოვაკიის დანაწევრებაც იმით გაამართლა, ვითომ ეთნიკური გერმანელები უნდა დაეცვა პრაღის ხელისუფლების თავნებობისაგან. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური მოქალაქეების დაცვაზე საუბარი სლობოდან მილოშევიჩის ზოგიერთ იმ ცინიკურ განცხადებასაც ეხმიანება, რითაც ეს უკანასკნელი ბალკანეთში ატეხილი ომების გამართლებას ცდილობდა. როგორც შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კარლ ბილდტმა ერთ ოფიცალურ განცხადებაში აღნიშნა:

არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სამხედრო ძალით შეიჭრას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმიტომ, რომ იქ მისი

პასპორტის მქონე პირები სახლობენ ან ეთნიკურად მისი ეროვნებისანი არიან. ამგვარი დოქტრინის გამოყენების მცდელობებმა ადრეც ჩაითრია ევროპა ომში, და სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი მასზე ერთხელ და სამუდამოდ უარის თქმა. იგივე დოქტრინა თანაბრად სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ვითარებებშიც... ჩვენ დავგმეთ მილოშევიჩის სერბეთის მიერ ყოფილი იუგოსლავიის სხვა ქვეყნებში სერბეთის პასპორტის მქონე ადამიანების დაცვის მოტივით შეჭრა, და ჩვენ ასევე უნდა გვახსოვდეს ამ 70-ოდე წლის წინ როგორ გამოიყენა სწორედ ეს დოქტრინა ჰიტლერმაც – ცენტრალური ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაპყრობად![27]

მაგრამ პოლიტიკურად ალბათ ყველაზე წონადი მაინც მოსკოვის მესამე არგუმენტი გახლდათ – სწორედ ის, რაზეც რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა გაამახვილა ყურადღება როგორც პრეზიდენტ ბუშთან, ასევე სხვა დასავლელ ლიდერებთან საუბრისას: რუსი სამშვიდობოების დაღუპვის ფაქტი. ამ მესამე საბაბმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთში და გაამძაფრა იმის განცდა, რომ სააკაშვილმა უგუნური ნაბიჯი გადადგა და რუსეთს პასუხის გაცემის კანონიერი უფლებაც მისცა. საქართველოს მხრიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების პოსტებზე განხორციელებული იერიში ასევე დაგმობილია ტალიავინის დასკვნაშიც. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 8 აგვისტოს, გამთენიისას, სამშვიდობო ძალების 2 ჯარისკაცი დაიღუპა, კონფლიქტის მსვლელობისას კი – 15 რუსი სამშვიდობო, ხოლო 49 – დაიჭრა. თუმცა გარკვეული კითხვები ამასთან დაკავშირებითაც ჩნდება.

რეალობა ისაა, რომ ხსენებულ სამშვიდობო ძალებს უკვე კარგა ხანია ნეიტრალური აღარ ეთქმოდა და ვერც მშვიდობისმყოფელებად ჩაითვლებოდნენ – ამ ცნების საყოველთაო გაგებით. მათ არ აღკვეთეს სამხრეთ ოსეთის მხარის მიერ განხორციელებული სროლები ქართული სოფლებისა თუ სამშვიდობოების მიმართ და ხშირ შემთხვევაში არათუ უმოქმედობას იჩენდნენ, საკუთარ პოზიციებსაც უთმობდნენ ოსებს ცეცხლის გასახსნელად ანუ მსგავსი ქმედებების განხორციელებისას ოსურ შეიარაღებულ ძალებს ფარადაც კი უდგებოდნენ ხოლმე. რუსი სამშვიდობოები უკვე აღარ იყვნენ საერთაშორისო თანამეგობრობის ის შეიარაღებული ძალები, რომელთაც მშვიდობის შენარჩუნება ეკისრებოდათ. ისინიც რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ნაწილად იქცნენ და ერთგვარად დაუპირისპირდნენ კიდეც საერთაშორისო თანამეგობრობას, რომლის ეგიდითაც, წესით, უნდა ემოქმედათ. მოკლედ, რეგიონში შედარებითი მშვიდობის დროსაც ვეღარ გაიგებდა კაცი, ვინ მეგობარი იყო, ვინ – მტერი და ვინ – მიუკერძოებელი მშვიდობისმყოფელი; ომის დროს კი ზღვარი საერთოდ წაიშალა.

თბილისი ნათლად აცნობიერებდა, რა საფრთხის შემცველი იქნებოდა რუსი სამშვიდობოების დაღუპვა, და ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ამგვარი რისკი. შეტევაზე გადასვლამდე, 7 აგვისტოს საღამოს, ყურაშვილმა კულახმეტოვს დაურეკა და უთხრა – რუსი სამშვიდობოების პოზიციებზე იერიშს არ მივიტანთ, თუკი ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებთო. ქართული არტილერიის სამიზნეები ისე იყო შერჩეული, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების პოზიციებს საფრთხე არ დამუქრებოდა და, ზოგადად, ქართულ ნაწილებს უბრძანეს ცეცხლი მანამ არ გაეხსნათ მათთვის, ვიდრე ისინი პირველნი არ ატეხდნენ სროლას. სამშვიდობოები ცხინვალის რეგიონში 14 საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე იყვნენ განაწილებულნი; მათგან ბევრ პოზიციაზე რუსი და ქართველი სამშვიდობოები გვერდიგვერდ განთავსებულნი რჩებოდნენ მთელი ბრძოლების დროს, ვიდრე ქართველებმა უკან არ დაიხიეს. 7 აგვისტოს ღამით, ქართველების მხრიდან ცხინვალზე განხორციელებული პირველი საარტილერიო შეტევის შემდეგ რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ დროისათვის არც ერთი რუსი სამშვიდობო არ დაღუპულა.

ამ კონტინგენტის პირველი რუსი ჯარისკაცი ორმხრივი სროლის დაწყებისას დაიღუპა – 8 აგვისტოს, დაახლოებით დილის ექვს საათზე.[28] თუმცა ისიც ცნობილია, რომ ბევრი რუსი სამშვიდობო ბრძოლაში მაშინვე ჩაერთო, როგორც კი სროლა ატყდა. ამიტომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, მათზე იერიშის მიტანას უკვე კანონიერი საფუძველი ჰქონდა. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია კითხვა – ვინ ვის ესროლა პირველმა. როცა 7 აგვისტოს, ყურაშვილმა კულახმეტოვს დაურეკა და უთხრა – თუ არ ჩაერევით, არც ჩვენ გაგიხსნით ცეცხლსო, რუს გენერალს უპასუხია: *ეგრე სად არიო...*[29] მას შემდეგ, რაც 7 აგვისტოს საღამოს ქართული არტილერია ამოქმედდა, ქართველებს მალევე გაუჩნდათ ეჭვი, რომ რუსი სამშვიდობოები სამხრეთ ოსურ მხარეს საპასუხო სროლების კორექტირებაში უწევდნენ დახმარებას. ამ ეჭვის გასაქარწყლებლად, ყურაშვილმა ერთხელ კიდევ გადაურეკა კულახმეტოვს და იმანაც პირდაპირ აჯახა: „რა თქმა უნდა, კოორდინატებს ჩვენ ვაძლევთ, აბა რა გეგონათ?! თქვენი ასე და ისე – გვნაყავთ აქ და თითიც აღარ გავანძრიოთ?!“[30]

როდესაც 8 აგვისტოს დილით, დაახლოებით 6 საათზე, ცხინვალის სამხრეთ ნაწილში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დანიშნულების ძალები შევიდნენ, მათ გააფთრებული ცეცხლი გაუხსნეს რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ შტაბიდან, ე.წ. „ვერხნი გოროდოკიდან“, რომელიც შემაღლებულზე მდებარეობს და იდეალური საცეცხლე წერტი იყო ქართული ნაწილების მიზანში ამოსაღებად. სწორედ ამ შტაბის სახურავიდან ხდებოდა არტილერიის ცეცხლის კორექტირება ქართული შენაერთების მიმართულებით. ქართული მხარის განცხადებას – ცეცხლი პირველად რუსებმა გახსნესო, თავის მხრივ, ომის დროს ცხინვალში მყოფი ერთი რუსი ჟურნალისტის ბლოგიც

ადასტურებს: ომის დაწყებისას, მან ინტერვიუები ჩაიწერა სწორედ ამ „ვერხნი გოროდოკში" მომუშავე ორი ექიმისაგან, რომლებმაც უთხრეს კიდეც, დილით 4 საათზე ბრძანება მოგვცეს, იარაღი აისხით და მოახლოებულ ქართული ნაწილებს დამიზნებით ესროლეთო.[31]

მათაც ბრძანება შეუსრულებიათ. ქართველებმა, როგორც ასეთ შემთხვევაში ნაბრძანებიც ჰქონდათ, სროლას სროლითვე უპასუხეს. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს ატეხილი ორმხრივი სროლებისას დაიღუპნენ პირველი რუსი სამშვიდობოები და ასევე იქვე მყოფი რამდენიმე ოსი მებრძოლიც. ერთ-ერთი მათგანი საარტილერიო-სამეთვალყურეო შენაერთის ლეიტენანტი გახლდათ, და მის ნეკროლოგშიც ნათქვამია, რომ ის ქართული ჯარების წინააღმდეგ საარტილერიო ცეცხლის კოორდინირებისას დაიღუპა.[32] ეს უკვე თავისთავად აქარწყლებს განცხადებას, თითქოს რუსებმა სამხედრო მოქმედება თავდაპირველად სამშვიდობო მისიის შემსრულებელი რუსი ჯარისკაცების დაღუპვის პასუხად წამოიწყეს. აკი რუსული მედიაწყაროებიც აღიარებენ, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების საკვანძო ფიგურებმა სროლების დაწყებისთანავე რუსული სამშვიდობო ძალების შტაბს შეაფარეს თავი „ნიჟნი გოროდოკში," და მერე უკვე აქედან ერთობლივად ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციებს ქართული შენაერთების წინააღმდეგ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სამშვიდობოთა მთავარი შტაბი უკვე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისითაც კანონიერ სამხედრო სამიზნედ იქცა. სინამდვილეში, როცა რუსი სამშვიდობოები ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად დანარჩენ რუსულ და სამხრეთ ოსურ ძალებთან გაერთიანდნენ, განსხვავება სამშვიდობოებსა და არასამშვიდობოებს შორის რეგიონში სრულიად წაიშალა. რუსული პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში, სამხრეთ ოსეთში ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ, ანატოლი ბარანკევიჩმა, ფაქტობრივად, ახსნა კიდეც, როგორ ცდილობდა სამხრეთ ოსეთის რეჟიმი თავდაცვის ორგანიზებას – რუსი სამშვიდობოების შტაბს აფარებდა თავს და იქ ელოდა რუსეთის დამატებითი ძალების შემოსვლას. იმავე ინტერვიუში იგი აღწერს, როგორ გადაწყვიტეს მან და სხვა მაღალჩინოსნებმა გაერთიანებული სამშვიდობო ძალების შტაბის მისადგომების გამაგრება და როგორ განახორციელეს რამდენიმე თავდასხმა იქიდან – შტაბის სიახლოვეს გამოჩენილი ქართული პოლიციისა და სამხედრო ნაწილების მიმართ.[33] ამგვარი გამოხდომების მიუხედავად, ქართულ ძალებს ბრძანება არ დაურღვევიათ და არც ერთხელ არ გაუსვრიათ გაერთიანებული სამშვიდობო ძალების შტაბის მიმართულებით. არსებობს აგრეთვე სხვა მაგალითებიც, როცა რუსი სამშვიდობოების ნაწილების პირისპირ აღმოჩენილ ქართულ ძალებს ცეცხლი არ გაუხსნიათ – თუმცა მათ მაშინვე უწყებდნენ სროლას.

არანაკლებ შემაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ რუსი დიპლომატები ერთხმად ლაპარაკობდნენ რუსი სამშვიდობოების დახოცვის თაობაზე იმ დროს, როცა პრაქტიკულად ამის მოხდენა შეუძლებელი იყო: საქართველოს მხრიდან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთობებში მთავარი ფიგურა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძე გახლდათ, რომელიც მანამდე წლების განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში და იქაური პასპორტიც ჰქონდა. 8 აგვისტოს, დილის 2 საათზე, მას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გრიგორი კარასინმა დაურეკა. ვაშაძის თქმით, კარასინს განუცხადებია, რომ ქართული საარტილერიო ცეცხლის შედეგად რუსი სამშვიდობოები დაღუპულან და „ახლა ყველაფერი გენშტაბის ხელშიაო". ერთი საათის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის ელჩი, ვიაჩესლავ კოვალენკოც მივიდა – ოფიციალური პროტესტის წერილის გადასაცემად. არადა, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მოგვიანებით დასავლელ დიპლომატებს განუცხადა, რომ პირველი რუსი სამშვიდობოები დილის 6 საათის შემდეგ დაიღუპნენ, როცა ქართულმა ძალებმა ცხინვალის სამხრეთი გარეუბანი დაიკავესო. ეს კიდევ ერთი დამატებითი მტკიცებულებაა იმის სავარაუდოდ, რომ ომი, შესაძლოა, წინასწარ იყო დაგეგმილი და რუსებს საამისოდ თადარიგიც წინასწარ ჰქონდათ დაჭერილი.

თბილისის მიმართ ბოლო ბრალდება ისაა, რომ ქართული არტილერიის პირველი ამოქმედება ცხინვალის მიმართულებით სრულიად განურჩეველი გახლდათ და ტალიავინის დასკვნაშიც სწორედ ესაა კრიტიკის მთავარი საგანი. იმ საღამოს, როცა საომარი მოქმედებები დაიწყო, ცხინვალში ეუთო-ს მისიის მცირერიცხოვანი გუნდიც იმყოფებოდა. მართალია, მათ დაბომბვების დაწყებისთანავე სარდაფს შეაფარეს თავი, მაგრამ ეს მხოლოდ ნაშუაღამევს მოხდა; შემდგომში ამ ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ ვერ დაადასტურებდნენ ქართველთა ბრალდებებს, თითქოსდა ქართული სოფლების მიმართულებით სამხრეთ ოსური მხარე დღისითაც რაღაც განსაკუთრებით ინტენსიურ სროლებს აწარმოებდა; არადა, სააკაშვილმა ხომ სწორედ ამის გამო გადაწყვიტა შეტევითი ოპერაციების წამოწყება! ამან კი საპასუხო ბრალდება გამოიწვია, თითქოსდა ქართველებმა ოსური მხრიდან წარმოებული სროლების მნიშვნელობა გააზვიადეს, რათა ამით საკუთარი თავდასხმა გაემართლებინათ. ამ ეჭვებმა საერთაშორისო ყურადღებაც მიიპყრო მას მერე, რაც ხსენებული ანგარიში *ნიუ-იორკ თაიმზში* გამოქვეყნდა. ეს ამბავი გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთ ქართულ სოფელზე, თბილისის განცხადებების მიუხედავად, იმხანად შეტევები არ განხორციელებულა.[34] თუმცა მას მერე, უკვე იმავე საღამოს, სამხრეთ ოსური მხარის მიერ ბევრი ქართული სოფლის დაბომბვა დოკუმენტურადაა დადასტურებული – როგორც ამ სოფლებიდან გამოქცეული ადამიანების მონათხრობზე, ასევე ქართული სეისმური სადგურის რეგიონალურ მონაცემებზე

დაყრდნობითაც.[35] ერთი კია – ჯერაც ბოლომდე დაუდგენელია, ვინ ვის და სად ესროდა, რაც მრავალთაგან კიდევ ერთ საკამათო საკითხად რჩება ომის წამოწყების მიზეზების განხილვისას.

ქართველებმა სამი მიმართულებით განახორციელეს საარტილერიო შეტევა 7 აგვისტოს საღამოს და მათ სამიზნეთა შორის იყო ცხინვალის შემოგარენიც. ცხინვალის მიმართულებით გახსნილი ცეცხლი უპირატესად წარმოებული იყო ქალაქის აღმოსავლეთით და დასავლეთით არსებულ სიმაღლეებზე განლაგებული სამხრეთ ოსური არტილერიის წინააღმდეგ, ხოლო ქალაქის ცენტრში ქართული მხარე მიზანში იმ შენობებს იღებდა, რომელთაც, მათი რწმენით, სამხედრო დანიშნულებით იყენებდნენ, თუმცა ქართული მხარისავე განცხადებით, მსგავსი სამიზნეების რაოდენობა უკიდურესად შეზღუდული იყო.[36] ქართველები ასევე აცხადებენ, რომ არ განუხორციელებიათ მასირებული შეტევა სამოქალაქო ობიექტების მიმართ „გრადის" წინააღმდეგობრივი სისტემებისა და კლასტერული ჭურვების გამოყენებით. სხვა წყაროები კი, მათ შორის ᲔᲣᲗᲝ-ც, განსხვავებულ დასკვნას იძლევა. ქართველებმა უმთავრესად ჰაუბიცები და თვითმავალი არტილერია გამოიყენეს; ამ აღჭურვილობიდან გარკვეული ნაწილი საკმაოდ მოძველებულიც იყო, თუმცა თანამედროვე დასამიზნებელი საშუალებებით განახლებული, რასაც სროლის სიზუსტე უნდა უზრუნველეყო. მაგრამ გაურკვეველია, რამდენად კარგად იყვნენ მომზადებული ქართველი არტილერისტები ამ სისტემების გამოსაყენებლად, რადგან გადაიარაღების პროცესი ჯერაც არ დასრულებულიყო. როგორც ᲔᲣᲗᲝ-ს, ისე სხვა დამკვირვებლები ადასტურებენ, რომ იმ საღამოს ცხინვალი მასირებულად იბომბებოდა და ტალიავინის დასკვნის კრიტიკული ტონის ერთი მიზეზთაგანი ეს ფაქტიც გახლდათ. ქართველებმა „გრადის" სისტემები შემოვლითი გზით მომავალი რუსული ძალების წინააღმდეგაც გამოიყენეს და ცხინვალის მიმდებარე გარკვეული სამხედრო ობიექტების, მათ შორის ე.წ. „ვერხნი გოროდოკის" მიმართაც, სადაც რუსი სამშვიდობოების ტყვია-წამლის საწყობები იყო განთავსებული.[37]

მაგრამ ბრალდება იმის თაობაზე, თითქოს კლასტერული ჭურვების გამოყენებით საარტილერიო შეტევებმა ცხინვალზე სამოქალაქო მოსახლეობის დიდი მსხვერპლი გამოიწვია, არანაირად არ დასტურდება. როგორც ჩანს, თავდაპირველად ქართველებმა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის დიდი ნაწილი მის დაუზიანებლად დაიკავეს, რაც ქართული ტელევიზიის მასალებშიც ჩანს, სადაც 8 აგვისტოს დილით, ქართველების ქალაქში შესვლაა ასახული. დროის ამავე მონაკვეთში შედარებით ზომიერ ნგრევასა და ზარალს ადასტურებს ასევე ᲒᲐᲔᲠᲝ-ს ის კვლევაც, რაც სატელიტიდან გადაღებულ ფოტომასალას ემყარება.[38] ოღონდ მოგვიანებით, უკვე რუსებმა გააფთრებული კონტრშეტევა წამოიწყეს და თავის მხრივ გამოიყენეს როგორც „გრადები", ასევე ავიაციაც. ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებთ, ზუსტად რა ნგრევა გამოიწვია ცხინვალში

თავდაპირველმა შეტევამ ქართველების მხრიდან და რა – შემდგომა რუსულმა დაბომბვებმა, მათი არტილერიის საპასუხო დარტყმებმა თუ შემდეგ უკვე თითოეული სახლისთვის გამართულმა ქუჩის ბრძოლებმა.

ამით სულაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს საქართველოს მხრიდან სამხედრო მოქმედებები უზადო იყო – სრულებითაც არა! როცა ჩარხი უკუღმა დატრიალდა, სასოწარკვეთილმა ქართველებმა ყველა შემორჩენილი შესაძლებლობაც გამოიყენეს თავის გადასარჩენად; მრავალი ადამიანის აზრით, ნებისმიერი საბაბით მცდარი და მიუღებელია ნებისმიერი ქალაქის დაბომბვა ან კლასტერული ჭურვების გამოყენება; ცხადია, უეჭველად გამოსაძიებელია სამხრეთ ოსეთის მხარის ლტოლვილთა ბრალდებებიც ქართული შეიარაღებული ძალების ძალადობისა და სისასტიკის თაობაზე, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ ომში ყველაზე მეტი სისასტიკე მაშინ გამოვლინდა, როცა ქართული სოფლების მასობრივი ეთნიკური წმენდა დაიწყო სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალებისა და ჩრდილოკავკასიური არარეგულარული ნაწილების მიერ და ეს ქმედებები იმ მიზანმიმართული პოლიტიკის შემადგენელი გახლდათ, რომელიც ტერიტორიულად უფრო ვრცელი და ეთნიკურად ჰომოგენური სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნას ითვალისწინებდა. ეს პოლიტიკა მოწონებულიც იყო და ხშირად უშუალოდ რუსული არმიის ფარული მხარდაჭერითაც ხორციელდებოდა.[39]

ასევე არავითარი მტკიცებულება არ არსებობს, თითქოს აშშ-მ სააკაშვილს მწვანე შუქი აუნთო სამხედრო მოქმედებების დასაწყებად ან ამ მხრივ რამენაირად მაინც წაახალისა. პირიქით – ამერიკის ყველა გაფრთხილება აშკარა და ცალსახა გახლდათ: ამერიკის შეერთებულ შტატებს, რაღა თქმა უნდა, მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ თბილისი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის სამოქმედო გეგმას მაინც ამზადებდა და ამერიკელებიც, ისევე როგორც სხვა მოკავშირეები, თვალს ადევნებდნენ ქართველთა სამზადისს და მით უმეტეს, რომ თბილისში მათ არაერთხელ სმენიათ კიდეც შესაძლო სამხედრო ნაბიჯების გარდუვალობის თაობაზე. სხვადასხვა დროს, ბევრ ამერიკელ ჩინოსანს ასე ვთქვათ, კულუარულად უჩვენეს რუკები – მათ შორის, თავად სააკაშვილმაც – სადაც ქართული შეიარაღებული ძალების შესაძლო გადაადგილებები იყო დაფიქსირებული.

იყო შემთხვევები, როცა ქართული მხარე ცდილობდა ბოლომდე „გამოეტეხა“ ვაშინტონი – რამდენად მტკიცე იყო მათი უარი სამხედრო გზის არჩევასთან დაკავშირებით. ქართველები ხშირად სვამდნენ კითხვებს ნუთუ გაუგებარი იქნებოდა ვაშინტონისთვის, თუკი ეთნიკური ქართველების ხოცვა თბილისს მათი გადარჩენისაკენ უბიძგებდა? ამ შემთხვევაშიც უარს იტყოდნენ ამერიკელები დახმარებაზე – თუნდაც დიპლომატიური ხერხებითა და პოლიტიკური თვალსაზრისით? ბოლოს და ბოლოს, აკი ბუშის ადმინისტრაცია პირდაპირ და

საჯაროდ უცხადებდა საქართველოს მხარდაჭერას! ამ რეგიონში საქართველო ხომ ამერიკის №1 მოკავშირედ მოიაზრებოდა. ქართველთა შორის ბევრი იყო ისეთი, ვისაც ალალად სჯეროდა, რომ ვაშინგტონში მათი დახმარების მოსურნე უკეთეს ადმინისტრაციას ვეღარასოდეს ეღირსებოდნენ და მოქმედებაც ჯობდა მანამ დაეწყოთ, სანამ ბუშის საპრეზიდენტო ვადა ჯერ კიდევ არ ამოწურულიყო. ნუთუ მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, აშშ გვერდში არ დაუდგებოდა საქართველოს, თუკი ის სწრაფი გამარჯვების მოპოვებას მოახერხებდა და ყველას უკვე ფაქტის წინაშე დააყენებდა?!

მაგრამ პრეზიდენტი ბუშიცა და თანამდებობრივი კიბის ყველა შემდგომ საფეხურზე მდგომი ამერიკელი ჩინოსანი საქართველოს ერთსა და იმავე გზავნილს უთვლიდა: „ნუ იზამთ ამას!“ იგივე თქვა თავად პრეზიდენტმა ბუშმაც, როცა 2005 წ. გაზაფხულზე სტუმრობდა თბილისს. არაერთ ამერიკელ თანამდებობის პირს, მრჩეველსა და მეგობარს, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორს, საათობით უსაუბრია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მათი დარწმუნებაც უცდია მსგავსი ნაბიჯის უაზრობაში. იმ შემთხვევებში კი, როცა აშკარა ხდებოდა, რომ გზავნილი შესაძლოა ბოლომდე კარგად ვერ ყოფილიყო გაგებული, ამერიკელები არ იზარებდნენ და კიდევ და კიდევ ნათლად განმარტავდნენ ხოლმე თავიანთ პოზიციას. როგორც შემდგომში სააკაშვილმაც აღიარა, მას არც სჭირდებოდა არც ერთი უცხოელი ხელისუფლის თანხმობა საქართველოს მოქალაქეებისა თუ ქართული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად... იმ საბედისწერო დღეს საქართველოს პრეზიდენტი არც ერთ ამერიკელ მაღალჩინოსანს არ დალაპარაკებია და არც იყო საჭირო – მან მშვენივრად იცოდა, როგორი იყო ამერიკელთა პოზიცია, ეს არაერთგზის ჰქონდა მოსმენილი, ბოლოს კი – ივლისის შუა რიცხვებში, სახელმწიფო მდივან ქ-ნ რაისისაგან.

დასავლური პოლიტიკის პრობლემა სამხედრო ავანტიურისათვის რაღაც მითიური მწვანე შუქის ანთება-არანთებაში არ მდგომარეობდა; ეს უფრო რუსეთის მიერ საქართველოს დასჯის განზრახვის შეუფასებლობა გახლდათ, იმის ცხადად გაუაზრებლობა, როგორ შექმნა კოსოვომ და ნატო-ს ბუქარესტის სამიტმა ამ განზრახვის აღსრულების წინაპირობები; და ასევე, დიპლომატიის მარცხი – მოსკოვის შესაჩერებლად და რეგიონში ვითარების სათანადო გაწონასწორების უზრუნველსაყოფად. ერთი მხრივ, საქართველოს გაფრთხილებას – სისულელეებისაგან თავი შეიკავეთო, მეორე მხრივ თან არ ახლდა ის აუცილებელი დიპლომატიური სტრატეგია, რაც მოსკოვს დასახული გეზიდან გადაახვევინებდა. მოკლედ, ომის თავიდან ასაცილებლად საკმაოდ მოკრძალებული და თან დაგვიანებული ნაბიჯები იქნა გადადგმული.

არადა, რუსული აგრესიის ალბათობა და ამ შემთხვევაში საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი ქმედებები საიდუმლო არავისთვის გახლდათ: ხანგამოშვებით თბილისის ენაწყლიანი პოლიტიკური ელიტა, ფაქტობრივად,

სხვაზე არც არაფერზე საუბრობდა ხოლმე. ეს საყვარელი საკამათო თემა იყო ოფიციალურ დაწესებულებებშიცა და ქართულ სუფრაზეც – ღვინის სიუხვის ფონზე – ადამიანები დილამდე მსჯელობდნენ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ვერსიებზე და ხშირ შემთხვევაში საბოლოო დასკვნების გამოსატანად სასტუმრო *მერიოტში* გადადიოდნენ. კამათი მიდიოდა ყველაფერზე: რა აჯობებდა – დაპირისპირებულ მხარეთა შორის ნდობის აღსადგენად კიდევ რაღაც დამატებითი საშუალებები მოეძიათ თუ პირდაპირ *სტინგერების* შეძენა დაეწყოთ შავ ბაზარზე! თუკი საჭირო გახდებოდა, სამხედრო მოქმედებების დასაწყებად წელიწადის რა დრო აერჩიათ – ახალი წლის დღეები, როცა რუსები, ძირითადად, მთვრალები არიან ხოლმე, თუ ზაფხულის მიწურული – როცა ყველა შვებულებაში გასული... ამერიკელების ხვეწნა-მუდარაზე – რუსულ ხაფანგში არ გაეყოთ თავი, ქართველები ერთთავად იმას გაიძახოდნენ, რომ სწორედ ასე მოხდა 1921 წელს, როცა მათმა მამებმა სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს და წითლები შემოუშვეს საქართველოში რაც, საბოლოოდ, ქვეყნის 70-წლიან ოკუპაციად დაუჯდათ... ისინი მხურვალედ უმტიცებდნენ ყველას, რომ საქართველოს ვერც ერთი ლიდერი თავს უფლებას ვერ მისცემდა უბრძოლველად დაეთმო მშობლიური მიწა-წყალი; კითხვა ერთადერთი რჩებოდა: რა სჯობდა – უიმედო ბრძოლაში სახელოვნად სიკვდილი თუ, უბრალოდ, ტერიტორიებზე უარის თქმა, თუკი და როცა რუსეთი საბოლოო ნაბიჯს გადადგამდა.

არაერთმა დასავლელმა სცადა განგაში აეტეხა – ერთ-ერთი პირველი მათ შორის რიჩარდ ჰოლბრუკიც გახლდათ, რომელმაც ჯერ კიდევ 2006 წლის შემოდგომაზე, *უოშინგტონ პოსტის* ფურცლებიდან გააფრთხილა ყველა: ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები ახლო აღმოსავლეთის პრობლემებითაა დაკავებული, მოსკოვი სააკაშვილისათვის ძირის გამოთხრასა და მის თავიდან მოშორებას შეეცდებაო.[40] მსგავსი განცხადებები ისმოდა ატლანტის ორივე სანაპიროდან 2007 წელსა და 2008 წლის დასაწყისშიც, როცა კრიზისი სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა.[41] ომამდე 9 თვით ადრე პირადად მეც სხვებთან ერთად სამი საგაზეთო სტატია გამოვაქვეყნე, რომლებშიც დასავლეთს ვაფრთხილებდი – მთვარეულებივით თვალდახუჭულნი მივაბიჯებთ ომისკენ და თუ მისი აცილება გვინდა დროზე უნდა ვცადოთ ქართველების გულში ჩაკვრა, უშუალოდ ჩართვა ამ რეგიონალურ მოვლენებში. ამ სტატიებიდან ბოლო, 15 ივლისით დათარიღებული, ასე იწყებოდა: „ჰაერში უკვე საქართველო-რუსეთის ომის სუნი ტრიალებს!“[42]

და აი, ის, რაც მანამდე ბარებში, კაფეებსა თუ კანცელარიებში თეორიული დავა-კამათის საგანი გახლდათ, 7 აგვისტოს მწარე სინამდვილედ გვექცა. იმ დღეს საქართველო იმ პატარა ბიჭს ჰგავდა, რომელმაც წარამარა თავში წათაქებები ვეღარ აიტანა და ვიღაც მასზე ასაკოვან მუტრუკს შეუბრუნა ხელი... სააკაშვილის გადაწყვეტილება ძალის გამოყენების თაობაზე, უკანასკნელ წამს

იქნა მიღებული იმ ხელისუფლის მიერ, ვინც თავს კუთხეში მიმწყვდეულად გრძნობდა, შიშობდა – საცაა ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავდა, საკუთარი პოლიტიკური მომავალიც სასწორზე ედო და ბრძოლის გარდა, სხვა არჩევანსაც ვერ ხედავდა; ხავსს ეჭიდებოდა – იქნებ მოსკოვს უკან დაეხია, თუკი თბილისი პასუხს გასცემდა და ყველაფერი ადგილობრივი სეპარატისტებისთვის გადაებრალებინა. ასევე, მას დასავლეთის, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს სწრაფი დიპლომატიური ჩარევის იმედიც ჰქონდა. პირველ შემთხვევაში, მწარედ მოტყუვდა, მეორე ვარაუდი – საბოლოო ჯამში – კი გაუმართლდა, მაგრამ მაინც – დიდი დაგვიანებით. მისი ხელისუფლების ბედიც ახლა სასწორზე ეკიდა და საქართველოს მომავალიც გაურკვევლი ჩანდა.

რა უნდა ეღონა ქვეყნის პრეზიდენტს? დასავლეთში ახლაც ბევრს მიაჩნია, რომ სააკაშვილი უბრალოდ, მოთმინებით უნდა აღჭურვილიყო და რუსეთის მიერ გაკეთებულ პირველ სვლას დალოდებოდა; ამ სვლის შედეგებით მთელი მსოფლიოსათვის დაენახებინა მოსკოვის ძალადობა და საპასუხო ქმედებების განხორციელებაც უკვე დასავლეთისათვის მიენდო. მაგრამ მას ასე მოქცევა არ სურდა, რადგან თავს ვალდებულად თვლიდა საკუთარი მოქალაქეები დაეცვა სამხრეთ ოსეთში, დასავლეთის დროული ჩარევაც აეჭვებდა და უმოქმედობის შემთხვევაში საკუთარი პოლიტიკური მომავალიც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ ესახებოდა. იმის თქმას არ ვაპირებ, თითქოს მისი გადაწყვეტილება სწორად მიმაჩნია – მით უფრო, როცა იცოდა, რომ მისი შეიარაღებული ძალები რუსეთის არმიას ბოლომდე ვერასოდეს გაუწევდა წინააღმდეგობას და არც ამერიკული მხედრობა მოევლინებდა ზეციდან მხსნელად – უბრალოდ, მინდა შევნიშნო, რომ უმოქმედობაც გარკვეულ რისკსა და მძიმე შედეგებთან იქნებოდა წილნაყარი. 7 აგვისტოს საღამოს, გაურკვევლობამ საქართველოს მომავალ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფელის როლის ციინიზმმა, გაერო-სა და ეუთო-ს მისიების მარგინალიზაციამ და ზოგადად დასავლეთის მხრიდან პოლიტიკური ნებისა და ინტერესის ნაკლებობამ, რუსულ განზრახვებზე დაასხა წყალი და საქართველოს ლიდერსაც ომის დაწყებისაკენ უბიძგა.

ერთ საღამოს, ომიდან უკვე 6 თვის შემდეგ, როცა პრეზიდენტ სააკაშვილის კაბინეტში ვისხედით, პირდაპირ ვკითხე – მისი აზრით, რა მოხდებოდა, თუკი რჩევას ყურად იღებდა, 7 აგვისტოს იმ საბედისწერო საღამოს არაფერს მოიმოქმედებდა და დაელოდებოდა, სანამ დანარჩენი მსოფლიო თვითონ გაერკვეოდა – ვის მიუძღოდა ბრალი და საქართველოს დასახმარებლად ხელს გამოიღებდა? პასუხი ერთმნიშვნელოვანი გახლდათ – მას არ სჯეროდა, რომ როგორც პრეზიდენტი გადარჩებოდა, რადგან ქართველი ხალხი არც ერთ პრეზიდენტს არასოდეს აპატიებდა უმოქმედობას და იმასთან შეგუებას, უბრძოლველად როგორ კარგავდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს! მას ისიც

ეეჭვებოდა, რომ დღევანდელი საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩებოდა, რადგან მისი ღრმა რწმენით, რუსეთის ჭეშმარიტი მიზანი სეპარატისტული რეგიონების გაკონტროლება კი არა, პირადად მისი ხელისუფლების დისკრედიტაცია და დამხობა იყო საქართველოს პროდასავლური კურსიდან გადასაცდენად.

მავანმა გადადგმული ნაბიჯი ვინძლო კვლავაც შეცდომად ჩაუთვალოს, მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილის 7 აგვისტოს საბედისწერო გადაწყვეტილების მოტივაცია თავისთავად აუხსნელი არაა. შესაძლოა მთავარი კითხვა ის უნდა ყოფილიყო, როგორ და რატომ დადგა თბილისი ან მოსკოვთან იმთავითვე უიმედო შეხლის ან მცოცავ ანექსიასა და რეჟიმის შესაძლო ცვლილებასთან შეგუების არჩევანის წინაშე? რატომ მოხდა, რომ კრიზისმა ასეთ მიჯნას მიაღწია? იმთავითვე რატომ ვერ მოხერხდა ცეცხლის ჩაქრობა? სად იყო დასავლეთი ან ის ინსტიტუტები და მექანიზმები, რომლებიც სწორედაც რომ მსგავსი კონფლიქტებისა და ომის ალბათობის აღმოსაფხვრელადაა შექმნილი?

ამისათვის, ჯერ თავად კონფლიქტის სათავეები უნდა მოვიძიოთ და მერე იმ საბედისწერო დღის მოვლენებსაც ფეხდაფეხ მივყვეთ.

თავი 2

კავკასია: ცივიდან ცხელ ომამდე

2008 წლის ზაფხულში, იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ვითარება სახიფათოდ იძაბებოდა და შეიძლებოდა უკონტროლოც გამხდარიყო, საშუალო ამერიკელ თუ ევროპელ მკითხველს მაინც ეპატიებოდა, თუკი რუკაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების პოვნა გაუჭირდებოდა. ძალაუნებურად მახსენდება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ნევილ ჩემბერლენის სიტყვები ჩეხოსლოვაკიისა და ომის საფრთხის თაობაზე: „იმ შორეულ ქვეყანაში და იმ ხალხს შორის, რომლის თაობაზე ბევრი არც არაფერი გვსმენია...". ამ კონფლიქტებს – ერთი მხრივ, ქართველებსა და, მეორე მხრივ, აფხაზებს/ოსებს შორის, საკუთარი ფესვები, ისტორია და დინამიკაც გააჩნია; ამიერკავკასიაში თუნდაც ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგაც კი, რუსეთის, სპარსეთისა და ოტომანთა იმპერიის გადაკვეთაზე მდებარე ამ რეგიონის სტუმარი ვინძლო იმ დასკვნამდეც მივიდეს, რომ აქაურობას ისტორიის საჭიროზე მეტი კვალი ატყვია...

თუმცა ამ ფეთქებადსაშიში კონფლიქტების ხასიათი ისტორიამ ნაკლებად განაპირობა: აქ განმსაზღვრელი გარეშე ძალა – რუსეთი აღმოჩნდა, რომელიც დაპირისპირებებითა თუ დაძაბულობით მუდამ სათავისოდ სარგებლობდა ხოლმე და შექმნილ კონფლიქტებსაც იარაღად იყენებდა მოსკოვსა და თბილისს შორის სპეციფიკურ გეოპოლიტიკურ ბრძოლაში. ეს რუსულ-ქართული წინააღმდეგობა 7 აგვისტომდე დიდი ხნით ადრე დაიწყო: ორ ქვეყანას შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა რაღაც ცივი ომის მსგავსი, 7 აგვისტოს დამდეგს კი ეს ომი უკვე „გახურდა" კიდეც. ომის დაწყების მიზეზი სამხრეთ ოსეთისა თუ აფხაზეთის მეტი ავტონომიისა თუ სრული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა არ ყოფილა, თუმცა ამგვარი მისწრაფებებიც არსებობდა. ომის დაწყებისა და მისი ამ სახით განვითარების თავი და თავი საქართველოსა და, ზოგადად, ამიერკავკასიის სამომავლო სტრატეგიული გეზის არჩევანი

გახლდათ – მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს დასავლეთისაკენ სვლა ეწადა, რუსეთი კი მის შეჩერებას ცდილობდა.

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის" პროდასავლური, თამამი და შეუპოვარი ლიდერი, სააკაშვილი დაუფარავად აცხადებდა – საკუთარი ქვეყნის რუსეთის ბატონობისაგან გათავისუფლებას და შემდეგ ჯერ ნატო-ში და საბოლოოდ კი – ევროკავშირში გაწევრიანებას ვისახავ მიზნადო. ასევე, არც მოსკოვს არასოდეს დაუმალავს მისი შეჩერების სურვილი. ამ დაპირისპირებაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები თბილისის დასავლეთისაკენ მისწრაფების ჩახშობის სტრატეგიის ნაწილად მოიაზრებოდა – იმ ნაპერწკლად, საიდანაც ომის ცეცხლი უნდა გაჩაღებულიყო.

რუსულ-ქართული ურთიერთობების ხანგრძლივი და რთული ისტორია იმის ახსნაში დაგვეხმარება, იმ საბედისწერო 7 აგვისტოს რამ მიიყვანა უთანხმოება ნამდვილ შეიარაღებულ კონფლიქტამდე. უნდა ითქვას, რომ საქართველოს საგანგებო ადგილი ეკავა და ქართველებიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ ცარისტულ თუ საბჭოთა იმპერიებში; რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქვეყანა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მოექცა* და ამიერკავკასიის რეგიონში გავლენისათვის თურქეთსა და სპარსეთთან დაპირისპირებული რუსეთის მართლმადიდებლურ სამხრეთ ფორპოსტად იქცა. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე შეიქმნა, მაგრამ მის არსებობას ბოლშევიკებმა მალევე მოუღეს ბოლო – 1921 წელს. იმდროინდელი მთავრობის გადაწყვეტილებამ – არ ეომა დამოუკიდებლობისთვის – სააკაშვილისთვის 2008 წლის აგვისტოს არჩევანი განსაზღვრა. საქართველოს 70 წელი დასჭირდა დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად და ქართველთა უმრავლესობა სულაც არ აპირებდა იგი უბრძოლველად დაეთმო.

ხანმოკლე დამოუკიდებლობის შემდეგ, როდესაც ამიერკავკასია ბოლშევიკებმა კვლავ მიუერთეს რუსეთს, როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კავკასიაში ის საზღვრები დაადგინეს და ის ეთნოპოლიტიკური ერთეულები შექმნეს, რასაც დღეს ვხედავთ. მაგრამ ამ საზღვრების ზუსტი მოხაზულობა დროთა განმავლობაში მაინც იცვლებოდა და კავკასიის ქედის გაღმა-გადმოღმაც სხვადასხვა სახეს იძენდა. 1921 წლისათვის მოსკოვმა, არსებითად, მთლიანად დაიბრუნა ის ტერიტორიები, რასაც ერთ დროს ცარისტული რუსეთი ფლობდა. თავდაპირველად განზრახული იყო ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შეექმნათ, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ კავკასიასაც მოიცავდა და 1922 წლის დეკემბერში დაფუძნდა კიდეც „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა", დედაქალაქად კი თბილისი გამოცხადდა. თუმცა

---

* უნდა თქმულიყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. (რედ. შენიშვნა)

1936 წელს ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკა კავშირის ცალკე წევრებად იქცა. საკუთრივ საქართველოში სამ რეგიონს საგანგებო სტატუსი მიენიჭა: აფხაზეთი, როგორც ცალკე სოციალისტური რესპუბლიკა, ხელშეკრულების ძალით საქართველოში შედიოდა; აჭარამ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო, ხოლო სამხრეთ ოსეთმა – ავტონომიური ოლქისა.

დღემდე გრძელდება დავა-კამათი, რა ამოძრავებდათ საბჭოეთის ლიდერებს – *დაყავი* და *იბატონეს* ზოგადი სტრატეგიული მოთხოვნების გათვალისწინებით ადგენდნენ საზღვრებს თუ ახალგაზრდა იოსებ სტალინის, იმჟამად ეროვნებათა საკითხების კომისრის ფსევდომარქსისტულ იდეებს იყვნენ აყოლილნი, რომელთა თანახმადაც განსხვავება „ერებსა“ და „ხალხებს“ შორის იმის საფუძვლად უნდა ქცეულიყო, ადამიანთა რომელი ჯგუფი როგორ სტატუსს იმსახურებდა. თუმცა უაღრესად ცენტრალიზებულ საბჭოთა კავშირში ამგვარი საზღვრები, იმ პირობებში როცა „ცენტრი“ აკონტროლებდა ყველაფერს, ფაქტობრივად, სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა; მაგრამ ეს ყველაფერი ერთგვარი აფირმატიული ქმედების საბჭოურ პოლიტიკად* იქცეოდა ხოლმე, როცა უპირატესობა ადგილობრივ ეთნიკურ ელიტებს ენიჭებოდა და შესაძლებლობაც ეძლეოდა, ამგვარი უპირატესობა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოეყენებინა. ათწლეულების შემდეგ, ძალაუფლების შესანარჩუნებლად, სწორედ ეს ელიტები დაადგნენ ნაციონალიზმის გზას, როდესაც საბჭოური მმართველობის საფუძვლები მოირყა და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა იჩინა თავი.

საბჭოთა პერიოდში, საქართველო თავისი მთებითა და ზღვისპირეთით, ზომიერი ჰავითა და უგემრიელესი სამზარეულოთი, რუსული და საბჭოთა ელიტების საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა. თავად ქართველებს კი საბჭოთა ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება ხვდათ წილად: არაერთმა მათგანმა დატოვა კვალი საბჭოურ ხელოვნებაში, სპორტსა თუ პოლიტიკაში. ამ სიას სათავეში უდგანან სტალინიცა და ბერიაც – საბჭოთა ისტორიაში უსაშინლესი დესპოტები და ედუარდ შევარდნაძის მსგავსი ფიგურებიც, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლიც კი ითამაშა ცივი ომის დასრულებაში. როცა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა და საქართველომ ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობებსა და, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის დაშლას დაუდეს სათავე, მათმა ამ მისწრაფებებმა მოსკოვს ღალატისა და დანაკარგის განსაკუთრებული განცდა გაუჩინა. სწორედ იმხანად რუსეთი იძულებული გახდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო პუნქტების

---

* Affirmative action — შეერთებულ შტატებში არსებული პოლიტიკური პრაქტიკის სახელწოდება. იგი გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას უმცირესობათათვის. (რედ. შენიშვნა)

არსებობა ეღიარებინა, რამაც ბევრ რუსს – კერძო საუბარში მაინც – იმის თქმის უფლება მისცა, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ანექსია უკანონო გახლდათ და ამ ქვეყნებს დამოუკიდებლობის მოთხოვნის მართლაც სრული უფლება ჰქონდათ. ოღონდ რაც შეეხებოდა საქართველოს დაკარგვას, რუსების უმრავლესობისათვის ეს გაცილებით ძნელი გადასახარში აღმოჩნდა, რადგან თბილისთან ისტორიულ კავშირებს ბევრად უფრო ღრმად გაედგა ფესვები.

ბევრი რუსი მაღალჩინოსანი ამ რეგიონთან ოჯახურადაც იყო დაკავშირებული, ხოლო ქართველების დიდი დიასპორა რუსეთში დღემდე არსებობს. რუსების აზრით, ისინი არა მარტო ყოფილი რუსეთის (და არა – საბჭოთა) იმპერიის ნაწილს „კარგავდნენ“, არამედ იმ ერსაც, რომელმაც მათივე საკუთარი ისტორიის შექმნაშიც დაიდო საკვანძო წილი. რუსი კონსერვატორები და ნაციონალისტები გააფთრებით ცდილობდნენ არ დაეშვათ საქართველოს სვლა დამოუკიდებლობისაკენ და, ბევრ სხვა მეთოდთან ერთად, საამისოდ აფხაზური და ოსური სეპარატისტული მოძრაობის ხელშეწყობასაც არ თაკილობდნენ. რუსეთის დაზვერვისა თუ არმიის იფიცრები – ხან ხელისუფლების მითითებით და ხანაც საკუთარი ინიციატივით, არა მარტო იარაღითა და რჩევებით ეხმარებოდნენ ამ სეპარატისტულ მოძრაობებს 90-იან წლებში, არამედ ხშირად მათთან ერთად იბრძოდნენ კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და თბილისის ხელისუფლების დასამხობად.

რუსი ნაციონალისტებისთვის უკიდურესად საძულველი პიროვნება გახლდათ ედუარდ შევარდნაძე, რომელიც იმავე 90-იან წლებში დაუბრუნდა საქართველოს – მათი აზრით, სწორედ შევარდნაძეს, მიხეილ გორბაჩოვის საგარეო საქმეთა მინისტრს, მიუძღოდა ბრალი აღმოსავლეთ ევროპის დაკარგვაშიცა და ცივი ომის ბოლოს დასავლეთის მიმართ რუსეთის სამარცხვინო, კაპიტულანტური პოლიტიკის გატარებაშიც. საქართველოში დაბრუნებულ შევარდნაძეზე რამდენიმე თავდასხმა განხორციელდა, რაშიც ყველამ მოსკოვის წარმმართველი ხელი დაინახა. უკვე 90-იანი წლების ბოლოს რუსეთი პირდაპირ დაემუქრა საქართველოს პირდაპირი შემოჭრით და ამისათვის პანკისის ხეობაში ჩეჩენი ამბოხებულების ყოფნა მოიმიზეზა. მოკლედ, ეს ბრძოლა რუსეთსა და საქართველოს შორის არა მარტო სტრატეგიული, არამედ, ზოგ შემთხვევაში, პირადი ანტიპათიის ამბავიც იყო.

და აი, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილი – კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელსაც საკუთარი ქვეყნისა და მთელი ამ მხარის ახალ რელსებზე შეყენება სურდა. კრემლისთვის იგი საბოლოოდ ლამის შევარდნაძეზე საძულველი გახდა. სააკაშვილი უკვე აღარ თვლიდა, რომ „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“ და ახლა დასავლეთისაკენ იყურებოდა; თავისთვის სამაგალითოდ იგი ქემალ ათათურქს, ფინელ მთავარსარდალ კარლ გუსტავ მანერჰაიმსა და საქართველოს უდიდეს მეფეს – დავით აღმაშენებელს ასახე-

ლებდა. მას ათათურქი ვერტიკალური ვესტერნიზაციისა და დემოკრატიზაციის სიმბოლოდ ესახებოდა, მანერჰაიმი – იმ ქვეყნის ლიდერად, რომელმაც 1939-40 წლების „ზამთრის ომში" ფაქტობრივად, არაფერი დაუთმო წითელ არმიას, დავით აღმაშენებელი კი იმ ლეგენდარულ ქართველ ხელისუფლად, ვინც ყველა განდგომილის დამარცხება და საქართველოს გამთლიანება მოახერხა. ენერგიით აღსავსე, მგზნებარე, და დროდადრო ავტოკრატიული სააკაშვილი უფრო დიდ ისტორიულ ტილოზე საკუთარი მონასმის გაკეთებას ისახავდა მიზნად: მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ნატო-ს გაფართოების წარმატებით შთაგონებულს, სურდა საქართველოც ბალტიისპირეთის სახელმწიფოების კვალს დადგომოდა და მათი დემოკრატიული რეფორმების წაბაძვით, თავადაც დასავლეთთან ინტეგრირებისათვის მიეღწია. მოკლედ, იმ თავგადაკლულ ფათერაკების მაძიებელს ჰგავდა, რომლებითაც ყოველთვის მდიდარი იყო ეს მხარე, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე...[43]

ერთი სხვა მიზეზიც არსებობდა, რამაც თბილისი და მოსკოვი ამ კონფლიქტის ზღვარზე მიიყვანა: „ვარდების რევოლუციას" ახალი ტიპის ქართველი ლიდერები ედგნენ სათავეში, ვისაც ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა სურდათ. მათ აღარ უნდოდათ სანახევროდ შემდგარ სახელმწიფოში ცხოვრება – ცდილობდნენ, ერთხელ და სამუდამოდ დაეღწიათ თავი მოსკოვის გავლენისაგან, რადგან გრძნობდნენ, რომ საქართველოს წინსვლას სწორედ ეს აფერხებდა. მათი მიზანი იყო რუსეთთან კვაზიკოლონიური ურთიერთობები მოეშალათ, აღარ სურდათ იმ თამაშში მონაწილეობის მიღება, სადაც ნომინალური დამოუკიდებლობა ისეთი რეალობით იქნებოდა შენიღბული, რომელშიც რუსეთი საქართველოზე დე ფაქტო კონტროლს კვლავაც განახორციელებდა – საქართველოს მინისტრთა კაბინეტში საკუთარი ემისრების, დაზვერვისა და უშიშროების სამსახურებში – მისივე გამოზრდილი კადრებისა და, ასევე, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის მეშვეობით. ამიტომაც ამახვილებდნენ ყურადღებას ძლიერი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებლობაზე, რომელსაც თავდაცვაც შეეძლებოდა და ტერიტორიული დავების გადაჭრაც, ანუ – მათი გაგებით, დამოუკიდებლობის წინაპირობების უზრუნველყოფა.

თუმცა სააკაშვილის ოცნება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის ტრანსფორმირება გახლდათ; აზერბაიჯანთან თანამშრომლობის გზით მას სურდა თბილისი იმ ახალი, დამოუკიდებელი ენერგოდერეფნის საკვანძო ნაწილად ექცია, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით აზერბაიჯანის, შემდგომ კი – ცენტრალური აზიის ენერგორესურსებს დასავლეთისაკენ გაატარებდა. ამ ენერგომატარებლების გარე სამყარომდე მიტანა იმაზეც იქნებოდა დამოკიდებული, მოახერხებდა თუ არა საქართველოს მსგავსი მცირე ქვეყანა საკუთარი სუვერენიტეტის დაცვას.[44] ეს ყოველივე კი რეგიონის დასავლეთზე მიბმის უფრო ფართო გეგმის ნაწილი გახლდათ: სააკაშვილი სამოქმედო

გეზად საქართველოს სანახევროდ შემდგარი სახელმწიფოდან ისეთ რეფორმისტულ „ვეფხვად“ გარდაქმნას ირჩევდა, რომელიც დემოკრატიული პროდასავლური დერეფნის შექმნის კატალიზატორად იქცეოდა ამიერკავკასიაში – ერთი მხრივ, არასტაბილურ რუსეთსა და მეორე მხრივ, სულ უფრო და უფრო ფეთქებად ახლო აღმოსავლეთს შორის. ეს მართლაც გამაოგნებელი ხედვა იყო და რუსეთისათვის – განსაკუთრებით მიუღებელიც.

ამ ხედვაში კი საკვანძო როლი ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა მიკუთვნებული. სააკაშვილი სამართალს კოლუმბიისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტებში სწავლობდა და ამ ქვეყნის მხურვალე გულშემატკივრადაც იქცა. მისი აზრით, თუკი წარმატებისათვის უნდოდა მიეღწია, ამოსავლად მმართველობის ამერიკული წესი, პრინციპები და დიპლომატია უნდა დაესახა. მის კაბინეტში, წიგნის თაროზე გვერდიგვერდ ნახავთ კენედისა თუ ჯეფერსონის, ათათურქისა თუ სტალინის ბიოგრაფიებს... ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები ქართული სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მხარდამჭერები იყვნენ და „ვარდების რევოლუციის“ წარმატებაც, უპირატესად, სწორედ მათმა მხარდაჭერამ განსაზღვრა. თავის მხრივ, აშშ-ის ხელისუფლებას უფრო „არაცალსახა“ დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს მიმართ: ვაშინგტონმა კარგი ურთიერთობა დაამყარა სააკაშვილის წინამორბედ ედუარდ შევარდნაძესთან, ვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევდა – ჯერ კიდევ გერმანიის გამთლიანების დროიდან მოყოლებული. ცნობილია, რომ აშშ-ის ელჩმა თბილისში, რიჩარდ მაილსმა „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვების წინა საღამოს ვაშინგტონში დეპეშა გაგზავნა და სააკაშვილის მარცხი იწინასწარმეტყველა; მეორე დილით კი, ახალგამოღვიძებულზე, ეს უკანასკნელი ქვეყნის ლიდერად მოევლინა!

თუმცა თეთრმა სახლმა ამ ახალ მოცემულობას მალევე აუწყო ფეხი: სააკაშვილი ერთგვარ „ვარსკვლავბიჭუნად“ – ბუშის ადმინისტრაციის „თავისუფლების შუქურად“ და *დემოკრატიის ექსპორტის* საკუთარი პოლიტიკის წარმატების მთავარ განსახიერებადაც მიიჩნია. უამრავი ახალგაზრდა ქართველი, რომელიც ოკეანის გაღმა სწავლობდა ან შინ, სამოქალაქო საზოგადოების სექტორში მუშაობდა, ახლა იმ რეფორმისტული გუნდის წევრი გახდა, რომელსაც სათავეში პრეზიდენტი სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ედგნენ. საქართველოსკენ წამოვიდა ამერიკული ფული და მრჩეველ-მეგობრებიც დაიძრნენ – ქვეყნის ახალ რელსებზე გადაყვანის ამ მცდელობის ხელშესაწყობად. საქართველო აშშ-ის დახმარებისა და ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების უმთავრეს სამიზნედ იქცა; სააკაშვილის გალაშქრებამ კორუფციის წინააღმდეგ დიდად შეუწყო ხელი შინ მისი პოპულარობის ზრდას, ხოლო მისმა ხისტმა ეკონომიკურმა რეფორმებმა საქართველო უცხოური კაპიტალისათვის ერთ-ერთ

მიმზიდველ და ევროპასა თუ ევრაზიაში ეკონომიკურად სწრაფად მზარდ ქვეყნად აქცია.

იმ დროს, როცა ერაყთან ომის შემდეგ ამერიკის იმიჯი საყოველთაოდ შეირყა, სწორედ საქართველო იყო მსოფლიოში ყველაზე უფრო პროამერიკული ქვეყანა; თბილისში ესმოდათ, რომ ამერიკის სიძლიერე და მხარდაჭერა გადამწყვეტი იქნებოდა რუსეთის საპირწონედაც და ნატო-ში გასაწევრიანებლადაც. ვაშინგტონში სააკაშვილს როკ-ვარსკვლავივით ეგებებოდნენ და მას პოლიტიკური ღერძის ორსავე მხარეს ჰყავდა გავლენიანი მეგობრები – ჯონ მაკ-კეინი იქნებოდა ეს, ჯორჯ სოროსი თუ რიჩარდ ჰოლბრუკი. 2005 წლის იანვარში სენატორებმა ჰილარი კლინტონმა და ჯონ მაკკეინმა ერთობლივად წარადგინეს იგი ნობელის მშვიდობის პრემიის ნომინანტად. ასევე, 2006 წლის გაზაფხულზე, როცა პრეზიდენტი ბუში თბილისს ესტუმრა, მას იქ ისე შეხვდნენ, როგორც გმირს – მის პატივსაცემად ასი ათასზე მეტმა ქართველმა მოიყარა თავი თავისუფლების მოედანზე, ხოლო აეროპორტისაკენ მიმავალ გზატკეცილს მისი სახელიც კი უწოდეს.

საქართველო არასოდეს იწვევდა მსგავს აღფრთოვანებას ევროპაში და არც ასეთი მჭიდრო ურთიერთობები დაუმყარებია მასთან. მართალია, ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანია და საფრანგეთი, საქართველოსთან კულტურული კავშირები ჰქონდათ, მაგრამ საქართველოსა და მისი მისწრაფებების მიმართ მაინც გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდნენ. იმას, რასაც დღეს დასავლურ ცივილიზაციად განვიხილავთ, შესაძლოა ფესვები ოდესღაც მართლაც შავი ზღვის ირგვლივ არსებულ უძველეს ქრისტიანულ ცივილიზაციებში ედგა, მაგრამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შთანთქმული ეს ქვეყნები მე-20 საუკუნეში დასავლური ცნობიერებიდანაც ამოიშალა და პოლიტიკურ რუკაზე მათი დაბრუნების შემდეგაც კი ძალზე ბევრი ევროპელი ეჭვობდა – შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თურქეთის მოსაზღვრე საქართველო მართლაც ევროპის ნაწილი იყო თუ არა. მოკლედ, ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებული საფრთხეების შიში მთელ დასავლეთ ევროპაში იგრძნობოდა და ახლა ამიერკავკასიის მიმართულებით ექსპანსია ბევრისთვის უაღრესად სარისკო წამოწყებადაც ჩანდა. საქმეს ვერც სააკაშვილის ბუშთან სიახლოვე და ვერც მისი ევროპისადმი სკეპტიკური განწყობა წაადგებოდა. ევროპელი მაღალჩინოსნები შენიშნავდნენ კიდეც – სააკაშვილი ამერიკის იმედად მყოფი ერთი ფიცხი ვინმეა და რაღაც შარს გადაგვკიდებსო...

ქართულ პოლიტიკასთან ჩემი უშუალო შეხებაც ევროპასთან ურთიერთობების გაბმის თბილისიდან მომდინარე სურვილის შედეგი იყო; ამერიკელი კი გახლავართ, მაგრამ ყველას თვალში პროევროპელად მივიჩნეოდი და ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოებაში შეტანილი ჩემი წვლილიც, ეტყობა, რაღაცას ნიშნავდა. თავიდან აწ გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია დამიკავშირდა და

მთხოვა, ერთგვარი არაფორმალური მრჩევლის როლი მეკისრა. იმხანად მას საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა და სააკაშვილის ალიკვალად მიიჩნეოდა. საქართველოში იცოდნენ, რომ სააკაშვილი ამერიკისთვის მიღებული კაცი იყო, მაგრამ ევროპელებთან მთლად შეხმატკბილებული ვერ ჩანდა. არადა, საქართველოს ამერიკის დახმარება თუმც კი სჭირდებოდა, მისი ჭეშმარიტი მიზანი მაინც ევროპასთან დაახლოება გახლდათ, საამისოდ კი განსხვავებული სტრატეგია და მიდგომები იყო საჭირო.

ჟვანია განსხვავებული ყაიდის პოლიტიკურ ფიგურად გამოიყურებოდა: გაცილებით უკეთ მომზადებული ჩანდა როგორც ევროპელ ლიდერებთან, ასევე მოსკოვთან ურთიერთობისთვის. მას სურდა, ევროპისათვის საქართველოს სახედ ქცეულიყო და თბილისსაც დასავლურ კავშირებში მეტი წონასწორობა დაეცვა. 2004 წლის ბოლოს ერთი კვირა გავატარე მასთან ერთად ბორჯომის მახლობლად, საკურორტო კომპლექსში, რომელიც ჯერ კიდევ ცარისტული რუსეთის დროს აეშენებინათ. ერთ დროს სტალინის რეზიდენციაში გამართულ სადილზე მისულს მითხრეს, რომ ჩვენი სამუშაო შეხვედრა სადღაც შუაღამისას დაიწყებოდა და სამ-ოთხ საათს გასტანდა. პატარა გუნდმა მოვიყარეთ თავი და იმაზე ვმსჯელობდით, უკეთესად როგორ მოგვეხერხებინა საქართველოს ევროპასთან დაახლოება. ყოველ ოციოდ წუთში ოთახში სააკაშვილიც შემოიხედავდა და თავის იდეებს „ჩამოყრიდა“ ხოლმე. უშუალო მომსწრე ვიყავი, როგორ თანამშრომლობდა ეს ორი ლიდერი და როგორ ავსებდა ერთმანეთს. მეორე დილით არავითარი ილუზია არ გვქონია იმის შესახებ, რომ ჩვენს წამოწყებას იოლი ბოლო ექნებოდა, ოღონდ გარკვეული გეგმა თანდათანობით მაინც იკვეთებოდა. 2005 წლის თებერვალში ჟვანიას მოულოდნელმა და საიდუმლოებით მოცულმა გარდაცვალებამ ეს მცდელობები გვარიანად დაამუხრუჭა. ხშირად მიფიქრია, ხომ არ განვითარდებოდა ისტორია სხვაგვარად, ჟვანია რომ ცოცხალი დარჩენილიყო და საკუთარი გეგმების განხორციელება დასცლოდა-მეთქი. იმის მიუხედავად, მის სიკვდილში მოსკოვის ხელი ერია თუ არა, საქართველომ თავისი მმართველი ბირთვის ის წარმომადგენელი დაკარგა, ვისაც ყველაზე უკეთ შეეძლო ევროპასთან და რუსეთთან საუბარიცა და ხშირ შემთხვევაში სააკაშვილის შეუპოვრობის გაწონასწორებაც.

საქართველოს აქილევსის ქუსლი მაინც გაყინული კონფლიქტები გახლდათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. თავის მხრივ, ამ კონფლიქტებსაც საკუთარი ისტორია და დინამიკა ახასიათებდა და სეპარატისტულ რეგიონებთან საქართველოს, ფაქტობრივად, ისეთივე რთული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა, როგორც რუსეთთან. დასავლეთის პოლიტიკურ ხედვაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემები, ხშირ შემთხვევაში ერთობლივად, სიამის ტყუპებივით განუყოფლად მოიაზრებოდა; მაგრამ ეს მხოლოდ უფრო არაერთგვაროვანი სინამდვილის დამახინჯება გახლდათ: აფხაზები და ოსები ორი განსხვავებული

ეთნიკური ჯგუფია – საკუთარი ისტორიითა და ამ რეგიონში მიგრაციის თავ-თავისი გზით. საბჭოთა პერიოდში ორივე გარკვეული ხარისხის ავტონომიით სარგებლობდა, თუმცა ამ სტატუსის ნამდვილი არსი დროთა განმავლობაში იცვლებოდა კიდეც – განსაკუთრებით, აფხაზების შემთხვევაში. გორბაჩოვისეული პერესტროიკის შედეგად – საბჭოური ცენტრის დასუსტებისა და საბოლოო კრახის შემდეგ – ორივე ავტონომიაში ერთნაირი დილემის წინაშე დადგნენ: სსრკ-ის არსებობის ბოლო წლებში როგორც სოხუმის, ასევე ცხინვალის ადგილობრივ ელიტებს თავიანთი გავლენისა და პრივილეგიების დაკარგვის შიში გაუჩნდათ დამოუკიდებელ საქართველოში – მით უმეტეს, როცა ეროვნული მოძრაობის აღზევებისა და მასში გარკვეული ქსენოფობიური ელემენტების მომსწრენიც გახდნენ.

თავის მხრივ, საქართველოს ლიდერებიც იმდენად იყვნენ ჩაძირულნი ამ ახალი ეროვნული თავისუფლების ხიბლში, არც სურდათ და არც შეეძლოთ ფართო ავტონომიის მსგავსი შეეთავაზებინათ მათთვის, რაც ამგვარ შიშებს გააქარწყლებდა. ქართველებს, თავის მხრივ, აშინებდათ ამ უმცირესობათა ყოფნა ან სავარაუდო გადაქცევა მეხუთე კოლონად, რასაც მოსკოვი ჯერ კიდევ მყიფე დამოუკიდებლობის ჩანასახშივე მოსასპობად გამოიყენებდა.[45] ყოველივე ამან მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ორივე ხსენებულ მხარეში ომი გარდაუვალი გახადა. იმხანად საქართველოს სათავეში ედგა ზვიად გამსახურდია – დასავლეთისათვის უპირატესად ცნობილი როგორც მეცნიერი და დისიდენტი; მაგრამ იმავდროულად, ის გულმხურვალე ნაციონალისტიც გახლდათ, რომელიც ხელისუფლების სათავეში შოვინისტური განწყობილებებისა და იმგვარი მოწოდებების ტალღაზე მოვიდა, როგორიც იყო „საქართველო – ქართველებისათვის!“. მსგავსი ხედვის ბნელი მხარე ანგარიშის გასწორებას გულისხმობდა იმ აფხაზ და ოს ლიდერებთან, რომლებიც კრემლის *დაყავი და იბატონეს* პოლიტიკით ითბობდნენ ხელს. როცა გამსახურდიამ ამ უფლებათა და ავტონომიათა შეკვეცა მოისურვა, დენთის კასრის პატრუქსაც სწორედ მაშინ წაუკიდა ცეცხლი.

პირველი ნაპერწკალი, რამაც ძალადობის ალი ააბრიალა, 1990 წლის ოსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის გადაწყვეტილება გახლდათ, რომელმაც თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, და მოინდომა ქედს გადაღმა მდებარე ჩრდილოეთ ოსეთს შეერთებოდა. იმხანად სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაახლოებით 2/3-ს ოსები და 1/3-ს ქართველები შეადგენდნენ. პასუხად გამსახურდიამ სამხრეთ ოსეთის ოსური მოსახლეობა კრემლის აგენტებად და საქართველოს დაშლის რუსული გეგმის აღმსრულებლებად გამოაცხადა. თბილისმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსი გააუქმა და იქ ჯარი გაგზავნა. თუმცა ცუდად გაწვრთნილი ქართული ნაწილები გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ სამხრეთ

ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან, რომელთაც რუსეთის არმიის წარმომადგენლები და ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსული მოხალისეები ეხმარებოდნენ. 1992 წლის ივლისის შეთანხმებამ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე დროებით შეაჩერა დაპირისპირება და საბოლოო სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებებს დაუდო სათავე. ამ ომმა რამდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და დაახლოებით 10000 ლტოლვილი გააჩინა, რომელთაგან ნაწილი რუსეთში გადავიდა, ნაწილი კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსახლდა.

ომი აფხაზეთში უფრო მოგვიანებით დაიწყო და საქართველოსათვის გაცილებით უფრო მძიმე შედეგებით დასრულდა: აფხაზეთში საკუთრივ აფხაზები უმცირესობას შეადგენდნენ და მთელი მოსახლეობის 20%-ს არ აღემატებოდნენ, მაშინ როცა ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა თითქმის 50%-ს უტოლდებოდა. თუმცა მოვლენათა განვითარების დინამიკა აქაც მსგავსი აღმოჩნდა: აფხაზეთის პოლიტიკური და იდეოლოგიური ლიდერებისათვის საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფა სოხუმში მათი გავლენის დაკარგვის ტოლფას საფრთხედ აღიქმებოდა, ხოლო ხელისუფლების სათავეში გამსახურდიას მოსვლამ კიდევ უფრო გაუღვივა მათ მდგომარეობის დაკარგვისა და მოსალოდნელი შევიწროების შიში. როდესაც მისი მმართველობის სულ უფრო და უფრო ავტოკრატიული და გაუაზრებელი გეზის გამო გამსახურდიას უკვე თავად საქართველოში შეექმნა პრობლემები, აფხაზებმა ვითარებით სარგებლობა მოინდომეს და მათაც დამოუკიდებლობაზე დაიწყეს ლაპარაკი.

1992 წლის იანვარში სამხედრო საბჭომ გამსახურდია დაამხო, ქვეყნიდან განდევნა და მის ნაცვლად ედუარდ შევარდნაძე მოიწვია, რომელსაც ქვეყანაში ახალი ხელისუფლება უნდა ჩამოეყალიბებინა. თავიდან შევარდნაძეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა, მოგვიანებით კი, 1995 წელს, პრეზიდენტადაც აირჩიეს. მართალია, იგი საქართველოში დაპირისპირებულ ძალთა გამთლიანებას და, ასევე, აფხაზებსა და ოსებთან მოლაპარაკებას ცდილობდა, მაგრამ ვითარებას სრულად მაინც ვერ აკონტროლებდა. 1992 წლის ზაფხულში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თვითნებურად მიიტანა იერიში აფხაზეთზე – საქართველოს არმიისა და გასამხედროებული შენაერთების ნაწილები ამ სეპარატისტულ მხარეში შევიდნენ და თავიდან დედაქალაქ სოხუმის დაკავებაც მოახერხეს, მაგრამ პოზიციების შენარჩუნება კი ვერ შეძლეს. აფხაზების დასახმარებლად ხელი გამოიღეს როგორც რუსმა სამხედრო მეთაურებმა, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც.

1993 წლის მიწურულს აფხაზებმა რუსეთის სამხედრო ძალებისა და ჩრდილოეთ კავკასიელი მოხალისეების დახმარებით ცუდად მომზადებულ ქართულ შენაერთებს უკან დახევა აიძულეს. საქართველოსთვის საბოლოო მარცხი გამოდგა ის ნაბიჯი, როცა ომის დასრულების მოსურნე შევარდნაძემ,

ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ, სოხუმიდან ქართული ჯარისა და მძიმე არტილერიის გამოყვანაზე განაცხადა თანხმობა. აფხაზებმა დაუყოვნებლივ დაარღვიეს შეთანხმება, ქართველთა დარჩენილი პოზიციები დაიკავეს, ქართულ ნაწილებს მდ.ენგურს იქით დაახევინეს და აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს გამყოფ ამ პოზიციაზე რჩებოდნენ კიდეც 2008 წლის აგვისტომდე. ამ სამხედრო მარცხს აფხაზეთიდან 230000 ეთნიკური ქართველის გამოდევნაც დაემატა და ეს ყოველივე ძალიან ჰგავდა ყოფილ იუგოსლავიაში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას, სადაც შინა ომი იმავე, 1991 წელს დაიწყო.

აფხაზთა ამგვარი ქმედებები გამორიცხული იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე. რუსეთის ჩარევა აშკარა გახდა, როდესაც ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს და მისი მფრინავი რუსეთის საჰაერო ძალების ოფიცერი აღმოჩნდა. არც ქართველების გამოდევნა ყოფილა ანგარიშსწორების სპონტანური გამოვლინება – ეს ხელისუფლების მიზანმიმართული კამპანია და სტრატეგიაც კი გახლდათ, რასაც თავიდან ბოლომდე თუ არ წარმართავდა, დიდად უწყობდა ხელს რუსეთი. ომის მიწურულს შეიქმნა ე.წ. უსაფრთხოების ზონა აფხაზეთის ისტორიულად ქართველებით დასახლებულ, მაგრამ იმხანად გაუკაცურებულ აღმოსავლეთ საზღვართან. ის მოიცავდა 12 კილომეტრიან ზონას დანარჩენ საქართველოსთან საზღვრის ორსავე მხარეს და კიდევ 12კმ-ს – სადაც მსხვილკალიბრიანი შეიარაღების გამოყენება იყო აკრძალული.

ომმა უკიდურესად ღრმა ჭრილობები დატოვა ერის შეგნებაში. ამ სასტიკ შეხლაში, რაც ზოგჯერ თითოეული სახლისათვის ბრძოლის სახეს იღებდა, ორივე მხარემ სრული დაუნდობლობა გამოავლინა; არც ქართველები იყვნენ წმინდანები – არც მათ შეუკავებიათ თავი ძალადობისაგან, სოხუმი „გაწმინდეს“ და აფხაზთა ეროვნული სიწმინდეებიც ხელყვეს. უკან დახევისასაც კი, ისინი *იავარქმნილი მიწის* საშინელ ტაქტიკას მიმართავდნენ... ცნობილმა ინგლისელმა საგარეო კორესპონდენტმა, ნილ ეშერსონმა, ამ რეგიონის ისტორიის შესახებ წიგნი დაწერა სათაურით „შავი ზღვა“ და იქ აღწერს კიდეც, რა მდგომარეობაში დაუხვდა დამწვარ-დანგრეული სოხუმი – ომის დამთავრებიდან 9 თვის შემდეგაც კი! მისი თქმით, აფხაზები, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ სახლში ბატონ-პატრონებად კი იქცნენ, მაგრამ თავად სახლს ჭერი აღარ ეხურა და დაცარიელებულ ოთახებშიც უაზროდ დაბორიალებდნენო. „ამ მცირერიცხოვანი, ამაყი ხალხის მთავარი საგანძური – ეროვნული მუზეუმი და სახელმწიფო არქივი ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს და აფხაზეთის ისტორიაც ფერფლად აქციეს“.[46]

ჩასული კაცისთვისაც კი, სოხუმიცა და ცხინვალიც მძიმე სანახავი იყო. 2005 წელს მეც იმ პატარა გუნდის შემადგენლობაში ვიყავი, რომელმაც „მარშალის ფონდის“ ეგიდით საქართველოს გაყინული კონფლიქტების რეგიონები

რამდენჯერმე მოიარა; იქ ჩასვლის მიზანი დასავლელი პოლიტიკოსებისათვის, ანალიტიკოს-თეორეტიკოსებისა და ჟურნალისტებისათვის კარგი შესაძლებლობა იყო, უშუალოდ პირველწყაროდან გაცნობოდნენ კონფლიქტების შედეგებს. მახსოვს ჩემი პირველი ჩასვლა აფხაზეთში: სოხუმში გაერო-ს შვეულმფრენით გადაგვისროლეს (ზღვის თავზე მივფრინავდით – გვეშინოდა, ხმელეთიდან სროლა არ აეტეხათ) და ერთ დროს იქაურ მთავარ აეროპორტში დავეშვით. იქვე პალმის ხეებით მოფენილი მშვენიერი სანაპირო მოჩანდა. მერე უკაცრიელ და, ცოტა არ იყოს, უგემოვნოდ ნაგებ აეროპორტის შენობაში შევედით. ქალაქის გზაზე აქა-იქ თუ გვხვდებოდა თითო-ოროლა მანქანა და რამდენჯერმე ძროხების გადადენაც კი მოგვიხდა...

ომამდე აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 500000 იყო, ომის შემდეგ კი 200000-ღა თუ დარჩა. ეთნიკური წმენდისა და მოსახლეობის იქიდან გამოქცევის შემდეგ შედარებით მჭიდროდ დასახლებულად მხოლოდ სოხუმი გამოიყურებოდა, თუმცა აქაც ყოველ ნაბიჯზე თვალშისაცემი იყო ომის კვალი. დევნილი თუ აყრილი ქართველებისა და სხვა ეროვნების მოქალაქეების ჩანაცვლებას ჯერჯერობით, პირი არ უჩანდა. სახურავებახდილი, გადამწვარი სახლებიდან უკვე ხეებიც ამოზრდილიყო. ქალაქში აქ არსებული ვითარებისთვის უჩვეულოდ ბევრი, კბილებამდე შეიარაღებული ჯიგიტებით სავსე, ფანჯრებჩამუქებული BMW და მერსედესი მოძრაობდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ აღებ-მიცემობა (სავარაუდოდ, უკანონო) აქ, შეიძლება ითქვას, ყვაოდა. ე.წ. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთ პატარა, უღიმღამო შენობაში იყო განთავსებული, რომლის კარის გასაღებად კარგა ხანს ველოდეთ რომელიღაც თანამშრომელს. ჩვენს დელეგაციას ბალკანეთის ომების ვეტერანი და შემდგომში შვედეთის საგარეო მინისტრი კარლ ბილდტი ხელმძღვანელობდა. როცა აფხაზმა მასპინძლებმა ჰკითხეს, რა შთაბეჭდილება დაგრჩათო, უპასუხა: რაღაცით ბალკანეთს კი მაგონებს, მაგრამ აქაურება კიდევ უარესიაო – და მასპინძლებსაც სახე ეცვალათ.

სამხრეთ ოსეთში ვითარება კიდევ უფრო დამთრგუნავი ჩანდა: ეს მხარე აფხაზეთზე პატარაც იყო და ღარიბიც; საბჭოთა კავშირის დაშლის დროს აქ 100000 ადამიანი სახლობდა, 2008 წლის ზაფხულისათვის კი უკვე მხოლოდ 60000. თუმცა, როგორც ზოგადად კავკასიაში, აქაც ძალზე რთული იყო ზუსტი რაოდენობის დადგენა, რადგან ეს საქმე პოლიტიკის, მუდმივი კამათისა და მანიპულაციების საგნად რჩებოდა – დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ეკონომიკური თვალსაზრისით, იქაურობა ჩრდილოეთიდან მთებით შემოსაზღვრულ არეალს წარმოადგენდა, რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა იმთავითვე სამხრეთისკენ, თბილისზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. სოფლის მეურნეობას თუ არ ჩავთვლით, ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ძირითადად, როკის გვირაბის

გავლით რუსეთში კონტრაბანდული გადაზიდვები მოიაზრებოდა. როგორც ეუთო-ს ერთმა თანამშრომელმა მითხრა, ამის აღსაკვეთად ვინმეს როკის გვირაბთან ერთი რიგიანი საბაჟო რომ გაემართა, ეს წყარო უცებვე დაშრებოდა და იქნებ, სეპარატისტული ხელისუფლება იძულებულიც გამხდარიყო, თავად ეთხოვა მშვიდობა.

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს ერთი ის „უპირატესობა" ჰქონდა, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგის ომს აქ ისეთივე დამანგრეველი კვალი არ დაუტოვებია, როგორც აფხაზეთში. აფხაზებისაგან განსხვავებით, ოსები აქ კვლავაც ქართველების გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ – ყველა სირთულის მიუხედავად. ცხინვალი არასოდეს ყოფილა მრავალეთნიკური ქალაქი, როგორც, ვთქვათ, სარაევო, მაგრამ ოსური და ქართული სოფლები მთებსა და ხეობებში მუდამ გვერდიგვერდ იყო განლაგებული – თითქოს ერთგვარი ჭადრაკული წესით. ამ სოფლების მოსახლეობა კვლავაც თანაარსებობდა და ურთიერთკავშირისა თუ შერეული ქორწინებების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა. მეტიც, ადმინისტრაციული საზღვარი სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის სულაც პირობითი იყო და მისი გადალახვაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ოსებს არ უჭირდათ მანქანით გორში ჩასვლა სამკურნალოდ ან სულაც თბილისში სტუმრად სიარული.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს იქ მტრობა დასრულდა, მაგრამ როცა შეტაკებები ხდებოდა ხოლმე, ადვილად ვერავინ იტყოდა – ეს უფრო დიდი პოლიტიკური თამაშის ნაწილი იყო, თუ უბრალო სამეზობლო შეხლა-შემოხლა, რასაც საუკუნეების განმავლობაში ისედაც ჰქონდა ადგილი. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონფლიქტის ოფიციალური ზონა ალბათ მთელი ამ რეგიონის მხოლოდ ნახევარს მოიცავდა – არსებითად, ეს იყო ერთგვარი წრე, რომლის ცენტრი ცხინვალში მდებარეობდა და რადიუსი 15 კმ-ს არ აღემატებოდა. ამ კონფლიქტის ზონის სულ ცოტა, ნახევარს მაინც, საქართველოც აკონტროლებდა: თითო ანკლავს ცხინვალის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით და ასევე ტერიტორიას სამხრეთისაკენ – გორის მიმართულებით. ასე რომ, აქაურობას ერთ მთლიან ტერიტორიას ძნელად თუ დაარქმევდით. ეს ვითარება იმდენად ხელოვნური ჩანდა, რომ, ბევრის აზრით რუსეთი სამხრეთ ოსეთს მხოლოდ პაიკად იყენებდა რაღაც უფრო დიდ თამაშში და სამომავლო მიზნიდან გამომდინარე, ნებისმიერ წუთს დაუნანებლად „შეწირავდა" კიდეც.

რუსეთის გავლენა და ზემოქმედების ბერკეტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, ომების დამთავრების შემდეგ აქ გატარებული სხვადასხვა სადამკვირვებლო და სამშვიდობო ღონისძიებების შედეგად – სხვათა შორის, მუდამ საერთაშორისო თანამეგობრობის შეწევნითა და ლოცვა-კურთხევით. ფაქტობრივად, ეს „პირველცოდვის" დანაშაულის ტოლფასი იყო და ამ კონფლიქტებისადმი

მსგავსი მიდგომა დასავლეთს მწარედ მოუბრუნდა უკან – 2008 წლის ზაფხულში. კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის დაცვის უმთავრესი პრინციპი ის გახლავთ, რომ სამშვიდობო ძალა ნეიტრალური უნდა იყოს და ორივე დაპირისპირებული მხარის ნდობითაც სარგებლობდეს; საქართველოს შემთხვევაში ეს პრინციპი არანაირად არ მუშაობდა: მართალია, დასავლეთი ცეცხლის შეწყვეტის კუთხით შუამავლობას ეუთო-სა და გაერო-ს მეთვალყურეობის გზით აპირებდა, მაგრამ იმავდროულად, მზად არ იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ამ შორეული რესპუბლიკის კონფლიქტურ მხარეებში საკუთარი სამშვიდობო ძალები გაეგზავნა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერის ნათქვამი ყოფილ იუგოსლავიაში დაწყებულ ომთან დაკავშირებით – ამ ბალკანურ დაკა-დაკაში ფეხი არ ჩაგვივაო – ორმაგად მართებული აღმოჩნდა, როცა ჯერი საქართველოსა და ამიერკავკასიაზე მიდგა.

ვაშინგტონმა და მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა ფსონი იმაზე დადეს, რომ ბორის ელცინისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრეი კოზირევის „ახალი რუსეთი" განსხვავებული იქნებოდა და სხვაგვარად, პოსტიმპერიალისტურად მოიქცეოდა. კაცმა რომ თქვას, იმ დროს არჩევანიც არ იყო დიდი: გაერო-სა და ეუთო-ს ღონისძიებათა ორი დამოუკიდებელი მიმართულება გულისხმობდა, რომ როგორც აფხაზეთში, ასევე სამხრეთ ოსეთშიც დასავლეთი რუსეთის მთავარ სამშვიდობო ძალად ცნობას თანხმდებოდა. რუსეთს უფლება მიეცა 3000 სამშვიდობო ჰყოლოდა აფხაზეთში, ხოლო ქართველთა თანამონაწილეობა იქ არანაირად არ ფიქსირდებოდა. სამხრეთ ოსეთში შერეული სამშვიდობო ძალების კონტინგენტი შეიქმნა, რომელიც რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და ქართული ბატალიონების ერთობლიობა უნდა ყოფილიყო – იმავე რუსეთის საერთო ხელმძღვანელობით. ორივე ეს ღონისძიება დასავლეთის მხარდაჭერით ტარდებოდა და სამშვიდობოებსაც მომდევნო 15 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად უახლებდნენ მანდატს.

მაგრამ ამ თამაშს ხეირი არ მოუტანია: პირიქით – ვითარება სულ უფრო და უფრო იძაბებოდა და სახიფათოც ხდებოდა. საბოლოო ჯამში, სწორედ ამგვარი გადაწყვეტილებები იქცა 2008 წლის აგვისტოში გაჩაღებული ომის მთავარ კატალიზატორად. მოკლედ, *მელიას საქათმის ყარაულობა დაავალესო* – ასე გამოვიდა და საქართველოც იძულებული გახდა რუსეთთან იმთავითვე უიმედო ბრძოლაში ჩაბმულიყო. რაც უფრო მეტად იხრებოდა რუსეთი ნაციონალიზმისაკენ, მით უფრო მტაცებლური მეთოდებით ცდილობდა ვითარების სათავისოდ გამოყენებას: ის ძალა, რომელიც, სავარაუდოდ, მიუკერძოებელი და სამშვიდობო დანიშნულების მატარებელი უნდა ყოფილიყო, საბოლოოდ აგრესორად და დამპყრობლად მოგვევლინა. დასავლეთი შექმნილ ვითარებას ეგუებოდა და ხშირად თვალსაც კი ხუჭავდა იმ იმედით – ორი ბოროტებიდან ნაკლებს ავირჩევ, სულ არარაობას ისევ აფხაზეთში გაერო-ს, სამხრეთ ოსეთ-

ში კი ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიების არსებობა სჯობს და ასეთი, თუნდაც უხეირო გამჭვირვალობის პირობებშიც კი, ავად თუ კარგად, რუსეთის აგრესიის შეკავებას როგორმე მაინც მოვახერხებო.

საქართველოს კი ამგვარი სტრატეგია და ტაქტიკა სულ უფრო მძიმე ვითარებაში აგდებდა: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერები ჯიუტად და დაჟინებით მოითხოვდნენ სრულ დამოუკიდებლობას, ხოლო საქართველო მათ რაღაც კონფედერაციის* მსგავსი გაერთიანების ფარგლებში სთავაზობდა უფრო ფართო ავტონომიას; ამ დროს რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობისაგან როგორც ცეცხლის განუახლებლობის დაცვის, ასევე მოლაპარაკებების წარმართვის მანდატი ჰქონდა მინიჭებული – თუმცა ნათელი იყო, რომ ვითარების მშვიდობიანი მოგვარება რუსეთს სრულებითაც არ აინტერესებდა. არადა, თავად ეს მანდატები მოსკოვს საერთაშორისო საფარველქვეშ თავისუფლად მოქმედების საშუალებას აძლევდა, თბილისს კი სამმხრივი დიპლომატიური ფორმატით ჰქონდა ხელ-ფეხი დაბორკილი და ამ ფორმატში შუამავალი აშკარად კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს უჭერდა მხარს, ანუ რუსული ძალები ამ რეგიონებში მხოლოდ სახელად თუ იყვნენ „სამშვიდობოები“.

რაც უფრო მკაცრდებოდა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, მით უფრო მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ეს ძალები ადგილობრივ სეპარატისტ მმართველებთან და შეირაღებულ ფორმირებებთან, ამ რეგიონებში არავითარი დათბობა რომ არ დაეშვათ – პირიქით, ხელიც შეეწყოთ იმ პოლიტიკისათვის, რაც უფრო გააღრმავებდა ამ მხარეების გათიშვას საქართველოსაგან. როცა საქართველო გაერო-სა თუ ეუთო-ს ამა თუ იმ ინციდენტის გამოძიებას სთხოვდა, ან გარკვეული წონასწორობის დასაცავად უფრო ფართო საერთაშორისო წარმომადგენლობას მოითხოვდა რეგიონში, ის მუდმივად მოსკოვის წინააღმდეგობას აწყდებოდა, რომელიც ვეტოს უფლებას იყენებდა მსგავსი ნაბიჯების დასაბლოკად. ქვეყანა იმ მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდა, როცა, ეტყობა, ყველა გზა მოსკოვისაკენ მიდიოდა, თავად მოსკოვი კი მიზანმიმართულად არ აპირებდა არაფრის შეცვლას.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ მიხეილ სააკაშვილს ამგვარი ვითარება მემკვიდრეობად ერგო. მას განზრახული ჰქონდა ორი უმთავრესი გზით გაეწყვიტა კავშირი წარსულთან: პირველი ქვეყნის „გადასავლურებას“ გულისხმობდა; იგი ხედავდა, როგორ დაძლიეს სირთულეები და როგორ მოახერხეს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანე-

---

* ალბათ ავტორი არ გულისხმობს ამ ტერმინის იურიდიულ მნიშვნელობას და აქცენტი სუვერენიტეტის განაწილების ზოგად პრინციპზე აქვს. ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობას ამ რეგიონებისთვის კონფედერაციული მოდელი არ შეუთავაზებია. ეს შენიშვნა ეხება ტექსტში არსებულ ყველა იმ ადგილს, სადაც ავტორი კონფედერაციას ახსენებს, კერძოდ, გვ.83 , გვ.89 (რედ. შენიშვნა)

ბით დასავლეთთან დაკავშირება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა თუ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა; მას სწორედ ბალტიისპირეთის გამოცდილების გაზიარება და საქართველოს ისეთ „რეფორმისტულ ვეფხვად" ქცევა ეწადა, რომელიც დასავლეთს ამ ქვეყანაზე შეხედულებას შეაცვლევინებდა და დასავლური თანამეგობრობის ნაწილად აღიარებინებდა. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის მოსვლისას საქართველო გაკოტრებული ჩანდა და ვერშემდგარი სახელმწიფოს იმიჯიც თან ახლდა, „ვარდების რევოლუციის" ლიდერებმა წარმატებით წამოიწყეს შორსმიმავალი რეფორმები, რამაც ქვეყანა სასიკეთოდ შემოაბრუნა და სულ რამდენიმე წელიწადში წარმატებული ეკონომიკური გარდაქმნების თავისებურ მაგალითადაც აქცია.

2005-დან 2008 წლამდე საქართველოში მართლაც შეინიშნებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 8,5 თუ კიდევ უფრო მეტი პროცენტით; ამავე პერიოდში სამჯერ და მეტჯერაც გაიზარდა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი – ლამის 150%-ით! საგადასახადო შემოსავლების მობილიზება 400%-მდე ავიდა, უცხოური ვალუტის ოდენობამ ქვეყანაში თითქმის 8-ჯერ იმატა, და სახელმწიფოს დავალიანებებიც საგრძნობლად შემცირდა. კორუფციის დონემ ძალიან მაღალიდან ერთ-ერთ უდაბლესამდე დაიწია – ზოგადად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მაჩვენებლების მიხედვით.[47] ქართული არმიის ნაწილები აშშ-ისა და ნატო-ს მისიებში ჩაერთო და ბალკანეთსა და ერაყში გაემართა. ნატო-ს მოკავშირეობა და საბოლოოდ მასში გაწევრიანება – ისევე როგორც ალბათ შემდგომ ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე დადგომა – ჯერ კიდევ აშკარად შორეულ პერსპექტივად მოჩანდა, მაგრამ ამას რაღაც აუხდენელ ოცნებად უკვე ვეღარ მონათლავდით.

„დასავლეთისაკენ სვლის" ამ მისწრაფებებმა საქართველო ისევ რუსეთთან დაპირისპირების გზაზე დააყენა. 1989-91 წლებში, კომუნიზმის იდეის გაქარწყლებისა და სსრკ-ის დაშლის შემდგომ, დასავლეთმა ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის შექმნა დაისახა მიზნად. ამ მიზნის ამოსავალი პრინციპი, რაც ე.წ. *პარიზის ქარტიაში* გაცხადდა და 10 წლის შემდეგ, 1999 წელს, სტამბოლში ხელმოწერილ *ევროპის უსაფრთხოების ეუთო-ს ქარტიაშიც* დადასტურდა, ყველასათვის თანაბარი უსაფრთხოებისა და ყველა ქვეყნის მიერ უსაფრთხოების საკუთარი პოლიტიკის არჩევის უფლება გახლდათ – მათ შორის, ნებისმიერ ალიანსში გასაწევრიანებლად. ეს ყოველივე იმ საძირკვლის ნაწილად მოიაზრებოდა, რასაც ცივი ომის შემდგომი ევროპა უნდა დაფუძნებოდა – ყოველგვარი გამყოფი ხაზებისა თუ გავლენის სფეროების გარეშე. თავდაპირველად, ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოებაც ევროპის გამთლიანებისა და ცივი ომის დროინდელი ხელოვნური დაყოფების აღმოფხვრისაკენ მიმართული ამ ზოგადი ხედვის ნაწილად მოიაზრებოდა: ეს იმ ძალისხმევის

ერთ-ერთი შემადგენელი იყო, რასაც ნატო ახალი ეპოქის შესაბამისად უნდა გარდაექმნა და ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ისე დაეკავშირებინა დასავლეთთან, რომ პარალელურად რუსეთთან საერთო ენის გამონახვა, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება და თანამშრომლობის გაღრმავებაც მოხერხებულიყო.

მოსკოვი, საბოლოო ჯამში, ნატო-ს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოებას თითქოს შეურიგდა კიდეც და ალიანსმაც, თავის მხრივ, პირველი ნაბიჯები გადადგა პარალელურად ნატო-რუსეთის ურთიერთობების გასამართავად. პრეზიდენტი ელცინი საჯაროდ კი ეწინააღმდეგებოდა ნატო-ს გაფართოებას, თუმცა კერძო საუბრებში აღიარებდა, რომ ალიანსს საფრთხედ არ განიხილავდა და წარმოიდგინეთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასავლეთისაკენ ლტოლვასაც გაგებით ეკიდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მას სურდა რუსეთიც, ასე ვთქვათ, „დასავლეთისაკენ მიბრუნებულიყო". ის ხშირად ყურსაც არ უგდებდა იმ მრჩევლებს, რომლებიც ამ საკითხში მეტი სიხისტისკენ მოუწოდებდნენ – ნამდვილ თავსატეხად უფრო ის უჩანდა, რომ სწორედ ნატო-ს გაფართოების თემას მის წინააღმდეგ შინ გამოიყენებდნენ მისი ოპონენტები – როგორც ნაციონალისტი მემარჯვენეები, ისე კომუნისტი მემარცხენეებიც. ელცინი მზად იყო კომპრომისისათვის, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი სათანადო გარანტიები ექნებოდა, რომ ნატო-ს შემდგომი გაფართოება არ იგულისხმებდა ალიანსის მიერ ახალი წევრების ტერიტორიაზე მსხვილი სამხედრო ობიექტების განთავსებას და იმავდროულად მოსკოვთან ურთიერთობებსაც გააღრმავებდა.

აი, ამგვარი პოლიტიკური ხედვა დაედო საფუძვლად ნატო-ს გაფართოების პირველ რაუნდს და 1997 წელს ხელმოწერილ „ნატო-რუსეთის თანამშრომლობის" აქტს. იგივე პრინციპები ერთხელ კიდევ დადასტურდა ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე 1999 წელს, როცა მონაწილე სახელმწიფოებმა და მათ შორის რუსეთმაც „პარიზის ქარტიის" ახალ, ვითარების შესაბამისად სახეცვლილ ვარიანტს მოაწერეს ხელი. პირადად გახლდით ჩართული ამ დოკუმენტის მომზადებისა და შემდგომი განხილვის პროცესში: იგი ადასტურებდა „ყოველი მონაწილე სახელმწიფოს ხელშეუხებელ უფლებას, თავისუფლად აირჩიოს და საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს უსაფრთხოებისაკენ მიმართული ღონისძიებები – მათ შორის, ალიანსებში გაწევრიანება." იმავდროულად, ეუთო-ს წევრ არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა გასჩენოდა ე.წ. „გავლენის სფეროების" შექმნის სურვილი.[48] როდესაც 2002 წ. პრაღის სამიტზე ნატო-ს გაფართოების მეორე რაუნდი დადგა დღის წესრიგში, მოსკოვმა ამას კიდევ უფრო ნაკლები პოლიტიკური წინააღმდეგობა გაუწია, ვიდრე პირველი რაუნდის დაწყებას – იმის მიუხედავადაც კი, რომ ნატო ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს უღებდა კარს და, შესაბამისად, უკვე პოსტ-საბჭოთა სივრცეში შემოდიოდა.

მეორე რაუნდის განხორციელებამდე ალიანსმა მოსკოვს თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება შესთავაზა – ახალი „ნატო-რუსეთის საბჭოს“ შექმნის ფორმით, სადაც მოსკოვი ალიანსის წევრების თანასწორ პარტნიორად მოიაზრებოდა. პრაღის სამიტის დასრულების შემდეგ ეს ახალი ორგანო მალევე გაფორმდა. სიმბოლურად ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი მრგვალ მაგიდასთან – ნატო-ს ენით რომ ვთქვათ – „19+1“ ფორმატში კი აღარ იჯდებოდა, არამედ ახალი, „20-იანთა კლუბის“ სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა და ერთობლივი მოქმედებების ერთობლივად დაგეგმვაშიც მიიღებდა მონაწილეობას.

როდესაც ნატო-რუსეთის საბჭოს დაფუძნების შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ალიანსის იმჟამინდელ გენერალურ მდივანს, ლორდ რობერტსონს სთხოვეს აეხსნა, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა განსხვავება ურთიერთობის ძველსა და ახალ ფორმებს შორის, მან განაცხადა: „აქ მთავარი ქიმიაა და არა არითმეტიკა!“ პრეზიდენტი ბუში კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა თქვა: „ნატო-რუსეთის საბჭო რუსეთს ალიანსთან ალიანსის შეკვრას სთავაზობსო...“ იმ დროს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გარეგნულად სრულიად მშვიდი ჩანდა პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზე საუბრისას; როდესაც სამიტის შემდეგ პრესკონფერენციაზე მას აზრის გამოთქმა სთხოვეს ნატო-სკენ უკრაინის სწრაფვასთან დაკავშირებით, მან ასე უპასუხა: „უკრაინა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა და მშვიდობისა და უსაფრთხოებისაკენ მიმავალ გზასაც თავად აირჩევს“; შემდეგ დასძინა: *ამგვარი დიალოგი [უკრაინასა და ნატო-ს შორის] სავსებით დროული და შესაძლებელიცაა, ნამდვილად ვერაფერს საორჭოფოს ამაში ვერ ვხედავ – ვერაფერს ისეთს, რაც რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობებს მიაყენებდა ჩრდილს*“.[49]

როგორც დროის გადასახედიდან გამოჩნდა, ეს თურმე მხოლოდ ერთგვარი გაყუჩება იყო ქარიშხლის წინ. მომდევნო რამდენიმე წელიწადში პუტინმა მკვეთრად შეცვალა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური კურსი. მართალია, როდესაც 2000 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა, თავდაპირველად რეფორმატორის ლექსიკონით საუბრობდა და „რუსეთის დასავლურ გეზზე“ ლაპარაკობდა, მაგრამ მალევე ავტოკრატიული იდეოლოგია აიტაცა და ე.წ. „სუვერენული დემოკრატიის“ თეზისი დასახა უმთავრესად. ასევე იქნა უარყოფილი მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ელცინისეული ანტიიმპერიალისტური და პროდასავლური საგარეო პოლიტიკის ხაზიც. ამის ნაცვლად, სამოქმედო სტრატეგიად ცალსახა ნაციონალიზმი გამოიკვეთა. პუტინმა ნაბიჯ-ნაბიჯ გადაუხვია დასავლეთთან დაახლოების ელცინისეულ პოლიტიკას და 11 სექტემბრის ტრაგედიის მერე გაცხადებულ თავისსავე პოზიციას. თუკი ელცინი საბჭოთა კავშირის დაშლაზე ისე საუბრობდა, როგორც რუსეთის გათავისუფლებაზე კომუნიზმისაგან, პუტინმა 2005 წლის გაზაფხულზე ცნობილი ფრაზა წარმოთქვა –

საბჭოთა კავშირის დაშლა მე-20 საუკუნის „უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ იყოო.[50]

რუსეთის უმთავრეს მიზანს დასავლეთისაკენ სვლა უკვე აღარ წარმოადგენდა: ამის ნაცვლად, პუტინმა საკუთარი, „ევრაზიული გზა“ აირჩია, რაც მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მწყობრ კონცეფციადაც განავითარა. მაგრამ რაც უფრო ნათლად გამოიკვეთა რუსეთში გადაწყვეტილება – დასავლეთის მოკავშირეობაზე თავად ეთქვა უარი, მით უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევდა მასში მეზობლების განსხვავებული სურვილები. შესაბამისად, როდესაც 2003 და 2004 წლებში ჯერ „ვარდების“, შემდეგ კი „ნარინჯისფერი“ რევოლუციები მოხდა, დასავლეთში მათ მიესალმნენ როგორც ახალ, დემოკრატიულ გარღვევას და მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დემოკრატიზაციის ტალღის უფრო შორს, აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლების შესაძლებლობას. აი, მოსკოვში კი ამ რევოლუციებში მხოლოდ საფრთხე დაინახეს: იმავე პუტინისათვის, რომელიც სულ რაღაც ორიოდ წლის წინ სრულიად მშვიდად საუბრობდა უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზე, ახლა უკრაინასა და საქართველოში განვითარებული მოვლენები რუსეთისათვის მომაკვდინებელ საფრთხედ აღიქმებოდა. როგორც ერთგან ივან კრასტევი წერდა, „ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციები მოსკოვისათვის იგივე იყო, რაც 11 სექტემბერი – დასავლეთისათვის, და ამ გაუთვლელი საფრთხის ფონზე განგაშის ზარების დარისხებას აიძულებდა“. ამიერკავკასიაში ლიბერალური დემოკრატიისა და პროდასავლური მმართველობის ფესვების გადგმის შესაძლებლობაც კი მძაფრი გამოწვევა გახლდათ პუტინისეული „ახალი“ რიტორიკისათვის, რაც „სუვერენული დემოკრატიის“ მეშვეობით რუსეთის სახელმწიფო ძლიერების აღდგენას გულისხმობდა. ამავე დროს, საქართველოსა და უკრაინაში განვითარებული მოვლენები სათუოს ხდიდა მოსკოვის ძალისა და გავლენის შენარჩუნებას ყოფილ სამეზობლოში. ამ მოვლენებს შეეძლო ბუმერანგის როლი ეთამაშა თავად რუსეთისთვის და მისსავე ფარგლებში ეპოვა გამოძახილი – უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც სეპარატიზმი უკვე ისედაც დიდ პრობლემად იყო ქცეული.[51]

მოსკოვის რეაქცია ვარდებისა და ნარინჯისფერ რევოლუციებზე ხან ისტერიული გახლდათ და ხანაც – საერთოდ რაღაც სიურრეალისტური: რუსმა იდეოლოგიურმა დასტაქრებმა შეთქმულების თეორიის ახალი ტალღა ააგორეს და იმ ყველაფრის ახსნა, რაც საქართველოსა თუ უკრაინაში ხდებოდა, ზოგადად დასავლეთის და კონკრეტულად აშშ-ის ბოროტი ხრიკებით მოინდომეს. ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციებს რაღაც მითიური ძალა მიეწერა, მათი ძალისხმევით აიხსნა რევოლუციური მოძრაობების წამოწყება და რუსეთის პრესის ფურცლებზე ფერადი რევოლუციების „რუხ კარდინალებად“ აშშ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსნები შეირაცხნენ. მოსკოვმა სასწრაფოდ წამოიწყო

იმგვარი სტრატეგიის შემუშავება, რაც ამ მოვლენების საპირწონედ გამოდგებოდა და მის საზღვრებთან მომდგარ დასავლურ ტალღას უკან დაახევინებდა.

როგორც დასავლური რეფორმების ყველაზე გულმხურვალე გამტარებელი და ნატო-ს წევრობის მთავარი კანდიდატი ქვეყანა, საქართველო სწრაფად იქცა ამ ახალი რუსული რისხვის საგანგებო სამიზნედ. მოსკოვს მშვენივრად ესმოდა, რომ თუ საქართველო მართლაც იქცეოდა დემოკრატიული პროექტის პირველ თვალსაჩინო, წარმატებულ მაგალითად ამიერკავკასიაში და ნატო-შიც მოახერხებდა გაწევრიანებას, მოვლენათა ამგვარი განვითარება, სავარაუდოდ, მთელი რეგიონის გარდაქმნასა და სულ სხვა ლიანდაგებზე გადასვლას გამოიწვევდა. ტრაგედია ის გახლდათ, მოსკოვს არ შეეძლო იმის დანახვა, რომ მსგავსი გარდაქმნა, შესაძლოა, ახალი ტიპის სტაბილურობის წინაპირობად ქცეულიყო – რაც, თავის მხრივ, მის ინტერესებსაც წაადგებოდა. ამის მაგივრად მოსკოვი ამ ყველაფერში სათავისოდ ნულოვან შედეგს ჭვრეტდა და შიშობდა, ამგვარი ტენდენციის გაღრმავება გავლენისა და კონტროლის მექანიზმებს დააკარგვინებდა. ამიტომაც ამჯობინა ისევ ბატონობის ძველ, იმპერიალისტურ-კოლონიალისტურ ჩვევებს აჰყოლოდა და ადგილობრივი დამქაშების გამოყენებით, კვლავ და კვლავ *დაყავი* და *იბატონეს* სტრატეგიით ემოქმედა. ასე მართავდა რუსეთი ამიერკავკასიას საუკუნეთა განმავლობაში და ამ ჩვევებისაგან გათავისუფლება არ გახლდათ იოლი.

დაძაბულობა პუტინ-სააკაშვილის ურთიერთობების დაწყებისთანავე შეინიშნებოდა. როგორც ამბობენ, მათმა პირველმა შეხვედრამ შედარებით მშვიდად კი ჩაიარა – იმის გათვალისწინებით, რამდენად სძულდა მოსკოვს ედუარდ შევარდნაძე, სააკაშვილი შეიძლება ორი ბოროტებიდან ნაკლებადაც მიიჩნეოდა, თუმცა მომავალი პრობლემების ჩანასახები უკვე მაშინაც თვალშისაცემი იყო. პუტინმა სააკაშვილს სთხოვა, საკუთარ კაბინეტში საკვანძო გავლენის მქონე პოზიციაზე დაეტოვებინა საქართველოში კორუფციასა და რუსულ დაზვერვასთან კავშირის მქონედ მიჩნეული მაშინდელი უშიშრობის მინისტრი ვალერი ხაბურზანია; ეს იმის ნიშანი გახლდათ, რომ მოსკოვი კვლავ იმედოვნებდა საქართველოს საქმეებში ცხვირის ჩაყოფას; მოსკოვი ელოდა, რომ სააკაშვილიც გააგრძელებდა ძველ „პატრონყმულ" თამაშს და ჩრდილოელ მეზობელს სათანადო პატივსაც მიაგებდა, მაგრამ ვარდების რევოლუცია ხომ თამაშის სწორედ ამ წესების შესაცვლელად მოხდა! სააკაშვილმა ამაზე უარით უპასუხა, ხსენებული სამინისტროს რეფორმირება წამოიწყო, ხაბურზანიაც სხვა, მართალია მაღალ, ოღონდ ნაკლებად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე „გადაისროლა" და ურთიერთობაც ორ ლიდერს შორის უკიდურესად დაიძაბა.

როდესაც პრეზიდენტი ბუში თუ სხვა დასავლელი ლიდერები პუტინთან საქართველოს თემაზე იწყებდნენ საუბარს, ამ უკანასკნელის რეაქცია, ხშირ შემთხვევაში, სრულიად ირაციონალური გახლდათ. კრემლის ხალხი კულუარებში

აღიარებდა კიდეც, როგორ გაურბოდნენ საქართველოსთან დაკავშირებული საკითხებისა თუ მოსაზრებების წინ წამოწევას – იმ რეაქციის შიშით, რაც ამას შეიძლებოდა „ზემოთ“ მოჰყოლოდა. პუტინისა და სააკაშვილის პირისპირ შეხვედრებიც უკვე დაუფარავი სიბრაზისა და ურთიერთუნდობლობის ნიშნით იყო აღბეჭდილი. ექსპერტები მათ ურთიერთობაში ერთგვარ აღტაცებანარევ სიძულვილსაც კი ხედავდნენ. გარკვეული თვალსაზრისით, ორივე მათგანი იმ ზემოდან წამოსული რევოლუციის ლიდერი ჩანდა, რასაც მათი საზოგადოებების ახალ თარგზე გამოჭრა უნდა მოჰყოლოდა შედეგად; თუმცა თითოეული მათგანი სრულიად განსხვავებული მიმართულებით მოძრაობდა. პუტინს სურდა, ხელახლა აღედგინა ცენტრალიზებული და ავტორიტარული რუსული სახელმწიფო და მის ფარგლებს გარეთ მოსკოვის გავლენის სფროებიც დაებრუნებინა; სააკაშვილი ცდილობდა დასავლეთისკენ აეღო გეზი და საქართველო კაპიტალისტურ ქვეყნად ექცია.

უშუალო მოწმენი ადასტურებენ, რომ პუტინი და სააკაშვილი ღიად და ზოგჯერ დაუნდობელი გულწრფელობით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს; პუტინი დაუფარავად უცხადებდა, რომ თუკი საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხთა მოგვარებაში რუსეთის დახმარებას მოელოდა, მაშინ არჩევანიც რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით უნდა გაეკეთებინა. მისი თქმით, საქართველოს თავად უნდა გადაეწყვიტა, სურდა თუ არა რუსეთის მეგობრობა და მოკავშირეობა: თბილისის გადასაწყვეტი იქნებოდა – მოსკოვის მხარეს დადგებოდა თუ დასავლეთის, და სწორედ მისი პასუხი გადაწყვეტდა რუსეთის პოლიტიკას ამ კონფლიქტთა მიმართ. მეგობრობის და მოკავშირეობის შემთხვევაში საქართველოს მოსკოვის დახმარების იმედიც შეიძლებოდა ჰქონოდა, ხოლო სხვა არჩევანი ნებისმიერ ამგვარ იმედს იმთავითვე გამორიცხავდა.

მართალია, ოფიციალური მოსკოვი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა, მაგრამ დროდადრო პუტინი სეპარატისტული პროვინციების დამოუკიდებლობის აღიარებითა და, ფაქტობრივად, თბილისისათვის მათი წაგლეჯით იმუქრებოდა. ქართველი მაღალჩინოსნები იხსენებენ ერთ-ერთ განსაკუთრებით პირდაპირ, რომ არა ვთქვათ, უხეშ საუბარს პუტინსა და სააკაშვილს შორის (პეტერბურგი, 2006 წლის ზაფხული). მაშინ პუტინმა მიღებამდე სამი საათი ალოდინა სააკაშვილს – იმის ხაზგასასმელად, ვინ ვის სჭირდებოდა უფრო მეტად. რუსეთის ლიდერმა მკაფიოდ დაანახა, რომ საქართველოს თავად უნდა აერჩია, რომელ მხარეს აპირებდა დგომას. როცა იგივე სააკაშვილი თუ სხვა ქართველი მაღალჩინოსნები სვამდნენ კითხვას: პრაქტიკული თვალსაზრისით რას გულისხმობდა რუსეთთან მოკავშირეობა, პასუხი მუდამ ერთი იყო: „თავადაც კარგად იცით, რაც უნდა ქნათ!“ ანუ საქართველოს თავის პროდასავლურ გეზსა და ნატო-საკენ სწრაფვაზე უნდა ეთქვა უარი.

ამგვარი არჩევანის გამო საქართველო სულ უფრო და უფრო ძლიერი წნეხის ქვეშ ექცეოდა რუსეთის მხრიდან – როგორც პოლიტიკური, ასევე ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით; და მაინც, თბილისი არა მარტო გეზის შეცვლაზე ამბობდა უარს, არამედ საწინააღმდეგო პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმასაც არ ერიდებოდა. სააკაშვილი არც ნატო-საკენ მისწრაფებაზე იღებდა ხელს და არც აშშ-სთან მჭიდრო კავშირების გადახედვას აპირებდა. არ სურდა პუტინის დაკრულზე ეცეკვა და ის კი არა, როგორც ამბობენ, მას „ლილიპუტინადაც" კი იხსენიებდა ხოლმე. მართალია, მან ეს ბრალდება უარყო, მაგრამ ბევრისთვის, ვინც მას იცნობს, ამგვარი რამ გასაკვირი არც ყოფილა. 2006 წლის მიწურულს, მას მერე, რაც არაერთხელ გამომჟღავნდა რუსეთის ფარული მცდელობა – საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ეფათურებინა ხელი, სააკაშვილმა უკვე საჯაროდ ამხილა და ქვეყნიდან გააძევა კიდეც ჯაშუშობაში ბრალდებული რუსეთის დაზვერვის 4 ოფიცერი.

მოსკოვმა ამას სრული ეკონომიკური ემბარგოს შემოღებით უპასუხა და არა მარტო ვაჭრობა, სატრანსპორტო და საფოსტო ურთიერთობებიც კი აკრძალა საქართველოსთან. სავარაუდოდ, მილიონობით დოლარი დაიხარჯა ანტისამთავრობო ქმედებებზე და ასევე გაფართოვდა ფარული საქმიანობაც. რუსეთმა მთელი პროგრამა შეიმუშავა იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველების საწინააღმდეგოდ, დაუკეტა მათ კერძო მაღაზიები და მასობრივად წამოიწყო უდანაშაულო ადამიანების დეპორტირება.[52] 2007 წლის გაზაფხულზე სამხრეთ ოსეთში მივემგზავრებოდი მანქანით და გზაში ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის დაზვერვის წარმომადგენელი მიამბობდა იმ არაერთი ფაქტის შესახებ, როგორ ცდილობდნენ რუსები საქართველოს პოლიტიკაში უხეშ ჩარევას. როცა ვკითხე, შენს ამგვარ მოხსენებებზე შენივე მთავრობა როგორ რეაგირებს-მეთქი, მიპასუხა: „ვერ ვბედავ ყველაფრის მიწერას, რაც აქ ხდება. არავის სურს ამის მოსმენა და არც არავინ დამიჯერებს. ეს არის ველური დასავლეთი." მართლაც, ზოგჯერ ყველაფერი ცივი ომის დროინდელი ჯონ ლეკარესეული ჯაშუშური რომანის სიუჟეტს ემსგავსებოდა, ოღონდ საქმე აქ გაცილებით სერიოზული ჩანდა.

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ყველაზე ქმედითი იარაღი ალბათ ისევ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გაყინული კონფლიქტები იყო. შესაბამისად, თბილისის უსუსტეს წერტილადაც იგივე პრობლემა მოიაზრებოდა. ის უბრალო ფაქტი, რომ საკუთარი ტერიტორიის 20%-ზე მეტს თბილისი კი არა, რუსეთი აკონტროლებდა, და ეს რეგიონებიც უკანონობის, კონტრაბანდისა თუ ორგანიზებული დანაშაულის ბუდედ იქცეოდა ხოლმე, ცხადია, თავისთავად ართულებდა საბაზრო რეფორმების გატარებას, კანონის უზენაესობისა თუ მეტი დემოკრატიის დამკვიდრებას მთელ ქვეყანაში. ამ პრობლემებთან ბრძოლას მიჰქონდა პოლიტიკური ენერგიის, კაპიტალისა და რესურსების მეტი წილი; არავის სურდა მათი გადაჭრა იმ ქართველებზე მეტად, ვინც ქვეყნის ეკონომი-

კასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე აგებდნენ პასუხს. დესტაბილიზაციის შესაძლებლობა ასევე აფრთხობდა ევროპელ მოკავშირეებსაც: მათ ძალზე აშინებდათ იმ ლოკალურ ეთნოკონფლიქტში ჩათრევის შესაძლებლობა, რომლის უკანაც, სინამდვილეში, დიდი რუსეთი იდგა.

ეს ყველაფერი საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა: როგორ გინდა ამგვარ ალიანსში შეიყვანო ქვეყანა, რომლის საზღვრებიც დაუცველია? რომელი საზღვრების დაცვა გინდა მოსთხოვო მოკავშირეებს სამომავლოდ? მსგავსი პრობლემა მთლად ახალი არ იყო: გერმანია ისე შეუერთდა ალიანსს გასული საუკუნის 50-იან წლებში, რომ აღმოსავლეთი ტერიტორიები დაკარგული ჰქონდა; ათწლეულების განმავლობაში ალიანსისათვის გვარიან თავსატეხს წარმოადგენდა გაყინული კონფლიქტი კვიპროსზე და ნატო-ში გაწევრიანებისას არც ბალტიისპირეთის ყველა სახელმწიფოს ჰქონდა დადებული სასაზღვრო ხელშეკრულებები რუსეთთან, მაგრამ საქართველოს ნატო-სკენ სვლა მაინც ბევრად უფრო რთულ შემთხვევად ისახებოდა – ეს იმას ჰგავდა, მარათონულ დისტანციაზე მორბენალს ფეხებზე ბორკილები დაადო... ეს კონფლიქტები აფერხებდა რეფორმებს ქვეყანაში, დასავლეთს მეტი სიფრთხილისკენ უბიძგებდა თბილისთან ურთიერთობებში და რუსეთსაც უდიდეს უპირატესობას ანიჭებდა – იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ კონფლიქტთა მოგვარება დიდწილად თავად მოსკოვზე იყო დამოკიდებული.

პუტინმა ასევე გადადგა ნაბიჯი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ „მთავრობებზე“ მოსკოვისა და პირადად მისი კონტროლის გასაძლიერებლად. საქართველო და სამხრეთი ოსეთი უკვე მუშაობდნენ სავარაუდო სამშვიდობო შეთანხმებაზე და 2000 წელს ამ მიმართულებით მოკრძალებული ნაბიჯიც გადაიდგა ე.წ. *ბადენის გეგმის* სამუშაო ვარიანტის შექმნით. მართალია, ეს დოკუმენტი ყველა საკითხს ვერ აგვარებდა, მაგრამ მაინც სახავდა იმ მიმართულებას, რასაც, შესაძლოა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზა გაეხსნა. თუმცა ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ, მოსკოვმა ცხინვალის ხელისუფლების სათავეში საკუთარი კაცის მოყვანა მოახერხა – ყოფილი ჩემპიონი-მოჭიდავის, ედუარდ კოკოითის, რომელიც ნასამართლევიც იყო და ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში შემჩნეულიც. ასე რომ, 2001 წელს ხელისუფლების ცვლამ ბოლო მოუღო ცხინვალში ყოველგვარ საუბარს საქართველოსთან შესაძლო მშვიდობის ძიებასთან დაკავშირებით; ისინი, ვინც მოლაპარაკების სურვილს გამოთქვამდნენ, მაშინვე ჩამოაშორეს სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელ თანამდებობებს. როგორც ამბობენ, პრეზიდენტად გახდომისთანავე კოკოითმა დახურული შეხვედრა გამართა მრჩეველთა ჯგუფთან და სწორედ ამ შეხვედრაზე უარყო ბადენის გეგმა და სანაცვლოდ, საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირების გზით „სამხრეთ ოსეთისათვის“ დამოუკიდებლობის მოპოვების საკუთარი გეგმაც წამოაყენა.

კოკოითის ხელისუფლებაში ბევრი საკვანძო სამინისტროს სათავეში თანდათანობით რუსეთის დაზვერვის ყოფილი კადრები მოვიდნენ, ვისაც მანამდე ოსეთთან არავითარი შეხება არ ჰქონიათ. აფხაზეთმა ცოტა უფრო მეტი ავტონომიურობის შენარჩუნება მოახერხა, მაგრამ მოსკოვის წნეხი აქაც გაძლიერდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ თავდაცვის მინისტრიცა და შტაბის უფროსიც რუსები იყვნენ. როგორც აფხაზეთში, ასევე სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული ადმინისტრაციების ბიუჯეტების ლომის წილსაც იგივე მოსკოვი ავსებდა. პუტინის ინიციატივით, 2002 წლიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების გაცემის გამალებული კამპანიაც დაიწყო. ეს პასპორტი თითქოს ზოგადად გადაადგილებას აიოლებდა, თუმცა სინამდვილეში იქაურები ძირითადად მხოლოდ რუსეთში თუ მიდი-მოდიოდნენ. პასპორტიზაციის ამ იძულებითი მეთოდით მოსკოვმა, უბრალოდ, საკუთარი ყალბი დიასპორა შექმნა ორივე რეგიონში და კონტროლის ახალი ბერკეტები აამოქმედა, ანუ ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიად აღიარებულ მხარეებში ათასობით რუსული პასპორტის დარიგებით, შემდგომში რუსეთი „საკუთარი მოქალაქეების“ დაცვის მოტივით მოქმედების უფლებას იძენდა.

მოსკოვში ჩასული დასავლელი პოლიტიკოსებიც პუტინის რისხვის საგანი ხდებოდნენ და ეს უკანასკნელი არც მათთან საუბარში ერიდებოდა პირდაპირ მუქარას – გაყინულ კონფლიქტებს თბილისის რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიყენებო. 2006 წლის ოქტომბრის ბოლოს, მოსკოვს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ქ-ნი რაისი სტუმრობდა. ოფიციალური სადილის შემდეგ იგი პირისპირ შეხვდა პუტინს – მოსკოვის მახლობლად მდებარე „მონადირის ქოხში“ და საუბრისას სიტყვა საქართველოზეც ჩამოვარდა. პუტინის ტონი იმწამსვე შეიცვალა და მან სააკაშვილის საწინააღმდეგო მთელი ტირადა წარმოთქვა. დაუფარავად განუცხადა სტუმარს, რომ თუკი საქართველოს ლიდერი როდისმე გაბედავდა აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ მოქმედებას, მოსკოვი ამას სამხედრო ძალით უპასუხებდა და როგორც აფხაზეთის, ასევე ოსეთის დამოუკიდებლობას უკვე ოფიციალურად აღიარებდა. რაისმა უპასუხა, ყველა მხარეს და მათ შორის რუსეთსაც თავის შეკავება გვმართებსო; მან ხაზგასმით უთხრა პუტინს – ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სადავო საკითხების მშვიდობიან მოგვარებას უჭერს მხარს და ნებისმიერი მხრიდან ძალის გამოყენებას წინ აღუდგებაო. მერე გააფრთხილა კიდეც პუტინი, მოსკოვის სამხედრო ინტერვენციას აშშ-რუსეთის ურთიერთობებისათვის ძალზე მტკივნეული შედეგები მოჰყვებაო. რუსეთის პრეზიდენტი წამოენთო, ფეხზე წამოხტა და ოთახიდან გავიდა.[53]

გაყინული კონფლიქტების ამგვარ ქმედით ბერკეტებად გამოყენებას რუსეთის მხრიდან ისიც განაპირობებდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის ამ დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნება. სააკაშვილი

ხელისუფლების სათავეში არა მხოლოდ დემოკრატიის, არამედ ქვეყნის გამთლიანების დაპირებითაც მოვიდა. მართალია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვის პასუხისმგებლობა მის წინამორბედებს ეკისრებოდათ, მან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ამოცანა №1 პრიორიტეტად გამოაცხადა ჯერ კიდევ ინაუგურაციისას წარმოთქმულ სიტყვაში. ზოგჯერ დასავლელ დიპლომატებს ისიც კი ეჩვენებოდათ, თითქოს იგი თანამედროვე ამერიკული ტიპის პოლიტიკასა და მე-19 საუკუნის დროინდელ ცენტრალური ევროპისა თუ ბალკანურ ნაციონალიზმს ურევდა ერთმანეთში. როცა დასავლელები ურჩევდნენ ხოლმე – ჯერჯერობით მაინც, ეს კონფლიქტები „გვერდზე გადადეო", ის არა მარტო წარსულ უსამართლობებზე, ლტოლვილებსა თუ სეპარატისტულ რეგიონებში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე იწყებდა საუბარს, არამედ იმ ღრმა რწმენასაც ადასტურებდა, რომ ვერც თვითონ და ვერც მისი ხელისუფლება პოლიტიკურად ვერ გაძლებდა, თუკი ამ ტერიტორიების დაკარგვას შეეგუებოდა.

და ბევრი გარეშე კრიტიკოსიც სააკაშვილს სწორედ ამას უთვლიდა შეცდომად. მათი აზრით, საქართველოს პრეზიდენტს გაყინული კონფლიქტები, როგორც „მემკვიდრეობით მიღებული" პრობლემა, დროებით უნდა დაევიწყა და პასუხისმგებლობის მთელი ტვირთი საკუთარ წინამორბედებზე გადაეტანა. ასეთი კრიტიკოსების განცხადებებით, ქართულ საზოგადოებას გაცილებით უფრო მეტად ადარდებდა უმუშევრობის პრობლემა, ვიდრე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება; თუმცა ამგვარი ხედვა, შესაძლოა, მეტისმეტად გამარტივებულიც გახლდათ: თუკი სააკაშვილის დასავლეთსა და ნატო-სთან ინტეგრირების სტრატეგიას საზოგადოების 70%-დან 80%-მდე უჭერდა მხარს, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იდეის მხარდამჭერთა რიცხვი კიდევ უფრო მაღალი იყო. როგორც ჩანს, ქართული საზოგადოებისათვის ეს ბევრად უფრო მტკივნეული თემაა, ვიდრე ამის დაჯერება დასავლელ დამკვირვებლებს სურდათ. ასეა თუ ისე, სააკაშვილი არ აპირებდა პასუხისმგებლობას გაქცეოდა და არ ეცადა მაინც, ეს ტერიტორიები დაებრუნებინა: მას დავით აღმაშენებლის მაგალითი არ ასვენებდა.

ამავე დროს, სააკაშვილმა რეალურად დაადასტურა, რომ უარს ამბობდა საკუთარი წინამორბედების უპასუხისმგებლო და რომანტიკულ ნაციონალიზმზე: მოქალაქეობის მისეული გაგება ეთნიკურობის ნიშანს არ ემყარებოდა; იგი რესპუბლიკელი გახლდათ – ოღონდ არა პარტიული ნიშნით. მას სურდა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს სათავეში მყოფ ნებისმიერ ლიდერზე შორს წასულიყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის ავტონომიის შეთავაზების მხრივ, მაგრამ, იმავდროულად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იდეის ერთგულიც რჩებოდა. პრეზიდენტობის პირველ თვეებში სააკაშვილს მთავარი პოლიტიკური კრიზისის მოგვარება ქვეყნის სამხრეთ-

დასავლეთით მდებარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოუწია. აჭარის დედაქალაქ ბათუმში მდებარეობს ქვეყნის მთავარი პორტი; ესაა მდიდარი ანკლავი, რომელსაც იმხანად ერთპიროვნულად მართავდა იური ლუჟკოვთან – მოსკოვის მერთან „შეკრული" ნარკობარონი ასლან აბაშიძე,

სააკაშვილმა მოახერხა კრიზისის მშვიდობიანად განმუხტვა, საზოგადოების მობილიზების გზით განდევნა აბაშიძე და საერთოდ, „ხალხის ძალის" ტაქტიკის ბევრი ის საშუალება გამოიყენა, რამაც ვარდების რევოლუციის წარმატება უზრუნველყო. აბაშიძე 2004 წლის მაისში გადადგა და რუსეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ და იმხანად რუსეთში სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე იგორ ივანოვთან – სხვათა შორის, წარმოშობით ნახევრად ქართველთან – ერთად მოსკოვს გაფრინდა. სააკაშვილმა ეს გამარჯვება ამაყად შერაცხა „მეორე უსისხლო რევილუციად" და დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების გამოყენების ახალ გზად – ადგილობრივი სეპარატისტული დიქტატორებისათვის ძალაუფლების ხელიდან გამოსაგლეჯად. სწორედ მაშინ მან ერთხელ კიდევ დადო პირობა, კვლავაც არ დაეშურებინა ძალისხმევა დანარჩენი ორი სეპარატისტული პროვინციის კვლავ საქართველოს იურისდიქციაში დასაბრუნებლად.

მოსკოვი შედარებით მშვიდად შეეგუა ამ ამბავს: ალბათ იმიტომაც, რომ აბაშიძე იმდენად ოდიოზურ პიროვნებად მოჩანდა, მისი დაცვა არც უღირდა; მაგრამ რუსეთის გადასახედიდან, „საქმეები ასე არ კეთდება". მოკლედ, მოსკოვი ალთას იყო და სააკაშვილი კიდევ – ბალთას... მოგვიანებით პუტინმა გააფრთხილა კიდეც სააკაშვილი – ჩემგან მეტი დათმობის იმედი ნუ გექნებაო! შემდგომში სააკაშვილმაც გაიხსენა ეს საუბარი და პუტინის სიტყვები: „ გახსოვდეს, აჭარის საქმეებში არ ჩავერიეთ, მაგრამ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში იგივე მცდელობა ხეირს არ მოგიტანთ!" მომდევნო წლებში პუტინი დასავლელ ლიდერებთან საუბრებში მუდმივად იხსენებდა აჭარას და ამ მაგალითით სურდა დაემტკიცებინა – რამდენად არასაიმედო იყო სააკაშვილი გაყინულ კონფლიქტებთან მიმართებაში. ეს რუსეთის სამოქმედო მოდელის კიდევ ერთი გამოხატულებაა: როცა სახელგატეხილ ნარკობარონზე კანონიერებისა და წესრიგის სახელით მოპოვებულმა მცირე გამარჯვებამ შეიძლება უკუშედეგი იქონიოს და საქართველოს პრეზიდენტის არასაიმედოობის მტკიცებულებად იქნეს წარმოდგენილი. აჭარის მოვლენების შემდეგ მოსკოვმა კიდევ უფრო გააძლიერა კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე.

სააკაშვილის სტრატეგია რამდენიმე კომპონენტს მოიცავდა: უმნიშვნელოვანესი, ალბათ, მაინც საქართველოში წესრიგის დამყარება გახლდათ. არავინ ისურვებდა წელში გატეხილ და არშემდგარ სახელმწიფოში ცხოვრებას, სადაც კორუფცია ყვაოდა და ეკონომიკური შესაძლებლობები უკიდურესად შეზღუდული ჩანდა – მით უფრო, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაუცხოებული უმცი-

რესობებისათვის. თუკი საქართველოს ამ დაკარგული მხარეების დაბრუნების რაიმე იმედი ჰქონდა, მას ჯერ უფრო დემოკრატიული და მდიდარი საზოგადოებაც თავადვე უნდა შეექმნა. მსგავსი ხედვა ე.წ. „მაგნიტის თეორიის“ ერთგვარ სახეცვლილებას წარმოადგენდა: საქართველოს ხელმძღვანელობას პრინციპულად გააზრებული ჰქონდა უშუალო კავშირის არსებობა საქართველოში რეფორმების წარმატებასა და გაყინულ კონფლიქტებს შორის. სამომავლო გათვლა გულისხმობდა, რომ საქართველოში ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნით, საბოლოო ჯამში, აფხაზეიცა და ოსეიც ფორმალურ დამოუკიდებლობასა თუ, სულაც, რუსეთთან მიერთებას, მაინც საქართველოსთან ფართოუფლებებიანი კავშირის შეკვრას ამჯობინებდნენ. მართალია, თავდაპირველად სააკაშვილი ამაზე არ ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ საბოლოო მიზანი მაინც საქართველოს დასავლური განვითარების ხაზის გატარებით აფხაზეისა თუ ოსეისათვის კონფედერაციულ გაერთიანებაში უკეთესი ცხოვრების შეთავაზება იყო.

სააკაშვილისათვის მეორე პრიორიტეტი მისი ერთ-ერთი წინამორბედის დამანგრეველ შიდა პოლიტიკაზე უარის თქმა და იმის აშკარა გაცხადება გახლდათ, რომ საქართველოში უმცირესობებს უფლებებიც ჰქონდათ და მომავალიც. მართალია, მოწინააღმდეგეები ცდილობდნენ მის მოღვაწეობაში გამსახურდიას უგუნური რომანტიკული ნაციონალიზმის გაგრძელება დაენახათ, მაგრამ სინამდვილეში სწორედ სააკაშვილმა შესთავაზა სეპარატისტებს უაღრესად ფართო ავტონომია. ეს შეთავაზებები ავტონომიის იმდენად მაღალ ხარისხს გულისხმობდა, არსებითად, დამოუკიდებლობის ტოლფარდიც კი იყო, რამდენადაც საუბარი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების უფლების დელეგირებას, თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, ფედერალურ სტრუქტურებში არაპროპორციულ წარმომადგენლობას, ფართოუფლებებიანი ფედერალური სტრუქტურის ფარგლებში ენისა და კულტურული თვითმყოფადობის სრული დაცვის გარანტიებს ეხებოდა. იყო შეთავაზებები ასევე საქართველო-რუსეთის საზღვარზე გარკვეული ღონისძიებების გატარების შედეგად სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის ოსეთში მიმოსვლის გაიოლებისა და მათთვის ორმაგი მოქალაქეობის მოქნილი მექანიზმის შემუშავების თაობაზეც. ერთადერთ ხელშეუხებელ პირობად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რჩებოდა – სხვა ყველაფერი მოლაპარაკებების საგანი შეიძლებოდა გამხდარიყო.

მესამე: თბილისი აშკარად ხედავდა, რომ არსებული ფორმატები და სამშვიდობო მანდატები ცალმხრივი იყო, რაც, თავის მხრივ, პრობლემის მოგვარებას ძალიან უშლიდა ხელს. ეს საქართველოს პრეზიდენტისათვის ყელში გაჩხერილი ძვალივით იყო და ამ მანდატების შეცვლა იმთავითვე მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. თავის დროზე საქართველო იძულებული შეიქნა ამგვარ პირობებს დათანხმებოდა, რადგან ქვეყანა უაღრესად დასუსტებული იყო და

სხვაგვარად ცეცხლის შეწყვეტას ვერანაირად ვერ მიაღწევდა. მანდატის პირობები საქართველოსათვის ასევე შეუძლებელს ხდიდა კონფლიქტების საკუთარი ძალით მოგვარებას. ნამდვილი სამშვიდობო პროცესის დასაწყებად ჯერ ამ პირობების შეცვლა იყო აუცილებელი. საქართველოს სურდა ნაბიჯ-ნაბიჯ გაეზარდა რეგიონში საერთაშორისო წარმომადგენლობა და საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობის ხარისხიც – გაერო-სა და ეუთო-დან დაწყებული, ევროკავშირის ჩათვლით. გეგმა რუსეთის ფაქტობრივი მონოპოლიის აღმოფხვრას გულისხმობდა. ფორმატის შეცვლა იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ადგილზე უკვე მოთხოვნილებებიც სრულიად განსხვავებული გამოიკვეთა: არსებული სტრუქტურები და წესები უფრო მეტად ცეცხლის შეწყვეტასა და ძალთა დაშორიშორებას იყო მისადაგებული; ახლა რაღაც ისეთი მექანიზმების შემუშავება ხდებოდა საჭირო, რაც ნდობის აღდგენასა და კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობდა ხელს.

თუმცა სააკაშვილი მხოლოდ თაფლაკვერის იმედად ვერ იქნებოდა – მას მათრახიც ესაჭიროებოდა. ცხადია, სურდა დიპლომატიური მეთოდებით მოქმედებაც გაეგრძელებინა, ოღონდ ზურგს უკან ძალაც უნდა დგომოდა. ერთი მწარე გაკვეთილი მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ომებიც იყო მისთვის – როცა საქართველოს უთუოდ სჭირდებოდა ძლიერი სახელმწიფო და არმია, რის არსებობასაც რუსეთი აუცილებლად გაითვალისწინებდა და ქვეყნის საშინაო საქმეებში სამხედრო ჩარევას ასე თამამად ვეღარ მოახერხებდა. გულუბრყვილოდ არც იმის სჯეროდა, რომ სოხუმსა და ცხინვალში მსხდომი სეპარატისტი ლიდერები ნებაყოფლობით დათმობდნენ თავიანთ სკამებს. სააკაშვილის აზრით, ისინი მეტისმეტად კომფორტულად გრძნობდნენ თავს და საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებაც მათთვის დიდწილად სწორედ ამ კონფლიქტების არსებობაზე იყო დამოკიდებული. მას სურდა ისინი დაერწმუნებინა, რომ *სტატუს-კვო* მუდმივი მახასიათებელი არ იყო და, ასე თუ ისე, როდისმე მაინც შეიცვლებოდა.

რა თქმა უნდა, სააკაშვილს ერჩივნა, ცვლილება მშვიდობიანად და შეთანხმებულად განხორციელებულიყო, მაგრამ, ამავე დროს, სურდა სამხედრო გადაწყვეტის შესაძლებლობაც არ გამოერიცხა. ეს, ერთი მხრივ, მოლაპარაკებისას მეტ წონასა და ძალას შემატებდა ნათქვამს, და, მეორე მხრივ, თუ საქმე ომზე მიდგებოდა, ამისთვისაც მზად ყოფილიყო. ანუ სეპარატისტებთან ურთიერთობაში ის ორივე ტაქტიკას უზავებდა ერთიმეორეს: საუბარში შეეძლო უცებ გადამხტარიყო სეპარატისტი ლიდერების იზოლირებისა და მათ მიმართ წნეხის გაძლიერების მუქარიდან – თანამშრომლობისა და ისეთი ქმედითი მშვიდობის პირობების შეთავაზებაზე, რაზეც მანამდე შეიძლება ვერც ვერავის ეოცნება და გონიერი კაცი არც უარს იტყოდა. ამიტომაც ბევრი უცხოელისთვის ბოლომდე გაუგებარი რჩებოდა, რა იყო საქართველოს პრეზიდენტისათვის ძირითადი სამოქმედო ხაზი და, საერთოდ, მისი ბოლომდე ნდობა თუ შეიძლებოდა.

მოკლედ, იმ დროს, როცა სააკაშვილი თან სამშვიდობო ინიციატივებით გამოდიოდა და „ფარული დიპლომატიის“ საკუთარი რეცეპტებით მოქმედებდა, თან ქართული პოლიციისა და შეიარაღებული ძალების განახლება-გათანამედროვებასაც მიზანმიმართულად ცდილობდა. გარკვეული თვალსაზრისით, ეს, უბრალოდ, იმ ზოგადი სტრატეგიის ნაწილი იყო, რაც ძლიერი სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა – საკუთარი მოქალაქეების დასაცავად, ოღონდ სააკაშვილს სამხედრო კუთხით ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოების სურვილიც ამოძრავებდა და იმგვარი ვითარების მიღწევას ცდილობდა, როცა საქართველო, მე-20 საუკუნის 90-იანი წლებისაგან განსხვავებით, სეპარატისტულ შეიარაღებულ ძალებთან შეხლაში უკვე აღარ დამარცხდებოდა. ეს იყო ასევე გზავნილი რუსეთისთვისაც – ვიცით, საქართველოს სერიოზულად არ აღიქვამთ, სანამ ქვეყანა ნამდვილად არ გაძლიერდება და საკუთარი თავის დაცვის უნარს არ შეიძენსო. საქართველოს სამხედრო ძლიერების ზრდა ერთ-ერთ იმ გზად მოიაზრებოდა, რასაც რუსეთის ასიმეტრიული პოზიცია უნდა შეეცვალა და სააკაშვილის მდგომარეობა გაემყარებინა. სააკაშვილს სურდა, რუსებს გაეცნობიერებინათ – თუკი მასთან ბრძოლის პროვოცირებას მოინდომებდნენ, პასუხიც სათანადო იქნებოდა. ამ შემთხვევაში, მასში უკვე მანერჰაიმმა გაიღვიძა.

როგორ უპასუხეს ამ სტრატეგიას აფხაზებმა, ოსებმა და, რაც მთავარია, მოსკოვმა? პირველმა ორმა თავდაცვითი ზღუდეები ააგო, კიდევ უფრო გაემიჯნა საქართველოს, ურთიერთთანამშრომლობა გააღრმავა და მოსკოვს მიმართა თხოვნით, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ ეცნო მათი დამოუკიდებლობა. როცა თბილისი აფხაზურ თუ სამხრეთ ოსურ მხარეს სამშვიდობო მოლაპარაკებების გასამართავად ქვეყნის ფარგლებს გარეთ სთავაზობდა საიდუმლო შეხვედრას, ერთიცა და მეორეც, როგორც წესი, ყურს იყრუებდა. სეპარატისტ ლიდერებს მშვენივრად მოეხსენებოდათ, რომ მათი ძალაუფლების წყარო რუსეთთან კავშირსა და ანტიქართულ ნაციონალიზმში მოიაზრებოდა. მათი იდენტობა საქართველოსთან დაპირისპირების განცდაში იყო ფესვგადგმული – თუკი ეს ანკლავები მართლაც გაიხსნებოდა გარე სამყაროსათვის, იქაურ ლიდერთა უმრავლესობა, სავარაუდოდ, სკამს ვეღარც შეინარჩუნებდა. მათთვის აუცილებელი იყო „ალყაში მოქცეულთა“ იმიჯი შეექმნათ და საქართველო კარსმომდგარ, დაუძინებელ მტრად წარმოეჩინათ: ყოველ ჯერზე, როცა კი საქართველო ახალი სამშვიდობო ინიციატივით გამოდიოდა, ძლიერდებოდა სააკაშვილის განქიქება და მისგან პირსისხლიანი მტარვალის ხატი იქმნებოდა.

მოსკოვი, ფაქტობრივად, წაუგებელ თამაშს თამაშობდა: ოფიციალურად კვლავაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა და ამით საკუთარი „კონსტრუქციულობის“ წარმოჩენას ცდილობდა; დასავლელ დიპლომატებთან საუბრებში რუსი კოლეგები ხშირად მიუთითებდნენ აფხაზებისა და

ოსების მხრიდან მათი აღიარების თხოვნაზე და ეს იმის საბუთად მოჰქონდათ, რა რთული იყო რუსეთისათვის ამგვარი წნეხის გაძლება და სეპარატისტების დაჟინებული მოთხოვნების შეკავება. იმავე დროს, ეს გაურკვეველი ვითარებაც რუსეთისავე წისქვილზე ასხამდა წყალს: კონფლიქტების მოგვარება, რა თქმა უნდა, შეასუსტებდა რუსეთის გავლენას საქართველოზე და თბილისს დასავლეთთან ინტეგრაციისათვის გაუხსნიდა ხელ-ფეხს. ამის დაშვება კი რუსეთს ცოცხალი თავით არ სურდა. დასავლეთი კარგა ხნის წინ მიხვდა, რომ რუსეთს ამ ანკლავების ცხელ წერტილებად შენარჩუნება სურდა – საკუთარი გავლენის მაქსიმალურად გასაზრდელად და საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ერთგვარი პატური სიტუაცია შეიქმნა: თუკი, ერთი მხრივ, ქართველები სხვადასხვა ნაბიჯების გზით ცდილობდნენ, კონფლიქტური ზონები გარე სამყაროსათვის გაეხსნათ და იქ ამ სამყაროს გავლენა გაეზარდათ, სეპარატისტ ლიდერებს საკუთარი სტატუსისა და აღიარების გარდა არაფერზე სურდათ საუბარი. ცხადია, ეს საქართველოსთვის ანათემა გახლდათ – სეპარატისტები სტატუს-კვოს ურყევად შენარჩუნებას ესწრაფვოდნენ, თბილისი კი სწორედ მის შეცვლაში ხედავდა გამოსავალს. სამშვიდობო ინიციატივებისა და გეგმების მრავალწლიანი გადაღეჭვის მიუხედავად, ორივე მხარე წრეზე დადიოდა და არც ერთ ინიციატივას არავითარი გაგრძელება არ მოჰყოლია. მოსკოვსაც ასე ერჩივნა და დასავლეთშიც დიდად არავინ ცდილობდა უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. არადა, ვითარება მართლაც ჩიხში შევიდა და სააკაშვილიც ერთთავად ამ ჩიხიდან გამოსავლის ძიებაში იყო.

საქართველოს ბევრი პარტნიორი – განსაკუთრებით, ევროპაში – მაინცდამაინც დარწმუნებული არც იყო სააკაშვილის პოლიტიკის მართებულობაში. მათ ძალზე აფრთხობდა ნებისმიერი საუბარი ტერიტორიების ძალით თუ იძულებით დაბრუნების თაობაზე; იმ შემთხვევებშიც კი გამოხატავდნენ ხოლმე შეშფოთებას, როცა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების კუთხით საქართველო ე.წ. რბილი ძალის გამოყენების სტრატეგიაზე იწყებდა საუბარს და არც მსგავსი ტაქტიკის მხარდაჭერას აპირებდნენ. მათ ისიც არ იცოდნენ, რამდენად გულწრფელი იყო თბილისი იმ სამშვიდობო გეგმებთან მიმართებაში, რომელთაც შემდგომ გაგრძელება და წარმატება არ ეტყობოდა. არც რუსეთის იძულებას აპირებდნენ სამშვიდობო ფორმატისა და მანდატის შესაცვლელად და არც არსებული სამშვიდობო ძალების სხვა კონტინგენტით ჩანაცვლების სურვილს გამოთქვამდნენ. ყველაზე მეტად მათ მაინც საქართველოს სამხედრო ძალების წვრთნა და აღჭურვა აფრთხობდათ – განსაკუთრებით, იმ ხმამაღალი განცხადებების ფონზე, რომლებშიც ტერიტორიების იარაღის ძალით დაბრუნების სურვილიც ცხადად გაისმოდა.

ქართველების აზრით, დასავლეთი მხოლოდ იმას ამბობდა, რისი გაკეთებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ გამოსავლის გზებს არ იძლეოდა; მათ არა-

ერთხელ მოუსმენიათ გაფრთხილება ძალის გამოყენების დაუშვებლობაზე, მაგრამ როცა იქით უსვამდნენ კითხვას – როგორ ესახებოდა დასავლეთს სინამდვილეში ამ კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივა, პასუხი მუდამ არადამაჯერებლად ჟღერდა ხოლმე. ამგვარ დილემებს და მათ გამო შექმნილ დაძაბულობას პირადადაც გადავაწყდი, როცა 2006 წლის გაზაფხულზე საქართველოში ვითარების გასაცნობად ჩამოვედი. სწორედ მაშინ შევხვდი იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს. ის შესაძლო სამხედრო მოქმედებების ყველაზე თავგამოდებული დამცველის სახელით იყო ცნობილი – თავად წარმოშობით ცხინვალელი, პირობასაც დებდა, მინისტრობიდან გადავდგები, თუკი ამ განდგომილ პროვინციაში საქართველოს კონტროლი 2007 წლის 1 იანვრამდე ვერ აღვადგინეთო.

მინისტრად დანიშვნის შემდეგ, მან და მისმა შტაბმა წარსულის ის სამხედრო ოპერაციები შეისწავლეს, როცა ამა თუ იმ მხარემ მოულოდნელი სტრატეგიისა და სწრაფი რეაგირების შედეგად მიზანს მიაღწია: ასე მაგალითად, ისრაელის მოქმედება 1967 წელს და ოპერაცია „გრიგალი“ – როცა 1995 წელს, ხორვატიული, ბოსნიური და ბოსნიურ-ხორვატიული ძალების მიერ, გაერო-ს სამშვიდობოების ხელშეწყობით, სულ რამდენიმე დღეში მოხერხდა ბოსნიურ-სერბული არმიის განადგურება, რამაც ხორვატიასა და ბოსნიაში ომის დასრულების წინაპირობა შექმნა. თუმცა ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, რამდენად სერიოზული იყო მინისტრის განცხადებები და დიდგულობის რა წილს შეიცავდა – აკი უყვარდა ხოლმე სტუმრების დათვზე სანადიროდ დაპატიჟება კოდორის ხეობასა თუ სხვა ცხელ წერტილებში... ბევრის აზრით, ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში, სწორედ მისმა მკაცრმა რიტორიკამ და ტაქტიკამ განაპირობა ადგილობრივი შეტაკებები სამხრეთ ოსეთში.

იმავდროულად, ოქრუაშვილი თანდათანობით სააკაშვილის პოტენციურ საპირწონედ და მეტოქედაც კი იკვეთებოდა; როგორც ამბობენ, ისინი თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ თავდაცვის მინისტრი საჯაროდ „ქორის“ როლს იტვირთებდა, პრეზიდენტი კი – უფრო ზომიერ პოზიციას დაიკავებდა, რათა თბილისის დასავლელი მოკავშირეები არ დაეფრთხო. მაგრამ ოქრუაშვილის განცხადებებმა ხალხში გამოძახილი ჰპოვა და მისმა პოპულარობამაც იმატა. ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ სულ უფრო გახშირდა საუბრები მისი სააკაშვილის მემკვიდრედ მოაზრების თაობაზე და მათი დაპირისპირების თემამაც წამოიწია წინ. როდესაც ოქრუაშვილს თავდაცვის სამინისტროში პირადად შევხვდი, მას სააკაშვილთან უკვე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

ჩვენი ჯგუფის წევრებს – დიპლომატებს, პოლიტოლოგებსა და ჟურნალისტებს – მან პირდაპირ გვკითხა: „რამდენად სურს დასავლეთს საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში დაეხმაროს?“ ფაქტობრივად, რიტორიკული შეკითხვა დაგვისვა – რა სტრატეგია შეგვეძლო შეგვეთავაზებინა

სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანად შემოსაერთებლად? კაბინეტში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. პასუხი არავის გააჩნდა. „ეგ არაფერი" – თქვა მინისტრმა – „მესმის, რომ ეს თქვენთვის სასიცოცხლო საკითხი არაა – რამე რომ იყოს, შეგიძლიათ, ამ სტატუს-კვოს შეეგუოთ კიდეც... ოღონდ ჩვენ – არა!" მერე ისიც დაამატა, თუ აშშ-სა და ევროპას საქართველოს რეალური დახმარება არ სურთ, იმასაც გაგებით უნდა მოეკიდოთ, თუკი კონფლიქტების მოსაგვარებლად თბილისი საკუთარ გზას აირჩევსო. ნათქვამში არავითარი ორაზროვნება არ იგრძნობოდა – ძალის გამოყენებას მინისტრი სრულებითაც არ გამორიცხავდა. აგვისტოს ომის დაწყების შემდეგ, ოქრუაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა კიდეც, ჩემი მინისტრობისას მე და სააკაშვილმა როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის დაბრუნების გეგმები ერთობლივად შევიმუშავეთო.[54]

ოღონდ ინტერვიუში ის კი აღარ უთქვამს, რომ სამხრეთ ოსეთის პრობლემის სამხედრო გადაწყვეტის შესაძლებლობაც სწორედ იმავე პერიოდში იქნა საბოლოოდ უარყოფილი. ოქრუაშვილი თანამდებობიდან 2006 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში გადადგა, ანუ სამხრეთ ოსეთში დაბრუნების დათქმულ ვადამდე დაახლოებით თვე-ნახევრით ადრე. ის და სააკაშვილი დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ გაყინული კონფლიქტებისა თუ კორუფციის თაობაზე და, ასევე, ოქრუაშვილის ნამდვილი თუ მოგონილი მცდელობების გამოც – ვითომცდა პრეზიდენტის მემკვიდრედ წარმოჩენის კუთხით. საბოლოოდ, ოქრუაშვილმა ცუდად დაამთავრა და საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნაც მოუწია. თუმცა თავდაცვის მინისტრობისას გამოხატული მისი პოზიცია მაინც საგულისხმოა, რამდენადაც ეს ერთგვარად მიანიშნებს, როგორი ცდუნების წინაშე იდგა საქართველო და აზრთა როგორი სხვადასხვაობა არსებობდა კონფლიქტებში სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მაგრამ უკვე 2004 წლის შეტაკებებმა სამხრეთ ოსეთში თავად საქართველოს ხელმძღვანელობაში გააჩინა აზრთა სხვადასხვაობა ამ რეგიონების სამხედრო ძალით დაბრუნების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით: თბილისის როტორიკის მიუხედავად, საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები რეალურად ძალზე შეზღუდული გახლდათ; ქვეყანას არასოდეს ეყოლებოდა ერთდროულად სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ბრძოლისათვის საჭირო რაოდენობის ჯარი და ვერც ხანგრძლივი და წარმატებული თავდაცვითი ოპერაციების განხორციელებას მოახერხებდა. საქართველოს ხელისუფლებამ ისიც იცოდა, რომ სამხედრო გადაწყვეტის გზას დასავლეთში მხარს არ დაუჭერდნენ და ამ თემაზე საუბარიც კი მოკავშირეთა დახმარების დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა. თუმცა თბილისში ისეთებიც იყვნენ, ვინც ამტკიცებდა, რომ სწრაფი – ვთქვათ, სამდღიანი წარმატებული შეტევის შემთხვევაში დასავლეთისათვის მისაღები იქნებოდა მსგავსი შედეგი და ახალ სტატუს-კვოსაც აღიარებდა. ოღონდ საქართველოს მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა ეომა და გა-

მარჯვებაც საკუთარი ძალებით მოეპოვებინა: მარცხის შემთხვევაში – და ეს ყველას კარგად ესმოდა – ქვეყნის საშველად არავინ გამოიდებდა თავს.

ასევე ყველასათვის ნათელი იყო, რომ აფხაზეთი პოლიტიკურადაც, ეკონომიკურად და სტრატეგიულადაც გაცილებით მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე სამხრეთი ოსეთი. ამის გათვალისწინებით, გადაწყდა უარეყოთ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ნებისმიერი სამხედრო ქმედების შემდგომი დაგეგმვა, თუმცა დღის წესრიგიდან არ უნდა მოხსნილიყო იგივე შესაძლებლობა აფხაზეთთან მიმართებაში. საქართველოს მთავრობის კაბინეტში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე უარის თქმა სამი მოსაზრების გამო გადაწყდა: ჯერ ერთი, ამას, შესაძლოა, რუსეთთან ომის პროვოცირება მოჰყოლოდა; მეორე გახლდათ იმის გაცნობიერება, რომ სამხრეთ ოსეთში წარმატების მიღწევის შემთხვევაშიც კი აფხაზეთი დაიკარგებოდა და ქართველთა აზრით, ამ ორი მხარის მნიშვნელობის ერთ სიბრტყეში განხილვა არამც და არამც არ შეიძლებოდა; მესამე და საბოლოო ის გახლდათ, რომ მსგავსი ნაბიჯი საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივას. შედეგად, სამხრეთ ოსეთის მიმართულებით სამხედრო ქმედებებზე უარის თქმის საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ მიხეილ სააკაშვილმა მიიღო.

2005 წელს საქართველოს იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სამხრეთ ოსეთის მისამართით ახალი სამშვიდობო გეგმა წამოაყენა, თუმცა სტრატეგიაში რეალური ცვლილება მაინც 2006 წლის ბოლოს მოხდა, როცა წარმატების მისაღწევად ქართველებმა სამხრეთ ოსეთში „მაგარი ხელის" პოლიტიკას შედარებით „რბილი ძალის" პოლიტიკის გატარება ამჯობინეს. ამ პოლიტიკის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ დაცხავებული საზღვრისა და ქართულ-ოსური მოსახლეობის ურთიერთობის უპირატესობებით ესარგებლათ და სეპარატისტი ლიდერების გვერდის ავლით, უბრალო ხალხის გული მოეგოთ. მიზანი ამავე ხალხის დარწმუნება გახლდათ, რომ მომავალში საქართველოსთან დარჩენა სულაც არ იყო ისეთი ავბედითი, როგორც ამას სეპარატისტი ლიდერები ხატავდნენ. ოსური მოსახლეობა გაცილებით უკეთეს პირობებში იცხოვრებდა თავისუფალი კონფედერაციის ფარგლებში – მით უფრო, რომ რეფორმირებული საქართველო ეკონომიკურადაც ვითარდებოდა და თბილისიც რეგიონის მცხოვრებლებს მათი კულტურული ავტონომიის სრულად დაცვას ჰპირდებოდა. ამ პოლიტიკისათვის ზურგის გასამაგრებლად თბილისმა ალტერნატიული ოსური მთავრობა დასვა *ქურთაში* – ცხინვალის ჩრდილოეთით, ჯერ კიდევ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამ მთავრობამ სხვადასხვა პროექტის განხორციელება დაიწყო, რაც საზაფხულო ბანაკების გამართვას, კლინიკების გახსნასა თუ საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენასაც კი გულისხმობდა – იმ მიზნით, რომ ოსებს კვლავ თბილისისკენ ექნათ პირი და ყოველივე ამას სახელად „სანაკოევის პროექტი" ეწოდა.

თავის დროზე, მოსკოვის მხრიდან ცხინვალზე წნეხის მიზანმიმართული გაძლიერებისა და თავად კოკოითის ტაქტიკის შედეგი ის გახლდათ, რომ სამხრეთ ოსეთის რამდენიმე უკმაყოფილო მაღალჩინოსანი, ასე ვთქვათ, თამაშიდან გავიდა: ეს ის ხალხი იყო, ვინც შედარებით მისაღებად თვლიდა სამშვიდობო მოლაპარაკებას ქართველებთან და სწორედ ამის გამო მოაშორეს კიდეც საკვანძო თანამდებობებს. ზოგმა მათგანმა ისევ რუსეთს მიაშურა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც თბილისში დასახლდა და საქართველოს ხელისუფლებამაც სწორედ მათზე დადო ფსონი. დიმიტრი სანაკოევი ერთი მათგანი აღმოჩნდა. 1991-92 წლების ომში ის ქართველთა წინააღმდეგ მებრძოლ ერთ-ერთ სამხედრო შენაერთს ხელმძღვანელობდა; მოგვიანებით – სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი, ბოლოს კი – პრემიერ-მინისტრიც გახდა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ის დაპირისპირების შეწყვეტასა და ქართველებთან დიალოგის გამართვას უჭერდა მხარს, რის გამოც შერისხეს და რუსეთის ხელდასხმული კოკოითით ჩაანაცვლეს.

ქართველების დახმარებით სანაკოევი ახლა იმ სტრუქტურას ჩაუდგა სათავეში, რომელიც, არსებითად, ქურთაში დაფუძნებული სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობა გახდა. ქართველებმა დიდი ინვესტიციები ჩადეს მის ადმინისტრაციაში, თანხები არ დაიშურეს ინფრასტრუქტურის აღსადგენი პროექტების დასაფინანსებლად და სამხრეთ ოსეთის იმ ნაწილში მცხოვრებთა ყოფის გასაუმჯობესებლად, რომელსაც ჯერ კიდევ საქართველო აკონტროლებდა. სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობას საქართველოს ხელისუფლება ბანაკებში დასვენებასა და სხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებსაც სთავაზობდა. ამ პროექტის ფარგლებში მოიაზრებოდა ახლად აშენებული „მშვიდობის დისკოთეკაც", სადაც ქართველ და ოს ახალგაზრდებს ერთად შეეძლოთ საცეკვაოდ მისვლა. ცხინვალმა ამას სანაკოევის მოღალატედ შერაცხვით უპასუხა და შეეცადა, არ დაეშვა მის კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების რაიმენაირად მონაწილეობა მსგავს პროექტებში. ეს მშვიდობის დისკოთეკაც ცარიელი დარჩა, როგორც სამხრეთ ოსეთის ხელისუფალთა შიშის სიმბოლო საკუთარი ახალგაზრდობის ქართველ თანატოლებთან საცეკვაოდ გაშვებასაც რომ უფრთხოდნენ...

საქართველომ სტრატეგია ისევ შეცვალა და ახლა ვაშინგტონთან ღია დიალოგის ფორმატში ახლებური მიდგომები გამოკვეთა: სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნება; ნატო-სთან ურთიერთობის გაღრმავება – ე.წ. მაპ-ის მოსაპოვებლად, და მხოლოდ ასეთი, უფრო დიდი ძალით ზურგის გამაგრების შემდეგ დეტალურად უკვე იმის განხილვა, როგორ შეიძლებოდა აფხაზეთშიც იგივე მოემოქმედა. მით უმეტეს, რომ 2007 წელს რუსი დიპლომატების მხრიდან რაღაც-რაღაც მინიშნებები კეთდებოდა სამხრეთ ოსეთის მხრიდან შესაძლო დათმობებისა და, შესაბამისად, კოკოითის გადაყენების თაობაზე.

სწორედ ამ ფონზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გადაწყვიტა დიპლომატიური ნაბიჯი გადაედგა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადასაჭრელად თავისი მხრიდან ყველაზე თამამი შეთავაზებები გაეკეთებინა – მოსკოვისთვისაც მისაღები პირობებით. იდეა გელა ბეჟუაშვილს დაებადა, როცა მას – სულ მცირე ხნით – საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. ბეჟუაშვილი სააკაშვილის უახლოესი გარემოცვიდან ის იშვიათი გამონაკლისი იყო, ვინც რუსეთის მაღალჩინოსნებთან ღია კავშირების შენარჩუნებაზე მიზანმიმართულად მუშაობდა. 2007 წლის ივნისში მან ურჩია კიდეც სააკაშვილს, პუტინთან დაერეკა და ეთქვა, რომ უაღრესად კონკრეტული გეგმა ჰქონდა სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოსაგვარებლად და მის განსახილველად საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების პირადი შეხვედრა უპრიანი იქნებოდა. სააკაშვილმა მართლაც დარეკა და პუტინმაც თანხმობა განაცხადა. მერე უკვე ბეჟუაშვილი დაუკავშირდა სერგეი ლავროვს, გეგმის საკვანძო დებულებები გაუზიარა და შეხვედრის დროსა და ადგილზეც შეუთანხმდა.

24 ივნისს, სტამბოლში, კემპინსკის სასტუმროში, რომელიც ბოსფორის პირას მდებარეობს და ადრე ოტომანთა იმპერატორის სასახლე გახლდათ, ორი მინისტრი მართლაც შეხვდა ერთმანეთს. სადილობისას ქართველმა მინისტრმა შორსმიმავალი წინადადებები წამოაყენა: სამხრეთ ოსეთში რუსების ყოფნის უკანონობაზე მინიშნებების ნაცვლად, თბილისი ახლა მზად იყო კურსი შეეცვალა და რეგიონში მშვიდობის გარანტად სწორედ მოსკოვი გამოეცხადებინა. თბილისი ასევე მზად იყო მიმოსვლის საგანგებო რეჟიმი შემოეღო სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის. შეთავაზებების პაკეტი მნიშვნელოვან ეკონომიკურ ნაწილსაც მოიცავდა: ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების განხორციელებას, მათ შორის – ელექტროენერგიით ვაჭრობას თურქეთსა და სომხეთთან. როცა ლავროვმა ჰკითხა, ნატო-ზე რას იტყვითო, ბეჟუაშვილმა უპასუხა – ნატო-სკენ საქართველოს სწრაფვის საკითხი, მოდით, დროებით ამ პაკეტის მიღმა დავტოვოთო; თუმცა ისიც დაამატა – საქართველო ამ შემთხვევაში შეიძლებოდა „არახისტი“ ყოფილიყო. იმხანად არც ერთი მხარე არ ენდობოდა ერთმანეთს, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლებოდა ყველაფერი შეცვლილიყო, თუკი კონკრეტული პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტა და ნდობის საფუძვლის შექმნაც მოხერხდებოდა.

ცხადია, უმთავრესი კითხვა ის იყო, ვინ იქნებოდა სამხრეთ ოსეთის სათავეში. ქართულმა მხარემ ნათლად გამოხატა კოკოითის შეცვლის სურვილი, თუმცა არც მისი მაინცდამაინც სანაკოევით ჩანაცვლება დაუჟინია. პირიქით – ქართული მხარე საერთაშორისო მეთვალყურეობით ჩატარებული არჩევნების ინიციატივით გამოდიოდა, სადაც საქართველოცა და რუსეთიც შეთანხმებულად მისცემდა სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა ლიდერს კონკურენციის გზით ხელისუფლების სათავეში მოსვლის შესაძლებლობას. ქართული მხარე

წინადადებით გამოდიოდა – ეს პაკეტი იმგვარ ხელშეკრულებად ექციათ, რომელიც სასაზღვრო საკითხებსაც მოაგვარებდა და ერთგვარად თურქეთსა და სსრკ-ს შორის დადებული 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების ანალოგი იქნებოდა – აკი სწორედ ეს უკანასკნელი დოკუმენტი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის იმ იშვიათ გამონაკლისს, როცა ერთი მხარის ადგილობრივი ადმინისტრაციული სტრუქტურის სიცოცხლისუნარიანობა სხვა ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანასთან დადებული ხელშეკრულებითაა უზრუნველყოფილი. ამასთან ერთად, საქართველო ლეგალურ ხმის უფლებას სთავაზობდა რუსეთს სამხრეთ ოსეთის საკითხების განსახილველად.

ბეჟუაშვილის თქმით, ღია და საქმიანი საუბარი შედგა: ლავროვი ყურადღებით უსმენდა და უამრავ კითხვასაც უსვამდა. სადილის ბოლოს დაჰპირდა კიდეც, ყველაფერს სიტყვასიტყვით გადავცემ პუტინს, მაგრამ, ჩემი მხრივ, ნებისმიერი რეკომენდაციისაგან თავს შევიკავებო. საბოლოოდ, ყველაფერი სწორედ პუტინს უნდა გადაეწყვიტა, რომელიც მეორე დღეს აპირებდა ოფიციალური ვიზიტით სტამბოლში ჩასვლას. არადა სწორედ მეორე დღეს ამ ქართული გეგმის დეტალებმა რუსულ პრესაში გაჟონა. როცა ბეჟუაშვილი ამის თაობაზე ლავროვს დაუკავშირდა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც მასსავით გაოცებული და გაბრაზებულიც კი ჩანდა. ამ ამბავმა მთელი გეგმა ჩაფუშა, კოკოითმა კი დაუყოვნებლივ დაიწყო საკუთარი პოზიციების გამაგრება. თბილისი ვარაუდობდა, რომ ოფიციალური საუბრების უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელმა – რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა – ორი მინისტრის საუბარი ჩაიწერა და შემდეგ თავად გაახმიანა პრესაში – სწორედ ამ გეგმის დასასამარებლად.[55]

ამ მარცხის მიუხედავად, თბილისში მაინც ბევრს მიაჩნდა, რომ მოსკოვი, საბოლოო ჯამში, სამხრეთ ოსეთში ფულის ფლანგვაზე უარს იტყოდა და შეთანხმებაზეც წამოვიდოდა: ეს კონფლიქტი ხომ იმთავითვე ხელოვნური იყო და ეს მხარეც – ძალზე პატარა საიმისოდ, რომ რუსეთისათვის რაიმე სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონოდა. არც სტრატეგიული თვალსაზრისით წარმოადგენდა იგი დიდ ფასეულობას; საქართველო კი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ზემოხსენებული რბილი პოლიტიკის გატარებით შეძლებდა ძირი გამოეთხარა კოკოითის რეჟიმისათვის. თავადაც მრავალჯერ მსმენია, როგორ ამტკიცებდნენ თბილისში, რომ სამხრეთი ოსეთი აფხაზეთი არ არის და იქ წესრიგის დამყარება მხოლოდ დროის ამბავიაო.

აი, აფხაზეთის საკითხი კი – მათივე გადასახედიდან – სულ სხვანაირად ჩანდა: ის უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ და ნამდვილი „კერკეტი კაკალიც“. კონფლიქტი აქ გაცილებით სისხლიანი გამოდგა და ღრმა ჭრილობებიც დატოვა ხალხში. რეგიონი უფრო მიუდგომელიც იყო და ქართველები იქ, ფაქტობრივად, ვერ შედიოდნენ. მოკლედ, აფხაზეთში ფსონიც უფრო მაღალი

იყო და ესკალაციის ალბათობაც. რაც მთავარია, ჯერ არც თბილისს ჰქონდა გამომუშავებული რაიმე პოლიტიკური სტრატეგია მის მიმართ და არც ის სჯეროდა – დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობსო. მოკლედ, სამხრეთ ოსეთზე ქართველებს აღარ ჰქონდათ აქტიური სამხედრო გეგმა, მაგრამ ასე არ იყო აფხაზეთის შემთხვევაში.

ვაშინგტონის დაჟინებული მოთხოვნების მიუხედავად – აფხაზეთის საკითხი სამომავლოდ გადადეთო, სააკაშვილს მაინც ევსებოდა მოთმინების ფიალა: 2007 წლის ზაფხულში სწორედ მისი ხელშეწყობით გახდა პოპულარული სიმღერა ქართველების აფხაზეთში დაბრუნებაზე. ქართული ავიახაზების თვითმფრინავებს აფხაზეთის ქალაქების სახელები უწოდეს; თავად სააკაშვილის პირად თვითმფრინავსაც „სოხუმი“ ერქვა. ქართველების აზრით, აფხაზეთის კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტის გზა სულაც არ იყო საბოლოოდ დასამარებული. 2008 წლის გაზაფხულზე და ზაფხულშიც სწორედ აფხაზეთში დაიძაბა ვითარება იმდენად, რომ მხარეები, ლამის იყო, ისევ ომის ზღვარზე აღმოჩნდნენ.

ჰორიზონტზე სხვა შემაშფოთებელი ნიშნებიც გამოიკვეთა: 2007 წლის ბოლოს ბეჟუაშვილი არაოფიციალურად კვლავ შეხვდა ლავროვს ნიუ-იორკში გამართული გაერო-ს ყოველწლიური გენერალური ასამბლეის მიმდინარეობის დროს. ერთ საღამოს მათ შორის ღია საუბარი გაიმართა და ითქვა კიდეც, რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობა მატულობსო. არ გამოირიცხებოდა ომის საფრთხეც, ამ შემთხვევაში კი ერთმანეთთან დაპირისპირება მოუწევდათ – როგორც ორი მოწინააღმდეგე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს... როგორ ავიცილოთ ეს ყველაფერი თავიდანო – იკითხა ორივემ და როგორც ბეჟუაშვილი ყვება, ლავროვს დაუფარავად განუცხადებია: ეგაა, რომ მოსკოვი არასოდეს გაუშვებს საქართველოს დასავლეთისკენ და არც ნატო-ში მის გაწევრიანებას დათანხმდება – ამ შემთხვევაში რუსეთს ამიერ და იმიერ კავკასიაშიც საკუთარი პოზიციების შერყევის საფრთხე ემუქრებაო. ბეჟუაშვილი საპირისპიროს უმტკიცებდა. მისი აზრით, დემოკრატიზაციის გზით საქართველოს ინტეგრირება დასავლეთთან სწორედაც რომ რეალურ სტაბილურობას უზრუნველყოფდა რეგიონში და ამით რუსეთიც სარგებელს ნახავდა. მაგრამ ლავროვი ასეთ ანკესებზე არ წამოეგო...

მოკლედ, გარდაუვალი შეტაკების წინათგრძნობით შეპყრობილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სახლისაკენ შეშფოთებული გამოემგზავრა.

თავი 3

კოსოვოს პრეცედენტი

დიპლომატიაც ჰიპოკრატეს ფიცის მთავარ პრინციპს უნდა იცავდეს: *არ ავნო!* პოლიტიკოსებიც და დიპლომატებიც, ექიმების მსგავსად, მუდამ უნდა აცნობიერებდნენ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ ქმედებებს და რა ზიანი – მათ გადაწყვეტილებებს. ეს იმის გააზრებას ნიშნავს, რომ დიპლომატიურმა ქმედებებმა ერთ კონკრეტულ სივრცესა თუ რეგიონში, შეიძლება ძალზე ცუდად იჩინოს თავი სულ სხვაგან და ამიტომაც ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ შესაძლო რისკების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. უნებლიე შედეგების კანონზომიერება საერთაშორისო პოლიტიკაშიც ისევე მოქმედებს, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში.

2008 წლის გაზაფხულზე კოსოვოს აღიარებით დასავლურმა დიპლომატიამ ეს პრინციპი არ დაიცვა და უნებლიეთ, იმავე წლის ზაფხულში, საქართველოში ომის გაჩაღებას შეუწყო ხელი. დასავლეთი ისე უჭერდა მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რომ არავითარ კოორდინირებულ მცდელობას არ ახორციელებდა ამ ნაბიჯის საქართველოს გაყინულ კონფლიქტებზე „გავლენის“ თავიდან ასაცილებლად. ომის ხელშემწყობ პირობად ისიც იქცა, როგორ მოქმედებდა დასავლეთი ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე, სადაც საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ*-ის მიცემა-არმიცემის საკითხი იხილებოდა. ცხადია, არც ერთ შემთხვევაში, არც აშშ-ს და არც ევროპას, შეგნებულად საქართველოსთვის კვანტის დადების სურვილი არ ამოძრავებდა: უბრალოდ, მათი შეცდომა ის იყო, რომ სათანადოდ ვერ შეაფასეს და მზადაც არ აღმოჩნდნენ გაეთვალისწინებინათ, სათავისოდ როგორ გამოიყენებდა მოსკოვი ამ ვითარებას.

კოსოვოს პრობლემის გადაჭრისას ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი ფაქტობრივად, ერთმანეთს არ უკავშირებდა იმას, რაც ბალკანეთში ხდებოდა და რაც, შესაძლოა, ამიერკავკასიაში მომხდარიყო. ჩვენ წრეგადასული ოპტიმიზმი გამოვიჩინეთ იმასთან დაკავშირებით, როგორ დავაცალკევებ-

---

* MAP – Membership Action Plan – ანუ ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმა. (რედ. შენიშვნა)

დით ერთმანეთისგან სხვადასხვა კონფლიქტს, როგორ მოვაგვარებდით თითოეულ მათგანს ცალკე, თანაც განსხვავებული მეთოდებით. ბალკანეთს დასავლეთი აშკარად პრიორიტეტად მიიჩნევდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ კოსოვოს საკითხის მოგვარება დასავლური პოლიტიკისთვის უმთავრესი მნიშვნელობის უნდა გამხდარიყო. ამ შემთხვევაში საქართველო კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილი ჩანდა. დასავლეთი მხოლოდ იმით იფარგლებოდა, რომ საქართველოს დაბეჯითებით უმტკიცებდა – კოსოვო არავითარ შემთხვევაში არ იქნება პრეცედენტი ნებისმიერი სხვა გაყინული პრობლემისთვისო. სხვა მხრივ, საკითხთა ამ ორ წყებას არანაირად არ უკავშირებდა ერთმანეთს. უბრალოდ, დასავლეთმა ვერ გააცნობიერა, რამდენად გააღიზიანა მოსკოვი კოსოვოს ამბავმა და როგორ უპასუხებდა იგი დასავლური პოლიტიკის ამ ნაბიჯს.

არადა, დასავლეთის გადაწყვეტილება – მიზანმიმართულად ემოქმედა და რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად კოსოვოს დამოუკიდებლობა ეღიარებინა, შესაძლოა, სავსებით სწორი პოლიტიკური სვლაც ყოფილიყო თავად კოსოვოსა და ზოგადად, მთელი იმ რეგიონისათვის. ისიც ითქვას, რომ აშშ-სა და მის მთავარ მოკავშირეებსაც თავიანთი მართებული მიზეზები ჰქონდათ კოსოვოს კონფლიქტის მიმართ: 10 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ნატო-მ პირველად გამოიყენა სამხედრო ინტერვენცია სერბების მხრიდან განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესაჩერებლად. ამ დროისათვის მილოშევიჩის ხელისუფლება მართალია დაემხო, მაგრამ დიპლომატიური მცდელობანი – რაიმე შეთანხმება ყოფილიყო მიღწეული კოსოვოს საბოლოო სტატუსთან დაკავშირებით, მაინც უშედეგოდ მთავრდებოდა. მეც მხარს ვუჭერდი დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას; ამ გორდიას კვანძის გაჭრისა და მრავალწლიანი უშედეგო კამათის შემდეგ, გამოსავლის მონახვის სურვილი სრულიად ბუნებრივად მიმაჩნდა. თავისთავად ეს არ იყო პრობლემა.

პრობლემა ის გახლდათ, რომ დასავლეთმა ვერანაირი „გეგმა B“ ვერ შეიმუშავა, რაც საქართველოზე ამ პოლიტიკის შესაძლო ასახვას გაითვალისწინებდა. ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა არც თავად საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში და არც მოსკოვთან დიპლომატიური მუშაობის კუთხით. არადა, დასავლეთის ამ ნაბიჯმა კიდევ უფრო გაზარდა დაძაბულობა და არასტაბილურობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თანაც მაშინ, როცა ორივეგან ისედაც ფეთქებადსაშიში ვითარება იყო. დიპლომატიური თვალსაზრისით, დასავლეთის განცხადებები კოსოვოს განსაკუთრებულობის თაობაზე ის ორლესული მახვილი აღმოჩნდა, რასაც მოსკოვი საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა. მისი გზავნილი უაღრესად ერთმნიშვნელოვნად იკითხებოდა: „განსაკუთრებულობა“ ბალკანეთში – ნებისმიერ სხვა ადგილასაც იმავე „განსაკუთრებულობად“ რჩებაო. და თუკი დასავლეთს შეეძლო იქ მოსკოვის ინტერესების უგულებელყოფა, კრემლი ყველას დაანახებდა, რომ თავადაც შეეძლო სხვისი ინტერესების

უგულებელყოფა – თუნდაც სამხრეთ კავკასიაში. ყოველივე ეს კიდევ უფრო დაუცველს ხდიდა საქართველოს, მოსკოვს თბილისის წინააღმდეგ მოქმედების წინაპირობებს უქმნიდა და იმ პოლიტიკური და სამხედრო ესკალაციის შესაძლებლობას აძლევდა, რამაც კულმინაციას სწორედ 7 აგვისტოს მიაღწია. როგორც მოსალოდნელი იყო, მას მერე, რაც დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა ცნო, რუსეთის ლიდერებმა ქართველ კოლეგებს დაუფარავად განუცხადეს – კოსოვოს გამო დასავლური პოლიტიკის საფასურის გადახდა მოგიწევთო და დანაქადი აასრულეს კიდეც.

მოკლედ, დასავლეთის მხრიდან ამის აღმკვეთი არანაირი სტრატეგია არ იხილებოდა და საქმე ფუჭსიტყვაობის იქით არ მიდიოდა. საბოლოოდ, ამგვარი თამაში ყველას ცუდად მოგვიბრუნდა; აი, მოსკოვი კი სიტყვებს ფუჭად არ ხარჯავდა და შესაბამისადაც მოქმედებდა. ამ დროს არ არსებობდა არანაირი დასავლური სტრატეგია, რაც საქართველოს ამ ქმედებათა თანამდევი საფრთხეებისაგან დაიცავდა. ისიც აშკარა ჩანდა, რომ მარტო საქართველოც ვერაფერს გახდებოდა სხვის დაუხმარებლად. არადა, დასავლეთს შეეძლო და ვალდებულიც იყო რამდენიმე აუცილებელი ნაბიჯი გადაედგა, რაც მოვლენათა კრიტიკულ განვითარებას აგვაცილებდა თავიდან: დასავლეთს შეეძლო უმაღლეს დონეებზე გაეფრთხილებინა მოსკოვი, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების პასუხად მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი სრულიად მიუღებლად იქნებოდა მიჩნეული და სერიოზული შედეგებიც მოჰყვებოდა თავად რუსეთისთვის აშშ-სთან, ევროკავშირსა და ნატო-სთან ურთიერთობაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს, ასევე გაერო-სა და ეუთო-ს, მისიების ფუნქციათა გაფართოება, კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო ჩარევის უზრუნველყოფა და იქ მიმდინარე მოვლენების მეტად გაკონტროლებაც შეეძლოთ: კონფლიქტურ ზონებში საერთაშორისო დამკვირვებლების რაოდენობის გაზრდა ხომ ხელს შეუწყობდა უფრო მეტ გამჭვირვალობას, შედეგად კი – კოსოვოს პრეზიდენტის განმეორებასა და, სავარაუდოდ, რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეებსაც შეაფერხებდა! აშშ-საც და ევროპასაც უფრო მიზანმიმართულად უნდა ეცადათ კონფლიქტთა მოგვარების მართვის პროცესის სრულმასშტაბიანი ინტერნაციონალიზაცია გაერო-ს ეგიდით – როგორც ეს იმავე კოსოვოში მოხდა 10 წლის წინ. მაგრამ დასავლეთს არც რუსეთის შესაკავებლად გადაუდგამს ნაბიჯები და არც ადგილზე ცვლილებების განხორციელება უცდია – საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგებისაგან მაინც რომ დაეცვა თბილისი.

ბუქარესტში ნატო ცდილობდა ის კომპრომისი გამოენახა, რაც მომავალ გაფართოებასთან და საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ-ის მიცემის საკითხთან დაკავშირებით თავად ალიანსში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას აღმოფხვრიდა. მიღწეულმა კომპრომისმა – არ მიეცათ მაპ-ი, მაგრამ გაეკე-

თებინათ უპრეცედენტო პოლიტიკური განცხადება – ორივე ეს ქვეყანა ბოლოს და ბოლოს ალიანსში გაწევრიანდებაო – მხოლოდ ალიანსში არსებული განსხვავებული ხედვები დააკმაყოფილა. ამ გადაწყვეტილებამ გადაარჩინა დიპლომატური მატარებელი და მოიტანა შეთანხმება საქართველოსა და უკრაინაზე. მოკავშირეები იმედოვნებდნენ, რომ ეს განცხადება დაამშვიდებდა კიევსა და თბილისს და არც რუსეთს და პუტინს გააღიზიანებდა, ვისაც ამ ქვეყნებისათვის მაპ-ის მიღება-არმიღების საკითხი ლამის პირადი ღირსების საკითხად მიაჩნდა.

მაგრამ იმან, რაც თეორიულად გონივრული ჩანდა და ნატო-ს საკვანძო წევრების განსხვავებულ პოლიტიკურ სურვილებს აკმაყოფილებდა, მოსკოვში დიამეტრულად საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია: პუტინის ქცევამ ჯერ თავად სამიტზე და მისმა შემდგომმა კომენტარებმა დასავლელი ლიდერების, მათ შორის პრეზიდენტ ბუშის ნაბიჯებთან დაკავშირებით – ნათელი გახადა, რომ მოსკოვმა, ნატო-ს იმედების მიუხედავად, სრულიად საპირისპირო დასკვნა გამოიტანა. იქნებ მიიჩნია კიდეც, რომ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების საფრთხე მართლაც რეალური გახდა და მხოლოდ ალიანსის წევრებს შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობის გამო, ეს საფრთხე, უახლოეს მომავალში მაინც, რეალობად არ იქცეოდა; შესაბამისად, მოსკოვმა სწრაფი მოქმედება ამჯობინა საქართველოს მანამდე შესაჩერებლად, ვიდრე პროცესი აზვირთდებოდა და შეუქცევადი გახდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კომპრომისმა რუსეთის შეკავების ნაცვლად, მისი წაქეზება გამოიწვია! კოსოვოს აღიარების არ იყოს, ბუქარესტის სამიტმაც რუსეთის მხრიდან იმ ნაბიჯების გადადგმა განაპირობა, რამაც მომდევნო წლის აგვისტოში უკვე ომამდე მიიყვანა საქმე.

2006 წლის შუა ხანებში ნათელი გახდა, რომ მოსკოვის პოლიტიკა კოსოვოს საკითხის მიმართ უფრო და უფრო ხისტი ხდებოდა, აღარც ის იყო მოსალოდნელი, თითქოს რუსეთი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ხელს არ შეუშლიდა. ესეც იმ კვაზირევოლუციის ნაწილი ჩანდა, რაც რუსულ საგარეო პოლიტიკაში ხორციელდებოდა და ზოგადად ევროპის მასშტაბით მოსკოვის პოლიტიკის გამკაცრებაზე მიუთითებდა. არადა, საერთაშორისო თანამეგობრობამ, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-მა და ევროკავშირმა, მოსკოვის მუქარა – კოსოვოს აღიარების შემთხვევაში საქართველოს საწინააღმდეგო ნაბიჯებს გადავდგამო, არად ჩააგდეს. რატომღაც ეგონათ – მოსკოვი მხოლოდ ბაქიბუქობსო.

როგორ გადაიხლართა, ერთი მხრივ, კოსოვოსა და, მეორე მხრივ, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ერთმანეთში, ეს ის ვრცელი თემაა, რომელიც საერთაშორისო სამართალს, დასავლეთის დიპლომატიის პრიორიტეტების ცვლასა და მოძლიერებული რუსეთის პრეტენზიებსაც მოიცავს

აშშ-ისა და ევროპის მიმართ. ყოველივე ამას, ხშირ შემთხვევაში, ნაკლები კავშირი აქვს ადგილზე განვითარებულ მოვლენებთან – დასავლეთის რუსეთთან ურთიერთობის ცვალებადი დინამიკის ფსონებთან შედარებით. ათი წლით ადრე ხომ კოსოვოს თემამ რუსეთსა და დასავლეთს შორის ცივი ომის დასრულების შემდეგ უდიდესი კრიზისიც გამოიწვია და იმავდროულად – არნახული თანამშრომლობაც. დრამატული პოლიტიკური და დიპლომატიური მცდელობები, აღეკვეთათ სლობოდან მილოშევიჩის მიერ წამოწყებული ეთნიკური წმენდა, გამოიხატა როგორც ნატო-ს სამხედრო კამპანიის მასშტაბურობით, ასევე რუსეთთან ახალი და უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სურვილით.

ნატო-ს გადაწყვეტილებამ, ჩარეულიყო კოსოვოს ამბებში და მილოშევიჩის სისხლიანი ქმედებებისთვის დაესვა წერტილი, კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის შიში დასავლეთის განზრახვებთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით. რუსეთის გადასახედიდან, პრობლემა ის იყო, რომ აშშ ამჯერადაც ისე იქცეოდა, თითქოს უფლება ჰქონდა, საკუთარი ნება მთელი მსოფლიოსათვის მოეხვია თავს: ზემოქმედებდა გაერო-ს უშიშროების საბჭოზე, თავისკენ ექაჩებოდა ნატო-ს და ეუთო-საც მის ჭკუაზე სიარულს აიძულებდა. როგორც 1995 წელს ბოსნიას, გაფართოებული ნატო ახლა უკვე მართლმადიდებლურ სერბეთსაც – იმ ხალხს ბომბავდა, რომელიც ერთ დროს რუსეთის უახლოესი მოკავშირე იყო და ეს ამბავი რუს და ზოგადად, ყველა პანსლავურ ნაციონალისტს აღაშფოთებდა. კიდევ უარესი – ნატო-ს ალიანსი ამას გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციის გარეშე აკეთებდა, რითაც მოსკოვს გაერო-ში ვეტოს უფლების უძლურებაზე მიუთითებდა. რუსების აზრით, ამერიკული ექსპანსიონიზმი ინტერვენციონიზმის ახალ საბურავში ინიღბებოდა და ნატო-საც „მსოფლიო ჟანდარმად" იყენებდა.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს, კოსოვოს კონფლიქტმა ახალი საზრდო მიაწოდა რუსეთში ფესვგამჯდარ „შეთქმულების თეორიას". ამ ქვეყანაში ძალზე ცოტას თუ სჯეროდა, თითქოს დასავლეთი მართლაც ჰუმანიტარული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ან ნატო დაადგამდა ფეხს სტრატეგიულად კოსოვოსავით იმდენად უმნიშვნელო ადგილას, რაიმე უფრო ფართო და შორსმიმავალი გეგმა რომ არ ჰქონოდა. ბევრი რუსისათვის კოსოვო ჩეჩნეთის ერთგვარ ანალოგიად განიხილებოდა: ჩეჩნეთის მსგავსად, კოსოვოც უპირატესად მაჰმადიანებით დასახლებული პროვინცია იყო იმ სახელმწიფოს საზღვრებში, სადაც უმრავლესობას სლავები შეადგენდნენ და როგორც ჩეჩნეთში, იქაც სეპარატისტული განწყობა დუღდა. როგორ აბსურდულადაც არ უნდა ჟღერდეს, რაც უფრო აშკარა ხდებოდა ნატო-ს მხრიდან სამხედრო ჩარევის გარდაუვალობა კოსოვოში – 1999 წლის გაზაფხულზე, მით უფრო აქტიურად აცხადებდნენ რუსი პოლიტიკოსები, სამხედრო ექსპერტები და კომენტატორები, რომ ეს, უბრალოდ, რუსეთის წინააღმდეგ სამომავლო ომის რეპეტიცია

იქნებოდა. ამ ომისთვის კი დასავლეთი ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დაცვას მოიმიზეზებდა. რუსეთის ლიდერები შეუნიღბავად აცხადებდნენ – თუკი ამ ინტერვენციას შევეგუებით, ადრე თუ გვიან, იგივე მოდელი რუსეთშიც იქნება გამოყენებული და ვერც ჩვენი ხმა გვიშველის გაერო-ს უშიშროების საბჭოში და ვერც ნატო-სთან ჩვენი „მეგობრული" ურთიერთობებიო.

შესაბამისად, კოსოვო მოსკოვისათვის უაღრესად მტკივნეულ საკითხად იქცა და კიდევ უფრო მეტი საფუძველიც მისცა მის შიშს ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებით. იმხანად სახელმწიფო დეპარტამენტის იმ გუნდის წევრი არ გახლდით, რომელიც უშუალოდ კოსოვოს თემაზე მუშაობდა, მაგრამ კარგად ვგრძნობდი რუსების განწყობილებას ალიანსის მიმართ. 1999 წლის მარტში, როცა ნატო-მ დაბომბვა დაიწყო, რუსეთმა პრაქტიკულად ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა დასავლეთთან, რამდენიმე უმნიშვნელო გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით. ერთ-ერთი ამგვარი გამონაკლისი იყო კონსულტაციები ეუთო-ს ახალ ქარტიასთან დაკავშირებით. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში მეც მომიწია მოსკოვში ჩასვლა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ევგენი გუსაროვთან შესახვედრად. როცა აეროპორტიდან აშშ-ის საელჩოსთან მივედი, შესასვლელთან პოლიციის ათიოდე მანქანა დამხვდა, იქაურობა უშიშროების თანამშრომლებით იყო სავსე. ეს კორდონები რომ გავიარე და ბოლოს, ელჩ ჯიმ კოლინზამდე მისვლა მოვახერხე, ის შენობის კედელში ჩარჭობილ ისარს ათვალიერებდა. როგორც ამიხსნა, ცოტა ხნით ადრე ალექსანდრე ნეველივით აღკაზმული ვიღაც ცხენოსანი საელჩოს მისდგომია და მშვილდიდან ისარი უტყორცნია – ნატო-ს ქმედებებზე პროტესტის ნიშნად...

დასავლური ხედვა, ცხადია, განსხვავებული იყო: ნატო-მ ინტერვენციისა და ომში ჩაბმის გადაწყვეტილება მხოლოდ დიდი ყოყმანის შემდეგ მიიღო და ისიც მაშინ, როცა სხვა გზა ვეღარ დაინახა მილოშევიჩის დაუნდობელი არმიის მხრიდან ეთნიკური წმენდისა და კოსოვართა ჟლეტის შესაჩერებლად. რა თქმა უნდა, ნატო-ს ერჩია გაერო-ს უშიშროების საბჭოს თანხმობაც მიეღო, მაგრამ ამის გარეშე მოქმედებისკენაც მას მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ვეტოს მუქარამ უბიძგა. ის, რასაც ბევრნი მოსკოვში დასავლეთის სამხედრო თავნებობად მიიჩნევდნენ, „შიგნიდან" სულ სხვანაირად ჩანდა: უბრალოდ, არაერთსულოვანი ალიანსი ყოველმხრივ ცდილობდა, გეზს არ ასცდენოდა, შიდა უთანხმოებაც მოეგვარებინა და ასე გამოდის, ცალხელშებორკილს უნდა ეომა მოწინააღმდეგესთან. კაცმა რომ თქვას, ამ ყველაფერმა ალიანსის სისუსტეები უფრო წარმოაჩინა, ვიდრე მისი ძლევამოსილება.

ახლა შეიძლება ბევრს აღარც ახსოვდეს, კოსოვოს გამო რა ახლოს იყვნენ ნატო და რუსეთი ნამდვილ სამხედრო დაპირისპირებასთან. ამ საკითხის ირგვლივ დავა-კამათი მხოლოდ დიპლომატიური ჭიდილით არ შემოფარგლულა – განხეთქილების ერთ-ერთი მთავარი თემა ისიც იყო, კონკრეტულად სად

და რა ფორმით უნდა ჩართულიყვნენ რუსეთის შეიარაღებული ძალები ნატო-ს სარდლობით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში. საბოლოოდ, მოსკოვი დათანხმდა დასავლეთის გადაწყვეტილებას, თუმცა თავდაცვის სამინისტროში მოკალათებულმა მკაცრი პოლიტიკის მომხრეებმა ბოლო წუთს დასავლეთისთვის სიურპრიზის შეთავაზება სცადეს – კოსოვოს მთავარ აეროპორტ *სლატინას* ხელში ჩაგდება მოინდომეს – რასაც შეიძლებოდა სამშვიდობო ძალების გაფანტვა და ნატო-რუსეთის შეიარაღებული შეტაკებაც კი გამოეწვია. თავის მხრივ, ნატო-მ სწრაფად იმოქმედა, აეროპორტის ასაფრენი ბილიკები დაიკავა და საბოლოოდ, კონფრონტაციაც თავიდან აიცილა, მაგრამ შეიარაღებული შეტაკების საფრთხე მართლაც რეალური ჩანდა.

ისიც სათქმელია, რომ ხშირად მოსკოვი იმდენად კონფლიქტის რეგიონში მიმდინარე კონკრეტულ მოვლენებზე კი არ ამახვილებდა ყურადღებას, რამდენადაც ფარულ სიმბოლიზმზე იმისა, რასაც, მისი აზრით, დასავლეთი რუსეთის თანხმობის გარეშე ახორციელებდა ევროპის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ნატო-ს მიერ ბალკანეთის დაბომბვების ექომ თავად რუსეთში ანტიდასავლურად განწყობილი ძალები დარაზმა და საფრთხეც შეუქმნა ბორის ელცინის მყიფე ხელისუფლებას. საბოლოოდ, რუსეთი მართალია გონს მოეგო და დახმარებაც გაუწია დასავლეთს მილოშევიჩის დარწმუნებაში – დაბომბვების შესაწყვეტად იმავე დასავლეთის პირობებს დათანხმებოდა, მაგრამ მანამდე იყო დაძაბული დიპლომატიური შეხლა-შემოხლაც, კონსტიტუციური კრიზისიც მოსკოვში და რუსი გენერლების თავხედური და უკონტროლო გამოხდომებიც. მართალია, რუსეთის ფედერაციის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად ომი დაიწყო, მაგრამ მის დასრულებას დიდწილად იმანაც შეუწყო ხელი, რომ პრეზიდენტმა ელცინმა და მისმა საგანგებო ემისარმა, ვიქტორ ჩერნომირდინმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს, ყურად არ ეღოთ მათ ქვეყანაში გამძაფრებული ნაციონალისტური პროტესტი და პრაქტიკულად, მხარი დაუჭირეს ამერიკისა და ნატო-ს კატეგორიულ მოთხოვნებს მილოშევიჩის წინააღმდეგ.[56] 1999 წლის კოსოვოს ომი გახლდათ როგორც ცივი ომისშემდგომი, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი პერიოდის უმწვავესი კრიზისი, ასევე იმის ყველაზე ნათელი დადასტურებაც, რისი მიღწევა შეიძლებოდა აშშ-რუსეთის თანამშრომლობით. მაგრამ რამდენადაც დასავლეთმა იმავე მიმართულებით განაგრძო სვლა, რუსეთი ღრმად შეურაცხყოფილი დარჩა და მოსკოვის განაწყენება მთლიანად ბოლომდე არც განელებულა. იმხანად სახელმწიფო უშიშროების საკითხებში ელცინის მრჩეველი გახლდათ ვინმე ვ. პუტინი – სუპ-ის ყოფილი ოფიცერი, რომელიც უშუალოდ კურირებდა დიპლომატიური ურთიერთობების არაერთ ასპექტს, მათ შორის, რუსების მცდელობასაც, ნატო-ს ძალების მისვლამდე დაეკავებინათ სლატინას აეროდრომი. 1999 წლის ბოლოს, ელცინი გადადგა და რუსეთის პრეზიდენტად სწორედ პუტინი მოგვევლინა.

მართალია, რუსეთი შემდეგ სრულად ჩაერთო გაერო-ს მიერ სანქცირებულ და მართულ პროცესებში, რაც კოსოვოს პოლიტიკურ მოწყობას გულისხმობდა, მონაწილეობდა ასევე ნატო-ს ეგიდით განხორციელებულ სამშვიდობო ღონისძიებებშიც, მაგრამ მოსკოვს არც არაფერი დავიწყებია და არც წყენის პატიება უფიქრია. მისი გადასახედიდან ნატო-ს მიერ კოსოვოში ინტერვენცია სახიფათო პრეცედენტს ქმნიდა იმ მხრივ, რომ ალიანსი გაერო-ს სრულ მხარდაჭერას არად დაგიდევდათ და რუსეთის ვეტოს უფლებასაც ძალას ართმევდა; ბალკანეთში მოსკოვთან მისი თანამშრომლობის სურვილიც კი იმგვარ სამომავლო მოდელად ესახებოდა, რომელიც მხოლოდ ორთქლის გამოშვებას თუ ემსახურებოდა. თანაც, კოსოვოს მემკვიდრეობა, ისევე, როგორც მანამდე – ბოსნიისა, უაღრესად წინააღმდეგობრივი რჩებოდა. რუსეთის აზრით, კოსოვო რუსული ნაციონალიზმისათვის გაწნული სილა იყო, უფრო მეტიც – დასავლეთის მიმართ ელცინისდროინდელი რუსეთის უძლურობის სიმბოლოც. ეს იყო რუსეთის მოთმინებისა და თავშეკავების გამოცდა, რაც არასოდეს უნდა განმეორებულიყო. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კოსოვოში ნატო-ს მიერ ჩატარებულმა ოპერაციებმა უფრო მეტად შეცვალა რუსეთის ხედვა ალიანსის მიმართ, ვიდრე – ნატო-ს ადრინდელმა გაფართოებამ, და რომ ცივი ომისშემდგომი რუსეთ-დასავლეთის სტრატეგიული პარტნიორობის დასასრულის დასაწყისადაც სწორედ ეს კამპანია იქცა.[57]

1999 წლის ზაფხულში, მილოშევიჩის განდევნის შემდეგ, დასავლეთი ოფიციალურად მზად არ იყო კოსოვოს დამოუკიდებლობისათვის მხარდასაჭერად, გაერო-ს რეზოლუცია №1244 ჯერ მხოლოდ სერბეთის სუვერენიტეტს აღიარებდა, თუმცა იმავდროულად აფუძნებდა გაერო-ს მისიას, რომელსაც კოსოვო თვითმმართველობისათვის უნდა მოემზადებინა და მის სამომავლო პოლიტიკურ სტატუსზეც ეფიქრა.[58] ნატო ომში უფრო სერბების მხრიდან ეთნიკური წმენდის შესაჩერებლად ჩაება, ვიდრე კოსოვოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, თუმცა იმ დროს ბევრ ჩვენგანს უკვე უჩნდებოდა კითხვა – მოახერხებდნენ კი ოდესმე სერბები და კოსოვარები ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებას? ვაშინგტონსა და ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული შეხედულება, რომ ზოგადად იმ რეგიონის სტაბილურობის საკითხი მთლიანად სერბების მომავალზე იყო დამოკიდებული: წარმატებული და დემოკრატიული სერბეთის გარეშე ბალკანეთში ვერასოდეს დაისადგურებდა სტაბილურობა და ვერც ევროპა გახდებოდა ნამდვილად ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი. აქედან გამომდინარე, დასავლეთის აზრით, დახარჯული ძალისხმევის უმთავრესი ჯილდო უნდა ყოფილიყო დემოკრატიული, ეკონომიკურად წარმატებული სერბეთი, რომელიც, საბოლოდ, ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი გახდებოდა. ახლა საქმე ის იყო, როგორ მოხერხდებოდა ამ მიზნის შეჯერება კოსოვართა საერთო სურვილთან – ისინიც დამოუკიდებელნი გამხდარიყვნენ.

ამის ერთადერთი გზა ჩანდა: მილოშევიჩისაგან გათავისუფლებული სერბეთი მართლაც დემოკრატიული გახდა და ნაციონალისტური განწყობილებების ბოლომდე დაძლევის შემთხვევაში, იმედიც არსებობდა, რომ ქვეყანა კოსოვოსთან დაკავშირებითაც ახლებურ მიდგომას გამოავლენდა. ამერიკის შეერთებულ შტატებს და ევროპას იმედიც ჰქონდათ, რომ ეს ახალი, მილოშევიჩისშემდგომი დემოკრატიული სერბეთი ან რაიმე ახალ ფორმატში მონახავდა საერთო ენას კოსოვოსთან, ან აღიარებდა, რომ ეს საკითხი მისთვის კისერზე ყულფად იყო ქცეული და შემდგომი წინსვლისათვის ამ ყულფისაგან განთავისუფლებაც აუცილებელი იყო. მოკლედ, იმედოვნებდნენ, რომ ახალი, დემოკრატიული სერბეთი კოსოვოს შეელეოდა და ამის სანაცვლოდ, გეზს ჯერ ევროკავშირის, შემდეგ კი ნატო-სკენ აიღებდა.

კოსოვოს ომის შემდგომ პირველ წლებში დასავლეთს მთელი ყურადღება იმ პოლიტიკაზე ჰქონდა გადატანილი, რაც ასე ვთქვათ, „სტანდარტების" უპირატესობას გულისხმობდა „სტატუსთან" შედარებით და ეგონა, რომ სერბეთში დემოკრატიული ცვლილებებიც სწორედ ამ ახლებურ მიდგომებსა და პოლიტიკას შეუწყობდა ხელს. საქმე ეხებოდა მმართველობის სტრუქტურების შექმნა-ჩამოყალიბებას კოსოვოში და უპირველეს ყოვლისა, უმცირესობათა უფლებების დაცვას; ბელგრადისათვის დროის მიცემას დემოკრატიული გარდაქმნების ჩასატარებლად და იმის გასააზრებლად, რა მოსდევდა კოსოვოს შენარჩუნების ჯიუტ სურვილს; ევროკავშირისათვის იმ შესაძლებლობის მიცემას, რომ სერბეთისათვის უფრო მჭიდრო კავშირები შეეთავაზებინა და საბოლოოდ, სამხედრო დამნაშავეების სათანადოდ დასჯისა და კოსოვოს თაობაზე გონივრული გადაწყვეტილების მიღების სანაცვლოდ, საკუთარ რიგებშიც მიეღო. ამასობაში, გაერო-ს ეგიდით განხორციელებულ ქმედებებს კოსოვოს ჯერაც ჩამოუყალიბებელი ინსტიტუტების მომზადება უნდა უზრუნველეყო იმ შემთხვევაში, თუკი სერბებთან საერთო ენის გამონახვა ვერ მოხერხდებოდა და კოსოვოს დამოუკიდებლობაც ბელგრადის თანხმობის გარეშე იქცეოდა რეალურ ფაქტად.

2003-2004 წლებში ამ პოლიტიკას გარკვეული ჩავარდნებიც ჰქონდა: თავდაპირველად ამის მიზეზი 2003 წლის მარტში პრემიერ-მინისტრ ზორან ჯინჯიჩის მკვლელობა გახდა: სწორედ ეს სერბი ლიდერი ცდილობდა ქვეყნის შიდა გარდაქმნას და ყოველთვის აღიარებდა კიდეც იმ სამომავლო უპირატესობებს, რაც კოსოვოს ფართო ავტონომიურობას ან თუნდაც სრულ დამოუკიდებლობას შეიძლება მოჰყოლოდა. მეორე შემთხვევაში, ხსენებული პოლიტიკის ჩავარდნის მიზეზი თვით კოსოვოში 2004 წლის მარტის ანტისერბული გამოსვლები გახდა – ამ გამოსვლებმა დიდად შეარყია სერბების რწმენა, რომ დასავლეთს კოსოვოში სერბული უმცირესობის დაცვა მართლაც სურდა და შეეძლო კიდეც. კაცმა რომ თქვას, იმ დროს ბალკანეთი, როგორც დასავლური პოლიტიკის პრიორიტეტი, მეორე პლანზე გადადიოდა – 2001 წლის 11 სექტემბრის

ტერორისტულმა აქტებმა და შემდგომში ერაყის ომმაც, ამერიკის ყურადღება ევროპიდან სხვაგან გადაიტანა, ხოლო ის საკითხი, რასაც ბევრი კლინტონის ადმინისტრაციის ქვაკუთხედად მიიჩნევდა, ნაკლებაქტუალური გახადა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მომენტი დაიკარგა და ამ რეგიონში გაურკვევლობამ დაისადგურა.

მაგრამ თანდათანობით, კოსოვოს სამომავლო პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების ამაო ძებნის წლებმა გადაიარა და დასავლურ პოლიტიკურ აზროვნებაშიც კვლავ გამოიკვეთა კოსოვოს ერთგვარი „კონტროლირებადი დამოუკიდებლობის“ თემა. ბუშის მეორე საპრეზიდენტო ვადის დაწყებისას ამერიკის შეერთებულ შტატებში დაასკვნეს, რომ თავდაპირველმა პოლიტიკურმა მიდგომამ კოსოვოს საკითხისადმი მარცხი განიცადა და დრო იყო, ასე ვთქვათ, „სიჩქარე გადაერთოთ“. ბევრი ევროპელისა არ იყოს, ვაშინგტონელმა პოლიტიკოსებმაც მიიჩნიეს, რომ სერბებს არ შეეძლოთ საკუთარ ნაციონალიზმზე ბოლომდე უარის თქმა და უახლოეს მომავალში კოსოვოს დაკარგვასაც ვერ შეეგუებოდნენ. ბელგრადში რეფორმების დამუხრუჭებამ ნათელი გახადა, რომ სერბებისათვის ევროკავშირის წევრობა სწრაფი და რეალური სარგებელი ვერ გახდებოდა, კოსოვარების მიერ დამოუკიდებლობის უსასრულო ლოდინის პერსპექტივა კი რეგიონში ახალი დიდი დესტაბილიზაციის საფრთხეებს მოასწავებდა.

საკითხის გადაწყვეტა იმგვარ დიპლომატიურ ინიციატივებს მოიცავდა, რაც კოსოვოსათვის ახალი სტატუსის უმტკივნეულოდ აღიარებას შეუწყობდა ხელს. იმედოვნებდნენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა იმ პროცესების მართვას მოახერხებდა, კოსოვოს „კონტროლირებადი დამოუკიდებლობა“ რომ მოჰყვებოდა და არა ამ პროვინციის მიერ სრული დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება, რასაც კონფლიქტის განახლება შეიძლებოდა გამოეწვია. ამ მცდელობისას დასავლეთი მზად იყო, შორი გზით შემოევლო და რუსეთთანაც ნაყოფიერად ემუშავა, დაეკმაყოფილებინა მისი ინტერესები და, საბოლოოდ, კოსოვოსთან დაკავშირებული ყველა საკითხი გაერო-ს ფორმატში გადაეწყვიტა. ცხადია, დასავლეთი ვერ გარისკავდა და ვერც დაუშვებდა კოსოვოში ახალი აფეთქებისა და დესტაბილიზაციის შესაძლებლობას; ის ლომის წილ პასუხისმგებლობასაც კისრულობდა და რეგიონში ყველაზე სარისკო როლსაც თანხმდებოდა. სწორედ ევროკავშირი აცხადებდა მზადყოფნას, პასუხისმგებლობა გაერო-ს ნაცვლად თავად აეღო თავზე, ყველა სადავო საკითხში ეტვირთა შუამავლის როლი და მომავალში, ეს ქვეყნები ევროპული ინსტიტუტების წევრებად ექცია. აშშ და ევროპა მზად იყვნენ, მჭიდროდ ეთანამშრომლათ რუსეთთან, თუმცა არც იმას გამორიცხავდნენ, რომ გარკვეულ ვითარებაში, შესაძლოა, მოსკოვი წინაღობადაც ქცეულიყო ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

არადა, ბელგრადიც და მოსკოვიც სულ სხვა გეზით აპირებდნენ სვლას: სერბეთის ხელისუფლებამ დასავლური პოლიტიკის ამ ცვლილებაში აშკარა პროკოსოვური ტენდენციები დაინახა და 2006 წლის ივნისში ბოლოჯერ სცადა ვაშინგტონისა და ევროპის ქვეყნებისათვის წარედგინა მისეული გეგმა, სადაც მთავარი ყურადღება კოსოვოში ჯერ ადგილობრივი თვითმმართველობების შექმნას ჰქონდა დათმობილი და უკვე ამის შემდეგ, მოზომილ პოლიტიკურ დათმობებზე წასვლასაც ითვალისწინებდა. ამერიკელებმაც და ევროპელებმაც ეს გეგმა უარყვეს და უბრალოდ, დროის გაყვანის ტაქტიკად მიიჩნიეს. ამის შემდეგ სერბებმაც აღარ ისურვეს შუამავლად დასავლეთის ყოფნა და მოსკოვისკენ ქნეს პირი მისგან დახმარების მიღების იმედით. პარალელურად და სხვა მიზეზთა გამო, პუტინისეული რუსეთი უფრო ავტოკრატიული და ნაციონალისტური ხდებოდა და ბელგრადიც დიდი სიხარულით ჩაიკრა გულში. ნავთობდოლარებით გულმოცემულმა რუსეთის ლიდერმა „დიდი რუსეთის" სიძლიერის აღდგენის ამბიციური გეგმა დაისახა და საგარეო პოლიტიკაშიც მოინდომა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ქვეყნის შერყეული პოზიციების გამაგრება. ბალკანეთი აშკარად არ განიხილებოდა რუსეთის მიერ ე.წ. „ახლო საზღვარგარეთის" ნაწილად და იმის მიუხედავად, რომ პუტინის ყურადღება სწორედ ამგვარ ტერიტორიებზე იყო გადატანილი, მოსკოვმა მაინც მიიჩნია, რომ ბალკანეთში საკუთარი ინტერესების დაცვასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა მისთვის. რუსეთს სურდა ნათლად დაენახებინა ყველასთვის, რომ ბალკანეთში ვერაფერი გადაწყდებოდა მისი თანხმობის გარეშე და მისი ნების საწინააღმდეგოდ.

მსგავსება-განსხვავებანი, ერთი მხრივ, კოსოვოს გამო სერბეთში არსებულ და, მეორე მხრივ, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებს შორის, ჯერაც გაცხოველებული კამათის საგანია. ორივე შემთხვევაში სეპარატისტი ეთნიკური ლიდერების მიერ მართული განდგომილი პროვინციები ცენტრალური ხელისუფლებისაგან სრულ დამოუკიდებლობას ესწრაფოდნენ; ორივეგან კლასიკური შეუსაბამობა გამოვლინდა ტერიტორიული მთლიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს შორის და ეს თემა თავისთავად, უკვე დიდი ხანია სახელმწიფო მოღვაწეთა თუ კანონმდებელთა დიდ თავსატეხადაა ქცეული: მართლაც, რა გარემოებათა კარნახით შეიძლება მიეცეს ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს გამოყოფისა და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების უფლება და ასევე, როგორ და რა პირობით შეიძლება ევროპაში სახელმწიფო საზღვრების შეცვლა – ეს ჯერ კიდევ ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო აქტის ძირისძირი საკითხი გახლდათ. არადა, იმჟამინდელმა გადაწყვეტილებებმაც დიდი გამოცდა გამოიარა – როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ისე იუგოსლავიის დაშლის დროს.

მაგრამ, როცა ზოგად პრინციპებს ვცილდებით და რეალურ სამყაროში ამოვყოფთ თავს, კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებში გაცილებით მეტი

განსხვავება იკვეთება, ვიდრე მსგავსება. ერთი უმთავრესი განსხვავება უბრალო დემოგრაფიულ სურათს უკავშირდება: კოსოვოში მოსახლეობის ეთნიკურ უმრავლესობას 90% კოსოვარები შეადგენდნენ, აფხაზეთში – აფხაზები უმცირესობა იყო. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე, რუსეთის ანუ გარეშე ძალის დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით ეთნიკური წმენდის განხორციელებამდე, აფხაზეთში სამჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აფხაზი. ძირეულია განსხვავება კონფლიქტის წარმოშობასთან დაკავშირებითაც: კოსოვოელი ალბანელები ჯერ კიდევ კომუნიზმის კრახამდე დიდი ხნით ადრეც განიცდიდნენ დისკრიმინაციას: ყოფილ იუგოსლავიაში მათ არ გააჩნდათ ისეთი ავტონომია, როგორც სლოვენებსა თუ მაკედონელებს. რაც შეეხება აფხაზებს, ისინი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ – პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ და ადგილობრივ ხელისუფლებაშიც არაპროპორციულად დიდი წარმომადგენლობაც ჰყავდათ. სწორედ ამ მდგომარეობისა და პრივილეგიების შესანარჩუნებლად წამოიწყეს მათ ბრძოლა – უკვე საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.[59]

მეტიც, კოსოვოსა და აფხაზეთის პოლიტიკურ ლიდერებს ძირეულად განსხვავებული ხედვები ჰქონდათ თვითმმართველობასთან დაკავშირებით: კოსოვოელი ლიდერები დემოკრატიის მაგალითად ნამდვილად ვერ გამოდგებოდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში დასავლეთის მოთხოვნითა და ზეწოლით მაინც მთელი პაკეტი შეიმუშავეს, რაც კოსოვოში ეთნიკურად სერბული თემებისთვის ავტონომიურობისა და უმცირესობის უფლებების გარანტიებს გულისხმობდა; სოხუმის შემთხვევაში აფხაზურ ხელმძღვანელობას მსგავსიც არაფერი გაუკეთებია, რადგან ეს ხელისუფლების მათეულ პრეტენზიებს გამოუთხრიდა ძირს. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ ომამდე თავად აფხაზები შეადგენდნენ უმცირესობას; ძალიან კარგად ესმოდათ, რომ ნებისმიერი შეთანხმება, რაც კი ქართველი დევნილების მნიშვნელოვანი რაოდენობის შინ დაბრუნებას ან ქართველებით დასახლებული რაიონებისათვის ავტონომიის მინიჭებას გახდიდა შესაძლებელს, იმ ბუმერანგად შემოუბრუნდებოდათ, საკუთარი ძალაუფლების დაკარგვას რომ უქადდათ. პირიქით, ამ დაპირისპირებაში სწორედ თბილისი გამოდიოდა იმ გეგმების ინიციატორად, რომელიც ფართო ავტონომიას, თანაბარ უფლებებსა და ლტოლვილთა დაბრუნებას ეხებოდა.

ძირეული განსხვავებები არსებობდა ამ კონფლიქტთა მორალური მხარის კუთხითაც: მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს, ადამიანის უფლებათა საშინელი დარღვევების ფონზე, სერბმა ლიდერებმა კოსოვოს წინააღმდეგ პირდაპირი ეთნიკური წმენდის კამპანიაც წამოიწყეს, რასაც სულ რამდენიმე წელიწადში 10,000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და მილიონზე მეტი საცხოვრებელი ადგილიდან აიყარა. მხოლოდ მას მერე, რაც შეუპოვარმა დიპლომატიურმა მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო, საერთაშორისო თანამეგობრობაცა და

ნატო-ც კოსოვოს ომში ჩაება, შედეგად კი სერბი ლიდერები კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამო გასამართლდნენ. ისიც აღსანიშნავია, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თბილისმა წამოიწყო სახიფათო და უგუნური ნაციონალისტური პოლიტიკის გატარება, როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის მიმართ და მას ნამდვილად ეკისრება მისი წილი პასუხისმგებლობა იმ სისხლისღვრისა და სისასტიკისათვის, რაც ამ პოლიტიკას მოჰყვა, იმ დანაკარგებისთვისაც, რაც საქართველომ ამ ომებში განიცადა. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებას იმგვარი დანაშაულებანი არ ჩაუდენია, რაც მილოშევიჩმა და სერბებმა ჩაიდინეს. როცა საქმე ისტორიულ სამართლიანობაზე მიდგება, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სწორედ ქართველები იქცნენ აფხაზთა მხრიდან დევნისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლად – მათ კი, ცხადია, რუსეთი უმაგრებდა ზურგს.

მაგრამ უმთავრესი განსხვავება ალბათ მაინც ის იყო, რამდენად ზრუნავდა დასავლეთი მათზე და იმ პროცესთა ლეგიტიმურობაზე, რომლებიც შედეგზე იყო ორიენტირებული. პოლიტიკური პრიორიტეტების მხრივ ბალკანეთს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ამიერკავკასიას: ეთნიკური წმენდის აღსაკვეთად და ომის დასამთავრებლად ნატო-ს ორჯერ მოუწია ბალკანეთში შესვლა; დასავლეთმა მსოფლიო მასშტაბით ალბათ უდიდესი სამშვიდობო ძალისხმევა გამოიჩინა და ამ ოპერაციებში თავდაპირველად რუსებიც იყვნენ ჩართულნი; გარკვეული თვალსაზრისით გაერო-ს მანდატით აღჭურვილი და ნატო-ს ეგიდით მოქმედი ევროპული სამშვიდობო კონტინგენტი სწორედ ბალკანეთში დაიბადა და განვითარდა კიდეც; გაერო-ს მისია კოსოვოში ჭეშმარიტად გავლენიანი გახლდათ და მრავალი თვალსაზრისით სწორედ ის მართავდა კიდეც ამ მხარეს; ეუთო-მაც მნიშვნელოვანწილად გააფართოვა თავისი ფუნქციები და შესაძლებლობები კონფლიქტის რეგიონში; ევროკავშირი ახორციელებდა ეკონომიკურ გარდაქმნებს ბალკანეთში და ინტეგრაციის პროცესებსაც უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევდა თავის ახალ საგარეო თუ უსაფრთხოების პოლიტიკაში. მოკლედ, ბალკანეთი თავისებურ საჯილდაო ქვად იქცა გაერო-სთვისაც, ეუთო-სთვისაც, ევროკავშირისთვისაც და ნატო-სთვისაც – ეს თუნდაც იმაში გამოვლინდა, როგორი კვალიფიკაციის დიპლომატები თუ სამხედროები იგზავნებოდნენ იქ და რა რაოდენობის თანხა ჩაიდო რეგიონის საჭიროების მოსაგვარებლად. და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი: ბალკანეთის ქვეყნების უმეტესობას ძალზე მკაფიო პერსპექტივა ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალში ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებულიყვნენ.

ნაწილობრივ, სწორედ დასავლეთის განსაკუთრებული ყურადღების გამო, კოსოვო და მისი სამომავლო სტატუსის განსაზღვრა დაძაბული საერთაშორისო დიპლომატიური მუშაობის თემად იქცა. მთელი ეს პროცესი გაერო-ს მიერ

იყო სანქცირებული და წარმართულიც, რაც მას სრულ საერთაშორისო ლეგიტიმაციას ანიჭებდა. ამ მხრივ არავითარი სულსწრაფობა არ შეინიშნებოდა, პირიქით, ყოველივე კარგად გათვლილი და დაგეგმილი ჩანდა და საბოლოო მიზანიც – შეთანხმება მთავარ მონაწილეთა შორის – ნათლად იკვეთებოდა, რა თქმა უნდა, რუსეთის, როგორც გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს წევრის მოსაზრებათა გათვალისწინებით. მეორე მხრივ, საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ამგვარ ყურადღებას მოკლებულნი იყვნენ. ისინი არც გაერო-სთვის, არც ეუთო-სთვის, არც ნატო-სა და არც ევროკავშირისთვის არ გახლდათ უმთავრესი პრიორიტეტი. თბილისიც სწორედ ამ უგულებელყოფისა და ინტერესის ნაკლებობის მსხვერპლი გახდა. კოსოვოსაგან განსხვავებით, გაერო-ს მისია აფხაზეთში მცირერიცხოვანი იყო და რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ გადამწყვეტი სიტყვაც არ ეთქმოდა. მისი მანდატი ძირითადად დაკვირვებით შემოიფარგლებოდა. ამ მხრივ, დიდად განსხვავებული არც ეუთო-ს მისია გახლდათ სამხრეთ ოსეთში. ამ მოცემულობის შეცვლის, მისიის უფლებამოსილების გაზრდისა და მისთვის რაღაც უფრო ქმედითი დანიშნულების მიცემის ყველა მცდელობას ხშირ შემთხვევაში რუსეთი აღკვეთდა ხოლმე ან მსგავსი რამ საერთოდ იჩქმალებოდა იმის შიშით, მოსკოვი ამგვარ ინიციატივას მაინც დაბლოკავსო.

კოსოვოში და მერე აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთში ჩასული ადამიანისათვის განსხვავება აშკარა ხდებოდა: სამშვიდობო ღონისძიებები აქ იმთავითვე განწირული იყო, რადგან სეფე-სიტყვა რუსეთს ეთქმოდა, ის კი, თავის მხრივ, კონფლიქტში მონაწილე მხარე გახლდათ. ევროკავშირმა და ნატო-მ ამ რეგიონებში არც დიდი დრო დახარჯა და არც რესურსები. მოსკოვს ხელს არ აძლევდა და აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კიდეც საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას, რაც ამა თუ იმ სახით კონფლიქტთა მშვიდობიან გადაწყვეტას შეუწყობდა ხელს. მოკლედ, საერთაშორისო თანამეგობრობა ამ კონფლიქტების მოგვარებაშიც ისე დარაზმული რომ ყოფილიყო, როგორც ბალკანეთის შემთხვევაში, აგვისტოს ომის თავიდან აცილებაც სავსებით შესაძლებელი გახდებოდა.

მაგრამ თუკი დასავლეთი საკმარის ყურადღებას არ უთმობდა იმ შესაძლო გამოძახილს, რაც კოსოვოს საკითხის მისეულ გადაწყვეტას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამიერკავკასიაში, თბილისი ნამდვილად ვერ გრძნობდა თავს გულდამშვიდებულად. აქ კარგად აცნობიერებდნენ, სავარაუდოდ როგორ შეიძლება ასახულიყო დასავლეთის მიერ მართული კოსოვო-სერბეთის ურთიერთობანი საქართველოს მიმართებაში აფხაზეთთან. იკვეთებოდა ერთგვარი პარალელი იმ დილემებს შორის, რაც, ერთი მხრივ, თბილისის და, მეორე მხრივ – მილოშევიჩის შემდგომი ბელგრადის დემოკრატიული ხელისუფლების წინაშე იდგა. ორივე ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეში ფერადი რევოლუციებისა და

მასობრივი სამოქალაქო მოძრაობების გზით მოვიდა; ორივეს მემკვიდრეობით ერგო გადაუჭრელი კონფლიქტები; ორივეს სურდა ეღიარებინა წარსულის შეცდომები და ფართო ავტონომიები შეეთავაზებინა სეპარატისტული პროვინციებისათვის – სადავო საკითხების ერთხელ და სამუდამოდ მოსაგვარებლად. მაგრამ ბელგრადიცა და თბილისიც შიშობდნენ, რომ ნაციონალისტთა ძველ გვარდიას, შესაძლოა, ახალი ხელისუფლება მოღალატეებად შეერაცხა და კონფლიქტების თემის დროებით მეორე პლანზე გადატანის შემთხვევაში, უკიდურესად გაერთულებინა დემოკრატიული გარდაქმნების ახლად წამოწყებული პროცესი.

ბელგრადსა და თბილისს კიდევ ერთი რამ ჰქონდათ საერთო: ორივე ცდილობდა იმ განდგომილი პროვინციების საკითხის რამენაირად მოგვარებას, რომელთა სამომავლო სტატუსის განსაზღვრაც დიდწილად გარე ძალებზე იყო დამოკიდებული. თბილისისთვის სასურველი შედეგი აფხაზეთისთვის განსაკუთრებული ავტონომიის მინიჭება იქნებოდა – ოღონდ, საქართველოს სუვერენიტეტის ფარგლებში. ბელგრადსაც თითქმის ასევე ესახებოდა კოსოვოს პრობლემის მისთვის მისაღები გადაწყვეტა. თბილისში კულუარულად განიხილებოდა აფხაზეთის გარკვეული დაყოფის იდეაც, რაც საქართველოს გავლენის ფარგლებში მხარის იმ ნაწილს მოაქცევდა, რომელიც მეტწილად ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული და სადაც ლტოლვილებს სურდათ დაბრუნება. კოსოვოს დაყოფისა და ამ პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილის სერბეთისათვის მიერთების იდეაც ხშირად ამ კონკრეტული კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტად განიხილებოდა და კიდევ: ორივე ეს კონფლიქტი ერთსა და იმავე დროს „ჩაჯდა" პოლიტიკურ კონტექსტში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სააკაშვილს ძალიან უნდოდა, ბელგრადი და კოსოვოს დედაქალაქი პრიშტინა ნებაყოფლობით შეთანხმებამდე მისულიყვნენ, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ეს დადებითი პრეცედენტი შემდგომში მას თბილისსა და სოხუმს შორის საერთო ენის გამონახვაშიც დაეხმარებოდა; და თუ არა, მაშინ – ალტერნატივის სახით – სააკაშვილი გაყოფის თაობაზე სერბებისა და კოსოვარების შეთანხმების შესაძლებლობასაც განიხილავდა, რასაც ასევე შეეძლო პრეცედენტი შეექმნა იმგვარი ქართულ-აფხაზური სამომავლო სამშვიდობო გეგმისათვის, რომლის თავისებური ვარიანტი სააკაშვილმა შემდეგ 2008 წლის ივნისში მართლაც წარმოადგინა. საქართველოსთვის ყველაზე ნაკლებსასურველი შედეგი კი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება იქნებოდა ბელგრადთან თანხმობის გარეშე, რაც მოსკოვს სხვაგან თვითნებური მოქმედების წინაპირობას შეუქმნიდა. სააკაშვილმა ეს მოსაზრებები არაერთხელ გაუზიარა ამერიკელ თუ ევროპელ მაღალჩინოსნებს, თუმცა მას პასუხად მუდმივად არწმუნებდნენ – მოსკოვი მხოლოდ იმუქრება ანდა სათავისოდ მაქსიმალურად მეტ სარგებელს ეძებს და დასავლური პოლიტიკა საქართველოსთვის არანაირ უარყოფით შედეგებს არ მოიტანსო.

დასავლეთს სჯეროდა, რომ რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვა მოსკოვის ქმედებებში თავისთავად შეასრულებდა მუხრუჭის როლს. რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებსა და დიპლომატებს, სერბეთის საჯარო მხარდაჭერის მიუხედავად, კერძო საუბრებში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ არც კი ეცდებოდნენ იმ „გარდუვალობას" აღდგომოდნენ წინ, რადაც კოსოვოს დამოუკიდებლობა ესახებოდათ; მაგრამ დასავლეთს მაინც არასწორი წარმოდგენა ჰქონდა იმის თაობაზე, როგორ შეიცვალა მოსკოვში პოლიტიკური ამინდი: ბელგრადმა მოსკოვი ხელახლა შეიყვანა ზოგად ბალკანურ თამაშში და მას მერე კოსოვოს საკითხი რუსეთისათვის საქართველოს პრობლემატიკასთან გადაიხლართა. 2006 წლის დასაწყისში, თავად პუტინმაც მიათითა საკუთარი პოლიტიკის ცვლილებაზე, როცა განაცხადა – კოსოვოსიც და საქართველოს გაყინული კონფლიქტების მოსაგვარებლად ახლა „უნივერსალური პრინციპების" შემოღებაა აუცილებელიო.[50]

დროთა განმავლობაში, რუსული პოლიტიკის გამკაცრებიდან გამომდინარე, დასავლელმა დიპლომატებმაც სცადეს გაერკვიათ, სინამდვილეში რა სურდა რუსეთს – მეტ პატივისცემას მოითხოვდა, თუ მართლა ემზადებოდა, არ დაეშვა კოსოვოს დამოუკიდებლობა. რუსეთის ამგვარმა გააქტიურებამ სერბეთში ნაციონალისტური ძალების გამოცოცხლება გამოიწვია. იმავდროულად, სერბეთის ლიდერები, როგორიც ვთქვათ, ბორის ტადიჩი იყო, საკმაოდ ფრთხილობდნენ და მთლიანად მოსკოვის მხარდაჭერაზე არ დებდნენ ფსონს. მათ კარგად ესმოდათ, რომ ეს მხარდაჭერა სერბეთის სიყვარულით კი არა, უფრო ზოგადი გეოპოლიტიკური გათვლებით იყო ნაკარნახევი, რაც არაერთხელ განუმარტეს თბილისს.

დაიწყო ერთგვარი დიპლომატიური ჭიდილი და ამ ჭიდილში დასავლეთმა მოსკოვთან ურთიერთობაში გულწრფელობა გაფრთხილებასაც შეუზავა – აუცილებლობის შემთხვევაში მზად ვარ, ჩემი შეხედულებისამებრ ვიმოქმედოო. დასავლეთს იმედი ჰქონდა, რომ ამით რუსეთს აიძულებდა, კომპრომისზე წამოსულიყო. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი გახლდათ კოსოვოს მომავალთან დაკავშირებული გეგმის პრეზენტაცია გაერო-ს გენერალური მდივნის საგანგებო ემისრის მარტი აჰტისაარის მიერ 2007 წლის გაზაფხულზე. ამ გეგმის მიხედვით, კოსოვოს რეინტეგრირება სერბეთთან უკვე აღარ მიიჩნეოდა შესაძლებლად და აღარც არსებული ფორმით კოსოვოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საკმაოდ გაჭიანურებული მართვა ამართლებდა; ამ ფაქტორების გათვალისწინებით ერთადერთ მისაღებ ვარიანტად გარკვეული პირობებით– საერთაშორისო თანამეგობრობის, კერძოდ, ევროკავშირის აქტიური ჩართვის გარანტიით კონტროლირებადი დამოუკიდებლობა ცხადდებოდა.[51]

მაგრამ რუსეთმა ამ თამაშში აყოლაზე უარი განაცხადა. იმის მიუხედავად, რომ 2006 წლის მიწურულს, საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი პირად საუბრებში აჰტისაარს ჰპირდებოდა, რუსეთი კოსოვოს გარდაუვალ დამოუკი-

დებლობას ხელს არ შეუშლისო, ამჯერად მოსკოვმა ეს გეგმა დაბლოკა და ოფიციალურად აცხადებდა, რომ თავის დროზე დათანხმდა პრინციპს – „ჯერ სტანდარტები, მერე – სტატუსი", მოგვიანებით სხვა პრინციპის გამოყენების შესაძლებლობაც გაიზიარა, რაც სტანდარტებისა და სტატუსის ერთდროულობას გულისხმობდა, მაგრამ ახლა უარზე იყო განეხილა გეგმა, რომლის თანახმადაც, მისი აზრით, სტატუსი წინ უსწრებდა სტანდარტებს. მას შემდეგ, რაც 2007 წლის ივნისში დიდი რვიანის სამიტზე პუტინმა ერთხელ კიდევ მოითხოვა უნივერსალური სტანდარტების დაწესება, როგორც ბალკანეთში, ასევე ამიერკავკასიაში გაყინული კონფლიქტების მოსაგვარებლად, დასავლეთმა პასუხად უკანასკნელ მცდელობასაც მიმართა და უთანხმოების გადაწყვეტა სამეულს – აშშ-ის, ევროკავშირსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების გზით შეეცადა. ამ ინიციატივით საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გამოვიდა. მოლაპარაკებებში სამი გამოცდილი დიპლომატი მონაწილეობდა – ვოლფგანგ იშინგერი (ევროკავშირის მხრიდან), ფრენკ უიზნერი (აშშ) და ალექსანდრ ბოცან-ხარჩენკო (რუსეთი). მათ სამი თვე ჰქონდათ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად და ახლოსაც იყვნენ მიზანთან, როცა იშინგერმა საკუთარი ქვეყნის ისტორიული მაგალითის მოხმობით (ანუ – დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის თანამშრომლობის ხიდის გადება სტატუსთან დაკავშირებული საშარო საკითხების გვერდის ავლით) კოლეგებს კომპრომისი შესთავაზა, რაც სერბეთსა და კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით განსხვავებული ხედვების მიუხედავად, თანამშრომლობის საშუალებას მისცემდა ორივე ქვეყანას. თავიდან მოსკოვი თითქოს დაეთანხმა კიდეც ამგვარ კომპრომისს, თუმცა, საბოლოოდ, ეს შეთავაზებაც უარყო.[62]

რაც უფრო მეტად ცდილობდა დასავლეთი კოსოვოსათვის ამა თუ იმ ფორმით დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე შეთანხმების მიღწევას, მით უფრო მიზანმიმართულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთი. ამიტომ დასავლეთის სურვილი – დაემტკიცებინა, რომ კოსოვოს შემთხვევა უნიკალური იყო და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არანაირი პრეცედენტის შექმნა არ შეეძლო, ვერ სრულდებოდა. ეს მიდგომა იმთავითვე ამოსავალი წერტილი იყო ევროკავშირის ერთიანი პოზიციის შესამუშავებლად, რადგან მის რამდენიმე სახელმწიფოს თავადაც ჰქონდა პრობლემები უმცირესობათა საკითხების თაობაზე. თუკი აშშ, ევროკავშირი და რუსეთი შეთანხმდებოდნენ, რომ კოსოვოს კომპრომისი უნიკალური იქნებოდა, ის ალბათ მართლაც დარჩებოდა ასეთად, მაგრამ რუსეთმა არ მოინდომა ამ წესებით თამაში – პირიქით, მუდამ ცდილობდა კოსოვოსთან მიმართებაში დასავლურ პოზიციას აღდგომოდა წინ, აგრეთვე იმის ხაზგასმას, რომ კოსოვოს აღიარების შემთხვევაში, შესაძლოა, თავადაც იძულებული გამხდარიყო, მისი მფარველობისა და კონტროლის ქვეშ მყოფი სეპარატისტული პროვინციების დამოუკიდებლობაც ეცნო საქართველოში.

მოსკოვი პრესინგს მიმართავდა, მაგრამ მისი მუქარა ცარიელ სიტყვად დარჩებოდა თუ საქმედ იქცეოდა? კოსოვოს კარტის გამოყენებით დასავლეთზე გავლენის მოპოვებას ცდილობდა, თუ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას მართლაც გამოიყენებდა იმ საბაბად, რასაც შემდეგ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების მთელი სერია მოჰყვებოდა – ბალკანეთიდან კავკასიამდე? ეს უაღრესად სახიფათო თამაში გახლდათ: ახლა კამათი იმაზე მიდიოდა, რა შეიძლებოდა ან არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო პრეცედენტად, როგორც პოლიტიკური, ასევე საერთაშორისო სამართლის მხრივ. სილამაზისა არ იყოს, ახლა ესეც გემოვნების ამბავს ემსგავსებოდა. რეალურად, ცალკეულ დეტალებს ალბათ იმთავითვე არ ჰქონდა არანაირი მნიშვნელობა – მოსკოვის ჭეშმარიტი მიზნები არანაირად არ ითვალისწინებდა არც ისტორიას, არც ზნეობრივ მოსაზრებებსა და არც საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ყველაფერს სწორედ ამგვარი ცნებებით ნიღბავდა.

ექვსი თვის შემდეგ მოსკოვს სრულებით არ გასჭირვებია ამ პრინციპების გათელვა და რიტორიკის სრული შეცვლა, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო. ჯერ კიდევ კოსოვოს პრეცედენტზე აქცენტის გაკეთებამდე, ერთხელ პუტინი დაემუქრა კიდეც სააკაშვილს – აფხაზეთი შეიძლება კიდევ ერთ ჩრდილოეთ კვიპროსად ვაქციოო და ის მაგალითი გაიხსენა, როცა თურქეთმა ამ კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი დაიპყრო და საბაბად შევიწროებული უმცირესობის დაცვა გამოიყენა. მოკლედ, ლექსიკა შესაძლოა ასე თუ ისე შეცვლილიყო, მაგრამ მუქარა, რომ ძალის გამოყენებით აფხაზეთში რეალობა დაკანონდებოდა (სააკაშვილისთვის სუსტი წერტილი), კვლავ რჩებოდა საქართველოს „ჭკუაზე მოყვანის“ მისეული მცდელობების ნაწილად.

საერთაშორისო სამართლის საკითხებსა და სერბთა უფლებებზე კამათი ის დიპლომატიური ხრიკები იყო, რასაც მოსკოვი, მისი აზრით, საკუთარ სამფლობელოში გავლენისა და მდგომარეობის მაქსიმალურად გასაძლიერებლად იყენებდა. ეს ერთგვარი გზავნილიც გახლდათ დასავლეთისათვის – რუსეთი ძველ სახეს იბრუნებს და მისთვის ყურის დაგდებაც გმართებთო. ყველაფერი სწორედ რუსეთის ძალისა და გავლენის, ასევე თამაშის იმ წესების ირგვლივ ტრიალებდა, რაც უპირველესად, ამერიკასთან დაპირისპირებაში უნდა დადგენილიყო. მისკოვის აზრით, ნატო-ს შესვლა კოსოვოში ამერიკის სიძლიერის დემონსტრირებასა და მისი გავლენის სფეროების დაფიქსირებას ემსახურებოდა; ხოლო რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, 10 წლის შემდეგ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება – ისევ და ისევ ამერიკის ხელშეწყობით – მისთვის გაწნულ კიდევ ერთ სილად აღიქმებოდა. მოსკოვის აზრით, ყველაფერი ეს ადასტურებდა, რომ ვაშინგტონი ბალკანეთს საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა და იქ თავს ყველაფრის ნებას აძლევდა.

რუსეთის საპასუხო დარტყმისათვის თბილისი საუკეთესო სამიზნე გახლდათ: მოსკოვს სურდა, ეს პასუხი ვაშინგტონისთვისაც ისეთივე მტკივნეული ყოფილიყო, როგორიც თავად მოსკოვისთვის – კოსოვოს აღიარება. საქართველო ერთადერთ არჩევანად რჩებოდა, რადგან ეს იყო ადგილი, სადაც რუსეთს შეეძლო დაედასტურებინა, რომ მასაც ჰქონდა გავლენის სფეროები, სადაც დასავლეთს, ყველაზე მეტად კი, ამერიკის შეერთებულ შტატებს „ფეხი არ ჩაუვიდოდა“. ვინაიდან სააკაშვილი ბუშის პირად მოკავშირედ აღიქმებოდა, სამიზნე მართლაც იდეალური იყო.

თბილისში კარგად აცნობიერებდნენ, რა პოტენციური პრეცედენტები და საფრთხეები შეიძლებოდა მოჰყოლოდა კოსოვოს აღიარებას. სააკაშვილი ამ საკითხზე მიმდინარე კამათს დეტალურად ეცნობოდა და მისთვის პარალელები მეტისმეტად აშკარა ჩანდა: თუკი მოლაპარაკებები შედეგიანი აღმოჩნდებოდა და ბელგრადი და პრიშტინაც საერთო ენას გამონახავდნენ, ეს პრეცედენტის ერთი შესაძლო ვარიანტი იქნებოდა; თუ საერთო ენის გამონახვა არ მოხერხდებოდა – ეს უკვე მეორე. მიუხედავად იმისა, გადაწყვეტილება პროვინციის გაყოფაზე იქნებოდა მიღწეული, ფართო ავტონომიასა თუ დამოუკიდებლობაზე, ნებისმიერ შემთხვევაში ეს საქართველოზეც უთუოდ აისახებოდა. სააკაშვილი ხედავდა როგორც საფრთხეებს, ასევე სავარაუდო შესაძლებლობებსაც: გაფართოებული ავტონომია, რაც იმავდროულად, ლტოლვილთა დაბრუნებასა და საერთაშორისო მეთვალყურეობას გულისხმობდა, ის იდეა გახლდათ, რასაც ბევრი დასავლელი აფხაზეთში გამოსაყენებლად ვარგისადაც მიიჩნევდა. დასავლეთის მიერ წარმოდგენილი პრობლემის მოგვარების მეორე ვერსია უკვე შეთანხმებულ გაყოფას გულისხმობდა და სააკაშვილი თავისთვის არც ამ ვარიანტს გამორიცხავდა – საუბარი იყო მოსკოვისათვის საკითხის შუალედური გადაწყვეტის შეთავაზებაზე, სადაც აფხაზეთი გაიყოფოდა საერთაშორისო, ქართული და რუსული გავლენების სხვადასხვა დონეს შორის.

საქართველოს აზრით, კოსოვოს საკითხის ყველაზე უარესი გადაწყვეტა დამოუკიდებლობის იძულებითი, ცალმხრივი გამოცხადება იქნებოდა. ამ შემთხვევაში თბილისი შიშობდა, რომ რუსეთის რისხვისა და შურისძიების სამიზნედ იქცეოდა. თუკი მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებდა, ამით იმ წარმოდგენასაც შეარყევდა, რომ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. პრობლემის თავი და თავი ის გახლდათ, რომ საქართველოს საკუთარი ძალებით მოვლენათა მსგავსი განვითარების შეკავება პრაქტიკულად არანაირად არ შეეძლო – ის ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა დასავლურ პოლიტიკაზე ბალკანეთში და მართალია, ამ თემებზე კულუარულად ბევრს ფიქრობდნენ, მაგრამ საჯაროდ თუნდაც მინიშნებით საუბრის წამოწყებასაც კი

ერიდებოდნენ, რათა უნებლიეთ ის კავშირები და პარალელები არ გამოემზიურებინათ, რომელთა არსებობაც მაინცდამაინც არც აძლევდათ ხელს.

სააკაშვილმა რამდენჯერმე მისწერა დასავლელ ლიდერებს – მათ შორის პრეზიდენტ ბუშსაც და დაჟინებით სთხოვდა, კოსოვოს საკითხზე მუშაობისას ყოველთვის გაეთვალისწინებინათ საქართველო და ამ ქვეყნის სისუსტეები, თუმცა საჯაროდ ამ თემაზე საუბარს თავს არიდებდა; არ სურდა, გაეღიზიანებინა ან რაიმე პრობლემა შეექმნა იმ ლიდერთათვის, ვისაც მთავარ მხარდამჭერებად მიიჩნევდა. თავის მხრივ, კოსოვოს საკითხზე მომუშავე დასავლელი ჩინოსნები სააკაშვილთან თუ სხვა ქართველ პოლიტიკოსებთან შეხვედრისას ცდილობდნენ მათი შიში გაექარწყლებინათ. ამ შეხვედრებს ქართული მხარისთვის კოსოვოს პრობლემის დასავლური ხედვის კვლავ და კვლავ გაცნობის გარდა, სხვა დიდი არაფერი შედეგი არ მოუტანია. სიტყვიერ მტკიცებულებებს თუ არ ჩავთვლით, დასავლეთს არანაირი სტრატეგია არ გააჩნდა საქართველოს დასაცავად და ამ პატარა ქვეყანასაც სხვა რა დარჩენოდა – მათსავე სიტყვას უნდა დანდობოდა, რომ უბრალოდ, რუსეთი ბლეფზე მიდიოდა.

მართალია, აშშ და ევროკავშირი, დროდადრო განსხვავებულ აზრსაც გამოთქვამდნენ კოსოვოსთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოოდ, გადამწყვეტი ხმის მქონე ქვეყნების უმეტესობამ დაასკვნა, რომ მოსკოვის მუქარისა და გაფრთხილებების მიუხედავად, მეტი ლოდინიც აღარ შეიძლებოდა – მოსკოვის იწილო-ბიწილოსთვის აღარ უნდა ეგდოთ ყური და საქმე ბოლომდე მიეყვანათ ანუ ფრთხილად, მაგრამ მაინც მიეღოთ შეჯერებული გადაწყვეტილება კოსოვოსთან დაკავშირებით – ოღონდ ისე, რომ მოსკოვთან შემდგომში თანამშრომლობის კარი ღიად დარჩენილიყო... მათ არ სჯეროდათ, რომ მოსკოვი მკვეთრ საპასუხო ნაბიჯებს გადადგამდა ან აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის ლიდერებს მისცემდა სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლებას.* დასავლეთის გათვლით, სავსებით შესაძლებელი იყო კოსოვოს ცნობაც და იმავდროულად სხვა კონფლიქტებში სტატუს-კვოს შენარჩუნებაც. გათვლა მცდარი აღმოჩნდა და თანაც იმ ფონზე, როცა არც სარეზერვო გეგმა არსებობდა და არც საქართველოს მხარდაჭერის რაიმე ღონისძიებები გატარებულა ამ მცდარი გათვლის შედეგების თავიდან ასაცილებლად.

თურმე რუსეთი სულაც არ „ბლეფობდა“ და ეს 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენის ყოველწლიურ კონფერენციაზე პრეზიდენტ პუტინის გამოსვლიდანაც აშკარა გახდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ამ ყველაზე პრესტიჟულ ტრანსატლანტიკურ ფორუმზე რუსეთის ლიდერმა სიტყვა წარმოთქვა. დამსწრეთა შორის მეც ვიყავი და მოუთმენლად ველოდი მის გამოსვლას. უმრავ-

---

* აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტ ლიდერებს ადრევე ჰქონდათ გამოცხადებული დამოუკიდებლობა. საქმე ისაა, აღიარებდა თუ არა ამას რუსეთი. (რედ. შენიშვნა)

ლესობის აზრით, პუტინს ამ შესაძლებლობით უნდა ესარგებლა და დასავლეთისკენ შემობრუნების სურვილი გამოეხატა. მიუნხენის კონფერენცია ალბათ ნატო-ს ეგიდით გამართულ თავყრილობათა შორის უმთავრესი გახლდათ და იქ რუსეთის პრეზიდენტის მიპატიჟება მეგობრობისა და პარტნიორობის სურვილის დადასტურებად აღიქმებოდა. პუტინმა ტრიბუნა ანტიდასავლური რიტორიკისათვის გამოიყენა და ამერიკას პრეტენზიების მთელი წყებაც წაუყენა: ცალმხრივობა, ერთპოლარულობა, ნატო-ს გაფართოება, თავდაცვის სარაკეტო დანადგარების განთავსება ევროპაში და ცხადია, კოსოვოს შესაძლო დამოუკიდებლობის ცნობაც.

ამერიკული დელეგაცია და დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა შოკირებული ჩანდა. პუტინი ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, როცა დარბაზში მყოფ დიკ ჰოლბრუკს დავეკითხე – შენი აზრით, თუ ხვდება, რასაც აკეთებს და რამდენად შეურაცხმყოფელია კონფერენციის მასპინძლებისთვის-მეთქი. მართლაც, ეს ხმალამოღებული შეტევა დასავლეთის, კონკრეტულად კი აშშ-ის წინააღმდეგ, სრულიად უადგილო ჩანდა. ყველაფერი ძალიან კარგად აქვს გათვლილიო – მიპასუხა დიკმა. სიტყვის დასრულებისთანავე, პუტინმა დარბაზი დატოვა და გაოგნებული დამსწრეები ცდილობდნენ ამოეცნოთ – ნიშნავდა თუ არა ეს თამაშის წესების შეცვლას და დასავლეთისათვის ზურგის შექცევას.[63]

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ხუთი დღის შემდეგ, პუტინი და სააკაშვილი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს დსთ-ის არაფორმალური სამიტის ფარგლებში. საუბარი კოსოვოს ამ ნაბიჯსა და საქართველოსთვის მის მნიშვნელობას შეეხო. ქართული მხარის გადმოცემით, პუტინს სააკაშვილისათვის უთქვამს:

აუცილებელია რეაგირება იმაზე, რაც ევროპამ კოსოვოში მოიმოქმედა; ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ, როგორ მივუდგეთ ამ საკითხს და თქვენც გაითვალისწინეთ, რა წნეხს განვიცდით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მხრიდან – როგორღაც ხომ უნდა გამოვეპასუხოთ მათ მხარდაჭერას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ... არ გვესმის, რატომ წამოიწყო ამერიკამ ევროპის ისლამიზაციის კამპანია – მას მერე, რაც ალბანელებმა თავისი გაიტანეს, მეტსაც მოინდომებენ და ახლა მაკედონიასაც მისდგებიან!
ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ, დასავლეთს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ – მართალია ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებით...

რუსეთის პრეზიდენტმა იმავე საუბარში ისიც თქვა, რომ მოსკოვის პასუხი დასავლეთის ქმედებების პირდაპირი ანარეკლი არ იქნებოდა, მაგრამ საქარ-

თველო ნებისმიერ შემთხვევაში ამ საპასუხო სტრატეგიის ნაწილი დარჩებოდა. ისიც დაამატა – ამ ყველაფერში საქართველოს ბრალი არ მიუძღვისო. მისი თქმით, ყველაფრის თავი და თავი მხოლოდ გეოგრაფია ყოფილა. მერე იმასაც გადასწვდა, როგორ გეგმავდა რუსეთი დსთ-ის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის 1996 წელს დაწესებული სავაჭრო ემბარგოს გაუქმებას და როგორ აპირებდა რუსეთი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაეფართოებინა პოლიტიკური თუ იურიდიული კავშირები ამ ორ პროვინციასთან.

სააკაშვილი შეპასუხებია: „მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდათ... რა კავშირი აქვს საქართველოში არსებულ ვითარებას კოსოვოსთან?! არანაირი!" მას გაუფრთხილებია კიდეც პუტინი – ნურავითარი ილუზია ნუ გექნებათ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოტივაციასთან დაკავშირებითო. მისივე თქმით, ისინი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას მხოლოდ იმიტომ უჭერდნენ მხარს, თავადაც რომ სურდათ იგივე, ოღონდ – რუსეთისაგან. პუტინს ამაზე უპასუხია: „ეს ჩვენთვის პრობლემა არაა – მაგათ კი მოვუვლით როგორმე!" – და ცერა თითი გამოუსვამს ყელში...

საქართველოს პრეზიდენტმა პასუხად მიუგო: „ჩვენ აქ ჩვენი კონფლიქტების მოსაგვარებლად ვართ და არა – მათ გასაღრმავებლად თუ გასამწვავებლად. უნდა ცდილობდეთ უფრო დადებითი როლი შეასრულოთ ჩვენს რეგიონში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით!" მერე სხვა გადაწყვეტილების იმედით, განაგრძო – „საქართველო თქვენთვის საუკეთესო მეზობლად შეიძლება იქცეს. დავსხდეთ და ერთად ვიფიქროთ ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე, სასიცოცხლო სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობაზე, იმ საკითხთა ჩათვლით, რაც თავად თქვენც ასე გაშფოთებთ." აშკარად მიანიშნებდა, რომ ყველაფერზე შეიძლებოდა მორიგება, მათ შორის – თბილისის ნატო-სკენ სწრაფვაზეც, თუკი მოსკოვი ტერიტორიული საკითხების მოგვარების ნებას გამოიჩენდა.

მაგრამ პუტინმა შეთავაზებებისგან თავი შორს დაიჭირა და არც სააკაშვილის მინიშნებებზე მოუხდენია რეაგირება – გადაწყვეტილება საბოლოოაო, დასვა წერტილი: „მე აქ რაღაც დათმობების სანაცვლოდ მიწებს ვერ ჩამოვარიგებ... რაც შეეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სადავო ტერიტორიებს, ამ შემთხვევაში ჩვენ კოსოვოზე პასუხს დასავლეთს, ამერიკასა და ნატო-ს გავცემთ და არა თქვენ! რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ, ეს პირადად თქვენ არ შეგეხებათ..." მერე ორი ლიდერის საუბარი თანდათანობით წრეზე სიარულს დაემსგავსა და ფორმალური სახეც მიიღო, თუმცა ბოლოს რუსეთის პრეზიდენტმა ერთი პირი ლექცია კიდევ წაიკითხა ნატო-ში გაწევრიანების საფრთხეების თაობაზე:

მას მერე, რაც ნატო კიდევ უფრო გაფართოვდება აღმოსავლეთით და საქართველოც ამ ორგანიზაციის წევრი გახდება, თქვენ ამ ბლო-

კის წესების დაცვა მოგიწევთ და შესაბამისად, ჩვენი ბირთვული და სამხედრო შესაძლებლობებისათვის სავარაუდო საფრთხეც შეიძლება გახდეთ. როცა საქმე გადაწყვეტილების მიღებაზე მიდგება, თავს არავინ შეიწუხებს თქვენი მოსაზრებების მოსმენით, ისევე, როგორც კაციშვილი არ ჰკითხავს პოლონელებსა და ჩეხებს, რას ფიქრობენ მათ ქვეყნებში ამერიკული თავდაცვითი სარაკეტო სისტემების განლაგების თაობაზე...
ნატო-ს მიზანი რუსეთის სუვერენიტეტის ხელყოფაა...
კონდი [კონდოლიზა რაისი] იმ დოკუმენტების გამოგზავნას დამპირდა, რაც ამერიკული რადარების რუსეთის მხრიდან სადღეღამისო მეთვალყურეობის უფლებას დაადასტურებს. მაგრამ, სად ჯანდაბაშია ეს დოკუმენტი?!
ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ თქვენი დამოუკიდებლობაც შეიზღუდება და საქართველო უკვე მართლა საფრთხედ იქცევა ჩვენთვის!

ვიდრე შეხვედრა დასრულდებოდა, რუსეთის პრეზიდენტმა ქართულ დელეგაციას საბოლოო სიტყვა დაუგდო: „ამერიკელებს ენდობით და გგონიათ, ისინი თავპირისმტვრევით გამოცვივდებიან თქვენს დასახმარებლად? *არავის* ნდობა არ შეიძლება – ჩემ გარდა... მე სიტყვის კაცი ვარ!“ – თქვა მძიმედ და დაამატა: „ასეა, საქმე.“ მერე იმასაც გაუსვა ხაზი, ამ საკითხების გადაწყვეტას ახლა უკვე მედვედევს გადავაბარებო. დსთ-ის ამ სამიტის დასრულებისთანავე გამართულ პრეს-კონფერენციაზე პუტინმა საჯაროდ შეუთვალა დასავლეთს – რა შედეგები მოჰყვებოდა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას და ისიც დასძინა, მსგავსი გადაწყვეტილება ბუმერანგივით მოგიბრუნდებათო.[64]

ქართული დელეგაცია მოსკოვიდან უაღრესად შეშფოთებული გამობრუნდა. დავით ბაქრაძისათვის – საქართველოს პარლამენტის ახლად არჩეული თავმჯდომარისათვის* – ეს რუსეთის ლიდერთან პირველი შეხვედრა იყო; როცა სააკაშვილმა ჰკითხა, რა შთაბეჭდილება დაგრჩაო, ომის სუნი მცემსო, მიუგო ბაქრაძემ.

რუსეთის პასუხმა კოსოვოს მოვლენებზე მართლაც არ დააყოვნა; იმავე წლის 4 მარტს სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა თხოვნით მიმართა რუსეთს, ეცნო მისი დამოუკიდებლობა. სამი დღის შემდეგ იგივე გააკეთა აფხაზეთმაც. 6 მარტს რუსეთმა ჯერ კიდევ 1996 წელს აფხაზეთის მიმართ შემოღებული ყველა სანქცია გააუქმა და უფლება დაიტოვა ამ რეგიონში დე ფაქტო ხელისუფლებასთან თავისუფალი კავშირები დაემყარებინა.

13 მარტს რუსეთის დუმამ დახურულ სესიაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის თხოვნა განიხილა, 21 მარტს კი საგანგებო რეზოლუ-

---

* იმ დროისათვის დავით ბაქრაძე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. (რედ. შენიშვნა)

ცია მიიღო, რაც ამ თხოვნისათვის მსვლელობის მიცემას ითვალისწინებდა. დუმის დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე ზატულინმა განაცხადა, რომ ამ რეგიონების აღიარება არ დაყოვნდებოდა, რადგან დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარებით მოღიავებული ფანჯარა შესაძლოა, დიდი ხნით ღია არც დარჩენილიყო... 14 აპრილს, რუსულ ყოველდღიურ გამოცემაში *„ნემაგისიმაია გაზეტაში“* ციტირებული იყო მავანი რუსი დიპლომატის სიტყვები – მოსკოვმა ორ შემთხვევაში უნდა ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა: თუკი საქართველო მართლა შეეცდება ნატო-ში გაწევრიანებას და მეორე – ომის შემთხვევაშიო.[65]

აგვისტოს ომის დაწყებიდან სულ ცოტა ხანში, ერთ-ერთი რუსი მაღალჩინოსანი პირისპირ შეხვდა კლინტონის ადმინისტრაციის ყოფილ ამერიკელ ჩინოსანს – სურდა, ვაშინგტონისთვის ნათლად განემარტა, რა მიზნებს ისახავდა მოსკოვი ამ ომში. მიზნების ჩამონათვალი კი ამგვარი გახლდათ:

- სრული კონტროლის დამყარება სამხრეთ ოსეთში; საქართველოს მიერ კონტროლირებული ცალკეული კერების აღმოფხვრა და მათ გარშემო უსაფრთხოების ზონის შექმნა;
- აფხაზური ხელისუფლების დახმარება უპირატესად ქართველებით დასახლებული გალის რაიონის სრულად გასაკონტროლებლად და ქართული ძალების გამოდევნა კოდორის ხეობიდან;
- რუსეთის მიერ კონტროლირებული უსაფრთხოების ზონის შექმნა აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის საზღვრის დასავლეთ მხარეს – ქ. ზუგდიდის გარშემო;
- საქართველოს იძულება ძალის გამოყენებაზე უარის თქმის ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმოსაწერად;
- სააკაშვილის დამცირება და საქართველოს შიგნით მისი მუდმივი წნეხის ქვეშ ყოლა, რათა საბოლოოდ მანაც მილოშევიჩის ბედი გაიზიაროს.
- საქართველოს ნატო-ში ოდესმე გაწევრიანების ყველა შესაძლებლობის მოსპობა.

ნებისმიერისათვის, ვინც კოსოვოს კონფლიქტის არსში იყო ჩახედული, პარალელები 1999 წელს ბალკანეთში მიმდინარე და იმ მოვლენებს შორის, რაც საქართველოში 2008 წლის აგვისტოდან განვითარდა, სრულიად აშკარაა: ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რუსებმა მთელი ათწლეული მოანდომეს კოსოვოსა და ბალკანეთში დასავლეთის მიერ გატარებული პოლიტიკისა და სამხედრო კამპანიის გამოწვრილვით შესწავლას, მერე კი ეს ყველაფერი საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენეს. მოსკოვის ტერმინოლოგია და უფლებათა დაცვის პათოსით აღსავსე რიტორიკა თითქმის ზუსტად იმეორებდა ათი წლით ადრე დასავლეთის განცხადებებს კოსოვოსთან დაკავშირებით. რუსეთმა საქართველოში შეჭრა „სამშვიდობო ოპერაციად“ მონათლა და იმით გაამარ-

თლა, რომ სურდა ბოლო მოეღო თბილისის რეჟიმის მიერ სამხრეთ ოსეთში წამოწყებული „გენოციდისა და ეთნიკური წმენდისათვის". მოსკოვი სააკაშვილს „დღევანდელ მილოშევიჩს" უწოდებდა და აცხადებდა, რომ რუსეთის არმიის ჩარევამდე, სამხრეთ ოსეთსა და იქაურ მოსახლეობასაც თბილისის მხრიდან იგივე სატანჯველი ადგებოდა, რაც კოსოვოელ ალბანელებს დამართა ბელგრადმაო. ამდაგვარმა ანალოგიებმა სინამდვილე და ისტორიაც ყირაზე დააყენა: ეს ყველაფერი გახლდათ კარგა ხნის წინ შემუშავებული სტრატეგიის ნაწილი – რუსეთის სამაგიერო იმ წყენისა და დამცირებისათვის, რასაც, თავად რუსეთის აზრით, დასავლეთის მხრიდან თითქმის ათი წლის განმავლობაში იტანდა.[66]

თავი 4

დიპლომატიური შეხლა-შემოხლა ბუქარესტში

ბოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება დასავლეთის ის პირველი პოლიტიკური ნაბიჯი გახლდათ, რამაც რუსეთის მხრიდან საქართველოს მიზანში ამოღებასა და ომისკენ მიმავალი ბილიკის გაკვალვას შეუწყო ხელი. 6 კვირის შემდეგ მოკავშირეებმა მეორე ნაბიჯიც გადადგეს, რამაც ასევე გააბრაზა მოსკოვი და დამატებითი წინაპირობებიც შეუქმნა სამხრეთელი პატარა მეზობლის მიმართ წნეხის კიდევ უფრო გასაძლიერებლად. 2008 წლის 2-4 აპრილს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ ნატო-ს სამიტზე მოკავშირეები დაძაბულად, ზოგჯერ გააფთრებითაც კი კამათობდნენ – მიეცათ თუ არა საქართველოსა და უკრაინისათვის ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმაში (MAP) ანუ იმ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა, რომელიც გაწევრიანების მოსურნე ქვეყნებს სწორედ ამ წევრობისათვის უკეთ მომზადებაში უნდა დახმარებოდა. კომპრომისის თანახმად, მათ მაპ-ში ჩართვაზე უარი ეთქვათ, თუმცა უპრეცედენტო განცხადება კი გაკეთდა – საბოლოოდ, ამ გაწევრიანების *გარდუვალობის* თაობაზე.

ნატო იმედოვნებდა, რომ ამგვარი კომპრომისი არა მარტო მოკავშირეთა შორის არსებულ განხეთქილებას აღმოფხვრიდა, არამედ საქართველოსაც განუმტკიცებდა იმედებს. ალიანსის ლიდერებს იმის იმედიც ჰქონდათ, რომ მაპ-ის საკითხის გვერდზე გადადებით მოსკოვთან შეჯახებასაც აირიდებდნენ თავიდან, რადგან ეს უკანასკნელი ნატო-სგან საერთოდ ყველაფერზე უარის თქმას მოითხოვდა. ამიტომაც ის, რაც ნატო-ს გადასახედიდან, მართალია, არა იდეალურ, მაგრამ მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნეოდა თბილისისა და კიევისათვის, გარკვეული თვალსაზრისით მოსკოვს ყველაზე უარეს პერსპექტივად მიაჩნდა. სხვა თუ არაფერი, კრემლის ჭეშმარიტი მიზანი არა უბრალოდ მისი მეზობლებისათვის მაპ-ში ჩართვის თავიდან აცილება იყო, არამედ – ნებისმიერი საუბრის დასრულება მათ საბოლოო გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ბუქარესტის სამიტზე კი სწორედ საპირისპირო რამ მოხდა: ალიანსის ლიდერები

ახლა აშკარად დებდნენ პირობას მოვლენათა იმდაგვარ განვითარებაზე, რასაც მოსკოვი ცეცხლივით უფრთხოდა.

ისე, ალიანსი მართლაც ერთსულოვნად და ერთ მუშტად შეკრული რომ დამდგარიყო ამ მიზნის განსახორციელებლად, მოსკოვს იქნება მართლაც დაეხია უკან; რუსეთი ხომ ნატო-ს გაფართოების წინა რაუნდებსაც აპროტესტებდა, მაგრამ ერთსულოვანი ალიანსის პირისპირ აღმოჩენილი, მაშინ დათმობებზეც წავიდა. თუმცა საქართველო და უკრაინა მაინც უფრო მტკივნეული საკითხი იყო მისთვის და ბუქარესტში გამართულმა დავა-კამათმაც აშკარად გამოაჩინა, რამდენად არაერთგვაროვანი იყო ნატო-ც ამ თემასთან მიმართებაში. მხარდაჭერის სურვილი მხოლოდ ქაღალდზე დაფიქსირდა. მოსკოვის თვალსაზრისით კი, საფრთხე ის იყო, რომ ამ ქვეყნების კანდიდატობაზე საუბარი ახლა უფრო და უფრო მოიკრებდა ძალას და პროცესები შეუქცევადი გახდებოდა. ამავე დროს, თავად ნატო-ში არსებული აზრთა სხვადასხვაობა იმაზეც მიანიშნებდა, რომ ამ კანდიდატთა შეჩერების გარკვეული შესაძლებლობა ჯერ კიდევ რჩებოდა. დრო კი მოსკოვის სასარგებლოდ არ მუშაობდა და სწრაფად მოქმედებას აიძულებდა. შესაბამისად, საკითხის მოხსნის ნაცვლად, შესაძლოა, ბუქარესტში მიღებულმა გადაწყვეტილებამ პირიქით – გაამძაფრა რუსეთის დაპირისპირება საქართველოსთან, რის თავიდან აცილებასაც იმედოვნებდნენ მოკავშირეები და ამ სამიტის დასრულებიდან ორი კვირის თავზე მოსკოვმა რამდენიმე ისეთი ნაბიჯი გადადგა, რამაც ძალზე სერიოზულად გაურთულა თბილისს საქმე.

მაინც როგორ მოხდა, რომ თავისთავად ისეთმა ბუნდოვანმა საკითხმა, როგორიც ნატო-ს მაპ-ად წოდებული პროგრამაა, აზრთა ასეთი სხვადასხვაობა გამოიწვია და კონფლიქტის ერთგვარ პატრუქადაც კი იქცა? საკუთარ იმედებს თბილისი იმთავითვე ნატო-ს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ სწორედ ის დაეხმარებოდა რუსეთთან გაუარესებული ურთიერთობების მოგვარებაში. ბუქარესტის სამიტისაგანაც საკუთარი პროდასავლური კურსის დაფასებას მოელოდა; საქართველოსთვის ამგვარი მხარდაჭერა გადამწყვეტი იყო შინ რეფორმების გასაგრძელებლად და რუსეთისთვისაც იმის საჩვენებლად, რომ მისი ხელის შემშლელი ქმედებების მიუხედავად, საქართველოს სწრაფვა დასავლეთისაკენ უკვე შეუქცევადი ხდებოდა. ასევე, გაყინული კონფლიქტების მოგვარების ხანგრძლივი სტრატეგიის კუთხითაც საქართველოში ისევ და ისევ ნატო მიაჩნდათ უმთავრეს მხარდამჭერად. იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ დასავლეთთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება განდგომილი პროვინციების მოსახლეობას დაარწმუნებდა, რომ დასავლეთისაკენ მიმავალი, ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანების შანსის მქონე საქართველოს ავტონომიურ რეგიონში ცხოვრება უკეთეს არჩევანს წარმოადგენდა, ვიდრე ალიანსი ავტოკრატიულ რუსეთთან, რომლის დამოკიდებულებაც უმცირესობათა მიმართ ყველასათვის კარგად იყო ცნობილი.

ალიანსის მიერ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში ახალი წევრებისთვის შემუშავებული სტანდარტების მიხედვით, არც საქართველო და არც უკრაინა არ პასუხობდა ნატო-ს სრულფასოვანი წევრობის მოთხოვნებს. ისინი უფრო რაღაც თავშესაფრისმაგვარს ეძებდნენ, სადაც პოლიტიკურად გულღიად მიიღებდნენ, მათ მცდელობასა და მიღწევებს დააფასებდნენ და მოსკოვს გზავნილს მიაწვდიდნენ – ეს ქვეყნები დასავლური ორბიტის ნაწილი ხდება და მათზე ხელი უნდა აიღოთო. ამ მიზეზების გამო, თბილისისა თუ კიევისათვის მაპ-ის მიცემა-არმიცემის საკითხი უკვე იმ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას იძენდა, რაც ბევრად სცდებოდა ამ პროგრამის თავისთავად სიკეთეებს. რუსეთის სამიზნედ ქცეული ქვეყნისათვის, სადაც საშინაო წნეხიც ძლიერი იყო, მტკივნეული რეფორმების გზით დასავლეთისაკენ სწრაფვის დასადასტურებლად მაპ-ის მიღება მართლაც რომ ციური მანანასავით იქნებოდა.

პრობლემა ორპლანიანი გახლდათ: პირველი საკითხი ის იყო, რომ თავად მაპ-ი ამ ტიპის პოლიტიკური და სტრატეგიული დილემების გადაჭრას არასოდეს გულისხმობდა; მე ამერიკის ხელისუფლების იმ გუნდში შევდიოდი, რომელმაც ნატო-ს 1999 წლის ვაშინგტონის სამიტის კონცეფცია შეიმუშავა – მაპ-ი იმ გამოცდილებამ დაბადა, რაც ნატო-ს პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის მიმართულებით გაფართოების პირველი რაუნდისას დაგროვდა ანუ იმის გააზრებამ, რომ ეს ქვეყნები მოსალოდნელზე უარესად იყვნენ მომზადებულნი ალიანსში გასაწევრიანებლად. ხელსაყრელი სტრატეგიული გარემოს პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმედისმომცემი ქვეყნები – პროდასავლური რეფორმების გატარებით ზოგადად ევროპის სტაბილურობასაც შეუწყობდნენ ხელს, ნატო-მ შეგნებულად ასწია წევრთათვის 90-იან წლებში გადებული თამასა. ასე რომ, მაპ-ის დაწესების მიზანი სასტარტო პირობების შექმნა და ყურადღების გამახვილება იყო მომავალი კანდიდატებისთვის მომზადების თაობაზე „რჩევების მიცემის, პრაქტიკული დახმარებისა და მხარდაჭერის“ გზით – უკვე შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად.

საბოლოო მიზანი, ცხადია, გაწევრიანება იყო და სწორედ აქედან მომდინარეობს პროექტის სახელწოდებაც – *წევრობის სამოქმედო გეგმა*. თუმცა, იგი თავისთავად საბოლოო მიზნის უპირობო გარანტია არ გახლდათ – როგორც თავის დროზე განვმარტეთ, ნატო მხოლოდ მაშინ მიანიჭებდა მაპ-ს ამა თუ იმ ქვეყანას, როცა თავად ალიანსი ჩათვლიდა საჭიროდ მის გაწევრიანებას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ჯერ მზად არ იყო ამისთვის. ნატო-ში გაწევრიანება მარათონში მონაწილეობას დაემსგავსა – ქვეყნებს თავად უნდა დაეფარათ ეს დისტანცია და ფინიშის ხაზიც უცილობლად გადაეკვეთათ. მოკლედ, ვერავინ ვერავის ვერანაირ გარანტიას ვერ მისცემდა. თუმცა მაპ-ი ერთგვარი მუდმივი „წვრთნის რეჟიმსაც“ გულისხმობდა, როცა „მწვრთნელს“ სტარტზე მომზადებული სპორტსმენი გამოჰყავს. მომზადების ტვირთი თავად

ქვეყნის მხრებზე იყო, თუმცა ნატოელები დახმარების მზადყოფნაში იყვნენ. ეს უფრო ერთგვარ *საკუთარი თავის დახმარების* პროგრამას ჰგავდა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არა მარტო სწრაფად და დროულად უნდა მომზადებულიყვნენ, არამედ იმის შიშიც ჰქონოდათ, ზედ კართან არ შეგვაჩერონო; მოკლედ, ეს მათი სისუსტეების აღმოსაფხვრელად იყო გამიზნული და არა ვინმეს, განსაკუთრებით – რუსეთის აგრესიულობის აღსაკვეთად.

მაპ-ის სტანდარტები გაცილებით უფრო სპეციფიკური იყო, ვიდრე ყოველივე ის, რასაც მანამდე ნატო ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების მოსურნე ქვეყნებისაგან მოითხოვდა. მაგრამ ეს სტანდარტები მაინც უაღრესად ზოგადი იყო და შეფასების პროცესიც – პოლიტიკური გავლენისაგან დაუცველი. არადა, ესეც წინდაწინ იყო ნაგულისხმევი: ნატო-ს არც ვიღაც-ვიღაცეების გაუაზრებლად გაწევრიანება სურდა და არც ის უნდოდა, ხელ-ფეხი ჰქონოდა დაბორკილი. საბოლოოდ, საკითხი – გახდებოდა თუ არა ესა თუ ის ქვეყანა ნატო-ს წევრი, პოლიტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შედეგი იქნებოდა – თუმცა იმის გათვალისწინებით, როგორ „მოიქცეოდა“ იგი. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ნატო-მ ამგვარი ქცევის შედარებით მკაცრი ნორმები დააწესა უსაფრთხოების ხელსაყრელი გარემოს გათვალისწინებით, თუმცა უფლებაც დაიტოვა ნორმები შეერბილებინა, თუ ამას ვითარება მოითხოვდა. უზენაესი კრიტერიუმი ის იყო, რამდენად დარწმუნდებოდა ალიანსის თითოეული წევრი, რომ ახალი კანდიდატის მიღება ზოგადად ნატო-ს საერთო ინტერესს შეესაბამებოდა.

არადა, ნატო-მ წყალი თავადვე აამღვრია, როცა მაპ-ის მინიჭების თაობაზე მისივე შემოღებული და საკმაოდ ნაჩქარევად დადგენილი წესები თითქმის მაშინვე დაარღვია, რაკი კოსოვოს კრიზისის უკიდურესი გამწვავების დროს ამ პროგრამაში ალბანეთიც ჩართო. ყველამ იცოდა, რომ ალბანეთი, საუკეთესო შემთხვევაში, კიდევ ათი წელი ვერ უნდა გამხდარიყო წევრი, მაგრამ ალიანსს ალბანეთთან თანამშრომლობის შენარჩუნება სჭირდებოდა – კოსოვოში გაგანია ომის დროს და თუკი საამისოდ მაპ-ი იყო საჭირო, მაშინ ნატო არც ამაზე იხევდა უკან. მისმა ამ ნაბიჯმა პრეცედენტი შექმნა, რომლის გამოძახილიც 10 წლის შემდეგ გაისმა: თუკი ნატო-ს წევრებმა ერთხელ ადრეც უგულებელყვეს საკუთარი დადგენილი წესები, მეორედ რას უნდა შეეშალა მათთვის ხელი? თუკი დრო და ვითარება მოითხოვდა, სავსებით დასაშვები ჩანდა, რომ პოლიტიკური ლიდერები თვალს დახუჭავდნენ მათ მიერვე დადგენილი ნორმებიდან გადახვევაზე. ეს ქართველებსა და უკრაინელებს შეეძლოთ სათავისოდ გამოეყენებინათ, როცა მავანი კრიტიკოსები აცხადებდნენ: *მაპ-ის მისაღებად ჯერ საკმარისი არ გაუკეთებიათო.*

მაგრამ ძაღლის თავიც აქ იყო ჩამარხული და ეს გახლდათ სწორედ მეორე პრობლემა: სინამდვილეში, ნატო-ს წევრ ქვეყანათაგან ყველას ერთნაირად არ სჯეროდა, რომ უფრო ღრმად, ევრაზიისაკენ თუ შავი ზღვის გადაღმა გაფარ-

თოება მართლაც საჭირო იყო და საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებაც ამ ქვეყნებისა თუ ზოგადად, ალიანსის ძირეულ ინტერესს პასუხობდა. საბოლოო მიზანთან დაკავშირებული ამგვარი სკეპტიციზმიდან გამომდინარე, ისინი ახლა ამ ზომიერი ნაბიჯის გადადგმაზეც ყოყმანობდნენ. მაპ-ის მიცემის მიმართ მათი წინააღმდეგობა იქცა ტექნიკურ ფორმად, რომელშიც უფრო ღრმა, პოლიტიკური და სტრატეგიული ეჭვები გამოიხატებოდა. საქმე ის იყო, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, ქვეყანათა გარკვეული ჯგუფისათვის მაპ-ის მიცემა, ფაქტობრივად, შეუქცევადი ჩანდა: თავად ალიანსში ჩამოყალიბდა აზრი, რომ საბოლოოდ, ყველა ეს ქვეყანა – ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე – უთუოდ გაწევრიანდებოდა ევროკავშირსა და ნატო-ში, და ამ პროცესის ტემპები თითოეული მათგანის მზადყოფნის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო. როცა ჯერი ალბანეთისათვის მაპ-ის მიცემაზე მიდგა, ნატო-ს საბოლოო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა ომის ფაქტორმა და იმ ფაქტმა იქონია, რომ ალიანსმა პრინციპში უკვე გადალახა რუბიკონი და სათავისოდ გადაწყვიტა, ადრე თუ გვიან, ბალკანეთის სახელმწიფოებიც ნატო-ს უნდა შეერთებოდნენ.

არც ერთი მსგავსი მოსაზრება უკრაინასა და საქართველოზე არ ვრცელდებოდა. როგორც ერთიან ალიანსს, ნატო-ს სრული თანხმობისთვის ვერ მიეღწია – კვლავ გაფართოებულიყო თუ არა ევრაზიისა და ამიერკავკასიის მიმართულებით. იმავე 90-იან წლებში, როცა ნატო-ს გაფართოების კონცეფცია შეიქმნა და განიხილებოდა, წარმოსახვის უნარის მქონე რამდენიმე პიროვნების გარდა, სერიოზულად არც არავის უფიქრია, პროცესი ასე შორს თუ წავიდოდა. იმ პერიოდში, კლინტონის პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს, სახელმწიფო დეპარტამენტში ნატო-ს გაფართოების საკითხებზე ვმუშაობდი და მაშინ უმთავრესი ყურადღება ე.წ. „ვიშეგრადის ჯგუფში" შემავალ ქვეყნებზე (ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი) ანუ მხოლოდ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე იყო გადატანილი. შემდეგ არეალი უკვე გაფართოვდა და საუბარი დაიწყო რეგიონზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. პრეზიდენტმა ბუშმა 2001 წლის ივნისში, ვარშავაში ნატო-ს გაფართოების თაობაზე წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში ოფიციალურად დაადასტურა, რომ გაფართოებული ალიანსის მიზანია მოიცვას სივრცე ჩრდილოეთიდან – ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფოდან სამხრეთისაკენ – ბულგარეთისა და რუმინეთის ჩათვლით. ამ განაცხადში არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ თავად ნატო-შიც, იმხანად მიღწეული სრული კონსენსუსის გამოძახილი მოისმოდა.[67]

შესაბამისად, გაფართოებაზე კამათის პირველი ათი წლის განმავლობაში ევრაზიისა თუ ამიერკავკასიის კანდიდატ ქვეყნებზე საუბარი ნატო-ს უახლოეს გეგმებში არც შედიოდა. რა თქმა უნდა, უკრაინამაც და საქართველომაც

ოფიციალურად განაცხადეს – ადრე თუ გვიან – ნატო-ში გაწევრიანების სურვილის შესახებ; თავის მხრივ ალიანსმაც შეიმუშავა ე.წ. „ღია კარის“ სტრატეგია ანუ გაწევრიანების შესაძლებლობა დაუტოვა იმ ახალ დემოკრატიებს, რომლებიც წევრობის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდნენ და ვისი ალიანსში ჩართვაც თავად ამ ორგანიზაციის ინტერესებს მოემსახურებოდა. ეს იყო ერთგვარი „მწვანე შუქის“ პოლიტიკა, რომლითაც ნატო არანაირ წინაღობას თუ მიჯნას არ უწესებდა კანდიდატ ქვეყნებს. უკვე თავად თითოეული ქვეყნის გადასაწყვეტი იყო, სად ამჯობინებდა დგომას (სწორედ ეს უფლება იყო ხაზგასმული ე.წ. *პარიზის ქარტიის* შემდეგ შემუშავებულ ეუთო-ს ყველა დოკუმენტში) და ალიანსიც, მისი არჩევანიდან გამომდინარე, დაასკვნიდა, პასუხობდა თუ არა ის გაწევრიანების სტანდარტებს და წაადგებოდა თუ არა მისი გაწევრიანება თავად ალიანსის უსაფრთხოებას.

რამდენიც არ უნდა ელაპარაკათ საქართველოსა და უკრაინას ნატო-ში გაწევრიანებაზე, ამგვარი საუბრები დიდწილად მხოლოდ ფორმალობად რჩებოდა და მათი კანდიდატურები სერიოზულად არც განიხილებოდა ამ ქვეყნებში დემოკრატიისა და რეფორმების ხარისხის გამო. მსგავსი მიდგომები რეალურად მხოლოდ მას შემდეგ გადაისინჯა, რაც ჯერ საქართველოში მოხდა ვარდების რევოლუცია და შემდეგ უკრაინაში – ნარინჯისფერი. ორივე ამ „გარღვევამ“ ასპარეზზე ლიდერთა ახალი წყება გამოიყვანა, რომელნიც გაცილებით უფრო მოსურნენი ჩანდნენ საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიული სისტემები ჩამოეყალიბებინათ და დასავლეთსაც უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდნენ. ის, რაც ადრე მირაჟად მოჩანდა, ახლა თანდათანობით რეალური შესაძლებლობის სახეს იძენდა; თბილისსა და კიევში იმ დემოკრატიული, პროდასავლური ხელისუფლებების შექმნის პერსპექტივა გამოჩნდა, ვინც ჩვენს ფასეულობებს იზიარებდა, ჩვენი ალიანსის წევრობა სურდა და თავგამოდებითაც იბრძოდა ისეთი პოლიტიკის გასატარებლად, რაც მართლაც გაუხსნიდა კარს დასავლეთისაკენ.

ყოველივე ამან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გააჩინა კითხვა – ხომ არ იყო ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოების თავდაპირველი ხედვა მეტისმეტად შეზღუდული, ხომ არ დამდგარა დრო, ალიანსს უფრო შორსაც გაეხედა და გაფართოების ახალი რაუნდიც წამოეწყო. თუმცა ამგვარ კითხვაზე პასუხის მოძებნას დასავლეთი მაინცდამაინც დიდი ხალისით არ ცდილობდა, რადგან მსგავსი ნაბიჯის გადადგმა სავარაუდოდ მეტ წინააღმდეგობასა და უფრო სახიფათო შედეგებს გამოიწვევდა, ვიდრე ეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ან თუნდაც ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში ფეხის მოკიდება იყო. მომხრეები ჯიუტად ამტკიცებდნენ – შავი ზღვის აუზის ქვეყნების შემოერთება მათი დემოკრატიული რევოლუციების შემდეგ არათუ ზნეობრივი თვალსაზრისითაა აუცილებელი, არამედ ამ მიმართულებით გაფართოებას

სტრატეგიულადაც შეუძლია ხელი შეუწყოს სტაბილურობის დამკვიდრებას ევრაზიასა და შავი ზღვის ირგვლივო. გაფართოების შემდგომი რაუნდის სასარგებლო დამატებითი არგუმენტი ენერგომატარებლების იმ სამხრეთი დერეფნის შექმნის მნიშვნელობაც იყო, რასაც ნავთობი და ბუნებრივი აირი კასპიის ზღვიდან და ცენტრალური აზიიდან დასავლეთისაკენ უნდა გადაეტანა. იმავე მომხრეთა აზრით, მსგავს ნაბიჯს – ზოგადად ახლო აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით – შეეძლო ევროატლანტიკური თანამეგობრობის სამხრეთი მიჯნებიც გაემაგრებინა. მართალია, რუსეთი ამ ნაბიჯს მაინცდამაინც არ მიესალმებოდა, მაგრამ მის საზღვრებთან დემოკრატიული გარდაქმნების მხარდაჭერას, საბოლოოდ, ვინძლო მომავალში თავად რუსეთშიც მეტი დემოკრატიულობის პერსპექტივის გაჩენისათვისაც შეეწყო ხელი.[68]

აი, ოპონენტები კი სხვაგვარად ფიქრობდნენ: მათი განცხადებით, ასეთი ნაბიჯი მოუმზადებელი და რისკიანი იქნებოდა. მათთვის საკითხის თავიდათავი ამ ქვეყნების, ასე ვთქვათ, ევროპულობის ხარისხი იყო – იყვნენ კი ისინი საერთოდ, ევროპის ნაწილი? სკეპტიკოსთა აზრით, ამ ქვეყნებში დემოკრატიული გზის არსებობა ჯერ კიდევ საკამათო ჩანდა. უკრაინასთან დაკავშირებით ბევრი აღიარებდა ამ ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობას, მაგრამ იმაზეც მიუთითებდნენ, რამდენადაა გახლეჩილი იქ საზოგადოების აზრი ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება საქართველოს, მასზე საუბრისას იხსენებდნენ, როგორ გამოაცხადა სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობა 2007 წლის ნოემბერში – მას მერე, რაც საპროტესტო დემონსტრაციების უმართაობის საფრთხე გაჩნდა. კრიტიკოსები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთის გააქტიურებას რეალურად შეეძლო გაყინული კონფლიქტები ხელახლა გაემწვავებინა ან ამ კუთხით უფრო აგრესიული ქმედებების საფუძველი მიეცა სააკაშვილისათვის. რაც მთავარია, ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ მსგავსი ნაბიჯი კატალიზატორად იქცეოდა უკვე ისედაც აჯაგრულ რუსეთთან ახალი კონფრონტაციის გასაღვივებლად.

ამის გამო, ბუქარესტში მაპ-თან დაკავშირებული დავა-კამათი მხოლოდ იმას არ შეეხებოდა, რამდენად პასუხობდნენ საქართველო და უკრაინა ტექნიკურ მოთხოვნებს და რამდენად „ჯდებოდნენ“ ისინი ნატო-ს დოქტრინით გათვალისწინებულ ზოგად სტანდარტებში. დავა ნატო-ს სამომავლო გაფართოებაზე, ალიანსის ბედსა და რუსეთთან ურთიერთობების გამო მიდიოდა. მაპ-ი უბრალოდ, საბაბად იქცა ალიანსის სტრატეგიული მიმართულებების შესახებ აზრთა სხვადასხვაობის გამო. მაპ-ის მიცემის მომხრე მოკავშირეები არ ხელმძღვანელობდნენ იმ დეტალებით, მოახერხა თუ ვერა საქართველომ ყველა წამოწყებული რეფორმის წარმატებით განხორციელება; მათი რწმენით, აუცილებელი იყო საქართველოსთვის კარიც გაეხსნათ და მხარიც დაეჭირათ ამ კრიტიკულ დროს, როცა ბევრი რამ სასწორზე იდო. ეს თავისებური გზავნილიც

იქნებოდა მოსკოვისათვის – უკან დაეხია და თბილისისათვის დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება მიეცა. თუ საამისოდ მაპ-ის მისაღებად უფრო დაბალი თამასა გახდებოდა საჭირო, არც ეს უჩანდათ დიდ პრობლემად – 1999 წელს ალიანსი ერთხელ უკვე მოიქცა ასე ალბანეთთან დაკავშირებით და იმავეს გამეორება არც ახლა უნდა გასჭირვებოდათ.

სწორედ ასევე, ის სახელმწიფოები, რომლებიც მაპ-ის მიცემას ეწინააღმდეგებოდნენ, ხშირად იხვევდნენ თითზე პროცედურულ არგუმენტებს თუ სტანდარტებთან შესაბამისობა/შეუსაბამობას, ოღონდ უფრო ფართო, პოლიტიკური თუ სტრატეგიული საკითხების გათვალისწინებით. მათ მხოლოდ ის კი არ აეჭვებდათ – რამდენად სწორად მიდიოდა რეფორმები საქართველოსა და უკრაინაში ან თუნდაც ეჭვს გამოთქვამდნენ მათ მზადყოფნასთან დაკავშირებით: ბევრი მათგანი უბრალოდ ფიქრობდა, რომ გაფართოება ისედაც შორს წავიდა ერთიანობის შენარჩუნებისა თუ რუსეთის გაღიზიანების თვალსაზრისით. ისინი დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ მაინცდამაინც ნატო-ს უნდა გადაედგა პირველი ნაბიჯი ამ სტრატეგიული მიმართულებით, რადგან არ სურდათ ისეთი პროცესისათვის დაედოთ სათავე, რასაც შემდგომში ვეღარც შეაჩერებდნენ. მსჯელობდნენ, რამდენად წაადგებოდა ეს ყოველივე მათ სახელმწიფო ინტერესებს, შიშობდნენ, რომ ნატო ძალიან შორეულ რეგიონებს წაეპოტინებოდა და რაც მთავარია, საქართველოს გამო რუსეთთან ახალი კონფლიქტის შესაძლებლობაც ძალზე აშფოთებდათ. როცა აცხადებდნენ – უკრაინა და საქართველო ჯერ მზად არ არიანო, ამით იმასაც აღიარებდნენ, არც ჩვენ ვართ მზადო. სწორედ ეს აფრთხობდა ყველაზე მეტად ქართველებსა თუ უკრაინელებს.

ნატო-ს შემდგომი გაფართოების უმთავრესი მომხრე ამერიკის შეერთებული შტატები იყო და პრეზიდენტ ბუშის თავისუფლების განვრცობის დღის წესრიგშიც უმთავრესი ადგილი სწორედ საქართველოსა და უკრაინას ეკავა. ვაშინგტონს მხარს უჭერდნენ გაერთიანებული სამეფო, კანადა, ალიანსში ახლად გაწევრიანებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა და რამდენიმე დასავლეთევროპული მომცრო სახელმწიფოც – მაგალითად, დანია. სკეპტიციზმი, უმთავრესად, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და ბენილუქსის ქვეყნების მხრიდან გამოსჭვიოდა. აზრთა განსაკუთრებული სხვადასხვაობა კი ყველაზე აშკარად აშშ-ისა და გერმანიის პოზიციათა შორის შეინიშნებოდა. ამ შემთხვევაში როლთა მნიშვნელოვანი შეტრიალება მოხდა: მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, როცა აღმოსავლეთ საზღვრებთან მდებარე ქვეყნების სტაბილიზაციის საკითხი დადგა, სწორედ გერმანია იყო ის ევროპული სახელმწიფო, რომელიც გაფართოების პროცესის დაწყებას ყველაზე მეტად უჭერდა მხარს და თავად გაფართოების იდეაც პირველმა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, ფოლკერ რიუჰემ წამოაყენა. კანცლერი ჰელმუტ კოლიც ვაშინგტონის უმთავრესი მოკავშირე იყო, როცა ნატო-ს გაფართოების

პირველ რაუნდთან დაკავშირებული კამათი მიმდინარეობდა. ასე იყო 1997 წელსაც, როცა ბერლინმა პარიზს არ დაუჭირა მხარი და ამერიკის პოზიცია გაიზიარა მადრიდის უაღრესად დაძაბულ სამიტზე.

ასე რომ, სწორედ აშშ და გერმანია იყვნენ ნატო-ს გაფართოების პირველი რაუნდის „დამრტყმელი ძალა". კოლის მეგობრობამ და მხარდაჭერამ ბილ კლინტონისადმი უმთავრესი როლი შეასრულა პირველი ტალღის აგორებაში და იმ პირველი რაუნდის სამი ქვეყნით – პოლონეთით, ჩეხეთითა და უნგრეთით შემოფარგვლაში, თუმცა კი მაქსიმალური შესაძლებლობები იქნა შენარჩუნებული სხვა კანდიდატებისთვისაც, უპირველეს ყოვლისა კი – ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის. ვაშინგტონი და ბერლინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ნატო-ს ორმხრივი სტრატეგიის მეორე ნაწილის შემუშავებაზეც – რაც რუსეთთან დაახლოებასა და ნატო-რუსეთის პარტნიორობის წამოწყებას გულისხმობდა, რამდენადაც სწორედ კლინტონი და კოლი იყვნენ ის დასავლელი ლიდერები, ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა ელცინი.

ათი წლის შემდეგ კი ბერლინის პოზიცია სულ სხვაგვარი გახდა: გერმანია მოკავშირეთაგან ყველაზე სკეპტიკურად უყურებდა შემდგომ გაფართოებას. ხედვის ამგვარი ცვლილების შედეგები გადამწყვეტი აღმოჩნდა ნატო-ს ფარგლებში მიმდინარე დავა-კამათში უკრაინისა და საქართველოს თაობაზე. გავლილ ათწლეულში ბევრი რამ შეიცვალა – ტრადიციულად მჭიდრო ამერიკულ-გერმანული ურთიერთობა ერაყის ომმა საგრძნობლად გააუარესა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე მეტად დაძაბა. კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ანტისაომარი და ანტიამერიკული განწყობილებები მისი მეორე საარჩევნო კამპანიის ძირითად ნაწილად აქცია 2002 წელს და წარმატებასაც მიაღწია. ვაშინგტონის იმედგაცრუება ბერლინის მიმართ კარგად გამოჩნდა სახელმწიფო მდივან რაისის ცნობილ გამონათქვამში (2003 წელი): აშშ-ის პოლიტიკა „დასჯის საფრანგეთს, უგულებელყოფს გერმანიას და მიუტევებს რუსეთს".

გაფართოების საკითხი ბერლინსა და ვაშინგტონს შორის გაუცხოების უმთავრესი მიზეზი არ ყოფილა, მაგრამ დიდი ზეგავლენა კი იქონია. ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ახლა ამერიკისა და გერმანიის დაშორიშორებას უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე – დაახლოებას. 2004 წლის პრაღის სამიტზე, ნატო-ს ე.წ. „დიდი აფეთქების" გადაწყვეტილებიდან მოკიდებული, გაფართოებული ევროპის გერმანული ხედვა ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოებას დასრულებულად მიიჩნევდა. თავის დროზე, ბერლინი ასევე სკეპტიკურად უყურებდა და კულუარებში ეწინააღმდეგებოდა კიდეც ბალტიისპირეთის გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატო-ში. თუმცა, შემდეგ აზრი შეიცვალა და საბოლოოდ მათ გაწევრიანებას მხარი დაუჭირა. ახლა, როცა გერმანია უკვე მეგობრებითა და მოკავშირეებით იყო გარშემორტყმული, ბერლინი საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესად მიიჩნევდა განეცხადებინა – გაფართოების პროცესი დასრუ-

ლებულია და მიზანიც მიღწეულიო. რიტორიკის დონეზე ის კვლავაც ნატო-ს „ღია კარის“ პრინციპისადმი ერთგული რჩებოდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, პოლიტიკურად უკვე მთლიანად დაკმაყოფილებული ჩანდა. პრიორიტეტული ახლა მოსკოვთან თანამშრომლობის გაღრმავება იყო.

ერაყის ომის შემდეგ ეს უკანასკნელი სულ უფრო და უფრო სასურველ და მნიშვნელოვან პარტნიორად აღიქმებოდა; ერაყის ომის ირგვლივ ატეხილმა კამათმა არა მარტო ანტიამერიკული განწყობის ახალი ტალღის აგორება გამოიწვია, არამედ გერმანიაც აიძულა, გეოპოლიტიკური ორიენტირები აღმოსავლეთისაკენ გადაენაცვლებინა. როცა კანცლერ შრიოდერს, როგორც ამ ომის მოწინააღმდეგეს, ბუშის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა დაეძაბა, უმთავრეს მოკავშირეებად საფრანგეთი და რუსეთი დაიგულა, რათა პოლიტიკური „ქოლგაც“ უზრუნველეყო და იზოლაციისთვისაც დაეღწია თავი. იმან, რაც თავიდან „გარიგებით ქორწინებას“ ჰგავდა, თანდათანობით ღრმა ფესვები გაიდგა და საგარეო პოლიტიკის კუთხით ბერლინსაც ახალ-ახალი შესაძლებლობები გამოუჩინა. ერაყის ომის ერთი დიდი ირონია ისიც იყო, რომ გერმანულ პოლიტიკაში პრორუსულ ლობს წამოაყოფინა თავი. ქვეყნის პოლიტიკური კლასის სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილისათვის მეტ მომხიბვლელობას რუსეთთან ურთიერთობა იძენდა, ვიდრე იმაზე ფიქრი, იყო თუ არა საჭირო ან როგორ უნდა მოხერხებულიყო დემოკრატიისა და თავისუფლების საზღვრების გაფართოება ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიცაა საქართველო და უკრაინა. თუკი გაფართოების საკითხებზე აშშ და გერმანია ადრე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ, ათი წლის შემდეგ უკვე უმთავრეს დაპირისპირებულ მხარეებს ედგნენ სათავეში.

ვაშინგტონი გერმანიის სტრატეგიული პრიორიტეტების შეცვლას იმედოვნებდა, როცა 2005 წლის ნოემბერში კანცლერის თანამდებობაზე გერჰარდ შრიოდერი შეცვალა ანგელა მერკელმა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აშშ-თან ურთიერთობების გამოსწორებას ისახავდა მიზნად. მერკელი, ლუთერანი პასტორის ქალიშვილი, კომუნისტურ აღმოსავლეთ გერმანიაში დაიბადა და გაიზარდა; შესაბამისად, მას არანაირი ილუზიები არ უნდა ჰქონოდა კომუნიზმთან და საერთოდ, რუსეთთან დაკავშირებით. ზოგიერთი ექსპერტი მას ლამის „აღმოსავლეთ ევროპელადაც“ კი ნათლავდა მოსკოვისადმი მისი დამოკიდებულების გამო და მას იცნობდნენ, როგორც ევროპელ ლიდერთაგან ერთ-ერთ ყველაზე ხისტს რუსებთან „საერთო ენის“ გამონახვის საკითხში. მერკელი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა პრეზიდენტ ბუშს მისი მეორე პრეზიდენტობისას ევროპასთან ურთიერთობების გამოსწორების მცდელობაში და ეს ორი სახელმწიფოს მეთაური შემდგომშიც აპირებდა ურთიერთნდობისა და პირადი მეგობრობის კურსის გაგრძელებას.

თუმცა მომავალ გაფართოებასთან დაკავშირებით, ამერიკული და გერმანული პოზიციების შეჯერება სრულად მაინც ვერ მოხერხდა: ზოგადატლანტიკური ხედვის მიუხედავად, შინაგანად მერკელი გერმანიის სტრატეგიულ აზროვნებასა და საზოგადოებაში ფეხმოკიდებული ზოგადი ტენდენციების გავლენისაგან ბოლომდე მაინც ვერ თავისუფლდებოდა, რაც ბერლინისა და ვაშინგტონის დაშორიშორებას იწვევდა. მერკელი კოალიციაში შედიოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და ამ პარტიის წარმომადგენელი საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ერთთავად იმის ცდაში იყო, აშშ-ის საგარეო პოლიტიკას მაქსიმალურად გამიჯნოდა, ხოლო თავად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები ხშირად აცხადებდნენ – ვაშინგტონისა და მოსკოვისაგან „თანაბარი დაშორების" პოლიტიკას უნდა მივყვეთო. სწორედ ამ პარტიამ განაგრძო ის „სამშვიდობო პოლიტიკა", რაც რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას გულისხმობდა და თავისთავად ხელს უწყობდა სკეპტიციზმის გაჩენას შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით. ეს პარტია საგარეო საქმეთა სამინისტროსაც აკონტროლებდა და, შესაბამისად, თანდათანობით სწორედ ეს უწყება იქცა მოსკოვთან მჭიდრო კავშირების დამყარების მთავარ პროპაგანდისტად გერმანიაში.

თბილისმა საკმაოდ ავნო საკუთარ ინტერესებს, რადგან ხშირად აკრიტიკებდა გერმანიას – სწორედ იმ ქვეყანას, რომელიც კონტინენტზე დიდწილად ქმნიდა ამინდს აღმოსავლეთის მიმართ პოლიტიკის განსაზღვრაში. სააკაშვილის საყვედურები ევროპის უმოქმედობის თაობაზე ხშირ შემთხვევაში მიმართული იყო უშუალოდ ბერლინისაკენ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ალიანსის შიგნით ერთგვარ „ტროას ცხენად" აღიქვამდა და რუსეთისადმი ლოიალობასა და საქართველოს დასავლეთისაკენ სწრაფვის შეფერხებაში სდებდა ბრალს. თბილისს არ გააჩნდა არანაირი ქმედითი სტრატეგია გერმანიის მხრიდან დასმულ კითხვებზე საპასუხოდ, მისი ეჭვების გასაქარწყლებლად თუ ევროპის ამ უმძლავრეს სახელმწიფოში საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. თავის მხრივ, ბერლინსაც მიაჩნდა, რომ სააკაშვილი რუსულ საფრთხეს აზვიადებდა, რათა საკუთარი დემოკრატიული გადაცდომებიდან ყურადღება სხვა მიმართულებით გადაეტანა. გერმანელები შიშობდნენ, რომ ეს ფიცხი ლიდერი გერმანიასა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს რუსეთთან კონფლიქტში ჩაითრევდა. შესაბამისად, ბერლინში სულაც არ სუფევდა ისეთი ენთუზიაზმი საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, როგორიც ვაშინგტონში.

ზოგადად გერმანელთა სკეპტიციზმი საქართველოსთან დაკავშირებით, თავად მერკელსაც გადაედო: ის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე იყო ნამყოფი საქართველოშიც და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში და როგორც

ფიქრობდა, კარგად იცოდა, რამხელა გზა ჰქონდათ ჯერ კიდევ გასავლელი, ვიდრე ისინიც დასავლეთის ნაწილად იქცეოდნენ. კიდევ უარესი – მისი პირველი შეხვედრა სააკაშვილთან ნავსი აღმოჩნდა: ძნელი წარმოსადგენია უფრო დიდი განსხვავება, რაც წარმოშობით ჩრდილოეთგერმანელ, თავშეკავებულ, გაწონასწორებულ კანცლერსა და ფეთქებად, ენერგიულ სააკაშვილს შორის შეუიარაღებელი თვალითაც შეინიშნებოდა. მიუნჰენში, ყოველწლიური უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში, ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, მცირე ხანს ისაუბრეს და ამ საუბართან დაკავშირებით ორივეს უსიამო შთაბეჭდილება დარჩა. მერკელმა სცადა ხაზი გაესვა, რა მნიშვნელობას ანიჭებდა კანონის უზენაესობას და სასამართლო რეფორმას – ამასთან დაკავშირებით, გერმანიის მიერ დაფინანსებული „მოსამართლეთა სწავლების პროგრამაც" გაიხსენა, სააკაშვილმა კი, რომელსაც ეს პროგრამა არაეფექტიანად მიაჩნდა, კანცლერის მოსაზრებებს ყურიც არ ათხოვა და შეეცადა დაერწმუნებინა – საქართველო ისედაც სწორი გზით მიდისო. მერკელმა მისი ნათქვამი არ დაიჯერა. საბოლოოდ, სააკაშვილმა ჩათვალა, რომ გერმანიის კანცლერს საქართველოს შიდა ვითარების თაობაზე და დასახულ მიზნებზე საკმაოდ ზერელე წარმოდგენა ჰქონდა. მერე მერკელის თანაშემწეები იხსენებდნენ – ჩვენს კანცლერს ამაზე უარესი შეხვედრა არასოდეს ჰქონიაო...

როცა ბუში და მერკელი 2006 წლის გაზაფხულზე სტრალსუნდში, ბალტიის ზღვის ნაპირზე ერთმანეთს შეხვდნენ, მათ შორის სრული აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლებოდა საქართველოს მისწრაფებათა ხელშეწყობა. ამ თემაზე მომდევნო ორწლინახევრის განმავლობაშიც არაერთხელ უმსჯელიათ, თუმცა ვერც ერთხელ ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე – იმის მიუხედავად, რომ მათი პირადი მეგობრობა სულ უფრო ღრმავდებოდა. ზოგჯერ ამაზე თავადაც კი ხუმრობდნენ ხოლმე. როცა მერკელი 2007 წლის ნოემბერში ბუშის რანჩოს სტუმრობდა კროუფორდში, სააკაშვილს სულ ცოტა ხნის წინ ჰქონდა გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში და საპროტესტო აქციებიც – დარბეული. პრეზიდენტი სტუმარს გაეხუმრა – *არ მითხრა ახლა, ხომ გეუბნებოდიო!* – სააკაშვილის დემოკრატიული ინსტიქტებისა თუ მათი ნაკლულობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ბუშს ძალიან მოსწონდა მერკელი და დიდ პატივსაც სცემდა. დარწმუნებული იყო – მათ ერთნაირად ესმოდათ თავისუფლებისა და დემოკრატიის გავრცობის აუცილებლობა და საქართველოს საკითხში თანამშრომლობასა და კომპრომისის მიღწევის შესაძლებლობის იმედსაც არ იწურავდა.

ბუშს ესმოდა, რომ მერკელისათვის ქართველებსა და სააკაშვილთან დაკავშირებით უმთავრესი პრობლემა მათი *ქცევა* იყო. გრძნობდა, რომ მერკელი განსხვავდებოდა თავისივე ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერისაგან, რომლის მიმართაც ბუშს ნაკლები ნდობა

ჰქონდა. ბუშის ადმინისტრაციაში შტაინმაიერს გერჰარდ შრიოდერის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ და ფიქრობდნენ, რომ ის მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთისათვის კოჭის გორებას და არასაკმარისს – ზოგადად მთელ ევროპაში თავისუფლებისა და დემოკრატიის მხარდაჭერას. აი, მერკელს კი ბუში ისეთ პიროვნებად განიხილავდა, ვისაც შეეძლო მოსკოვისთვის წინააღმდეგობის გაწევა, თუკი საკითხის სამართლიანობაში დარწმუნდებოდა. შინაგანად გრძნობდა, რომ ის და მერკელი ერთნაირად აცნობიერებდნენ საქართველოს სისუსტეებსა და გადაცდომებს. მათი ანალიზი იმაშიც ემთხვეოდა ერთმანეთს, რა ეტაპზე იმყოფებოდა საქართველო და რისი გაკეთება ესაჭიროებოდა.

უთანხმოება იმაში ვლინდებოდა მხოლოდ, როგორი უნდა ყოფილიყო ნატო-ს პოლიტიკა ამასთან დაკავშირებით: ბუშის რწმენით, საუკეთესო გზა, რაც საქართველოს პრობლემების დაძლევაში დაეხმარებოდა, დასავლეთთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება იქნებოდა, და არა მისი „შორით ჭვრეტა". ამერიკის პრეზიდენტს არანაირი მიამიტური ილუზიები არ ჰქონია არც მთლიანად საქართველოსა და არც მისი პრეზიდენტის მიმართ – უბრალოდ, მას უნდა გადაეწყვიტა, როგორ შეიძლებოდა არსებული პრობლემების უკეთ მოგვარება; ბოლოს და ბოლოს, ნატო-ს წევრი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნებიც არ იყვნენ მთლად თითით საჩვენებლები და ალიანსში გაწევრიანებისაკენ მიმავალ გზაზე კრიზისიცა და გაჭირვებაც ბევრმა გამოიარა. ბუშს მიაჩნდა, რომ სააკაშვილის არაწინასწარმეტყველებლობის მართვა ყველაზე უკეთ საქართველოს მხარდაჭერით მოხერხდებოდა და არა მის იმედებზე ცივი წყლის გადასხმით. საქართველო უდიდეს რისკს წევდა, როცა რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, დასავლეთისაკენ ცდილობდა სვლას და ბუშის ღრმა რწმენით, ნებისმიერი მისი მეგობარი და მოკავშირე უკვე, თუნდაც პრინციპის გამო უნდა დასდგომოდა გვერდში.

გერმანია არ იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც სკეპტიკურად უყურებდა უკრაინა-საქართველოს და მაპ-ში მათ ჩართვას ეწინააღმდეგებოდა. არანაკლებ სკეპტიკურად იყო განწყობილი საფრანგეთიც, თუმცა თავად ნატო-ს შიგნით იგი ბანქოს ერთგვარი „ჯოკერის" როლს თამაშობდა. თავდაპირველად ნატო-ს გაფართოების იდეისადმი ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი ალბათ სწორედ საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი გახლდათ: პარიზი, ისტორიულად, ევროპის უფრო ვიწროდ ხედვისკენ იხრებოდა, ამბივალენტურ პოლიტიკას ატარებდა როგორც ამერიკის გავლენის, ასევე ნატო-ს როლის გააზრების თვალსაზრისით და მოსკოვთან საკუთარ მჭიდრო ურთიერთობასაც აშშ-ისა და გერმანიის დაბალანსების ჭრილში განიხილავდა. ნატო-ს გაფართოება ამგვარი ხედვის გადასინჯვასა და ნატო-სა და ამერიკის გავლენის გაძლიერებას მოასწავებდა. თუმცა, თავდაპირველი წინააღმდეგობის შემდეგ, საფრანგეთმა მაინც შეცვალა კურსი და მადრიდის 1997

წლის სამიტზე, ვაშინგტონისთვისაც კი მოულოდნელი ინიციატივებით სწორედ შირაკი გამოვიდა გაფართოების ერთ-ერთ უმთავრეს მომხრედ. ეს გახლდათ პარიზის მცდელობა, საუკეთესო შედეგი მიეღო იმ პოლიტიკიდან, რომელიც სინამდვილეში, არასოდეს ეხატებოდა გულზე.

მაგრამ 2007 წლის მაისისათვის, საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი უკვე არა შირაკს, არამედ ნიკოლა სარკოზის ეკავა და ხსენებული საკითხის მხრივაც საკუთარი ახალი კურსის გატარებას აპირებდა. ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიისას, სარკოზიმ თავი საგარეო პოლიტიკის „მარტოხელა მგლად“ წარმოაჩინა და მუდმივად იძლეოდა დაპირებას – წინამორბედის პოლიტიკასთან საერთო არაფერი მექნებაო. ეს არსად ისე ნათლად არ წარმოჩენილა, როგორც აშშ-სა და რუსეთთან ურთიერთობებში: სარკოზი საჯაროდ გაიძახოდა ვაშინგტონთან კავშირის გამყარების აუცილებლობასა და მსოფლიოში საფრანგეთისა და ევროპის გავლენათა მაქსიმალურ გაზრდაზე – სწორედ ამერიკასთან თანამშრომლობით და არა მასთან დაპირისპირებით. თუმცა შირაკისეული გზიდან გადახვევა ყველაზე მკვეთრად რუსეთის საკითხში გამოვლინდა: ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს სარკოზიმ პუტინი „თავზეხელაღებულ და პირსისხლიან“ ლიდერად შერაცხა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შირაკი, რომელმაც ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე, პუტინი საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა. მან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედებად თავისუფლება და ადამიანის უფლებები დასახა და პარიზის მანამდელ ცინიკურ *რეალპოლიტიკას* გაემიჯნა. როგორც იმხანად ის პარიზში სტუმრად ჩასულ კოლეგებს ეუბნებოდა, *ჩემსა და შირაკს შორის უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ ჩემი წინამორბედი „ანტიბუშისტი“ იყო, მე კი ,,ანტიპუტინისტი" ვარო.*

სარკოზი, რომლის მამაც წარმოშობით უნგრელი იყო, ასევე განსხვავებულად უყურებდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას – მან მკაცრად გააკრიტიკა შირაკი ამ ქვეყნების უგულებელყოფისა და იმის გამო, რომ როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ერაყის ომში აშშ-ს დაუჭირეს მხარი, საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი მათგან „ხმის გაკმენდას“ მოითხოვდა... იმავე წინასაარჩევნო კამპანიის დროს, სარკოზი არაერთხელ მიესალმა უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის სწრაფვას დასავლეთისაკენ. მერე, უკვე როგორც პრეზიდენტი, მოსკოვში ჩასვლამდე ჯერ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე დედაქალაქს ესტუმრა. თუკი შირაკი უარს აცხადებდა სააკაშვილის მიღებაზე, სწორედ საქართველოს პრეზიდენტი აღმოჩნდა სახელმწიფო მეთაურთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც სარკოზიმ ელისეს სასახლეში მიიწვია და მერკელისაგან განსხვავებით, ძალიანაც მოეწონა. სხვათა შორის, ავტოკრატიული მიდრეკილებების გამო, სარკოზის არაერთი აკრიტიკებდა და იქნებ ამიტომაც, ის უფრო ლმობიერად უყურებდა სააკაშვილის

სტილსა და ნაკლოვანებებსაც. ორივე ლიდერი ძლიერი პიროვნება გახლდათ და აქტიური ქმედებებისკენ მიუწევდათ გული, ზოგჯერ მიზნისკენ სავალ უმოკლეს გზებს ეძიებდნენ და პროტოკოლსა თუ დიპლომატიურ ფორმალობებს დიდად არც დაგიდევდნენ.

სარკოზის ბევრი მოსაზრება ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით საფრანგეთის ჯერ კიდევ „გოლიზმში" ჩარჩენილი პოლიტიკური და დიპლომატიური ელიტისათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. თავიდათავი საკითხი კი ის იყო, მოხერხდებოდა თუ არა სარკოზისეული „მარტოხელა მგლის" მიდგომებითა და ენერგიით, ფრანგული დიპლომატიური ტრადიციის ძველი გზიდან გადახვევა, თუ საბოლოოდ, მაინც ძირძველი ფრანგული ხედვებისაკენ დაბრუნება მოუწევდა. ორგანიზაცია „მედიკოსები საზღვრების გარეშე" დამაარსებლის, სოციალისტი ბერნარ კუშნერის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნაც თითქოს ასევე წარსულის მემკვიდრეობასთან კავშირის გაწყვეტაზე მიუთითებდა. გაპრეზიდენტების შემდეგ, იგი მეგობრებში ხუმრობდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის აფეთქებაზე ვფიქრობ, ოღონდ ჯერ არ ვიცი, თანამშრომლები წინასწარ გავაფრთხილო, თუ იქვე დავტოვოო... ამაზე ერთმა ხუმრობითვე მიუგო – ისინი თუ არ მიაყოლე, უეჭველად საბოტაჟს მოგიწყობენ და მთელ შენს საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებს ჩიხში შეიყვანენო. მოკლედ, ეს იყო მეამბოხე სარკოზი.

ოფიციალურად, საფრანგეთი საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ-ის მიცემას ეწინააღმდეგებოდა და მთლიანად იზიარებდა ბერლინის პოზიციას, მაგრამ სტუმრებთან – მათ შორის ამერიკელებთან პირისპირ შეხვედრებზე საფრანგეთის პრეზიდენტი ამ ოფიციალურ განცხადებებსაც ემიჯნებოდა და იმ მოსაზრებასაც, თითქოს ფრანგულ-გერმანული მიდგომა სრულიად ერთგვაროვანი ყოფილიყო. პირად საუბრებში მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მოსწონდა სააკაშვილი, საქართველოს მისწრაფებებს თანაუგრძნობდა და დახმარებისთვისაც მზად იყო. მისთვის პრობლემა არ იყო თბილისის გადაცდომები დემოკრატიის კუთხით, არც რუსეთის გაღიზიანების ეშინოდა. პრობლემას ის გერმანიასთან ურთიერთობაში ხედავდა: მეზობელთან ურთიერთობების გამწვავებას ერიდებოდა – მით უფრო, რომ იმხანად მერკელთან მთლად მეგობრულად ვერ იყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვაშინგტონმა და თბილისმაც ნათელი დასკვნა გამოიტანეს: სარკოზი ოპორტუნისტული იქნებოდა და იმ შემთხვევაში, თუკი მერკელის გადმობირებას მოახერხებდნენ, არც ის გაუძალიანდებოდა მაპ-ის მიცემის საკითხს, ხოლო გერმანულ-ფრანგული თანხმობის შემთხვევაში, ალიანსის დანარჩენი წევრების წინააღმდეგობასაც ბოლო მოეღებოდა.

ისიც სათქმელია, რომ თავად ვაშონგტონშიც, მაპ-ის საკითხთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობდა: მნიშვნელოვან ევროპელ მოკავშირეთა

წინააღმდეგობა თვალნათლივ ჩანდა, ხოლო 2007 წლის მიწურულს, სააკაშვილის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ, მისი ყველაზე თავგამოდებული მხარდამჭერებიც კი ცოტა ხნით ჩააჩუმა. ბუშის ადმინისტრაციისათვის ხელისუფლების სათავეში ყოფნის ბოლო წელიწადი იწყებოდა – ანუ, მისი მოქმედება ერთგვარად უკვე მხოლოდ ინერციული გახლდათ და ევროპაზე ზეგავლენის ბერკეტებიც – შესუსტებული. თუმცა, ეს ბერკეტები, სიმართლე ითქვას, არც არასოდეს ყოფილა საკმარისად მძლავრი. ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის წამყვან პირებს გარკვეული ეჭვებიც გაუჩნდათ: სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც და თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსიც თავდაპირველად მზად იყვნენ საქართველოსთვის მაპ-ის მიცემის თაობაზე მხარი დაეჭირათ – იმის მიუხედავად, რომ თავადაც ჰქონდათ ეჭვები ამ ქვეყნის ნატო-ში შესასვლელად მზადყოფნის დონეზე და მოკავშირეთა განსხვავებულ შეხედულებებთან დაკავშირებით. 2007 წლის მოვლენების შემდგომ, მაღალი რანგის რამდენიმე ამერიკელმა დიპლომატმა ევროპელ კოლეგებს კერძო საუბრებში განუცხადა – მაპ-ის თემა დღის წესრიგიდან მოხსნილიაო. ამგვარი განცხადებები, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევი ჩანდა, რამდენადაც პრეზიდენტ ბუშთან არ ყოფილა შეთანხმებული; არადა, მთავარი სწორედ მისი აზრი გახლდათ, ის კი უწინდებურად მხარს უჭერდა მაპ-ის მიცემას.

ბუშის ადმინისტრაციის უმაღლესი დონის წარმომადგენელთა აზრთა სხვადასხვაობა ნატო-ს გენერალური მდივნის, იაპ დე ჰოოპ სხეფერისთვისაც აშკარა გახდა, როცა თებერვლის ბოლოს ეწვია ვაშინგტონს. 2008 წლის 28 თებერვალს, აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრის წინა საღამოს, სხეფერმა რაისთან, გეიტსთან და სახელმწიფო უსაფრთხოების მრჩეველ, სტივენ ჰედლისთან ერთად ივახშმა. საუბრისას რაისი და გეიტსი სხეფერს დაეთანხმნენ, რომ საქართველოსთან დაკავშირებით, მაპ-ი ზედმეტად წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა: მათი აზრით, აჯობებდა გარკვეული კომპრომისის გამონახვა; იმავე პროგრამული შინაარსის ფარგლებში რაღაც ისეთი, განსხვავებული იარლიყის მოფიქრება, რაც რუსეთის გამარჯვებად არ იქნებოდა აღქმული.

როცა მეორე დილით, დე ჰოოპ სხეფერი უკვე პრეზიდენტს შეხვდა, სახტად დარჩა, რადგან ბუშმა უეცრად იმაზე წამოიწყო ლაპარაკი, როგორ აპირებდა მაპ-ის თემის წამოწევას ბუქარესტის სამიტზე. მისი თქმით, მზად იყო მთელი ამერიკული დიპლომატიის ძალისხმევა გამოეყენებინა სასურველი შედეგის მისაღწევად. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ოვალური კაბინეტი გაოცებულმა დატოვა და ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ხდებოდა ამერიკული პოლიტიკის კულუარებში. საქმეც ისაა, რომ პირადად ბუში ყოველთვის უფრო გულმხურვალედ ლობირებდა მაპ-ის იდეას, ვიდრე მისი უახლოესი გარემოცვა. რაისი და გეიტსი პრეზიდენტის ენთუზიაზმს ბოლომდე არ იზიარებდნენ. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრები აცნობიერებდნენ, რომ აუცილებელი იყო ორ-

განიზებული პროცესი, რაც მკაფიოს გახდიდა აშშ-ის პოლიტიკას და ყველას თანამოაზრეობას უზრუნველყოფდა. ამ მიზნით რამდენიმე საგანგებო შეხვედრაც კი გაიმართა პრეზიდენტთან უმაღლესი დონის პოლიტიკოსთა და დაზვერვის მაღალჩინოსანთა მონაწილეობით. ამ შეხვედრების მიზანი განსხვავებულ შეხედულებათა შეჯერება და პრეზიდენტის განწყობის ამერიკის ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციად ჩამოყალიბება იყო.

რა ამოძრავებდა პრეზიდენტ ბუშს? მისი აზრით, ხსენებული საკითხი მთლიანად პოლიტიკური იყო და იგი ლიდერების დონეზე უნდა გადაწყვეტილიყო და არა დიპლომატებისა. ანუ ამერიკული პოლიტიკა ამ საკითხში სწორედ მას უნდა განესაზღვრა და არა მის მრჩევლებს. თეთრ სახლში გამართულ ზემოხსენებულ შეხვედრებზე მან არაერთხელ დაუსვა შეკითხვა თანაშემწეებს – მაინც რატომ უნდა წასულიყო ვაშინგტონი კომპრომისზე? მისი აზრით, ეს ქვეყნები – საქართველოცა და უკრაინაც, უდიდეს რისკზე მიდიოდნენ, როცა ნატო-ში ცდილობდნენ გაწევრიანებას. ამ რისკთან შედარებით ის, რასაც ისინი ნატო-სგან ითხოვდნენ, მინიმალური რისკის შემცველი იყო ამ ორგანიზაციისათვის. თუკი საქართველო და უკრაინაც მზად იყვნენ თავი გადაედოთ, ბუშის თქმით, ამერიკა უკვე მხოლოდ პრინციპის გამო უნდა დამდგარიყო მათ გვერდით. პრეზიდენტს სულაც არ აშინებდა იმის წარმოდგენა, რა შეიძლება მომხდარიყო, თუკი აშშ თავისას ვერ გაიტანდა. მას, უბრალოდ, იმ საქმისათვის ბრძოლა სურდა, რასაც მართებულად მიიჩნევდა.

ნატო 27 მოკავშირე სახელმწიფოსაგან შედგებოდა და ბუშმა კარგად იცოდა, რომ ალიანსში ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი პრაქტიკულად შუაზე იყო გაყოფილი. მას კარგად ესმოდა, რომ მაპ-ი წინააღმდეგობრივი თემა გახლდათ, მაგრამ ამავე დროს, იმ წლის გაზაფხულზე, ალიანსში შემავალი ბევრი ქვეყნის ლიდერი – ძირითადად, თუმცა არა მხოლოდ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლები, მის ოვალურ კაბინეტში ადასტურებდნენ სურვილს, ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის პრეზიდენტს ბოლომდე ამოსდგომოდნენ მხარში. ბუშის თვალსაზრისით, საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო სულ რამდენიმე ქვეყანასა და პიროვნებას, იმათ, ვისაც ხმის გადამწყვეტი უფლება ჰქონდათ, ანუ მას, მერკელსა და სარკოზის. მისთვის არც გერმანულ თვალსაზრისში არსებული განსხვავებები იყო უცნობი: მართალია, მერკელიც და შტაინმაიერიც ეწინააღმდეგებოდნენ მაპ-ის მიცემას, მაგრამ სრულიად განსხვავებული მიზეზების გამო. ბუშს მიაჩნდა, რომ მერკელის შეხედულებები რუსეთის ფაქტორით არ იყო განპირობებული და მისი დაყოლიება ჯერ კიდევ მოხერხდებოდა; აკი მერკელიც აუცილებლად თვლიდა დემოკრატიისა და თავისუფლების არეალის გაფართოებას და არც მოსკოვთან დაპირისპირებას უფრთხოდა. ბუშს იმედი ჰქონდა, პირად საუბარში მოახერხებდა ეთამაშა სწორედ ამ განწყობებზე გერმანიის ხელისუფლების იმ წარმომადგე-

ნელთა პოზიციების მიუხედავად, რომლებიც, მისი აზრით, მეტისმეტად დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოსკოვს. ხოლო თუკი მერკელის დაყოლიება მოხერხდებოდა, სარკოზისაც უკვე აღარაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო. ეს ყველაფერი ნელ-ნელა ამერიკულ პოკერს ემსგავსებოდა, თუმცა პრეზიდენტი ფსონის ჩამოსასვლელად შინაგანად მზად იყო.

შესაბამისად, ვიდრე მაპ-ის მინიჭების მომხრე-მოწინააღმდეგეთა საჯარო კამათი სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა დიპლომატიურ დერეფნებში, კონგრესის დარბაზებში, მედიასა თუ ექსპერტთა წრეებში – ატლანტიკის ორივე მხარეს – ბუში სიმშვიდეს ინარჩუნებდა და მისი ადმინისტრაციაც დუმდა. სიმშვიდე და დუმილი ისე გაიწელა, რომ ბევრი მოკავშირე საგონებელშიც ჩავარდა – რა ჯანდაბას აპირებს ამერიკაო! ამერიკელი დიპლომატები დაარიგეს, აშშ-ის პოზიციასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე ეპასუხათ, პრეზიდენტს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიაო. ამასობაში, ბუშმა სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს დაავალა, კერძო კულუარული დიალოგი წამოეწყო მერკელთან და სარკოზისთან შეთანხმების მიღწევის თაობაზე. საერთოდ, მერკელს რომ საგარეო საქმეთა მინისტრი არ დგომოდა ზურგს უკან, ბუშის აზრით, პირადად იგი გაცილებით უფრო დამყოლი იქნებოდა და მისი დათანხმებაც – ბევრად უფრო იოლი. მართლაც, დიალოგი იმდენად საქმიანი აღმოჩნდა, რომ ბუქარესტში რეალურად მიღწეულთან შედარებით უკეთესი შედეგიც კი იყო მოსალოდნელი.

სააკაშვილი თეთრ სახლს ბუქარესტის სამიტამდე დაახლოებით სამი კვირით ადრე მარტის შუა რიცხვებში ეწვია. ეს ვიზიტი მაპ-ის საკითხზე ბუშისა და მერკელის კიდევ ერთ ვიდეოკონფერენციას დაემთხვა და გერმანიის კანცლერმა სწორედ თეთრი სახლისაკენ მიმავალ სააკაშვილს დაურეკა ტელეფონით. მანამდე, მერკელმა საჯაროდ დაადასტურა საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ-ის მიცემისადმი უარყოფითი დამოკიდებულება: ჯერ საკუთარი ქვეყნის უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე, შემდეგ კი – უკვე მოსკოვში ვიზიტისას,[69] რითაც თეთრი სახლი ნამდვილად არ გაახარა. სააკაშვილთან დარეკვის მიზეზიც ის გახლდათ, რომ გერმანიის კანცლერს სურდა, პირადად ეთქვა, მხარს არ უჭერდა საქართველოსთვის მაპ-ის მიცემას და საქართველოს პრეზიდენტს დაბეჯითებით სთხოვდა, ამერიკელ კოლეგასთან მომავალი დიალოგის დროს ამ საკითხისადმი კომპრომისული მიდგომის შესაძლებლობებიც განეხილა. როცა სააკაშვილი ბუშს შეხვდა, მერკელთან ამ საუბრის შინაარსიც გააცნო. ბუშმა გაიღიმა და უთხრა: შენ ლუქსემბურგი დაითანხმე, ანგელას მე მივხედავო.

მოგვიანებით, პრესასთან საუბარში, ბუშმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას და ბუქარესტის მოახლოებულ სამიტზეც ჩამოაგდო სიტყვა: „მაპ-ი წევრობას არ ნიშნავს“ – ხაზგასმით განაცხადა მან –

„ესაა პროცესი, რაც მომავალში შესაძლებლობას მისცემს დაუბრკოლებლად მიიღონ ქვეყანა ორგანიზაციაში. მჯერა, რომ ნატო-ც მოგებული დარჩება საქართველოს გაწევრიანებით; მოგებული დარჩება საქართველოც, როცა ის ნატო-ს წევრი გახდება. უკვე ვუთხარი ბ-ნ სააკაშვილს, რომ სწორედ ამგვარი მიმართვით წარვსდგები ბუქარესტის სამიტზე". თავის მხრივ, გახარებულმა სააკაშვილმაც თქვა: „მინდა მადლობა გადაგიხადოთ, ბ-ნო პრეზიდენტო – ჩვენი თავისუფლების, დემოკრატიის, ტერიტორიული მთლიანობის, საქართველოს საზღვრების დაცვისა და ნატო-სკენ ჩვენი სწრაფვის საქმეში თქვენი მტკიცე მხარდაჭერისათვის!"[70]

ნატო-ს წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობის ერთი უმთავრესი მიზეზი, ცხადია, რუსეთი გახლდათ – ანუ ის, რამდენად უნდა გაეთვალისწინებინათ მოსკოვის წინააღმდეგობა საქართველოსა და უკრაინისათვის ჯერ მაპ-ის მიცემის, შემდეგ კი – გაწევრიანების საკითხში. ბუშისათვის რუსეთის პოზიცია საიდუმლო არ ყოფილა: როცა იგი 2001 წლის ივნისში პირველად შეხვდა სლოვენიაში პუტინს, სწორედ მაშინ წარმოთქვა თავისი ცნობილი ფრაზა: „მე ამ კაცს თვალებში ჩავხედე. იგი უაღრესად პირდაპირ და საიმედო ადამიანად მიმაჩნია და გულიანადაც ვისაუბრეთ. ასე მგონია, მოვახერხე მის სულს ჩავწვდომოდი."[71] მას შემდეგ ამერიკულ-რუსული ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა, თუმცა ეს ორი ლიდერი მაინც ინარჩუნებდა გულითად, შეიძლება ითქვას, მეგობრულ განწყობასაც კი. ბუშს არანაირი ილუზიები არ გააჩნდა არც პუტინის მზარდი ავტორიტარიზმისა და არც რუსეთის უფრო ხისტი საგარეო პოლიტიკის მიმართ, რასაც დიდწილად ისევ „ნავთობდოლარები" ასაზრდოებდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ რუსეთის ლიდერთან პირადი დამოკიდებულების გამოყენებით, ახალი ცივი ომის წამოწყების საფრთხეს აიცილებდა თავიდან. ვაშინგტონის დევიზი ასეთი გახლდათ – რუსეთთან თანამშრომლობა იქ, სადაც ეს მოხერხდება და რუსეთის პოზიციების შეკავება, სადაც თანხმობა ვერ ხერხდება.

უკვე 2007 წლის გაზაფხულზე პუტინმა პირდაპირ განუცხადა სახელმწიფო მდივან რაისსა და თავდაცვის მინისტრ გეიტსს, რომ საქართველოს ნატო-ში შეყვანა „წითელი ხაზის გადალახვა" იქნებაო. რა თქმა უნდა, მოსკოვი იმავე ტონით საუბრობდა, რითაც გასული საუკუნის 90-იან წლებში პოლონეთთან თუ სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაკავშირებით და ეს განგაშის ზარად არ იქნა აღქმული; არადა, ამჯერად ეს დასავლეთისა და მოსკოვის მეზობლების მიმართ რუსეთის პოლიტიკის გამკაცრების კიდევ ერთ სერიოზულ ნიშნად უნდა განეხილათ. მაგრამ ბუშმა მაინც ძველებურად გააგრძელა საქართველოს მხარდაჭერაზე საუბარი; მას ეგონა, რომ სააკაშვილის მიმართ ამ მხარდაჭერის საჯაროდ გამოვლენა მნიშვნელოვანწილად შეაკავებდა მოსკოვის აგრესიას, თბილისთან მჭიდრო კავშირების დამყარება კი საქართველოს არჩეული კურსით სვლის საშუალებასაც მისცემდა და გარკვეული

მცდარი ნაბიჯების გადადგმის განზრახვაზეც ააღებინებდა ხელს. მისი ერთი სტრატეგიული მიმართულება რუსეთთან შემდგომ თანამშრომლობას გულისხმობდა, მეორე კი პარალელური მიმართულებით ნატო-ს შემდგომ გაფართოებასაც ითვალისწინებდა. ამგვარმა სტრატეგიამ გასული საუკუნის 90-იან წლებში კი გაამართლა, მაგრამ ამჯერად რუსეთი უკვე სხვა სახელმწიფო გახლდათ; თავად მოსკოვის სტრატეგიაც არ გამორიცხავდა საერთო ინტერესების სფეროებში ვაშინგტონთან თანამშრომლობას, თუმცა რუსეთს ახლა მეორე მიმართულებაც გამოუჩნდა და ნატო-ს შემდგომი გაფართოების დაშვებას არანაირად აღარ აპირებდა.

პუტინმა და ბუშმა სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში თავთავიანთ მრჩევლებს დაავალეს, ახალი სტრატეგიული ჩარჩო-ხელშეკრულება მოემზადებინათ ბუშის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე. ორივე ლიდერს ისეთი დოკუმენტის შექმნა სურდა, სადაც ერთობლივად გაწეული მუშაობის სრული სურათი იქნებოდა ასახული და ის სამომავლო სამოქმედო დღის წესრიგიც გამოიკვეთებოდა, რომელიც ორივე ამ პოლიტიკოსის „სცენიდან“ წასვლის შემდეგაც „იმუშავებდა“. თეთრი სახლისათვის ცოტა არ იყოს გასაკვირად, პუტინმა სწორედ ბუქარესტის სამიტის დასრულების შემდეგ მიიწვია ბუში შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქ სოჭში პირისპირ შეხვედრაზე – შეთანხმების დასასრულებლად. ივარაუდებოდა, რომ ამით რუსეთის პრეზიდენტს სურდა ამერიკის ლიდერს „ლამაზად“ გამომშვიდობებოდა. მაგრამ თანხმობის მიცემამდე პრეზიდენტ ბუშს ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა აეწონ-დაეწონა და განეჭვრიტა, როგორ აისახებოდა ბუქარესტის შედეგები სოჭის შეხვედრაზე.

არადა, წარმატებული და წარუმატებელი შედეგიც თავ-თავისი რისკების შემცველი გახლდათ: თუკი ბუში ბუქარესტში მაპ-ის საკითხს თავისი შეხედულებისამებრ მოაგვარებდა, არსებობდა საფრთხე, რომ პუტინი ამ მომავალ სამიტს პროტესტის ნიშნად ჩაშლიდა ანდა ისეთი უხეში დაპირისპირების ასპარეზად აქცევდა, რომ მიუნჰენში წარმოთქმული მისი სიტყვა მონაგონი იქნებოდა... ბუში მზად იყო მიპატიჟება მიეღო, თუკი სრული გარანტია ექნებოდა, რომ მსგავსი არაფერი მოხდებოდა. მეორე მხრივ, თუ მაპ-ის საკითხი უარყოფითად გადაწყდებოდა და აშშ-ს პოზიციების დათმობა მოუწევდა, რუსეთთან ახალი შეთანხმების მისაღწევად სოჭში ჩასვლა, შესაძლოა ისე წარმოჩენილიყო, თითქოს მან საქართველოსა და უკრაინის ინტერესები აშშ-რუსეთის ურთიერთობების გაღრმავებას შესწირა მსხვერპლად. როცა პრეზიდენტმა ყველაფერი ეს აწონ-დაწონა, დაასკვნა, რომ ყველაზე უკეთესი ის იქნებოდა, თუკი ჯიქურ მიუდგებოდა საკითხს და პუტინსაც ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაელაპარაკებოდა. ბუქარესტის სამიტის დაწყებამდე ათიოდე დღით ადრე ის ტელეფონით დაუკავშირდა პუტინს.

ამერიკის პრეზიდენტმა რუს კოლეგას უთხრა – მზად ვარ სოჭში ჩამოვიდე, ოღონდ დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მიუნჰენი აღარ გამეორდებაო. არც ის დაუმალავს, რომ ბუქარესტში მაპ-ის გასატანად ბრძოლას აპირებდა და თავის მხრივ, უნდოდა გაეგო, რა ედო გულში პუტინს. რუსეთის პრეზიდენტმა ხუმრობაგაშვებით მიუგო – მგონი, ჩემი გეშინიაო... ბუშმა ამაზე უპასუხა – ის ამბავი მაშფოთებს, რომ მაპ-ის მიცემას ეწინააღმდეგები და კაცმა არ იცის, სამიტზე რას მოიმოქმედებო... მოკლედ, თუკი წინასწარი თანხმობა ვერ იქნებოდა მიღწეული, ორ ლიდერს გვარიანი წაკინკლავება მოუწევდა და ბუშის სოჭში ჩასვლასაც აზრი ეკარგებოდა. პუტინმა დააიმედა – ჩვენი განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ბუქარესტში არანაირ კონფრონტაციას არ ვაპირებო. ნაწილობრივ, ამ პირობის გათვალისწინებით, ბუშმა გადაწყვიტა პუტინის მიპატიჟებაც მიეღო და ბუქარესტშიც ებრძოლა მაპ-ის საკითხის გასატანად.

სამიტამდე დარჩენილი ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ბუში კვლავინდებურად ითხოვდა – აშშ-ს პრივატულად ემოქმედა და არანაირი საჯარო წნეხი არ გამოეყენებინა არც გერმანიისა და არც სხვა რომელიმე ქვეყნის მიმართ – მაპ-ის თემაზე მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მარტის დასაწყისში ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მოკავშირეები ელოდნენ, რომ აშშ ბოლოს და ბოლოს კარტებს გახსნიდა და თავის პოზიციასაც აშკარად დააფიქსირებდა. არადა, კონდოლიზა რაისს დაევალა, მაპ-ის მოწინააღმდეგეებისათვის მხოლოდ რამდენიმე ზოგადი შეკითხვის დასმით შემოფარგლულიყო. ყველასათვის ნათელი იყო, საით იხრებოდა აშშ, მაგრამ განსხვავებული აზრის მქონე მოკავშირეების გასაოცრად, აქ არანაირი დაჟინების მით უმეტეს, მკაცრი მოთხოვნების კვალიც არ ჩანდა. მერკელთან საბოლოო თანხმობის მისაღწევად, ბუშმა მაინც ფარული არხების გამოყენება ამჯობინა. კაცმა რომ თქვას, ვაშინგტონისა და ბერლინის პოზიცია დიდად არ განსხვავდებოდა საქართველოს ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებისას: აზრთა სხვადასხვაობის ორი უმთავრესი თემა ის გახლდათ, რამდენად გონივრული იქნებოდა თბილისის კიდევ უფრო მეტად დაახლოება და როგორ აღიქმებოდა ამგვარი დაახლოება რუსეთის მხრიდან. ვაშინგტონი გერმანიას სთავაზობდა ფორმულირებას, რაც დაარწმუნებდა მას, რომ მაპ-ის მიცემა წევრობის უთუო გარანტიას მაინც არ ნიშნავდა და საბოლოო გაწევრიანებას ამერიკა წლების განმავლობაში არ დაიჟინებდა.

პასუხად გერმანია აცხადებდა, რომ მზად იყო საქართველოსთვის არსებითად ყველა ის პრივილეგია მიენიჭებინა, რასაც მაპ-ი გულისხმობდა, ოღონდ – თავად ამ იარლიყის გარეშე. ბუში კი ამას არ თანხმდებოდა – გადაწყვიტა, მაინცდამაინც მაპ-ისათვის ებძოლა. საბოლოოდ, მას არც ის აშინებდა, თუკი ალიანსი ღიად იმსჯელებდა ამ საკითხზე და მის წინადადებასაც ხმათა უმრავ-

ლესობით უარყოფდა – იმის მიუხედავადაც კი, რომ ნატო-ს სამიტებზე მსგავსი პრეცედენტი არავის არ ახსოვდა. ერჩივნა პრინციპისათვის ებრძოლა, დარწმუნების საკუთარ უნარს დაყრდნობოდა და დასახული მიზნის მისაღწევად ნატო-ში ამერიკის ტრადიციული გავლენა გამოეყენებინა.

ბუქარესტამდე ამერიკის პოზიციასთან დაკავშირებული საბოლოო განცხადება საჯაროდ უკვე პრეზიდენტის პირადი თვითმფრინავიდან გაისმა, ვიდრე ჯერ კიევში დაჯდებოდა. სწორედ თვითმფრინავიდან მოუწოდეს პრეზიდენტის თანაშემწეებმა თანამგრძნობ მოკავშირეებს, მხარი დაეჭირათ ვაშინგტონის გადაწყვეტილებისათვის – დიპლომატიური გზით ბოლომდე ებრძოლა უკრაინისა და საქართველოსათვის მაპ-ის მისანიჭებლად. ყოველივე ო.კ. კორალის* დაპირისპირების დიპლომატიურ ეკვივალენტს ემსგავსებოდა. უკვე კიევში, მან ერთხელ კიდევ დაადასტურა სრული მხარდაჭერა უკრაინისადმი მაპ-ის საკითხში და დაამატა – ვამაყობთ, რომ შეგვიძლია გვერდში დაგიდგეთ ბუქარესტსა თუ ნებისმიერ სხვა ადგილზეცო.[72] ბუქარესტში ჩასულ ბუშს პრესა დაეკითხა – როგორ აფასებდა საქართველოსა და უკრაინის შანსებს მაპ-ის მიღებასთან დაკავშირებით, რაზეც ასე უპასუხა:

„ამ სამიტზე ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის უკრაინისა და საქართველოსათვის მაპ-ის მიცემა-არმიცემის საკითხი უაღრესად საორჭოფოა, მაგრამ – არა ჩემთვის. მიმაჩნია, რომ ორივე ეს ქვეყანა მზადაა საამისოდ; იგივე განვაცხადე უკრაინაში და საქართველოს პრეზიდენტსაც იგივე ვუთხარი ჩემთან, ოვალურ კაბინეტში. აზრი ჯერაც არ შემიცვლია, რამდენადაც ნატო-ს ერთი უმთავრეს ღირსებათაგანი იმგვარი ქმედებების წახალისებაცაა, რაც მშვიდობის არსებობისათვისაა აუცილებელი!“

რუსეთის შესაძლო რეაქციაზე დასმულ კითხვას კი ასეთი პასუხი გასცა: „მე არაერთხელ მითქვამს ჩემ მეგობარ ვლადიმერ პუტინისათვის, რომ მისი ქვეყნის საზღვრებთან დემოკრატიების არსებობა რუსეთისავე ინტერესებშია და მას ნატო-სი არ უნდა ეშინოდეს – პირიქით, უნდა მიესალმებოდეს ნატო-ს, რამდენადაც ეს ორგანიზაცია მშვიდობის მოსურნე სახელმწიფოთა ერთიანობაა.“[73]

აი, ასეთი წინაპირობები უძღოდა ნატო-ს იმ სამიტს, რომელიც მოსალოდნელზე გაცილებით უფრო დრამატული აღმოჩნდა. მის დაწყებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, ზოგიერთი დიპლომატი იმასაც კი შიშობდა, რომ ეს შეკრება, ცოტა არ იყოს, დუნედ, უხალისოდ ჩაივლიდა – ეს ბუშისთვის ნატო-ს ბოლო

---

* O.K.Corall არის მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ის „ველურ დასავლეთში“ შეიარაღებული დაპირისპირებების სიმბოლო. (რედ. შენიშვნა)

სამიტი იყო და ევროპელ მოკავშირეებსაც სურდათ, მას ღირსეულად და ლამაზად დამშვიდობებოდნენ; ვერც რაღაც სერიოზული ინიციატივების აუცილებლობას ხედავდა ვინმე. რეალურად, ისინი უკვე მის მემკვიდრეზე ფიქრობდნენ და ამჯობინებდნენ, ახალი იდეები თუ მოსაზრებები უკვე ოვალური კაბინეტის შემდგომი პატრონისათვის გაეზიარებინათ. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ძირითადი საკითხი ავღანეთს უკავშირდებოდა; იმავდროულად, ნატო აპირებდა თავის რიგებში ბალკანეთის სამი სახელმწიფოც ე.წ. ადრიატიკის სამეული – ალბანეთი, ხორვატია და მაკედონია მიეწვია. მართალია, ბევრი ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდა მათ მზადყოფნას და კამათიც გრძელდებოდა მაკედონიის ოფიციალურ სახელწოდებასთან დაკავშირებით, მაგრამ იმასაც ყველა ნათლად აცნობიერებდა, რომ ბალკანეთში ყველაფრის საბოლოოდ გარკვევის დრო დამდგარიყო და ახლა ალიანსის წინაშე მდგომი უფრო დიდი გამოწვევებისათვის უნდა მიეხედათ.

არადა, სწორედ ბუქარესტის სამიტი გამოდგა ყველაზე დაძაბული ნატო-ს მადრიდში გამართული 1997 წლის შეკრების შემდეგ – როცა ალიანსში გაფართოების პირველ რაუნდზე ატყდა დავა.[74] ალიანსში წყალგამყოფად ამჯერადაც სამომავლო გაფართოებასთან დაკავშირებული განსხვავებული ხედვები იქცა: ბუქარესტის სამიტის დაწყებამდე მედიაში სხვა თემაც გამოირჩეოდა – კანდიდატი ქვეყნის, მაკედონიის სახელწოდების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი. იმხანად მას „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“ ერქვა და წლების განმავლობაში საბერძნეთი უშედეგოდ აპროტესტებდა ამ ამბავს: დასახელებაში *მაკედონიის* მოხსენიება ათენს პოტენციურად ირედენტისტულად ესახებოდა და ახლა გამწარებული ცდილობდა, ნატო-ში მაკედონიის გაწევრიანებისათვის ამ მოტივით შეეშალა ხელი. თავისთავად სახელდების თემა მნიშვნელოვანი მხოლოდ საბერძნეთისა და მაკედონიის შიდა პოლიტიკისათვის იყო – ორივე ამ ქვეყნის ხელისუფლების ბედი, შეიძლება ითქვას, სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტაზე ეკიდა, კამათიც ძირითადად ისტორიას, იდენტურობასა და საშინაო პოლიტიკას უკავშირდებოდა და ნატო-ს სტრატეგია აქ არაფერ შუაში იყო. სხვათა შორის ყველა, მათ შორის ბერძნებიც, თანახმანი იყვნენ მაკედონიის მიწვევაზე და საბოლოო კომპრომისიც აღნიშნავდა, რომ ეს მიწვევა მას მერე გაცხადდებოდა, როგორც კი სახელწოდების საკითხი იქნებოდა მოგვარებული. სახელმწიფოს მეთაურთა პირველ ოფიციალურ სადილზე ეს კამათი საკმაოდ შორსაც წავიდა და შექსპირის ფრაზამაც – *რაა სახელი?* – ნატო-ს წრეებში სრულიად ახალი დატვირთვა შეიძინა...

თუმცა, ნამდვილი შეჯახება კი უკვე საქართველოსა და უკრაინის გამო ატყდა: ამ შემთხვევაში სასწორზე სემანტიკა კი არა, სტრატეგია იდო. სახელმწიფოთა მეთაურები, ისევე როგორც საგარეო თუ თავდაცვის მინისტრები სეპარატულ სადილებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს თუნდაც მცირე კომპრომისის

მოსაძებნად, მაგრამ – უშედეგოდ. აშშ-ს კანადა, გაერთიანებული სამეფო და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობა უჭერდა მხარს, ოღონდ ეგაა – მას საკმარისი ძალისხმევა არ გამოუჩენია სკეპტიკოსთა თანამოაზრეებად მოსაქცევად. საკუთარი მომხრეები ჰყავდა გერმანიასაც – იგივე 9-10 სახელმწიფო, რომელნიც ტრადიციულად „მეორჭოფეთა“ რიგს განეკუთვნებოდნენ – მათ შორის, ბელგია, ნიდერლანდები, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, იტალია, ესპანეთი და თურქეთი. იყვნენ ე.წ. „მომლოდინენიც“, ვინც ელოდა, საბოლოოდ საითკენ დაუბერავდა ქარი.

ფაქტობრივად, ნატო შუაზე გაიყო და ალიანსში თანხმობის მიღწევის დადგენილი წესების გათვალისწინებით, მაპ-ის მიცემის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა. ვიდრე ბერლინი არჩეულ გეზზე იდგებოდა, არანაირი მაპ-ის გაცემა მოსალოდნელი არ იყო. სინამდვილეში საკითხი ასე იდგა: თუკი საერთოდ შესაძლებელი იყო თანხმობა, რა საფუძველს უნდა დაყრდნობოდა იგი? სადილი კი მცირე წარმატებით დასრულდა: ნატო-ს ლიდერებმა გენერალურ მდივანს სთხოვეს, შეთანხმების პირობები მოემზადებინა, რომელსაც ადრე დილით განიხილავდნენ და შემდეგ ერთობლივად იმსჯელებდნენ – 9 საათისათვის დანიშნულ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) შეხვედრაზე. გვიან ღამით, პრეზიდენტმა ბუშმა სათათბიროდ მოიწვია უახლოესი გარემოცვა. ის კვლავინდებურად აპირებდა ბრძოლის გაგრძელებას და დათმობებზე წასვლის გაგონებაც არ სურდა. ადრე დილით დანიშნულ შეხვედრაზე ამერიკის მხარე ჰედლისა და რაისს უნდა წარმოედგინათ, თუმცა ბუშმა დაბეჯითებით მოითხოვა – მცირერიცხოვან ჯგუფის შემადგენლობაში დისკუსიის შემთხვევაში – მასში პოლონელებისა და რუმინელების ჩართვაც.

დაახლოებით შვიდის ნახევარზე კომპრომისზე მოსალაპარაკებლად ნატო-ს წევრ წამყვან სახელმწიფოთა მრჩევლები შეიკრიბნენ. მათ შორის – ამერიკელები, გერმანელები, ფრანგები, ბრიტანელები, ასევე პოლონელები და რუმინელები. დე ჰოოპ სხეფერის მიერ წარმოდგენილ შეთანხმების ვარიანტს გერმანიამ დაუყოვნებლივ დაადო ვეტო, რამდენადაც ამერიკულ პოზიციასთან უკიდურესად მიახლოებულად მიიჩნია. კომპრომისის მეორე ვარიანტი ახლა უკვე ვაშინგტონმა უარყო. დავა აშკარად ორი მხარის – გერმანიისა და აშშ-ის პოზიციების თაობაზე მიმდინარეობდა. მასში გარკვეული წვლილი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რადოსლავ სიკორსკის შეჰქონდა. საბოლოოდ, შემოთავაზებული იქნა ახალი კომპრომისი, რომლის არსი უკრაინისა და საქართველოს მისწრაფებებისადმი მოკავშირეთა ურყევ მხარდაჭერას გულისხმობდა, ნატო-ს მხრიდან კი – „ინტენსიური თანამშრომლობის პერიოდის“ დაწყებას, რაც მაპ-ის მოსურნე ამ ქვეყნებისათვის პროგრამაში საბოლოო ჩართვის გზაზე გადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო. ამ მიმართულებით მათი პროგრესის შეფასება წლის ბოლოს დანიშნულ მომავალ მი-

ნისტერიალზე უნდა მომხდარიყო. ტექსტი ყველა დელეგაციას საბჭოს 9 სთ-ზე დანიშნულ ოფიციალურ შეხვედრამდე დაურიგდა. ვაშინგტონმა საქართველოს ლობისტებს თავის მხრივ ურჩია – მოდით, ამას დავთანხმდეთ, რადგან მეტის მიღწევა, უბრალოდ, შეუძლებელი ჩანსო.

მაგრამ საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ-ის მიცემის მომხრეთა ასე იოლად დაყოლიება არ გამოვიდა: როცა დე ჰოოპ სხეფერისეულ შეთავაზებებს ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი გაეცნო, უაღრესად იმედგაცრუებული დარჩა – მისი აზრით, ეს არანაირად არ იყო საკმარისი. იგი სკამიდან წამოდგა, მაგიდას შემოუარა, ამერიკის დელეგაციასთან მივიდა და პირადად მოინდომა პრეზიდენტ ბუშის აზრის მოსმენა. ბუშმა უთხრა – ეს ყველაზე მეტია, რისი გაკეთებაც მოვახერხეთო. აშკარად ჩანდა, რომ ბუში ვითარების შემდგომ გამწვავებას აღარ აპირებდა და ადამკუსიც გაბრაზებული დაუბრუნდა თავის სკამს. მოკლედ, ამერიკის შეერთებული შტატები იქნებ აპირებდა კიდეც ბრძოლაზე ხელის აღებას, მაგრამ არა ლიტვის პრეზიდენტი. მას უკეთესი ლექსიკისთვის ბრძოლა გადაეწყვიტა. დოკუმენტს ლეხ კაჩინსკიც გაეცნო და იმწუთასვე დაიწუნა. ორივეს აზრით, მასში საკმაოდ სუსტად იყო გამოკვეთილი მოკავშირეთა მხარდაჭერა საქართველოსა და უკრაინის საბოლოო გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ხოლო ეს „ინტენსიური თანამშრომლობის პერიოდი“ კიდევ ერთ, ზედმეტ საფეხურად მოჩანდა მიზნისაკენ მიმავალ კიბეზე. უკრაინასა და საქართველოს საქმე კი არ უიოლდებოდა, არამედ ახლა რაღაც დამატებითი წინაპირობებიც წაეყენებოდა. თავის სავარძელში მჯდომი რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუც ჩასცქეროდა შემოთავაზებულ ტექსტს: იგი არა მარტო მაპ-ის მინიჭების მხურვალე მხარდამჭერი იყო, არამედ ამ სამიტის ოფიციალური მასპინძელიც და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობდა შავი ზღვის აუზში საკუთარი მეზობლების მიმართ. მისი აზრით კი, ეს „კომპრომისი“ არა თუ მხოლოდ უარი გახლდათ მაპ-ის მიცემაზე, არამედ – თავად ეს დოკუმენტი სამომავლო პერსპექტივას კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდიდა. ბესესკუ რუმინეთის დელეგაციის წევრებს მიუბრუნდა და უთხრა: „არ მომწონს! ეს ახლოსაც არაა იმასთან, რასაც ველოდით!“ მერე კი ნატო-ში რუმინეთის ელჩ სორინ დუკარუს დაეკითხა – რაიმე უკეთესს ვერაფერს მოვიფიქრებთო?

ბოლოს ბესესკუ წამოდგა და მიუახლოვდა კაჩინსკის, რომელიც თავის კანცელარიის ხელმძღვანელ ანა ფოტიგასა და საგარეო საქმეთა მინისტრ სიკორსკისთან ერთად ასევე გულდასმით ეცნობოდა დოკუმენტს. ბესესკუმ უთხრა – ამ სახით ეს პროექტი ჩემთვის მიუღებელია და ვეცდები, იქნებ რამე ვიღონოო. კაჩინსკიმ კვერი დაუკრა და თანადგომასაც დაჰპირდა. ზუსტად ამ დროს მათ ვალდას ადამკუსიც შეუერთდა და საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულებაც დაადასტურა. სამივე ლიდერი უკეთესი ფორმულირების აუცილებლობაზე შეთანხმდა, მერე კი თავ-თავიანთ მრჩევლებს დაავალეს – სასურველი ცვლი-

ლებები წარმოედგინათ. ამასობაში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კიდევ რამდენიმე ლიდერმაც ხმამაღლა გამოხატა მათი მხარდაჭერა.

როცა დე ჰოოპ სხეფერმა სხდომის მონაწილეებს კვლავ მაგიდასთან უხმო, ნათელი გახდა, რომ კომპრომისამდე ჯერ კიდევ შორს იყო. მაშინ გენერალურმა მდივანმა დელეგაციებს სთხოვა, დარბაზი დაეტოვებინათ და დავა-კამათი უფრო მცირე ფორმატით – მხოლოდ სახელმწიფოთა მეთაურებისა და მათი თითო მრჩევლის შემადგენლობით გაეგრძელებინათ. როცა დამსწრეები დარბაზიდან გადიოდნენ, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ზემოხსენებული სამი სახელმწიფოს მეთაურები კვლავ ერთად შეკრა და გამოსავლის ძიებაზე გააგრძელეს საუბარი. მათ კანცლერი მერკელი მიუახლოვდა და დაეკითხა, გამოსავალს რაში ხედავდნენ. სამივემ, პირველ რიგში, ტექსტში იმის მკაფიოდ დადასტურება შესთავაზა, რომ საქართველო და უკრაინა მაპ-ს უკვე იმავე წლის დეკემბერში მიიღებდნენ – ნატო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების გეგმურ შეხვედრაზე. მათი აზრით, ტექსტი ენობრივადაც სწორედ ამ კუთხით უნდა გაჩარხულიყო. მერკელმა ეს საზრისი ხელის ერთი აქნევით უარყო.

„არ შეიძლება რუსებისთვის ვეტოს უფლების მიცემა," – თქვა კაჩინსკიმ, – „ეს უსამართლობა იქნება საქართველოს და უკრაინის მიმართ... ნატო ასე არ მუშაობს". „საქმე არც რუსეთია და არც მისი ვეტო," – შეეპასუხა მერკელი – „მთავარია, მზად არიან ეს ქვეყნები მაპ-ისთვის თუ არა; და კიდევ, – რამდენად შესაფერისი დროა ახლა მსგავსი ნაბიჯის გადასადგმელად." საუბარში ბესესკუც ჩაერთო, მერკელს შეხედა და ჰკითხა: „იმაში თუ ვთანხმდებით, რომ ეს ქვეყნები ნატო-ს წევრობას იმსახურებენ და ვეტოს უფლებაც არავის უნდა ჰქონდეს?" მერკელმა თქვა, ეგ საკამათო არაა და ყველა ერთ აზრზე ვდგავართო. ბესესკუს ადამკუსმაც აუბა მხარი: „ანუ ვთანხმდებით, რომ ისინი ნატო-ს წევრები უნდა გახდნენ?" „მაგაზე ვთანხმდებით," – მიუგო მერკელმა – „უბრალოდ, ვადებთან დაკავშირებით გვაქვს სხვადასხვა აზრი". „მერედა, ასეც ჩავწეროთ!" – ლამის მაშინვე ერთხმად წამოიძახა სამივე პრეზიდენტმა.

ამასობაში სკამები შემოიტანეს და ოთხი სახელმწიფოს მეთაური ნახევარწრედ დაჯდა საუბრის გასაგრძელებლად. მათ ირგვლივ მსმენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფიც შეგროვდა და ყველამ კისერი წაიგრძელა – ნათქვამიდან რამე არ გამოგვრჩესო. თითქოს რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო. ადრე ნატო-ში არასოდეს ასე პირდაპირ არ გაცხადებულა ამა თუ იმ ქვეყნის უთუო გაწევრიანების თაობაზე, არც ერთი მათგანი არასოდეს წარდგენილა მსგავსი შეპირებით. მათი დასავლეთევროპელი პარტნიორებიც არასოდეს წარმოადგენდნენ ასეთ მიდგომას. ამას ალბათ მერკელის საგარეო საქმეთა მინისტრიც ვერ წარმოიდგენდა, რომელიც ბედად იმ წუთას დარბაზში არ იმყოფებოდა. მოკლედ, თუ მერკელი დათანხმდებოდა, შესაძლოა ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯიც გამხდარიყო ყველასათვის.

ბოლოს მერკელმა კალამი ამოიღო და ფურცელზე ასეთი სიტყვები დაწერა: „დღეს ჩვენ თანხმობას ვაცხადებთ იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველო და უკრაინა ნატო-ს წევრები გახდებიან". ბესესკუმ ფურცელს დახედა და თქვა: „ქალბატონო კანცლერო, სამყაროს იმ ნაწილში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, „ერთ მშვენიერ დღეს" არაფერს ნიშნავს და არც არავის არაფერს ავალდებულებს – ეს იგივეა, რაც არასოდეს..."

„მეც მაგ აზრის ვარ!" – თქვა კაჩინსკიმაც. მაშინ მერკელი დათანხმდა წაეშალა სიტყვები *ერთ მშვენიერ დღეს* – ოღონდ დაბეჯითებით მოითხოვა ფრაზა ასე დაბოლოებულიყო: „...მათი სურვილის შემთხვევაში...". შემდეგ კაჩინსკი, ადამკუსი და ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სხვა ლიდერებიც ისევ დაუბრუნდნენ ფორმულირების თემას და წინადადება წამოაყენეს, რომ პირველი შეფასება საბოლოო ყოფილიყო. აი, ამაზე კი მერკელმა მტკიცე უარი განაცხადა.

სანამ ტექსტის ახალ რედაქციაზე მიდიოდა მუშაობა, ყველა დელეგაცია დარბაზში დაბრუნდა და დე ჰოოპ სხეფერმაც სხდომა განაახლა. სწორედ ამ დროს პოლონეთის დელეგაციაში პატარა ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაცას აზრად მოუვიდა, რომ ფრაზა – „მათი სურვილის შემთხვევაში" შეიძლებოდა უკრაინის წინააღმდეგ ყოფილიყო გამოყენებული, სადაც ნატო-ს იდეა დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერით არ სარგებლობდა. კაჩინსკიმ სიტყვა ითხოვა და განაცხადა – პოლონეთი ამ ფრაზას არ დაეთანხმება, და საერთოდ, ალიანსი კიევისათვის საქმის გაიოლებას უნდა ცდილობდეს და არა – გართულებასო. საბოლოოდ, ეს ფრაზა მართლაც ამოიღეს – იმ მარტივი და თავისთავად ნაგულისხმევი მოსაზრების გამო, რომ თუკი ქვეყანას სურვილი არ გააჩნდა, ძალით ნატო-ში ისედაც ვერავინ შეათრევდა. ასეა თუ ისე, ნატო-ს წევრებმა ცენტრალური ევროპიდან მაინც უფრო მეტს მიაღწიეს მერკელთან მუშაობისას, ვიდრე აშშ-მა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტ ბუშისკენ გადაიხარა და მანაც ხუმრობაგაშვებით უთხრა: *არ ვიცი რას მივაღწიეთ – მაპ-ის ამბავი ნამდვილად არ გამოვიდა – მაგრამ მგონი, ეს-ესაა ნატო-ში ორი ახალი წევრის მიღება გამოცხადდაო.*

ახლა საქმე ის გახლდათ, რა რეაქცია ექნებოდა რუსეთს და შეასრულებდა თუ არა პუტინი ბუშისთვის მიცემულ პირობას – სამიტზე პრობლემებს არ შეგიქმნიო. შეთანხმების საბოლოო ტექსტით ხელში დარბაზიდან გამოსულმა გენერალური მდივნის თანაშემწემ მარტინ ერდმანმა იმწამსვე მიაშურა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ალექსანდრ გრუშკოს, რომელიც ნერვიულად სცემდა ბოლთას დერეფანში: „რა ხდება – მისცეს მაპ-ი?" – შორიდანვე იკითხა გრუშკომ. მაპ-ი არ მიუციათო – მიუგო ერდმანმა, მაგრამ იქვე გააფრთხილა – ტექსტში ისეთი ცვლილებები შევიდა, რაც თქვენი გადასახედიდან, ვაითუ უარესიც გეჩვენოთო. მერე ეს ახალი ფორმულირება სხაპასხუპით

ჩაუკითხა და დოკუმენტის ერთადერთი პირიც გასამრავლებლად გააქანა. ნათელი არ იყო, რა მოისმინა თუ გაიგო რუსმა დიპლომატმა.

რუსეთის რეაქციის პირველი ნიშნები უკვე იმავე საღამოს გამოჩნდა, როცა ოფიციალურ ვახშამზე მიწვეული პუტინი ბუქარესტში ჩავიდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა რუსეთის ლიდერი ნატო-ს სამიტს ესწრებოდა. 1997 წელს, როცა გაფართოების პირველი რაუნდის ბედი წყდებოდა, ელცინმა მადრიდში ჩასვლაზე უარი განაცხადა და პუტინმაც თავი აარიდა 2002 წლის პრაღის სამიტს, სადაც გაფართოების „დიდი აფეთქების" რაუნდი მიმდინარეობდა. საჯაროდ, მოსკოვის უმთავრესი ამოცანა იმის უზრუნველყოფა იყო, რომ საქართველო და უკრაინა მაპ-ის პროგრამაში არ ჩართულიყვნენ; ტექნიკური თვალსაზრისით, ცხადია, ნატო ასეც მოიქცა, თუმცა ორივე ამ ქვეყანამ, სავარაუდოდ, რაღაც უკეთესი და მეტი მიიღო – ნატო-ს ცალსახა პოლიტიკური დაპირება, რომ ისინი ალიანსის წევრები გახდებოდნენ. მსგავსი რამ ადრე არასოდეს მომხდარა. როცა იმ საღამოს პუტინი ბუქარესტში ჩავიდა, ისეთი მხიარული და ხალისიანი ჩანდა, ბევრმა დიპლომატმა შვებით ამოისუნთქა და მიიჩნია, რომ „ბათქა-ბუთქი აღარ ატყდებოდა".

მაგრამ მეორე დილით, პუტინი უფრო გამკაცრებული იყო, იგი დაგვიანებით მივიდა ნატო-ს გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე – იმ შეთანხმების დოკუმენტზე ხელმოსაწერად, რითაც რუსეთი ნატო-ს სამხედრო ტვირთების ავღანეთში გადატანას თანხმდებოდა მისი ტერიტორიის გავლით. თავდაპირველად პუტინმა დე ჰოოპ სხეფერს ამერიკის მიმართ მტკიცე პოზიციის დაფიქსირება და საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ-ზე უარის თქმაც მოუწონა და დაამატა – ამით ნათელი გახდა, რომ ნატო მართლაც დემოკრატიული ორგანიზაციაა და ამერიკაც მუდამ თავის ჭკუაზე თქვენს ტარებას ვერ მოახერხებსო. დე ჰოოპ სხეფერი შეეცადა აეხსნა, რატომ იყო მსგავსი შეფასება მცდარი და სინამდვილეში რას ემყარებოდა ნატო-ს საქმიანობის სპეციფიკა. მან ასევე მკაფიოდ განმარტა ნატო-ს მხრიდან იმ დებულების ერთგულება, რომ უკრაინა და საქართველო ალიანსის წევრები უნდა გამხდარიყვნენ და საქმე მხოლოდ ვადებს შეეხებოდა. პუტინი კი მაინც თავისას აგრძელებდა. სატრანზიტო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ისევ ავღანეთის თემას მიუბრუნდა და გენერალური მდივანი „დამოძღვრა" კიდეც, რაოდენ მცდარი იყო აშშ-ისა და ნატო-ს პოლიტიკა ამ მიმართულებით.

ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე, თავისი გამოსვლის დასაწყისში, დე ჰოოპ სხეფერმა პირველ რიგში კვლავ იმას გაუსვა ხაზი, როგორ დაუჭირა წინა დღით ალიანსმა მხარი უკრაინასა და საქართველოს, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს ქვეყნები აუცილებლად გახდებოდნენ ნატო-ს წევრები და ღიად მხოლოდ გაწევრიანების თარიღი რჩებოდა. როცა სიტყვა პუტინმა აიღო, პრეზიდენტი ბუში ცოტა დაიძაბა – აკვირდებოდა, რამდენად დაიცავდა

რუსეთის ლიდერი მათ „ჯენტლმენურ“ შეთანხმებას. პუტინი პირდაპირ, თუმცა კი მოზომილად საუბრობდა. მანამდე საშუალო რანგის ერთმა რუსმა დიპლომატმა ნატო-ს თარჯიმნებს წინასწარ დაურიგა პუტინის გამოსვლის ასლები; ოღონდ ყველაზე მკაცრი გამონათქვამები, ცოტა არ იყოს, შეარბილა. ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებით, პუტინმა განაცხადა – მთლიანობაში, მოსკოვი კმაყოფილია იმით, რომ წინა დღით ალიანსმა მოაგვარა მაპ-თან დაკავშირებული საკითხი. მისი თქმით, სხვაგვარი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ის ალბათ ხელს აღარც მოაწერდა სატრანზიტო გადაზიდვების შეთანხმებას.[75] კოსოვოსთან დაკავშირებით კვლავ დაადასტურა მისი დამოუკიდებლობის მიმართ მოსკოვის უარყოფითი აზრი, თუმცა ხაზი გაუსვა – რუსეთი პასუხისმგებლობით იმოქმედებს და კვლავაც გამოთქვამს დასავლეთთან თანამშრომლობის სურვილსო. „თქვენ ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩაგვაყენეთ, მაგრამ ვცდილობთ, გამოსავალი მოვძებნოთ და ფრთხილად ვიმოქმედოთ – არც უკვე მიღწეულის დანგრევა გვსურს და არც სამხედრო დაპირისპირების პროვოცირება“ – თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

აი, საქართველოსა და უკრაინის მიმართ კი მაგარ-მაგარი სიტყვები არც ამჯერად დაიშურა – თბილისი გააკრიტიკა იმ შეხედულების გამო, თითქოს ალიანსში გაწევრიანება მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებას შეაძლებინებდა. *ამ პრობლემების გადასაჭრელად მათ ნატო-ში შესვლა სულაც არ სჭირდებათო* – დაამატა მერე. პუტინის აზრით, ამისათვის მოთმინება და დიალოგი იყო აუცილებელი იარაღი. მართალია, იმხანად რუსეთს უკვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ორივე ამ განდგომილ რეგიონთან და ამით პირდაპირ ემუქრებოდა საქართველოს სუვერენიტეტს, მაგრამ მისი თქმით, ის თურმე მხოლოდ იმას ცდილობდა, სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებოდა საქართველოს. იგი ასევე დაბეჯითებით აცხადებდა, რომ მოსკოვს არ სურდა აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის აღიარება. „ჩვენ დაბალანსებულნი ვიყავით და პასუხისმგებლობით გამსჭვალულნი. თქვენც მოგიწოდებთ სიფრთხილისაკენ. მერე ისიც დააყოლა, მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ აპირებსო. „მუდამ ვგრძნობდით უდიდეს პასუხისმგებლობას, წონასწორობის დაცვას ვცდილობდით და თქვენც მსგავსი სიფრთხილისაკენ მოგიწოდებთ!“ ასე დაასრულა თავისი გამოსვლა რუსეთის პრეზიდენტმა...

კიდევ უფრო მკაცრი იყო იგი უკრაინასთან მიმართებაში, რომელსაც სულაც „ხელოვნური წარმონაქმნი“ უწოდა და თქვა, ამ სახელმწიფოს საბოლოო ჩამოყალიბება ჯერაც არაა დასრულებულიო. პუტინმა იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი უპირატესად ეთნიკური რუსებით იყო დასახლებული და უკრაინის ნაწილად მხოლოდ სტალინის ცალმხრივი გადაწყვეტილების შედეგად იქცა. რიტორიკული შეკითხვაც კი დასვა:

„იტყვის ვინმე, რომ ჩვენ იქ საკუთარი ინტერესები არ გაგვაჩნია?" მისივე მტკიცებით, ნატო-ში გაწევრიანების საკითხს თავად უკრაინის არსებობისთვის შეიძლებოდა შეექმნა საფრთხე. „ჩვენ ყველამ ძალიან, ძალიან ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. რუსეთს მსგავს გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება არ აქვს და არც ვისურვებდით გვქონოდა, მაგრამ ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ, როცა ასეთი რამ წყდება, რუსეთის ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ". შემდეგ, უკვე პრესკონფერენციაზე, პუტინი უაღრესად თავაზიანი ჩანდა, მაგრამ იქაც მკაფიოდ გამოხატა წინააღმდეგობა ნატო-ს გაფართოების მიმართ. ამ მძლავრი სამხედრო ბლოკის თავის საზღვრებთან გამოჩენას რუსეთი საკუთარი უსაფრთხოებისათვის უშუალო მუქარად განიხილავდა. როგორც პუტინმა იმავე პრესკონფერენციაზე განაცხადა – „იმაზე ლაპარაკი, თითქოს გაფართოების პროცესი რუსეთის წინააღმდეგ არაა მიმართული, არაა საკმარისი... შეუძლებელია, ეროვნული უსაფრთხოება შიშველ დაპირებებს ეფუძნებოდეს."[76]

მიაღწიეს ნატო-ს ლიდერებმა ისტორიულ კომპრომისს ბუქარესტში – მომავალში ამ ორგანიზაციის გაფართოებასთან დაკავშირებით, თუ ისეთი ბუნდოვანი გადაწყვეტილება მიიღეს, რამაც სულ რაღაც ოთხიოდე თვის შემდეგ კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებაში? ბუქარესტის სამიტის შედეგები ხომ არ იქცა, ისევე, როგორც კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რუსეთისთვის საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებათა საბაბად და საპასუხო ქართული რეაქციის მიზეზად, რაც, საბოლოოდ 7 აგვისტოს დაწყებული ომის წინაპირობა გახდა? თვალნათლივ ჩანს, როგორ მწვავდებოდა რუსეთის რიტორიკა და როგორ ძლიერდებოდა წნეხი საქართველოს მიმართ, სადამდე მივიდა საქმე 2008 წლის გაზაფხულზე, როგორ განვითარდა მოვლენები იმავე წლის ზაფხულში და რა მოხდა აგვისტოს დასაწყისში. ძნელია, მოვლენათა განვითარების ეს თანმიმდევრობა კაცმა უბრალო დამთხვევად ჩათვალოს, და თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით ნატო-ს მიერ ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილების არსს, დავრწმუნდებით, რომ იგი მართლაც შეიძლება რუსეთის საპასუხო ნაბიჯების საბაბად ქცეულიყო.

ბუქარესტის კომპრომისი, პრინციპში, ის გადაწყვეტილება გახლდათ, რაც ნატო-ს შემდგომ გაფართოებასა და მომავალში, საქართველოსა და უკრაინის მის შემადგენლობაში შეყვანას გულისხმობდა. გარკვეული თვალსაზრისით, იქ მიღწეული შეთანხმების მსგავსი იყო, რაც 1994 წლის იანვარში დაიდო, როცა გადაწყდა, რომ გაფართოება შეუქცევადი იქნებოდა და კითხვებიც მხოლოდ ვადებს უკავშირდებოდა. ნატო-ს წევრი ქვეყნების ბევრი ლიდერი ბუქარესტიდან გამომგზავრებისას ფიქრობდა, რომ ალიანსში არსებული აზრთა სხვადასხვაობის შეჯერება მაინც მოხერხდა ანუ – იმათ შორის, ვისაც საქართველოსა და უკრაინისათვის მკაფიო პერსპექტივის შეთავაზება სურდა და ვინც მაპ-ის

მიცემას აშკარად ეწინააღმდეგებოდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ალიანსმა მშვიდობიანად გადაიარა ეს დანაღმული პოლიტიკური მინდორი. მსგავსი კომპრომისის მიღწევა, საერთო აზრით, წარმატების ტოლფასი იყო. მაგრამ ესეცაა – იმთავითვე კანდიდატობის მოსურნეებთან პოლიტიკური თანამშრომლობის დასაჩქარებლად გამიზნული ტექნიკური პროგრამიდან მაპ-ი ალიანსის პოლიტიკისათვის თავსატეხად და იმგვარ ფეტიშად იქცა, როგორსაც მისი ავტორები ძნელად თუ ივარაუდებდნენ. მართალია, ნატო-ში ზოგიერთი ქვეყნის ელჩი შეძრწუნებულიც კი იყო იმ თამამი დაპირებებით, რაც მათი სახელმწიფოების მეთაურებმა უკრაინისა და საქართველოს მიმართ გამოთქვეს, უმრავლესობა მაინც იმ აზრზე იდგა, რომ თავად ალიანსში თანხმობის შესანარჩუნებლად ეს ძალზე მოკრძალებული საფასური იყო.

მხოლოდ მოგვიანებით, როცა, ასე ვთქვათ, „მტვერი ნელ-ნელა დაჯდა", სერიოზული ეჭვები გაჩნდა ბუქარესტში მიღწეულ ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით. ნატო-ს ნებისმიერი სტრატეგიული გადაწყვეტილების წარმატება-წარუმატებლობის ჭეშმარიტი საზომი არა მარტო ისაა, რამდენად პასუხობს მსგავსი რამ მისი წევრების პოლიტიკურ მოთხოვნებს, არამედ ისიც, რა ზეგავლენას ახდენს იგი რეალურ სამყაროზე. აი, სწორედ ამ გადასახედიდან რჩება ბუქარესტის შეთანხმება სათუოდ და საკამათოდ. ალიანსი ასევე ცდილობდა საქართველოსა და უკრაინის თანადგომას რუსეთთან ურთიერთობის გაუმწვავებლად – ესეც ნატო-ს ზოგადი, ორსახა სტრატეგიის ნაწილი გახლდათ გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებიდან მოყოლებული, როცა გაფართოების მცდელობას მოსკოვთან ხიდის გადების პარალელური ნაბიჯებიც სდევდა. ამ ამოცანას ნატო მეტ-ნაკლებად წარმატებით ართმევდა თავს ელცინის დროს – ჯერ 1997 წელს და პრინციპში, 2002-შიც, როცა ელცინის ადგილი უკვე პუტინს ეკავა. არსებითად, ნატო საიმისო ნაბიჯებს დგამდა, რათა უფრო დაეახლოვებინა და, საბოლოოდ, ალიანსში ჩაერთო ახალი წევრები, ოღონდ იმავდროულად, მოსკოვთანაც გაეღრმავებინა კავშირები – იმის დასადასტურებლად, რომ არც მტრობა ედო გულში, პირიქით სურდა კიდეც, მოსკოვი უფრო ფართო დასავლური თანამეგობრობის ნაწილად ეხილა.

თუმცა, ამ პოლიტიკამ მესამედ უკვე ვეღარ გამაართლა. ბუქარესტში მიღწეულმა შეთანხმებამ ვერც ნატო-ს საბოლოო განზრახვებში საქართველოს დარწმუნება მოახერხა და ვერც რუსეთის გაღიზიანება აიცილა თავიდან. საქართველოს რეაქციების თემას მომდევნო თავში დავუბრუნდებით; რაც შეხება მოსკოვს, მან სრულიად განსხვავებული დასკვნები გამოიტანა, ვიდრე ნატო-ს მესვეურები იმედოვნებდნენ: მოსკოვისათვის ბუქარესტში მიღწეული კომპრომისი იმას ნიშნავდა, რომ ალიანსში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანებით საფრთხეები უფრო და უფრო რეალური ხდებოდა. ალიანსის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებს ადრე არასოდეს გამოუხატავთ მსგავსი

პოლიტიკური მხარდაჭერა წევრობის კანდიდატთა მიმართ; იმავდროულად, ბუქარესტმა ისიც წარმოაჩინა, რამდენად ძლიერი იყო აზრთა სხვადასხვაობა ალიანსში და როგორ სუსტდებოდა იქ აშშ-ის გავლენა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ამერიკის პრეზიდენტს ასე აშკარად დაუპირისპირდნენ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით და ჯერ ისევ ბუნდოვანი რჩებოდა, შეძლებდა თუ არა ან როდის მოახერხებდა ნატო აზრთა ამ სხვადასხვაობის აღმოფხვრას.

ბუქარესტის სამიტის შედეგებს შესაძლოა, არათუ მოსკოვის შეჩერება მოეხერხებინა, არამედ პირიქით – უფრო აგრესიული ქმედებებისკენაც ებიძგა. სხვა თუ არაფერი, რუსეთის გადასახედიდან ისე ჩანდა, რომ თუკი გარკვეული ზომები არ იქნებოდა მიღებული, უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში საბოლოო გაწევრიანებას წინ უკვე ვეღარაფერი დაუდგებოდა. ამიტომ მოსკოვს შეიძლება დაესკვნა – ალიანსის მხარდაჭერა უპირობოა, თუმცა ჯერ-ჯერობით მაინც, შიდა დაპირისპირებების დაძლევამდე ამ ფაქტის ოფიციალური გაფორმება ვერ მოხერხდებაო; შესაბამისად, რუსეთს ერთგვარი ფანჯარა რჩებოდა სამოქმედოდ და უმოკლეს დროში უნდა მოეხერხებინა ნატო-სკენ მიმავალი გზიდან საქართველოს გადაცდენა. რამდენი დრო იგულისხმებოდა, ზუსტად ვერავინ იტყოდა, მაგრამ თუკი მოსკოვს დასახული მიზნის მიღწევა სურდა, მაინც დაუყოვნებლივ უნდა ემოქმედა. ამისათვის კი საუკეთესო გზა თბილისის მიმართ მის საბოლოო დაჩოქებამდე წნეხის გაძლიერება იყო.

აგვისტოს ომის შემდეგ, ისევ ატყდა დავა-კამათი იმის თაობაზე, შესაძლებელი იყო თუ არა რუსეთის თავდასხმის აღკვეთა, თუკი ალიანსი მართლაც მისცემდა ბუქარესტში მაპ-ს საქართველოს – შეაჩერებდა თუ არა ეს რუსებს? პასუხი მხოლოდ სავარაუდო შეიძლება იყოს: პირადად ჩემი აზრით, ეს საეჭვოა. ალიანსისათვის პრობლემა თანხმობა და ერთიანობა გახლდათ. აზრთა სხვადასხვაობა საქართველოსა და უკრაინის საკითხის მიმართ სამიტზე ყველასათვის – მათ შორის, რუსეთისთვისაც – სრულიად ცხადი ჩანდა. ალიანსმა სათანადოდ ვერ შეაფასა, რამდენად იყო დაინტერესებული რუსეთი ნატო-ში საქართველოს გაწევრიანება არ დაეშვა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ალიანსის უფრო კატეგორიული განცხადებაც კი მოსკოვს განზრახვაზე ხელს ვერ ააღებინებდა. ერთადერთი, რაც მოსკოვს გააჩერებდა, თუკი ნატო ერთხმად და დაბეჯითებით დაადასტურებდა – გაფართოება გარდაუვალი პროცესია და მისი შეჩერების მცდელობას ქმედითი საპასუხო ზომები მოჰყვებაო. ვფიქრობ, ბუქარესტში მაპ-ის მიცემაც კი ამგვარი განაცხადის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. პრობლემის თავიდათავი ალიანსში არსებული ის ღრმა შიდა წინააღმდეგობა აღმოჩნდა, რამაც სამწუხაროდ, ნათლად წარმოაჩინა, ამგვარი მტკიცე თანადგომისათვის თავად ნატო არ იყო მზად. საბოლოო ჯამში, ფაქტია, რომ ბუქარესტში პრობლემას ნატო-ში არსებული უთანხმოება წარმოადგენდა.

ნატო-მ ვერ შეძლო აეღო საქართველოსათვის ისეთი ვალდებულება, რომელიც რუსეთის შემდგომ ნაბიჯებს შეაკავებდა.

როცა უთანხმოება ასე აშკარაა, ჩნდება კითხვა: შეიძლებოდა თუ არა *ნაკლები* მართლაც *მეტი* ყოფილიყო? რა სჭირდებოდა ყველაზე მეტად თბილისს – ხმამაღალი პოლიტიკური განცხადება თუ კონფლიქტურ რეგიონებში მეტი აქტიურობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა? უკეთესად წავიდოდა საქართველოს საქმე, თუკი შეთანხმების საგანი პრაქტიკული დახმარება და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ნატო-ს ყოფნა იქნებოდა? მსგავსი შეკითხვები რამდენჯერმე გაისმა ბუქარესტში, ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე, და ამგვარ მიდგომას ბევრმა „მაპ-ი მაპ-ის გარეშე" უწოდა ანუ ლაპარაკი იყო გადაწყვეტილებათა იმგვარ პაკეტზე, რაც საქართველოსა და უკრაინას მაპ-ის პროგრამის სიკეთით სარგებლობის საშუალებას მისცემდა, ოღონდ თავად პროგრამას უკვე სხვა იარლიყი ედებოდა – ვთქვათ, „ეროვნული სამოქმედო გეგმა" ან თუნდაც, „საქართველოს სამოქმედო გეგმაც" კი. მოკლედ, სტრატეგიაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ნაკლები მართლაც მეტი შეიძლება აღმოჩნდეს...

თავად ამ სამიტს ერთი მნიშვნელოვანი გაგრძელებაც მოჰყვა – ჯერაც მეტ-ნაკლებად ბურუსით მოცული და სხავდასხვაგვარად აღქმული: ვგულისხმობ ბუშისა და პუტინის პირისპირ შეხვედრას სოჭში – ახალ სტრატეგიულ ჩარჩო-ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად. სავარაუდოდ, ეს იყო პუტინის მიერ საგანგებოდ ორგანიზებული ღონისძიება, სადაც მას სურდა პირადად დამშვიდობებოდა ამერიკელ კოლეგას და ხელმოწერით გაეფორმებინა დოკუმენტი, რომელშიც მათი ერთობლივი მიღწევები იქნებოდა ასახული და ორივე პრეზიდენტის მემკვიდრეთა სამოქმედო ვექტორებიც განისაზღვრებოდა. მეტწილად შეხვედრამ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა – იყო სადილი, როცა სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა, უხვად ელაგა სოკო, ბლინი, ხიზილალა, ორაგული, კიბორჩხალები თუ კულებიაკა, ცეკვავდა სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი და ყუბანის კაზაკთა გუნდიც ხმიანებდა... ამერიკული დელეგაციის აზრით, ამ შეხვედრის მიზანი მნიშვნელოვანი დიპლომატიური მანევრები არ ყოფილა – ვითარება სმა-ბაასსა თუ მკლავის გადაწევას ნამდვილად არ უწყობდა ხელს. ისეთი საკამათო თემები, როგორიც საქართველოს საკითხია, ბუქარესტში იყო განხილული. ასე ჩანდა, რუსეთის ლიდერს უბრალოდ სურდა, კარგი სუფრა გაეშალა და საამო დრო გაეტარებინა თავის მეგობარ ჯორჯ ბუშთან ერთად, ვიდრე ორივე მათგანის საპრეზიდენტო ვადა ამოიწურებოდა.

ბუქარესტისა და სოჭის მოვლენებიდან სულ რამდენიმე კვირის თავზე, ბუშისა და პუტინის ამ ბოლო შეხვედრის ჩანაწერებმა – ე.წ. საუბრის მემორანდუმმა საბოლოო სახე მიიღო და უმაღლესი რანგის ჩინოსნებსაც დაურიგდა. თეთრ სახლში ეს დოკუმენტი ვიცე-პრეზიდენტის ოფისის ერთმა წევრმაც გულისყურით წაიკითხა. თავად სოჭში არ ყოფილა და ახლა ძალზე გაკვირვებული

დარჩა, შემდეგ – შეშფოთდა კიდეც. მისი აზრით, საუბრის ანგარიშიდან აშკარად ჩანდა, რომ პუტინი საქართველოზე მუქარის ენით ლაპარაკობდა და თითქოს ამერიკის პრეზიდენტის პოზიციის სიმტკიცეს ამოწმებდა. ბუშს ამის პასუხად არაფერი უთქვამს. დიპლომატიურ პრაქტიკაში – განსაკუთრებით, ამგვარ თემებზე უმაღლესი პირების საუბრისას, დუმილი შეიძლება იმის ნიშნადაც იქნეს მიჩნეული, რომ სავარაუდო ქმედება, თუნდაც ნაკლებად სასურველი, არანაირ მკაცრ საპასუხო რეაქციას არ გამოიწვევს. ასეთ დროს, დუმილმა მართლაც შეიძლება ორივე მხარეს მისთვის სასურველი დასკვნა გამოატანინოს. იმ რისკის გათვალისწინებით, რომ რუსეთს ბუშის დუმილი, შესაძლოა, საქართველოს მიმართ საკუთარი მოქმედებისათვის თავისებურ „მწვანე შუქად" მიეჩნია, ზემოხსენებულმა ჩინოსანმა უფრო მაღალ ინსტანციას მიმართა.

ბუშის უახლოესი გარემოცვის იმ წევრებმა კი, ვინც თავადაც ესწრებოდა სოჭის შეხვედრას, პუტინის ანტიქართულ განცხადებებში ვერაფერი ახალი ან განსხვავებული ვერ დაინახეს. ბოლოს და ბოლოს, არავისთვის არ იყო საიდუმლო, როგორ სძულდა პუტინს სააკაშვილი და როგორ ელოდა საქართველოს „გაწკეპლვის" ნებისმიერ ხელსაყრელ შესაძლებობას. ამერიკულ მხარეს ყური ჰქონდა მიჩვეული მისი ტირადებისათვის და რაკი საკუთარი პოზიციაც საქართველოს მხარდაჭერასთან დაკავშირებით მრავალჯერ ჰქონდა გაცხადებული, რუსეთის პრეზიდენტის სიტყვებიც არად ჩააგდო. არადა, ვითომ ისევ ძველის გადაღეჭვასთან გვქონდა საქმე – თუ რაღაც უფრო სახიფათო იკვეთებოდა ჰორიზონტზე? პუტინის მასპინძლობითა და გულღიაობით მოხიბლულმა ბუშმა თავისდაუნებურად ხომ არ მიანიშნა – აშშ დიდად არ გამოიდებდა თავს რუსეთის მხრიდან საქართველოს „დასჯის" შემთხვევაში?! მართალია, სწორედ ბუშს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: „იალტა აღარ განმეორდება!" – მაგრამ ზოგიერთმა, ვინც ეს მემორანდუმი წაიკითხა, მაინც მიიჩნია, რომ პრეზიდენტი რუსეთის პირისპირ მყოფი საქართველოს უცილობელ მხარდაჭერას მაინც რაღაც მეტისმეტად ბუნდოვნად აფიქსირებდა...

თავი 5

ხელმოცარული დიპლომატია

ნატო-ს ბუქარესტის სამიტის დასრულების შემდეგ მეორე საღამოს, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი სააკაშვილთან ერთად ვახშმობდა თბილისში. მას ძალზე აინტერესებდა გაეგო, როგორ აფასებდა თავად საქართველოს პრეზიდენტი ამ სამიტის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა ბუშმა სააკაშვილს სთხოვა, ეს შედეგები საჯაროდ მხოლოდ დადებითი კუთხით მიმოეხილა და ისიც სწორედ ასე მოიქცა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად საქართველოს მიმართ ევროპის სუსტი მხარდაჭერით უკმაყოფილო გახლდათ და ბუქარესტში ამერიკის „დამარცხებად“ აღქმული ამბავიც გვარიანად აშფოთებდა. მისი და ბილდტის საერთო აზრით, უმთავრესი საკითხი ის გახლდათ, როგორ უნდა დაძლეულიყო ევროპისა და, განსაკუთრებით, გერმანიის სკეპტიციზმი საქართველოს „დასავლური ორიენტაციის“ მიმართ. საქართველოს ლიდერმა გაიხსენა: ბუქარესტში, ოფიციალურ სადილზე, სარკოზის გვერდით ვიჯექი და მითხრა – საქართველოს საკითხის ჩავარდნა ჩემი ბრალი არაა, მთლიანად მერკელის სინდისზეაო... იქნებ მთლად ასეც არ იყო, მაგრამ ამ ნათქვამმა აშკარად კიდევ უფრო გააძლიერა სააკაშვილის ბრაზი ბერლინის მიმართ.

ბილდტი უმტკიცებდა, რომ გერმანიის მსგავსი დაეჭვებული მოკავშირეების დარწმუნების საუკეთესო გზა საქართველოში დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესება, საამისოდ კი პირველი ნაბიჯი მაისისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, მაპ-თან დაკავშირებით მერკელის თავშეკავების უმთავრესი მიზეზი რუსეთთან ურთიერთობა კი არა, საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობა იყო, თუმცა იგივე არ ითქმოდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერის თვალსაზრისზეც. სააკაშვილმა ეს აზრი იქვე უარყო, როგორც სრულიად უსაფუძვლო – მას არ სჯეროდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა, საქართველო სულ რომ დემოკრატიის მოდელად ქცეულიყო. სააკაშვილს საკუთარი პარტიის გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდა და დაიჩივლა კიდეც – ჩვენი ოპოზიცია

იმდენად სუსტია, მასთან მუშაობაც კი შეუძლებელიაო. მისივე თქმით, მას მხოლოდ ის ხალხი არ უჭერდა მხარს, რომელიც ჯერაც ძველ საბჭოურ წარსულსა და საკუთარ პრივილეგიებს მისტიროდა, ისინი კი ანგარიშში ჩასაგდებნი საერთოდ არ იყვნენ.

თუმცა მალე ნათელი გახდა, რომ სააკაშვილისათვის უფრო მნიშვნელოვანი ნატო-ს თემა კი არა, აფხაზეთის შესაძლო დაკარგვა გახლდათ. ბუქარესტის სამიტის შედეგებმა დიდად ვერ გაუნელა მოსალოდნელი საფრთხის შიში და იმის წინათგრძნობაც გაუჩინა, რომ რუსეთის შემდგომ მოქმედებებს, შესაძლოა, უაღრესად სახიფათო ხასიათი მიეღო. იგი ვერ ხედავდა პოლიტიკის დათბობის ვერავითარ პერსპექტივას აფხაზეთში და დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად ცდილობდა ვითარების მის საწინააღმდეგოდ შემოტრიალებას: „სტატუს-კვოს რომ ვინარჩუნებდეთ, კიდევ არა უშავს, მაგრამ პრობლემა ისაა, ჩვენ ვკარგავთ სტატუს-კვოს“ – განუცხადა ბილდტს სააკაშვილმა. მერე ისიც თქვა – პირად საუბარში პუტინი ორჯერ დამემუქრა, თუ საქართველო კვლავაც გააგრძელებს ძველი კურსით სიარულს, აფხაზეთს მეორე ჩრდილო კვიპროსად გადავაქცევო... „მოსკოვი ახლა კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებასაც იხვევს თითზე და საქართველოს წინააღმდეგ აპირებს ამ ამბის გამოყენებას; აფხაზეთის ხელისუფლება თბილისთან პოლიტიკური დიალოგის გამართვით სულაც არაა დაინტერესებული და რომც იყოს, კრიმინალთა ამ ჯგუფთან ლაპარაკს აზრი მაინც არა აქვს!“ – დაამატა ბოლოს.

სააკაშვილის თქმითვე „კონფლიქტის გასაღები მოსკოვში იდო“, მაგრამ პრობლემა ის გახლდათ, რომ ვითარების გამოსწორება არც რუსეთს აძლევდა ხელს. მოსკოვმა კონფლიქტურ ზონებში ეკონომიკური ემბარგო გააუქმა და ახლა უკვე იქ დიდი ინვესტიციების ჩადებაზეც ლაპარაკობდა – 2014 წლის სოჭის ოლიმპიადისათვის მზადების კონტექსტში. ეს კი სწორედ რომ ეკონომიკური კოლონიზაციის ტოლფასი იქნებოდა. როგორც სააკაშვილი ამტკიცებდა, რუსეთმა აფხაზეთის რეგიონში სამხედრო კუთხით გაძლიერების ახალი ეტაპიც წამოიწყო: საქართველოს დაზვერვის ცნობით, რუსეთის სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფის პერსონალი უხმაუროდ შემოდიოდა აფხაზეთში იქ თანდათანობით ფეხის მოსაკიდებლად. „ჩემს უიმედობას ისიც აძლიერებს,“ – განაგრძო სააკაშვილმა – „რომ ევროკავშირს არც ერთ ამ საკითხზე საუბარი არ სურს!“ მას უჭირდა გაეგო, რატომ იყო ასე რთული იმის აღიარება, რაც რეალურად ხდებოდა კონფლიქტურ ზონებში. ამის ნაცვლად, ბევრი ევროპელი დაჟინებით უმეორებდა თურმე – აჯობებს, საქართველო აფხაზეთის დაკარგვას შეეგუოსო.

საქართველო ამას არასოდეს შეეგუებაო – თქვა აღელვებულმა. მერე იმაზე გააგრძელა საუბარი, როგორ ძლიერდებოდა ქვეყნის თ.ავდაცვისუნარიანობა – ისრაელისა და უკრაინის დახმარებით. „რა უნდა გავაკეთო?“ იკითხა – „როცა აფხაზები ჩვენთან ლაპარაკს თავს არიდებენ, რუსეთი კი სამხედრო პოზიცი-

ებს იმაგრებს, იქ ინვესტიციების ჩადებასა და მუშახელის ჩაყვანას გეგმავს, ხოლო ევროპელები გვიკიჟინებენ – ჯობს, აფხაზეთი დათმოთო!" ისიც გაიხსენა, ვაშინგტონში ვიზიტისას როგორ იმსჯელა ამ ვითარებაზე ბუშთანაც და რაისთანაც, და შენიშნა გარკვეული გაგება იმისა, რომ საქართველოსაც ჰქონდა თავისი წითელი ხაზები.

ბილდტი ბოლომდე ვერ გარკვეულიყო, ხმამაღლა ხომ არ ფიქრობდა სააკაშვილი აფხაზეთის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაციის თაობაზე და, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა კიდეც – ვაითუ საქართველოს პრეზიდენტს ბუშთან საუბარი სამხედრო ქმედებებისათვის ერთგვარ „ყვითელ შუქად" ჩაეთვალა, თუკი მოვლენები მსგავსი გზით გაგრძელდებოდა. სააკაშვილმა ისიც კი გაიხსენა, როგორ ესაუბრა ბუქარესტში ხორვატიის „ტრიუმფატორ პრეზიდენტს" – სტეფან მესიჩს, რომელმაც ნაწილობრივ ხუმრობით უთხრა: „საქართველომ შეიძლება ხორვატიის მაგალითი გაიხსენოს და საკუთარ ოპერაცია „გრიგალზე" იფიქროს!" (გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში, ბოსნიაში ომის დროს, ზაგრებმა წარმატებით მოახერხა ტერიტორიების შენარჩუნება და ისეთი სამხედრო რეალობა შექმნა, საბოლოოდ ე.წ. *დეიტონის მოლაპარაკებამდე* რომ მიიყვანა საქმე. ჯერ ნატო-ც კი პროტესტს აცხადებდა, მაგრამ სწრაფადვე აუღო ვითარებას ალღო – მიხვდა, რომ ხორვატიის წარმატებები სინამდვილეში უფრო აიოლებდა, ვიდრე ართულებდა კონფლიქტის მოგვარებას. ათი წლის შემდეგ თავდაპირველი კრიტიკული დამოკიდებულება აღარავის ახსოვდა, და ხორვატიასაც ნატო-ს კარი გაუღეს).

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ბილდტი ცდილობდა დაერწმუნებინა სააკაშვილი, რომ მსგავსი ხედვა მცდარი იყო, სამხედრო გადაწყვეტის გზა – ქიმერა, სერბებთან ომი – სრულიად განსხვავებული რამ რუსეთთან ომისაგან და არც საქართველო იმყოფებოდა უიმედო ცაიტნოტში. იმასაც გაუსვა ხაზი, ამ საქმეში პროგრესის ერთადერთი გზა თანმიმდევრული დიპლომატიური მუშაობაა და შედეგსაც სწორედ ეს თუ მოიტანსო. ბოსნიისა და ბალკანეთის ანალოგია, მისი აზრით, არ გამოდგებოდა – ომში გადამწყვეტი პირველი შეტაკების მოგება კი არ იყო (რაც საქართველოს იქნებ მოეხერხებინა კიდეც), არამედ – ბოლო ბრძოლისა. ამას კი, რუსეთის უდიდესი სამხედრო უპირატესობის გათვალისწინებით, საქართველო ვერასგზით მოახერხებდა. ბილდტი გვარიანად შეშფოთებული წამოვიდა ამ ვახშმიდან, დაუყოვნებლივ აცნობა ამერიკელ კოლეგებს საუბრის შინაარსი და არც საკუთარი ეჭვი დაუმალავს – სააკაშვილი, მგონი, არასწორად იგებს ბუშისა და მისი ადმინისტრაციის პოზიციასო.

ბილდტის ანგარიშმა ვაშინგტონი გააოგნა: მაღალჩინოსნებმა მოიძიეს და ხელახლა ჩახედეს ოვალურ კაბინეტში ბუშისა და სააკაშვილის საუბრის სტენოგრამას – ამერიკის პრეზიდენტი მკაფიოდ გამოხატავდა საქართველოს მიმართ მხარდაჭერას და, სხვათა შორის, ამბობდა, რომ ბუქარესტშიც იგივეს

აპირებდა, მაგრამ თან ყოველგვარი სიურპრიზებისა თუ ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავებასაც დაბეჯითებით ითხოვდა. ამის მიუხედავად, ვაშინგტონმა, ყველა ეჭვის გასაქარწყლებლად, ახალი განცხადების გაკეთებაც ჩათვალა საჭიროდ: 17 აპრილს აშშ-ის ელჩმა ჯონ ტეფტმა პრეზიდენტ სააკაშვილს კიდევ ერთხელ აცნობა, რომ აშშ ნებისმიერი სამხედრო ქმედების წინააღმდეგი იყო და თუ თბილისი მაინც ასე მოიქცეოდა, მარტო მოუწევდა დარჩენა. ამაზე საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ბილდტმა, ეტყობა, არასწორად გაიგო მისი ნაუბარი – პირადად მას აზრადაც არ გაუვლია, თითქოს ამერიკელმა კოლეგამ „ყვითელი შუქი“ აუნთო, და რომ საქართველო არასოდეს გამოიყენებდა ძალას, თუ პროვოკაციის ან თავდასხმის მსხვერპლი არ გახდებოდა.

ბილდტთან საუბარი ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე საგანგაშო ზარს შორის, რომლებიც 2008 წლის გაზაფხულზე გაისმოდა აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს სავარაუდო სამხედრო დაპირისპირების თაობაზე. რეალობა ის გახლდათ, რომ კოსოვოს აღიარების შემდეგ, სააკაშვილი პუტინთან თებერვლის ბოლოს გამართული ბოლო შეხვედრიდან იმ განწყობით წამოვიდა, ეს უკანასკნელი ომისათვის ემზადებაო. სწორედ ასე ახსნა მან რუსეთის პრეზიდენტის მისთვის ნათქვამი ბოლო ფრაზა. მთელი გაზაფხულის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებაში გაცხოველებული კამათი მიმდინარეობდა იმასთან დაკავშირებით, საპასუხოდ რა უნდა მოემოქმედა თბილისს. აზრი თავად სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაშიც კი გაიყო: ერთი ჯგუფი მხარს უჭერდა საქართველოს მხრიდან წინმსწრებ სამხედრო მოქმედებას აფხაზეთის გარკვეული ნაწილის დასაკავებლად – იმედოვნებდნენ, რომ ქართული ძალები თავიდან აიცილებდნენ და უკან მოიტოვებდნენ იმხანად რუსეთის სამშვიდობოების შედარებით მცირერიცხოვან კონტინგენტთან შეტაკებას, ძირითადად დაუსახლებელ ტერიტორიებს დაიკავებდნენ სოხუმის სიახლოვემდე, შემდეგ წინსვლას შეაჩერებდნენ და მოლაპარაკებას დაიწყებდნენ დიპლომატიური გადაწყვეტილების მისაღებად – რა თქმა უნდა, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით; სხვები კი ფიქრობდნენ, რომ მსგავსი ნაბიჯი, უბრალოდ, დამღუპველი იქნებოდა. თავად სააკაშვილს ამ ორ ხედვას შორის რაღაც შუალედური პოზიცია ეკავა – სამხედრო ვარიანტს ეჭვით უცქერდა, მაგრამ ვერც ალტერნატივას ხედავდა.

თავის მხრივ, რუსეთ-საქართველოს ომის საფრთხემ მსგავსი კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული საგანგებო დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა განაპირობა: საზოგადოდ, დიპლომატებისათვის ჩვეული ამბავია – როგორც კი რაიმე პრობლემას წააწყდებიან, წამსვე „დიპლომატიურ პროცესს“ წამოიწყებენ ხოლმე; ამგვარი პროცესი კი დაძაბულობისა და მწვავე ვითარების განელებას უწყობს ხელს – ყოველ შემთხვევაში, უცაბედი ომის წამოწყების საშუალებას მაინც აღარ იძლევა; ანუ სანამ მოლა-

პარაკებები მიმდინარეობს, ძნელად რომ რომელიმე მხარემ სროლა ატეხოს. მართალია, ეს პროცესი შესაძლოა არც თუ დამაიმედებელი იყოს, მაგრამ იმედოვნებენ, რომ ამ დროს იქნებ რაღაც სხვა გამოსავალიც გამოინახოს. მაგრამ ზოგჯერ სამხედროები ამგვარ მოლაპარაკებებს მხოლოდ იმისთვის იყენებენ, რათა მოულოდნელი შეტევისათვის უკეთ მოემზადონ. ასე რომ, მოლაპარაკებები და ომისათვის მზადება სულაც არაა ურთიერთგამომრიცხავი რეალობა – ისტორია სავსეა მსგავსი მაგალითებით.

2008 წლის გაზაფხულზე, დაძაბულობის ზრდასთან ერთად, ვაშინგტონმა და ბერლინმა, ისევე როგორც თავად თბილისმაც, რამდენიმე დიპლომატიური ინიციატივა წამოაყენეს იმ იმედით, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების შემდგომ გაუარესებას აიცილებდნენ თავიდან. როგორც საბოლოოდ გაირკვა, ყველა ეს ინიციატივა სულ „ოდნავ", „სულ ცოტათი" დაგვიანებული აღმოჩნდა. მათი წარუმატებლობა დასავლეთის, ასე ვთქვათ, „საჭესთან ჩაძინების" ბრალი იყო, მოსკოვიდან წამოსულ სტრატეგიულ სიგნალთა გაუთვალისწინებლობა და, შესაბამისად, მოსკოვსა და თბილისზე ზეწოლის უსურვილობა, თუ იმის კლასიკური მაგალითი, როგორ იყენებდა მოსკოვი *სტრატეგიული ტყუილის* ხელოვნებას ომისათვის მზადების შესანიღბავად – ეს სადაო საკითხია. მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები როგორც ოფიციალურ, ასევე კულუარულ დიპლომატიურ არხებს იყენებდნენ დასავლელი კოლეგების დასარწმუნებლად, თითქოს მათი სამხედრო ნაბიჯები, უბრალოდ, წინმსწრები ზომა იყო საქართველოს მხრიდან დაუფიქრებელი მოქმედებისა და აფხაზეთში შესაძლო შეჭრის აღსაკვეთად. როგორც ისინი აცხადებდნენ, რუსული დაზვერვის ცნობით, სააკაშვილი ნამდვილად გეგმავდა ამგვარ თავდასხმას და რუსებისავე მტკიცებით, ამ შემთხვევაში „ძაღლი კი არ იქნევდა კუდს, არამედ – კუდი ძაღლს" ანუ ვაშინგტონიცა და მისი ევროპელი მოკავშირეებიც თბილისის დაკრულზე ცეკვავდნენ.

იმავე პერიოდში საქართველო ცდილობდა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოეყენებინა გარე სამყაროს ყურადღების მისაპყრობად და ყველა ბერკეტი თუ მექანიზმი აემოქმედებინა, რაც ვითარების ესკალაციამდე არ მიიყვანდა საქმეს. ეუთო-ს 1999 წლის „სტამბოლის ქარტია" ნათლად აფიქსირებდა, რომ უსაფრთხოება ევროპაში ორ ბურჯს უნდა დაფუძნებოდა: „უსაფრთხოებას სახელმწიფოთა შორის და უსაფრთხოებას ამავე სახელმწიფოთა ფარგლებში". ეს კი მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბალკანეთის ომების მწარე გამოცდილების გათვალისწინების მცდელობა გახლდათ. საქართველო ახლა ზუსტად იმგვარი კრიზისის მიჯნაზე იდგა, რომლის თავიდან აცილებისა და მზადყოფნაში დახვედრის სურვილიც ამ დოკუმენტის ავტორებს ამოძრავებდათ, მაგრამ როდესაც საქართველო შეეცადა კრიზისის მოგვარების მექანიზმები ეუთო-ს დახმარებით აემუშავებინა, საპასუხოდ ბევრს ვერაფერს

მიაღწია. სწორედ ასევე, 1994 წელს ნატო-ს მიერ შემუშავებული პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" თავდაპირველ დოკუმენტში ნაგულისხმები იყო, რომ პარტნიორებს, კრიზისულ ვითარებაში, შეეძლოთ სპეციალური კონსულტაციები მოეთხოვათ. არადა, როცა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაინტერესდნენ – ჰქონოდათ ფორმალური კონსულტაცია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფარგლებში, ურჩიეს – ეს თემა საერთოდ არ წამოეწიათ წინ, რადგანაც ალიანსი ამგვარ საქმეებში მონაწილეობას არ აპირებდა. აგვისტოს დასაწყისში, ომი რომ დაიწყო, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ სულ ერთი შეხვედრა მოიწვია და ერთადერთი განცხადებით შემოიფარგლა; მართალია, გენერალურმა მდივანმა, იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ერთი დღით საზაფხულო შვებულებაც კი შეწყვიტა, მაგრამ ეს იყო და ეს – ნატო-ს უმაღლეს სარდალს ევროპაში მისთვის არ მიუბაძავს. ის კი არა, ნატო-ს სამხედრო საბჭო მხოლოდ მას შემდეგ შეიკრიბა, რაც ბრძოლები, ფაქტობრივად, უკვე დასრულებული იყო. ალიანსისათვის, რომელიც თავს მთელ ევროპაში კრიზისთა მომგვარებლად აცხადებს, ეს ყველაფერი თავმოსაწონ საქციელად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. ეს კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ, რომ ევროპული უსაფრთხოების სისტემამ, რომელიც გამჭვირვალობისა და ოპერატიულობის, სტრატეგიულად მცდარი გათვლის თავიდან აცილების, შეიარაღებული დაპირისპირებისა თუ ომის აღსაკვეთად იყო მოწოდებული, 2008 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ფიასკო განიცადა.

კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას ჯერ ხეირიანად მელანიც არ შეშრობოდა, როცა მოსკოვმა პირველი ნაბიჯები გადადგა იმ მიმართულებით, რაც, საბოლოო ჯამში, მიზანმიმართულ პოლიტიკურ თუ სამხედრო წნეხად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მიმართ და რაც 7 აგვისტოს ომის დაწყებით დაგვირგვინდა. 6 მარტს მოსკოვმა გააუქმა დსთ-ის მიერ 1996 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სეპარატისტულ რეგიონებში იარაღისა თუ სამხედრო აღჭურვილობის შეტანას კრძალავდა და ღიად დაიწყო სეპარატისტთა მხარდაჭერა.[77] ორი კვირის შემდეგ, 21 მარტს, რუსეთის დუმამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთავრობისგან მოითხოვდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ეცნო და დაეცვა იქ „საკუთარი მოქალაქეები".[78] 3 აპრილს პრეზიდენტმა პუტინმა წერილი გაუგზავნა სეპარატისტ ლიდერებს, რომელშიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერას ადასტურებდა „არა სიტყვით, არამედ საქმით".[79] ამგვარი გახლდათ კოსოვოზე მოსკოვის ის კონკრეტული პასუხი, რითაც პუტინი სააკაშვილს რამდენიმე კვირით ადრე ემუქრებოდა...

თბილისში დაუყოვნებლივ „განგაშის ზარები" დაარისხეს. რუსეთის ეს ქმედებები სწორედაც რომ *წითელი ხაზების* გადაკვეთის საფრთხეს შეიცავდა და თუკი ასე მოხდებოდა, ქვეყანა იძულებული გახდებოდა პასუხი გაეცა და

შეიძლება – სამხედრო საშუალებებითაც კი. თბილისისათვის პირველი ამგვარი წითელი ხაზი რუსეთის მიერ კონფლიქტური ზონების აღიარება გახლდათ; მეორე – ამ ზონებში მცხოვრები ქართველი მოქალაქეების ფართომასშტაბიანი ეთნიკური წმენდა. მართალია, სამხრეთ ოსეთში ახლა მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აფხაზეთში, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთი უფრო აფიქრებდა – თუკი სოხუმიც მსგავს ნაბიჯებს გადადგამდა გალის მსგავს სასაზღვრო ზონაში, თბილისი ბევრს ვერაფერს მოიმოქმედებდა, რამდენადაც იქ, ფაქტობრივად, ხელი არც მიუწვდებოდა. მესამე წითელი ხაზი ქართველებისათვის რუსეთის მხრიდან კონფლიქტურ რეგიონებში სამხედრო ინფრასტრუქტურის სისტემატური გაძლიერება იყო, რაც, არსებითად, ანექსიას უდრიდა და მოლაპარაკებებსა თუ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას შეუძლებელს ხდიდა.

არადა, მოვლენათა ამგვარი განვითარება თანდათანობით სულ უფრო რეალური ჩანდა: საქართველოს აზრით, 2008 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მოსკოვი სწორედ ანექსიისათვის ემზადებოდა. მთელი გაზაფხულის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნები მოკავშირეებს ერთთავად იმას უმეორებდნენ – ხელისუფლებას ვერ შევინარჩუნებთ, თუ არაფერს მოვიმოქმედებთ და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას შევეგუებითო. ამერიკელი და ევროპელი მოკავშირეები კი მანტრასავით უმეორებდნენ: „სულ ერთია რას იზამს მოსკოვი – თქვენ რუსეთთან წინასწარ დამარცხებისთვის განწირულ ომში მაინც არ უნდა ჩაებათო!“ – თითქოს არც ერთი მხარე მეორის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა. არადა, საყოველთაო თვალსაზრისით, სეპარატისტულ რეგიონთაგან აფხაზეთი გახლდათ ყველაზე ფეთქებადსაშიში და სავარაუდო ახალი შეტაკების საფრთხეც იქ უფრო იყო მოსალოდნელი – 2008 წლის გაზაფხულზე, როცა თბილისი გამოსავალს ეძებდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემუშავებული სტრატეგიული გეგმებიც სწორედ აფხაზეთზე გახლდათ ფოკუსირებული.

ნატო-ს ბუქარესტის სამიტის შემდეგ მოსკოვის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კამპანია კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. პუტინმა ბუშისათვის მიცემული პირობა შეასრულა და ბუქარესტში „სცენები არ მოუწყვია“, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, თითქოს რუსეთის წინააღმდეგობა შესუსტდა ან რუსეთის სხვა მაღალჩინოსნები შეიკავებდნენ თავს მაგარ-მაგარი განცხადებებისაგან. ბუქარესტის კომუნიკეს გამოქვეყნებიდან სულ მცირე ხანში, პრეზიდენტად არჩეულმა დიმიტრი მედვედევმა საჯაროდ თქვა: „ნატო-ს ამ გადაწყვეტილების პასუხად, ჩვენ ახლა ქმედით დახმარებას გავუწევთ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს!“[80] მსგავსი განწყობლების გამომხატველი იყო რუსეთის გენშტაბის უფროსის სიტყვებიც: „ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველო ნატო-ს წევრი ქვეყანა არ გახდეს!“[81] 16 აპრილს პუტინმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც

აფხაზეთსა და სამხეთ ოსეთთან პირდაპირი სამართლებრივი და დიპლომატიური კავშირების დამყარებას ითვალისწინებდა.[82] არადა, თბილისსა და მოსკოვს შორის არსებული ყველა პრობლემის მიუხედავად, რუსეთი აქამდე სიტყვიერად ყოველთვის აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ეს დამოკიდებულება პუტინმა ნატოელ კოლეგებს ორიოდე კვირით ადრე კიდევ ერთხელ დაუდასტურა. ხსენებული დეკრეტი კი სუვერენიტეტის ფუძემდებლური პრინციპების პირდაპირი დარღვევა და რუსეთის პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამკაცრების ნიშანი გახლდათ. ევროკავშირმა, ნატო-მ, ეუთო-მ და დასავლეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა ერთხმად დაგმეს რუსეთის ეს ნაბიჯი და ამაოდ მოსთხოვეს მოსკოვს უკან დახევა.

20 აპრილს რუსეთის მიგ-29 ავიაგამანადგურებელმა ისრაელის წარმოების ქართული უპილოტო საჰაერო მზვერავი ჩამოაგდო, რომელიც კონფლიქტის ზონაში დაკვირვებებს აწარმოებდა. ცეცხლის შეწყვეტის თავდაპირველ ხელშეკრულებაში (გასული საუკუნის 90-იანი წლები) ამგვარ საფრენ აპარატებზე საერთოდ არ იყო საუბარი, მაგრამ შემდგომში გაერო-მ ასეთი აპარატები და სადაზვერვო ფრენები არსებული შეთანხმების დარღვევად გამოაცხადა. ამის მიუხედავად, რუსეთის ქმედება მაინც აშკარად შეიცავდა სამხედრო აგრესიის ნიშნებს. მოსკოვს არ სურდა თბილისს დაენახა, რა სამხედრო სამზადისი მიმდინარეობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. აპარატმა დააფიქსირა მასზე თავდასხმა და ვიდეომასალაც გადასცა. თავდაპირველად რუსებმა პასუხისმგებლობა აირიდეს, მაგრამ აფხაზეთში არსებული გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის გამოძიებამ დაადგინა, რომ ავიაგამანადგურებელი ნამდვილად რუსეთს ეკუთვნოდა, მის მოქმედებებს სოხუმის აეროპორტში განლაგებული რადარები წარმართავდა და ქართული საფრენი აპარატის გასანადგურებლად თერმული რაკეტა იქნა გამოყენებული.[83]

ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. 18 აპრილს აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საქართველო კოდორის ხეობის გასწვრივ ჯარს უყრიდა თავს. საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ საკითხი შეისწავლა, მაგრამ ქართული შეიარაღებული ძალების კონტინგეტის ზრდის ვერავითარი დამადასტურებელი ფაქტი ვერ მოიძია. დსთ-ის ქვეყნებში რუსეთის საგანგებო ელჩმა, ვალერი კენიაკინმა განაცხადა, რომ მოსკოვი მზად იყო სამხედრო საშუალებებით ემოქმედა, თუკი თბილისი აფხაზეთისაკენ დაძრავდა ჯარს. სამი დღის შემდეგ მოსკოვმა კვლავ გაიმეორა, რომ საქართველო კოდორის ხეობაში დიდ ძალებს უყრიდა თავს, შეტევისათვის ემზადებოდა და ისიც დაადასტურა, ნოვოროსიისკის საჰაერო-სადესანტო დივიზიიდან დამატებით 400 ჯარისკაცს ვაგზავნი აფხაზეთში სამშვიდობო კონტინგენტის გასაძლიერებლად და მდინარე ენგურის გასწვრივაც რამდენიმე ახალი საკონტროლო პუნქტის გახსნას ვაპირებო. ეს ნაბიჯიც საქართველოს წინასწარი

სავალდებულო გაფრთხილების გარეშე გადაიდგა და, შესაბამისად, დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციების თაობაზე შეთანხმების დარღვევა გახლდათ. მაისის დასაწყისში მოსკოვმა განაცხადა, რომ აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა გაიზარდა და 2500-ს გადააჭარბა. საქართველოს დაზვერვის ცნობებით კი რუსი სამხედროების რაოდენობა 4000-ს აღწევდა. დაახლოებით იმავე დროს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სამხედრო ვერტმფრენების იმ პილოტების სრული მობილიზაცია გამოაცხადა, ვისაც მთიან მხარეში ფრენების გამოცდილება ჰქონდა.[84] სხვათა შორის, აგვისტოს ომის დროს ქართველებმა ერთი ასეთი პილოტი ტყვედ ჩაიგდეს – იგი რამდენიმე თვით ადრე გამოძახებული რეზერვისტი აღმოჩნდა და ამ რეგიონს თურმე ჯერ კიდევ საბჭოთა ჯარში სამსახურის დროიდან იცნობდა.

მაისის შუა რიცხვებში რუსეთის მედიამ დაჟინებით დაიწყო საუბარი აფხაზეთში ომის გარდუვალობასა და საქართველოს გეგმებზე – აფხაზეთისათვის კოდორის ხეობისა და გალის რაიონის მხრიდან შეეტია. სინამდვილეში, კოდორის ხეობიდან შეტევა თითქმის შეუძლებელი იყო: ეს ხეობა როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარისაგან ოთხი კილომეტრის სიმაღლის ქედითაა გამოყოფილი და, შესაბამისად, პრაქტიკულად მიუდგომელია. საქართველოს იქ პოლიციის შეიარაღებული ქვედანაყოფები ჰყავდა შეყვანილი – რაღაც მსუბუქი ქვეითი ჯარის მსგავსი; ამ შენაერთებს, მთაგორიანი რელიეფის გათვალისწინებით, შეტევის მოგერიება კი შეეძლოთ, მაგრამ თავდასხმითი ოპერაციების განხორციელება – ვერანაირად. ხეობიდან აფხაზეთისაკენ ერთადერთი გზა ჩადიოდა, რომლის დაბლოკვაც აფხაზურ თუ რუსულ ძალებს სულ იოლად შეეძლოთ. შეტევაზე თუ მიდგებოდა საქმე, ყველაზე სავარაუდო სენაკის მხრიდან იერიშის განხორციელება იქნებოდა და თბილისი ამგვარ სცენარსაც განიხილავდა, მაგრამ 2008 წლის ზაფხულში, როცა ერთი ქართული ბრიგადა ერაყში იმყოფებოდა, მეორე კი წვრთნებზე იყო გასული, აქედან მასშტაბურ შეტევას ახლა ცოცხალი ძალა არ ეყოფოდა.

თბილისი სულ უფრო და უფრო შფოთავდა: საპარლამენტო არჩევნები 21 მაისისათვის იყო დანიშნული და ვერავინ იტყოდა, ქვეყნის უსაფრთხოების ეს საკითხები როგორ შეიძლებოდა ასახულიყო არჩევნების შედეგებზე. სააკაშვილის მმართველი პარტია წინასაარჩევნო კამპანიაში უმთავრეს ყურადღებას სამუშაო ადგილებზე და პენსიებზე ამახვილებდა, უსაფრთხოების საკითხები კი მეორე პლანზე გადაჰქონდა, მაგრამ ომის საფრთხე, ჭირისა არ იყოს, თავს არ მალავდა. რუსეთის მედესანტეების აფხაზეთში შეყვანამ თავდაპირველად სააკაშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რუსეთის მუქარა, შესაძლოა, საქმედ ქცეულიყო. როცა რუსეთმა პირველად განაცხადა დამატებითი ძალების აფხაზეთში გადასროლის თაობაზე, მან სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს მდივან ალექსანდრე ლომაიას დაურეკა და უთხრა – დაიწყოო. თუმცა ცოტა

ხნის მერე ხელმეორედ შეეხმიანა და აღიარა – ცრუ განგაში ყოფილაო. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ვითარების უკიდურეს დაძაბულობაზე მიანიშნებდა. როცა არჩევნების შედეგები გამოქვეყნდა, აღმოჩნდა, რომ სააკაშვილის პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და ხმების 59% მიიღო, ანუ უფრო მეტი, ვიდრე თავად პრეზიდენტმა – იანვრის არჩევნებში. მართალია, ქვეყანაში მღელვარება მატულობდა, მაგრამ ვერც ოპოზიცია ახერხებდა ამით ესარგებლა და რაიმე მკაფიო ალტერნატივა შეეთავაზებინა ხალხისთვის. რუსეთის მხრიდან მხოლოდ იარაღის ჟღარუნი კი არ ჭრიდა...[85]

მოსკოვი წნეხის გაძლიერებას სხვა მიმართულებებითაც აპირებდა: მაისის დასაწყისში, ბრიუსელში ნატო-რუსეთის მიმდინარე კონსულტაციების ფარგლებში შედგა შეხვედრა ნატო-სა და რუსეთის სამხედრო უწყებების ხელმძღვანელთა შორის; რუსეთის თავდაცვის შეფმა, არმიის გენერალმა იური ბალუევსკიმ სახტად დატოვა ნატოელი კოლეგები, როცა გააფრთხილა – ამ ზაფხულს საქართველოში შეიძლება ომი ატყდეს, თუ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად სათანადო ნაბიჯები არ გადაიდგმებაო – და ნატო-ს წევრ ქვეყნებს მოსთხოვა საქართველოში დაგეგმილი ერთობლივი წვრთნები გადაედოთ, თუ არ სურდათ, ამ კონფლიქტში თავისდაუნებურად აღმოჩენილიყვნენ ჩათრეულნი. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთის დაზვერვის მონაცემებით, საკაშვილი გაუთვალისწინებელ ქმედებებს გეგმავდა აფხაზეთის ძალით დასაბრუნებლად და თავისი საშინაო პრობლემებიდან ყურადღების სხვა მხარეს გადასატანად. მაშინ ნატო-ში მიიჩნიეს, რომ ეს ჩვეული რუსული ავყიაობა და თბილისის პოლიტიკური შანტაჟირების გამოვლინება იყო, მაგრამ ახლანდელი გადასახედიდან ყველაფერი შეიძლება იმ გაფრთხილებად აღვიქვათ, რასაც, სამწუხაროდ, მაშინ არავინ ათხოვა ყური.[86] შეხვედრის შემდეგ ნატო-მ და რუსეთმა კიდევ უფრო გააააქტიურეს თავიანთი „უკანა ხაზი" მოკავშირეთა ევროპულ სარდლობასა და რუსეთის გენშტაბს შორის, რომელიც ჯერ კიდევ 90-იან წლებში ამუშავდა, მაგრამ ვერც ასე მოხერხდა იმ აქტიური კონტრზომების გამონახვა, რაც კონფლიქტურ რეგიონში ვითარებას ჩააწყნარებდა. ალიანსი ძირითადად ავღანეთით იყო დაკავებული და, ცივი ომის პერიოდთან შედარებით, ახლა ნაკლები უნარი და შესაძლებლობები გააჩნდა, მსგავსი ხასიათის სტრატეგიული გამოწვევები სწორად გაეაზრებინა და სათანადო პასუხიც გამოეძებნა.

30 მაისს საქართველომ თავის მხრივ გადადგა ნაბიჯი ვითარების განსამუხტავად, როცა ქვეყნის ელჩმა გაერო-ში, ირაკლი ალასანიამ უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე საჯაროდ განაცხადა – თბილისი აღარ განახორციელებს უპილოტო მზვერავი აპარატების ფრენებს აფხაზეთშიო. ამაზე რუსეთის საპასუხო ქმედების იმედები მეორე დღესვე დასამარდა, როცა მოსკოვმა გამოაცხადა, რომ სარკინიგზო ჯარების კიდევ 400 ჯარისკაცი შეჰყავდა სოხუმსა და

ოჩამჩირეს შორის რკინიგზისა და ზოგადად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით.[87] ეს კიდევ ერთი უკანონო და საგანგაშო ნაბიჯი გახლდათ. ამის პასუხად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა: „თუკი სამხედრო ინტერვენციისათვის მზადებასთან არა გვაქვს საქმე, როგორ შეიძლება ერთმა ქვეყანამ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ჯარის სარკინიგზო-სატრანსპორტო ნაწილები შეიყვანოს?!"[88] ის სრულ სიმართლეს ამბობდა: რუსეთის საინჟინრო ნაწილებმა სამუშაოები აგვისტოს დასაწყისში დაამთავრა – ზუსტად მოსკოვის თავდასხმის წინ. აღდგენილი ლიანდაგები და გზები შემდეგ ძალიან წაადგა რუსეთის არმიას, როცა ის აფხაზეთის მხრიდანაც შემოიჭრა საქართველოში.

განგაშის ზარები ამ დროისათვის უკვე მთელ დასავლეთ სამყაროშიც გაისმოდა. ბუშის ადმინისტრაცია პრობლემის წინაშე დადგა: საერთო აზრით, საქართველოს დასავლური ორიენტაცია – თავი გავანებოთ იმას, მცდარი იყო ეს აზრი თუ არა – იმ ამერიკულ პროექტად მიიჩნეოდა, რომელიც უშუალოდ და პირადად პრეზიდენტ ბუშის სახელთან იყო ასოცირებული. ვაშინგტონი იყო ის მთავარი ძალა, რომელიც კოსოვოს დამოუკიდებლობისა თუ ბუქარესტში საქართველოსათვის მაპ-ის მიცემის კამპანიის უკან იდგა. მაშინ რუსეთის გაფრთხილებებს – ამერიკის მხარდაჭერამ შესაძლოა ცუდი გავლენა იქონიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებზეო – სათანადო ყურადღება არავინ მიაქცია, მაგრამ ვაითუ მოსკოვი სულაც არ ხუმრობდა? ზოგიერთი ამერიკელი მაღალჩინოსანი შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ ბუქარესტში მაპ-ის საკითხი „ჰაერში გამოეკიდა" და ამ გაურკვევლობას მოსკოვი მართლაც შეიძლებოდა საქართველოს მიმართ აგრესიული ქმედებებისათვის განეწყო. ვაშინგტონში არავის აეჭვებდა, რომ რუსეთი რაღაცას ეშმაკობდა, საქართველოს პროვოცირებას ცდილობდა და, უბრალოდ, ელოდა, როდის დაუშვებდა სააკაშვილი შეცდომას, რათა ამით სათავისოდ ესარგებლა. ამერიკელებმა იცოდნენ – სააკაშვილს ყველაზე მეტად თავისი ქვეყნის თუნდაც ნაწილის დაკარგვა აშფოთებდა და თუ ჩიხში მიამწყვდევდნენ, არც აფხაზეთის ძალით დაბრუნებაზე იტყოდა უარს.

მეთ ბრაიზა იყო სახელმწიფო დეპარტამენტის ის მაღალჩინოსანი, ვინც საქართველოს საკითხებს კურირებდა და ყველაზე კარგად იცოდა ქართველების საწუხარი. ამავე დროს, ის გახლდათ პიროვნება, ვისაც ქართველები საკუთარ შიშებსა და იმედებს უზიარებდნენ: ისევე როგორც მის კოლეგას ევროკავშირიდან – პიტერ სემნების, მას არაერთხელ უსაუბრია საქართველოს ხელისუფლების ყველა დონის წარმომადგენელთან – პრეზიდენტის ჩათვლით – აფხაზეთში სამხედრო ქმედებების შესაძლებლობის თაობაზე. მსგავსი საუბრები არასოდეს ყოფილა ოფიციალური ხასიათის და მათი გამომწვევი საბაბიც მუდამ რეალური თუ წარმოსახვითი საფრთხეებით იყო განპირობებული. ხანდახან საქართ-

ველოს პრეზიდენტს მიმდინარე მოვლენებზე მართლაც უხდებოდა საპასუხო ნაბიჯების გამოძებნა – მაგალითად, რეგიონში დარჩენილი გაჭირვებული თანამოქალაქეების დასაცავად, მაგრამ ზოგჯერ ის ვარიანტებიც განიხილებოდა, როგორ დაებრუნებინა და შეენარჩუნებინა აფხაზეთის გარკვეული ნაწილი – კონკრეტულად კი ის რაიონები, რომლებიც ომამდე უპირატესად ქართველებით იყო დასახლებული. ბევრი ჩვენგანი ამ ვარიანტებს „ტერიტორიის დაბრუნების სცენარად" მოიაზრებდა. მსგავსი საუბრები, როგორც წესი, კულუარებში მიმდინარეობდა ხოლმე, ან სააკაშვილის რეზიდენციაში, ან გვიან ღამით კანცელარიაში, ან სულაც სუფრასთან, სადაც ხელსახოცებზე რუკები იხაზებოდა და ქართველი მაღალჩინოსნებიც ხმამაღლა არჩევდნენ სავარაუდო მოქმედების გეგმებს.

მოსკოვის მიერ 2008 წლის გაზაფხულზე ვითარების დაძაბვამ მსგავსი საუბრების საქმედ ქცევის ალბათობა საგრძნობლად გაზარდა. ამერიკელებმა, ცხადია, იცოდნენ ბილდტისა და სააკაშვილის ნაუბარი; ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორი გამალებით ეძებდა თბილისი პასუხს აფხაზეთის დაკარგვის სულ უფრო მზარდ საფრთხეზე, მათ საკუთარი არხებითაც მისდიოდათ. ამიტომაც, სამხედრო ქმედებების შესახებ ქართველების მიერ ჩამოგდებულ ნებისმიერ სიტყვაზე მათი პასუხი მუდამ ერთგვაროვანი იყო: „ეს არ გააკეთოთ!" ამერიკელები საქართველოს მხარეს აფრთხილებდნენ, რომ რუსეთთან ბრძოლის წამოწყება მათი ქვეყნისათვის დამღუპველი იქნებოდა. თავის მხრივ, ქართველებიც საკუთარ არგუმენტებს იშველიებდნენ – ჯერ დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, სამხედრო თვალსაზრისით უფრო უკეთ ვართ მომზადებული, ვიდრე ამერიკელებს გგონიათო და ამ განცხადებას ხშირად თხოვნასაც ურთავდნენ – რუსეთის სავარაუდო საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად იქნებ *სტინგერის* რაკეტები მოგვაშველოთო. ამგვარი თხოვნები განიხილებოდა, თუმცა საბოლოო ჯამში, ვაშინგტონმა მათ დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. ქართველები ასევე ამბობდნენ, რომ ჯერ კიდევ არსებობდა ფანჯარა გარკვეული ქმედებებისათვის, მაგრამ თუ ის დროულად არ იქნებოდა გამოყენებული, მოსკოვის მიერ კონფლიქტურ რეგიონებში სამხედრო ობიექტების მშენებლობა ამ შესაძლებლობასაც გამორიცხავდა. ამიტომ, თუკი მოქმედებაზე მიდგებოდა საქმე, დროულად უნდა ემოქმედათ.

თბილისის ხელისუფლებას თანდათან სასოწარკვეთა ეუფლებოდა: ხედავდა, სამუდამოდ როგორ ეცლებოდა ხელიდან აფხაზეთი, მოსკოვი კი ნაბიჯ-ნაბიჯ ზრდიდა თავის გავლენას საქართველოს ამ მხარეზე. ქართველების მტკიცებით, თუკი ისინი სწრაფად არ იმოქმედებდნენ, ტერიტორიის დაბრუნების შანსი უკვე აღარც მიეცემოდათ. და კიდევ – იმასაც შიშობდნენ, რომ ამგვარი გაურკვევლობა და დაძაბულობა – მოუგვარებელი კონფლიქტი თუ სულაც გამოუცხადებელი ომი – საბოლოოდ დააფრთხობდა დასავლელ ინვეს-

ტორებს. სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში კვლავ გაისმა ხმები ერთგვარი „ბლიცკრიგის“ თაობაზე, რაც, სულ ცოტა, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა აფხაზეთში და ამ გაურკვევლობას მაინც მოუღებდა ბოლოს. ეს საკითხი გახმიანდა მაშინაც, როცა აპრილის თვეში საქართველოს დელეგაცია სახელმწიფო დეპარტამენტს ესტუმრა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს, დენ ფრიდს შეხვდა. მოგვიანებით ფრიდმა ერთ თავის ინტერვიუში გაიხსენა:

> *პირველი შემთხვევა იყო, როცა ქართველებს უკვე შეულამაზებლად ვუთხარი: იქ [აფხაზეთში] თუ შეხვალთ, შეიძლება პირველი ბრძოლა მოიგოთ, იქნებ – მეორეც, მაგრამ ეს თქვენთვის უკანასკნელი გამარჯვება იქნება! რუსეთი უთუოდ ჩაერევა, სულ სიმღერ-სიმღერით მოამთავრებს საქმეს და ნუ იზამთ ამას-მეთქი, ვთხოვე.*[89]

აპრილშივე, სახელმწიფო უსაფრთხოების მრჩეველი სტივენ ჰედლი შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ ვითარება აფხაზეთში უკვე, ფაქტობრივად, უკონტროლო ხდებოდა და მან თეთრ სახლში, საკუთარ კაბინეტში, ამ თემაზე რამდენიმე საგანგებო თათბირიც გამართა. მას სურდა ბიძგი მიეცა რაიმე კონკრეტული დიპლომატიური ქმედებებისათვის, რაც ამიერკავკასიის ამ ორ პატარა მთაგორიან რეგიონში უკვე თექვსმეტი წლის განმავლობაში არსებულ კონფლიქტებს ომში არ გადაზრდიდა. შედეგად, ვაშინგტონის ზოგადი პასუხი იმგვარ მცდელობებს გულისხმობდა, რაც პრობლემას სხვა ჩარჩოებში მოაქცევდა ანუ საქართველო თავს ნებისმიერ შემთხვევაში წაგებულად კი არ ჩათვლიდა – ან აფხაზეთის დაკარგვას შეეგუებოდა, ან სამხედრო ოპერაციის განხორციელება მოუწევდა იძულებით – არამედ გვირაბის ბოლოს რაიმე შუქისმაგვარსაც დაინახავდა და კრიზისს მშვიდობიანად მოაგვარებდა. საამისოდ ვაშინგტონს უცილობლად უნდა შეეცვალა კონფლიქტებთან და ზოგადად საქართველოსთან დაკავშირებული ტონიცა და მიდგომებიც. ამერიკელებმა იცოდნენ, რომ ბევრი მთავარი მოკავშირე ეჭვის თვალით უცქერდა სააკაშვილს და საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავებისგანაც თავს იკავებდა. მათ საქართველოს პრეზიდენტი საკუთრივ პრობლემის ნაწილად მიაჩნდათ და შიშობდნენ, რომ დასავლეთთან ურთიერთობის გაღრმავება მას მხოლოდ უფრო გაათამამებდა.

ვაშინგტონს განსხვავებული ხედვა ჰქონდა: კერძოდ, მიაჩნდა, რომ თუკი სურდათ, თბილისს სამხედრო არჩევანი უარეყო, მაშინ საამისოდ საუკეთესო გზა მასთან ურთიერთობის გაღრმავება, დასავლური მხარდაჭერის დადასტურება და საქართველოსთვის იმის ნათლად ჩვენება იქნებოდა, რომ გვირაბის ბოლოს მართლაც ჩანდა შუქი. აშშ-ის მიზანი იყო სააკაშვილს მოსკოვის მიერ დაგებული მახისათვის თავის არიდებაში დახმარებოდა – ეს მახე კი თავისთავად გულისხმობდა არჩევანს ტერიტორიების დაკარგვასა და ომის დაწყებას

შორის. ამგვარი საფრთხე დიპლომატიური საშუალებებით უნდა აღკვეთილიყო და ახალი პერსპექტივა შექმნილიყო კონფლიქტების ერთხელ და სამუდამოდ მოსაგვარებლად. ვაშინგტონს ასევე სურდა მკაფიოდ განეცხადებინა – თუ რუსეთი დამატებით ნაბიჯებს გადადგამს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების მიმართულებით, საბოლოო ჯამში, თბილისი კი არა – სწორედ მოსკოვი მოექცევა იზოლაციაშიო.

აშშ-ის გეგმა სამი ნაწილისაგან შედგებოდა: ჯერ ერთი, კრიტიკოსები და შედარებით ეჭვიანი მოკავშირეები უნდა დაერწმუნებინათ, რომ საქართველო ნამდვილად ესწრაფვოდა მშვიდობის დამყარებას, რისი მაგალითიც იმ გაზაფხულზე სააკაშვილის მიერ გაცხადებულ სამშვიდობო გეგმაზე შემდგომი მუშაობა იქნებოდა. ამ გეგმის თანახმად, თბილისს სურდა პირდაპირი დიალოგი წამოეწყო სოხუმის ხელისუფლებასა და, საერთოდ, აფხაზეთთან. სააკაშვილი, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად უცქერდა უშუალოდ აფხაზეთთან საქმის დაჭერის მიზანშეწონილობას, მაგრამ ვაშინგტონმა არაერთი ნიშანი მიიღო, რომ ის აფხაზებიც, ვისაც საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება არ სურდათ, ამის მიუხედავად მაინც ცდილობდნენ რუსეთზე ნაკლებ დამოკიდებულნი ყოფილიყვნენ და დასავლეთისთვისაც გამოეღოთ ფანჯარა. დარწმუნებით არავინ იცოდა, რამდენად სერიოზული იყო ამგვარი განწყობები და, საერთოდ, რუსული გავლენის გათვალისწინებით, რამდენად წარმატებული შეიძლება ყოფილიყო ამგვარი გათვლა. მაგრამ ვაშინგტონს სურდა ნიადაგი მოესინჯა და „ქვედა დონეზე“ პრაქტიკული თანამშრომლობის ის პროცესი წამოეწყო, რაც თავდაპირველად „ხალხთა შორის" კავშირების აღდგენას შეუწყობდა ხელს და მერე, თანდათანობით, რეგიონსაც „გახსნიდა“ გარე სამყაროსათვის.

ამ სტრატეგიული გეგმის მეორე ნაწილი რუსეთის ქმედებების საპირწონედ თბილისისათვის მეტი გარანტიების მიცემას გულისხმობდა. აქ უმთავრესი გახლდათ საქართველოს დიდი ხნის მოთხოვნის დაკმაყოფილება – ბოლო მოღებოდა სამშვიდობო პროცესში მოსკოვის მონოპოლიას და ნაბიჯ-ნაბიჯ დაწყებულიყო პროცესის თანდათანობითი ინტერნაციონალიზაცია ამ რეგიონში. ვაშინგტონი ევროკავშირისაგან კონფლიქტის ზონებში ევროპელი ინსტრუქტორებისა თუ დამკვირვებლების გაგზავნას ითხოვდა, რათა იქ მხოლოდ რუსი სამშვიდობოები არ ყოფილიყვნენ ერთპიროვნულად წარმოდგენილნი. საერთაშორისო კონტინგენტის ჩართულობა იგულისხმებოდა კოდორის ხეობაშიც, რომელიც ყველაზე ფეთქებადსაშიშ ადგილად მიიჩნეოდა. კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო წარმომადგენლობის გაზრდისა და ლტოლვილების დაბრუნებისათვის წინაპირობების შექმნის საპასუხოდ კი საქართველოს ძალის გამოუყენებლობის მკაცრი პირობა უნდა დაედო.

სტრატეგიის მესამე მიმართულება აფხაზეთის სამომავლო სტატუსზე იმჟამინდელი მოლაპარაკებების ფორმატის მიღმა სვლას ითვალისწინებდა.

ვაშინგტონი დაეთანხმა საქართველოს, რომ არსებული ფორმატები აშკარად მოძველდა, ტენდენციური იყო და სრულ სახეცვლილებას საჭიროებდა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან მოყოლებული, აფხაზეთის საკითხების მოგვარება უპირატესად, ე.წ. „გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობრებს" უწევდათ ანუ იმ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელიც აშშ-ს, გერმანიას, საფრანგეთს, გაერთიანებულ სამეფოსა და რუსეთს მოიცავდა; მაგრამ ახლა ამერიკა მზად იყო, ეს ჩარჩოები გაეფართოებინა. ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯად აშშ-ს საგანგებო შეხვედრების მთელი სერიის მოწყობა სურდა, რაც მიზნად დაისახავდა საქართველოს მიერ გაცხადებული სამშვიდობო გეგმის განხორციელებას და დროთა განმავლობაში იმ ახალი ფორუმის შექმნას, რაც მოსკოვის მეთვალყურეობის გარეშე ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენელთა უშუალო კავშირებს დაეფუძნებოდა. საბოლოოდ, გეგმა ითვალისწინებდა ახალი საბჭოს შექმნასაც, რომელიც პროცესში ერთ-ერთ მთავარ მოქმედ სუბიექტად ევროკავშირის შემოყვანას განაპირობებდა. მაისის შუა რიცხვებში ბრაიზა საქართველოში ჩაფრინდა ამ სტრატეგიის ქართველებისა და აფხაზებისათვის გასაცნობად. აზრთა დიდი სხვადასხვაობის მიუხედავად, დაინტერესება გამოიჩინა თბილისმაც და სოხუმმაც. ამ მცდელობას ხელს უწყობდა გაერო-ში საქართველოს ელჩის, ალასანიას ვიზიტი აფხაზეთში, მაგრამ ინიციატივა დაბრკოლდა, როცა ჯერ სააკაშვილმა, მერე კი აფხაზებმაც უკან დაიხიეს.

საქმე ის იყო, გეგმა არ ითვალისწინებდა მკაფიო და ცალსახა შეტყობინებას მოსკოვისადმი, რომ საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მკვეთრად აისახებოდა რუსეთ-ამერიკისა და, ზოგადად, რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებზე. ეს ალბათ იმიტომ, რომ ვაშინგტონმა და, უფრო მეტად კი, ევროპამ, იმ დროისათვის სათავისოდ კომფორტული პოზა მოირგეს, რაც ორივე მხარის დადანაშაულებასა და „თავშეკავებისაკენ" მოწოდებებით გამოიხატებოდა. ვერც ამერიკა და ვერც ევროპა ვერაფრით შეთანხმდა – რომელ მხარეს მიუძღოდა მეტი ბრალი ურთიერთობათა დაძაბვაში და ვერც ის გაარკვიეს ბოლომდე, რუსული პროვოკაციები ჭეშმარიტი საფრთხის შემცველი იყო თუ მხოლოდ ზედმეტად ეჭვიანი და ფიცხი ქართველების გამონაგონი. ცხადია, გაცილებით იოლი იყო დიპლომატიური სიმკაცრის გამოჩენა ქართველების და არა რუსების მიმართ. მოკლედ, ნაკლები საფუძველი არსებობს ვამტკიცოთ, რომ აშშ ან ევროპა რუსეთის ხელისუფლების მაღალი დონის წარმომადგენლებს გასაგებად აფრთხილებდა, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მოსკოვისათვის ამგვარ აგრესიას. მართალია, ყველამ იცოდა, რა დაპირისპირება არსებობდა მოსკოვსა და დასავლეთს შორის, მაგრამ ზოგადი ტენდენცია მაინც მხოლოდ მოსკოვის პოზიციისადმი საერთო უარყოფითი დამოკიდებულების დაფიქსირების იქით არ მიდიოდა. ეს კი სრულებითაც არ იყო საკმარისი პრაქტიკული ქმედებებისაგან მოსკოვის შესაჩერებლად.

თუმცა აშშ ერთადერთი არ იყო, ვინც ომის თავიდან აცილების საქმეში გააქტიურდა. მაისში, ევროსაბჭოს შეკრებაზე, მზარდ საფრთხეზე ყველა ერთდროულად ალაპარაკდა და დაუყოვნებელი მოქმედების აუცილებლობამ, როგორც იქნა, ევროკავშირს დააძლევინა შიში როგორც რუსეთთან უშუალო დაპირისპირების, ასევე გაუწონასწორებელი სააკაშვილის გამო არასასურველ მოვლენებში შესაძლო ჩათრევის თაობაზე და იძულებული გახადა, ვაშინგტონისეული დიპლომატიისათვის აეწყო ფეხი. ევროკავშირის საერთაშორისო პოლიტიკის თავკაცი, ხავიერ სოლანა ივნისის დასაწყისშივე ეწვია რეგიონს და ევროკავშირის როლის გაზრდა შესთავაზა დაპირისპირებულ მხარეებს, რაც მათ ერთხმად აიტაცეს. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში ევროკავშირმა თუმცა ფრთხილი, მაგრამ ქმედითი ნაბიჯები შეიმუშავა ნდობის აღსადგენად; საქმე ეხებოდა კონფერენციებს სოხუმსა და ბრიუსელში, საზღვრის უსაფრთხოების მონიტორინგის ჯგუფის გაგზავნას და დამატებით შეხვედრას ბრიუსელში, სადაც დაპირისპირებული მხარეები ერთად უნდა დამსხდარიყვნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან. კიდევ უფრო შორსმიმავალი ნაბიჯებისაგან ევროკავშირს შიდა დაპირისპირების თავიდან აცილების მოსაზრებებმა შეაკავებინა თავი, თუმცა ეს მაინც კარგი დასაწყისი ჩანდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მართალია, თავდაპირველად ამ ნაბიჯებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეებიც დაეთანხმნენ, უკანასკნელ წუთს ისევ ძველებურად გადგნენ განზე.

ახლა გარკვეული როლის შესრულება ბერლინმაც მოინდომა: გერმანია ევროპის წამყვანი სახელმწიფო იყო და სწორედ ის განუსაზღვრავდა და კარნახობდა პოლიტიკას კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მოსკოვთან, დიდი ინვესტიციებიც ჰქონდა ჩადებული რუსეთში, ამასთანავე ისტორიულად საქართველოსთანაც ბევრი რამ აკავშირებდა. გერმანია თავმჯდომარე იყო „ბაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა“ ჯგუფისა; ეს ქვეყანა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობდა აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და არც აპირებდა, ეს პასუხისმგებლობა ევროკავშირისათვის გადაელოცა. გერმანია ნათლად ხედავდა, როგორ იძაბებოდა ვითარება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში და შიშობდა, რომ დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთს შორის საბოლოოდ გააუარესებდა ევროპისა და, რაც მთავარია, მის ურთიერთობებსაც მოსკოვთან. გერმანული ხედვა არა მარტო საქართველოს დახმარების აუცილებლობას, არამედ რუსეთთან დაპირისპირების თავიდან აცილების სურვილსაც ემყარებოდა. თუ ეს ასე არ იქნებოდა, მთლიანად დასავლეთი იზარალებდა.

აქედან გამომდინარე, საკუთარი გეგმა ბერლინმაც წამოაყენა, რაც ასევე სამფაზიან მიდგომას ითვალისწინებდა, მხოლოდ ამერიკულისაგან განსხვავებული აქცენტებით. გეგმის პირველი ფაზა საქართველოს აკისრებდა პასუხის-

მგებლობას და მისგან ძალის არგამოყენების პირობის დადებას მოითხოვდა (სხვათა შორის, რუსეთის მოთხოვნაც სწორედ ეს იყო!) სანაცვლოდ კი ლტოლვილთა დაბრუნების და კოდორის ხეობის სრული დემილიტარიზაციის ზოგად შეთანხმებას სთავაზობდა. მეორე ეტაპი ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენისკენ მიმართულ ღონისძიებებზე ამახვილებდა ყურადღებას – განსაკუთრებით, ეკონომიკური კუთხით. განიხილებოდა საერთაშორისო დონორთა კონფერენციების ჩატარება ამ საკითხებზე და კონკრეტული, პრაქტიკული პროექტების დაფინანსებაც. მესამე ფაზაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის განხილვა უნდა მომხდარიყო საერთაშორისო შუამავალთა დახმარებით. ივნისის მიწურულს, როდესაც გერმანიამ მოკავშირეებს ეს გეგმა წარუდგინა, გარკვეული შენიშვნების მიუხედავად, ვაშინგტონმა იგი მოიწონა. ამერიკას სურდა, რუსეთთან საერთო ენის გამონახვაში პასუხისმგებლობა ბერლინსაც აეღო საკუთარ თავზე და სჯეროდა, რომ საბოლოოდ, გერმანული გეგმის ამერიკული გეგმის ძირითად დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანაც მოხერხდებოდა. უმთავრესი ამოცანა ის გახლდათ, პროცესი ჩიხში არ შესულიყო და მოლაპარაკებების ნაცვლად ისევ სროლა არ ამტყდარიყო.

თბილისი მიესალმა ბერლინის ინიციატივას, მაგრამ ჯერ მაინც ფრთხილობდა: მოსკოვთან „მძიმეწონიანი მოთამაშე" გერმანიის განსაკუთრებულ ურთიერთობებსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა თბილისისათვის. პრობლემა ის იყო, რომ ქართველები ბოლომდე არ ენდობოდნენ გერმანელებს და პირიქით. ქართველების აზრით, ბერლინი, ცოტა არ იყოს მიამიტურად აღიქვამდა რუსეთის ზრახვებს, ასევე, სხვებზე მეტი გაგებითაც ეკიდებოდა მის პრეტენზიებს კავკასიის საკუთარი გავლენის სფეროდ გამოცხადების თაობაზე. ქართველები ბერლინს ბუქარესტში მაპ-ის საკითხის „დასამარებაშიც" ადანაშაულებდნენ და განსაკუთრებული ეჭვის თვალით უყურებდნენ საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერს, რომელსაც გერმანულ-რუსული კავშირურთიერთობების გაღრმავების ინიციატორად მიიჩნევდნენ. სწორედ გერმანია ხდებოდა ხოლმე სააკაშვილის სიტყვიერი დარტყმების მთავარი სამიზნე და ეს ქვეყანა ყველაზე ხშირად მოჰყავდა ევროპის გულგრილობის მაგალითად.

თბილისს ბერლინის გეგმა მეტისმეტად ცალმხრივად ეჩვენებოდა – ქართველებისაგან გაცილებით მეტ დათმობას ითხოვენ, სანაცვლოდ კი იმდენს ვერაფერს გვპირდებიანო. სხვათა შორის, როცა ეს გეგმა საქართველოსთვის წარდგენამდე ე.წ. მეგობარი ქვეყნების ჯგუფში იხილებოდა რუსეთის თანდასწრებით, ბერლინი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ საქართველო ამ გეგმას უარყოფდა; იმთავითვე სწორედ ეს გახლდათ არა მარტო ე.წ. მეგობარი ქვეყნების პროცესის, არამედ უფრო ზოგადი პრობლემაც – ხსენებული კონფლიქტების მოსაგვარებლად: რუსეთი დე ფაქტო კონფლიქტის მხარე იყო,

მაგრამ ამ ჯგუფის წევრებთან ერთად ისიც „თანამედიატორად“ განიხილებოდა. იმავდროულად, თბილისს არ სურდა პირდაპირ ეთქვა უარი შტაინმაიერის გეგმაზე ან მისი ჩავარდნა დაბრალებოდა. ქართველები მოხარულნი იყვნენ, რომ გერმანიამ, ბოლოს და ბოლოს, ინტერესი გამოავლინა მათი ქვეყნის მიმართ და რეგიონში „შემოსვლის“ სურვილიც გამოამჟღავნა. იმედოვნებდნენ, რომ როცა შტაინმაიერი ადგილზე გაეცნობოდა ვითარებას, გერმანული ხედვა და პოლიტიკაც, ვინძლო, შეცვლილიყო კიდეც.

მაგრამ ხსენებულ ინიციატივებს დიდი დღე არ ეწერა – რამდენიმე მიზეზის გამო: ერთი მათგანი თავად დასავლეთში ერთიანობის არარსებობა გახლდათ; ატლანტის ოკეანის არც ერთ სანაპიროზე არ არსებობდა ის ძალა, რომელსაც ერთი დამაჯერებელი ხმით შეეძლო ელაპარაკა – გნებავთ საქართველოსთან და გნებავთ – რუსეთთან. ამერიკელებიცა და ევროპელებიც ერთნაირად აღიქვამდნენ ვითარების სიმძაფრეს, მაგრამ გამოსავალზე საუბრისას თანხმობას ვერა და ვერ აღწევდნენ. თუკი ვაშინგტონს მიაჩნდა, რომ თბილისზე ზემოქმედების საუკეთესო გზა მასთან მეტად დაახლოება იყო, ევროპელი მოკავშირეები ამას ეჭვის თვალით უცქერდნენ და შიშობდნენ – მსგავი მხარდაჭერა სააკაშვილს „თავში არ ავარდნოდა“. ევროპელები წუხდნენ იმაზე, რომ მათი თვალთახედვით, მოუსვენარ და სულსწრაფ საქართველოს შეეძლო ევროპა რუსეთთან გამოუსწორებელ დაპირისპირებამდე მიეყვანა – ლამის შეძრწუნება იპყრობდათ, როცა ქართველი მაღალჩინოსნები სამხედრო გადაწყვეტაზე ჩამოაგდებდნენ ხოლმე სიტყვას. თავად გერმანელები ნახევარი საუკუნე ელოდნენ აღმოსავლეთ გერმანიასთან „გაყინული კონფლიქტის“ მოგვარების შანსს და თანაც – მშვიდობიანი პირობებით. ძალიან ბევრ ევროპელს მიაჩნდა, რომ მსგავსი სტრატეგიული მოთმინება საქართველოსაც უნდა გამოევლინა და სააკაშვილის სულსწრაფობას ნაკლებად უთანაგრძნობდნენ.

აშშ-ის აზრით, ევროპის თავშეკავების მიზეზი იმთავითვე არასწორი მიდგომა გახლდათ: რუსული საფრთხის არსებობის პირობებში, რაც უფრო მეტად დაშორდებოდნენ ევროპელი მოკავშირეები თბილისს, მით უფრო გაღრმავდებოდა ქართველების იმედგაცრუება და უნდობლობა თავად ევროპის მიმართ, და ქვეყანაში ევროპული გავლენაც მით უფრო შესუსტდებოდა. თუ ევროპელებს მართლაც სურდათ ქართველები დაეოკებინათ, „უნაგირზე წინ უნდა გადახრილიყვნენ და არა – უკან“. ევროპელები ასევე თავს იკავებდნენ მოსკოვის მიმართ უფრო მკაცრი პოზიციის გამოვლენისგან – განსაკუთრებით, როცა საქმე არსებული დიპლომატიური ფორმატების შეცვლას ეხებოდა. ისინი მაინც მოსკოვთან თანამშრომლობას ამჯობინებდნენ და, თანაც, არსებული ჩარჩოების ფარგლებში – ამ ჩარჩოების მთელი ნაკლოვანებების მიუხედავად. საკუთარ მოვალეობად ისინი საერთო თანხმობის მიღწევას კი მიიჩნევდნენ, ოღონდ გადაწყვეტილებების მიღებას რუსეთთან ერთად ცდი-

ლობდნენ და არა რუსეთის წინააღმდეგ. ზოგიერთი ევროპელი გულში იმასაც კი ფიქრობდა, რომ აფხაზეთი საქართველოსთვის მაინც დაკარგული იყო და აქ დიდი პოლიტიკური კაპიტალის დაბანდებისგანაც თავს იკავებდა – იქნებოდა ეს რუსეთზე ზეწოლა თუ საქართველოსათვის დახმარება აფხაზეთის დაბრუნებაში.

მოკლედ, ევროპელებს სურდათ, ვაშინგტონს „მკაცრი სიყვარული" გამოეხატა საქართველოს მიმართ და მასვე ამოედო ლაგამი ქართველებისათვის. თუმცა იმ ნაბიჯების გადადგმასაც ერიდებოდნენ, რაც საქართველოს მთავარ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა და იგივე ამერიკას ამ დაკისრებული ვალდებულების შესრულებას გაუადვილებდა. ვაშინგტონი, ძირითადად, ეთანხმებოდა ქართველთა მოთხოვნებს, მაგრამ ევროპელთა თანადგომაც სჭირდებოდა აუცილებელი ნაბიჯების გადასადგმელად. ბოლოს და ბოლოს, ამერიკული გეგმის არსი ის იყო, რომ აფხაზეთში ევროკავშირი უფრო ფართოდ და აქტიურად ყოფილიყო წარმოდგენილი – მხოლოდ ამერიკელთა იქ ყოფნა მეტისმეტად პროვოკაციული იქნებოდა. ევროპელი მოკავშირეები კი ამგვარი პასუხისმგებლობის აღებას ერიდებოდნენ და ხშირად ვაშინგტონსაც არ უწონებდნენ ამ ზედმეტ დაჟინებას. ივნისის შუა რიცხვებისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ სტრატეგიის შემადგენელი განსხვავებული ნაწილები ვერა და ვერ მთლიანდებოდა. ის, რასაც საქართველოს სთავაზობდნენ, თბილისისათვის საკმარისი არ იყო და ვერც რეგიონში მიმდინარე მოვლენების დინამიკას ცვლიდა. სწორედ ამ დროს, ვაშინგტონში დენ ფრიდი სახელმწიფო მდივან რაისს შეხვდა უკიდურესი დაძაბულობის განსამუხტავად მისი პირადი ჩარევის აუცილებლობაში დასარწმუნებლად.

მეორე მიზეზი, რატომ ვერ იმუშავა ზემოხსენებულმა ინიციატივებმა, თავად რუსეთი გახლდათ. ის აფხაზეთის საკითხზე შექმნილი ე.წ. „მეგობართა ჯგუფის" მთავარი წევრი გახლდათ, ნომინალურად სწორედ ის კისრულობდა რეგიონში სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობაზე პასუხისმგებლობას, მაგრამ რეალურად მსგავსი არაფერი მოუმოქმედია. სინამდვილეში, რუსეთი ჯიუტად ცდილობდა ნებისმიერი იმ ნაბიჯის დაბლოკვას, რასაც თვითონ ვერ გააკონტროლებდა ან თავისთვის არასასურველად მიიჩნევდა. შედეგად, მოლაპარაკებებში ჩართული ამერიკელები მუდამ იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ, რადგან ნებისმიერი ინიციატივის განხილვისას რუსი კოლეგები უკანასკნელ წუთს რაღაც პროცედურულ თუ მეორეხარისხოვან საბაბს პოულობდნენ ვითარების ჩიხში შესაყვანად. ყოველთვის, როცა ესკალაციის განსამუხტავი შემდგომი ნაბიჯის გადადგმაზე მიდგებოდა ხოლმე საქმე, როცა თითქოს შესაძლებელი ხდებოდა აფხაზურ-ქართული უშუალო მილაპარაკებების წამოწყება თუ მათ შორის ნდობის აღდგენის რაღაც ახალი გზის გამონახვა, მოსკოვი ასე თუ ისე ახერხებდა ამ ინიციატივების ტორპედირებას ან იგივე აფხაზებისათვის „ჭკუის არევას".

ეს ყველაფერი უკვე რაღაც დიპლომატიურ კუკუდამალობანას ემსგავსებოდა, რაც თავისთავად ამძაფრებდა განცდას, რომ რუსეთის არაგულწრფელი დიპლომატიური მცდელობები, უბრალოდ, სიცრუის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი და ერთგვარი ნიღაბი იყო – შეტევაზე გადასვლის მოსურნე მოსკოვის სამხედრო სამზადისის შესანიღბავად.

ივნისი უაღრესად დაძაბული თვე გამოდგა თავად ქართველებისათვის – გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის თვალსაზრისითაც. ხელისუფლება გზებს ეძებდა, როგორ ეპასუხა რუსეთის აგრესიული ნაბიჯებისათვის; ასევე აუცილებლად თვლიდა დასავლეთის ყურადღების მიპყრობას და ისეთი ქმედებებისაგან თავის შეკავებას, რაც მოსკოვს ვითარების შემდგომი ესკალაციის საშუალებას მისცემდა. ერთ სავარაუდო ვარიანტად რუსი სამშვიდობოებისათვის მანდატის განუახლებლობაც განიხილებოდა: ქართველებისათვის ალბათ ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი ის გახლდათ, რომ საერთაშორისო თანხმობით მინიჭებულ „სამშვიდობო“ უფლებამოსილებებს მოსკოვი რეალურად ნეოიმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად იყენებდა. ტექნიკური თვალსაზრისით, საქართველოს თანხმობა საჭირო იყო იმ მანდატის გასაგრძელებლად, რაც რუსულ შეიარაღებულ ძალებს ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის შესაძლებლობას მისცემდა. სააკაშვილის რამდენიმე მრჩეველი დაბეჯითებით სთხოვდა მას ამ ბერკეტის გამოყენებას. ამ შემთხვევაში – ამტკიცებდნენ ისინი – რუსებისთვის, ასე ვთქვათ, წამზომი ჩაირთვება და მას 90 დღის განმავლობაში მოუწევს სამშვიდობოების გაყვანა, თუ არადა, მოსკოვს ნიღაბი ჩამოეხსნება და რუსეთს უკვე ოფიციალურად დაერქმევა ოკუპანტი ქვეყანაო.

ცხადია, თბილისს არავითარი ილუზია არ გააჩნდა, რომ მოსკოვი ასე მარტივად აიკრავდა გუდა-ნაბადს და წავიდოდა. უბრალოდ, იმედოვნებდა – ეს ნაბიჯი კიდევ უფრო თვალნათელს გახდიდა რეალურ ვითარებას და მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებულ მის კანონიერ და ზნეობრივ პროტესტს საჯაროდ დააფიქსირებდა. საქართველოს თვალთახედვით, ამით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა იმ ფარსს, თითქოს მოსკოვი მიუკერძოებელი მშვიდობისმყოფელი იყო. სასწაულს არავინ ელოდა – უბრალოდ, სურდათ გამოჩენილიყო რაღაც ის კანონიერი და არასამხედრო გზა, რაც მოსკოვს შეაჩერებდა, ესკალაციას გაანელებდა და ფეთქებადსაშიშ რეგიონში რაღაც ახალი უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას განაპირობებდა. შუა ივნისისათვის, თბილისმა მაინც შეიკავა თავი ამ ნაბიჯისაგან – ამერიკელებისა და ევროპელების დაჟინებული შეგონებების გამო. ისინი თავის მხრივ შიშობდნენ, რომ როცა მსგავსი ნაბიჯის შემდეგ, ასე ვთქვათ, „მტვერი დაჯდებოდა“, საქართველო კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მართალია, არსებული ფორმატები არ ამართლებდა, მაგრამ ამერიკელებისა და ევროპელების აზრით, ფორმატის საერთოდ არარსებობას მაინც სჯობდა. დასავლელებს ისიც

აშფოთებდათ, რომ მსგავსი ნაბიჯი რუსეთთან კონფრონტაციას გარდაუვალს გახდიდა და ამიტომ საქართველოს დასარწმუნებლად რაისმაც და შტაინმაიერმაც თანხმობა განაცხადეს ივნისის თვეში ჩასულიყვნენ თბილისში. ზოგადად დასავლეთის გზავნილი ამგვარ შინაარსს ატარებდა: მოგვეცით შანსი დიპლომატიური პროცესის ხელახლა დაწყება ვცადოთო.

ივლისის თვეში არასამთავრობო ორგანიზაციის ეგიდით შვედეთში გამართულ ღონისძიებებზე მოხერხდა საქართველოს და აფხაზეთის ხელისუფალთა შეხვედრა იმ სამშვიდობო გეგმის ბოლო ვარიანტის განსახილველად, რომელიც გაზაფხულზე ბრაიზამ და ალასანიამ წარმოადგინეს და რომელმაც, ერთი შეხედვით, სოხუმის დაინტერესებაც გამოიწვია. ეს იყო შანსი, აფხაზებსა და ქართველებს რუსების გარეშე ესაუბრათ ერთმანეთთან. ხსენებული გეგმა იმ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას ითვალისწინებდა, რაც აფხაზეთს საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარების საშუალებას მისცემდა, სადემარკაციო ხაზიდან შეიარაღებულ ძალებს უკან დაახევინებდა, საზღვრის გასწვრივ ეთნიკურად ქართულ რამდენიმე მონაკვეთში ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციის შესვლას უზრუნველყოფდა, დაბოლოს, თბილისი ძალის გამოუყენებლობის პირობასაც დებდა. მაგრამ თუ მაისის თვეში აფხაზებმა ამგვარი შეთავაზების მიმართ გარკვეული დაინტერესება გამოავლინეს, ახლა, ქართველების პირისპირ დარჩენილებმა, უფრო ხისტი პოზიცია დაიკავეს. თუმცა იმავდროულად მათ ევროკავშირის დიპლომატებს ისიც მკაფიოდ დაუფიქსირეს, რომ რეგიონში ევროპის უფრო აქტიურ ჩართულობას მიესალმებოდნენ.

პარალელურად, თბილისმა ერთხელ კიდევ გადაწყვიტა საკუთარი დიპლომატიური კამათელი გაეგორებინა: იმედი დიმიტრი მედვედევს უკავშირდებოდა იმ გათვლით, რომ რუსეთის ახალ პრეზიდენტს პუტინივით არ სძულდა საქართველო და იქნებ სამშვიდობო ინიციატივებისა თუ ახალი დიალოგისათვის უფრო მეტი მზადყოფნაც გამოევლინა. სააკაშვილი ჯერ ორ ივნისს ესაუბრა მედვედევს ტელეფონით, შემდეგ კი, ექვს რიცხვში, პირადადაც შეხვდა სანკტ-პეტერბურგში გამართული დსთ-ის სამიტის დროს. მოკლედ, ქართული მხარე ამ ურთიერთობებში ნებისმიერი სახის წინ გადადგმულ ნაბიჯს მიესალმებოდა. ადრე პუტინი მუდამ უარს ამბობდა საქართველოს მიერ შეთავაზებულ ორმხრივ საპრეზიდენტო სამიტზე, მაგრამ თბილისი იმედოვნებდა, რომ შესაძლოა, მედვედევი უფრო დამყოლი აღმოჩენილიყო. სააკაშვილს პეტერბურგში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძე და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია ახლდნენ. ვაშაძემ ურჩია სააკაშვილს – რუსეთის პრეზიდენტთან თავდაპირველად რაიმე საერთო შეხების წერტილი მოენახა და პირდაპირ კონფლიქტებზე არ დაეწყო საუბარი. ორივე პრეზიდენტი განათლებით იურისტი იყო და, ვაშაძის აზრით, უპრიანი იქნებოდა

თუ სააკაშვილი ამ დიალოგს მათი ქვეყნების რეფორმირებისაკენ მიმართული მცდელობების თემით დაიწყებდა.

სააკაშვილი რჩევას დაჰყვა, კონფლიქტები თავიდან არც კი უხსენებია და ძირითადად საკანონმდებლო და ეკონომიკური რეფორმების საკითხები მიმოიხილა. აღნიშნა, პოტენციურად რამდენი საერთო რამ ჰქონდა ამ ორ ქვეყანას და რაოდენ აუცილებელი იყო ორმხრივი კავშირების გაღრმავება. მედვედევი, ცოტა არ იყოს, მოუთმენლობამ შეიპყრო და ბოლოს თავადვე წამოჭრა კონფლიქტების თემა. მაშინ სააკაშვილმა მიტანილი რუკები გაშალა მაგიდაზე და შეეცადა თვალნათლივ დაერწმუნებინა კოლეგა, რა უარყოფითი შედეგები მოიტანა რუსეთის იმგვარმა ბოლოდროინდელმა ნაბიჯებმა, როგორიც იყო რკინიგზის აღდგენა თუ ვითარების ხელახალი ესკალაციის საფრთხის შემცველი სხვა ქმედებები. ამას გარკვეული იწილო-ბიწილო მოჰყვა, მერე კი, დაახლოებით 45 წუთის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სტუმარი მიახვედრა, შეხვედრის დრო ამოიწურაო.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მედვედევმა აღნიშნა, რომ ასეთ რთულ საკითხებზე სასაუბროდ ორივეს მეტი დრო სჭირდებოდა და სააკაშვილს შესთავაზა – სადმე, რუსეთის სამხრეთში, ერთხელ კიდევ შეხვედროდნენ ერთმანეთს. სააკაშვილმა თქვა – ცუდი არ იქნებოდა, ეს შემოდგომამდე ორმხრივი სამიტის ფორმატში რომ მოგვეხერხებინაო და მედვედევიც, ფაქტობრივად, დაეთანხმა. სააკაშვილის ვარაუდით, ამგვარი შეხვედრა სოჭში გაიმართებოდა. მისი აზრით, ეს საუკეთესო ადგილი და შესაძლებლობა იყო აფხაზეთთან დაკავშირებული გორდიას კვანძის გასაკვეთად და იმაზე შესათანხმებლად, ერთობლივად როგორ უნდა ემოქმედათ საქართველოსა და რუსეთს აფხაზეთში, რათა სოჭის ოლიმპიური თამაშები წარმატებით ჩატარებულიყო. იგი ამ თამაშებში ახალი დადებითი დინამიკის შექმნის საშუალებას ხედავდა რეგიონში კონფრონტაციის განმუხტვისა და თანამშრომლობისათვის.

სააკაშვილი იმასაც ფიქრობდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოსა და რუსეთის ინტერესთა იმდაგვარი კომბინაცია აფხაზეთთან დაკავშირებით, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული უთანხმოების მოგვარებას წაადგებოდა. მისი აზრით, უმნიშვნელოვანესი საკითხი საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის აფხაზეთის ომამდე ძირითადად ქართველებით დასახლებულ ადგილებში შესვლა და ლტოლვილთა დაბრუნების უზრუნველყოფა იყო. იგი არ ვარაუდობდა საქართველოს კონტროლის გავრცელებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. სააკაშვილმა გადაწყვიტა ქაღალდზე, მედვედევისათვის მიწერილ წერილში დაეფიქსირებინა შეთანხმებათა ის პაკეტი, რაზეც უკვე კარგა ხანია ნაფიქრი ჰქონდა. ვაშაძესა და ექსპერტთა მცირე ჯგუფთან ერთად მან მართლაც შეადგინა შეთავაზებათა რადიკალური თამამი ნუსხა.

21 ივნისით დათარიღებულ წერილში, სააკაშვილმა პრობლემის შუალედური მოგვარების გეგმა წარმოადგინა, სადაც თავიდან იყო არიდებული სიტყვა „გაყოფა", მაგრამ იგულისხმებოდა პროვინციის ორ ნაწილად გაცალკევება – ერთში საქართველოს გავლენა გავრცელდებოდა, მეორე კი, ფაქტობრივად, რუსეთის ხელში რჩებოდა. პირველ ნაწილში მოიაზრებოდა გალისა და ოჩამჩირის რაიონები, სადაც ომამდე ძირითადად ეთნიკური ქართველები სახლობდენ და ომის შემდეგაც მთლიანად მაინც არ მიუტოვებიათ იქაურობა. იგულისხმებოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, რომელიც ერთობლივად უნდა ემართათ – შერეულ აფხაზურ-ქართულ ან საერთაშორისო ადმინისტრაციას – და რომლის არსებობაც აფხაზებს გარე სამყაროსთან ვაჭრობის შესაძლებლობას მისცემდა. თბილისი ასევე სთავაზობდა შერეული კანონდამცავი სტრუქტურების შექმნას – საერთაშორისო ძალების მონაწილეობითა და ზედამხედველობით – საზღვრისპირა რეგიონებში ორგანიზებული დანაშაულის აღმოსაფხვრელად.

საპასუხოდ, თბილისი ძალის არგამოყენების პირობას დებდა, აღარ აპირებდა დსთ-ის სამშვიდობო მანდატის ეჭვქვეშ დაყენებას და რეგიონში რუსეთის გადახალისებული და გადაადგილებული სამშვიდობო ნაწილების ყოფნას თანხმდებოდა. ასევე გამოხატავდა მზადყოფნას, ეთანამშრომლა მოსკოვთან, რათა სოჭის ოლიმპიური თამაშები – კრემლის პრესტიჟისათვის ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება – წარმატებით ჩატარებულიყო. რაც მთავარია, საქართველო განუსაზღვრელი ვადით ეგუებოდა და თანხმდებოდა რუსეთის დე ფაქტო დარჩენას აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე. ეს არ იყო არც „მიწა – მშვიდობის სანაცვლოდ" და არც ფორმალური გაყოფა: ეს უფრო რაღაც შუალედური და დროებითი გახლდათ. თუმცა, ამგვარი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ორივე მხარე მისდევდა თავის ძირეულ ინტერესებს და, ასე ვთქვათ, „სახესაც ინარჩუნებდა". საქართველო ახერხებდა საერთაშორისო მეთვალყურეობის პირობებში და ადგილობრივი მმართველობის დონეზე თავისი იურისდიქცია აღედგინა აფხაზეთის იმ ნაწილებში, რომლებიც თბილისისათვის უფრო სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი იყო და სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. მართალია, თბილისს აშინებდა ტერმინი „რბილი გაყოფა" და ქაღალდზე მაინც, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ერთგული რჩებოდა, მაგრამ შეთავაზების რეალური არსი მაინც სწორედ ეს გახლდათ.

ეს წერილი 23 ივნისს ხელით ჩაიტანეს მოსკოვში. მისი შინაარსიდან გამომდინარე, არავის სურდა ჩვეულებრივი დიპლომატიური არხებით ესარგებლა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავდაპირველი პასუხი თავაზიანი გახლდათ, თუმცა თბილისს დიდი დრო არ დაჭირვებია იმაში გასარკვევად, რომ მისი იმედები ერთხელ კიდევ გაცრუვდა. 3 ივლისს რუსეთის საგარეო

საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გრიგორი კარასინმა მოსკოვის ოფიციალური პასუხი გადასცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. ვაშაძეს. როცა მან წერილი გახსნა და მის შინაარსს გაეცნო, მიხვდა, რომ ინიციატივა ფუჭი გამოდგა. რუსეთი უარს ამბობდა ქართული პაკეტის ძირითადი შეთავაზებების განხილვაზე – იმის მიუხედავად, რომ ეს ინიციატივები იმ მოსაზრებებს შეიცავდა, რის გატანასაც ადრე თავად მოსკოვი ცდილობდა; პირიქით – ახალი წინაპირობების შემოტანით, რუსეთის მხარე ახლა უკვე კიდევ უფრო ართულებდა ნებისმიერი მოლაპარაკების დაწყებას. კოლეგასთან შეხვედრის დამთავრებისთანავე ვაშაძე პრეზიდენტის კანცელარიისაკენ გაეშურა და სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივან ალექსანდრე ლომაიასთან შევიდა კაბინეტში. „იყო რამე წერილში?" – იკითხა ლომაიამ. „არაფერი, ცარიელი წყალია" – მიუგო ვაშაძემ – „ვატყობ, ცხელი ზაფხული გვექნება...". მეორე დილით, სამხრეთ ოსეთის თოფოსნები ცხინვალის მახლობლად, თვითნაკეთი ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებით, დიმიტრი სანაკოევის მანქანის აფეთქებას შეეცადნენ. ასევე, სროლა აუტეხეს ქართული სკოლის ავტობუსსა და პოლიციის მანქანას. ცხადია, ესეც ერთი ნიშანი გახლდათ – ლაპარაკის დრო დამთავრდა! ვითარება უკიდურესობამდე იძაბებოდა.

6 ივლისს სააკაშვილი ყაზახეთში გაემგზავრა, სადაც დედაქალაქ ასტანას დაარსების მეათე წლისთავთან და ქვეყნის ლიდერის, ნურსულთან ნაზარბაევის დაბადების დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები იმართებოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ იქ მოახერხებდა მედვედევთან დალაპარაკებას, მაგრამ მედვედევს, როგორც ჩანს, არც ჰქონდა სააკაშვილთან შეხვედრის დიდი სურვილი. რუსეთის პრეზიდენტს აღარ გამოუმჟღავნებია ის გულღიობა, რაც სააკაშვილმა ერთი თვის წინანდელი შეხვედრისას იგრძნო და დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, არც ოფიციალურ შეხვედრას დათანხმდა. როცა ლიდერები სასადილოდ მაგიდასთან სხდებოდნენ, სააკაშვილი შეეცადა გვერდზე გაეყვანა მედვედევი და სამიტის იმ იდეის დაჩქარება ეთხოვა, რაზეც თითქოს ივნისში წინასწარ შეთანხმდნენ კიდეც. მედვედევმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, თქვა – საქართველოს პრობლემა მე არ შემიქმნია, მემკვიდრეობით მერგოო – რითაც მიანიშნა კიდეც, ეგ ამბავი ჩემი თავსატკივარი არააო. მერე ისიც დაამატა, ახლა ასეთი სამიტი ნაჩქარევი გამოვა და თუკი რაღაც კონკრეტული შედეგები არ გვექნა, ხალხი იმედგაცრუებული დაგვირჩებაო. როცა სააკაშვილმა უთხრა – ამ ვითარებაზე უარესი რა უნდა იყოს, მედვედევმა მიუგო – ბევრად უარესიცაა შესაძლებელიო და საუბარი ამით დაასრულა...

რამდენიმე დღის შემდეგ, 9 ივლისს, თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი ჩამოვიდა. მისი თვითმფრინავის აეროპორტში დაშვებისთანავე, ოთხმა რუსულმა ავიაგამანადგურებელმა ერთხელ კიდევ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. რეგიონში ჩამოსული უმაღლესი რანგის

ამერიკელი დიპლომატის ვიზიტზე მოსკოვის ამგვარი რეაქცია უჩვეულო რამ გახლდათ. რაისმა და ფრიდმა ჯერ კიდევ თვითმფრინავში მოითათბირეს იმის თაობაზე, თუ რის მიღწევას ისახავდნენ მიზნად. რაისს კარგად ესმოდა, რომ სააკაშვილი თავს მახეში გაბმულად გრძნობდა – რუსებმა ის გვარიანად შეაშინეს და აფხაზეთის დაკარგვის საფრთხეც უკვე სავსებით რეალური ჩანდა. საქართველოს ლიდერს დასავლეთის ნდობაც დაეკარგა და უკვე აღარ სჯეროდა, რომ ვაშინგტონი თუ მისი მოკავშირეები მზად იყვნენ რაიმე წითელი ხაზები შეენარჩუნებინათ და დაეცვათ იგი რუსეთის აგრესიის შემთხვევაში. ქართველებს არც შტაინმაიერის გეგმა მოსდიოდათ თვალში და გერმანიას ეჭვით უცქერდნენ. საქმე ის გახლდათ, რამდენად მოახერხებდა რაისი თბილისის დარწმუნებას და სააკაშვილის დაჯერებას, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო უომრად, მშვიდობიანი გზით აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა.

სააკაშვილი და რაისი ჯერ პრეზიდენტის კანცელარიაში შეხვდნენ ერთმანეთს, მერე კი საუბარი რესტორან კოპალას აივანზე გააგრძელეს, საიდანაც თბილისის მშვენიერი ხედი იშლებოდა. რაისმა პრეზიდენტს უთხრა – ახლა მთავარი ისაა, ძალის გამოუყენებლობის განაცხადი გააკეთოო: „უარის შემთხვევაში, ვერაფერს მოიგებთ – ძალის გამოყენების არჩევანი არც გაქვთ და ეს თქვენც, მეც და რუსებსაც მშვენივრად მოგვეხსენება...". სააკაშვილმა უპასუხა, რომ იგივე სურდა, მაგრამ ეს შეთანხმება უფრო ფართო პაკეტის ნაწილი უნდა გამხდარიყო. რაისმა შესთავაზა, მსგავსი პაკეტის შესამუშავებლად ფრიდი და მისი კოლეგები ქართული მხრიდან ახლავე მისხდომოდნენ მაგიდას. ამერიკელებმა და ქართველებმა მართლაც მაშინვე გადაინაცვლეს გრძელი მაგიდის ბოლოსაკენ და იქვე შეუდგნენ საქმეს. სადილის შემდეგ მოლაპარაკებები სასტუმრო მერიოტში გაგრძელდა. რამდენიმე საათის შემდეგ, მხარეები გერმანული გეგმის ოდნავ სახეცვლილ ვარიანტზე შეთანხმდნენ, სადაც ძალის გამოუყენებლობის პირობაც იგულისხმებოდა. მეორე დღეს, რაისი თვითმფრინავიდანვე დაუკავშირდა ბერლინს – გერმანულ გეგმაში შეტანილ ცვლილებებზე თანხმობის მისაღებად.

გამგზავრებამდე რაისმა და სააკაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ხაზგასმით დაადასტურა აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისადმი. მართალია, მან გააკრიტიკა რუსეთის ბოლოდროინდელი გამოხდომები, მაგრამ ისიც მკაფიოდ განმარტა, რომ აშშ კვლავაც გამოთქვამდა სურვილს – მუშაობა გაეგრძელებინა გაერო-ს გენერალური მდივნის ე.წ. „მეგობართა ჯგუფის" ფორმატში, ხოლო საქართველოს როგორც რუსეთთან, ასევე აფხაზეთთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. თავის მხრივ, სააკაშვილმა ამგვარ დიალოგებში ჩართვის სურვილი მართალია, გამოთქვა, მაგრამ შემდგომ სიტყვა გააგრძელა და ბრალი დასდო რუსეთს, რომ იგი არ

ცნობდა საქართველოს იურისდიქციას ამ ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილზე და რომ „უპრეცედენტო“ საფრთხეს უქმნიდა ცივი ომის შემდგომ ევროპულ წესრიგს: „ესაა მათი პასუხი ნატო-ს გაფართოების გეგმებზე,“ – თქვა მან – „ესაა მათი რეაქცია კოსოვოს დამოუკიდებლობაზე, ესაა მათი რეაქცია რეგიონში აშშ-ის გავლენის გაძლიერებაზე! ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ზოგიერთი ჯერაც ვერ მიხვდა, რომ ცივი ომი, დიდი ხანია, დასრულდა...“ [90]

რაისის გამგზავრების შემდეგ იმედგაცრუებული სააკაშვილი საკუთარი „სათადარიგო“ გეგმის მომზადებას შეუდგა. მან უსაფრთხოების საბჭოს დაავალა, ერთხელ კიდევ გაეთვალათ გზები საქართველოს არსებული სამშვიდობო შეთანხმებების ფორმატიდან გამოსასვლელად. იმავდროულად, დასავლეთის თხოვნისა და რუსეთის პრეტენზიების საპასუხოდ, იგი ფიქრობდა ძალის გამოუყენებლობის თაობაზე ცალმხრივ განცხადებაზეც, რითაც ხაზს გაუსვამდა, რომ ეს თავისთავად გამორიცხავდა სამხედრო ქმედებებისათვის სამზადისს; მოკლედ, იგი აპირებდა ცეცხლის განუახლებლობის განცხადების მიღებას, ოღონდ საკუთარი პირობებით. დიპლომატიური ინსტრუქციები დაიწერა და გამზადდა. დაინიშნა დღეც – 16 ივლისი.

გეგმის გაცხადება შეფერხდა, რათა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერის ვიზიტს დამთხვეოდა. ბერლინს დიდად არ ეამა ვაშინგტონის მიერ წინდაწინ შეთანხმებული გეგმის რევიზია – მართალია, ამერიკელების აზრით, ქართველების დაყოლიება სწორედ ამ გეგმის გადარჩენას შეუწყობდა ხელს, მაგრამ გერმანელები შიშობდნენ, რომ ამით გეგმა, უბრალოდ, ჩაიფუშებოდა. იმავდროულად, გერმანელები ვერც იმას უსაყვედურებდნენ რაისს, რატომ ცდილობ ქართველების „საქმეში გაყვანასო“. შტაინმაიერი რეგიონში სააკაშვილთან და აფხაზ სეპარატისტთა ლიდერ სერგეი ბაღაფშთან შესახვედრად ჩამოდიოდა, მერე კი მოსკოვში მიემგზავრებოდა რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებთან მოსალაპარაკებლად. ვიზიტის ყველა ეტაპზე მან მოახერხა თითოეული მხარისაგან მიეღო უხალისო თანხმობა – ერთხელ კიდევ შეკრებილიყვნენ ბერლინში. ეს მცირე, თუმცა კი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რამაც დიპლომატებს გარკვეული იმედები გაუჩინა, რომ საბაფხულო არდადეგების წინ, ყველაზე უარესის თავიდან აცილება მაინც მოხერხდა. მაგრამ ეს ყველაფერი, სინამდვილეში, მართლა „კატების მწყემსვას“ ჰგავდა... გერმანელი დიპლომატები ჯერ ისევ მომავალი შეხვედრის დეტალებზე მუშაობდნენ, როცა, აგვისტოს დამდეგს, ომიც დაიწყო.

რაისისა და შტაინმაიერის ვიზიტებმა ქართველები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გარკვეული დრო მოიგეს და ომის უშუალო საფრთხე განელდა. არადა, ეს მოჩვენებითი სიწყნარე მხოლოდ ქარიშხლის მომასწავებელი გამოდგა. ქართველები თითქოს ცოტა მოეშვნენ და სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის რამდენიმე წევრმა შვებულებაში გასვლის უფლებაც ითხოვა. თავად სააკაშ-

ვილი ოჯახთან ერთად იტალიაში აპირებდა გამგზავრებას. ივლისის ბოლოს მე მას უკრაინის საკურორტო ქალაქ იალტაში შევხვდი – იქაური ოლიგარქის, ვიქტორ პინჩუკის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე. იმხანად *უოშინგტონ პოსტში* ახალი გამოქვეყნებული მქონდა სტატია, სადაც მკითხველს ვაფრთხილებდი – ომის საფრთხე იქნებ ჯერ არც განელებულა-მეთქი. ამის თაობაზე სააკაშვილთანაც ვისაუბრე. იმ სადილზე მაგიდას ჩვენთან ერთად ელმარ ბროკიც უჯდა – ევროპარლამენტის ერთ-ერთი თვალსაჩინო გერმანელი დეპუტატი. მან გვითხრა – ამას წინათ ევროკავშირში რუსეთის ელჩ ვლადიმერ ჩიჟოვს შევხვდი ბრიუსელში და ვუთხარი – სექტემბერში საქართველოში ჩასვლას ვგეგმავ-მეთქი. რუს დიპლომატს კი ჩაუღიმია და უთქვამს – *იქნებ უფრო ადრე ჩასულიყავით, ვაითუ სექტემბერში გვიანი იყოსო...*

და ეს ასეც მოხდა.

თავი 6

ბრძოლა

2008 წლის 29 ივლისს სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა ძალებმა ქართველი სამშვიდობოების პოზიციებისა და ქართული სოფლების მიმართულებით რამდენჯერმე გახსნეს ცეცხლი. ერთი კვირის შემდეგ რუსეთი და საქართველო უკვე ომის ზღვარზე იდგნენ. 7 აგვისტოს დილით ვაშინგტონში სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, დენ ფრიდმა საქართველოში აშშ-ის ელჩის, ჯონ ტეფტის ელ.ფოსტა მიიღო და „ოხ შენიო!" – წამოიძახა: მიხვდა, უკვე რაღაც გამოუსწორებელი ხდებოდა. სახელმწიფო მდივან რაისის უახლოესი გარემოცვის დილის შეხვედრაზე კი დამსწრენი გააფრთხილა – დიდი საფრთხე არსებობს, საქართველოში ვითარება კონტროლს აღარ დაემორჩილოს და აშშ-ის ხელისუფლების უმაღლესმა ეშელონმა ამას საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოსო. თუმცა ამ დროისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალები უკვე კონფლიქტის ზონის საზღვართან გროვდებოდნენ და სააკაშვილის საგანგებო ელჩი, თემურ იაკობაშვილიც ცხინვალში წარუმატებლად ცდილობდა მოსალოდნელი შეხლა-შემოხლის თავიდან აცილებას. ვაშინგტონის დროით ნაშუადღევს კი ომი უკვე დაწყებული იყო.

მოსკოვმა 7-დან 12 აგვისტომდე დაახლოებით 40,000 ჯარისკაცი გადაისროლა საქართველოში; მათგან 20,000 როკის გვირაბის გავლით შევიდა სამხრეთ ოსეთში, და დამატებით იმდენივე შეიყვანეს აფხაზეთშიც. რუსების ამ რეგიონებში განლაგებული საერთო სამხედრო ძალა სამჯერ აღემატებოდა საქართველოს არმიას, მისი რაოდენობა და შესაძლებლობები გაცილებით ჭარბობდა იმას, რაც საფრთხეში ჩაცვენილი რუსი სამშვიდობოების დაცვასა თუ როდ-აილენდისოდენა სეპარტისტული პროვინციის დამშვიდებას ესაჭიროებოდა. მას იქ სხვადასხვა მიზეზით კარგა ხანია უყრიდნენ თავს და აშკარა იყო, რომ ეს ყველაფერი დიდი ხნით ადრე მზადდებოდა. ბაზებისა და რკინიგზის მოდერნიზაცია, რუსული და სეპარატისტული ძალების ინტენსიური აღჭურვა თანამედროვე იარაღით შემოსევიდან რამდენიმე თვით ადრე, შავი ზღვის

ფლოტის მომზადება - ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ოპერაცია დიდი ხნით ადრე დაიგეგმა.

ქართველები აცხადებდნენ, რომ გვიანი გაზაფხულიდან სულ ცოტა 26 დიდი კონტეინერი დააფიქსირეს, რითაც რუსებმა აფხაზეთში შეიარაღება შეიტანეს. ეს უკანონო ტვირთი მოიცავდა ათეულობით ჯავშანმანქანას, D-30 ტიპის ჰაუბიცებს, SA-11 BUK ანტისაჰაერო სისტემებს, BM-21 „გრადის" სარაკეტო დანადგარებსა და ZSU-23-4 „შილკას" ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს. იგივე შეიარაღების შედარებით მცირე ოდენობა სამხრეთ ოსეთშიც შეიტანეს და წინასწარ განათავსეს ჯავის რაიონში. 2007 წლის ბოლოსათვის, ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი საგანგებო რუსული სამთო ბრიგადები შეიქმნა: 33-ე ბრიგადა დაღესტანში, რომელიც ბოთლიხში განლაგდა და შემდგომ ის სამხრეთ ოსეთში შეიყვანეს; 34-ე ბრიგადა კი – ყარაჩაი-ჩერქეზეთში და მერე აფხაზეთში გადაისროლეს. რუსი მაღალჩინოსნები – მაგ., გენერალური შტაბის უფროსი ნიკოლაი მაკაროვი უკვე ომის შემდეგ ღიად აცხადებდა, როგორ აგროვებდა თავდაცვის სამინისტრო მთელ რუსეთში სხვადასხვა შენაერთებიდან მაღალი ჩინის ოფიცრებს საქართველოს წინააღმდეგ ომში გამოსაგზავნად.[91] ამგვარ პროცესს, ცხადია, დრო და წინასწარი დაგეგმვაც ესაჭიროებოდა.

საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო დარტყმებს ზედ ერთვოდა ინტერნეტ-სივრცეში განხორციელებული შეტევებიც: ეს იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ოპერაციები, ასე ვთქვათ, შეწყვილებული იყო კარგად გათვლილ „კომპიუტერულ" ომთან, რამაც ზოგიერთ ანალიტიკოსს მოსკოვის ქმედებებთან დაკავშირებით ცნება „მეოთხე ფრონტიც" კი გამოაყენებინა. მართალია, დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალნი ფრთხილად ეკიდებოდნენ ამ შეტევების საჯაროდ რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებას, მაგრამ კერძო საუბრებში გაცილებით ღიად საუბრობენ იმ როლზე, რაც მასში მოსკოვმა ითამაშა. თავდაპირველად ეპიზოდური ინტერნეტ-შეტევების მსხვერპლი საქართველო ივლისის თვეში გახდა: 19 ივლისს განხორციელდა შეტევა ქვეყნის პრეზიდენტის პირად ვებ-გვერდზე, რაც თითქმის მთელი დღე-ღამე გაგრძელდა. თუმცა, შეტევების ნამდვილი ტალღა 8 აგვისტოს ნაშუადღევს აგორდა, როცა რუსებმა უკვე სრული სერიოზულობით მოჰკიდეს ხელი ქართული ინტერნეტ-სივრცის ბლოკირებასა და კონტროლს. საქართველოს პრეზიდენტის ვებ-გვერდი საგარეო კონტროლქვეშ მოექცა და იქ ადოლფ ჰიტლერის ფოტოებში ჩასმული სააკაშვილის სახე გაჩნდა.

ე.წ. *ჰაკერთა* განსხვავებული ჯგუფები განსხვავებული ხასიათის შეტევებს ახორციელებედნენ ქართულ ინფრასტრუქტურაზე: ასე მაგალითად, პრეზიდენტის ვებ-საიტს სხვა ჯგუფი აკონტროლებდა, ხოლო საბანკო სექტორზე სხვას მიჰქონდა იერიში. პრეზიდენტის ვებ-გვერდის გარდა, თავდასხმა კიდევ 38 მნიშვნელოვან ქართულ ვებ-გვერდზეც მოხდა, მათ შორის – საგარეო საქმე-

თა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს საელჩოებისა და, ასევე, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციისა და ახალი ამბების სააგენტოების ადგილობრივი ოფისების ვებ-გვერდებზეც.

ამგვარი შეტევები, როგორც ჩანს, მრავალმიზნობრივი იყო: პრეზიდენტის ვებ-გვერდზე შესვლა საქართველოს ხელისუფლების დაცინვასა და გაბიაბრუებას ისახავდა მიზნად და იმის დამტკიცებას, რამდენად დაუცველი იყო ქვეყნის კიბერ-სივრცე და ინფრასტრუქტურა; პოლიტიკურ და საინფორმაციო ვებ-გვერდებზე მიტანილი შეტევები ამცირებდა ხელისუფლების შესაძლებლობას – დაკავშირებოდა გარე სამყაროს და გაევრცელებინა ინფორმაცია; საბანკო სექტორი, როგორც ჩანს, იმისთვის იყო მიზანში ამოღებული, რომ ეკონომიკური ქაოსი გამოეწვია. თბილისის ზოგიერთმა მეგობარმა ქვეყანამ (მაგ., პოლონეთმა და ესტონეთმა) ინიციატივა გამოიჩინეს და საქართველოს ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცეს, მათი საკუთარი ვებ-გვერდები გამოეყენებინა, როგორც კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალება – გარე სამყაროსა და საზოგადოებრიობასთან დასაკავშირებლად.

ეს კიბერ-შეტევები მასირებული, კოორდინირებული და კარგად გათვლილიც გახლდათ. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო და მრავლისმთქმელი მაინც საბანკო და ფინანსურ სექტორებზე მიტანილი იერიშები გამოდგა – ისინი მრავალ ქვეყანაში მოქმედი სისტემების ერთობლიობას მოიცავდა (მათ შორის, თურქეთსა და აშშ-ში) – შეტევების პირველადი წარმომავლობის შესანიღბავად. საამისოდ გამოყენებული იქნა უშუალო შემსრულებლებისა და კომპიუტერული სისტემების სულ სხვა ქსელი, ვიდრე პრეზიდენტის ვებ-გვერდზე მიტანილი იერიშის დროს. ყველა ეს ოპერაცია ნახევარ-ნახევარი საათის ინტერვალით ხორციელდებოდა – 8 აგვისტოს 17.15-დან 12 აგვისტოს 12.45-მდე – აკი სწორედ ამ დროს გამოაცხადა მოსკოვმა ცეცხლის შეწყვეტა, რითაც საკუთარი ძალების დისციპლინასა და კოორდინირებულ, გეგმაზომიერ ქმედებებს გაუსვა ხაზი.

ეს არაა რუსული კვალის ერთადერთი მაგალითი. დასავლელი კიბერ-ომის ექსპერტები დასავლეთის მთავრობებიდან და მათ გარეთ აღნიშნავდნენ, რომ რუსი სამხედროები მზარდ ყურადღებას უთმობდნენ კიბერ-შეტევებს თავიანთ დოქტრინასა და სტრატეგიაში. ამ შეტევათა ერთ-ერთი საკვანძო მონაწილე, Stop Georgia.ru იმ ტყვიაგაუმტარი ქსელის ნაწილად მოსჩანს, რომელიც რუსული დაზვერვის კვალის შესანიღბად ფიქტიურ კომპანიებს ეყრდნობოდა. უსაფრთხოების გამოყენების ფორმების მონაცემებისა და სხვა წყაროების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ შეტევათა კოორდინატორები ღრმად იყვნენ ჩახედულნი პოლიტიკურ და სამხედრო თავდასხმაშიც. თუ შევადარებთ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევის დროსა და მასშტაბს

კიბერ-სივრცეში მიმდინარე პროცესებს, ნათელი გახდება, რომ კიბერ-შეტევა უფრო დიდი კამპანიის სამხედრო და პოლიტიკური ამოცანების ნაწილი იყო. ამ დონის შეტევებს იმდაგვარი პროფესიონალიზმი და რესურსი სჭირდება, რისი უზრუნველმყოფელი მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს.

არსებობს იმის უამრავი მტკიცებულება, რომ რუსეთის შეტევა საქართველოზე – ამერიკის სახელმწიფო მდივან რაისის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ – „მართლაც დიდი ხნით ადრე იყო ჩაფიქრებული". იგი დეტალური სამხედრო დაგეგმვითა და სამზადისით დაიწყო და ზემოაღწერილი კიბერ-შეტევებიც საგულდაგულოდ გახლდათ გათვლილი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2008 წლის გაზაფხულიდან მოსკოვი სულ უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვდა ისრაელისაგან – შეეზღუდა სამხედრო ვეტერანებისა და უსაფრთხოების ექსპერტების გაგზავნა თბილისში თავდაცვითი სტრუქტურების მოდერნიზაციის უზრუნველსაყოფად და საქართველოსათვის ისრაელის მიერ წარმოებული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების მიწოდებაც შეეწყვიტა.[93] ამავე კონტექსტში უნდა გავიხსენოთ ბრძოლების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცხინვალში 50-მდე რუსი ჟურნალისტის მივლინების ფაქტიც. ივლისის ბოლოს საქართველოს კონტრდაზვერვამ მიიღო ინფორმაცია, რომ რუსეთში ექიმებსა და მედპერსონალს ქირაობდნენ ცხინვალში გადასაგზავნად, რომლებიც იქაურ სამხედრო ჰოსპიტალში აგვისტოს დამდეგს უნდა განთავსებულიყვნენ. ცალ-ცალკე არც ერთი ეს ინფორმაცია ცალსახად არაფერს გვეუბნება – ყოველი მათგანი ერთიანი მოზაიკის შემადგენელი კენჭია; ცალ-ცალკე და ერთმანეთთან დაუკავშირებლად, ისინი თითქოს უცნაურად მოჩანან, მაგრამ მათი სწორად და თანმიმდევრულად დალაგების შემთხვევაში, ერთიანი სურათიც ცხადად იკვეთება.

ეს სურათი საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირებისათვის ხანგრძლივ, მეთოდურ სამზადისზე მიუთითებს. მოსკოვის ამ სამხედრო-პოლიტიკური კამპანიის საბოლოო მიზნების ზუსტი დეტალები სადღაც კრემლის არქივებში იმალება; თუმცა ცხადია, რომ მოსკოვი ომისათვის ბოლომდე მაინც არ იყო მზად და სააკაშვილის მოქმედება 7 აგვისტოს გვიან საღამოს მისთვის ტაქტიკური სიურპრიზი აღმოჩნდა, რამდენადაც პუტინიც და მედვედევიც დასაწყისში "პოსტზე" არ იმყოფებოდნენ. პუტინი, ცხადია, პეკინში იმყოფებოდა, და მედვედევმა რუსეთის სახელმწიფო უშიშროების საბჭოს შეკრება მხოლოდ 8 აგვისტოს შუადღისას შეძლო. რუსეთის მასირებული მზადების მიუხედავად, სააკაშვილის მოძრაობამ ერთგვარი ტაქტიკური სიურპრიზის ეფექტი იქონია და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთს საკუთარი გეგმის ამოქმედება მოგვიანებით ჰქონდა ჩაფიქრებული. მაგრამ ეს ტაქტიკური მოულოდნელობა თვეების მანძილზე მიმდინარე სტრატეგიული კამპანიის შუქზეა აღსაქმელი.

კაცმა რომ თქვას, რა იყო რუსეთის სამხედრო ოპერაციის საბოლოო მიზანი? სულ მცირე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის კონსოლიდაცია – მომავალში ამ ტერიტორიების შემოსაერთებლად. ბოლოს და ბოლოს, პუტინსაცა და სხვა რუს მაღალჩინოსნებსაც ხომ არაერთხელ უთქვამთ ქართველებისთვის – დასავლეთისაკენ სწრაფვა ამ მიწების დაკარგვად დაგიჯდებათო. საკითხავი ისაა, ეს მართლაც საბოლოო მიზანი იყო თუ მთლიანად საქართველოშიც სურდათ არსებული წეს-წყობილების შეცვლა. ძნელი დასაჯერებელია, თითქოს ამ მასშტაბის მზადება მხოლოდ და მხოლოდ იმ ორი პაწია მხარის მისატაცებლად იყო გამიზნული, რომლებიც ფაქტობრივად ისედაც მათ კონტროლქვეშ იმყოფებოდა. მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, რომ მოსკოვს იმედი ჰქონოდა ამგვარი ქმედებით, თბილისის რეჟიმს შეუყენებდა წყალს და სააკაშვილის ხელისუფლებაც თავისით, „შიგნიდან“ გატყდებოდა.

იყო ეს ხაფანგი? რაღა თქმა უნდა, მოსკოვს კარგად მოეხსენებოდა, რა თავსატეხს უჩენდა საქართველოს არსებულ ხელისუფლებას თავისი ამ ე.წ. „მცოცავი ანექსიის“ პოლიტიკით. პრეზიდენტ სააკაშვილის მტკიცე რწმენაც, რომ მის ძალაუფლებას დიდი დღე არ ეწერა, თუკი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საბოლოოდ წაჰგლეჯდნენ ხელიდან, მათთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ქართული საკომუნიკაციო ქსელები ხშირად სრულიად დაუცველი იყო ხოლმე, ხოლო სააკაშვილის გარემოცვის განწყობა-მოსაზრებების გამოწვლილვით ცოდნა რუსული დაზვერვის ერთი უმთავრეს საზრუნავთაგანი გახლდათ. იქნებ მოსკოვი უსიტყვოდ სთავაზობდა არჩევანს სააკაშვილს: ან ვითარებას შეეგუე და, ამიტომ ჩამოგაგდებენ, ან ბრძოლის გზა აირჩიე და განადგურდები. სწორედ ეს იყო ის ხაფანგი, რომელსაც მოსკოვი თბილისს წლების განმავლობაში უგებდა; ეს იყო იმის საფასური, რასაც მოსკოვი დამოუკიდებლობისა და საკუთარი გზის არჩევის გამო ითხოვდა – არჩევანისა, რომელიც ეუთოს პარიზისა და სტამბულის ქარტიებით იყო დადგენილი.

პაველ ფელგენჰაუერი – სამხედრო საკითხებში *„ნოვაია გაზეტას“* კარგად ინფორმირებული კორესპონდენტი, შემდგომში წერდა: „ცხადზე უცხადესია, რომ რუსეთის შეჭრა საქართველოში წინასწარ იყო დაგეგმილი და აგვისტოს ომის დაწყება კრემლს ჯერ კიდევ აპრილში ჰქონდა გადაწყვეტილი“. მისივე თქმით, გეგმა „ოსების მიერ ქართველების პროვოცირებას“ ითვალისწინებდა და შემდეგ, „[თბილისის] ნებისმიერი პასუხი მასირებული შეტევის საბაბად იქნებოდა გამოცხადებული.“[94] მერე კი იმასაც ამტკიცებდა, რომ „ომი ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალი იყო – არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას მოიმოქმედებდა თბილისი: ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდა თუ არა. მიზანი საქართველოს ხელისუფლების დამხობა, ქართული ჯარის დაშლა-განადგურება და, საბოლოოდ, ნატოში შესვლაზე ოცნების დასამარება გახლდათ.“[95]

უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ ომი სწორედ სამხრეთ ოსეთში დაიწყო, რადგან რუსეთის მხრიდან საგაზაფხულო-საზაფხულო მზადება უფრო აფხაზეთზე მიანიშნებდა. ეს მხარე სტრატეგიულადაც უფრო მნიშვნელოვანი იყო და საქართველოს უმთავრესი თავსატკივარიც. ქართველ სამხედროთა ყურადღებაც აფხაზეთისკენ იყო მიმართული და სააკაშვილიც სწორედ აფხაზეთის მიმართულებით განიხილავდა სამხედრო მოქმედებების წამოწყების შესაძლებლობას. აკი რუსებიც იქ იმზადებდნენ პლაცდარმს და ივნისის თვეში ქართულმა დაზვერვამ სწორედ აფხაზეთში გათვალა რუსულ ძალებთან შესაძლო დაპირისპირება, თუმცა – მხოლოდ საშემოდგომოდ.[96]

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ნავარაუდევი აფხაზეთში მაინც არ მოხდა. ახლა გვიანია იმაზე მარჩიელობა, რატომ. იქნებ იმიტომაც, რომ ეს ფიზიკურად უფრო ძნელი განსახორციელებელი იყო, ან იქნებ არც ის ხმებია საფუძველს მოკლებული, რომ აფხაზი ლიდერები ბოლომდე რუსების ჭკუაზე არ დადიოდნენ და ამგვარი პროვოკატორების როლსაც ასე ბრმად არ ყაბულდებოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზური და ქართული ძალები, სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, აქ დაშორიშორებული იყვნენ და მათ პოზიციებს გამყოფად მდინარეც ჩაუდიოდა. ასე რომ, დაძაბულობის საბაბით აქ ომის წამოწყება ბევრად უფრო ძნელი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, ვიღაცას ხომ უნდა გადაედგა პირველი ნაბიჯი...

ასეა თუ ისე, ივლისიც მიიწურა და აფხაზეთში ომის ცეცხლი არ დანთებულა. სამაგიეროდ, ამასობაში დაძაბულობამ სამხრეთ ოსეთში იმატა. მარიონეტული რეჟიმი ბევრად უფრო იოლი სამართავი იყო მოსკოვისათვის; თავად ედუარდ კოკოითსაც ერთთავად იმის შიში ჰქონდა, თბილისსა და მოსკოვს შორის რაიმე გარიგების შემთხვევაში მე საერთოდ არ გადამაგდონო. რაც უნდა ცინიკურად ჟღერდეს, სავსებით შესაძლებელია, ომი საკუთარი სავარძლის გამყარების საუკეთესო საშუალებად მიეჩნია. არადა, ეთნიკურად ჭრელი სოფლების ერთმანეთთან სიახლოვე კონფლიქტის პროვოცირებას ზომაზე მეტად აიოლებდა. საკმარისი იყო, სროლა დაეწყოთ, რამდენიმე ქართველი მშვიდობიანი მოსახლე მოეკლათ, ერთი-ორი სამშვიდობო ჯარისკაციც ზედ მიეყოლებინათ და საქმეც გაჩარხული იყო.

რუსული აზროვნებისა და ომის დაგეგმვის თავისებურებები კარგად გამოჩნდა 15 აგვისტოს, გორში გამართულ ვახშამზე, რომელსაც რუსეთის საჰაერო-სადესანტო ძალების მთავარსარდლის მოადგილე და ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის მეთაური, გენერალი ვიაჩესლავ ბორისოვი, მისი მოადგილე – გენერალი ალექსანდრ კოლპაჩენკოვი და საქართველოს ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანი ესწრებოდნენ. ომის წარმატებით დასრულების შემდეგ, ოკუპირებულ გორში სწორედ ბორისოვი მეთაურობდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს და სამოქალაქო ხელისუფლების არარსებო-

ბის პირობებში, რუსი გენერლები წარმოადგენდნენ რეგიონის დე ფაქტო მმართველობას. ბორისოვი ძველი ყაიდის, სასმელის დიდი მოყვარული რუსი გენერალი გახლდათ, რომელიც თავისი ბილწსიტყვაობითა და ანტიდასავლური გამოხდომებით იყო ცნობილი. ქართველებს ძალიან სურდათ მასთან და მის შტაბთან – როგორც საოკუპაციო ძალასთან – კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინათ, რადგან დიდად იყვნენ დამოკიდებულნი რუსი სამხედროების ნებასა და თანამშრომლობაზე – როგორც ოკუპირებული სოფლებისათვის ჰუმანიტარული დახმარების, ასევე დაჭრილებისა და მოხუცების ევაკუაციის საკითხებში.

მოკლედ, იმ საღამოს ადგილობრივმა მოხელეებმა ბორისოვი და კოლპაჩენკოვი დასალევად მიიპატიჟეს. რუსი გენერლების გარდა, სუფრასთან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანი, ალექსანდრე ლომაიაც იჯდა. მწირი პურ-მარილი გაიშალა – პური, ყველი, თევზის კონსერვი, მოხარშული სოსისი, რამდენიმე ბოთლი ლიმონათი და, ცხადია, არაყი. ლომაიამ რუს გენერლებს ჰკითხა – რა გინდათ საქართველოში და საერთოდ, აწი რას აპირებთო? კოლპაჩენკოვი, როგორც ჩანს, შეკითხვამ არ გააკვირვა – ის კი არა, თითქოს ელოდა კიდეც.

მერე მარჯვენა ხელი ასწია და ხელისგულთან მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი მიიტანა: „აი, საქართველო...“ – თქვა – „დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე. იოლად დასათრევი ქვეყანაა. დასავლეთით აფხაზეთის და აღმოსავლეთით სამხრეთ ოსეთის ხელში ჩაგდებით, ამ ქვეყანას ახლა სულ ნაწილ-ნაწილ ვშლით... მთავარ საჰაერო და საზღვაო პორტებს ვბომბავთ, არმიას მომარაგების გარეშე ვტოვებთ, მერე კი ვსხდებით და ველოდებით, სანამ სასოწარკვეთილი მოსახლეობა ხელისუფლებას არ დაამხობს!“ ლომაიამ გენერალს ეს იშვიათი პირდაპირობა შეუქო; კოლპაჩენკოვმა გაიღიმა და უპასუხა – მე ხომ ერთი უბრალო ჯარისკაცი ვარო.[97]

სააკაშვილის ბრძანება 7 აგვისტოს, 23.35 საათზე გამოცხადდა. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მითითება მიეცათ ბრძოლა გაემართათ, რომლისთვისაც არც სათანადოდ მომზადებულნი იყვნენ და არც – გაწრთვნილნი. თავდაცვის სამინისტროში მომზადებული სამოქმედო გეგმები, ძირითადად, აფხაზეთზე იყო გათვლილი, რადგან თბილისი იქ უფრო სავარაუდოდ მიიჩნევდა კონფლიქტის განახლებას და, შესაბამისად, 2006 წელს ოქრუაშვილის გადადგომის შემდეგ, სამხრეთ ოსეთის მიმართულებით არავითარი რეალური გეგმები აღარ განხილულა. თავდაცვის სამინისტრომ მიიჩნია, რომ ფრონტის მთავარი ხაზი აფხაზეთი იქნებოდა, ხოლო სამხრეთ ოსეთში – უკვე აქედან გამომდინარე – რუსები და ოსები შესაძლოა, მხოლოდ მეორე ფრონტის გახსნას ცდილიყვნენ. სცენარის ამგვარი განვითარების შემთხვევაში ქართველების ამოცანად მხოლოდ ის რჩებოდა, როგორმე სამხრეთ ოსეთიდან მომდინარე საფრთხეები შეეზღუდათ და ძირითადი ყურადღება მაინც აფხაზეთზე გადაე-

ტანათ. 7 აგვისტოს საღამოს, როცა თავდაცვითი გეგმების შედგენაზე პასუხისმგებელ პირებს სამხრეთ ოსეთში შესაძლო ოპერაციების გათვლა მოსთხოვეს, თაროებზე მხოლოდ „შავად" მოხაზული გეგმები მოიძიეს, მაგრამ ისინი უკვე მოძველებული და სრულიად გამოუსადეგარიც აღმოჩნდა. ასე რომ, ეს ბრძანება სახელდახელოდ შესრულდა.[98]

მეორე დიდი დაბრკოლება ის გახლდათ, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ ერთ ფრონტზე ბრძოლისთვის საჭირო ცოცხალი ძალა გააჩნდათ. თბილისის ხელისუფლების განკარგულებაში 5 ბრიგადა ირიცხებოდა: ელიტური პირველი ქვეითი ბრიგადა ერაყში იმყოფებოდა; ამერიკას თუ არ ჩავთვლით, საქართველოს იქ ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი კონტინგენტი ჰყავდა მივლინებული, რითაც ცდილობდა, ვაშინგტონის კეთილგანწყობა მოეპოვებინა და ნატოში გაწევრიანების საკითხიც გაეიოლებინა. მე-2 ქვეითი ბრიგადას ახალი მომთავრებული ჰქონდა ერაყში სამსახური და ახლა აფხაზეთის საზღვრის სიახლოვეს, სენაკის ბაზაზე იყო განლაგებული; მე-3 და მე-4 ბრიგადები ერაყში გადასროლამდე ქუთაისთან გადიოდნენ წვრთნებს; მე-5 ბრიგადა კი, არსებითად, საწრთვნელი შენაერთი იყო. სამხრეთ ოსეთში საბრძოლველად საქართველოს შეეძლო მხოლოდ 2 ბრიგადა გაეგზავნა, ხოლო მესამე – სახელდახელოდ გადმოესროლა სენაკიდან, ოღონდ ამით უკვე აფხაზეთთან საზღვარს დატოვებდა დაუცველს. რაც კიდევ უარესია, ომის დაწყებამდე სულ ორიოდე კვირით ადრე, რამდენიმე თვის მანძილზე სრულ მზადყოფნაში მყოფ საქართველოს არმიას ასე ვთქვათ, „მოშვების" უფლება მისცეს და სამხედროების ლამის ნახევარი შვებულებით გაუშვეს შინ. საქართველოს ისედაც მოკრძალებული სატანკო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილიც თბილისში დააბრუნეს შესაკეთებლად და განსაახლებლად, ამიტომ ომის დაწყებისას ეს ძალაც გამოუსადეგარი იყო.

თუმცა უმთავრესი პრობლემა მაინც ის გახლდათ, რომ ქართული ჯარი, უბრალოდ არ იყო სათანადოდ გაწვრთნილ-აღჭურვილი რუსეთის მსგავს მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად. შესაძლოა, ბედის უდიდესი ირონია ისიც იყო, რომ საქართველოს ნატოსკენ სწრაფვამ, იმავდროულად, არაპირდაპირ მაინც იმოქმედა ამ მზადყოფნის არასაკმარის დონეზე: ერთი მხრივ, ქართველები კარგად აცნობიერებდნენ, რომ უმთავრესი საფრთხე აშკარად რუსეთი იყო, მაგრამ ნატოში გაწევრიანებასაც ჯიუტად ითხოვდნენ. არადა, ალიანსის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მისი დოქტრინისა და სტანდარტების დაცვა იყო აუცილებელი, რაც, თავის მხრივ, კანდიდატი ქვეყნების მიერ ტერიტორიული თავდაცვის სტრატეგიიდან აქცენტების გადატანას სამშვიდობო თუ ე.წ. „ახალ მისიებზე" გულისხმობდა. შესაბამისად, ქართულ სამხედრო დოქტრინაშიც რუსეთის მხრიდან მომავალი საფრთხის არასათანადოდ შეფასება აისახა. წვრთნა და ჯარის მომარაგებაც მხოლოდ ზემოხსენებულ მიზნებზე იყო გათვლილი.

აშშ-ც კი, რომელიც საქართველოს უმთავრეს პოლიტიკურ პარტნიორად მიიჩნეოდა, რუსეთის გაღიზიანების შიშით, უკიდურესად ფრთხილობდა, როცა საქმე თავდაცვით-საწვრთნელ პროგრამებს შეეხებოდა და ცდილობდა ტერიტორიული თავდაცვის კლასიკური ამოცანისათვის შეძლებისდაგვარად აევლო გვერდი.[99] საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის ვაშინგტონისეული პროგრამა თავდაპირველად მხოლოდ პასუხი იყო მოსკოვის მოთხოვნაზე – საქართველოს რუსეთის შეიარაღებული ძალები პანკისის ხეობაში შეეშვა ჩეჩენი ტერორისტების გასანადგურებლად (1999წ.). შემდგომი წვრთნები უკვე გარკვეული ანტიტერორისტული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების დაჩქარებას ისახავდა მიზნად – მათი შენაერთების ერაყში გადასასროლად. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა ნატოელმა მოკავშირეებმა, ასევე უარი უთხრეს საქართველოს შეიარაღების იმ თანამედროვე სისტემების მიყიდვაზე, რომლებიც მოსკოვს შესაძლოა, პროვოკაციულად ჩაეთვალა. ასე მაგალითად, თბილისს სურდა შეეძინა სტინგერის მხარზე გასადები რაკეტები, რაც, თავის მხრივ, მრავალი თვალსაზრისით, საუკეთესო თავდაცვითი იარაღია და შეიძლებოდა მნიშვნელოვანი როლიც ეთამაშა რუსეთის მხრიდან შვეულმფრენებითა თუ სადესანტო ძალებით განხორციელებული შეტევების აღსაკვეთად. როცა 2007 წლის ბოლოს საქართველომ სტინგერები მოითხოვა, აშშ-მ თავდაცვის სამინისტროს საგანგებო გუნდი მოავლინა იმის გასარკვევად, რამდენად შეძლებდა თბილისი ამ იარაღის უსაფრთხოების დაცვას და რამდენად უზრუნველყოფდა, რომ ისინი ტერორისტთა ხელში არ მოხვედრილიყო. ხსენებულმა გუნდმა მიიჩნია, რომ საქართველო სრულად იყო საამისოდ მზად, მაგრამ ამ სისტემის მიყიდვა – რომელიც, სავარაუდოდ, დიდადაც აამაღლებდა საქართველოს თავდაცვისუნარიანობას, საბოლოოდ მაინც დაიბლოკა: აშშ-სა და რუსეთს შეთანხმება ჰქონდათ დადებული, რაც მსგავსი სისტემების ვინმესთვის მიყიდვას ზღუდავდა და ვაშინგტონიც გამონაკლისს ვერ დაუშვებდა.

როცა 8 აგვისტოს სისხამ დილით, საარტილერიო მომზადების შემდეგ, საქართველოს შეიარაღებული ნაწილები საწყისი პოზიციებიდან დაიძრნენ, ისინი არასრულად იყვნენ დაკომპლექტებულნი და 24 საათის წინ, თუნდაც ნაჩქარევად შედგენილი გეგმაც კი გვერდზე დარჩათ. არ არსებობდა ერთობლივად, თუნდაც ბრიგადის დონეზე მოქმედების გამოცდილება და არც მოწინააღმდეგესთან – რუსეთის არმიასთან გამკლავებისათვის საჭირო წვრთნა და აღჭურვილობა გააჩნდათ. სწორედ რუსეთის არმია იყო ის მოწინააღმდეგე, რომლისაც საქართველოს ყველაზე მეტად ეშინოდა, თუმცა ნატოსთან მიახლოებისა და, საბოლოოდ, ალიანსში გაწევრიანების შანსების გაზრდის მცდელობის მთელ გზაზე, საქართველო, იმავდროულად, თავდაცვითი მზადების ძირითად სამიზნედ, სავსებით შეგნებულად, სწორედ რუსეთს არ სახავდა. ეს კი, ცხადია, ომის დასაწყებად საუკეთესო წინაპირობად ვერაფრით ჩაითვლებოდა.

ქალაქი ცხინვალი ერთგვარი ქვაბულია – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მაღლობებით შემოსაზღვრული; ქართული გეგმა სამი მიმართულებით წინსვლას გულისხმობდა: თავად ქალაქის ცენტრისა და სწორედ ამ მაღლობებისაკენ. ქართველებისათვის ქალაქის ცენტრში მთავარი ამოცანა მისი წარმატებით გავლა და საბოლოოდ ცხინვალის ჩრდილოეთით გასვლა გახლდათ, სადაც თავმოყრილი იყო ეთნიკურად ქართული, ყველაზე უფრო დაუცველი სოფლების უმეტესობა. ამ ამოცანის შესრულება უკანასკნელ წუთს გენერალ მამუკა ყურაშვილს დაევალა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გადადგა შერეული სამშვიდობო კონტინგენტის ქართული ნაწილების სარდლობიდან და კარგად იცნობდა როგორც ქალაქს, ასევე მის შემოგარენსაც. მის დაქვემდებარებაში შედიოდა სხვადასხვა ქვედანაყოფიდან ალალბედზე თავმოყრილი ნაწილები, რომლებსაც მანამდე ერთობლივად არასოდეს უმოქმედიათ. დიდი წილი კი პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები იყო, ვინაიდან ქართველები ვარაუდობდნენ, რომ ქალაქში მრავალი სპეცოპერაციის ჩატარებაც მოუწევდათ.

ყურაშვილს ფაქტობრივად, არც შტაბი ჰყავდა და არც სამეთაურო პუნქტი გააჩნდა. მისი რადიოგადამცემებიც ვერ უკავშირდებოდა იმ ორ ქვეით ბრიგადას, რომელიც მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე, მაღლობების სიახლოვეს იყო განლაგებული. დასავლეთ ზონა ჩაბარებული ჰქონდა მე-4 ბრიგადას, რომელსაც ეთნიკურად ქართული სოფელ ავნევის დაცვა და ცხინვალის დასავლეთით, სოფელ ხეთაგუროვოს მახლობლად მდებარე იმ სიმაღლის დაკავება დაევალა, საიდანაც სამხრეთ ოსეთის არტილერია ცეცხლს უშენდა ქართველი სამშვიდობოების პოზიციებსა და ქართულ სოფლებს. მსგავსი პასუხისმგებლობა, ოღონდ უკვე აღმოსავლეთით, ქართველების მიერ კონტროლირებადი სოფლების დასაცავად და სიმაღლეების დასაკავებლად, მე-3 ბრიგადასაც დაეკისრა. მასაც უნდა ჩაეხშო მოწინააღმდეგის ცეცხლი ქართული სოფლებისა და სამშვიდობო პოზიციების მიმართულებით.

ცხინვალის დაკავებისა და მერე ჩრდილოეთით ქართული სოფლებისაკენ გასვლის მცდელობისას საქართველოს საგანგებო დანიშნულების ძალებს ბრძოლაში იმ ადგილობრივ სამხრეთ ოსურ, რუსულ და ჩრდ. კავკასიურ რაზმებთან მოუწიათ შეხლა, რომლებიც ან წინდაწინვე იყვნენ გამაგრებულნი ცხინვალში, ან ახლა შემოდიოდნენ ქალაქში; მოსახლეობისაგან ძირითადად დაცლილ ქალაქში ქართველებს იმაზე მეტი წინააღმდეგობა შეხვდათ, ვიდრე ვარაუდობდნენ. არსებობს დიდი ალბათობა, რომ კონკრეტულად რუსულ ქვედანაყოფებში ის ძალებიც შედიოდნენ, რომელთა ჯავიდან გადაადგილება წინა დღით დააფიქსირა ქართულმა დაზვერვამ და რამაც სააკაშვილის საბოლოო ბრძანება განაპირობა. ცხინვალში მტრის ძალის დიდი რაოდენობით არსებობა იმას ნიშნავდა, რომ ქართველებს ქალაქში დამატებითი ნაწილები უნდა შემოეყვანათ იმ ორი ბრიგადის ხარჯზე, რომელთაც, წესით, მთავარი და

შემოვლითი გზები უნდა გადაეკეტათ – რუსული ნაწილების ჩრდილოეთიდან წინსვლის შესაფერხებლად.

რუსულ ძალებთან პირველი შეტაკების ლომის წილის საკუთარ თავზე აღება ქალაქიდან ჩრდილო-დასავლეთით განლაგებულ მე-4 ბრიგადას მოუწია და იმ პირველ დღეს ცხინვალში სწორედ მან განიცადა ყველაზე მძიმე დანაკარგი. მის ერთ-ერთ ბატალიონს ებრძანა გადაეკეტა ცხინვალიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი, უაღრესად მნიშვნელოვანი, *ძარას* შემოვლითი გზა და ქალაქში რუსების შემოსვლა არ დაეშვა. როდესაც ყურაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი საგანგებო დანიშნულების ძალების მეტი წილი ცხინვალში გასაჭირში ჩავარდა, მე-4 ბრიგადის რამდენიმე ქვედანაყოფი მის მისახმარებლად გადაისროლეს. როცა ერთ-ერთი მათგანი, 41-ე ბატალიონი ჩრდილოეთიდან ცხინვალში მობრუნდა, რუსი სამშვიდობოების ჯავშანმანქანებსა და ქვეით ჯარს გადააწყდა. ამ მანქანებს გვერდებზე დიდი ლურჯი წრე ეხატა, რომელშიც რუსული ასოები – M და C იყო ჩაწერილი. ქართველებს ნაბრძანები ჰქონდათ, რუსი სამშვიდობოებისათვის არ ესროლათ, თუკი ისინი პირველები არ გახსნიდნენ ცეცხლს. 41-ე ბატალიონის მეთაურმა, მაიორმა შალვა დოლიძემ ბრძანება შეასრულა და რუს სამშვიდობოებს გავლის საშუალება მისცა. ეს მისი უკანასკნელი ბრძანება გამოდგა – ქართულ შენაერთთან მოახლოებულმა რუსებმა უეცრად ცეცხლი გახსნეს, დოლიძეც გამოასალმეს სიცოცხლეს და მისი რამდენიმე ოფიცერიც...

ქართული შენაერთები დიდ გასაჭირში იყვნენ – ბრძოლის დაწყებისთანავე მოიშალა მართვა და კონტროლი; უკვე ომის შემდეგ გაკეთებული შეფასებებით დადგინდა, რომ უკიდურესად მოიკოჭლებდა კომუნიკაციებიცა და დაზვერვაც, რადიოგადამცემები წესიერად ვერ მუშაობდა და მეთაურებს ხშირად მობილური ტელეფონებით ან სულაც პირადად უწევდათ ერთმანეთთან დაკავშირება. ხშირი იყო პოლიტიკოსთა ჩარევა სამხედრო ხელმძღვანელობის ჯაჭვში. აღმოჩნდა, რომ ასევე შეცდომა იქნა დაშვებული, როცა გარკვეული დრო არ დაეთმო ცხინვალში ცალკეული შენობების „წმენდას“, ვიდრე ქართული ნაწილები ქალაქს გადაივლიდნენ და ჩრდილოეთით პოზიციებს დაიკავებდნენ. მოწინააღმდეგე სწორედ ამ სახლებში იყო გამაგრებულ-ჩასაფრებული და ზურგიდან უხსნიდა ცეცხლს ქალაქში შესულ ქართველებს. რამდენჯერმე ჩრდილო გარეუბნისაკენ ბრძოლით მიმავალმა შენაერთებმა საერთოდ ვერც მოახერხეს მთავარ შტაბთან დაკავშირება და ბრძოლით მოუწიათ უკან მობრუნება.

თავდაპირველად, ქართველებმა გარკვეულ წარმატებას მაინც მიაღწიეს: მათ რამდენიმე საარტილერიო ქვედანაყოფი თამარაშენში, ცხინვალიდან ჩრდილოეთით განალაგეს, საიდანაც როკის გვირაბის შემოსასვლელის გაკონტროლება შეიძლებოდა. ჩეხური წარმოების, „დანას“ ტიპის თვითმავალი დანადგარებიდან და ისრაელის „გრადლარის“ ქვემეხებიდან დაშენილმა

კლასტერულმა ჭურვებმა ნამდვილი პანიკა დათესა როკის გვირაბიდან სამხრეთისაკენ მომავალ რუსულ კოლონაში; ქართულმა არტილერიამ ასევე ზიანი მიაყენა ჯავიდან ცხინვალისაკენ დაძრულ რუსულ ძალებს. რუსები ასევე შეაფერხა მათი ტექნიკის გაფუჭებამ ჩრდილოეთიდან მომავალ ერთადერთ გზაზე: 8 აგვისტოს დილისათვის, ქართული ნაწილები უკვე ცხინვალის მნიშვნელოვან ნაწილს და მიმდებარე სიმაღლეებსაც აკონტროლებდნენ.

მაგრამ მთელი იმდღევანდელი მძიმე ბრძოლების შედეგად, ქართველები იძულებულნი გახდნენ ქალაქში დაებრუნებინათ ის ძალებიც, რომლებსაც, წესით, ცხინვალის ჩრდილოეთი მისადგომები უნდა დაეცვა. რუსების არტილერიამ და საჰაერო შეტევებმა თანდათან გამოიღო ნაყოფი და რუსული და სამხრეთ ოსური შენაერთებიც კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. მათ ქალაქის გარეუბნებს მოაღწიეს, სადაც ქართულმა არტილერიამ ერთხელ კიდევ მოახერხა მათი შეჩერება. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და შებინდებისას ცეცხლი შეწყდა, რათა ორივე მხარეს ძალების გადაჯგუფება მოეხერხებინა. ყველაზე დიდი პრობლემა გახლდათ ჩრდილოეთიდან მომავალი რუსული ძალების რიცხოვნობა და, რაც მთავარია, რუსული ავიაგამანადგურებლებისა და შვეულმფრენების განუწყვეტელი შემოტევები.

ამასობაში, ვაშინგტონი ცდილობდა გაერკვია, კონკრეტულად რა ხდებოდა საქართველოში. აშშ-ს თავისი სადაზვერვო თანამგზავრები, ძირითადად, ერაყსა და ავღანეთზე ჰქონდა მიმართული; შედეგად, სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურების თვალი და ყური უკვე მთელი სიზუსტით ვერ აღიქვამდა განვითარებული მოვლენების სურათს და არც დეტალური ინფორმაცია გააჩნდა. ამგვარი ინფორმაციის არარსებობისას კი წამყვანი პოლიტიკოსები ურთიერთგამომრიცხავი ნაამბობისა და ახსნა-განმარტებების ამარა დარჩნენ – ვერ გაერკვნენ, ვის რა ბრალი მიუძღოდა ყოველივე ამაში და რამდენად შორსმიმავალი იყო რუსეთის ზრახვები. ომის დაწყებისას რეგიონში ასამდე ამერიკელი სამხედრო მრჩეველიც იმყოფებოდა, რომლებიც ქართველ ჯარისკაცებს ერაყის მისიისათვის ამზადებდნენ და ცხადია, საჭირო იყო მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვაც. ვაშინგტონი გააფთრებული ჩანდა იმის გამოც, რომ უამრავი გაფრთხილების მიუხედავად, ქართველებმა ეს ნაბიჯი მაინც გადადგეს. ზოგნი უკვე იმასაც ფიქრობდნენ, იქნებ რუსეთის საფრთხე სათანადოდ ვერ შევაფასეთ და ბოლო რამდენიმე თვის წინ ქართველების მხრიდან ატეხილი განგაშიც იქნებ საფუძვლიანი იყოო.

ზოგი ამერიკელი მაღალჩინოსანი ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ კონფლიქტის ჩაცხრობა მოხერხდებოდა და რუსები მხოლოდ სამხრეთ ოსეთიდან ქართველების გამოდევნით შემოიფარგლებოდნენ. ვითარება მალე შეიცვალა. პრეზიდენტი ბუში პეკინში იმყოფებოდა ოლიმპიური თამაშების გახსნაზე (შემდგომში იქ მისი და პუტინის საუბარსაც შევეხებით). მაგრამ ერთი რამ აშკარა იყო

– ბუშის ადმინისტრაციამ საკუთარი პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად იმთავითვე ბალტიიდან შავ ზღვამდე ერთიანი და თავისუფალი ევროპის შექმნა დაისახა; თბილისის მიერ დაშვებული შეცდომები ერთია, მაგრამ მოსკოვმა დაარღვია აღნიშნული კონცეფცია და ის უმთავრესი პრინციპები რასაც ევროპული უსაფრთხოება უნდა დამყარებოდა. ახლა ვაშინგტონი შიშობდა, რომ მოსკოვი კიდევ უფრო შორს წავიდოდა, სრულად ისარგებლებდა სააკაშვილის შეცდომით და უმძიმეს დარტყმასაც მიაყენებდა მას. როგორც ერთ-ერთმა ამერიკელმა ჩინოსანმა განაცხადა: *ვიცოდით, რა მოუთმენლად ელოდა მოსკოვი ამ შანსს და მთელი ჩვენი პოლიტიკა ამის შეჩერება და შეზღუდვა უნდა ყოფილიყო.*

ამერიკის საფუძვლიანი ჩარევისა და ქმედითი პასუხის გარეშე საქართველო სულ რამდენიმე დღეში შეიძლება განადგურებულიყო. ვაშინგტონმა სწრაფად დასახა რამდენიმე უმთავრესი მიზანი: პირველი – ცეცხლის რაც შეიძლება სწრაფად შეწყვეტას და რეგიონში მოსკოვის სამხედრო-ტაქტიკური წარმატებების შემოზღუდვას გულისხმობდა; მეორე – რუსეთის სამხედრო ძალის გამოყენებით მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის და დემოკრატიულად არჩეული საქართველოს ხელისუფლების დამხობის აღკვეთას; მესამე – მოსკოვისათვის იმის მკაფიოდ განცხადება იყო, რომ ამ ქმედებისათვის საფასურის გადახდა მოუწევდა და ეს შეტევა ამად არ ღირდა. ვაშინგტონს სურდა, შეეკავებინა მოსკოვი შემდგომში მსგავსი ავანტიურული ცდუნებებისაგან – იქნებოდა ეს ამიერკავკასიაში, უკრაინასა თუ თუნდაც უკვე ნატოს წევრ ბალტიისპირეთში. რა სამხედრო წარმატებისთვისაც არ უნდა მიეღწია მოსკოვს საქართველოში, ვაშინგტონი აპირებდა საპირწონედ იმგვარი სტრატეგიული, დიპლომატიური და ეკონომიკური საზღაური დაეწესებინა, რაც რუსეთს მეზობლების მიმართ მომავალში მსგავსი ნაბიჯების გადადგმაზე ხელს ააღებინებდა.

იმავდროულად, ვაშინგტონს არ სურდა ცალმხრივად ემოქმედა და ეს დაპირისპირება აშშ-რუსეთის იმგვარ ორთაბრძოლად ექცია, რასაც შესაძლოა ახალი ცივი ომი, ან სულაც სამხედრო შეხლა გამოეწვია. პრეზიდენტ ბუშის აზრით, ეს არ იყო აშშ-რუსეთის კონფლიქტი და მისი ამგვარ ფაზაში გადაყვანაც დიდი შეცდომა იქნებოდა. ბუშის ადმინისტრაცია ხედავდა, რომ ამერიკის ცალმხრივ ინიციატივას სწორედ ამგვარი კონფრონტაციის გამოწვევა შეეძლო და ევროპელები გვერდზე გასადგომად განეწყო. ამერიკელებმა კარგად იცოდნენ, ჯერ კიდევ რაოდენ არაპოპულარულნი იყვნენ ევროპაში და ისიც ესმოდათ, რა მწირი საშუალებები გააჩნდათ მოკავშირეთა დასარაზმად და გასაერთიანებლად. ეს იმის კიდევ ერთი მაგალითი გახლდათ, რამდენად უზღუდავდა შესაძლებლობებს ამერიკულ პოლიტიკას აშშ-ევროპის ურთიერთობების გაგრილება და, ზოგადად, ერაყის ომის შედეგად ჩამოყალიბებული შეხედულება თავად ამერიკულ საზოგადოებაში.

ბუში იმასაც უფრთხოდა, რომ მედია გააზვიადებდა აშშ-რუსეთის დაპირისპირების საფრთხეს და მთავარ ამბადაც სწორედ ამას აქცევდა და არა რუსეთის ქმედებებს საქართველოს მიმართ. ამას კი შესაძლოა, არა მარტო ყურადღება გადაეტანა საქმის ჭეშმარიტი არსიდან, არამედ იმის საფრთხეც არსებობდა, რომ ერთგვარ თვითკმარ წინასწარმეტყველებად იქცეოდა. ბუშს აშფოთებდა, რომ პუტინი ამერიკის მკვეთრ პასუხს ანტიამერიკანიზმის შემდგომი გაღვივებისათვის გამოიყენებდა ევროპაშიც და თავად რუსულ საზოგადოებაშიც. მოკლედ, ადმინისტრაციას სურდა მკვეთრი პასუხი გაეცა ამ ყველაფრისათვის, ოღონდ პირველი ვიოლინოს ფუნქცია მაინც ევროპისათვის დაეთმო. ცხადია, ჩარევას კი აპირებდა, მაგრამ მაინც კულისებიდან, რათა აშშ-რუსეთის დაპირისპირების საფრთხე მინიმუმამდე დაეყვანა.

ამგვარი „განზე დგომის" გადაწყვეტილება კარდინალური იყო – მას ჰქონდა შედეგები საქართველოსათვის და ომის შეჩერების ფორმისათვის. ვაშინგტონი აცნობიერებდა, რომ ამით მისი გავლენა, მართალია, შესუსტდებოდა, მაგრამ მაინც მზად იყო მსგავსი რისკის გასაწევად და, რაც მთავარია, ეს არ გახლდათ კრიტიკოსთა ნავარაუდევი სტერეოტიპული პასუხი. რამდენად სწორი იყო იგი, ამას ისტორიკოსები განსჯიან, მთავარი კი ისაა, რაც ეროვნული უსაფრთხოების ყოფილმა მრჩეველმა, სტივ ჰედლიმ განაცხადა: „გვინდოდა რუსებისთვის გვეთქვა – საქმე იმაში არაა, რომ ამერიკა და მისი მეგობრები თქვენს დასჯას იწყებენ. ეს, უბრალოდ, 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემის პასუხია, რომ მე-19 საუკუნის წესები ახლა უკვე სრულიად გამოუსადეგარია!" მოკლედ, ვაშინგტონს სურდა, მოსკოვი დარწმუნებულიყო, რომ მთელი სამყარო ეწინააღმდეგებოდა მის განზრახვებს, რუსული ჯარის მოქმედებებს და ამით ხაზს უსვამდა, რამდენად შეუთავსებელი იყო მოსკოვის ნაბიჯები 21-ე საუკუნის ევროპის ხედვებთან.[100]

პირველი 48 საათის განმავლობაში ვაშინგტონი იმედოვნებდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის თუნდაც არსებულით „შემოფარგვლა" დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მართალია, პრეზიდენტი მედვედევი პრეზიდენტ ბუშთან სატელეფონო საუბარში უკიდურესად მკაცრად აფასებდა სააკაშვილს, მაგრამ ოფიციალური რუსული მოთხოვნები მაინც ჯერაც არ იყო მეტისმეტად შორსმიმავალი, და ვაშინგტონშიც ფიქრობდნენ, რომ ცეცხლის შეწყვეტა მოხერხდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის მაღალჩინოსნები არწმუნებდნენ ვაშინგტონს, რომ ქვეყნის რეჟიმის შეცვლას კი არ ესწრაფვოდნენ, არამედ მხოლოდ სტატუს-კვოს აღდგენა სურდათ. ბუშის ადმინისტრაცია მზად იყო ერწმუნა ეს სიტყვები, მაგრამ ისიც აშკარად ჩანდა, რომ რუსეთის მიერ ამოქმედებული სამხედრო ძალა ბევრად ჭარბობდა სამხრეთ ოსეთში სტატუს -კვოს აღდგენის საჭიროებას. ვაშინგტონი ეძებდა გზებს, რომ ვითარება დაესტაბილურებინა და კონფლიქტის იმ დონემდე ესკალაცია არ დაეშვა, როცა სამხედრო

წარმატება რუსეთს მადას გაუღვივებდა და სააკაშვილის დამხობისაკენ უბიძგებდა.

რაისი და მისი ევროპელი კოლეგები თითქმის მთელი 8-9 აგვისტოს განმავლობაში ესაუბრებოდნენ როგორც ქართულ, ასევე რუსულ მხრეს და შუამავლობას ცდილობდნენ საომარი ოპერაციების შესაჩერებლად. ვაშინგტონმა წამოაყენა გეგმა, რომელიც ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების 6 აგვისტოს დროინდელ პოზიციებზე დაბრუნებას, სამხრეთ ოსეთში ახალი, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანას და იქ ახალი არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა. სააკაშვილი, ფაქტობრივად, დათანხმდა; მერე ამ თემაზე მოსალაპარაკებლად რაისი ტელეფონით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს დაუკავშირდა. ლავროვი თავდაპირველად მიესალმა კიდეც ამ გეგმას და რაისს უთხრა – თუკი ქართველები ბრძოლას შეწყვეტენ, რუსეთიც საპასუხო ნაბიჯებს გადადგამსო. მაგრამ ცალსახა პირობას არ იძლეოდა, საომარი ვითარება კი ისე წარიმართა, რომ მოსკოვმა მალევე მოიპოვა მნიშვნელოვანი უპირატესობა.

ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ ვლადიკავკაზში პრემიერ-მინისტრი პუტინი ჩავიდა და პირადად აიღო ხელში ოპერაციის ხელმძღვანელობა. როგორც ამბობენ, გაცოფდა, როცა შეიტყო, თავდაპირველად როგორ გაუჭირდათ რუსებს ცხინვალის აღება, როგორ განადგურდა როკის გვირაბიდან გამოსული რუსული ტანკები და სხვა აღჭურვილობა, განსაკუთრებით კი 9 აგვისტოს დილით, 58-ე არმიის მეთაურ გენერალ ანატოლი ხრულიოვზე განხორციელებულმა თავდასხმამ და მისმა დაჭრამ გაამწარა: ქართული ძალები ხრულიოვის კოლონას ჩაუსაფრდნენ, ცეცხლი გაუხსნეს, მძიმედ დაჭრეს გენერალი, მწყობრიდან გამოიყვანეს რამდენიმე ჯავშანმანქანა და არაერთი ოფიცერი და ჯარისკაცი გამოასალმეს სიცოცხლეს. კოლონაში მყოფმა ერთმა ჟურნალისტმა ის აღწერა, გვამებით გარშემორტყმული გენერალი როგორ ფხოჭნის თითებით მიწას და ღრიალებს – თითქმის მთელი ბატალიონი გამიწყვიტესო... ცხადია, ასეთი ხატის შექმნა კრემლს დიდად არ ეამებოდა.

ქართველი მაღალჩინოსნები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ პუტინის ჩასვლამ კიდევ უფრო აგრესიული გახადა რუსეთის სამხედრო კამპანია. მათი განცხადებით, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ოპერაციაში წამყვანი როლი 58-ე არმიის სანაცვლოდ ფსკოვის 76-ე სადესანტო დივიზიას დააკისრა, ბრძანება გასცა საომარი ქმედებებისაგან ჩამოეშორებინათ ის გასამხედროებული ნაწილები, რომლებიც მშვენივრად ახორციელებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ტერორს, თუმცა ვერ უზრუნველყოფდნენ პუტინისათვის სასურველ სამხედრო წარმატებას და რუსეთის არმიის სხვა ელიტური ნაწილების მობილიზაცია მოითხოვა. მან ასევე ბრძანა საქართველოს წინააღმდეგ საჰაერო კამპანიის გაძლიერებაც. რუსეთის თვითმფრინავებმა 5 დღის განმავლობაში ქვეყნის მას-

შტაბით 400-ზე მეტი საჰაერო იერიში მიიტანეს 36 სამიზნეზე, ხოლო მარტო 9 აგვისტოს 120 გაფრენა განხორციელდა. ზოგიერთი სამიზნე ცხინვალიდან 300 კმ-ის მოშორებით მდებარეობდა – რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რუსეთის რეალურ განზრახვებზე.

ზოგიერთი რუსი ანალიტიკოსი ამ აზრს არ ეთანხმება და ამტკიცებს – უბრალოდ ომის ნისლში ნელ-ნელა ხდებოდა ნათელი რუსული შემოსევის მასშტაბიო. საქართველო თანდათან სულ უფრო მწვავედ შეიგრძნობდა სამხრეთ ოსეთიდან განვითარებული შემოსევის წნეხს.[101] როკის გვირაბიდან შემოსულმა დამატებითმა რუსულმა ძალამ მოსკოვს უკვე უდიდესი რიცხობრივი უპირატესობა მიანიჭა, რაც თანდათანობით, უკვე უშუალოდ ბრძოლის ველზეც იგრძნობოდა. საქართველოს კი დამატებითი ძალები, ფაქტობრივად, აღარ გააჩნდა. ერთადერთი იმედი პირველი ბრიგადა იყო, რომელიც ქვეყნის დასაცავად ერაყიდან დროულად დაბრუნებას ცდილობდა, მე-5 ბრიგადა კი, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, ფაქტობრივად მხოლოდ საწვრთნელი დანიშნულებისა იყო და, შესაბამისად, ომისთვისაც მოუმზადებელი.

რაც კიდევ უარესია, 10 აგვისტოს თბილისმა დაზვერვის ცნობა მიიღო, რომ მოსკოვი მეორე ფრონტის გახსნასაც აპირებდა აფხაზეთში – სადაც მართალია, ჯერ არავითარი საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა, მაგრამ დიდი სამხედრო ძალა იყო თავმოყრილი. მუდმივად მოდიოდა ინფორმაცია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის იმ საგანგებო დაჯგუფების გადაადგილების თაობაზეც, რომლებიც 58-ე არმიასთან ერთად, რეალურ საბრძოლო მოქმედებებთან უაღრესად მიახლოებულ წვრთნებში მონაწილეობდნენ („კავკაზ-2008). რუსული საზღვაო დესანტი მართლაც მალე იქნა გადასხმული აფხაზეთის პორტ ოჩამჩირეში. ვოლგოგრადიდან ახლად გარემონტებული რკინიგზით აფხაზეთში 22-ე მოტომსროლელი დივიზიაც შევიდა, ხოლო მე-7 საჰაერო-სადესანტო დივიზიის ნაწილები კი სოხუმის აეროპორტში გადმოსხეს. რუსეთმა, საბოლოო ჯამში, დაახლოებით 20 000 ჯარისკაცს მოუყარა თავი აფხაზეთში. 10 აგვისტოს რუსულმა ჯავშანკოლონამ ენგურის ხიდი გადმოიარა და დასავლეთ საქართველოში შემოვიდა. ქართველებმა უბრძოლველად დაიხიეს უკან. რუსებმა ზუგდიდი, ფოთის პორტი და ერთ-ერთი საკვანძო ქართული სამხედრო ბაზაც დაიკავეს სენაკში.

ქართული ჯარი, უბრალოდ, მეტისმეტად მცირერიცხოვანი იყო ორ ფრონტზე საბრძოლველად. სამხედრო ძალის უთანასწორობა კი ყოველ წუთს იზრდებოდა იმის მიხედვით, რუსეთის რა ძალები შემოდიოდა როკის გვირაბიდან და რა ნაწილები შეჰყავდათ აფხაზეთში – საჰაერო, საზღვაო თუ სახმელეთო გზით. საქართველოს ისედაც მცირერიცხოვან არმიას უკვე სრული განადგურება ემუქრებოდა. მოსკოვის მხრიდან საჰაერო შეტევების გაძლიერებამ ფაქტობრივად დათრგუნა საქართველოს საჰაერო თავდაცვის ისედაც შეზღუდული შესაძლებ-

ლობები, თუმცა კი ისრაელის წარმოების „რაფაელ სპაიდერის“ და უკრაინული SA-11 ტიპის სიტემებით ცოტა ხნის წინ აღჭურვილი ქვედანაყოფები თავიდან მაინც რიგიანად ართმევდნენ საქმეს თავს. თბილისის განცხადებით, ომის დროს ქართველებმა 17 რუსული საფრენი აპარატი ჩამოაგდეს, 14 ავიაგამანადგურებელი, 1 ტუპოლევ-22M3 სტრატეგიული ბომბდამშენი და ორიც – შვეულმფრენი. მაგრამ ახლა აირსაწინააღმდეგო სისტემა საქმეს ვეღარ აუდიოდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჩინოსნები იხსენებენ, რომ 9 აგვისტოს დილით, ქართულ პოზიციებს ერთდროულად 28 რუსული მოიერიშე ავიაგამანადგურებელი უტევდა. მოსკოვი უკვე SS-21 „ტოჩკა“ და SS-26 „ისკანდერის“ რაკეტებსაც იყენებდა. 9 აგვისტოს საღამოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პენტაგონიდან ტელეფონით აცნობეს, რომ მოსკოვიდან 6 რუსული სტრატეგიული ბომბდამშენი აფრინდა და საქართველოს მიმართულებით აიღო გეზი. ასევე გააფრთხილეს, რომ ეს ბომბდამშენები დაახლოებით 22 წუთში უნდა გამოჩენილიყო საქართველოს საჰაერო სივრცეში. როცა ქართველებმა მონაცემები გადაამოწმეს, მიხვდნენ, რომ სამიზნე – თბილისი იყო...

ამასობაში ფრიდმა მიმდინარე მოვლენების ბოლო შეფასებებიც მიიღო საქართველოში ამერიკის ელჩ ტეფტისაგან. უკვე შაბათ დილით ტეფტი მიხვდა, რომ რუსეთის მიზანი სამხრეთ ოსეთის წაგლეჯა და დაღუპულ რუს სამშვიდობოთა გამო შურისძიება არ იყო. როცა მოსკოვმა ქართული პორტებისა და მთელ ქვეყანაში სხვადასხვა სამიზნეების დაბომბვა დაიწყო, ტეფტმა იაზრა – ეს ყველაფერი სააკაშვილის რეჟიმის დასამხობად კეთდებაო... ცნობები როკის გვირაბიდან შემოსული რუსეთის დამატებითი ძალების ოდენობაზე და აფხაზეთში რუსული შეიარაღებული ნაწილების ინტენსიური შეყვანა მხოლოდ აძლიერებდა ამგვარ მოსაზრებას. როდესაც ელჩი თავის თანამშრომლებთან ერთად მთელი ამ მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას შეუდგა, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს სრულმასშტაბიანი ომი იყო. მოსკოვს საერთოდ საქართველოს წაშლა სურდა რუკიდან! ტეფტმა ვაშინგტონში შეტყობინება აფრინა იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი დასავლეთი ხელს არ გამოიღებდა და თან – დაუყოვნებლივ, ყოველივე, რაც კი აშშ-ს საქართველოში სასწორზე ედო, წყალში იქნებოდა გადაყრილი.

10 აგვისტოს, გამთენიისას, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უკან დახევისა და ცხინვალის სამხრეთით პოზიციების დაკავების ბრძანება მიიღეს. ოღონდ აქაც განუწყვეტელი შეტევების სამიზნედ იქცნენ – შვეულმფრენების, ავიაგამანადგურებლებისა და ზემოხსენებული ბალისტიკური რაკეტების მეშვეობით. სწორედ ამ დროს გახდა ვაშინგტონისათვის ცხადი, რომ რუსეთი მხოლოდ სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას კი არ ლამობდა, არამედ საქართველოს ინფრასტრუქტურის სრული მოშლით, ქვეყნის დანგრევას აპირებდა. იმავე დილით სახელმწიფო მდივან რაისს მისმა თანაშემწე ბრაიზამ აცნობა –

რუსული სამხედრო თავდასხმა საქართველოს სრული განადგურებით ემუქრებაო. რაისმა უპასუხა, რომ ვაშინგტონი აუცილებლად მიიღებდა რაღაც ზომებს ბრძოლების შესაჩერებლად, ვიდრე ჯერ კიდევ ძალიან გვიან არ იყო. ის ტელეფონით დაუკავშირდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს და სწორედ ეს საუბარი იქცა შემობრუნების წერტილად ვაშინგტონისეულ შეფასებებში.

ლავროვმა არა მარტო საქართველოს შეიარაღებული ძალების ყაზარმებში დაბრუნება და თბილისის მხრიდან ძალის გამოუყენებლობის განცხადების გაკეთება მოითხოვა, არამედ ომის დამთავრების წინაპირობად სააკაშვილის გადადგომაც პირველად დააყენა. ანუ მოსკოვის მიზანი რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით, საჯაროდ გაცხადდა. როგორც შემდგომში ყოფილი სახელმწიფო მდივანი რაისი იხსენებდა, მას დაუყოვნებლივ უთქვამს ლავროვისთვის, რომ მსგავსი პირობა სრულიად მიუღებელად მიაჩნდა, რამდენადაც სააკაშვილი ქვეყნის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი იყო. როცა ლავროვს ამ საუბრის კონფიდენციალურობაზე გადაუკრავს სიტყვა, რაისს უპასუხია: „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის არ შეიძლება იმართებოდეს კონფიდენციალური საუბარი რომელიმე სახელმწიფოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობის თაობაზე... ვაპირებ ყველას ვუთხრა, რომ რუსეთის მიერ წარმოებული ომი საქართველოს ხელისუფლების დამხობას ისახავს მიზნად!“[102] ლავროვი ამ სიტყვებმა ლამის იყო წყობიდან გამოიყვანა, რაისმა კი მართლაც გადაურეკა თავის რამდენიმე ევროპელ კოლეგას და ლავროვთან ლაპარაკის შინაარსი გააცნო. ცოტა მოგვიანებით, აშშ-ის თხოვნით გაეროს უსაფრთხოების საბჭოს სხდომა იქნა მოწვეული, სადაც რუსეთის ელჩის პროტესტის მიუხედავად, აშშ-ის ელჩმა გაეროში ზალმაი ჰალილზადმა საჯაროდ განაცხადა – რუსული მხარე დამოუკიდებელ ქვეყანაში რეჟიმის შეცვლას ლამობსო.[103]

არასწორად გაიგო ამერიკამ, თუ უბრალოდ, ენდო მოსკოვის თავდაპირველ განცხადებებს მისი მიზნების დასაზღვრულობის თაობაზე, თუ იქნებ თავად მოსკოვმა უეცრად შეცვალა ომის თავდაპირველი ამოცანები? თბილისში მყოფმა ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელმა პიტერ სემნებიმ ბრიუსელს აცნობა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ალბათ კიდევ 24 საათზე მეტს ვეღარ გაძლებენ და რუსეთსაც – თუკი ამის სურვილი ექნა, თავისუფლად შეეძლება თბილისის აღებაო. ახლა უკვე ყველასათვის ნათელი იყო, რომ რუსეთის ზრახვები სამხრეთ ოსეთში სტატუს-კვოს აღდგენაზე გაცილებით შორს მიდიოდა. რუსულმა შენაერთებმა კონფლიქტის ორივე ზონის საზღვრები გადმოლახეს და მთელ დანარჩენ საქართველოს ემუქრებოდნენ. იბომბებოდა საომარი მოქმედებების უშუალო არეალიდან ასობით კილომეტრით დაშორებული სამიზნეები. დღის წესრიგში რეჟიმის შეცვლის საკითხი იდგა, ბრიუსელში კი როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის შტაბ-ბინებში ომის შეწყვეტის მოწოდე-

ბები მზადდებოდა და დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალთაგან უკვე ყველა კარგად ხვდებოდა, დროზე რომ ვერ შეაფასეს ვითარების მთელი სერიოზულობა.

მეორე დილით, 11 აგვისტოს, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უკანდახევის ბრძანება მიიღეს – ჯერ გორისკენ, შემდეგ კი უკვე თბილისისაკენ, რათა აუცილებლობის შემთხვევაში დედაქალაქი დაეცვათ. მას მერე, რაც 7 აგვისტოს ღამით რუსებთან ბრძოლის გადაწყვეტილება მიიღო, სააკაშვილი ახლა უკვე მეორე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის წინაშე იდგა. თბილისმა ახლა ისევ ცალმხრივად გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტა და ჯარიც გამოიყვანა სამხრეთ ოსეთიდან, მაგრამ რუსული ჯავშანტექნიკა და სახმელეთო ძალები ჯერაც მოძრაობაში იყვნენ და დამატებითი ნაწილებიც ემატებოდა ჩრდ. კავკასიიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან. რუსული ავიაცია კვლავინდებურად ბომბავდა ქვეყანას; რუსეთმა დასავლეთი საქართველო დაიკავა და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქართულ ქალაქ ზუგდიდში შესვლას აპირებდა. ფაქტობრივად, ქვეყანა უკვე ორად იყო გახლეჩილი და საქმე კიდევ უარესისაკენ მიდიოდა. ქართველების თავდაცვის ხაზი აღარ არსებობდა, არმიამ თბილისისკენ დაიხია და დედაქალაქის დასაცავად ბოლო წინააღმდეგობისათვის ემზადებოდა.

საკითხავი ახლა ის იყო, რა შემდგომი ნაბიჯი გადაედგა თბილისს? რუსული ტანკები დედაქალაქიდან 2 საათზე ნაკლებ სავალ მანძილზე იდგნენ; საქართველოს ხელისუფლებას კი უნდა გადაეწყვიტა – ბოლო წუთამდე დაეცვა თბილისი, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმბოლო, ჩეჩნებისა თუ ავღანელების მსგავსად, პარტიზანული ომისათვის მომზადებულიყო თუ მშვიდობა ეძია, ჯარის დარჩენილი ნაწილები მაინც გადაერჩინა და იმის იმედად ყოფილიყო, რომ დასავლეთი, ბოლოს და ბოლოს, მოსკოვზე რაღაც ზეგავლენას მაინც მოახდენდა. საქართველოს შუაგული, ძირითადად, ვრცელი ზეგანია – ტანკებისათვის იდეალური სამოქმედო გარემო. ასეთ მიდამოში ქართველებს რუსული სამხედრო ძალის შეკავების არავითარი შანსი არ ჰქონდათ. ერთადერთ იმედად ვიწრო ხეობა ისახებოდა მცხეთის მახლობლად, სადაც მეტ-ნაკლებად მიზანშეწონილი იქნებოდა თავდაცვითი ბრძოლის გამართვა – და 12 აგვისტოსაც საქართველოს სარდლობამ დარჩენილ ძალებს სწორედ აქ მოუყარა თავი – სავარაუდო ბოლო ბრძოლისათვის.

ახლა უნდა გადაწყვეტილიყო ყველაფერი და საქართველოს მომავალიც სასწორზე იდო. არადა, ქვეყანა ამგვარი ბრძოლისთვის მზად ნამდვილად არ იყო: არ არსებობდა არც თბილისისა თუ მცხეთის დაცვის გეგმა; არ იყო მომზადებული არავითარი თავდაცვითი ზღუდეები რუსული ტანკების შესაჩერებლად და არც სანგრები იყო გათხრილი – თუნდაც საჰაერო შეტევებისაგან თავდასაცავად. თბილისში რუსული არმიის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლების

წამოწყების შესაძლებლობასაც განიხილავდნენ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ საამისოდ რამდენიმე წინასწარი ნაბიჯიც კი გადადგა; მაგრამ საკაშვილმა იცოდა, რომ რუსული არმიისათვის დიდი ზიანის მიყენება რომც მოეხერხებინათ, ეს მაინც მისი ქვეყნის ნგრევასა და საქართველოს მომავლის მისეული ხედვის დასამარებას ნიშნავდა. მას არ სურდა საქართველო კიდევ ერთ ჩეჩნეთად გადაქცეულიყო; ამიტომ გადაწყვიტა, მშვიდობა ეძებნა, გადაერჩინა ქართული არმია და როგორმე ეიძულებინა საერთაშორისო თანამეგობრობა, მოსკოვზე მოეხდინა ზეგავლენა.

11 აგვისტოს საღამოს, სააკაშვილმა პირდაპირი ეთერით მიმართა ხალხს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს სხდომიდან. იმ დროს ის ჯერ კიდევ შიშობდა, რომ რუსები თბილისის აღებას გეგმავდნენ. პრეზიდენტმა მოქალაქეები გააფრთხილა – ვითარება უკიდურესად მძიმეა, მოსკოვი საქართველოს ოკუპირებასა და განადგურებას ცდილობს, რათა საქართველოს სახელმწიფოებრიობას ბოლო მოუღოსო.[104] განცხადება გააკეთა პარლამეტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემაც, მან არ გამორიცხა სახალხო წინააღმდეგობის შესაძლებლობა, თუ რუსები დასავლეთ საქართველოში მოძრაობას განაგრძობდნენ. ეს იყო კიდევ ერთი უკიდურესი მცდელობა, რითაც საქართველო რუსეთს ეუბნებოდა, რომ დაპირისპირების აღკვეთა და მშვიდობის დამყარება კი სურდა, მაგრამ თუკი მოსკოვი მთელ საქართველოში ეთნიკური წმენდის განხორციელებას დაიწყებდა, თბილისს, პასუხის გაცემის გარდა, სხვა არჩევანიც აღარ რჩებოდა. თავად დედაქალაქში უკვე პანიკის ცალკეული ნიშნები შეიმჩნეოდა; ხალხი ბანკომატებსა და ბენზინგასამართ სადგურებს მიაწყდა და ქალაქიდან ინტენსიურად გასვლა დაიწყო.

11 აგვისტოსვე, გვიან ღამით, თბილისში ბრაიზა ჩაფრინდა. აეროპორტში გამართული ხანმოკლე პრესკონფერენციის შემდეგ, დაცვის სამსახურმა ურჩია, სწრაფად გასცლოდა იქაურობას, რადგან დადიოდა ჭორები, რომ რუსული ტანკები უკვე აეროპორტისკენ მოიწევდა. შემდეგ ის უკვე კარლ ბილდტს შეხვდა, რომელიც იმხანად ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის – შვედეთის წარმომადგენლად ჩამოვიდა თბილისში. ტეფტთან და სემნებისთან ერთად, მათ პრეზიდენტის კანცელარიას მიაშურეს და უშუალოდ საქართველოს ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებისაგან მოისმინეს საქმის ვითარება. საქართველოს ხელისუფლება ერთიანად დაბნეული ჩანდა. წესიერად არც არავინ იცოდა რა ხდებოდა და კონკრეტულად სად იმყოფებოდნენ რუსები. ცნობილი იყო, როგორ ყიდდნენ აქამდე რუსი ჯარისკაცები ბენზინს შავ ბაზარზე – ცოტაოდენი ნაღდი ფულის საშოვნელად, მაგრამ უკვე ორშაბათს მათ მთხოვნელები უარით გაესტუმრებინათ – შეიძლება თბილისისკენ დაძვრის ბრძანება მივიღოთო. ცხადია, ეს ძალზე არასასიამოვნო ინფორმაცია გახლდათ.

საქართველოს ხელისუფლება პარალიზებულად, დაშლის ზღვარზე მყოფად გამოიყურებოდა. პრეზიდენტის კაბინეტის წინ დაბანაკებულ და რაიმე ქმედითი გადაწყვეტილების მიღების მოსურნე ბილდტს, ტეფტს, სემნებისა და ბრაიზას თვალში ეცათ, რომ დერეფანში კედლებიდან ყველა სურათი უკვე ჩამოეხსნათ – თითქოს ყველანი გადასაადგილებლად ემზადებოდნენ, თუმცა კი არავინ იცოდა, საით... ქართველ მაღალჩინოსნებს სულ უფრო მეტად იპყრობდა მღელვარება და ზოგი ლამის სასოწარკვეთილიც კი ჩანდა იმ ამბების შეტყობით, როგორი ეთნიკური წმენდა და ძალადობა ხორციელდებოდა ქართველების მიმართ ოსებისა თუ სხვა არარეგულარული ნაწილების მიერ რუსი სამხედროების მხარდაჭერით. ამასობაში ყველა მობილური კავშირი გაწყდა – არავინ იცოდა, ეს, უბრალოდ, ხაზების გადატვირთვის ბრალი იყო თუ შეტევის წინ რუსებმა მიიღეს გარკვეული ზომები. ბილდტისთვის, ბრაიზასა და ტეფტისათვის ნათელი გახდა, რომ თუკი რუსები თბილისისაკენ დაიძვრებოდნენ, კანცელარიის შენობა უთუოდ უმთავრეს სამიზნედ იქცეოდა და მათი სიცოცხლეც საფრთხეში იქნებოდა.

ამ დროს კანცელარიაში სააკაშვილის სანახავად დავით ბაქრაძე მოვარდა და როცა პრეზიდენტის მისაღებში ბრაიზა დაინახა, ჯიქურ მიეჭრა. ბაქრაძე საქართველოს ხელისუფლებაში ერთ-ერთ ყველაზე გულმშვიდ პიროვნებად იყო ცნობილი, მაგრამ ამჯერად უკიდურესად აღელვებული, იმედგაცრუებული და თან ეტყობა, გაბრაზებულიც გახლდათ – როგორც შეერთებული შტატების, ასევე ზოგადად მთელი დასავლეთი სამყაროს მიმართ: „გაფრთხილებდით, ეს მოხდება-მეთქი! – შეუძახა ბრაიზას – სად იყავით?! მეტი არაფრის გაკეთება არ შეგეძლოთ? ან ახლა რას აპირებთ?“ ბრაიზამ მიუგო, საქართველო ნატოს წევრი არაა, ვაშინგტონს არავითარი ვალდებულება არ აკისრია მის დასაცავად; მით უმეტეს, აშშ-ის ადმინისტრაციასა და პირადად მეც არაერთხელ გვითქვამს – რუსეთთან ბრძოლას ნუ დაიწყებთ-თქო და ისიც მკაფიოდ განგიმარტეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში – ჩვენი დახმარების იმედი არ უნდა გქონოდათ!“ მერე დასძინა – დღეს ჩემი აქ ყოფნა იმის დადასტურებაა, რომ ვაშინგტონი დიპლომატიური არხებით მაინც ცდილობს საქართველოს დახმარებასო... ისიც უთხრა, ახლა აეროპორტში ვაპირებ წასვლას იმ პირველი ამერიკული C-17 თვითმფრინავის დასახვედრად, რომელმაც ჰუმანიტარული დახმარება უნდა ჩამოიტანოსო. არადა, მოსკოვმა ხომ კიდევ ერთხელ შემოთვალა – თბილისის აეროპორტში მყოფი ამერიკული თვითმფრინავები დროზე უნდა გაფრინდნენ უკან, თორემ ხელებიც დაგვიბანიაო, მაგრამ ფრენები არ შეწყვეტილა!

„და რა მერე?!“ – უცებ აყვირდა ბაქრაძე – „რუსების ჭკუას თუ აჰყევით, ამას მწვანე შუქად ჩათვლიან და ეგრევე დაგვარტყამენ! ან ეს ჰუმანიტარული ტვირთი რად გვინდა, როცა ამაღამ შეიძლება თბილისში რუსული ტანკები შემოვიდნენ!“ მერე თითქოს თავი მოთოკა და განაგრძო: „გადავწყვიტეთ, ქალაქი და-

ვიცვათ... სანამ აქ მოვიდოდი, ცოლს და ოჯახს გამოვემშვიდობე – შეიძლება ცოცხლები ვეღარც ვნახო! თქვენ კიდევ რაღაც ჰუმანიტარულ დახმარებაზე მელაპარაკებით!" ბრაიზა სახტად დარჩა: პრეზიდენტ სააკაშვილის მოთხოვნით, ის რუსეთის შესაძლო შეტევის ეპიცენტრში ჩამოვიდა – ამერიკის მხარდაჭერისა და პოლიტიკური თანადგომის გამოსახატავად; იმასაც აცნობიერებდა, პირადად რა საფრთხეში იგდებდა თავს, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი შეუსაბამობა არსებობდა იმას შორის, რასაც ქართველები ვაშინგტონისაგან მოელოდნენ და რასაც აშშ აკეთებდა. მერე დასავლელი დიპლომატები „მერიოტში" დაბრუნდნენ, სადაც მათი სხვა კოლეგები და ცნობილი ქართველები ახალ ამბებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ამავე დროს, ყველა იმედოვნებდა, რომ დასავლური სასტუმრო შედარებით უსაფრთხო ადგილი იქნებოდა რუსების შემოჭრის შემთხვევაში...

საქართველოს ხელისუფლება დამხობის საფრთხის წინაშე იდგა, რუსული ნაწილები თბილისიდან სულ რამდენიმე საათის სავალზე იმყოფებოდნენ და ვაშინგტონშიც უკვე პიკს აღწევდა დავა-კამათი იმის თაობაზე, რა უნდა გაკეთებულიყო ამ მეგობარი ქვეყნის გადასარჩენად. ბუში რეგულარულად ესაუბრებოდა სააკაშვილს და მის გამხნევებას ცდილობდა. 10 აგვისტოდან დაიწყო ქართული ნაწილების ერაყიდან სამშობლოში დაბრუნების პროცესიც, მაგრამ საქართველოს ლიდერს სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობდა სასოწარკვეთა და ამერიკისაგან უფრო ქმედით დახმარებასაც ითხოვდა – მაგალითად, *სტინგერის* რაკეტებს, ან აშშ-ის სამხედრო ჩარევის თუნდაც რაიმე სიმბოლურ გამოხატულებას. რუსული შეტევის მასშტაბებმა თეთრი სახლის რამდენიმე წამყვან მოხელეს გარკვეული შეზღუდული ქმედებების შესაძლებლობაზე მართლაც დააწყებინა ფიქრი, რაც, სავარაუდოდ, რუსების წინსვლას შეაჩერებდა. განიხილებოდა როკის გვირაბის დაბომბვისა და ჩაკეტვის, ასევე სხვა ამგვარი, ასე ვთქვათ, „ქირურგიული ჩარევის" ვარიანტები, რითაც საქართველოს ხელისუფლებაზე რუსეთის სამხედრო წნეხის შემცირებას ვარაუდობდნენ.

იმავდროულად, იმასაც ანგარიშობდნენ – ხომ არ იყო მოსკოვის ეს ქმედებები უფრო ფართო შეტევითი პოლიტიკის მხოლოდ პირველი საფეხური, რაც შემდგომ, შესაძლოა, ყირიმში ან სულაც ბალტიისპირეთის სახელმწიფოებშიც გაგრძელებულიყო, და თუკი მართლა ეს იყო ჩაფიქრებული, სად უნდა გაევლო აშშ-ს საკუთარი „წითელი ხაზი"? მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჰედლი მაინც ფიქრობდა, რომ რუსეთის ყურადღება მხოლოდ საქართველოზე იყო მიმართული. ის საქართველოს ერთ-ერთ თავგამოდებულ მხარდამჭერად ითვლებოდა, მაგრამ ამავე დროს, ადმინისტრაციაში სააკაშვილის მიმართ სკეპტიკურად განწყობილთა რიგს განეკუთვნებოდა და ეჭვობდა, რომ ამ ომის თავი და თავი უფრო რუსეთ-საქართველოს ცუდი ურთიერთობის სპეციფიკა გახლდათ, ვიდრე რუსეთის ფართო შეტევითი გეოპოლიტიკური გან-

ზრახვები. თუმცა დაბეჯითებით მაინც ვერავინ ვერაფერს იტყოდა. თავად ჰედლიმაც იცოდა, რომ ბევრნი – მათ შორის, ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი, სხვაგვარად და უფრო კატეგორიულად აფასებდნენ მოსკოვის მიზნებს. მოკლედ, როგორც ჰედლის, ასევე ჩეინის გუნდებმა „შეზღუდული სამხედრო ქმედებების" გატარების საკითხი კი წამოჭრეს, ოღონდ ჰედლი დაბეჯითებით მოითხოვდა – ნებისმიერი სამხედრო ნაბიჯის გადადგმამდე ჯერ კარგად აეწონ-დაეწონათ ყველაფერი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამგვარ ნაბიჯს სწრაფადვე აშშ-რუსეთის უშუალო სამხედრო დაპირისპირებაც მოჰყვებოდა.

ბოლოს ჰედლიმ დაასკვნა, რომ ბუშს უნდა სცოდნოდა თუ რას ფიქრობდნენ მისი მრჩევლები და რომ საჭირო იყო ღია დისკუსია საქართველოს სამხედრო დახმარების პერსპექტივაზე. ორშაბათს, 11 აგვისტოს, უახლოესი გარემოცვის შეხვედრაზე, ჰედლიმ ჩარევის გეგმის სამხედრო ვარიანტიც გააცნო პრეზიდენტს და ვერავითარი დადებითი გამოძახილი ვერ შენიშნა: პრეზიდენტი მიხვდა, რომ თუ აშშ სამხედრო გზას აირჩევდა, მაშინ ნებისმიერი ესკალაციისა და, შესაბამისად, რუსეთთან ომისთვისაც უნდა ყოფილიყვნენ მზად. მაგიდის ირგვლივ მსხდომნი ნათლად აცნობიერებდნენ, რომ მოსკოვთან ნებისმიერი კონფრონტაციის შედეგებს წინდაწინ ვერ განჭვრეტდენენ და საერთოდ, ეს არც შეიძლებოდა აშშ-ის ინტერესებში ყოფილიყო. ამასთან, ბუშმა გადაწყვიტა, ჰუმანიტარული დახმარების პროცესი ამერიკელ სამხედროებს ეთავათ. ამით – არაპირდაპირად აჩვენებდნენ ამერიკის სამხედრო სიძლიერეს და შემაკავებელ ფუნქციასაც ამგვარად აიღებდნენ საკუთარ თავზე. ოღონდ – იმას კი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ესკალაციის ნებისმიერი გამოვლენის თავიდან ასაცილებლად, სრულიად გამჭვირვალედ ემოქმედათ.

მოკლედ, აშშ-მ სამხედრო ჩარევის შესაძლებლობაც განიხილა, მაგრამ იქვე უარყო კიდეც. ამის ნაცვლად, მრჩევლების საბჭომ თხოვნით მიმართა თეთრ სახლს, სააკაშვილისა და მისი მმართველი გუნდის ევაკუაციაზე ეფიქრა – თუკი ვითარება ვერ განიმუხტებოდა. იმავე დღეს პრეზიდენტმა ბუშმა ოფიციალურად განაცხადა, თუ რაოდენ შეშფოთებული იყო რუსეთის ქმედებებით საქართველოს მიმართ: „ახლა უკვე ნათელია, რომ ყველაფერი საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობის მცდელობას უკავშირდება; ამგვარი რამ კი მიუღებელია და მოსკოვს მოვუწოდებ, ამ განზრახვაზე ხელი აიღოს... ბოლოდროინდელმა ქმედებებმა მნიშვნელოვნად ავნო რუსეთის საერთაშორისო იმიჯს და თუკი ყველაფერი დროზე არ დამთავრდა,მოსკოვის მომავალი ურთიერთობა ამერიკასა და ევროპასთან გაფუჭდება!"[105] თუმცა პრეზიდენტი იმედს გამოთქვამდა, რომ დიპლომატიითა და მტკიცე ნების გამოხატვით, მოსკოვის შეჩერება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო.

ომი, არსებითად, დასრულდა. საქართველოს ჯარი დამარცხდა და რუსებმა ქვეყანა ორ ნაწილად გაყვეს. საქართველოს ხელისუფლება დამხო-

ბის საფრთხის წინაშე იდგა და გზაც თბილისისაკენ რუსებისთვის ხსნილი იყო. რჩებოდა კითხვა – როგორი იქნებოდა ამ დრამის ბოლო მოქმედება და შენარჩუნდებოდა თუ არა მთავრობა. ვაშინგტონსა და ასევე ევროპის დედაქალაქებშიც დიპლომატები ზედიზედ აცხობდნენ განცხადებებს და მოსკოვისაგან აგრესიის შეწყვეტას მოითხოვდნენ. როცა გვიან ღამით ტეფტი და ბრაიზა აშშ-ს საელჩოში ბრუნდებოდნენ, ძალზე გაუჭირდათ მანქანების ზღვაში გზის გაკვლევა - ადამიანები საწვავის რიგში იდგნენ და ქალაქიდან გასასვლელად ემზადებოდნენ. მერე ქალაქში შემომავალ სამხედრო კოლონებს გაუსწორდნენ. *დამარცხებულებს გვანანო* – ერთდროულად გაიფიქრა ორივემ.

ტეფტი, რომელიც თავისი დიპლომატიური კარიერის დასაწყისში იერუსალიმში მსახურობდა 1973 წლის *იომ კიპურის* ომის დროს, ახლა ფიქრობდა, ხომ არ აჯობებდა, ამერიკული დიპკორპუსის დარჩენილი ნაწილის ქვეყნიდან გაყვანა მოეთხოვა. საელჩო თბილისის ჩრდილოეთით, ზედ იმ მთავარი გზის პირას მდებარეობდა, საიდანაც რუსების ქალაქში შემოსვლა იყო მოსალოდნელი. მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში ამ ნაბიჯს შეიძლებოდა მთელი დიპლომატიური წარმომადგენლობების ქვეყნიდან მასობრივი გასვლა მოჰყოლოდა და ეს საქართველოს უახლოესი მოკავშირის სისუსტედ აღქმულიყო. ნაშუაღამევს, ტეფტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიგა ბოკერიამ დაურეკა და უთხრა – როგორც ჩანს, დედაქალაქზე შეტევა გამოირიცხაო.

თავი 7

ცეცხლის შეწყვეტა

პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოქმედებების დაწყების ბრძანება 7 აგვისტოს საღამოს გასცა – იმ მოსაზრებით, რომ ქართული სოფლები დაეცვა, რუსეთის, სავარაუდოდ, უფრო ფართომასშტაბიანი ქმედებები აღეკვეთა და იმასაც იმედოვნებდა, დროს მოვიგებო: დრო სჭირდებოდა საფრთხეში ჩაცვენილი ქართველების ევაკუაციასაც და საერთოდ, დასავლეთ სამყაროსაც – სათანადოდ რეაგირებისათვის. მაგრამ ამან იმგვარ ომში ჩათრევა გამოიწვია, რომელსაც საქართველო ვერც მოიგებდა და მოვლენათა იმგვარი განვითარება, რომ ვითარება ფაქტობრივად, უკონტროლო ხდებოდა. გენერლებს ერთი ძველი ნათქვამის გამეორება უყვართ: ომის დაწყება ბრძოლის ყველაზე იოლი ნაწილიაო. აი, მისი მომთავრებაა საძნელო საქმე. ომის დამთავრების იმედებს თბილისი ახლა თავისი დასავლელი მოკავშირეებისა და მეგობრების დიპლომატიურ და პოლიტიკურ ჩარევას უკავშირებდა. თავად მას ეს აღარ შეეძლო – მისი ბედი და ხსნა უკვე დასავლეთის ნებასა და შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული.

ომის დაწყებისას პრეზიდენტი ბუში პეკინში ოლიმპიური თამაშების გახსნას ესწრებოდა. სწორედ იქ აუწყეს – რუსეთმა საქართველოს დაბომბვა დაიწყოო. ინფორმაცია რაღაც ბუნდოვანი იყო, აშშ-ის დაზვერვას იმ წუთისათვის საკმაოდ მწირი მონაცემები გააჩნდა და, აქედან გამომდინარე, ბუშისა და პრემიერ-მინისტრ პუტინის გასაუბრებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. თუმცა იმავე დღეს ისინი მეორეჯერაც შეხვდნენ ერთმანეთს. ამ საუბრის შინაარსი ოფიციალურად ცნობილი არაა, თუმცა ის უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა და ბუშსაც იმგვარი შთაბეჭდილება დარჩა, რომ პუტინს სააკაშვილის სამაგალითოდ დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. პეკინიდან ვაშინგტონში აშშ-ის პრეზიდენტი 13 აგვისტოს დაბრუნდა, დაუყოვნებლივ მოიწვია თათბირი ვითარების ბოლომდე გასაცნობად და თეთრი სახლიდან საგანგებო განცხადების გასაკეთებლად.

თუმცა ვაშინგტონში დაბრუნებულმა ბუშმა გადაწყვიტა, რომ ომის დამთავრებისა და საქართველოს დახმარებისათვის დასავლეთის მხრიდან განხორციელებული ერთობლივი მცდელობის საქმეში პირველი ვიოლინოს როლი

აშშ-ს მაინც არ უნდა შეესრულებინა. პრეზიდენტი რისკის გაწევას არ აპირებდა – არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ეს „მცირე ომი" აშშ-რუსეთის დაპირისპირებაში გადაზრდილიყო და ახალი „ცივი ომის" საფრთხე გაეჩინა. ეს მისი მკაფიო მოთხოვნა იყო ეროვნული უშიშროების საკუთარი გუნდის მიმართ კრიზისის მთელი არსებობის განმავლობაში. მას სურდა, ამ კრიზისის აღმოფხვრის ინიციატორი და მთავარი მოქმედი პირი საერთაშორისო თანამეგობრობა, უპირველეს ყოვლისა კი – ევროკავშირი ყოფილიყო. მისი გადაწყვეტილებით, ამ საქმეში აშშ-ს აქტიური მონაწილეობა კი უნდა მიეღო, ოღონდ – როგორც მხარდამჭერს და ისიც, ასე ვთქვათ, კულისებიდან.

ეს იყო შემობრუნების წერტილი – რუსეთ-საქართველოს ომის დიპლომატიის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. საქმეც ისაა, აშშ-ის პოლიტიკური ხედვა კარგა ხანია იმის აღიარებას გულისხმობდა, რომ ევროპას – ჯერჯერობით მაინც – არც ძალა და არც საკმარისი სიმტკიცე არ გააჩნდა, დამოუკიდებლად წინ აღსდგომოდა მოსკოვს. მართალია, ცივი ომი დასრულდა და რუსეთიც უკვე მტრად აღარ განიხილებოდა, მაგრამ ვაშინგტონი გასული საუკუნის 90-იან წლებშიც აუცილებლად მიიჩნევდა „მეწინავის" როლი ეტვირთა, როცა საქმე მნიშვნელოვან და სტრატეგიულად წინააღმდეგობრივ საკითხებში მოსკოვის „მოთვინიერებას" ეხებოდა. ვაშინგტონში ისიც იცოდნენ, რომ ევროპას საქართველოს მხარდაჭერის გაუნელებელი ჟინი ნამდვილად არ სწვავდა, მაგრამ ბუში ახლა ამ მოსაზრებებითა და მოცემულობებით არ ხელმძღვანელობდა. მან ომის მოთავების სადავეები ნებაყოფლობით გადაულოცა ბებერ კონტინენტსა და, კერძოდ, საფრანგეთს, რომელიც იმჟამად რიგითობით თავმჯდომარეობდა ევროკავშირს.

ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ეს მათი მხრიდან ყველაზე გონივრული ნაბიჯი იყო: ამერიკას რომ მედროშეობა ეკისრა, ამით მოსკოვს ხელ-ფეხი გაეხსნებოდა, ვითარებას აშშ-რუსეთის დაპირისპირებაში გადაზრდიდა და, შესაბამისად, ევროპელ მოკავშირეებსაც განზე განდგომასა და პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას გაუადვილებდა. ამერიკელებს კი სურდათ ნათლად დაენახვებინათ რუსეთისთვის, რომ მათ ქმედებას არა მხოლოდ აშშ, არამედ – მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა აღუდგებოდა წინ. ის, რომ ნიკოლა სარკოზის გაპრეზიდენტებამ შესამჩნევად დაათბო საფრანგეთის ურთიერთობები აშშ-სთან, ვაშინგტონს საქმეს უიოლებდა – ელისეს სასახლეში კვლავაც ჟაკ შირაკი რომ მჯდარიყო, ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა აღიარებით, ბევრი რამ იმთავითვე შეუძლებელი იქნებოდა.

თეთრი სახლის ადმინისტრაციის კრიტიკოსებსა და ევროპის ბევრი სახელმწიფოს ხელისუფალთ კი განსხვავებული ახსნა მოეძებნებათ: პრეზიდენტობის მიწურულს, პოზიციებშერყეული ბუში, უბრალოდ, მეტისმეტად სუსტი აღმოჩნდა: ერაყის ომთან დაკავშირებული დაპირისპირების შემდეგ, მოკავშირეებთან

ურთიერთობის გამოსწორება ბოლომდე ვერ მოახერხა და რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტებიც თანდათანობით ეცლებოდა ხელიდან. მართალია, თავად ბუშს პუტინთან გულითადი მეგობრობა აკავშირებდა, მაგრამ აშშ-რუსეთის ურთიერთობები თანდათანობით სულ უფრო ფუყე ხდებოდა. ვერც ბუშის სახელმწიფო უშიშროების გუნდმა დაამყარა რუს კოლეგებთან ის აუცილებელი საქმიანი კავშირები, რაც მოსკოვთან ეფექტურად გამკლავების საშუალებას შექმნიდა. ასე, მაგალითად, რაისის ურთიერთობა საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან უკიდურესად დაძაბული იყო და, საბოლოო ჯამში, პრაქტიკულად გაწყდა კიდეც. 10 წლის წინ, როცა დასავლეთი და რუსეთი ლამის შუბლებით შეასკდნენ ერთმანეთს კოსოვოს გამო, ამერიკელი მაღალჩინოსნები არა მარტო მუდმივად ესაუბრებოდნენ ტელეფონით თავიანთ რუს კოლეგებს, არამედ მოსკოვშიც ჩადიოდნენ პირისპირ სასაუბროდ, რათა ვითარება უკონტროლო არ გამხდარიყო. ახლა კი ვაშინგტონს აღარც იგივე ურთიერთობები ჰქონდა და აღარც ძველი გავლენა, რაც ამერიკელ მაღალჩინოსნებს თავადაც მშვენივრად მოეხსენებოდათ.

რა მოტივებითაც უნდა ეხელმძღვანელა ვაშინგტონს, ბუშის გადაწყვეტილების შედეგები შორსმიმავალი აღმოჩნდა: ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს უძლიერესი მხარდამჭერი და მოკავშირე ხმალამოწვდილი არ ეცდებოდა ზოგადად დასავლეთის დარაზმვას რუსეთისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად ან თუნდაც მოსკოვთან მოლაპარაკებების გასამართავად; არც ნატო იკისრებდა ამ კრიზისის მოგვარებაში უმთავრეს როლს; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საერთოდ გამოირიცხა ნებისმიერი სამხედრო პასუხის შესაძლებლობა, რამდენადაც სწორედ აშშ იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც სამხედრო ძალით შეეძლო მოსკოვისათვის შემდგომი ნაბიჯების გადადგმაზე აეღებინებინა ხელი. ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისს იმედად და საყრდენად ევროკავშირი რჩებოდა, იქ კი აზრთა აშკარა სხვადასხვაობა იყო და ყველა ერთნაირად არ მიესალმებოდა საქართველოს დასავლეთში დაუყოვნებლივ ინტეგრაციას. არადა, ამ აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, რამდენად მოახერხებდა ევროკავშირი, მოსკოვს აღსდგომოდა წინ და, მით უმეტეს, ძალით უკვე მოპოვებულიც დაეთმობინებინა?

რადგან ამერიკა არ იქნებოდა რუსეთზე ზეწოლის მეთაური, საქართველოს საფრანგეთისთვის უნდა მიემართა; კარგი აქ ის იყო, რომ ეს ქვეყანა ევროკავშირში დიდი გავლენით სარგებლობდა და თუ ძალისხმევის გაერთიანება მოხერხდებოდა, შედეგის მიღწევა იქნებ მოხერხებულიყო კიდეც. მნიშვნელოვანი იყო თავად ნიკოლა სარკოზის პიროვნული თავისებურებანიც – საფრანგეთის პრეზიდენტს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარდა და ყოველმხრივ შეეცდებოდა, მსოფლიო ავანსცენაზე მომგებიანი კუთხით წარმოეჩინა საფრანგეთიც, ევროკავშირიცა და საკუთარი თავიც. ნაკლებად იმედისმომცემი კი ის ჩანდა,

რომ საფრანგეთისთვის საქართველოს საკითხი ნამდვილად არ წარმოადგენდა უმთავრესი ყურადღების საგანს. როცა ამ ქვეყანას ევროკავშირის ხელმძღვანელობა ერგო სწორედ იმ ზაფხულს, ზოგადად შავი ზღვის რეგიონი ძნელად მოიაზრებოდა საფრანგეთის პრიორიტეტთა შორის. ჯერ კიდევ ივნისში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთმა მაღალჩინოსანმა კერძო საუბარში გარკვევით მიანიშნა, რა ადგილი ეკავა საქართველოსა და ამიერკავკასიას მისი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტთა ნუსხაში: „საქართველო არაა, არც არასოდეს ყოფილა და ვერც ვერასოდეს მოხვდება საფრანგეთის განსაკუთრებული ინტერესის არეალში; მაგრამ ჩვენი ამოცანაა თავად ევროკავშირის ფარგლებში მისი განხეთქილების ვაშლად გადაქცევა არ დავუშვათ – შესაბამისად, შუალედურ პოზიციას დავიკავებთ მათ შორის, ვისაც, ერთი მხრივ, მისი მეტი დახმარება სურს და, მეორე მხრივ – ვინც ამისაგან თავს იკავებს".

საქართველოსთან მიმართებით თავად სარკოზისაც ამგვარივე შუალედური ხედვა ჰქონდა: ის გაცილებით უფრო გაგებითა და თანაგრძნობით ეკიდებოდა უკრაინისა და საქართველოს მსგავსი ქვეყნების მისწრაფებებს, ვიდრე მისი წინამორბედი ელისეს სასახლეში და, ანგელა მერკელისაგან განსხვავებით, საფრანგეთის პრეზიდენტს არც სააკაშვილის მიმართ პირადი შეუთავსებლობა გამოარჩევდა; ის კი არა, ბევრმა მიმომხილველმა მათ მსგავსებებსაც კი მიაქცია ყურადღება – მათ ემოციურობასა და მიდრეკილებას მკვეთრი ქმედებებისაკენ, რასაც ზოგჯერ საფუძვლიანი გათვლა აკლდა ხოლმე. მართალია, სარკოზი იმავდროულად წინამორბედზე ღიად და თამამად აკრიტიკებდა პუტინს და რუსეთის ავტოკრატიისაკენ მიბრუნებას, მაგრამ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნება მაინც ფრანგული დიპლომატიის ტრადიციულ ამოსავალ დებულებად რჩებოდა – ევროპაში თუ მის ფარგლებს გარეთ საფრანგეთის გავლენის გასაზრდელად.

ზოგადად დასავლეთისა არ იყოს, არც პარიზში უგრძვნიათ ამ ომის მოახლოება. თუმცა, როცა ფაქტის წინაშე დადგნენ, პასუხისმგებლობაც იგრძნეს – ევროპის მხრიდან რაღაც საპასუხო ქმედების აუცილებლობის თაობაზე. ევროპაში ბევრს ახსოვდა, თავიდან როგორ ვერ შეძლეს სისხლისღვრის შეჩერება ბალკანეთში – გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს და შუახანებში. თუ ევროკავშირი განზე გადგებოდა და არაფერს მოიმოქმედებდა საქართველოს განადგურების წინ აღსადგომად, ეს გამოუსწორებელი უბედურება იქნებოდა როგორც საფრანგეთის, ასევე მთლიანად ევროპული საგარეო პოლიტიკისთვის; ხოლო თუ ევროკავშირის მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდებოდა, ეს, იმავდროულად, საფრანგეთის წარმატებადაც ჩაითვლებოდა. როცა საქმე უშუალოდ ევროკავშირსა და პირადად მის ქმედითუნარიანობას შეეხო, სარკოზის, ცხადია, დიდი არჩევანი აღარც დარჩენია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება გარკვეული რისკის შემცველი ნამდვილად გახლდათ.

8 აგვისტოს, პეკინში, ოლიმპიური თამაშების გახსნაზე, პუტინთან გამოსალაპარაკებლად სარკოზიც მივიდა, მაგრამ ბუშისა არ იყოს, რუსეთის ლიდერი მასაც საკმაოდ ცივად შეხვდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა პუტინს ორი დღე სთხოვა შუამავლობისა და კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულებისათვის. პუტინმა ამაზე უარით უპასუხა. მაშინ სარკოზიმ ერთი დღე ითხოვა თუნდაც ბრძოლების შესაწყვეტად, და ამაზეც უარი მიიღო. სარკოზიმ დაასკვნა, რომ რუსეთის ლიდერს ვითარების განმუხტვის არავითარი სურვილი არ გააჩნდა და აპირებდა, „ჭკუა ესწავლებინა" სააკაშვილისათვის. პარიზში იმის სერიოზული შიში გაჩნდა, რომ პუტინი ამ კონფლიქტით ისარგებლებდა და ერთხელ და სამუდამოდ „დააუთოებდა" საქართველოს. საფრანგეთში სარკოზი საგონებელში ჩავარდნილი დაბრუნდა.

წესით, ევროკავშირის პრეზიდენტი ჯერ გულდასმით უნდა მოთათბირებოდა კავშირის წევრებს, შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით გარკვეული თანხმობისათვის მიეღწია და მხოლოდ მერე, თანაც კარგად გათვლილი ინიციატივით გამოსულიყო. მაგრამ დრო არ ითმენდა და სარკოზი ნამდვილად ვერ დაიცავდა დადგენილ წესებს – მშვენივრად ესმოდა, რომ ვითარება არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ევროპისთვისაც საგანგაშო იყო. არადა, პარიზი აღაშფოთა საქართველოს მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა და ბევრი უშუალოდ სააკაშვილს აბრალებდა ომის გაჩაღებას. უკვე ომის შემდეგ, მომხდარის საკუთარი ხედვა საფრანგეთის პრეზიდენტმა ასე შეაჯამა: „ქართულმა სამხედრო ნაწილებმა წამოიწყეს იერიში, რაც თავისთავად შეცდომა იყო; ოღონდ რუსული არმიის რეაქცია სრულიად არაპროპორციული გახლდათ".[106]

მიზეზშედეგობრიობის ამგვარი ხედვა იქნებ უაღრესად სწორხაზოვანი და მცდარიც კი ჩანდეს; მაგრამ როცა პასუხისმგებლობა დაეკისრა, პარიზს ძალზე ცოტა დრო ჰქონდა იმის გამოსაძიებლად, როგორ დაიწყო ომი და ვინ იყო მთავარი დამნაშავე. ომი უკვე გაჩაღებული იყო და უმთავრეს ამოცანასაც ახლა ჯერ მისი შეწყვეტა წარმოადგენდა. და მაინც, უეჭველია – მთელი ამ კრიზისის დროს, ფრანგულ ხედვასა და დიპლომატიაზე მაინც აისახებოდა ის განცდა, რომ შეცდომა საქართველომ დაუშვა. თბილისს მაინც ბედმა გაუღიმა, რადგან ევროკავშირს სარკოზის მსგავსი ძლიერი ლიდერი ედგა სათავეში; თუმცა პარიზის გარკვეული სკეპტიციზმიც ხაზგასასმელია. მანამდე, ზოგადად საქართველოს საკითხებში პარიზი, ასე ვთქვათ, მთავარ მოთამაშედ ვერ ჩაითვლებოდა და თავად სარკოზიც ნაკლებად იყო ჩახედული საქმის ვითარებაში და არც მაინცდამაინც ანაღვლებდა საქართველო. მას ეშინოდა, რომ ომი არა მარტო საქართველოს დაანგრევდა, არამედ ევროპისა და რუსეთის ხანგრძლივ გაუცხოებასაც დაუდებდა სათავეს. უმნიშვნელოვანესი იყო დაპირისპირების რაც შეიძლება სწრაფად დასრულება – საფრანგეთს სურდა არ დაეშვა საქართველოს დამარცხება და ამ ქვეყნის ოკუპაცია, მაგრამ პარიზისთვის ისიც

უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ, დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობა ახალი ცივი ომის ფაზაში არ გადასულიყო ანუ სასწორზე ახლა თავად ევროპის ინტერესები იდო.

პეკინში პუტინთან ცივი საუბრის შემდეგ სარკოზიმ მთელი ძალისხმევა მედვედევთან საერთო ენის გამონახვისკენ მიმართა. წინა წლის გაზაფხულზე, მოსკოვიდან დაბრუნებულმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბერნარ კუშნერმა სარკოზის უთხრა – მედვედევი პუტინს არა ჰგავს, ის რუსების ახალი თაობის წარმომადგენელია და სავარაუდოდ – ის კაცი, ვისთანაც „საქმის კეთება“ შეიძლებაო. 2008 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში სარკოზიმ რამდენიმე საუზმე გამართა ფრანგ ინტელექტუალებსა და ჟურნალისტებთან, სადაც იმასაც გაუსვა ხაზი, რუსეთთან ურთიერთობაში როგორ აპირებდა აქცენტი უფრო მედვედევზე გადაეტანა და არა პუტინზე. ასე აპირებდა იგი საკუთარი წინასაპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს პუტინის საწინააღმდეგო განცხადებების დაბალანსებას იმ ლიდერის იმიჯთან, ვისაც რუსეთთან საერთო ენის გამონახვის ძალა შესწევდა.[107]

როცა პარიზი ინიციატივით გამოვიდა – სარკოზის სურს მოსკოვში ჩამოვიდეს და ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკება გამართოსო, მედვედევი დაუყოვნებლივ დადებითად გამოეპასუხა; თუმცა კი ვითარება მაინც სარისკო ჩანდა: საქართველოს არმია დეზინტეგრაციას განიცდიდა, რუსეთის შეიარაღებული ძალები კი თბილისიდან სულ რამდენიმე საათის სავალზე იდგნენ. მართალია, მედვედევის მოთხოვნები ომის დასრულების პირობებთან დაკავშირებით იმხანად ჯერ კიდევ არ გულისხმობდა საქართველოში რეჟიმის შეცვლას და რუსეთის პრეზიდენტმა ერთგვარი მზადყოფნაც კი გამოხატა – საომარი მოქმედებების დაწყებამდე არსებულ სტატუს-კვოს დაბრუნებოდა, მაგრამ საფრანგეთის დაზვერვას მოეპოვებოდა საუბრის ჩანაწერები, სადაც საქართველოში მყოფი გენერლები კრემლს მოახსენებდნენ – თბილისისაკენ გზა ხსნილიაო და ნებართვასაც ითხოვდნენ დედაქალაქისაკენ დასაძრავად. როგორც ჩანს, თავად მოსკოვში ამ ნებართვის მიცემასთან დაკავშირებით თანხმობა არ არსებობდა. ვაშინგტონისა არ იყოს, ვერც პარიზი მიხვდა, რეალურად რა ამოცანას ისახავდა რუსეთის ხელისუფლება. მოსკოვში ჩასულ საფრანგეთის პრეზიდენტს საქართველოს დედაქალაქი აღებული რომ დახვედროდა, ეს გამოუსწორებელი დიპლომატიური მარცხი იქნებოდა პირადად მისთვის, მაგრამ წაუსვლელობა და თბილისის ბედის ანაბარა მიტოვებაც, ისე, რომ ევროკავშირს არაფერი ეცადა, ასევე უაღრესად სახიფათო ჩანდა. საფრანგეთის სახელმწიფო უშიშროების მრჩეველი ჟან-დავიდ ლევიტი თავიდან პრეზიდენტს ეუბნებოდა – მოსკოვში ვიზიტისაგან თავი შეიკავეთ, რადგან დიდი ალბათობა არსებობს, მაგ დროისათვის მოსახდენი უკვე მომხდარი იყოსო.

პარიზმა მოსკოვს ამგვარი გზავნილი მიაწოდა: საფრანგეთის პრეზიდენტი მზადაა რუსეთში ჩასასვლელად, ოღონდ იმთავითვე აცხადებს, რომ რუსეთის ქმედებებს ვერაფრით დაეთანხმებაო. სარკოზის ჩასვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ კონფლიქტის მოგვარების გზა გამოინახებოდა და ომიც ევროპისათვის მისაღები პირობებით დასრულდებოდა. ვიზიტამდე სარკოზიმ და მედვედევმა ოთხჯერ ისაუბრეს ტელეფონით, მათმა მთავარმა მრჩევლებმა კი – ბევრად მეტჯერაც. სარკოზი ორ წინაპირობას აყენებდა: ჯერ ერთი, ცეცხლი მის ჩასვლამდე უნდა შეწყვეტილიყო და მეორე – მოსკოვს შეიარაღებული ძალები თბილისისაკენ არ უნდა დაეძრა. მედვედევმა დაარწმუნა ფრანგი კოლეგა – იმისთვის არ გეპატიჟები, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდოო და ორივე ამ წინაპირობის შესრულებას დათანხმდა. მაგრამ სინამდვილეში, ვინ განაგებდა კრემლს – მედვედევი, პუტინი თუ სამხედროების რაიმე დაჯგუფება? როცა სარკოზი 12 აგვისტოს, გამთენიისას მოსკოვისაკენ გაფრინდა, სრულებითაც არ იყო დარწმუნებული, რომ მის მოთხოვნებს მართლაც გაუწევდნენ ანგარიშს.

ამასობაში ბერნარ კუშნერი საქართველოსკენ გამოემართა – ვითარების ადგილზე გასაცნობად. მას ჰუმანიტარული კრიზისებისა და ლტოლვილების დახმარების საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მასთან ერთად ეუთო-ს წარმომადგენელი, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექს სტუბიც მოემგზავრებოდა, იგი ახალგაზრდა, ქარიზმატული ლიდერი იყო, ცნობილი თავისი ბლოგით. მაგრამ სწორედ ეუთო და არა საფრანგეთი ახორციელებდა სადამკვირვებლო მისიას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ჰქონდა დაჯავშნული მანქანები, ჰყავდა თანამშრომლები ადგილზე და იცნობდა გარემოს. სხვათა შორის, 7 აგვისტოს საღამოს სწორედ სტუბმა დაწერა თავის ვებ-გვერდზე, რომ ყველაზე უარესის შიში ჰქონდა და მეორე დღეს ომიც დაიწყო... სტუბი კუშნერს დაუკავშირდა და შეთანხმდნენ, რომ თბილისში ერთად ჩავიდოდნენ, როგორც ევროკავშირისა და ეუთო-ს წარმომადგენლები. მათი ჩამოსვლისას, 9 აგვისტოს ღამით, რუსეთი უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით ბომბავდა სხვადასხვა სამიზნეებს, რამდენიმე ყუმბარა კი თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვესაც დაეცა – მინისტრების თვითმფრინავის მიწაზე დაშვებამდე სულ რაღაც ერთი საათით ადრე.

ჩამოსვლისთანავე ისინი სააკაშვილთან შეხვედრაზე მიიწვიეს, შეხვედრის შემდეგ კი – ვახშამზე, რესტორან „კოპოლაში“* სუფრასთან საუბარი ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ეხებოდა და მთელ ამ სცენას ერთგვარი სიურრეალიზმის ელფერი დაჰკრავდა – ქვეყანაში ომი იყო გაჩაღებული, თბილისს კი არაფერი ეტყობოდა და ხალხიც ერთობოდა – ძირითადად, რესტორნებში ატარებდა დროს! როცა კუშნერმა და სტუბმა ეს გაიკვირვეს, სააკაშვილმა ურჩია –

---

* იგულისხმება რესტორანი „კოპალა“. (რედ.შენიშვნა)

გორში ჩადით და თქვენი თვალით ნახეთ, რას ნიშნავს ომიო... მაგრამ შუაღამეს გადაცილებული იყო, და სტუმრებმაც დილამდე მოცდა ამჯობინეს. მეორე დილით ეუთო-ს ჯგუფებმა, რომელთაც საფრანგეთი და ფინეთი ხელმძღვანელობდა, ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტის შავი ვარიანტი მოამზადეს. დაახლოებით დილის ათ საათზე, ტექსტთან დაკავშირებით შეთანხმებასაც მიაღწიეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ეკატერინე ტყეშელაშვილთან, რომელმაც ამ პოსტზე გელა ბეჟუაშვილი შეცვალა სულ რამდენიმე თვით ადრე.*

მაგრამ გაჩნდა პრობლემა: მოსკოვში წაღებამდე, ამ დოკუმენტზე სააკაშვილის ხელმოწერა იყო აუცილებელი, მას კი, ჩვეულებისამებრ ღამენათევს, ახლა ღრმა ძილით ეძინა; თანაშემწეებმა კი ამ შემთხვევაშიც ვერ გაბედეს მისი გაღვიძება. საქართველოს პრეზიდენტმა ორიოდ საათის მერე, 12:14 სთ-ზე მოაწერა ხელი დოკუმენტს. კუშნერი და სტუბი, როგორც იქნა, გორში ჩავიდნენ, სადაც რუსების დაბომბვის შედეგად ქალაქისათვის მიყენებული ზიანი საკუთარი თვალით იხილეს. ამ ეტაპზე ზარალი ზომიერი იყო, მაგრამ ქართველებმა მერე ვიზიტის ამსახველი კადრები რუსეთის წინააღმდეგ ე.წ. „საპიარო ბრძოლებში" მაინც კარგად გამოიყენეს.

კუშნერი და სტუბი ხელახალ შეხვედრას მოსკოვში გეგმავდნენ – რუსებისათვის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულების წარსადგენად; თუმცა კუშნერს მოულოდნელად პარიზიდან დაუკავშირდნენ, რის მერეც მან, ცოტა არ იყოს, ყურები ჩამოყარა და სტუბს უთხრა – შინ რაღაც „ადმინისტრაციული პრობლემა" გამომიჩნდაო. როგორც გამოირკვა, ელისეს სასახლემ მას მტკიცებულებების მოძიება დაავალა. საფრანგეთის ხელისუფლებას არ სურდა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მხოლოდ ქართულ მხარესთან შეთანხმებული ტექსტით შემოფარგლულიყო – ამ დროისათვის სარკოზის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მოსალაპარაკებლად მოსკოვში ჩასვლა და არ უნდოდა რუსეთისათვის საძულველ პიროვნებასთან მისი პირადი მონაწილეობის გარეშე თბილისში შეთანხმებული დოკუმენტით ყოფილიყო ხელფეხშეკრული. სტუბი მაშინვე მიხვდა – ეუთო-სა და ფინეთის როლი უკვე ამოწურულიაო, თუმცა თავს იმით ინუგეშებდა – ფინეთმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში ხომ მაინც შეიტანა წვლილიო. მაშინ მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ ზემოხსენებულ ჟან-დავიდ ლევიტს პარიზში უკვე საკუთარი პროექტიც მოემზადებინა.

და მაინც, რეალური პრობლემა შეიძლება ის გამხდარიყო, რომ მოსკოვი არავითარ პროექტს არ დათანხმებოდა. კუშნერი თბილისიდან გაემგზავრა და მარტო ჩავიდა ვლადიკავკაზში – ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში, რომელიც ისტორიულად მოსკოვის სამხედრო ფორპოსტს წარმოადგენდა

---

* გელა ბეჟუაშვილსა და ეკატერინე ტყეშელაშვილს შორის, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დავით ბაქრაძეს ეკავა. (რედ.შენიშვნა)

და საიდანაც მან ერთ დროს მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა განახორციელა. მას უკვე ნანახი ჰყავდა ქართველი დევნილები გორში და ახლა სურდა ის ოსებიც მოენახულებინა, რომლებმაც საზღვარი გადაკვეთეს და რუსეთს შეაფარეს თავი. მან შემზარავი ისტორიები მოისმინა – როგორ ბომბავდა შუაღამისას ქართული არტილერია მათ საცხოვრებლებს, რა შეტევა მოჰყვა ამას იმ სარდაფებში ხელყუმბარების შეყრის ჩათვლით, სადაც ისინი აფარებდნენ თავს. კუშნერს მათი ნაამბობი დამაჯერებლად მოეჩვენა და საფუძველიც არ გასჩენია, არ ერწმუნა. ეს ყოველივე ომის დაუნდობელი სიმართლის ნაწილი გახლდათ, რამაც კიდევ უფრო განუმტკიცა იმის განცდა, რომ საქართველომ უგუნური ქმედება ჩაიდინა და მორალური უპირატესობაც დაკარგა.

ლტოლვილთა ბანაკისაკენ მიმავალ ფრანგულ დელეგაციას გზად რუსული ჯავშანტექნიკისა და ფეხოსნების გრძელი კოლონა შემოხვდა, რომელიც როკის გვირაბით სამხრეთისაკენ, საქართველოსაკენ მიემართებოდა. ეს მართლაც შთამბეჭდავი სანახაობა გახლდათ. ფრანგული დელეგაცია უკვე ვლადიკავკაზში იმყოფებოდა, როცა მათ საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, ერიკ ფურნიემ დაურეკა და ომის უკანასკნელი ამბები აცნობა; მერე სთხოვა, საქართველოს რუკა აეღოთ, ზედ ორი პატარა ქალაქი ეპოვათ და მათ შორის ხაზი გაევლოთ. სწორედ ამ ხაზზე გადიოდა უკვე რუსეთის არმიის მეწინავე პოზიციები და ნათლად ჩანდა, რომ საქართველო შუაზე იყო გაყოფილი. როცა მერე ფანჯრიდან საქართველოსაკენ მიმავალი რუსეთის დამატებითი ძალების უსასრულო რიგს გახედეს, თვალნათლივ დაინახეს რუსეთის სამხედრო ძალაცა და საქართველოს წინაშე მდგომი რეალური საფრთხეც. თუკი რუსეთი ამ ძალის ამოქმედებას გადაწყვეტდა, საქართველოს საქმე წასული იყო.

ფრანგული ხედვის ჩამოყალიბებაზე ორმა ფაქტორმა იქონია გავლენა, როცა იმავე დღეს სარკოზი პირისპირ შეხვდა მედვედევსა და პუტინს: საქართველო აშკარად უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა და აუცილებელი იყო ქვეყნის გადარჩენა, მაგრამ პარიზი იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ სააკაშვილი დაუფიქრებლად ჩაება ამ ომში და თავი მართლაც ისეთ გაუწონასწორებელ ლიდერად წარმოაჩინა, როგორადაც მანამდე ბევრი ახასიათებდა კიდეც. პარიზის გადასახედიდან, შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა, ნაწილობრივ, თბილისსაც ეკისრებოდა – ფრანგების აზრით, მათ სააკაშვილისთვის იმის დაბრუნება კი არ უნდა ეცადათ, რაც ომით დაკარგა, არამედ ეს ომი შეეჩერებინათ, საქართველო გადაერჩინათ და ამ პატარა ქვეყნის გამო დასავლეთისა და რუსეთის ახალი ცივი ომის დაწყება გამოერიცხათ. ფრანგების მიერ დასახული ამოცანების სწორად გააზრება გადამწყვეტია იმაში გასარკვევად, თუ რა მოხდა მოსკოვში იმ საღამოს.

სარკოზის გამგზავრებამდე პარიზს, ცხადია, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა როგორც საკუთარ პარტნიორებთან ევროკავშირში, ასევე ვაშინგტონთანაც.

მთავარი საკითხი იმის გარკვევა იყო, რა ამოცანებს დაისახავდა სარკოზი და, ცეცხლის შეწყვეტის პირობებიდან გამომდინარე, რა ჩაითვლებოდა საფრანგეთის წარმატებად. ზუსტად არავინ იცოდა, რა მიზნებს ისახავდა ამ ომში რუსეთი, მაგრამ მისი არმიის შემდგომი წინსვლა სულ უფრო აძლიერებდა საფრთხეს, რომ მოსკოვის მადა კიდევ უფრო გაიზრდებოდა. დასავლეთისთვის ერთხმად მიუღებელი იყო საქართველოში რეჟიმის შეცვლა; არსებობდა თანხმობა იმასთან დაკავშირებითაც, რომ რუსეთი ადრინდელ სამხედრო სტატუს-კვოს უნდა დაბრუნებოდა. სააკაშვილის მკაცრად გაკრიტიკების მიუხედავად, მედვედევმა სარკოზისაც და ბუშსაც ორივე ზემოხსენებული პრინციპის გასაზიარებლად თავისი მზადყოფნა დაუდასტურა. ახლა საქმე ის გახლდათ, რამდენად დაიცავდა იგი ამ პირობას და დროულად თუ მიიღებდა სათანადო ზომებს. მესამე და საბოლოო ამოცანა კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავების აღკვეთას გულისხმობდა და ასევე რუსეთის დარწმუნებას, რაოდენ მცდარი იყო მისი ნაბიჯი; შესაბამისად, იმ გარანტიის მიღებასაც, რომ მსგავსი ქმედებები შემდგომში სხვა მეზობლების მიმართაც არ იქნებოდა განხორციელებული.

მთელი ამ ხნის განმავლობაში პარიზი და ვაშინგტონი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. როცა ამერიკამ გადაწყვიტა სადავეები ევროპისათვის დაეთმო, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს მან კულუარული დიპლომატიის წარმართვაზეც აიღო ხელი. მოსკოვის მიმართ საჭირო პოზიციის თვალსაზრისით, პარიზმა და ვაშინგტონმა, ასე ვთქვათ, „კარგი და ცუდი პოლიციელის“ როლები გაინაწილეს. ამის მიუხედავად, ელისეს სასახლესა და თეთრ სახლს ბოლომდე შეთანხმებული ჰქონდათ ხედვაცა და ზოგადი მოთხოვნებიც. სარკოზიმ და ბუშმა სამჯერ ისაუბრეს და შეჯერდნენ, რომ ატლანტის ოკეანის ორივე სანაპიროზე ვითარებას ერთნაირად აღიქვამდნენ და სარკოზის მისიასაც ყველა ერთნაირად აფასებდა. მოსკოვში გამგზავრებამდე, ბოლო საუბრისას, სარკოზიმ ბუშს უთხრა კიდეც: „ჯორჯ, მიხარია, რომ ჩვენს შორის ეს ლაპარაკი შედგა. ჩვენთვის უკვე დღესავით ცხადია ყველაფერი“.[108]

მაგრამ დიპლომატიაში არსებობს უძველესი წესი: ვინც რეალურად აწარმოებს მოლაპარაკებებს და ჩანაწერებსაც აკონტროლებს, ბოლო სიტყვაც მისია. სინამდვილეში, ვაშინგტონი მხოლოდ „ტაქსში ყბედი მგზავრის“ როლს ასრულებდა და იმ საქმის ლომის წილი, რაც ცეცხლის შეწყვეტის პირობებზე რუსეთის დათანხმებასა და მათი ჯარების გამოყვანას გულისხმობდა, პარიზს უნდა ეტვირთა – ვაშინგტონისა და, ზოგადად, შეერთებული შტატების როლი არც უნდა გამოჩენილიყო ანუ საჭე სარკოზის ეტრიალებინა, ოღონდ – ბუშის არჩეული გზით ევლო. როცა სარკოზი მოსკოვში გაემგზავრა, თეთრ სახლში მიიჩნიეს, რომ ყველაფერი შეძლებისდაგვარად იყო გათვლილი; ადმინისტრაციამ იცოდა, რაოდენ ძლიერი და შედეგზე გამიზნული ლიდერი გახლდათ საფრანგეთის პრეზიდენტი, ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ამ შოუმენის ნიჭით

დაჯილდოებულ ადამიანს შეეძლო, დიპლომატიის ნიუანსები პიროვნული ხიბლით გადაეფარა, თან ის ამბავიც აშფოთებდა, რომ ელისეს სასახლე და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მთლად უნისონში არ „მღეროდნენ“.

პრეზიდენტი სარკოზი მოსკოვში 12 აგვისტოს, დაახლოებით შუადღისას ჩაფრინდა. ცოტა ხნით ადრე მოსკოვმა საჯარო განცხადება გააკეთა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე; თბილისსაც, ჯერჯერობით, არაფერი ემუქრებოდა. ტექნიკური თვალსაზრისით, რუსებმა სიტყვა ორივე საკითხთან დაკავშირებით, მართალია, შეასრულეს, მაგრამ საფრანგეთის დელეგაციისათვის მალე ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი რუსული ქვედანაყოფი ჯერ კიდევ აგრძელებდა წინსვლას. თავდაპირველად სარკოზი მედვედევს შეხვდა – როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, სწორედ ის იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და პროტოკოლითაც სარკოზის თანაფარდი.

სარკოზისაც სწორედ მედვედევთან სურდა მოლაპარაკების გამართვა, ოღონდ ისიც არავისთვის იყო საიდუმლო, რომ კრემლის ტახტის უკან მდგომი ძალა პუტინი იყო. საფრანგეთის დელეგაციას მოახსენეს, პრემიერ-მინისტრიც მალე ჩაერთვება მოლაპარაკებებშიო, რამაც ვითარებას კიდევ მეტი დრამატული ელფერი შესძინა. სარკოზიმ ჯერ კიდევ პეკინიდან იცოდა, რომ პუტინს სააკაშვილის გაგონებაც არ სურდა და ლავროვმაც კი ამ მოლაპარაკებების წინაპირობად მისი გადადგომა წამოაყენა. საქართველოში რეჟიმის შეცვლის საფრთხე ჯერ ისევ არსებობდა. მოგვიანებით, კრემლის ერთ-ერთმა პოლიტტექნოლოგმა, გლებ პავლოვსკიმ რადიო „Эхо Москвы"-ს ეთერში განაცხადა, რომ იმ დღეს "ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაზე" გაისმა ხმები ცეცხლის შეწყვეტის მიუღებლობის, თბილისისკენ დაძვრისა და სიტყვასიტყვით: „კიდევ უფრო შორს წასვლის“ თაობაზე. მან მკაცრად გააკრიტიკა ამგვარი პოზიცია და აღნიშნა, მსგავსი ნაბიჯი უთუოდ დააზარალებს რუსეთის ურთიერთობებს დასავლეთთან და პრეზიდენტ მედვედევის იმედებსაც დაასამარებს რუსეთის მოდერნიზაციასა და „გადასავლურებასთან“ დაკავშირებითო.[109]

მოლაპარაკება დაიწყო და, კუშნერის გასაოცრად, თბილისში მისი და სტუბის მიერ მომზადებული პროექტი გაკვრითაც კი არავის უხსენებია. მართალია, მან ეს პროექტი იმთავითვე გადაგზავნა პარიზში, მაგრამ სახელმწიფო უსაფრთხოების მრჩეველმა, ლევიტმა მიიჩნია, რომ დოკუმენტი რუსებთან საუბრის დასაწყებად არ ივარგებდა და საერთოდ, თავდაპირველად ჯერ სააკაშვილთან შეთანხმებული ტექსტის მოსკოვისათვის წარდგენა შეცდომა იქნებოდა. საფრანგეთის სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭომ მეორე, ალტერნატიული პროექტი მოამზადა, მაგრამ ისიც უარყოფილ იქნა. მოკლედ, საუბარი იმით დაიწყო, რომ რუსებმა მაგიდაზე დიდი რუკა გაშალეს და უსაფრთხოების ის ზონა მოხაზეს, რომლის შექმნაც აუცილებლად მიაჩნდათ საქართველოს შემდგომი ქმედებებისაგან სამხრეთ ოსეთის დასაცავად.

რუსების მიერ მოთხოვნილი ამგვარი ზონის შექმნა მოსკოვს შესაძლებლობას მისცემდა არა მარტო კონტროლი დაემყარებინა საქართველოს დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელ მაგისტრალებზე, არამედ ერთგვარ ვეტოს უფლებასაც – საქართველოს ნებისმიერ მცდელობაზე – აღედგინა დანგრეული ეკონომიკა. სხვათა შორის, ამ ზონაში ექცეოდა ის გზაც – რუსეთის საზღვრიდან თბილისამდე, რომელიც მოსკოვმა საქართველოში შესაჭრელად გამოიყენა ამ ქვეყნის მიერ 1921 წელს დამოუკიდებლობის დაკარგვის დროს. მოსკოვმა პირობა იმ თვალსაზრისით შეასრულა, რომ თბილისი არ აუღია, მაგრამ თან აშკარად კბილებს ილესავდა და ახლა უკვე სხვაგვარად ცდილობდა საქართველოში გაბატონებას, ზოგადად ქვეყნისა და მისი ეკონომიკის დაჩოქებას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების აღსასრულსა და არა სამხედრო, არამედ უკვე პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტებით რეჟიმის შეცვლას მოასწავებდა. მოლაპარაკების დროს ფრანგული მხარე მუდმივად იღებდა ახალ-ახალ ცნობებს იმის თაობაზე, როგორ გადაადგილდებოდნენ რუსეთის ნაწილები დაკავებულ ტერიტორიაზე და, სხვათა შორის, არც უშუალოდ თბილისისაკენ მიმართული საფრთხე ჩანდა საბოლოოდ თავიდან აცილებული. ამასობაში, პუტინიც გამოჩნდა – როგორც ჩანს, კბილის ექიმისაგან მოდიოდა და მაინცდამაინც ხასიათზეც ვერ იყო, თუმცა ზუსტად მაინც ვერავინ იტყოდა – საკუთარ დასტაქარზე უფრო გახლდათ აღრენილი თუ – საქართველოზე...

სავსებით ნათელი მხოლოდ ერთი რამ ჩანდა: ასე თუ ისე, რუსეთის პრემიერ-მინისტრს სააკაშვილის სრული „გადახაზვა" სურდა. მასა და სარკოზის შორის საკმაოდ დაძაბული სიტყვიერი ფარიკაობა შედგა, რაც შემდგომ ფრანგულ პრესაში გამოქვეყნდა კიდეც:

„მინდა რომ სააკაშვილი კაკლებით ჩამოვკიდო!" – თქვა პუტინმა.
„როგორ თუ ჩამოკიდო?!" – გაიკვირვა სარკოზიმ.
„რატომ არა?" – დაეკითხა პუტინი – „ამერიკელებმა ხომ ჩამოკიდეს სადამი!"
„განა თქვენც ბუშივით გინდათ დაამთავროთ?" – ჩაეღიმა საფრანგეთის პრეზიდენტს.
პუტინმა ცოტა ხანს შეიცადა და მერე თქვა: „ამაში კი მართალი ხარ..." [110]

ამ რეპლიკის შემდეგ სიტყვა სარკოზიმ აიღო: „მოდით, ვაცალოთ ქართველ ხალხს – თავად გადაწყვიტოს, ვინ უნდა ლიდერად... დემოკრატიაც ეგაა. ნუ ჩავერევით. თუ ქართველების მხრიდან ახალი შეტევის საფრთხე გაფიქრებთ, მოდით ამაზე ვისაუბროთ – მეც სწორედ მაგისთვის ვარ ჩამოსული".

როცა ეს სამეული სასადილოდ გაემართა, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა და ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლებმა ახალ პროექტზე დაიწყეს მუშაობა; მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა იმდენად დიდი იყო, პრეზი-

დენტებისთვის წინასწარ განსახილველად წარსადგენი სამუშაო ტექსტიც კი ვერ გაამზადეს. სადილის შემდეგ მათ გულწრფელად აღიარეს საკუთარი უუნარობა და მოლაპარაკებაც თითქოს ჩიხში შევიდა. სარკოზის სწორედ ახლა უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება – ან მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, შეხვედრის ჩაშლის და შინ გაბრუნების მუქარით გამოსულიყო, ან ძალისხმევა გაეორმაგებინა და დასავლეთის ყველა წინაპირობის შეუსრულებლად, თუნდაც რაიმე კომპრომისისთვის მაინც მიეღწია.

პარიზი სრულად აცნობიერებდა, რომ მოსკოვმა უკვე დაარღვია ცივი ომის შემდგომი ევროპული მშვიდობის უმთავრესი პირობა, როცა ძალის გამოყენებით გადალახა სხვა ქვეყნის საზღვარი; საფრანგეთის გადასახედიდან ეს სრულიად მიუღებელი ჩანდა, მაგრამ პარიზს ისიც გააზრებული ჰქონდა, რომ იმ დროსა და იმ ვითარებაში მომხდარს ვეღარ მოაბრუნებდა. არც საფრანგეთსა და არც ევროკავშირს არ გააჩნდა ის ძალა თუ ბერკეტები, მოსკოვს რომ აიძულებდა ყველა იმ მოთხოვნას დაყაბულებოდა, რასაც დასავლეთი თუ საქართველო ითხოვდა. იმ ვითარებაში როცა რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოს დედაქალაქის მისადგომებთან იყვნენ განლაგებულნი, მოსკოვს, ცხადია, უაღრესად მომგებიანი პოზიცია ეკავა. ამიტომაც სარკოზიმ და მისმა გუნდმაც გადაწყვიტეს, მთელი ყურადღება დაუყოვნებლივ გადასადგმელ ნაბიჯებზე გაემახვილებინათ ანუ შეეჩერებინათ რუსეთის არმიის წინსვლა, გადაერჩინათ თბილისი და მეტისმეტის მოთხოვნით შესაძლებელიც არ გაეშვათ ხელიდან. ახლა მთავარი ის იყო, თბილისი სრულ განადგურებასა და ოკუპაციას გადარჩენოდა. როგორც მოგვიანებით კუშნერმა თქვა: ჩვენთვის რუსის ჯარის შეჩერება იყო მთავარი – მიზანიც ეს გახლდათ და ამოცანაც. საამისოდ უნდა გვეღიარებინა მათი გამარჯვება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და შემდგომ მოგვეთხოვა ამას დაჯერდითო...[111]

მოკლედ, სარკოზი მედვედევს მიუბრუნდა და უთხრა: „კარგი, მოდით ეს ჩვენ თვითონ ვცადოთ...“ მერე კალამი მოიმარჯვა და გაკრული ხელით ფურცელზე რამდენიმე დებულება ჩამოწერა. ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე თავდაპირველი შეთანხმების პროექტისაგან განსხვავებით, აქ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ნახსენებიც არ იყო. სამაგიეროდ, კუშნერ-სტუბის დოკუმენტის ოთხმა პუნქტმა ახლა ოდნავ განსხვავებული სახე მიიღო და მათ კიდევ ორი ახალი პუნქტი დაემატა: ერთი კონფლიქტური ზონების ირგვლივ ე.წ. „უსაფრთხოების დამატებითი ზონების“ შემოღებას, მეორე კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვას გულისხმობდა. ეს დოკუმენტი სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში სარკოზისა და მედვედევის მრჩევლებს – ჟან-დავიდ ლევიტსა და სერგეი პრიხოდკოს გადაეცათ და მისი გადაბეჭდვა/გამრავლება თუ რუსულად

თარგმნაც მათვე დააკისრეს. აი, საბოლოო ფრანგული და რუსული ტექსტების ერთმანეთთან შესადარებლად კი უკვე აღარავის შეუწუხებია თავი.

3-4 საათის შემდეგ პრეზიდენტებს ცეცხლის შეწყვეტისათვის აუცილებელ 6 მოთხოვნაზე დაფუძნებული შეთანხმებული დოკუმენტის ტექსტი წარუდგინეს. სარკოზიმ და მედვედევმა მოგვიანებით ეს მოთხოვნები პრესკონფერენციაზეც გაახმოვანეს:

- ძალის გამოუყენებლობა.
- ყოველგვარი დაპირისპირების სრული აღკვეთა.
- ჰუმანიტარული დახმარების თავისუფლად მიწოდების უზრუნველყოფა.
- საქართველოს შეიარაღებული ძალების დაბრუნება მუდმივი დისლოკაციის პოზიციებზე.
- რუსული შეიარაღებული ძალების დაბრუნება ომამდელ პოზიციებზე; ხოლო საერთაშორისო მექანიზმების შემუშავებამდე, რუსულ სამშვიდობოებს უსაფრთხოების დამატებითი ზომების გატარებაც ეკისრებათ.
- საერთაშორისო დისკუსიის გამართვა – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით და მათი გრძელვადიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზების გამონახვის თაობაზე.

დიპლომატის მახვილი თვალი არ სჭირდებოდა იმის შემჩნევას, რომ დოკუმენტი ენობრივადაც მოიკოჭლებდა და რამდენიმე პუნქტი სულაც ორაზროვნად ყღერდა. იგი უფრო რუსეთისა და საფრანგეთის მიზნებს შორის არსებულ განსხვავებათა შესანიღბად იყო გამიზნული. პრესკონფერენციის დასაწყისში მედვედევმა არა მარტო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, არამედ ამ ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტის ხსენებასაც კი აარიდა თავი; სარკოზიმ საჩქაროდ გაუსვა ხაზი, რამდენად უჭერდა მხარს ამ უკანასკნელი ორი პრინციპის განუხრელ დაცვას და მედვედევს სთხოვა დაედასტურებინა, რომ ისიც იზიარებდა ამ ხედვას. მერე ორივე ლიდერს დაუსვეს შეკითხვა – რატომ არ იყო განცხადებაში ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბარი. მედვედევმა შეკითხვა უპასუხოდ დატოვა, სარკოზიმ კი თქვა, რომ მისი მიზანი ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება კი არა, პირველ რიგში, ცეცხლის შეწყვეტა იყო: „არსებობს ორი გზა," – დაამატა იქვე – „ან უნდა ვეცადოთ ახლავე გადავჭრათ ყველა პრობლემა და, საბოლოო ჯამში, ვერც ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიოთ, ან – ჯერ მშვიდობა დავამყაროთ, ხოლო ამ ვითარებიდან გამოსავალი მერე ვეძებოთ; ჩვენც სწორედ ეს მეორე გზა ვამჯობინეთ".[112]

ბოლოს მედვედევიც უხალისოდ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ისიც აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს; თუმცა სასწრაფოდვე დაამატა: „ეს იმას არ ნიშნავს, სუვერენულ სახელმწიფოს უფლება ჰქონდეს ის აკეთოს, რაც მოესურვება!" კითხვაზე – შეძლებენ კი ოდესმე ქართ-

ველები, ოსები და აფხაზები კვლავ ერთად ცხოვრებასო, ასე უპასუხა: „ეს კითხვა მათ საკუთარ თავს უნდა დაუსვან და მკაფიო პასუხიც თავად გასცენ; მათ მაგივრად ვერც რუსეთი ილაპარაკებს და ვერც ვინმე სხვა". მერე გააგრძელა: „ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საერთაშორისო სამართალმა მოგვცა მრავალი რთული მაგალითი ხალხთა მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისა. რუკაზე ახალი სახელმწიფოები გაჩნდა – ამის მაგალითად კოსოვოც კმარა..." ანუ – მოსკოვი ახლა დასავლეთს ბალკანეთის გამო უბრუნებდა ხურდას – რაც, დიპლომატიური თვალსაზრისით, საპასუხო დარტყმის ტოლფასი გახლდათ.

სარკოზიმ და კუშნერმა მოსკოვი საკუთარი წარმატების რწმენით დატოვეს: ომიც შეაჩერეს და რუსეთის სამხედრო ძალის წინსვლაც. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სააკაშვილმა მცდარი ნაბიჯი გადადგა იერიშის წამოწყებისას და საქართველოც ამ ომში, არსებითად, დამარცხებული დარჩა. მთელი მისიის განმავლობაში მათ არც დაუსახავთ მიზნად რუსეთისათვის აგრესორობაში დაედოთ ბრალი; არც იმას ცდილობდნენ, ომით დაკარგული კვლავ საქართველოს დაბრუნებოდა. რუსების სამხედრო ძლიერების გათვალისწინებით, ორივე ნათლად აცნობიერებდა საკუთარი გავლენის ფარგლებს და მხოლოდ ის სურდათ, ომი მანამდე დასრულებულიყო, ვიდრე მოსკოვისა და დასავლეთის ურთიერთობები შეუქცევადად არ გაუარესდებოდა. მათ მოახერხეს საქართველოს გადარჩენა, შეინარჩუნეს ევროპის ურთიერთობები რუსეთთან და დაადასტურეს, რომ საფრანგეთის ლიდერობით ევროკავშირს ძალა შესწევდა ევროპის პერიფერიაზე ამ მასშტაბის კრიზისულ ვითარებას გამკლავებოდა. მოკლედ, წარმატება აშკარად ესახებოდათ და მოსკოვიდან თბილისისაკენ გამგზავრებულებმა, ეს ამბავი თვითმფრინავშივე აღნიშნეს.

თუმცა სხვები სხვაგვარად ფიქრობდნენ: როცა ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტი იხილეს, ერთ-ერთი მათგანის თქმით – *პირი დაგვრჩა ღიაო*. სავარაუდოდ, ცეცხლის შესაწყვეტად კონკრეტული დროც უნდა ყოფილიყო დათქმული და შესაბამისი არეალიც – შემოსაზღვრული; ამაზე კი დოკუმენტში სიტყვა არ იყო ნახსენები. თავისთავად ტექსტიც ბუნდოვანი ჩანდა და არაერთგვაროვანი წაკითხვის შესაძლებლობას ტოვებდა: ზემოხსენებულ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული სამშვიდობო და, ასე ვთქვათ, საინტერვენციო ნაწილები; ასევე, რას ნიშნავდა „უსაფრთხოების დამატებითი ზომები?" – თუ ეს რუსებს უნდა განესაზღვრათ, რა შეუშლიდათ ხელს, მთელ დარჩენილ ქვეყანას მოსდებოდნენ და ის ეკეთებინათ, რაც მოეგუნებებოდათ! რა ახალი ტიპის „საერთაშორისო მექანიზმები" იგულისხმებოდა და რა დრო დასჭირდებოდა მათ ამოქმედებას? საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მოსკოვს შეეძლო საკუთარი შეიარაღებული ძალები ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში დაეტოვებინა.

მაგრამ ფაქტია, ამერიკას ფსონი პარიზზე ჰქონდა დადებული. ვაშინგტონის წარმომადგენელი მოლაპარაკებათა ოთახში არ ყოფილა და ამიტომ ხელაღებით ვერც ვერავინ იტყოდა, რისი მიღწევა იქნებოდა იქ შესაძლებელი და რისი – არა. როგორც ჩანს, მეტის მიღწევა არც გამოდიოდა, საფრანგეთს უნდა მიეღწია წარმატებისთვის, თუ ვაშინგტონს საკუთარი ამოცანის შესრულება ეიმედებოდა. აშშ-ის ადმინისტრაცია მზად იყო მოესმინა კრიტიკა მისი არასაკმარისი აქტიურობისა თუ მონდომების გამო, მაგრამ ვაშინგტონში მიაჩნდათ, რომ წამყვანი როლი მაინც ევროპას უნდა ეკისრა და საფრანგეთიც სწორედ ის პარტნიორი ჩანდა, რომელიც მათ ხედვას იზიარებდა. ახლა კი, როცა საბოლოო შედეგები მაინცდამაინც არ დაემთხვა ვაშინგტონის მოლოდინს, მეტი რა ჩარა იყო – ღრმად უნდა ჩაესუნთქა და კრიტიკისაგან თავი შეეკავებინა.

არადა, დღემდე გრძელდება კამათი, როგორ შეფასდეს სარკოზი-მედვედევის შეთანხმება: საკმარისად გამბედავი იყო მოსკოვში ჩასული საფრანგეთის პრეზიდენტი და საუკეთესო შესაძლებელ შედეგს მიაღწია თუ მტკიცედ ვერ დაუდგა რუსებს და, შესაბამისად, ისეთ წყალწყალა დოკუმენტს მოაწერა ხელი, რომლის უვარგისობაც იმთავითვე ნათლად ჩანდა? მოახერხა კი პარიზმა რთულ ვითარებაში მაქსიმუმის გამოწურვა თუ ნებისმიერი პირობით ზავის დადების მოსურნე სარკოზი მინიმუმს დათანხმდა? ვითომ უფრო მჭიდრო ტრანსატლანტიკური თანამშრომლობისა და ამერიკის უფრო მკვეთრი პოლიტიკური და დიპლომატიური ჩარევის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო სხვა შედეგი, თუ ამით მხოლოდ აშშ-რუსეთის იმგვარ დაპირისპირებას მივიღებდით, რისი თავიდან აცილებაც ყველას ერთნაირად სურდა? როგორც ჩანს, ამ კითხვებზე პასუხის მოძებნა ისევ ისტორიკოსთა სამომავლო საქმედ დარჩება.

თავიანთი მხრივ, ფრანგი მაღალჩინოსნები დაბეჯითებით ამტკიცებენ – ამ პირობებში უკეთესი შედეგი, უბრალოდ, წარმოუდგენელი გახლდათო. მართალია, ვაშინგტონი მუდმივად უსვამს ხაზს – პარიზთან სრული კავშირი გვქონდაო, ზოგიერთი ფრანგი პოლიტიკოსი მაინც განსხვავებული აზრისაა და აცხადებს – აშშ თამაშს გამოეთიშა, მერე კი ჩვენცა და ევროპაც მოსკოვს პირისპირ შეგვატოვაო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კუშნერის თქმით: „ამერიკელები არსად ჩანდნენ... მართალია, ტელეფონით გვიკავშირდებოდნენ და ჩვენც ვურეკავდით; მართალია, შავ ზღვაში სამხედრო გემი შემოიყვანეს – რა მერე? არაფერი! ჩვენ მოგვიწია წითელი არმიის შეჩერება და ჩვენი უმთავრესი და ერთადერთი მიზანიც ის იყო, რუსებისათვის საქართველოს დედაქალაქის აღების საშუალება არ მიგვეცა“.

ის, რასაც საფრანგეთში წარმატებად თვლიდნენ, თბილისშიც სულ სხვაგვარად აღიქმებოდა. სააკაშვილი და მისი გუნდი ჯერ კიდევ მაშინ დარჩა გაწბილებული, როცა ბუშმა თქვა – ამერიკა წინა პლანზე გამოსვლას არ აპირებს და სადავეებს საფრანგეთს გადაულოცავსო; თუმცა ოფიციალური თბილისი მაინც

მიესალმა პრეზიდენტ სარკოზის მისიას მოსკოვში: სააკაშვილმა იცოდა, როგორ სჭირდებოდა ვინმე, ვინც რუსეთს ომის დამთავრებაზე დაიყოლიებდა. თუ საამისოდ ვაშინგტონი არ იყო მზად, მაშინ ერთადერთ ალტერნატივად მართლაც ევროკავშირი რჩებოდა; მაგრამ მედვედევ-სარკოზის პრესკონფერენციის შემხედვარე ქართველებიც სახტად დარჩნენ: სააკაშვილს სწორედ წინა დღით ჰქონდა ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების ის პროექტი, სადაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზეც იყო საუბარი, ახალ დოკუმენტში კი ეს საკითხი საერთოდ არ იხსენიებოდა და სანაცვლოდ ორი ახალი, საკმაოდ ბუნდოვანი მუხლი შეეტანათ. არადა, თავისთავად ის ამბავიც, რომ დოკუმენტი საჯაროდ უკვე მოსკოვშივე გახმიანდა, მასში რაიმე არსებით ცვლილებას თითქმის შეუძლებელს ხდიდა.

სანამ ფრანგული დელეგაცია თვითმფრინავში ზეიმობდა, სააკაშვილი რამდენიმე უცხოელ დიპლომატს დაუკავშირდა ტელეფონით – მათი აზრის გასარკვევად. საქართველოს პრეზიდენტი აღაშფოთა ტექსტის შეცვლამ და აინტერესებდა, რას ურჩევდნენ – როგორი ინტერპრეტაცია მიეცა ტექსტისათვის და რა პასუხით დახვედროდა თბილისისაკენ მომავალ თავის ფრანგ კოლეგას. თბილისის გადასახედიდან, მოსკოვის იმ მიზანმიმართული, აგრესიული ნაბიჯების შედეგად, რომელთა აღსაკვეთადაც დასავლეთმა ბევრი ვერაფერი იღონა, ქვეყანა, ფაქტობრივად, დაპყრობილი აღმოჩნდა და, ქართველების აზრით, ამ ომზე დასავლეთის პასუხიც ახლა რაღაც „მიკიბულ-მოკიბული“ იყო. პირდაპირი დაგმობის ნაცვლად, დასავლეთმა რუსეთი მხოლოდ „ძალის გადამეტებული გამოყენებისათვის“ გააკრიტიკა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გარკვეული ძალის გამოყენებას მაინც მისაღებად მიიჩნევდა. ვაშინგტონზე განაწყენების მიუხედავად, ქართველებს საუკეთესო მეგობრად კვლავაც აშშ ესახებოდათ და ევროპას უფრო იმედგაცრუებით უყურებდნენ. არადა, გადარჩენისათვის სწორედ ევროპისა და მისი იმჟამინდელი ლიდერის, საფრანგეთის იმედზე რჩებოდნენ.

წინადღით სააკაშვილმა ეროვნული ერთიანობის დამადასტურებელ მიტინგზე მოუხმო პარლამენტის შენობის წინ – ასე ცდილობდა იგი საზოგადოების მხნეობის ამაღლებას. სარკოზი თბილისში სწორედ იმ დროს ჩავიდა, როცა მიტინგი მიმდინარეობდა. ესკორტი პარლამენტის შენობას მიადგა თუ არა, ხალხმაც ერთხმად აიტაცა: *სარკოზი, სარკოზი!* სააკაშვილმა სტუმარს სთხოვა, სიტყვით მიემართა შეკრებილთათვის, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტმა შეთავაზება შორს დაიჭირა და მასპინძლებს უთხრა – მე აქ ომის შესაწყვეტად ჩამოვედი და არა ტრიბუნიდან სიტყვის სათქმელადო... საფრანგეთის დელეგაცია შიშობდა, რომ სააკაშვილი მათი ვიზიტის სათავისოდ გამოყენებას ეცდებოდა; მათ მშვენივრად მოეხსენებოდათ, რომ სარკოზის მიერ საჯაროდ თქმულ ნებისმიერ სიტყვას მოსკოვი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობდა.

ვითარება კიდევ უფრო დაიმუხტა, როცა საქმე იმ ოთახის გამოძებნაზე მიდგა, სადაც ორი ქვეყნის ლიდერები უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. თავდაპირველად მოლაპარაკებები კანცელარიაში იყო დაგეგმილი, მაგრამ მიტინგმა და სარკოზის ნაგვიანებმა ჩამოსვლამ გეგმები არია და ახლა ყველაფერი რაღაც არაორგანიზებული ჩანდა. საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის შენობაშიც ჰქონდა სამუშაო ოთახი – ბოლო წუთს გადაწყდა, სწორედ იქ დამსხდარიყვნენ, ოღონდ ოთახში ჰაერი ცუდად ნიავდებოდა და, შესაბამისად, ძალზე ცხელოდა. ამიტომაც გარკვეული დამატებითი ზომების მიღება გახდა საჭირო. ისიც სათქმელია, რომ ფრანგული და რუსული ტექსტების ინგლისურად სათარგმნად თავი არავის შეუწუხებია და მართალია, თავად სააკაშვილი თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად, მისი პროამერიკული გარემოცვიდან ეს ენა ცოტას თუ ესმოდა.

იმავე დროს, თბილისში ასევე ჩამოვიდნენ პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, ესტონეთის პრეზიდენტი ტოომას ილვესი, ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი და ლატვიის პრემიერ-მინისტრი ივარს გოდმანისი*. ყველა მათგანს ქართველების მიმართ თანადგომის გამოხატვა სურდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის საჰაერო ძალებმა სარკოზის კი მისცეს თბილისში დაფრენის ნება, მაგრამ პოლონურ თვითმფრინავს საქართველოს საჰაერო სივრცე გადაუკეტეს და მაღალჩინოსნებსაც აზერბაიჯანში მოუწიათ დაჯდომა, საიდანაც უკვე მანქანით ჩამოვიდნენ თბილისში. სააკაშვილმა სარკოზისთან შეხვედრა მიატოვა და სტუმრების შესაგებებლად გამოვიდა. მერე ისინიც მიტინგზე მიიპატიჟა – სიტყვით გამოსასვლელად. შემდეგ, პირდაპირი მნიშვნელობით – ისევ საფრანგეთის პრეზიდენტთან გაიქცა და გაოგნებული კოლეგები ასი ათასამდე ქართველის პირისპირ დატოვა ტრიბუნაზე. მოკლედ, წარმატებულად დაიწყოო, ამ ვიზიტზე ვერაფრით ითქმოდა...

სარკოზისა და კუშნერის სახით ქართული მხარე ხედავდა – ან უნდოდა დაენახა – ეროვნული განსაცდელის ჟამს დასახმარებლად ჩამოსულ მეგობრებს; მათ სურდათ გაეგოთ, რა მოხდა მოსკოვში, როგორ და რატომ შეიცვალა ასე ძირეულად ორი დღით ადრე უკვე ხელმოწერილი დოკუმენტი. იმედიც ჰქონდათ, დიალოგი და ორმხრივი დათმობები მოაგვარებდა ან თუნდაც რამენაირად მაინც გამოასწორებდა მომხდარს. საფრანგეთისთვის ამოცანა სხვაგვარად იდგა: სარკოზის შემდგომი რევიზიები აღარ სურდა და უცილობლად მიაჩნდა დაერწმუნებინა საქართველოს ხელისუფლება, უალტერნატივოდ მიეღო ესოდენ რთულ ვითარებაში და ასეთი დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად მოსკოვში უკვე შეჯერებული დოკუმენტი. იქიდან ეს-ესაა ჩამოფრენილმა, მან არც ის იცოდა – შესრულდებოდა თუ არა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და

---

* ჩამონათვალს აკლია უკრაინის იმჟამინდელი პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო (რედ. შენიშვნა)

რუსი გენერლებიც ისევ ხომ არ წამოიწყებდნენ შეტევას. სასწორზე საფრანგეთისა და მისი პირადი რეპუტაცია იდო: ცეცხლი თუ არ შეწყდებოდა, მისი, როგორც პოლიტიკოსის, იმიჯიც, ცხადია, ძალზე შეილახებოდა.

მოკლედ, სარკოზის უპირობო ხელმოწერა სჭირდებოდა, რითაც მისი აზრით საქართველოც გადარჩებოდა და მისი სამშვიდობო მისიაც წარმატებულად ჩაითვლებოდა; მაგრამ ორ მხარეს შორის ფსიქოლოგიური განსხვავებებისა და ხსენებული დოკუმენტის სხვადასხვაგვარი აღქმის ფაქტი სწრაფადვე გახდა საცნაური: სარკოზის სათქმელი სრულიად არაორაზროვანი ჩანდა – ან ხელს მოაწერთ, ან არადა რუსული ტანკები რამდენიმე საათში აქ იქნებიანო... მართალია, დოკუმენტი ნამდვილად ნაკლოვანი და ალაგ-ალაგ სრულიად ბუნდოვანიც იყო, მაგრამ, მისი აზრით, მხოლოდ ეს ხელმოწერა თუ დაასრულებდა ომს და საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც გადაარჩენდა. თავის მხრივ, ქართველებს შეკითხვებზე პასუხის მიღება უნდოდათ, განმარტებები სჭირდებოდათ დებულებათა თაობაზე და შესაძლო ცვლილებებისათვის გზების გამონახვაც. ამ დროისათვის, მომქანცველი დღის მერე, სარკოზი გვარიანად დაიღალა; გაღიზიანებული და მოთმინებადაკარგული, დროდადრო სკამიდან წამოხტებოდა ხოლმე და ქართველებისაგან ლამის უკვე ყვირილით მოითხოვდა ხელმოწერას: „რა ამერიკელები აგიტყდათ?! სადაა თქვენი ბუში?! თქვენს გადასარჩენად თავს არავინ გამოიდებს! არც ევროპელები აპირებენ ამას! მარტო ხართ, სულ მარტო! ხელს თუ არ მოაწერთ, აქ მალე რუსული ტანკები იგრიალებენ ქუჩებში..."

ქართველებს ნირი წაუხდათ – შეიძლება სარკოზი მართალიც ყოფილიყო: მათი დაზვერვის ცნობების თანახმად, რუსები ჯერ ისევ ემზადებოდნენ მარშისთვის, მაგრამ არც იმას გამორიცხავდნენ – იქნება და საფრანგეთის პრეზიდენტი ცოტას აბუქებს კიდეცო... შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ სარკოზის ერთი სული ჰქონდა, საკუთარი მისიის წარმატებით დაგვირგვინება გაეცხადებინა და შინ მშვიდობით დაბრუნებულიყო. თუმცა კიდევ ბევრი უპასუხო კითხვა რჩებოდა: ქართველები დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ პარიზს ბოლომდე ესმოდა, როგორი იყო ვითარება სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან დაკავშირებით; დარწმუნებით ვერც ვერავინ იტყოდა, როგორ აისახებოდა ამ დოკუმენტის ამოქმედება უშუალოდ რეგიონზე. იმავდროულად ქართველები იმასაც აცნობიერებდნენ, რაოდენ მწირი იყო მათი ზემოქმედების ბერკეტები – შიშობდნენ, ვაითუ მეტისმეტი სიხისტე გამოვიჩინოთ, სარკოზიმ უცებ არ „იფეთქოს", სულაც რუსებს არ მიემხროს და იმ ხალხად არ წარმოგვაჩინოს, ვისთან თანამშრომლობაც, უბრალოდ, შეუძლებელიაო.

დოკუმენტთან დაკავშირებით თბილისი სამ საგანგებო პრობლემას ხედავდა: ჯერ ერთი, აღარსად იყო ნახსენები „ტერიტორიული მთლიანობა" და როგორც ფრანგები ირწმუნებოდნენ, ამ საკითხის კვლავ წამოწევა საერთოდ

შეუძლებელი იყო; მომდევნო პრობლემა მე-5 მუხლს ანუ ბუფერული ზონების უსაფრთხოებას უკავშირდებოდა. ეს პუნქტი მეტისმეტად ბუნდოვანი ჩანდა და ქართველები შიშობდნენ – ვაითუ რუსებმა იგი საქართველოს სხვა მხარეების საოკუპაციოდაც გამოიყენონო. სარკოზიმ ნაგულისხმევისათვის მეტი თვალსაჩინოების მისაცემად ერთგვარი დამატებითი წერილის შექმნა შესთავაზა, თუმცა თავად დოკუმენტის ფორმულირების შეცვლაზე უარი განაცხადა. თბილისსაც ამით მოუწია დაკმაყოფილება. მესამე და უდიდესი პრობლემა კი მე-6 მუხლი გახლდათ, სადაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საბოლოო სტატუსთან დაკავშირებით სამომავლო მოლაპარაკებებზე იყო საუბარი.

თბილისმა ამაში იმწუთასვე შენიშნა კოსოვოს პრობლემასთან მსგავსება და რუსეთის მორიგი ხრიკი: თუკი ამგვარ ფორმულირებას დათანხმდებოდნენ, ეს პირველი შემთხვევა იქნებოდა, როცა საქართველო იმგვარ დოკუმენტს ჩათვლიდა მისაღებად, სადაც მისი ტერიტორიული მთლიანობა დგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ. საქართველოს ხელისუფლების გადასახედიდან, საქმის ამ წინაპირობით დაწყება სრულიად წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ ფრანგები უმტკიცებდნენ – რუსეთის დაყოლიება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის გარკვევა საერთაშორისო მსჯელობის საგნად ქცეულიყო – ერთადერთი და ალბათ საუკეთესო გზაც იქნებოდა ამ მხარეების პრობლემის, ასე ვთქვათ, „ღიად დასატოვებლად" და მოსკოვის შესაჩერებლად – ცალმხრივად არ ეცნო მათი დამოუკიდებლობა. თავად სიტყვა *სტატუსიც* იმაზე მიანიშნებს, რომ მოლაპარაკებათა დროში გაწერილი პროცესის დაწყება იქნება აუცილებელი, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობა მხოლოდ წაადგება ქართველთა ინტერესებსო. სარკოზი სრულიად გასაგებად ამბობდა სათქმელს: „ვსხედვართ ახლა აქ და თქვენ ცდილობთ, შეთანხმებიდან ერთი კონკრეტული სიტყვა ვაქციოთ მოლაპარაკების საგნად, მე კი გარწმუნებთ – თუ ამ შეთანხმებას არ მიიღებთ, რუსები ორ საათში შემოვლენ თბილისში! დამიჯერეთ, ვიცი რასაც ვამბობ. ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, რა გირჩევნიათ – რუსებმა თბილისი აიღონ თუ ამ დოკუმენტზე მოაწეროთ ხელი... ჯერჯერობით, ეს სიტყვა დაივიწყეთ – მისი ჩვენი სურვილისამებრ ინტერპრეტირება მომავალშიც შეიძლება. ჩვენი მხრით კი გარწმუნებთ – არასოდეს ვაღიარებთ არც აფხაზეთსა და არც სამხრეთ ოსეთს!"

მაგრამ ქართველები ჯიუტობდნენ – მათი აზრით, დათანხმება კაპიტულაციის ტოლფასი იქნებოდა. ბოლოს ისევ სარკოზიმ დათმო: „კარგი, მედვედევს დაველაპარაკები და იქნებ ეს ერთი სიტყვა მაინც შევაცვლევინო!" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბაქრაძის კაბინეტში საგანგებო კავშირის ხაზი იყო გაყვანილი, რომლითაც ის შეეცადა კრემლს დაკავშირებოდა. ამასობაში შუაღამე გადავიდა; ბაქრაძეს ოპერატორმა უპასუხა. პარლამენტის თავმჯდომარემ აუხსნა, ვინც იყო და სთხოვა, მედვედევთან დაეკავშირებინათ. „თქვენ რა, გაგიჟდით?!" – გაიოცა ოპერatორმა ქალმა. ბაქრაძემ სცადა განემარტა –

მე კი არა, საფრანგეთის პრეზიდენტს სურს მასთან საუბარიო. პასუხად კვლავ უარი მიიღო. მედვედევს ეძინა, და მისი შეწუხება არ შეიძლებოდა – თუნდაც ომის დასრულების საკითხთან დაკავშირებით.

სწორედ ამ დროს ფრანგულმა და ქართულმა მხარეებმაც დასვენება გადაწყვიტეს. სააკაშვილი პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხთან გავიდა და კიდევ ერთხელ მიმართა სიტყვით. ამ დროს ფრანგულმა დელეგაციამ გადაწყვიტა, საკუთარი საშუალებებით დაკავშირებოდა მოსკოვს და შედეგსაც მიაღწია. სარკოზი მედვედევს დაელაპარაკა და დოკუმენტიდან სიტყვა „სტატუსის“ ამოღებაზეც დაითანხმა. ფრანგებმა ეს სასიხარულო ამბავი მაშინვე აცნობეს ქართველებს, მაგრამ მათ აღნიშნული ცნობა იმის კიდევ ერთ დადასტურებად ჩათვალეს, როგორ უგულებელყოფდნენ რუსები მათ როლს მთელ ამ საქმეში. მერე სარკოზიმ და სააკაშვილმა ხანმოკლე, სახელდახელო პრესკონფერენცია გამართეს და საფრანგეთის პრეზიდენტიც შინ გაემგზავრა.

ფრანგული დელეგაციის გამგზავრების შემდეგ ქართველებს მაინც ის უსიამოვნო შეგრძნება დარჩათ, რომ ეს შეთანხმება სამომავლოდ ცუდად შემოუტრიალდებოდათ. სააკაშვილმა, როგორც იქნა, ესტონეთის, ლიტვისა და პოლონეთის პრეზიდენტებისთვისაც მოიცალა – ვახშმად მიიწვია ისინი და მოკლედ გააცნო ვითარება. ევროკავშირის წევრი ამ სამი ქვეყნის პრეზიდენტი, ისევე როგორც უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, რამდენიმე საათი იცდიდა იმ კაბინეტის გვერდითა ოთახში, სადაც ფრანგულ-ქართული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ცოტა ხნით მათთან სარკოზიც შევიდა მისასალმებლად, თუმცა მხოლოდ ამით შემოიფარგლა. თავად ეს ფაქტიც ალბათ ვერ ჩაითვლებოდა ევროკავშირის სოლიდარობის გამოვლინებად. როცა მათ მოლაპარაკებებისა და ცეცხლის შეწყვეტის პირობები წვრილად მოისმინეს, ისეთი რეაქცია ჰქონდათ, რამაც ქართველების შიშები კიდევ უფრო გააძლიერა.

მეორე დღეს ბუშმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დასაცავად ამერიკის ძალა ჩართო. მან შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები კვლავაც აგრძელებდნენ წინსვლას და თბილისზე იერიშის საფრთხეც ისევ არსებობდა. „რუსეთმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიზანს საქართველოში ხელისუფლების ცვლა არ წარმოადგენს,“ – განაცხადა ბუშმა – „ახლა აშშ და დანარჩენი მსოფლიოც რუსეთისაგან ამ პირობის დაცვას მოელის“. მერე დასძინა, ამერიკელი სამხედროები ჰუმანიტარული დახმარების პროცესს იწყებენო და რუსეთი გააფრთხილა – რაიმე გაუთვალისწინებელი ქმედების შემთხვევაში, ვაშინგტონთან სამომავლო ურთიერთობებიც შეიძლება სასწორზე დაიდოსო. მან გაიხსენა, როგორ ცდილობდა ბოლო წლებში მოსკოვი უფრო მჭიდრო პარტნიორობისათვის მიეღწია ისეთ უმნიშვნელოვანეს დასავლურ ინსტიტუტებთან, როგორიც ნატო თუ ევროკავშირია და იქვე დაამატა – ეს მისწრაფებებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუკი კვლავაც სწორედ მათ პრინ-

ციპებთან შეუთავსებელი ნაბიჯები იქნა გადადგმულიო. ანუ მოსკოვს აუცილებლად უნდა შეესრულებინა ის, რაც ბუშმა მედვედევის დაპირებად მონათლა. დასკვნის სახით აშშ-ის პრეზიდენტმა თქვა: „ამერიკასთან, ევროპასა თუ სხვა სახელმწიფოებთან გაუარესებული ურთიერთობების გამოსწორების დასაწყებად რუსეთმა სიტყვა უნდა შეასრულოს და ყველაფერი იღონოს ამ კრიზისის მოსამთავრებლად!".[113] თავის მხრივ, თავდაცვის მინისტრმა, რობერტ გეიტსმაც პირდაპირ განაცხადა: „თუკი რუსეთი საქართველოს მიმართ აგრესიულ ზრახვებსა და ქმედებებზე ხელს არ აიღებს, ეს უთუოდ უარყოფითად აისახება აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე წლების განმავლობაში!"[114]

სხვათა შორის, ამერიკის წინასაარჩევნო ბატალიებში ეს ომი ლამის დაწყებისთანავე ერთგვარ პოლიტიკურ საჯილდაო ქვად იქცა ბარაკ ობამასა და ჯონ მაკ-კეინს შორის. სააკაშვილის პირადი მეგობარი, მაკ-კეინი ხშირ-ხშირად უკავშირდებოდა ტელეფონით საქართველოს პრეზიდენტს და პირველწყაროდან იგებდა უახლეს ამბებს. მისი აზრით, თეთრი სახლის თავდაპირველი პასუხი უაღრესად სუსტი და გაუმართლებლად ფრთხილი იყო. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ერთ-ერთ გამოსვლაში ის მოჰყვა კიდეც, როგორ ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტს და უთხრა – დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართო. ორი დღის შემდეგ იგივე სიტყვები მან საგაზეთო სტატიაშიც გაიმეორა.[115] *უოლ სთრით ჯორნალში* დაბეჭდილ ამ პუბლიკაციაში მაკ-კეინი კიდევ უფრო შორს წავიდა და თეთრი სახლი გააკრიტიკა – მისი თქმით, „კარტერისეული უხერხემლობისათვის".[116] სენატორ ობამას თავდაპირველი გამოხმაურება – თეთრი სახლის ფრთხილი ბრიფინგის პასუხად – ასევე მოზომილი გახლდათ და, ძირითადად, ორივე მხარეს „თავშეკავებისაკენ" მოუწოდებდა. მაგრამ მან სწრაფადვე გაამკაცრა ტონი, როცა ბოლომდე გაერკვა, რა ხდებოდა საომარი მოქმედებების ზონაში. ცოტა ხნით, საქართველო მართლაც პოლიტიკურ ეპიცენტრად იქცა და იმის სინჯადაც, რა პოტენციალის მატარებელი იყო ამერიკის სავარაუდო მომავალი მთავარსარდალი.

სინამდვილეში, სარკოზის ვიზიტის დროს, სააკაშვილს შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია. ის უაღრესად შეშფოთებული იყო დოკუმენტის ორაზროვნებით და, საერთოდაც, ქართული მხარე მიიჩნევდა, რომ მას ზავის უსამართლო პირობებს ახვევდნენ თავს. ამიტომ მოსაფიქრებელი დრო ითხოვეს, თუმცა რუსის ჯარი ჯერაც რამდენიმე საათის სავალზე იდგა და დედაქალაქზე შეტევის საფრთხეც კვლავინდებურად რეალური რჩებოდა. საქმის საბოლოოდ მოსაგვარებლად, ქართველებმაც და ფრანგებმაც დახმარებისთვის ახლა ვაშინგტონს მიმართეს. ჯერ კიდევ სარკოზის თბილისში ყოფნისას წამოიჭრა ერთი იდეა – ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისათვის ერთგვარი დანართი დაემატებინათ, რაც ზოგიერთ მუხლს მეტ სიცხადეს შესძენდა. ამასობაში, თბილისისკენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისიც გამოემგზავრა, გზად კი სამხრეთ

საფრანგეთში შეჩერდა – სარკოზისთან შესახვედრად და დოკუმენტში შესაძლო შესწორებების შეტანის თაობაზე მოსათათბირებლად.

ორივე მხარეს კარგად ესმოდა, რომ უკვე მიღწეულმა მოსკოვს თბილისის აღების განზრახვაზე მართალია, ხელი ააღებინა, მაგრამ ის ფორმულირებები – სად შეეძლოთ რუსულ ძალებს დარჩენა და სად – არა, უკიდურესად ბუნდოვანი ჩანდა. რჩებოდა შესაძლებლობა, რომ სწორედ სამხედრო ნაწილების განთავსების მეშვეობით, რუსეთს საქართველოს ეკონომიკურად დასუსტება ეცადა და ამ გზით მიეღწია საწადელისთვის – ხელისუფლების ცვლისათვის. მხარეებმა შენიშვნა-დამატებების პროექტი შეიმუშავეს, რომლის თბილისში წამოღებასაც რაისი დათანხმდა, ხოლო პარიზს მცდელობა არ უნდა მოეკლო, რომ ახალი ფორმულირებები რუსებსაც მისაღებად მიეჩნიათ. იმავე დღეს, მოგვიანებით, როცა რაისი თბილისში ჩამოფრინდა და ეს პროექტი ქართველებს გააცნო, მათ პირველ რიგში ის იკითხეს – საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რა დრო გვაქვს მის შესასწავლადო, რადგან სარკოზის ვიზიტის შემდეგ ისინი ჯერაც ეჭვებში იყვნენ.

რამდენიც დაგჭირდებათო – მიუგო რაისმა. ამერიკულმა და ქართულმა მხარეებმა ყველა საკითხის „გავლას" მთელი რვა საათი მოანდომეს. ქართველები ზუსტი სადემარკაციო ხაზების მდებარეობაზე სვამდნენ კითხვებს, შესწორებები ტელეფონით თანხმდებოდა პარიზში მყოფ ლევიტთან და დოკუმენტიც თანდათანობით საბოლოო სახეს იძენდა. რაისისათვის მთავარი იყო დაერწმუნებინა ქართველები – ნაკლოვანებათა მიუხედავად, ამ აუცილებელი დოკუმენტის მიღებას დათანხმებოდნენ; ოღონდ ყველაფერი მაინც ისე უნდა გაკეთებულიყო, რომ მათ თავი დამცირებულად არ ეგრძნოთ. დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, პრესკონფერენციაზე გამოსულმა რაისმა სააკაშვილს სთხოვა, თუკი რამ მწვავე შეკითხვა იქნა, პასუხს მე გავცემ, თქვენ კი იქნებ გვერდზე გადგეთ და არ გაცხარდეთო.

სააკაშვილის პირველი რამდენიმე პასუხი უზადო გახლდათ, მაგრამ ევროპაზე ისედაც გულაცრუებულს, მცოდნეს იმისა, რომ გარკვეულწილად, ომის დაწყებაში აქეთ ადანაშაულებდნენ, თანდათან ბრაზი მოერია. მთელი ამ პრობლემის გაჩენაში მან ევროპას დასდო ბრალი, რომელმაც საქართველოს მაპ-ი არ მისცა და ბუქარესტის სამიტსაც „ახალი მიუნჰენი" უწოდა. გაზაფხულზე და ზაფხულში დასავლეთის მხრიდან უპასუხოდ დატოვებული რუსეთის აგრესიული ქმედებებიც გაიხსენა და ბოლოს, დაასკვნა:

მაშ, ვინ ატეხა მთელი ეს ამბავი? ვინ გამოიწვია ეს ქედმაღლობა? ვისი ბრალია ამდენი უდანაშაულო მსხვერპლი? ვინა და – არა მარტო იმათი, ვინც ყველაფერი ეს ჩაიდინა, არამედ იმათიც, ვინც ამის დროზე აღკვეთა ვერ შეძლო! ვინ ცდილობს ახლა ნებისმიერი საშუალებით თავის გამართლებას და ამბობს – იცით, შეიძლება ყველაფერი სულაც

ქართველებმა დაიწყესო! ბოდიში მომითხოვია – რამდენიმე საათში საქართველოში 1200 ტანკი შემოვიდა და თუკი წინდაწინ არ მოემზადე, ასე სწრაფად ამოდენა ტექნიკას ვერანაირად მოუყრი თავს... თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე, რუსეთში პირდაპირ ქუჩებიდან აგროვებდნენ პენსიაში გასულ სამხედრო მფრინავებს და პირდაპირ თვითმფრინავის შტურვალთან სხამდნენ... როგორ შეიძლება ეს ყველაფერი წინდაწინ არ ყოფილიყო დაგეგმილი?!

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ პირდაპირ თვალებში ჩავცქერით ბოროტებას, და ეს ბოროტება ძალზე ძლიერია, საზარელი და საშიში – ყველასათვის, არა მარტო ჩვენთვის! მინდა მსოფლიომ იცოდეს – საქართველო არასოდეს შეურიგდება მისი სუვერენული ტერიტორიის თუნდაც ერთი გოჯის ოკუპაციას – არასოდეს!"[117]

პრესკონფერენციიდან მომავალმა რაისმა მანქანაში გაოგნებულმა შეხედა ბრაიზას და უთხრა – თუ გესმოდა, რა ილაპარაკაო! საქართველოს და პირადად სააკაშვილს ევროპის მხარდაჭერა სჭირდებოდა, მათთვის აუცილებელი იყო ევროკავშირს ეიძულებინა რუსეთი, დაეცვა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და ტექსტის ნებისმიერი ნაკლოვანების მიუხედავად, საფრანგეთიც მხოლოდ პატივისცემას იმსახურებდა – ომის შეჩერების გამო. *რამდენად არაშორსმჭვრეტელი უნდა იყო კაცი, ყველაზე საჭირო მოკავშირეები ასე უდიერად მოიხსენიოო* – დაამატა რაისმა. მერე, უკვე რამდენიმე თვის შემდეგ, მან აღიარა კიდეც – მთელი სახელმწიფო მდივნობის განმავლობაში, ეს პრესკონფერენცია ჩემთვის მეორე უმძიმესი გამოცდა იყოო.[118] რაისის ვიზიტს მალე სენატორ ჯოზეფ ბაიდენის სტუმრობაც მოჰყვა, რომელიც ითხოვდა – ომის ჭრილობების მოსაშუშებლად საქართველოსათვის მილიარდდოლარიანი დახმარება გამოეყოთ.

მაგრამ ეს ამბავი ჯერაც არ იყო დასრულებული: სარკოზი-მედვედევის შეთანხმების პრინციპები უფრო დეტალურ სამოქმედო გეგმად უნდა ჩამოქნილიყო. ამას კი რუსული შეიარაღებული ძალების ეტაპობრივი დაბრუნება უნდა მოჰყოლოდა ომამდელ პოზიციებზე და, პარალელურად, ევროკავშირის დამკვირვებელთა განთავსებაც. თუმცა მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში რუსის ჯარი მე-5 მუხლის ბუნდოვან ფორმულირებას სათავისოდ იყენებდა და ახალ-ახალ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს ხსნიდა საქართველოს სიღრმეში – პორტების სიახლოვესაც კი, რითაც უკიდურესად ზრდიდა ტვირთების დაზღვევის ხარჯებს და ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობასაც ართულებდა. რაც უფრო დიდხანს რჩებოდნენ რუსები, ფინანსურადაც მით უფრო ურთულდებოდა საქმე საქართველოს და მით უფრო ფერხდებოდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური გამოჯანსაღება. აშკარად ჩანდა, რომ სწორედ

ეკონომიკური ნგრევის გზით, მოსკოვი მართლაც ჯერ ისევ იმედოვნებდა რეჟიმის შეცვლას.[119]

მოსკოვმა მოახერხა სხვა მხრივაც სწრაფად ესარგებლა ადგილებზე შექმნილი ვითარებით. თავდაპირველად პარიზი იმედოვნებდა, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული ძველი რეზოლუციების დადასტურებას მოახერხებდა გაერო-ში, მაგრამ კრემლმა ამ ნაბიჯს დაასწრო: 26 აგვისტოს პრეზიდენტმა მედვედევმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო. ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად მან ისევ მოიშველია ყალბი ბრალდებები საქართველოს მიმართ, თითქოს მისი ხელისუფლება ამ ორ მხარეში გენოციდის განსახორციელებლად ემზადებოდა.[120] 27 აგვისტოს *ფაინენშელ თაიმზში* გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, საკუთარი გადაწყვეტილებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, მედვედევი რეგიონის ისტორიას იშველიებდა, ხაზს უსვამდა იქ მცხოვრები ადამიანების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ და როგორც აგვისტოს დამდეგის მოვლენების, ისე კოსოვოს მაგალითის მოშველიებაც არ დავიწყებია.[121] 31 აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში კი მან კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა რუსეთის მიერ საქართველოში შეჭრის აუცილებლობის „გონივრულ სვლად" მოსანათლავად და რუსული საგარეო პოლიტიკის 5 ძირეულ პრინციპს გაუსვა ხაზი. თუ პირველი სამი ახალს არაფერს გულისხმობდა, მეოთხეში რუსეთის მოქალაქეების „ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას" დაცვაზე იყო ლაპარაკი.

რაც შეეხება მე-5 პრინციპს, ეს უკვე შეუნიღბავი განაცხადი გახლდათ საკუთარ საზღვრებთან რუსეთის „გავლენის სფეროების" აღდგენის თაობაზე. მედვედევის განცხადებით, „რუსეთისთვის, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, არსებობს ე.წ. *განსაკუთრებული ინტერესის რეგიონები*, სადაც ჩვენთან მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული ქვეყნები მდებარეობს". როცა ჰკითხეს, მოიაზრებოდა თუ არა გავლენის ამ სფეროში უშუალოდ რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოები, მან უპასუხა: „ეს სასაზღვრო რეგიონია, მაგრამ არა მხოლოდ!".[122] საქართველო ცალსახად ამ დეფინიციის ნაწილი იყო, საკუთარი სურვილის მიუხედავად. სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ კი მედვედევმა პრეზიდენტი სააკაშვილი *persona non grata*-დ შერაცხა: „ჩვენთვის ამჟამინდელი რეჟიმი საქართველოში უკვე მოთავებული ამბავია და პრეზიდენტი სააკაშვილიც აღარაფერს წარმოადგენს – უბრალოდ, პოლიტიკური გვამია!"[123] ეს უკვე აშკარად ხელისუფლების „ვირტუალური" შეცვლა გახლდათ: მოსკოვი აპირებდა სრულიად უგულებელყო ოფიციალური თბილისი და, იმავდროულად, იქაური ხელისუფლების მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობაც გაეგრძელებინა.

ყოველივე ამან საფუძველი მოამზადა სარკოზის არანაკლებ დაძაბული მეორე ვიზიტისათვის მოსკოვში, 8 სექტემბერს, სადაც მასსა და მედვედევს შორის კიდევ ერთი მოლაპარაკება გაიმართა. ამ დროისათვის ცეცხლის შეწყ-

ვეტის თავდაპირველი დოკუმენტის ხელმოწერიდან ლამის მთელი თვე იყო გასული, მაგრამ რეგიონში უკეთესობის ნიშნებიც კი არ შეიმჩნეოდა. როგორც უკვე ვთქვით, საფრანგეთის იმედი – ბაერო-ში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ძველი რეზოლუციებისაკენ ერთხელ კიდევ მიბრუნების თაობაზე – მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობამ დაამსხვრია. მოსკოვის ამ ნაბიჯმა და ახალ-ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტების გახსნამ საქართველოს სიღრმეში, თავისთავად გააჩინა მოსკოვის მიმართ სანქციების გატარების მოთხოვნა და რუსეთისა და ევროკავშირის ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები სათუო გახადა. ადრინდელ სტატუს-კვოზე პოლიტიკურად თუ სამხედრო თვალსაზრისით დაბრუნების საქმე აშკარად დამუხრუჭდა, ევროკავშირ-რუსეთის სამიტი კი გეგმით უკვე ნოემბრის შუა რიცხვებში იყო დანიშნული. 6 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე საუბრისას, კუშნერმა აღიარა – 6 პუნქტიდან მხოლოდ ორი, დიდი-დიდი, ორნახევარი, მაქსიმუმ – სამი თუ შესრულდაო...[124]

ახლა საფრანგეთის ღირსება და პრესტიჟი იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად მოხერხდებოდა სარკოზისეული იმ პირველი შეთანხმების წარმატებით დაცვა. ვაშინგტონის რჩევით, პირობების შეუსრულებლობის გამო რუსების მუდმივი დამუნათება იყო საჭირო – მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის გასაგონად. ამერიკელების თვალსაზრისით, რუსებს უფრო მეტად სჭირდებოდათ საფრანგეთი და ევროპა, ვიდრე – პირუკუ. მაგრამ პარიზისათვის პრიორიტეტი მაინც ამ დავა-კამათის ისე მოგვარება გახლდათ, რომ ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობები არ გაფუჭებულიყო; და ამ გადასახედიდან საქართველოს პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად მოგვარება იყო საჭირო. თავდაპირველად მოსკოვს სურდა, სარკოზი სექტემბერში პირადი ვიზიტით ჩამოსულიყო - სრულფასოვანი ევროპული ანტურაჟის გარეშე; მაგრამ პარიზმა ამ ახალ შეხვედრაზე ევროკავშირის სრული წარმომადგენლობა მოითხოვა და საფრანგეთის პრეზიდენტიც ევროკავშირის კომისიის თავმჯდომარის – ჟოზე მანუელ ბაროზოსა და ევროკავშირის მაღალი წარმომადგენლის – ხავიერ სოლანას თანხლებით გაემგზავრა.

მოსკოვის შემოგარენში, მაიენდორფის სასახლეში გამართული ოთხსაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ საფრანგეთის ლიდერმა საჯაროდ გაახმოვანა – მისივე თქმით – „უმნიშვნელოვანესი“ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მოსკოვი პირობას დებდა ერთი კვირის განმავლობაში გაეუქმებინა საკონტროლო-გამშვები პუნქტები საქართველოს ტერიტორიაზე, ერთი თვის განმავლობაში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებიდან გაეყვანა რუსეთის შეიარაღებული ძალები, ხელი არ შეეშალა ევროკავშირის დამკვირვებელთა ორასკაციანი მისიის რეგიონში განთავსებისათვის და ერთი თვის განმავლობაშივე საერთაშორისო დონეზე დაეწყო მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავალთან დაკავშირებით. ფრანგ მაღალჩინოსნებს

შემდგომში არც ის დაუმალავთ, რომ როცა ვითარება ჩიხში შევიდა, სარკოზი გაბრაზებული წამოვარდა ფეხზე და მოლაპარაკებების მიტოვებით დაიმუქრა. თავად სარკოზის თქმით კი – მართალია ყველაფერი ვერ იქნა მიღწეული, მაგრამ შედეგი მაინც საგულისხმო იყო, რამდენადაც *ევროკავშირმა და რუსეთმა ცივი ომი მაინც აიცილეს თავიდანო.*[125]

იმავე საღამოს, უკვე თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე სარკოზიმ კიდევ უფრო მკაფიოდ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ რუსეთი სწორედ მის პირობებს დაეთანხმა. როცა ჰკითხეს – გჯერათ, რომ რუსები სიტყვას შეასრულებენ და 7 აგვისტომდელ პოზიციებზე დააბრუნებენ საკუთარ შეიარაღებულ ძალებსო, სარკოზიმ ასე უპასუხა:

> *არსებობს შეთანხმება, არსებობს თარიღი, არსებობს ვადები... როგორც ტექსტის ერთ-ერთმა ავტორმა, შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ ყველაფერი მათემატიკური სიზუსტითაა გათვლილი: 15 ოქტომბრის შემდეგ არც ერთი რუსი ჯარისკაცი აღარ უნდა იყოს იქ, სადაც 7 აგვისტომდე არ იმყოფებოდა. მოკლედ, მარტივია და ცხადზე უცხადესი! ან ყველა თავის სიტყვას შეასრულებს, ან არადა – შემდგომი 5 დღის განმავლობაში ევროპა შესაბამის დასკვნებს გამოიტანს.*[126]

კითხვაზე – შეუშვებენ თუ არა ევროკავშირის დამკვირვებლებს კონფლიქტურ ზონებში, მან უპასუხა, რომ დამკვირვებლებს შესაძლებლობა ექნებოდათ, თავისუფლად შესულიყვნენ სეპარატისტულ პროვინციებში და ლტოლვილებსაც დახმარებოდნენ შინ დაბრუნებაში. საფრანგეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა – ზოგადად, სრულყოფილი შეთანხმება ბუნებაში არ არსებობსო და სიამაყით აღნიშნა, სულ რაღაც ათიოდე დღეში როგორ მოახერხა ევროპამ ომის შეჩერება და ერთი თვის ვადაში რუსეთის დათანხმება ჯარის გაყვანაზე. ევროკავშირის გარდა, ვერც ერთი სხვა პოლიტიკური ძალა ამას ვერ მოახერხებდაო – დაამატა მერე.[127]

საფრანგეთმა მართლაც წარმატებით გაართვა თავი ორ უმთავრეს ამოცანას: საქართველოში ომი დასრულდა, და პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებაც ქვეყნის სათავეში დარჩა. თავიდან იქნა აცილებული ახალი ცივი ომი და ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებიც კალაპოტში ჩადგა: შეთანხმდნენ, რომ ახალ პარტნიორულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შემაჯამებელი მოლაპარაკებები გაემართათ ნიცის სამიტზე – 2008 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში. ადრინდელი საუბრები სანქციების თაობაზე მალევე მიეცა დავიწყებას; ევროკავშირმა გააგრძელა სიტყვიერი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისადმი და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების ფაქტი „მიუღებლად“ შერაცხა. ამ ორი წარმონაქმნის მომავალზე საერთაშორისო მსჯელობა ჟენევაში დაიწყო და დღემდე გრძელ-

დება. ევროკავშირის დამკვირვებლებიც მალევე ჩავიდნენ საქართველოში, მაგრამ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მათ არც აფხაზეთში და არც სამხრეთ ოსეთში შესვლის უფლება არ მიეცათ.

დასავლურმა პოლიტიკამ რამდენიმე სხვა საკვანძო საკითხთან დაკავშირებითაც ვერ მიაღწია დასახულ მიზანს და, ის კი არა, სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ყველა პირობის დაცვა ჯერაც ვერ ხერხდება. რუსული შეირაღებული ძალები მართლაც დათქმულ დროში გავიდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე არეალებიდან, მაგრამ იმ პოზიციებს არ დაბრუნებიან, სადაც რუსი სამშვიდობოები კონფლიქტის დაწყებამდე იყვნენ განლაგებულნი. დასავლეთმა ოდნავადაც ვერ მოახერხა დაეთანხმებინა მოსკოვი, ადრინდელ პოლიტიკურ თუ სამხედრო სტატუს-კვოს დაბრუნებოდა. რამდენიმე მნიშვნელოვანი ხეობა – როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე აფხაზეთში, სადაც ადრე ქართველები სახლობდნენ და იქაურობასაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა, ეთნიკურად „გაიწმინდა“ და აქ ვითარების ბატონ-პატრონებად რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალები იქცნენ. დაბრუნების უფლება ქართველ ლტოლვილთა უმნიშვნელო რაოდენობას მიეცა და არც სამომავლოდ ჩანს ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე იმ ქართულ სოფლებში მათი დაბრუნების პერსპექტივა, რომლებიც უმოწყალოდ დაარბიეს და გადაწვეს. რეალობა ახლა ისაა, რომ რუსეთმა ცალმხრივად, ძალის მეშვეობით შეცვალა ეუთო-ს წევრი სუვერენული ქვეყნის საზღვრები, დაუშვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარკვეულ ნაწილებში ქართველი მოქალაქეების ეთნიკური წმენდა და ეთნიკური კუთხით ერთგვაროვანი წარმონაქმნების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი; სრულად არ დაიცვა საკუთარი პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის პირობები და ეს ყველაფერი ხახვივით შერჩა...

დღემდე, რუსეთის შეიარაღებული ძალები იმ ტერიტორიებზეც რჩებიან, რომლებსაც ადრე აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთშიც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა და მათ ადრინდელი დისლოკაციის ადგილებზე, მედვედევი-სარკოზის შეთანხმების სიტყვებით რომ ვთქვათ – „მტრობის დაწყებამდე არსებული განლაგების ხაზებზე“ – დაბრუნების სურვილიც არ ეტყობათ. ის კი არა, დღეს რუსეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა საქართველოში მნიშვნელოვნად ჭარბობს ომამდელს, რაც სამომავლოდ, არც თავდასხმის საფრთხეს გამორიცხავს. ისიც გაურკვეველია, აიღო თუ არა ხელი რუსეთმა რეჟიმის შეცვლის განზრახვაზე – ომი კი დასრულდა, მაგრამ არ დამთავრებულა ბრძოლა საქართველოს მომავლისა და მსოფლიოში მისი ადგილის გასარკვევად. მომავალში გამოჩნდება ისიც, ნამდვილად მიაღწია თუ არა დასავლურმა დიპლომატიამ თავის საბოლოო მიზანს – დაარწმუნა თუ არა მოსკოვი საკუთარი ქმედებების მცდარობაში და გაუნელა თუ არა სამომავლოდ სხვა მეზობლების მიმართაც მსგავსი აგრესიული ნაბიჯების გადადგმის სურვილი.

თავი 8

საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს მცირემასშტაბიანი ომი მთელ მსოფლიოში გახმიანდა: მან შოკი მოჰგვარა დასავლეთს, რომელიც იმდენად იყო დარწმუნებული – ომების ხანა ევროპაში წარსულს ჩაბარდაო, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის მოახლოებული კრიზისის აშკარა ნიშნები სრულიად უგულებელყო. ამ ომმა გააჩინა კითხვები დასავლეთის ურთიერთობაზე რუსეთთან, ქვეყანასთან, რომელსაც ბევრნი უყურებდნენ, როგორც რთულს, მაგრამ მეზობელ ქვეყანაში სამხედრო ძალით შეჭრას მისგან მაინც ერთეულები თუ მოელოდნენ. უმნიშვნელოვანესი ალბათ ისაა, რომ ომმა ის ძირეული პრინციპები შებღალა, რასაც ახალი ევროპული უსაფრთხოება უნდა დამყარებოდა და, შესაბამისად, მის მომავალთან დაკავშირებითაც გააჩინა შეკითხვები. შედეგად, ხსენებულმა „მცირე ომმა“ შეარყია რწმენა, რომ ე.წ. რკინის ფარდის მოშლიდან 20 წლის შემდეგ ევროპაში დემოკრატიულმა და კოოპერატიულმა მშვიდობამ გაიმარჯვა და ამდენი უბედურებისა და სისხლისღვრის გამომწვევი გეოპოლიტიკური მეტოქეობა თუ გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაც წარსულს ჩაბარდა...

ამ წიგნში ორი რამის დამტკიცებას ვცდილობ: უპირველესად იმას, რომ ომის მიზეზები, ერთი მხრივ, ქართველებსა და, მეორე მხრივ, აფხაზებსა თუ ოსებს შორის არსებულ ადგილობრივ ეთნიკურ დაპირისპირებებში არ იმალება და არც ამ მხარეების სამომავლო სტატუსს უკავშირდება: ცხადია, ხსენებული პრობლემები ნამდვილად არსებობდა და კონფლიქტისა და სისხლისღვრის გამოწვევაც შეეძლო – რაც მოხდა კიდეც გასული საუკუნის 90-იან წლებში, სსრკ-ის დაშლის შემდგომ; მაგრამ მათი გადაჭრა არც იმაზე ძნელი იქნებოდა და არც – იოლი, ვიდრე, ვთქვათ, ის თავსატეხი, რასაც დასავლე-

თი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადააწყდა. ჩემი აზრით, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი შედარებით იოლად მოგვარდებოდა, თუკი შესაბამისი გარანტიები გაჩნდებოდა ძალაუფლების განაწილების, უმცირესობათა უფლებებისა და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის სფეროებში. ყოველივე ამის ნიშნები ნამდვილად არსებობდა იმ გაუხმაურებელ შეთავაზებებში, რაც თბილისმა მოსკოვს 2007 წელს შესთავაზა, მაგრამ საქმე წინ ვერ წავიდა – ისევ და ისევ რუსების გამო.

აფხაზეთში უფრო მწვავე ვითარება იყო: ომის ჭრილობებიც ბევრად ღრმა იყო და პერსპექტივაც – ბუნდოვანი. ძნელი სათქმელია, რა შეიძლება ყოფილიყო საბოლოო გამოსავალი – ერთგვარი „ფართო ავტონომია“ საქართველოს შემადგენლობაში, ამა თუ იმ ფორმით გაყოფა თუ დამოუკიდებლობა – გარკვეული პირობებით. თუმცა ამ ალტერნატივებზე საფუძვლიანი მსჯელობა არც არასოდეს დაწყებულა, რამდენადაც ბევრი დაინტერესებული მხარე, უპირველეს ყოვლისა კი რუსეთი, ცდილობდა კონფლიქტი რაც შეიძლება დიდხანს არ აღმოფხვრილიყო. არც დასავლეთი იკლავდა თავს ტვირთის სიმძიმე იმდენად გადაეტანა საკუთარ მხრებზე, რომ რეალური სამშვიდობო პროცესისათვის დაედო სათავე და არსებული ვითარება ძირფესვიანად შეეცვალა. საერთაშორისო თანამეგობრობას ისეთივე პოლიტიკური ნება, სტრატეგიული ხედვა და რესურსები რომ გამოევლინა, როგორიც ბალკანეთში, დარწმუნებული ვარ, საქმე აქაც სხვაგვარად შეტრიალდებოდა.

მაგრამ აფხაზეთისა და ოსეთის სტატუსის გადაუჭრელი საკითხიც ამ ომის მაინც მხოლოდ ზედაპირული მიზეზი გახლდათ: უფრო ძირეული იყო რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირება ამ ქვეყნის თავისუფლებისაკენ სწრაფვის, რუსეთთან კვაზიკოლონიალური ურთიერთობების გაწყვეტისა და დასავლეთთან ინტეგრირების მცდელობის გამო. ომის დაწყება იმან განაპირობა, რომ სამომავლოდ საქართველოს უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სჭირდებოდა – დასავლეთთან დაახლოების, ნატო-ში და, საბოლოო ჯამში, ევროკავშირში გაწევრიანების გზით, ხოლო მოსკოვი არანაკლებ ძალისხმევას ხარჯავდა ამის აღსაკვეთად და საქართველოს საკუთარი გავლენის სფეროში დასატოვებლად. ამისათვის კრემლი სწორედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებით მანიპულირებდა, ყოველნაირად უთხრიდა ძირს მიხეილ სააკაშვილის დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას, მიზანმიმართულად ცდილობდა რეჟიმის შეცვლას და თავის სამხრეთ საზღვრებთან დასავლეთის გავლენის არეალის გაფართოებას ეწინააღმდეგებოდა.

უკვე აქედან გამომდინარეობს ამ წიგნის მეორე მტკიცებულებაც: სინამდვილეში, ომი 2008 წლის 7 აგვისტოს არ დაწყებულა და მოსკოვის აგრესიაც მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ არ იყო მიმართული. რუსეთი და საქარ-

თველო ერთგვარი ცივი ომის მდგომარეობაში უკვე რამდენიმე წლის მანძილზე იმყოფებოდნენ და რატომღაც გვავიწყდება, რამდენად მტრულად იყო განწყობილი მოსკოვი სააკაშვილის წინამორბედის, ედუარდ შევარდნაძის მიმართ – იმ კაცისა, ვისაც დასავლეთში დღემდე აფასებენ, კრემლში კი დასანახად ვერ იტანენ. მისი მკვლელობის მცდელობები და საქართველოში გაბატონების სურვილი ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე", ნათლად აჩვენებს, რომ პრობლემის თავიდათავი მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის პიროვნული შეუთავსებლობა სულაც არ გახლდათ. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ უკვე არსებული ეს დაძაბულობა და დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა ვარდების რევოლუციისა და პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდეგ. შესაძლოა, სააკაშვილის პიროვნულმა სტილმა რუსულ-ქართული დაპირისპირების ცეცხლზე ზოგჯერ მართლაც დაასხა ნავთი, მაგრამ კონფლიქტი ამ ზღვრამდე მაინც უფრო იმიტომ მივიდა, რომ მან საკუთარი ქვეყნის შემობრუნება და იმგვარი სახეცვლილება მოახერხა, რამაც ნატო-ში საბოლოო გაწევრიანება სავსებით რეალური გახადა. და რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევდა თბილისი, მოსკოვში მით უფრო მატულობდა მის მიმართ მტრობა და შეშფოთება.

არადა, თბილისმა დასავლეთისაკენ მიზანმიმართული სვლა ზუსტად იმ დროს წამოიწყო, როცა მოსკოვში გადაწყვიტეს ზურგი ექციათ იმ პროდასავლური გეზისათვის, რაც ელცინმა გასული საუკუნის 90-იან წლებში დასახა და რასაც თავდაპირველად თითქოს პუტინიც იზიარებდა. რამდენადაც ძლიერდებოდა ავტორიტარული ტენდენციები და ანტიდასავლური გამწყობილებები რუსეთში, იმდენად მეტად ცდილობდა მოსკოვი საკუთარი მეზობლებიც დაეშორებინა დასავლეთისგან. კრემლი სულ უფრო და უფრო აძლიერებდა წნეხს და ჯიუტად ცდილობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში საკუთარი გავლენის აღდგენას. დასავლეთთან დაახლოების ადრინდელ პოლიტიკურ ხედვას ახლა ალტერნატივის სახით „ევრაზიანიზმის" იდეა ჩაენაცვლა. სწორედ ამ პროცესებს დაემთხვა დროში „ვარდებისა" და „ნარინჯისფერი" რევოლუციებიც, რომელთა შედეგად თბილისში და კიევშიც ახალი, სრულიად საპირისპირო გეზით სვლის მოსურნე პოლიტიკური ელიტები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

ხსენებული ომი, იმავდროულად, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ – ფართო გაგებით – მთლიანად დასავლეთის წინააღმდეგ იქნა წამოწყებული. საქართველო, უბრალოდ, *ფიზიკური* სამიზნე აღმოჩნდა, ხოლო, ასე ვთქვათ, „პოლიტიკური შოლტი" კი სწორედაც რომ ჩვენკენ იყო მოქნეული. თბილისი, უბრალოდ, რუსეთში წლების მანძილზე აშშ-ის, ნატო-სა თუ საქართველოს მხარდამჭერი ევროპული ქვეყნების მიმართ დაგროვილი ბრაზისა და წყენის გამო დაისაჯა. ამაზე მეტყველებდა ყველაფერი: როგორ შუქდებოდა ეს ომი რუსულ მედიაში, როგორ ხედავდნენ საკუთარ მისიას რუსი ოფიცრები და რა კვალს ტოვებდა უკვე ქვეყნიდან გასული რუსული ჯარი საქართველოში. წყენა

და სიბრაზე, პირველ რიგში, აშშ-ისა და ნატო-ს მიმართ არსებობდა, მაგრამ – არა მხოლოდ. რუსი ჯარისკაცები არანაკლები სიამოვნებით წვავდნენ და ანადგურებდნენ ევროკავშირის დროშებსა თუ სიმბოლიკასაც. რუსული პროპაგანდა ომის დაწყებაში არა მარტო საქართველოს დადანაშაულებას ცდილობდა, არამედ პირდაპირ ადებდა ხელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მას „კონფლიქტის პროვოცირებას“ აბრალებდა.

დასავლეთში ბევრი შეეცადა თავი მოეტყუებინა და მიეჩნია, თითქოს რუსეთ-საქართველოს ომი ერთი ლოკალური კონფლიქტი იყო და მათ ამაში წილი არ ედოთ. თუმცა ეჭვგარეშეა, რომ თავად რუსების თვალსაზრისით, ამ ომმა ხაზი გაუსვა ახალი რუსული პოლიტიკის საწყისს, რაც დასავლური გავლენის შეკავებასა და სამომავლოდ რუსეთის საზღვრებთან დასავლური ინსტიტუტების გაჩენის არდაშვებას გულისხმობდა. მოსკოვი საჯაროდ აცხადებდა – დათმობებისა და უკანდახევის დრო დამთავრდაო. ეს იყო მიმართვა „კოლექტიური დასავლეთისადმი“: საქართველო ჩემია და თქვენ აქ არაფერი გესაქმებათო. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ რუსეთი – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – საბრძოლველადაც მზად იყო და სულაც არ აპირებდა საკუთარი საზღვრების სიახლოვეს დასავლური გავლენის ზრდასა და, რაც მთავარია, ნატო-ს გაფართოებას შეგუებოდა. ამგვარად, ცივი ომის შემდგომ ეს, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ-დასავლეთის პირველი შეიარაღებული დაპირისპირებაც გახლდათ.

რუსეთი არა მარტო დასავლეთისაკენ საქართველოს სწრაფვას ეწინააღმდეგებოდა, როცა „საგანგებო ინტერესებისა და გავლენის ახალ სფეროებზე“ აკეთებდა ხმამაღალ განცხადებებს, ის ევროპის უსაფრთხოების სისტემის იმ წესებსაც აპროტესტებდა, რომლებიც, მოსკოვის თვალსაზრისით, კანონიერ საფუძველს უქმნიდა ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოებას და მათთვის უშუალოდ მის საზღვრებთან ფეხის მოკიდებასაც უწყობდა ხელს. მოკლედ, მოსკოვი ევროპული უსაფრთხოების იმ მოდელს უჯანყდებოდა, რომელმაც წარმატებით მოახერხა ევროპის გეოპოლიტიკური დაყოფის თავიდან აცილება, თუმცა კი კრემლს ამასთან დაკავშირებით სრულიად საპირისპირო ხედვა ჰქონდა. ეს გახლდათ რუსეთისაკენ დემოკრატიული ინტეგრაციის, როგორც სტაბილურობის ხელშემწყობი სვლის, მხარდამჭერი 21-ე საუკუნის დასავლური სამყაროს შეჯახება რუსეთთან, რომელიც მე-19 საუკუნის ძალისმიერი პოლიტიკის მეთოდებს უბრუნდებოდა.

ცხადია, მოსკოვს ათობით იმ მნიშვნელოვან დოკუმენტზე ჰქონდა ხელი მოწერილი, სადაც ევროპული უსაფრთხოების სისტემის სწორედ ეს ახალი ნორმები იყო ჩამოყალიბებული; ასევე, მან არაერთხელ აღიარა ევროპის ნებისმიერი ქვეყნის უფლება – სრულ უსაფრთხოებასა და ალიანსებში გაერთიანების თავისუფალი არჩევანის თაობაზე, მაგრამ ეს ხელმოწერები ჩანს, აღარ

მუშაობდა. როცა ესა თუ ის ქვეყანა ამ პრინციპებისა და თამაშის ამგვარი წესების დაცვას ცდილობდა, დასავლეთი ამას ცივი ომის შემდგომი მშვიდობის უმთავრესი წინაპირობის შესრულებად აღიქვამდა, მოსკოვი კი – როგორც წესი, მუდამ ღიზიანდებოდა ხოლმე. ბოლოს კრემლმა დაასკვნა – ამ სახით ჩამოყალიბებული ევროპის უსაფრთხოების სისტემა ჩემს ინტერესებს ეწინააღმდეგებაო და 2008 წლის აგვისტოში დაწყებული ომიც მოსკოვის მხრიდან იმის განაცხადი გახლდათ, ამ თქვენს დადგენილ წესებს ვეღარ გავიზიარებო. ამიტომაც იყო, რომ ომის დასრულებისთანავე პრეზიდენტმა მედვედევმა და რუსეთის სხვა მაღალჩინოსნებმა დაუყოვნებლივ მოითხოვეს როგორც ევროპული უსაფრთხოების სისტემის მართვის რადიკალური გადახედვა, ასევე იმ საკითხისაც, ვის მიერ და როგორ უნდა წარმართულიყო იგი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ისე დამთავრდა, ფაქტობრივად ვერავინ „შეინარჩუნა სახე". მრავალი თვალსაზრისით, მასში მხოლოდ დამარცხებულები დარჩნენ და გამარჯვებით კი ვერავინ გაიმარჯვა. ყველაზე მეტად წაგებული, ცხადია, თბილისი აღმოჩნდა – ის ომში იმისთვის ჩაერთო, რათა საფრთხის ქვეშ მყოფი საკუთარი მოქალაქეები გადაერჩინა და თავიდან აეცილებინა უფრო მძიმე დარტყმა – რაც საბოლოოდ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობას გულისხმობდა და ხელებჩამოშვებულს არ ეცქირა – როგორ კარგავდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. მაგრამ ამ ქმედებებმა მაინცდამაინც ვერც დიდი გაგება და, მით უმეტეს, ვერც მხარდაჭერა ჰპოვა დასავლეთში. ის კი არა, შემდგომში ევროკავშირის ეგიდით მომზადებულ ე.წ. *ტალიავინის დასკვნაში* ისინი „კანონიერ საფუძველს მოკლებულადაც" კი გამოცხადდა. საქართველომ, სამხედრო თვალსაზრისით, ომი წააგო, თუმცა პოლიტიკურად გადარჩა, ოღონდ ძალზე მძიმე საზღაურით. ქვეყანა დაპყრობას გადაურჩა, მაგრამ უმძიმესი დარტყმა მიიღო. პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავაც რჩება ქვეყნის სათავეში და ეტყობა, საპრეზიდენტო ვადასაც ბოლომდე ჩაამთავრებს – ოპოზიციის ხმაურის მიუხედავად, თუმცა მის სახელსა და რეპუტაციას გვარიანი ჩრდილი მიადგა და თბილისის სწრაფვაც დასავლეთისკენ საგრძნობლად შეფერხდა. საქართველომ დაკარგა პოზიციები ორივე სეპარატისტულ მხარეში და ათობით ათასი მოქალაქე, ეთნიკური წმენდის შედეგად, საკუთარი მიწიდან აიყარა. დღეს თბილისს არავითარი გავლენა თუ კონტროლი აღარ გააჩნია არც სამხრეთ ოსეთსა და არც აფხაზეთზე.

მეორე მხრივ, ისიც საკითხავია – რა სარგებელი ნახეს თავად აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა: ვეჭვობ, როცა ნისლი გაიფანტება, ისინიც წაგებულნი აღმოჩნდებიან. მოსკოვმა ორივე ეს მხარე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად კი აღიარა, მაგრამ ბუნდოვანია – რას ნიშნავს ეს სინამდვილეში. საერთაშორისო თანამეგობრობამ დაგმო ეს ნაბიჯი და ნიკარაგუასა და ვენესუელას გარდა, ეს „ახალი სახელმწიფოები" სხვას არავის უღიარებია. იგივე საერთაშორისო თა-

ნამეგობრობა კვლავინდებურად მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამ რეგიონებსაც მის შემადგენლობაში ცნობს – ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე მაინც. ნაკლებსავარაუდოა, ეს ვითარება უახლოეს მომავალში რამენაირად შეიცვალოს, რადგან კოსოვოსაგან განსხვავებით, ამ ორი ჯუჯა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გაერო-ს მიერ მართული საერთაშორისო პროცესების კი არა, მოსკოვის ცალმხრივი სამხედრო ქმედების შედეგი გახლდათ.

მართალია, ადგილობრივი სეპარატისტი ლიდერები ძალიან ხარობენ ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობით, მაგრამ ამ ორი იზოლირებული პროვინციის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების სამომავლო ლეგიტიმურობა და სიცოცხლისუნარიანობა მაინც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ისიც მომავალში გამოჩნდება, ომის შედეგად უკეთესობისაკენ თუ იზამს პირს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეთა ცხოვრება. საზოგადოდ, მოსკოვის ბატონობის ქვეშ მყოფი მცირე ერების ბედი – იქნება ეს ნომინალურად დამოუკიდებელი სატელიტები თუ რუსეთის ფედერაციის სუბიექტები – ასევე არაა შესაშური. მოსკოვს შეიძლება სანანებლადაც გაუხდეს 2008 წლის აგვისტოს ის დღე, როცა სეპარატისტთა მხარდაჭერა გადაწყვიტა – თუკი/როცა იგივე სეპარატისტული ძალები სხვაგანაც წამოსწევენ თავს – თუნდაც, ჩრდილო კავკასიაში. შორსმიმავალი პერსპექტივის გადასახედიდან, 2008 წლის აგვისტოს ომმა, შესაძლოა, თავად რუსეთის ფარგლებშივე წაახალისოს სეპარატისტული განწყობილებები. ეს კი ცხადია, ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მეტ სტაბილურობას ვერც ამიერკავკასიაში და ვერც რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში.

ესაა ერთი იმ მრავალ მიზეზთაგანი, ომში თვითგამოცხადებული გამარჯვებული ანუ რუსეთი რატომ უნდა ჩაითვალოს კიდევ ერთ დამარცხებულად. როცა მოსკოვმა მძლავრი სამხედრო ძალის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო, უშუალოდ ომში მისი წარმატება იმთავითვე გარდაუვალი ჩანდა, ოღონდ, მიაღწია თუ არა მან თავის პოლიტიკურ მიზნებს, ჯერაც გაურკვეველია. როცა მან მასიური სამხედრო მოქმედებები განახორციელა, ცხადია, მხოლოდ საქართველოს რაიმე ნაბიჯების „შეკავებას“ არ ცდილობდა და არც ორ სეპარატისტულ პროვინციაში სრული კონტროლის განმტკიცება სურდა: მისი ამოცანა უფრო სააკაშვილის ხელისუფლების დისკრედიტირება და დამხობა გახლდათ – ისევე, როგორც ზოგადად საქართველოს პოლიტიკური გეზის შეცვლა. ამის გამოხატულება იყო სწორედ რუსეთის სამხედრო კამპანიის მთელი სცენარიცა და რაისისათვის ლავროვის მიერ ნასროლი ფრაზაც – ჩვენი შეტევის შესაჩერებლად აუცილებელია ჯერ სააკაშვილი წავიდესო... პრეზიდენტ მედვედევის უკვე ომის შემდეგ ნათქვამი სიტყვებიც – სააკაშვილი პოლიტიკური გვამიაო – იმაზე მიანიშნებს, რომ ტანკების შეჩერების შემდეგაც კი რუსები საქართველოს

პრეზიდენტის „დაცურებას“ კვლავაც იმედოვნებდნენ, ოღონდ მათ ვერც ამ მიზანს მიაღწიეს.

თავად რუსეთში „რუსული იარაღის გამარჯვებით“ გამოწვეული აღტკინება თანდათანობით ჩაცხრა, როცა ომის გამო რუსეთიდან დასავლურმა კაპიტალმა იწყო გადინება, ამას კი მალე გლობალური ეკონომიკური კრიზისიც მოჰყვა და რუსეთის ეკონომიკაც გვარიანად შეირყა. მართალია, მოსკოვი დასავლეთის სანქციებს გადაურჩა, მაგრამ მის საერთაშორისო რეპუტაციას მაინც დიდი ჩრდილი მიადგა: ტალიავინის დასკვნაში ომის წამოწყებისა და პირველი გასროლის პასუხისმგებლობა, მართალია, საქართველოს ეკისრება, მაგრამ კომისიის მასალების მიხედვით არც ომის ოფიციალური რუსული ვერსია დასტურდება. ევროკავშირის ეს ანგარიში უგულებელყოფს გენოციდის თაობაზე რუსების განცხადებებს – როგორც უსაფუძვლოსა და ფაქტობრივ მტკიცებულებებს მოკლებულს. ასევე არ იზიარებს ის მოსკოვის ნაბიჯების ახსნას „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ საბაბით. დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ წლების მანძილზე აფხაზებისა და ოსებისათვის რუსული პასპორტების ჩამორიგება და, შესაბამისად, ჯერ კიდევ ომამდე სეპარატისტულ რეგიონებში მომავალში „დასაცავი“ რუსეთის მოქალაქეების რიცხვის ხელოვნური ზრდა სრულიად უკანონო ქმედება გახლდათ. ერთი მხრივ, დასკვნაში აღიარებულია რუსეთის უფლება – დაეცვა საკუთარი „სამშვიდობოები“, თუმცა ისინი უკვე ფაქტობრივად აღარც წარმოადგენდნენ საერთაშორისო თანამეგობრობას და რუსული ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის იარაღად გველინებოდნენ – მაგრამ, მეორე მხრივ, იქვე მკაფიოდაა დაფიქსირებული, რომ რუსეთის სამხედრო პასუხი არ შეიძლება იმ საფრთხის შესაბამისად ჩაითვალოს, რაც რუს სამშვიდობოებს თითქოს ემუქრებოდათ. და მაინც, ყველაზე მძიმე მოსკოვისათვის ალბათ მაინც ის დებულებაა, რომ არც აფხაზეთსა და არც სამხრეთ ოსეთს არ ჰქონდათ საქართველოსაგან გამოყოფის უფლება და მოსკოვის მიერ მათი აღიარებაც მთლიანად უპირისპირდებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

ვლადიმერ პუტინისეულ რუსეთს იმგვარად უკვე ვეღარავინ აღიქვამს, როგორც ამ ომის დაწყებამდე – კრიზისის დროს ამ ქვეყნის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა დასავლეთში მიმდინარე კამათის საჭიროება იმასთან დაკავშირებით, მომავალში მაინც როგორ უნდა მოხერხდეს მოსკოვის მიმართ საერთო მიდგომების გამონახვა.

დაბოლოს, მოსკოვისათვის ეს ომი მაინც უფრო „შემაკავებელი ხასიათისა“ იყო – მას სურდა დასავლეთი ნატო-ს შემდგომი გაფართოებისაგან შეეკავებინა, რეგიონის ქვეყნები კი – ამ ორგანიზაციისაკენ სწრაფვისაგან. როცა „თეთრ ყვავ“ სააკაშვილს სჯიდა, რუსეთი ამით სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ლიდერებსაც აფრთხილებდა – რა შეიძლება მოჰყოლოდა დასავლეთისაკენ ცქერას და იქაურ ინსტიტუტებში გაწევრიანების სურვილს: აგვისტოს ომი მათთ-

ვის, ასე ვთქვათ, „ცხელ თავებზე ცივი წყლის გადასხმის“ დანიშნულებასაც ემსახურებოდა. თუმცა კი ამ აგრესიამ სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო – კერძოდ, ყველასათვის ნათელი გახადა, რატომ სურდათ რუსეთის უშუალო მეზობლებს – თუნდაც თავდაცვის მიზნით – სწორედ დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ უსაფრთხოების ინსტიტუტებში გაწევრიანება. რა იქნება ყოველივე ამაზე დასავლეთის პასუხი – ეს ჯერაც ღიად დარჩენილი საკითხია, მაგრამ რუსეთს საკუთარი ქმედებები, საბოლოო ჯამში, შესაძლოა მაინც ცუდად დაუხვდეს წინ.

დიდად შესაშური სახით ამ ომიდან ვერც დასავლეთი გამოვიდა: როგორც მოსალოდნელი იყო, უსასრულო დავა-კამათი გაიმართა ომის დაწყების მიზეზებზე და აქ ყურადღება, ძირითადად, საქართველოს შეცდომებზე გამახვილდა. ბევრი ითქვა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ფიცხი ხასიათის თაობაზეც, მის მიმართ პუტინისა და სხვა რუსი ლიდერების სიძულვილსა და რუსეთის შორსმიმავალ, ფარულ ზრახვებზეც; თუმცა ალბათ მაინც ის აჯობებდა, დასავლური პოლიტიკის „უსტაბაშებს“ სარკეში ჩაეხედათ და იმაზე ეფიქრათ – სად დაუშვეს შეცდომა და სინამდვილეში საქმის ომამდე მიყვანასაც რით შეუწყვეს ხელი. შეცდომები იწყება ჩვენი უსურველობით, გვეცადა აუთენტიკური სამშვიდობო ფორმატის შექმნა, რასაც კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. სწრაფვას კოსოვოს დამოუკიდებლობისაკენ არ ახლდა ზრუნვა საქართველოზე მისი გავლენის შემცირებაზე. ბუქარესტის სამიტზე განვითარებული მოვლენებიც უთუოდ ესკალაციის გამაღიზიანებელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს, რამაც, საბოლოოდ, მიგვიყვანა კიდეც აგვისტოს ომამდე.

საქართველოს დასავლეთის არასაკმარისი მიზანმიმართულებისა და ერთსულოვნების არქონის გამოც მოუწია მძიმე საფასურის გადახდა: არაერთსულოვნება ჯერ კიდევ ერაყის ომის მიმართ დასავლეთის არაერთგვაროვან მიდგომებში გამოჩნდა, და მრავალი მცდელობის მიუხედავად, ბუშის ადმინისტრაციამ ამ მიდგომების შეჯერება მაინც ვერ მოახერხა. ალიანსში არსებული უთანხმოებაც მოსკოვის წისქვილზე ასხამდა წყალს, ხოლო უკვე ომის დაწყების შემდეგ, საფრანგეთი, რომელიც იმხანად ევროკავშირს თავმჯდომარეობდა, მართალია, მაშინვე ჩაერია საქართველოს გადარჩენის საქმეში, მაგრამ ეს მაინც ნაგვიანები დახმარება აღმოჩნდა: ცეცხლიც იმ პირობებით შეწყდა, რომელიც არც მკაფიო იყო და არც – სამართლიანი. ისევ ისტორიკოსების განსასჯელი გახდება, ამ კრიზისში ვაშინგტონის მიერ კულუარებში დარჩენის გადაწყვეტილებაც უფრო აშშ-რუსეთის დაპირისპირების აცილების სურვილით იყო ნაკარნახევი თუ უბრალოდ – არაპოპულარული ადმინისტრაციის სისუსტით. ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ამ ვითარებაში დასავლეთს, ზოგადად, სატრაბახო მაინც არაფერი აქვს.

ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის – უკეთ როგორ შეიძლებოდა ემოქმედა დასავლეთს? შესაძლებელი იყო თუ არა ომის თავიდან აცილება? ჩემი ღრმა რწმენით, ეს სავსებით შესაძლებელი იყო: ამისათვის, უპირველესად, რეგიონში ქმედითუნარიანი და ნეიტრალური სამშვიდობო ძალების შეყვანა იყო აუცილებელი. გაერო-სა და ეუთო-ს მისიების გაძლიერებას შეეძლო მეტი გამჭვირვალობა უზრუნველეყო, მინიმუმამდე დაეყვანა სავარაუდო გადაცდომები და ზოგადად, შეეცვალა კიდეც მოვლენათა დინამიკა. ყოველივე ეს საერთაშორისო თანამეგობრობას როგორც სეპარატისტულ ხელისუფლებებზე, ასევე საქართველოს ხელმძღვანელობაზე ზემოქმედების ბერკეტებს მისცემდა და მოსკოვსაც სამხედრო პროვოკაციების განხორციელებას გაურთულებდა. სხვათა შორის, უფრო ძლიერი საერთაშორისო მისიების შექმნის იდეა დიდი ხნის განმავლობაში ტრიალებდა დიპლომატთა წრეებში, მაგრამ როგორც ძალზე რთულად მისაღწევი, მუდამ უარყოფილი რჩებოდა ხოლმე. ომის შემდეგ ევროკავშირმა რამდენიმე ასეული შეუიარაღებელი დამკვირვებლის განთავსება მოახერხა რეგიონში – სარკოზი-მედვედევის შეთანხმების მონიტორინგის განსახორციელებლად; არადა, ისინი აქ წინა წლის გაზაფხულზეც რომ ყოფილიყვნენ, მოვლენები, შესაძლოა, სულ სხვაგვარად განვითარებულიყო.

ომის თავიდან აცილება იქნებ უფრო უკეთესი ძველმოდური დიპლომატიისა და „შეკავების ტაქტიკის“ გამოყენებითაც მოხერხებულიყო: გაზაფხულისა და ზაფხულის დაძაბულ თვეებში, მოსკოვი აშკარად ქართველებისა და მათი მოკავშირეების მოთმინებას ცდიდა, მაგრამ მისი სამხედრო ინფრასტრუქტურის გაძლიერებაზე დასავლეთს არავითარი ქმედითი რეაგირება არ მოუხდენია. ზუსტად ასევე, რუსეთის სხვა პროვოკაციებზეც მხოლოდ იმას გაიძახოდნენ – ორივე მხარემ თავი შეიკავეთო. თუ საქმე საქმეზე მიდგა, ამას არ ჰქონდა რაიმე რეალური შედეგი. უმაღლეს დონეზე არავის არასოდეს უთქვამს მოსკოვისათვის მკაფიოდ – საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი ევროპული უსაფრთხოების ნორმების სრული დარღვევა იქნებაო. სხვათა შორის, დასავლეთს სულაც არ სჭირდებოდა ომის დაწყებით დამუქრებოდა რუსეთს მისი შემდგომი ნაბიჯების აღსაკვეთად: უბრალოდ, ერთხმად და ყველას გასაგონად უნდა განეცხადებინა – საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებებს რა რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვებოდა მოსკოვისათვის. შესაკავებლად ეს დიდი ალბათობით გამოდგებოდა: გავიხსენოთ – აგვისტოში რუსეთის შეიარაღებული ძალების თბილისისაკენ წინსვლა მხოლოდ მას შემდეგ შეჩერდა, როცა აშშ-მ სრულიად არაორაზროვნად განაცხადა მოსკოვთან საკუთარი პოლიტიკის ძირეული გადახედვის შესაძლებლობის თაობაზე.

შესაბამისად, ეს ომი ვინძლო იმ ეპოქის დასრულების ნიშნად ქცეულიყო, რომელიც ჯერ კიდევ ამ ორი ათწლეულის წინათ დაიწყო, როცა მიხეილ გორბაჩოვი „ახალი, ერთიანი ევროპული სახლის შექმნის აუცილებლობაზე“

ალაპარაკდა. ეს ნამდვილად დიდი ექსპერიმენტი იყო – ახალი, ცივი ომის შემდგომი ევროპის მშენებლობა, რისი საფუძველიც საერთო დემოკრატიული ღირებულებები და საერთო ინტერესები იქნებოდა. ამ ახალ თანამეგობრობაში რუსეთის, როგორც დასავლური დემოკრატიების ოჯახის სრულფასოვანი წევრობაც მოიაზრებოდა, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში მოსკოვი თანდათან დაშორდა ამ ფასეულობებს და რუსეთ-საქართველოს ომიც დასავლეთთან ოფიციალური „გაუცხოების“ კიდევ ერთ მანიშნებლად იქცა. უკვე ომის დასრულებისთანავე, რუსი ექსპერტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმის განცხადებაში – არავითარი „საერთო ღირებულებები“ არ არსებობს და რუსეთს აღარც სურს და არც არაფერში სჭირდება, დასავლეთის ნაწილად მოიაზრებოდესო. მოკლედ, ცივი ომის შემდგომ ხანაში, ამ ურთიერთობებმა სრული წრე შემოხაზა და თანდათანობით რამდენიმე ეტაპი გაიარა: „პროტოალიანსიდან“ – „ნეიტრალურობამდე“ და ბოლოს – ღია ანტიდასავლურობამდე.

შესაბამისად, ომი იმ რამდენიმემოქმედებიანი დრამის კულმინაციად იქცა, რომელიც ჯერ კიდევ ოცი წლის წინ, *რკინის ფარდის* მოშლის შემდგომ დაიწყო. ეს გახლდათ გრძელი ამბავი იმ მცდელობათა თაობაზე, რაც ევროპის ზოგადი „გათიშულობის“ დასაძლევად ცივი ომის შემდგომი დასავლური ინტეგრაციის პრინციპებზე დაფუძნებული მშვიდობის უზრუნველყოფას გულისხმობდა. ამ 20 წელიწადში მოხერხდა დემოკრატიების კონსოლიდირება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ამავე პერიოდს ემთხვევა რუსეთთან თვისებრივად ახლებური ურთიერთობებიც – ამ ქვეყნის დასავლურ თანამეგობრობაში ჩასართავად. ესაა უდიდესი წარმატებებისა და ნაწილობრივი მარცხის ისტორია; დაბოლოს, ესაა ამბავი იმის შესახებ, თანდათანობით, მაგრამ ჯიუტად, კვლავ როგორ აქცია რუსეთმა ზურგი დასავლეთს და როგორ დაუბრუნდა თავის ძველ, ტრადიციულ სახესა თუ ჩვევებს. ეს ამბავი ჯერაც გრძელდება და რუსეთ-საქართველოს ომი მისი მხოლოდ ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი აკორდია.

ყველაფერი კი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დ́ა, რაც მთავარია, საბჭოთა კავშირში კომუნიზმის კრახით დაიწყო – 1989 წლის მშვიდობიან რევოლუციათა მთელმა წყებამ ევროპის მომავლის ახლებური ხედვა გამოკვეთა. ამ ხედვის თანახმად, ის ერები და ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა ბატონობის გამო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ძალით იყვნენ მოგლეჯილი დასავლეთს, კვლავ ევროპას უნდა დაბრუნებოდნენ. სამომავლოდ, კონტინენტზე ყველა წარსული ხელოვნური დაყოფა-დანაწევრება დაძლეული უნდა ყოფილიყო; უნდა შექმნილიყო ახალი, ცივი ომის შემდგომი უსაფრთხოების მოდელი, რომელიც დემოკრატიულ მშვიდობას დაემყარებოდა, კონტინენტზე წარსულს ჩაბარდებოდა ყველა გეოპოლიტიკური სიმახინჯე და შეიარაღებული კონფლიქტებიც ერთხელ და სამუდამოდ გამოირიცხებოდა.

1989 წლის რევოლუციების შემოქმედთა მიზანი ახლად მიღწეული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის უზრუნველყოფა გახლდათ – კონტინენტის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების „გამთლიანების“ გზით. მათ სურდათ, თავადაც იმგვარივე უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის მიეღწიათ, რითაც ევროპის დასავლეთი ნახევარი სარგებლობდა და საამისოდ ცდილობდნენ იმავე ინსტიტუტებში გაწევრიანებულიყვნენ, რაც ზემოხსენებული უსაფრთხოებისა და კათილდღეობის გარანტიას იძლეოდა. ერთიანი ევროპის ამგვარი ხედვა მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვასაც გულისხმობდა: ჰიტლერის მეგალომანიაკური გეგმების მსხვრევამ წითელ არმიას ევროპის შუაგულში შეჭრის საშუალება მისცა და საბჭოთა კავშირს ხელ-ფეხი გაუხსნა, კონტინენტის მთელი აღმოსავლეთ ნახევრისათვის საკუთარი პოლიტიკური ნება და სისტემა მოეხვია თავს. ახლა მორალური იმპერატივის ტოლფარდი იყო ასეთი წნეხის ქვეშ მოქცეული ქვეყნებისათვის კვლავ მიეცათ უფლება – „დედაევროპას“ შეერთებოდნენ. არსებობდა ასევე, სტრატეგიული იმპერატივიც – უკვე იმ აუცილებლობიდან გამომდინარე, რომ ორი მსოფლიო ომისა და მერე ცივი ომის შემდგომ, სწორედ ევროპა ქცეულიყო იმ კონტინენტად, საიდანაც საყოველთაო მშვიდობა და არა ახალი ომების საფრთხე გავრცელდებოდა.

ევროპაში ახალი, ცივი ომის შემდგომი მშვიდობის მშენებლობა 90-იანი წლების საგარეო პოლიტიკის ამოსავალ წერტილად იქცა როგორც თავად ევროპული სახელმწიფოების, ასევე – ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც; ევროპის მომავალზე მსჯელობა უთუოდ ევროპაში აშშ-ის როლის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა თუ, ზოგადად, დასავლეთის მომავლის მკაფიო გააზრებასაც გულისხმობდა. მიაღწია თუ არა მიზანს რამდენიმე ათწლეულის წინ საბჭოური საფრთხის პასუხად შექმნილმა ალიანსმა? ხომ არ დადგა დრო პოლიტიკური სცენიდან მისი პატივით გასაცილებლად? რა იყო მისიის უმთავრესი ამოცანა – კომუნიზმის დამარცხება თუ ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების ერთხელ და სამუდამოდ დამყარება? შეეძლოთ თუ არა ცივი ომის დროს შექმნილ ინსტიტუტებს ისე ეცვალათ სახე, რომ გახლეჩილი კონტინენტის გამთლიანება მოეხერხებინათ? იყო კი ვალდებული და, საერთოდ, შეეძლო კი ცივი ომის დროინდელი სახით არსებულ დასავლეთს იმ ახალ ალიანსად გადაწყობილიყო, რაც ახალი ეპოქის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა?

დასავლეთის მომავალთან დაკავშირებით ერთი უმთავრესი კითხვა რუსეთთან ურთიერთობასა და მის როლს შეეხებოდა. მართალია, დემოკრატიულ ცვლილებებს ბიძგი პოლონური „სოლიდარობისა“ და მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი „ქარტია-77“-ის ოპოზიციურმა მოძრაობებმა მისცეს, მაგრამ ცხადია – საბოლოოდ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის დასამარება მაინც მიხეილ გორბაჩოვის ისტორიული გადაწყვეტილების შედეგია, როცა მან ისტორიას საკუთარი გეზით სვლის საშუალება მისცა და მოსკო-

ვის მხრიდან მასიური სამხედრო ძალის გამოყენების პრაქტიკაზე ხელი აიღო. უმნიშვნელოვანესი გახლდათ ბორის ელცინის განზრახვაც – კომუნისტური იმპერიის უღლისაგან გაეთავისუფლებინა თავად რუსი ხალხი, რამაც დააჩქარა კიდეც საბჭოთა კავშირის დაშლა. შესაძლოა, დასავლეთმა საკუთარი გამარჯვებით დაასრულა ცივი ომი, რამდენადაც დასავლურმა დემოკრატიულმა ღირებულებებმა იმძლავრა. მაგრამ სწორედ გორბაჩოვისა და ელცინის მსგავსი რუსი ლიდერების გაბედულმა გადაწყვეტილებებმა გახადა შესაძლებელი ეპოქალური დაპირისპირების მშვიდობიანი და მეტ-ნაკლებად უსისხლო დასასრული. არც ამერიკელებსა და არც ევროპელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ასე თუ ისე რუსეთიც უთუოდ ჩართული უნდა ყოფილიყო ნებისმიერი სახის ახალ ევროპულ წესრიგში; კითხვა მხოლოდ ის გახლდათ – როგორ და რა ფორმით.

თავდაპირველად დასავლეთი იმედოვნებდა, რომ რუსეთიც მოახერხებდა დასავლური ტიპის დემოკრატიაზე თანდათანობით გადასვლას – ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის დარად, ოღონდ ცხადია, საკუთარი „გრაფიკითა“ და რიტმით. დასავლეთის სტრატეგია *ინტეგრაციონიზმს* გულისხმობდა ანუ არათუ გარიყვას, არამედ მოსკოვის მაქსიმალურ ჩართვას ამ პროცესში. ის რუსები, ვინც დღეს ამტკიცებს – დასავლური პოლიტიკა რუსეთის დამცირებისკენ იყო მიმართულიო, უბრალოდ, ცდებიან: შესაძლოა, ზოგჯერ დასავლეთი არაადეკვატური თუ არათანმიმდევრულიც იყო, შესაძლოა, არასწორ მექანიზმებსა თუ ინსტიტუტებს იყენებდა, მაგრამ მისი განზრახვა – მხარი დაეჭირა და წაეხალისებინა რუსეთის დემოკრატიზაცია და დასავლური სტრუქტურების სრულუფლებიან წევრად ექცია ეს ქვეყანა – არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მძაფრი კამათის საგნად რჩება საკითხი – რა გზით უნდა მოხერხებულიყო ეს ყოველივე. სწორედ აზრთა ამ ურთიერთგაცვლის შედეგი გახლდათ გასული საუკუნის 90-იან წლებში მიღებული ის უამრავი გადაწყვეტილება, რამაც დღეს რეალურად არსებულ ევროპული უსაფრთხოების წესრიგს ჩაუყარა საფუძველი. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი 1990 წელს მიღებული *პარიზის ქარტია* იყო, რომელიც ჯერ კიდევ ჰელსინკში მიღებული ისტორიული დოკუმენტის პრინციპებს ეფუძნებოდა და ერთგვარ „უფლებათა დეკლარაციას“ წარმოადგენდა ცივი ომის შემდგომი ევროპისათვის. ქარტია მიზნად ისახავდა იმგვარი ნორმები და პრინციპები ჩამოეყალიბებინა, რაც ცივი ომის შემდგომი უსაფრთხოების წესრიგის ქვაკუთხედი გახდებოდა. უმთავრესი წესი ევროპაში საზღვრების ძალით შეცვლის ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთას მოითხოვდა; დანარჩენი განმსაზღვრელი დებულებები კი თანასწორი უსაფრთხოების, ალიანსებში საკუთარი ნებით გაწევრიანების უფლებასა და, ასევე, პოლიტიკური ლექსიკონიდან „გავლენის სფეროს“ ცნების ამოგდებას გულისხმობდა. ამ პრინციპებზე მოსკო-

ვის თანხმობა იმის ნიშანი გახლდათ, რომ მასაც სურდა ერთიანი ევროპისა და ზოგადად დასავლეთის ნაწილად ქცეულიყო.

საქმე ისაა, როგორ განეხორციელებინათ ეს გრანდიოზული გეგმა და იდეიდან რეალობად როგორ ექციათ. ან თუნდაც, ვის უნდა ეტვირთა კონტინენტის გამთლიანების ამოცანა – ეუთო-ს, ევროკავშირსა თუ ნატო-ს? თავდაპირველი განზრახვა – საამისოდ ეუთო შერჩეულიყო, სწრაფადვე ჩაიფუშა, რადგან ამ ორგანიზაციის შესაძლებლობათა შეზღუდულობა იმთავითვე ნათელი გახდა. მომხიბლავ კანდიდატურად ევროკავშირი გამოიკვეთა, მაგრამ ბოსნიაში მან დიდად ვერაფრით გამოიჩინა თავი და ყველა მიხვდა, რომ უსაფრთხოების არსებული პრობლემების სწრაფად მოგვარების ძალა არც მას შესწევდა. მაშინ საყოველთაო ყურადღების ცენტრში უკვე ნატო მოექცა. ერთგვარ ირონიად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ცივი ომის დროინდელ ამ ტრანსატლანტიკურ ინსტიტუტს გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ახალი ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურების ჩამოყალიბებაში; მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის ახლად შექმნილ დემოკრატიულ სახელმწიფოებს მხოლოდ ევროპაში დაბრუნების სურვილი როდი ამოძრავებდათ – მათ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებაც უნდოდათ, მასში ხედავდნენ საკუთარი დამოუკიდებლობის დამცველს. ამ კავშირის უზრუნველმყოფი ნატო იყო.

დასავლეთმა იმთავითვე გაიზიარა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეს მისწრაფება და, აქედან გამომდინარე, მათი ინტერესები ატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის უფრო ფართო ტრანსფორმირება-განახლების ზოგადი გეგმის უცილობელ შემადგენელ ნაწილადაც მიიჩნია. ამგვარი გარდასახვა სამი ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯის გადადგმას გულისხმობდა: 1. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ახალი წევრებისათვის ნატო-ს კარის გაღებას, რაც, თავის მხრივ, ევროკავშირის გაფართოებასაც შეუწყობდა ხელს; 2. სამშვიდობო მისიების განხორციელებას ალიანსის საზღვრების მიღმა, ბალკანეთში და მთლიანად ევროპაში სტაბილურობაზე პასუხისმგებლობას; 3. გარკვეული ნაბიჯების გადადგმასა და ახალი პარტნიორობის დამყარებას ცივი ომის დროინდელ მეტოქესთან – რუსეთთან, რამაც გამოხატულება 1997 წლის ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტში ჰპოვა.

ალიანსი უკვე რუსეთის შეკავებას კი აღარ ცდილობდა ცივი ომის ეპოქის სტილში, არამედ მასთან პარტნიორობა და დასავლეთისაკენ მისი „გადმოქაჩვა" სურდა. როცა საქმე ნატო-ს გაფართოების სამხედრო ასპექტებზე მიდგა, ალიანსმა გარკვეული დათმობები დაუშვა, რათა რუსეთის მგრძნობელობა გაეთვალისწინებინა. ალიანსის ახალი წევრების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საკითხები ერთგვარად ღიად იქნა დატოვებული, როცა ალიანსმა მათ ტერიტორიებზე საბრძოლო შენაერთებისა თუ ატომური იარაღის განთავსებაზე თქვა უარი – კოლექტიური თავდაცვის მოსაზრებე-

ბის იგნორირებით. პირიქით – ალიანსმა გადაწყვიტა, მხოლოდ „დასავლური ინტეგრაციის" იდეას და საკუთარ ინფრასტრუქტურასა თუ ძალისხმევას დაყრდნობოდა ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ეს იმის კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ, რომ ნატო-ს გაფართოება სწორედ სტაბილურობისა და ინტეგრაციის ხედვებით იყო განპირობებული და სულაც არ ცდილობდა დაპირისპირების ახალი კერები გაეჩინა რუსეთის საზღვრების სიახლოვეს.

მაგრამ გვქონდა კი რაიმე თავდაცვითი ტაქტიკა იმ შემთხვევისათვის, თუ მოსკოვი მაინც სხვა გზით სიარულს ამჯობინებდა? რა თქმა უნდა, გვქონდა: წინასწარ ვერავინ იტყოდა, რა შედეგით დამთავრდებოდა პოსტკომუნისტური რუსეთის ხელისუფლებების მტკივნეული ექსპერიმენტები, მით უმეტეს, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში, უკვე გამოიკვეთა კიდეც არაერთი შემაშფოთებელი ნიშანი. ისეთებიც იყვნენ, ვინც იმთავითვე შიშობდა, რომ რუსეთს ალიანსთან დაახლოება თავად ამ ორგანიზაციისათვის ძირის გამოსათხრელად სჭირდებოდა; ამიტომ დასავლური სტრატეგიის ამოცანად, მაქსიმალურად საუკეთესო შესაძლო შედეგის მიღება იქცა, ოღონდ ისე, რომ სათადარიგო ვარიანტებიც დაეტოვებინა – ისტორიის ჩარხის უკუღმა შემოტრიალების შემთხვევაში. როცა ნატო დათანხმდა, არ განეთავსებინა საბრძოლო შენაერთები თუ ბირთვული იარაღი ამ ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე, იმასაც მკაფიოდ გაესვა ხაზი – ეს ნატო-ს ცალმხრივი გადაწყვეტილებაა და აუცილებლობის შემთხვევაში გადახედვასაც ექვემდებარებაო. დიპლომატიურ ენაზე ეს იმას ნიშნავდა, რომ დასავლეთი, მართალია, მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნებას მოელოდა, მაგრამ რუსეთის მხრიდან მტრობის გამოვლენის შემთხვევაში სხვაგვარად მოქმედების უფლებასაც იტოვებდა.

ამგვარი სტრატეგია მართლაც წარმატებული გამოდგა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის დანერგვისა თუ მთელ კონტინენტზე სტაბილურობის ხელშეწყობის თვალსაზრისით; მართალია, ურთიერთობები რუსეთთან რთულად და „ჭრიალით" ლაგდებოდა, მაგრამ მხარეებმა მაინც მიაღწიეს კომპრომისს ნატო-ს გაფართოების პირველი ეტაპის წინ – არაერთგზის ნავარაუდევი შეტაკება ამ საკითხის გამო მაინც არ მოხდა. მომზადდა რუსეთის ნატო-სა და ევროკავშირთან თანამშრომლობის წინაპირობათა მთელი წყება, და მოსკოვთან ურთიერთობის გაწყვეტაც თავიდან იქნა აცილებული. სხვათა შორის, დღეს ხშირად ივიწყებენ, რომ ალიანსის გაფართოების მასშტაბურ მეორე რაუნდს მოსკოვმა კიდევ უფრო ნაკლები წინააღმდეგობა გაუწია, ვიდრე პირველს. ალიანსმაც ამას თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების შეთავაზებით უპასუხა. მოკლედ, სტრატეგიული გეგმა თითქოს გამართულად მუშაობდა...

სწორედ ამ გაფართოებულ თანამეგობრობაში ჩაწერაზე ოცნებობდა საქართველოს ახალგაზრდა, დემოკრატიული ხელისუფლება – 2003 წლის

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. თავად ეს რევოლუცია მეტწილად საშინაო ფაქტორებმა განაპირობა: რუსული „შეთქმულების თეორია“ – რაც ამ და 2004 წლის უკრაინის „ნარინჯისფერ რევოლუციას“ ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების ხრიკებით ხსნის – არ ითვალისწინებს ქართული და უკრაინული საზოგადოებების მისწრაფებას იმგვარივე თავისუფლების, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისაკენ, რაც ტრანსატლანტიკურ სამყაროშია დამკვიდრებული. საქართველოსაც ზუსტად ის უბიძგებდა დასავლეთისაკენ, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს – ათი წლით ადრე: მას სურდა დაეცვა დესპოტებით ცნობილ რეგიონში წამოწყებული, ჯერ კიდევ მყიფე დემოკრატიული ექსპერიმენტი და ისეთი უსაფრთხოებისათვის მიეღწია, რომლის გარანტადაც მხოლოდ დასავლეთი ესახებოდა. მოკლედ, ნატო-ს აღმოსავლეთისაკენ გაფართოების იდეა მიზიდულობის დიდი ძალის მატარებელი აღმოჩნდა.

უფრო კონკრეტულად, ქართველების მზერა ბალტიის ქვეყნებისაკენ იყო მიპყრობილი, რომლებიც განვითარების დაახლოებით იგივე დონეზე განიხილებოდნენ საბჭოთა პერიოდში. თბილისის მიზანი მათ კვალად სვლა გახლდათ – საქართველოსაც სურდა, ჯერ ნატო-ში გაწევრიანებულიყო, რამდენადაც ეს უფრო იოლიც ჩანდა და, რაც მთავარია, ქვეყანას ამისაკენ რუსეთთან სახიფათო მეზობლობაც უბიძგებდა. ოღონდ საბოლოო მიზანი მაინც ევროპასთან ხიდის გადება და ევროკავშირში შესვლა იყო. როცა 2004 წლის თებერვალში მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის რანგში პირველად ჩავიდა ვაშინგტონში, მას აინტერესებდა რამდენად რეალური შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ქვეყნისთვის მაპ-ის მიღება. სხვათა შორის, 1993 წლის გაზაფხულზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებიც ზედიზედ სტუმრობდნენ თეთრ სახლს და მაშინდელი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის გასაოცრად აცხადებდნენ – ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი ნატო-ში გაწევრიანებაა. ქართველებმა ერთგვარი სიმბოლური ნაბიჯიც გადადგეს და ევროკავშირის დროშაც თამამად ააფრიალეს იმის დასადასტურებლად – რამდენად ღრმად იზიარებდნენ ევროპულ ფასეულობებს და ამ ორგანიზაციის მიზნებს.

შესაძლოა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს საქმე სამმა ფაქტორმა გაართულა და იმავე ფაქტორებმა შექმნა კიდეც 2008 წლის აგვისტოს ომის წინაპირობები: პირველი და უმნიშვნელოვანესი მათგან რუსეთში მომხდარი ცვლილებები და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილება იყო – ზურგი ექცია დასავლეთისათვის. საქართველოს მისწრაფება უშუალოდ იმ ახალ რუსულ რევიზიონისტულ პოლიტიკას შეეჯახა, რაც დასავლურ თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე უარის თქმას, ავტოკრატიული მმართველობისაკენ გეზის აღებასა და *ევრაზიანიზმის* იდეის ქადაგებას გულისხმობდა. მოსკოვმა კვლავაც დაიწყო დასავლეთისაგან „კარს მომდგარი მტრის“ ხატის შექმნა, რასაც რუსეთის გამორჩეულობისა და მისი

საგარეო პოლიტიკის ძლევამოსილების ფართო ნაციონალისტური პროპაგანდაც უბამდა მხარს.

უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს კამათი იმის თაობაზე, რამ გამოიწვია რუსული პოლიტიკის ამგვარი შემობრუნება. ვითომ ამის მიზეზი მართლა ნატო-სა და ევროკავშირის აღმოსავლეთისაკენ გაფართოება იყო? თუ ანტიდასავლურობის პროპაგანდისათვის რუსეთს თავისი შიდა მიზეზები ჰქონდა, დასავლეთის ქმედებებთან კავშირში არ იყო და მხოლოდ და მხოლოდ პუტინის მმართველობის ავტორიტარულ მისწრაფებებს, ნაციონალისტურ მიდრეკილებებს ავლენდა? პირადად მე იქით ვიხრები, რომ გაფართოებაში მხოლოდ სიკეთე დავინახო: ჩემი აზრით, დასავლეთს ბედმა გაუღიმა და კარგად მოახერხა იმ ხანმოკლე შესაძლებლობით ესარგებლა, რამაც სწორედ ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოების გზით, მშვიდობასა და სტაბილურობას ჩაუყარა საფუძველი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

მოსკოვისათვის „ხელის გაწვდენის“ სტრატეგიაც მართებულად ჩანს: რუსეთს უდიდესი შესაძლებლობები გამოუჩნდა დასავლეთთან ახალი სტრატეგიული თანამშრომლობა წამოეწყო – იქნებ დასავლეთმა ყველაფერი მართებულად ვერც გააკეთა, მაგრამ რუსეთთან საერთო ენის გამონახვის პოლიტიკური ნება აშკარად გამოავლინა და ბიზნესის წარმოებისთვისაც ყველა ინსტიტუტის კარი ფართოდ გაუღო. უბრალოდ, მცდელობა წარუმატებელი იმიტომ აღმოჩნდა, რომ მოსკოვმა არ ისურვა ამ შესაძლებლობებით ესარგებლა და სხვა გეზი ირჩია. ამიტომაც, რაც უფრო შორს მიდიოდა რუსეთი ავტოკრატიულობისა და ნაციონალიზმის გზით, მით უფრო მეტ საფრთხეს ხედავდა სათავისოდ საქართველოს დასავლურ მისწრაფებებში. შედეგად, საქართველოს მიმართაც ხარისხობრივად სრულიად სხვა წნეხი აამუშავა, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში არც ერთი ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნის მიმართ არ გამოუყენებია.

მეორე: თბილისი პრაღა არ გახლდათ და არც ამიერკავკასია იყო ცენტრალური თუ აღმოსავლეთი ევროპა. განსხვავებები მხოლოდ გეოგრაფიული ხასიათის როდი იყო – საქართველო ევროპის უფრო „ველურ“ ნაწილს ეკუთვნოდა, უფრო ღარიბიც იყო, დემოკრატიული ინსტიტუტების თვალსაზრისით – უფრო სუსტიც და მას განსხვავებული, გაცილებით ღრმა პრობლემების მთელი წყება აწვა ტვირთად. პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ჩამორჩენა სულ ცოტა, ერთი ათწლეულით მაინც განიზომებოდა. საქართველოს გაცილებით გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი და გაცილებით რთული საკითხები – გადასაჭრელი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს იგი ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდა – სწორედაც რომ პირიქით!

„გაყინული კონფლიქტების“ გათვალისწინებით, ეს სახელდობრ ასეც უნდა ყოფილიყო: აკი გასული საუკუნის 90-იან წლებში აშშ-მ და შვედეთმა ძალის-

ხმევა არ დაიშურეს, რათა რუსეთს ბალტიის ქვეყნებიდან თავისი ჯარი გამოეყვანა; ამან შექმნა მათი დასავლური ინტეგრაციის ნიადაგი ოღონდ არაფერი ამდაგვარი საქართველოს მიმართ არ მომხდარა – პირიქით, საქართველო თითქოს ამ კონფლიქტებს შეატოვეს, რომელთა დამოუკიდებელი გადაწყვეტა მას არ შეეძლო. ამან დააბრკოლა დასავლეთთან მისი ინტეგრაცია.

მესამე განსხვავება კი ის გახლდათ, რომ საქართველოს მიმართ არ იქნა გამოვლენილი ის დახმარება, რაც თავის დროზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ იქნა გამოჩენილი. გაფართოებით „დაღლა" სწრაფადვე იქცა უმთავრეს საკითხად ევროპაში – ნატო-ცა და ევროკავშირიც ათობით ახალი წევრით გაზრდის „მონელებით" იყო დაკავებული. საქართველო ბოლომდე ვერ მოექცა იმ ზნეობრივი თუ სტრატეგიული ხედვის არეალში, რაც ევროპის ხელახალ გამთლიანებას გულისხმობდა. როცა ევროპელები ამაზე საუბრობდნენ, მხედველობაში პრაღა, ვარშავა თუ ბუდაპეშტი ჰქონდათ და არა – თბილისი. მართალია, თავად ქართველებს ეჭვიც არ ეპარებოდათ – ევროპის ნაწილი ვართ და დასავლეთთან შეერთებას ვიმსახურებთო, მაგრამ დასავლეთში ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი ძალზე ბევრს ჰქონდა.

საქართველოს იმ მხრივაც არ გაუღიმა ბედმა, რომ დასავლეთთან დაკავშირება სწორედ იმ დროს განიზრახა, როცა თავად დასავლეთი უფრო ითიშებოდა, ვიდრე ერთსულოვნებას ამჟღავნებდა. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში აშშ პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდა და ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმაც უდიდესი სარგებელი ნახეს დასავლური ერთიანობისა და ერთსულოვნების წყალობით. საქართველომ კი სწორედ მაშინ დააპირა დასავლური გზით სვლა, როცა ნატო-ში განხეთქილებამ იჩინა თავი ერაყის ომთან დაკავშირებით, აშშ-ც არნახულად არაპოპულარული გახდა და შიდადასავლური ურთიერთობებიც ისე იყო დაქვეითებული, როგორც არასდროს.

მოკლედ, ეს ყველაფერი დროისა და გარემოებების ბრალი უფრო იყო: საქართველოს დასავლეთისაკენ სვლა რუსეთის დასავლეთისაგან გამიჯვნას დაემთხვა, ხოლო ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ხარვეზებს აშშ-რუსეთის მეტი გაუცხოება მოჰყვა. შედეგად, თავად საქართველოში დაძაბულობის ზრდამ და აშშ-ს, ევროპასა და რუსეთს შორის ყველაზე არსებითი ურთიერთობების არევამ, ფეთქებადსაშიში ვითარება შექმნა. მართალია, საფრთხის ნიშნები თითქოს „ზედაპირზე იდო", მაგრამ დაძაბულობის შეკავებისა თუ გაღვივებული კონფლიქტების ჩაცხრობის მექანიზმებიდან ზოგი არასაკმარისი აღმოჩნდა, ზოგიც კიდევ საერთოდ გადაიტვირთა. ეს მხოლოდ საქართველოს ბრალი არ ყოფილა – მარცხის მიზეზები გაცილებით ღრმა იყო და ერთიანი ევროპული უსაფრთხოების სისტემაში საძიებელი.

ამიტომაა, რომ ამ წიგნში არა მხოლოდ წარსულზე, არამედ მომავალზეცაა ლაპარაკი – ხვალ რა გველის, რა იქნება კიდევ? სინამდვილე ის გახლავთ,

რომ რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი არც ერთი საკითხი 2008 წლის აგვისტოში არ გადაჭრილა და სამომავლო კონფლიქტის ალბათობაც სავსებით რეალურია. საქართველოს კვლავ სურს დასავლეთისაკენ სვლა, რუსეთს კი – მისი შეჩერება. მოსკოვის მხრიდან იარაღის ჟღარუნი და მუქარები თბილისის მიმართ გვაფიქრებინებს, რომ მას იქ არც დესტაბილიზაციის გამოწვევისა და არც რეჟიმის შეცვლის სურვილზე ხელი არ აუღია. ამასობაში რუსეთმა მოახერხა და საქართველოს ტერიტორიაზე ევროკავშირისა თუ ეუთო-ს მისიების ნებისმიერი გაფართოება აღკვეთა და ეს მაშინ, როცა არათუ მათი გაუქმება, ამ მისიების მნიშვნელოვანი გაზრდა იყო აუცილებელი. ცეცხლის შეწყვეტის პირობების თანახმად დაშვებული ევროკავშირის 200 დამკვირვებელი ახლა მხოლოდ ვიწრო წითელ ხაზად რჩება მოსკოვსა და თბილისს შორის.

შესაბამისად, არც რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების შესაძლებლობა გამქრალა, თუმცა კი დიპლომატები ძალზე ფრთხილობენ და ყოველ ღონეს ხმარობენ ამ საკითხის მისაჩუმათებლად. ნატო-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა – საბოლოოდ მაინც მიიღოს საქართველო თავის რიგებში და მოსკოვიც ისევ ძველებურად აპროტესტებს ამ მიმართულებით გადადგმულ მოკრძალებულ ნაბიჯებსაც კი. იმავდროულად, რუსეთი და დასავლეთი ვერა და ვერ თანხმდებიან თამაშის რა წესებით იხელმძღვანელონ – თითქოს ბოლო ათწლეულში შემუშავებული ყველა „წესდება" ხელის ერთი მოსმით იქნა ფანჯრიდან მოსროლილი!

მოკლედ, ამ გრძელი ამბის ბოლო თავი ჯერაც დასაწერია და მისი შინაარსიც მხოლოდ იმაზე არ იქნება დამოკიდებული – კიდევ რა მოხდება თბილისსა თუ მოსკოვში. ამ თავის სათქმელს ის განსაზღვრავს, რა დასკვნები გამოიტანა დასავლეთმა ამ ომიდან – მოვახერხებთ კი კვლავაც დავადასტუროთ ჩვენი ერთგულება ჰელსინკის ძირეული პრინციპების მიმართ, რაც, სხვათა შორის, ალიანსებში გაწევრიანების თავისუფალ არჩევანსაც გულისხმობს? გავბედავთ და ყოველთვის ხმამაღლა განვაცხადებთ, რომ საქართველოს მისწრაფებები კანონიერია, ხოლო მოსკოვისა – უკანონო? თუ დასავლეთის ლიდერები გადაწყვეტენ, რომ რუსეთის პრეტენზიები გავლენის სფეროების აღდგენის თაობაზე გასათვალისწინებელია, ნატო-ს გაფართოება უნდა შეჩერდეს, ხოლო ევროპული უსაფრთხოების წესები – რუსეთის მოთხოვნებს მიესადაგოს?

რაც შეეხება საქართველოს, მისთვის წინსვლის ერთადერთი გზა შეიძლება არსებობდეს: რაოდენ უსამართლოც არ უნდა ყოფილიყო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რა მძიმე მდგომარეობაშიც არ უნდა იყვნენ ქართველი ლტოლვილები, როგორ არაადეკვატურად არ უნდა ხდებოდეს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სასაზღვრო რეჟიმის ფორმირება, საქართველომ არ უნდა იოცნებოს განჭვრეტად მომავალში ამ დაკარგული პროვინციების დაბრუნებაზე... ის დროში გაწელილ, არაღიარების პოლიტიკას უნდა მიენდოს და

საერთაშორისო თანამეგობრობასთან საკუთარი ქმედებების კოორდინირება მოახერხოს; ეს პროცესი კი, შესაძლოა, წლობითა და ათწლეულობითაც კი გაგრძელდეს. თუმცა არსებობს პრეცედენტები, რაც საქართველომ შეიძლება გამოიყენოს და ის გაკვეთილებიც ისწავლოს, როგორ მოახერხა დასავლეთმა მეტ-ნაკლებად მსგავს ვითარებათა „დალაგება". პირველი, რაც კაცს გაგახსენდება, დასავლეთის მიერ ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ გატარებული პოლიტიკაა. საქართველომ მუდმივად უნდა დაადასტუროს ქვეყნის საბოლოო გამთლიანების იდეისადმი ერთგულება, მაგრამ უარი თქვას ძალის გამოყენებაზე და მიზნის მიღწევას მშვიდობიანი გზებით ეცადოს. ასევე, საქართველომ უნდა შეწყვიტოს რუსეთთან სამართლებრივ-პოლიტიკური ბრძოლის მცდელობები.

პირიქით – საქართველომ მთელი ძალისხმევა შინ რეფორმებისა და დემოკრატიის კურსის განმტკიცებისაკენ უნდა მიმართოს, რამაც ის თავიდან ასე მომხიბლავ ქვეყნად წარმოაჩინა. საქართველოს ლიდერებმა ქვეყნის იმ ნაწილს უნდა მიხედონ, რომელსაც დღესდღეობით აკონტროლებენ და ამყამინდელი ეკონომიკურ-ფინანსური ვარდნის მიუხედავად ერთხელ კიდევ სცადონ აქციონ იგი „დემოკრატიისა და რეფორმების ვეფხვად". სწორედ ასე თუ მოხერხდება დაკარგული პოლიტიკური და მორალური პოზიციების დაბრუნება, უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ეკონომიკურად მომძლავრება და დასავლეთის კეთილგანწყობის გაზრდა. სხვათა შორის, ამით იმედიც შენარჩუნდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სტატუსთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების შემთხვევაში, ვინძლო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს თავადვე მოუნდეთ გამთლიანებულ საქართველოში დაბრუნება. საბოლოო ჯამში, საქართველოს ასევე დასჭირდება საერთო ენა გამონახოს თავის ჩრდილოელ მეზობელ რუსეთთან, რადგან გეოგრაფიულ რეალობას ვერსად გავექცევით.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ესტონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ლენარტ მერიმ ძალზე გააოცა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, როცა ერთ-ერთი შეხვედრის დროს მას „მფრინავი ხალიჩა" მოსთხოვა... ელცინი რომ დაეკითხა – *რაო, რაოო?* – მერიმ მიუგო: „ჩვენი ორმხრივი პრობლემების მოგვარება მშვენივრად მოხერხდებოდა, ესტონეთს სადმე ჩრდილო ატლანტიკის რეგიონში გადაფრენა რომ შეეძლოს!". ანუ ესტონელებმა კარგად იცოდნენ – რუსეთის მეზობლობას ვერსად წაუვიდოდნენ; ამ აზრს კი საქართველოც უნდა შეეგუოს. რა თქმა უნდა, ომმა ეს ყველაფერი კიდევ უფრო გაართულა: დღეს გაცილებით მეტი ქართველია ანტირუსულად განწყობილი და სჯერა – მოსკოვი არასოდეს შეეგუება მათ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ურთიერთობათა მოგვარება შეუძლებელი ჩანს, რამდენადაც მოსკოვი კვლავ „რეჟიმის შეცვლის" სტრატეგიას ეპოტინება, მაგრამ ახალ ლიდერებსა და ახალ თაობებს, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოუწევთ ჭრილობების მოშუშებაზე ზრუნვა.

საქართველო კი უფრო ირწმუნებს რუსეთთან ურთიერთობების დალაგების შესაძლებლობას, თუ უსაფრთხოების მეტი განცდა ექნება და დასავლეთის არეალში ფეხის მოკიდებასაც მოახერხებს.

ყოველივე ზემოთქმული მიყალიბებს მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენ დასავლეთში: ჯერ ეს ერთი, ჩვენ უთუოდ საკუთარ უმთავრეს პრინციპებთან მიბრუნება მოგვიწევს და იმის გახსენება, რატომ ჩაიწერა პარიზის ქარტიაში სიტყვები ყველა სახელმწიფოს თანაბარ უსაფრთხოებაზე, ალიანსებში გაწევრიანების თავისუფალ არჩევანზე და რატომ ითქვა უარი ე.წ. „გავლენის სფეროების“ ცნებაზე – ევროპის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასე იმიტომაც მოვიქეცით, რომ ევროპის სისხლიანმა ისტორიამ გვასწავლა – ეს გავლენის სფეროები ჭეშმარიტ უსაფრთხოებას არ ქმნის. სახელმწიფოთა იძულებით შეყვანა ამა თუ იმ კავშირში არასტაბილობის და კონფლიქტის რეცეპტია. ჩვენ ეს პრინციპები დიდი, ძლიერი სახელმწიფოებისაგან უფრო პატარების დასაცავად შევიმუშავეთ; ევროპელ ლიდერებს სჯეროდათ, რომ სწორედ ამ გზით ჩაეყრებოდა საფუძველი კონტინენტზე დემოკრატიასა და მშვიდობას. ხსენებული პრინციპები მხოლოდ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის არ ყოფილა გათვლილი – მათ უნივერსალური მნიშვნელობა ენიჭებოდათ და მათი მოქმედების არეალიც ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე მოიაზრებოდა. თავის დროზე რუსეთიც დაეთანხმა ამ პრინციპებს და სწორედ ამიტომ, მათი შებღალვა არ შეიძლება უპასუხოდ რჩებოდეს.

ჩვენ ასევე უნდა გავიაზროთ, რომ „დემოკრატიის გარღვევები“ რუსეთის საზღვრებთან პრობლემის კი არა, უფრო პრობლემების გადაწყვეტის პროცესის შემადგენელი ნაწილია. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისათვის ნატო-სა და ევროკავშირის კარის გაღება ჩვენი პასუხი გახლდათ ამ ქვეყნების კანონიერ სურვილზე – დასავლეთის დემოკრატიული თანამეგობრობის წევრებად ქცეულიყვნენ და იმის გარდა, რომ ესარგებლათ ამ ინსტიტუტების ყველა სიკეთით, მათ მიერ დაკისრებული ვალდებულებებიც გაეზიარებინათ. მართალია, თავიდან ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივი ჩანდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგი მათი სახელმწიფოებრიობის გამარჯვებად იქცა და იმავე ცენტრალურ თუ აღმოსავლეთ ევროპაში უპრეცედენტო სტაბილურობის დამყარებას შეუწყო ხელი. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების ამ პოლიტიკური ნაბიჯების წარმატება დასავლეთის სიძლიერისა და მიზანდასახულობის უფრო ზოგადმა აღორძინებამ განაპირობა. ეს ნაბიჯები ევროპისა და დემოკრატიული დასავლეთის ფართო ხედვის გამოხატულება გახლდათ – წარმატების უმთავრესი საწინდარი მისი ეს ერთიანობა აღმოჩნდა და ეჭვგარეშეა, რომ შემდგომში არჩეული გზიდან გადახვევაც სწორედ ამ მთლიანობის რღვევამ გამოიწვია.

ამიტომაც, ამ ერთიანობის აღდგენა მეორე ნაბიჯი უნდა იყოს ახალი სტრატეგიის შემუშავების გზაზე. პრეზიდენტად ბარაკ ობამას არჩევამ იმედი გააღვივა, რომ აშშ-სა და ევროპას კვლავ შეუძლიათ დაახლოება, ატლანტიკური ალიანსის გამოცოცხლება და ამ ახალი ეპოქის გამოწვევებზე სათანადო პასუხების გამონახვა. იმ გამოწვევების გარდა, რასაც დასავლეთი აწყდება ავღანეთისა თუ პაკისტანის, ახლო აღმოსავლეთისა თუ ჩინეთის აღმავლობის სახით, ახალმა ადმინისტრაციამ ხელახლა უნდა გაამთლიანოს გახლეჩილი ალიანსი და ახალი დღის წესრიგიც შეიმუშაოს. ამავე დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს ახალი სტრატეგიაც ევროპის აღმოსავლეთ ნაწილის მიმართ, ხოლო რუსეთ-საქართველოს ომზე სწორი პოლიტიკური პასუხი *პარიზის ქარტიის* პრინციპების ერთგულების ერთხელ კიდევ მკაფიოდ დადასტურება და ევროპაში მშვიდობიანი დემოკრატიული პროცესების გაფართოების კვლავაც უმთავრეს ამოცანად დასახვა იქნებოდა.

ევროპის ისტორია ისევ და ისევ იმას გვასწავლის, რომ ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე უარის თქმა – იმ იმედით, თითქოს ამით ავტორიტარული რეჟიმების კეთილგანწყობას მოვიპოვებთ – შორსმიმავალი სტაბილურობის მისაღწევ წინაპირობად ვერ გამოდგება. ალიანსის ლიდერებმა კვლავაც უნდა გამოავლინონ პოლიტიკური ნება და სტრატეგიული ხედვა, რათა ახლებურად მოაწყონ დემოკრატიული დასავლეთი და მისი ფარგლებიც გააფართოონ. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ნატო-ს კარი ღია რჩება და ევრაზიისა თუ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ სამომავლო გაფართოების პერსპექტივაც კვლავინდებურად არსებობს – მით უფრო, რომ სავარაუდოდ, ევროკავშირის კარი თანდათანობით, ნელ-ნელა „დაიხურება". ამგვარი სტრატეგია, ცხადია, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის ახალ მცდელობებს უნდა იყოს მორგებული, ოღონდ ისიც მკაფიოდაა გასააზრებელი, რუსეთის რომელი ინტერესები შეიძლება მივიჩნიოთ კანონიერად და რომელი – არა. მოსკოვს კანონიერი უფლება აქვს თანასწორი უსაფრთხოება მოითხოვოს და დარწმუნებულიც იყოს, რომ მის საზღვრებთან საფრთხის ახალი კერები არ გაჩნდება; მაგრამ არავითარი უფლება არ გააჩნია მეზობლების საშინაო საქმეებში ჩაერიოს, მათი ხელისუფლებების დამხობა სცადოს ან საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევაში შეუშალოს ხელი.

დღეს მოსკოვი, რა თქმა უნდა, არავითარ სურვილს არ ამჟღავნებს, დასავლეთის ნაწილად იქცეს. მას საკუთარი, „ევრაზიული" გეზით სურს სვლა. მაგრამ მჯერა, ის დღეც დადგება, როცა რუსეთის მომავალი ლიდერი მიხვდება – ეს გზა ჩიხისაკენ მიდის. საკმარისად ოპტიმისტი გახლავართ იმისათვის, რომ დარწმუნებით ვთქვა: ერთ მშვენიერ დღეს რუსეთიც გაიაზრებს – ნამდვილი პარტნიორები მან სწორედ დასავლეთში უნდა ეძიოს. უკვე დღეს შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ერთადერთი ნამდვილად სტაბილური საზღვარი რუსეთს და-

სავლეთთან აქვს და ამ საზღვრის სტაბილურობაც კონტინენტზე დამყარებულმა იმ დემოკრატიულმა მშვიდობამ განაპირობა, რაც იმავე ნატო-სა და ევროკავშირის ძალისხმევის შედეგია. მოვა დრო და რუსეთი ისევ შემობრუნდება დასავლეთისაკენ, კავშირების გაღრმავებასაც ეცდება და, საბოლოო ჯამში, ჩვენთან ინტეგრირებასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მასაც სსრკ-ის ბედი ელის... ამ დროის დადგომის წარმოდგენა ბევრისათვის იქნებ მეტისმეტად რთულიც იყოს – რუსეთის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგრამ დასავლეთის სტრატეგია მაინც ამ დროის მოახლოებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და თან საკუთარი პრინციპების ერთგული რჩებოდეს. მკაფიოდ უნდა განვაცხადოთ, რომ თანამეგობრობაში ღირსეული ადგილი მოგვეძებნება იმ რუსეთისათვის, რომელიც ჩვენს ღირებულებებს იზიარებს და თამაშის ჩვენს წესებსაც იცავს; როცა ეს დრო მოვა, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ და ეს შანსი ხელიდან არ გავუშვათ.

ამ გამოწვევის წინაშე ვდგავართ ახლა ყველა – საქართველოც, რუსეთიცა და დასავლეთიც. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ყველაზე მართებული ეპილოგი ის იქნებოდა, თუკი აშშ და ევროპა კვლავინდებურად შეუწყობდა ხელს დემოკრატიის აღმშენებლობას საქართველოში და ამ ქვეყნისა და ზოგადად შავი ზღვის რეგიონის დასავლეთთან დაკავშირების ახალ გზებსაც გამონახავდა. იმავდროულად, კვლავაც უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთთან, რათა მან რეგიონში საკუთარ ინტერესებსა და როლს გადახედოს და დემოკრატიული მშვიდობის სიკეთეებიც დაინახოს. ამ მიზნების ერთგულება იმის დადასტურება იქნებოდა, რომ დასავლეთმა კარგი გაკვეთილი მიიღო და სწორი დასკვნებიც გამოიტანა ამ მცირე ომიდან, რომელმაც მსოფლიო შეძრა.

ბიბლიოგრაფიისა და გამოყენებული წყაროების მიმოხილვა

სამწუხაროდ, დასავლელი მკითხველისათვის ძალიან მწირი ლიტერატურა თუ მოიპოვება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის კონტექსტზე. მთელი ამ რეგიონის საუკეთესო ისტორიულ მიმოხილვას გვთავაზობს: Neil Ascherson, *Black Sea* (UK: Jonathan Cape ltd. Publishers, 1995), ასევე საინტერესოა: Charles King, *The Ghost of Freedom: A History of the Caucasus* (New York: Oxford University Press, 2008) და მისი *The Black Sea: A History* (New York: Oxford University Press, 2004). Jack Matlock, *Autopsy of an Empire: The American Ambassador's Account of the Collapse of the Soviet Union* (New York: Random House, 1995), რომელიც სსრკ-ის დაშლისა და მასთან ასოცირებული ყოფილი იმპერიის პერიფერიებთან წარმოქნილი კონფლიქტების, მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორიის კლასიკად რჩება. ომის რეალობასა და 1990 წლის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ ქაოსს დეტალურად განიხილავს: Thomas Goltz, *Georgia Diary* (New York: M.E. Sharpe, Inc., 2006.

დამოუკიდებლობის შემდგომი საქართველოსა და ქართული პოლიტიკის ევოლუცია ასახულია წიგნში: *Statehood and Security: Georgia After the Rose Revolution* (Cambridge, MA: MIT University Press, 2005 edited by Bruno Coppieters and Robert Legvold). ნამდვილად ღირს წაკითხვად: Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation* (Bloomington, Indiana University Press, 1994) , ისევე, როგორც: Edmund Herzig, *The New Caucasus* (London: Royal Institute of International Affairs, 1999). გერმანიის მარშალის ფონდისათვის ავტორის მიერ რედაქტირებული ესეების ორტომეული: *A New Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region* (Washington, DC: German Marshall Fund, 2004) და *Next Steps in Forging a Euro-Atlantic Strategy for the Wider Black Sea* (Washington, DC: German Marshall Fund, 2006) ღრმად ჩაგვახედებს გასული წლების პოლიტიკურ დებატებში საქართველოს ირგვლივ და ტრანსატლანტიკური ფართო შავი ზღვის სტრატეგიასთან დაკავშირებით. ამ წიგნის გამოცემამდე ცოტა ხნით ადრე, სვანტე კორნელმა და ფრედერიკ სტარმა გამოსცეს შესანიშნავად რედაქტირებული წიგნი ომის შესახებ, სახელწოდებით: *The Guns of August: Russia's War in Georgia* (Armonk, New York and London: M.E.Sharpe, 2009). ამ წიგნის ბეჭდვის დროს გამოქვეყნდა საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ანგარიში, რომელსაც ელჩი – ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა. ეს ანგარიში, თანდართული დოკუმენტებით, მომავალი ისტორიკოსების საგანძურია.

წიგნში მოცემული კვლევების დიდი ნაწილი ღია წყაროებს ემყარება. მისი ნაწილები შეერთებული შტატების, ევროპისა და საქართველოს ხელმძღვანელ პირებთან ინტერვიუებს ეყრდნობა. ხშირ შემთხვევაში ეს ინტერვიუები იწერებოდა. თუმცა, ზოგჯერ, ოფიციალური პირები მთხოვდნენ არ დამესახელებინა მათი ვინაობა. ხშირად რამდენიმეჯერ ვიღებდი ინტერვიუებს ერთი და იმავე პირებისგან. მრავალი ინტერვიუს წინ რესპონდენტს ეძლეოდა შესაძლებლობა, გაეცოცხლებინა მოგონებები ელ-ფოსტის, შეტყობინებების, ჩანაწერების გადახედვით. ამან საშუალება მომცა აღმედგინა რიგი მთავარი საუბრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლები, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. ისტორიული სიზუსტის დაცვის მიზნით, სადაც შევძელი, ორმხრივად გადავამოწმე დეტალები.

შეერთებულ შტატებში ინტერვიუები აღებულ იქნა ისეთი პირებისგან, როგორებიცაა: ჯუდი ეინსლი, მეთ ბრაიზა, დენიელ ფატა, დენიელ ფრიდი, სტივენ ჰედლი, ჯიმ ჯეფრისი, კონდოლიზა რაისი, მარკ სიმაკოვსკი, დეიმონ უილსონი და ჯოზეფ ვუდი. ევროპაში: კარლ ბილდტი, სორინ დუქარუ, მარტინ ერდმანი, ტერი ჰაკალა, ქრისტოფ ჰოისგენი, ბერნარ კუშნერი, ჟან-დავიდ ლევიტი, ჰანს დიტერ ლუკასი, როლფ ნიკელი, ჰენ შუვერი, პიტერ სემნები, ალექს სტუბი და ჰეიდი ტალიავინი. საქართველოში: დავით ბაქრაძე, გელა ბეჟუაშვილი, ბათუ ქუთელია, ირაკლი ოქრუაშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ეკატერინე ტყეშელაშვილი, შოთა უტიაშვილი, გრიგოლ ვაშაძე და თემურ იაკობაშვილი.

წიგნის სიზუსტის შესამოწმებლად ამ წიგნის სხვადასხვა ნაწილს უამრავმა ამერიკელმა და ევროპელმა ოფიციალურმა პირმა გადახედა. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო: მეთ ბრაიზა, დენ ფრიდი, ჯონ ტეფტი და დეიმონ უილსონი, ასევე კარლ ბილდტი, რადეკ სიკორსკი და ჟან დავიდ ლევიტი. ასევე მადლიერი ვარ მარიუშ ჰანდლზიკისა და პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკისა, რომელთაც შეძლეს გადაეხედათ იმ ნაწილისათვის, სადაც ნატო-ს ბუქარესტის სამიტში პოლონეთის პრეზიდენტის მონაწილეობის შესახებაა აღწერილი.

ამ წიგნში მრავალი სხვა წყაროც იქნა გამოყენებული. საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებლად გამოიძია ომის გამომწვევი მიზეზები. მეტად ფასეული წყაროა საქართველოს ხელმძღვანელი პირების მიერ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისათვის მიცემული ჩვენებები. ჩანაწერები ხელმისაწვდომია ონლაინში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იგივე ითქმის საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ოფიციალურ ანგარიშზე. სახელწოდებით: საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შესახებ. ინფორმაციის დიდი ნაწილი, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიაწოდა საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენ დამოუკიდებელ საერთაშორისო კომისიას (IIFFMCG), ასევე ხელმისაწვდომი იყო ავტორისათვის.

ეს წყაროები ასევე უთითებენ ომის წარმოშობასთან დაკავშირებით ქართული და რუსული მიდგომების ასიმეტრიაზე და მისი ფესვების გაგების აკადემიურ თუ სხვა მცდელობებზე. საქართველოს მთავრობამ საქართველოშივე და საერთაშორისო საზოგადოების პირისპირ გამჭვირვალობის ისეთი დონე გამოავლინა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია რუსეთში. ავტორმა თავად განიცადა ხსენებული ასიმეტრია. სამწუხაროდ, შეუძლებელი გახდა ინტერვიუს აღება რუსი ოფიციალურ პირებისგან. რუსი მაღალჩინოსნებისგან ინტერვიუს აღების ყველა მცდელობამ, ამერიკული, ევროპული ან ქართული ვერსიების ჩანაწერების კომენტირებასთან დაკავშირებით უშედეგოდ ჩაიარა. რამდენიმე დამოუკიდებელი რუსი ანალიტიკოსი ნამდვილად დამთანხმდა წაეკითხა და კომენტარი დაერთო კონკრეტული თავების შავ ვერსიაზე.

რუსეთ-საქართველოს ომის საკითხთან დაკავშირებით ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა მოსკოვის პოლიტიკას ეხება. შესაბამისად, წიგნი მოიგებდა კრემლის შეხედულებათა უკეთ გაგების შემთხვევაში. რუსეთი საჭიროებს საკუთარ, ღია, პატიოსან და სამართლიან დებატებს ომის წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით. რადგან მე ვერ ვისარგებლე რუსულ წყაროებით, ეგება წიგნმა წააქეზოს რუსები მეტი გამჭვირვალობის მოთხოვნისაკენ და გაარკვიონ რა და რატომ მოხდა 2008 წლის 7 აგვისტოსათვის. ეს ამბავი, ჯერ კიდევ მოითხოვს თხრობას.

შენიშვნები

1 ქართული დაზვერვის მონაცემების თაობაზე იხ. "Georgia offers fresh evidence on war's start" Dan Bileffsky, C.J. Chivers, T. Shanker, and Michael Shwirtz, *New York Times*, September 16, 2008. სატელეფონო ზარების ჩანაწერები იხ. http://graphics8.nytimes.com/packages/pdf/world/2008/09/20080916_Georgia_Transcript.pdf.

2 რუსულ ჯარში ქვეითთა პოლკი სამი ბატალიონისა და ასევე არტილერიის, დაზვერვისა და მომარაგების ქვედანაყოფებისგან შედგება; ზოგჯერ კი სატანკო ბატალიონინთაც არის ხოლმე გაძლიერებული. ყოველი ქვეითი ბატალიონი, საშუალოდ, 550 ჯარისკაცისგან შედგება.

3 ეს ზარები 03:43 და 03:47 სთ-ზე იქნა განხორციელებული. ავტორს ამ საუბრების ამონაბეჭდებიც საკუთარი თვალით აქვს ნანახი. მათგან პირველი რუს სამშვიდობოთა მეთაურს, გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვსა და მის ქართველ ხელქვეითს—ბრიგადის გენერალ მამუკა ყურაშვილს შორის შედგა; მეორე კი კულახმეტოვსა და უკვე ყურაშვილის მოადგილე, მამუკა თომაშვილს შორის.

4 ეს მასალა შეიცავდა ინფორმაციას ქართული სამხედრო პოტენციალის თაობაზე: ცოცხალ ძალაზე, თავდაცვის ბიუჯეტის მოცულობაზე, ხუთი ქართული ბრიგადის განთავსების ადგილებზე, მათ აღჭურვილობაზე და ა.შ. ასევე, შეფასებული იყო ქართული ჯარის სავარაუდო ძლიერი და სუსტი მხარეები: „ძლიერ" მხარედ ითვლებოდა, რომ ბევრი ჯარისკაცი ნატოს ინსტრუქტორების მიერ იყო გაწვრთნილი, ჰქონდა თანამედროვე ამერიკული, ფრანგული და თურქული იარაღი, და ისიც, რომ მეორე და მესამე ბრიგადები ერაყსა და კოსოვოში მსახურობდნენ ნატოს ეგიდით. რაც შეეხება „სისუსტეებს", მათგან ჩამოთვლილი იყო დისციპლინის დაბალი დონე, ჯარისკაცთა ნაწილის გაუწრთვნელობა ამერიკელ ინსტრუქტორთა მხრიდან, პროფესიული მზადყოფნის გარკვეული ხარვეზები, ზოგადად სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური განწყობა, სმა და სხვა არასაუწყებო ურთიერთობები. დოკუმენტში ასევე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ბევრს სამსახურის გავლა ერაყში ერჩივნა, რადგან იქ დამატებით გასამრჯელოს იღებდნენ და არა საქართველოში, სადაც „სააკაშვილისტთა აგრესიული გეგმების განხორციელება უწევდათ."

5 მონაცემების თანახმად, როკის გვირაბის ჩრდილო მხარეს რუსეთის არმიის შემდეგი შენაერთები იყო განლაგებული: 58-ე არმიის მეცხრამეტე დივიზიის 135-ე და 693-ე პოლკები; 76-ე სადესანტო დივიზიის 104-ე და 234-ე სადესანტო-სამტურმო პოლკები; 96-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის 217-ე სადესანტო პოლკი და ასევე 31-ე საგანგებო დანიშნულების საჰაერო-სადესანტო პოლკი.

6 ციტირებულია: Andrei Illiaronov, "The Russian Leadership's Preparation for War 1999–2008," in Svante Cornell and Frederick Starr, eds., *The Guns of August 2008* (New York and London; M.E. Sharpe, 2009) pp. 49-84. ილარიონოვი არის კრემლის ყოფილი მთავარი ეკონომიკური მრჩეველი, რომელიც ოპოზიციურ ფიგურად ჩამოყალიბდა. მან რეგიონში საკუთარი კვლევა განახორციელა და არაერთხელ დაწერა რუსულ-ქართულ ომზე.

7 იმის თაობაზე, რომ 135-ე და 693-ე პოლკების ქვედანაყოფები უკვე შემოსული იყო სამხრეთ ოსეთში 7 აგვისტომდე, იხ. იულია ლატინინა: „200 კმ ტანკოვ. ო როსიისკო-გრუზინსკოი ვოინე." ნაწილი მეორე, 20 ნოემბერი, 2008, იხ. http://ej.ru/?a=note&id=8587. იხ. ანდრეი ილარიონოვის მიერ ჰადსონის ინსტიტუტში, ვაშინგტონი, 2008 წლის 12 ოქტომბერს წარმოდგენილი ნაშრომი "Another Look at the August War" და ასევე მისი ინტერვიუ რადიოში *ეხო მასკვი*, 24 ოქტომბერი, 2008. იხ. http://www.echo.msk.ru/programs/razvorot/548457-echo/.

8 ამ ე.წ. „მოხალისეთა" მობილიზაცია რუსეთის ჩრდ. კავკასიის სამხედრო ოლქის კომისარიატების მეშვეობით ცენტრალიზებულად ხდებოდა, მოხალისეთა უმეტესობა მიწერილი იყო 58-ე არმიის 19 -ე ქვეით დივიზიაზე ან ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონზე, ხოლო ზოგი უშუალოდ ოსეთის თავდაცვის სამინისტროსთან დებდა კონტრაქტს, ეს უკანასკნელი კი აგრეთვე არაკანონიერი დაწესებულება გახლდათ.

9 ორიგინალურ სტატიაში უშუალოდ რუსეთის არმიის კაპიტნის, დენის სიდრისტის მონათხრობია მოტანილი, სადაც ის ამბობს, რომ მისი ქვედანაყოფი სამხრეთ ოსეთის ნაკრძალ „ნიჟნი ზარამახთან" იყო განლაგებული და უკვე 7 აგვისტოს ებრძანა ცხინვალისაკენ დაძრულიყო. კაპიტანი სიდრისტი სწორედ ქალაქ ცხინვალში დაიჭრა. სავარაუდოდ იგი იმ კოლონაში იყო, რომელსაც ქალაქში შემოსული ქართული ძალები შეეჯახნენ 8 აგვისტოს. 58-ე არმიის შემადგენლობაში მყოფი 135-ე პოლკი საერთოდ არ შედიოდა იმათ რიცხვში, ვისაც გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და ოფიციალურად შეეძლო სამხრეთ ოსეთში ყოფნა. ამასთან დაკავშირებით იხ. ირინა ჟირნოვას სტატია „ჟიზნ პროდოლჟაეტსია", *კრასნაია ზვეზდა*, 3 სექტემბერი, 2008.

10 ინტერვიუ საქართველოს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის უფროს გელა ბეჟუაშვილთან. იგივე საჯარისო ნაწილები მან რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაშიც ახსენა. იხ.http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1329&info_id=20940.

11 მოსკოვის ტელევიზიის პროგრამა *რეალნაია პოლიტიკას* წამყვანმა და კრემლის დამცველმა გლებ პავლოვსკიმ, 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტი „სისხლმოწყურებულად" მოიხსენია და მისი თავიდან მოცილება ყველა პრობლემიდან საუკეთესო გამოსავლად მიიჩნია: „ერთი ტყვია ერთ ომზე ბევრად იაფი ჯდებაო" — განაცხადა მან ენ-ტე-ვეს არხზე, ღია ეთერში 2006 წლის 18 თებერვალს.

12 ამ ზარების ჩანაწერის გაცნობის საშუალება ავტორს პირადად მიეცა.

13 რუსული პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში სამხრეთ ოსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი – თავად რუსი – ანატოლი ბარენკევიჩი აღწერს, როგორ იხილა საკუთარი თვალით ბრძოლის დროს, ცხინვალიდან გაქცეული კოკოითის ოფისში სპეციალური ტელეფონი და კრემლთან დაკავშირებული პირდაპირი ხაზი. იხ. მისი ინტერვიუ სათაურით „ნე მესტო ეტომუ პრეზიდენტუ ვ იუჟნოი ოსეტიი!" *კომერსანტი*, 4 დეკემბერი, 2008. იხ. http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1089120.

14 იხ. მაგალითისთვის სამხრეთ ოსეთის პრესისა და მასმედიის სამინისტროს პრეს-რელიზი და აგრეთვე საინფორმაციო სააგენტო RES - 7 აგვისტო, 2008. იხ. http://cominf.org/node/1166477896.

15 როიტერის სააგენტოსათვის მომუშავე ფოტოგრაფი, ჩეჩენი საიდ ცარნაევი, ცხინვალში 7 აგვისტოს ჩავიდა მიცემულ პროექტზე სამუშაოდ, რის ფარგლებშიც გარემო უნდა გადაეღო. მისდა გასაოცრად, იმავე სასტუმროში 49 რუსი ჟურნალისტი დახვდა. როგორც აღმოჩნდა, ის ერთადერთი იყო, ვინც უცხოურ სააგენტოს წარმოადგენდა. რუსი ჟურნალისტები მის ჩასვლამდე სამი დღით ადრე ჩავიდნენ ადგილზე, როგორც ჩანდა, რუსებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ აქ რაღაც უნდა მომხდარიყო. ციტირებულია: Brian Whitmore,

"Scene at Russia-Georgia Border Hinted at Scripted Affair," Radio Free Europe/Radio Liberty, August 23, 2008.

16 თავდაპირველი ეჭვი, რომ შესაძლოა რუსებმა წინა საღამოს განათავსეს ბატალიონი, სარწმუნო გახდა, როდესაც აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა რუსეთის ტელევიზიით იმ შუადღეს დაადასტურა, რომ ბატალიონი რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქიდან შევიდა სამხრეთ ოსეთში. მისი ნათქვამი გაახმოვანა რუსეთის სახელმწიფო არხმა „როსიამ" 7 აგვისტოს დღის 4 საათზე. BBC-ის მონიტორინგის თანახმად, ბაღაფშმა განაცხადა, " მე ვესაუბრე სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს. სიტუაცია ამ დროისათვის მეტ-ნაკლებად სტაბილურია. ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ბატალიონი შევიდა სამხრეთ ოსეთში." იხ."Abkhaz Leader Says Russian Troops Deployed in South Ossetia," BBC Mon Alert FS1 FsuPol gv, August 9, 2008.

17 იხ. პოდპოლკოვნიკ რობერტ ჰემილტონის ჯერაც გამოუქვეყნებელი ხელნაწერი „"The Bear Came Through the Tunnel: An Analysis of Georgian Planning and Operations in the Russo-Georgian War". პოდპოლკოვნიკი ჰემილტონი აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის უფროსი იყო 2006 წლის ივლისიდან 2008 წლამდე. ამჟამად ის აშშ-ის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის თანამშრომელია ვაშინგტონში.

18 ცხინვალის მოსახლეობის ფიქსირებული რაოდენობა 30 000 გახლდათ, თუმცა საბჭოთა პერიოდის მონაცემებით. 2008 წელს, სავარაუდოდ, იქ 15 000-ზე მეტი კაცი არ იქნებოდა, ხოლო სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მოხელის მონაცემებით, უშუალოდ ომის დაწყების წინ ცხინვალში სულ 3-4 ათასი მოსახლე თუ იყო დარჩენილი.

19 ამას მინისტრი თემურ იაკობაშვილი ჰყვება თავის ინტერვიუში. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის მეთაური, ბრიგადის გენერალი ზაზა გოგავა ასევე აღწერს პრეზიდენტ სააკაშვილისგან მიღებულ ზარს — რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიაზე მიცემულ ჩვენებაში. ამ ზარის ჩანაწერისათვის იხ. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1315&info_id=21045.

20 ქართული დაზვერვის ამ მონაცემებს ავტორი ასევე პირადად გაეცნო. ეს იყო ელექტრონული შეტყობინება, რომელიც 01:44 სთ-ზე მოვიდა სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოში და უმალვე გააცნეს პრეზიდენტს. გარდა აღნიშვნისა, რომ ცხინვალში რუსული ქვედანაყოფები იყვნენ, მასში ასევე აღნიშნული იყო, რომ ნოვგოროდის მეოცე მოტორიზებული დივიზია უკვე აგვისტოს პირველ რიცხვში იყო საგანგებო მზადყოფნაში მოყვანილი და სავარაუდოდ 11 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში უნდა განლაგებულიყო. სწორედ მსგავსმა ცნობებმა აფიქრებინა ქართველებს, რომ რუსეთი ბევრად უფრო ფართომასშტაბიანი კამპანიისათვის ემზადებოდა. იულია ლატინინას არგუმენტის თანახმად, რუსული შეტევა უნდა განხორციელებულიყო რამოდენიმე დღის შემდგომ. იხ. ლატინინა "200 კმ ტანკოვ."

21 აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა, რუსეთის ქმედებები დიპლომატიურად დაახასიათა, როგორც „წინდაწინ გამიზნული". ეს მოხდა აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე სიტყვით გამოსლისას ვაშინგტონში, მეიფლაუერის სასტუმროში. შეხვედრა ორგანიზებული იყო აშშ-ის გერმანიის მარშალის ფონდის მიერ, 2008 წლის 18 სექტემბერს. რაისის სიტყვა იხ. http://2001–2009.state.gov/secretary/rm/2008/09/109954.htm. აშშ წარმომადგენელთა პალატის წინაშე ჩვენების მიცემისას სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ დენ ფრიდმა განაცხადა, "ამ კონფლიქტის მიზეზები კომპლექსურია. ყველა მხარემ დაუშვა შეცდომები" იხ. ფრიდის გამოსვლა წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეების კომიტეტის წინაშე, 9 სექტემბერი, 2008. იხ. http://foreignaffairs.house.gov/110/fri090908.pdf.

22 რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ აგვისტოს ომის ინტერპრეტაცია კარგად ჩანს პამფლეტში *ოპერაცია „წმინდა ველი": ოსთა გენოციდი,* რომელიც ევროკავშირში რუსულმა

წარმომადგენლობამ გადასცა ავტორს, მაგრამ ის ოფიციალურად დაიბეჭდა გენოციდის მსხვერპლთა მხარდაჭერის კავკასიის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ.

23 გუფთას ხიდის განადგურების პირველი მცდელობა 8 აგვისტოს განხორციელდა საქართველოს მწირი სამხედრო ავიაციის ძალებით; მეორედ 203 მმ დიამეტრის თვითმავალი დანადგარით - „პიონი", აი, მესამედ კი — უკვე რუსის ჯარის გადმოსვლის დროს — „კლასტერული ჭურვებით", რომელთაც ისრაელის წარმოების „გრადლარის" დანადგარებიდან ისროდნენ.

24 პირველი განცხადება ქართველების მიერ ცხინვალის ორი ათასი მშვიდობიანი მცხოვრების გაჟლეტის თაობაზე თავად ედუარდ კოკოითმა გააკეთა 9 აგვისტოს და მსოფლიო საზოგადოებას ოსთა გენოციდის აღიარებისაკენ მოუწოდა: „ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის 2,000 ადამიანის სიკვდილი კატასტროფაა!" მოთხოვნა ასევე მოცემულია 2008 წლის 10 აგვისტოს განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნებულია სამხრეთ ოსეთის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოს – "RES" ვებ-გვერდზე, იხ. http://cominf.org/en/node/1166477989. იმავე დღეს, უკვე რუსეთის ელჩმა საქართველოში, ვიაჩესლავ კოვალენკომაც განაცხადა, რომ *ცხინვალში მცხოვრები სულ ცოტა, ორი ათასი ადამიანია მოკლულიო. მაგალითისთვის იხ. http://www.russiatoday.com/Top_News/2008–08–09/The_Georgian_war__minute_by_minute_August_9.html.*

25 „ჰუმან რაითს ვოჩის" წარმომადგენლებს ოსები ეუბნებოდნენ, რომ ქართული სოფლების ძარცვა და გადაწვა მათთვის შურისძიების საშუალება იყო ათასობით თანამემამულის დახოცვის გამო, რის შესახებაც რუსული მედია იტყობინებოდა.

26 რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამომძიებო კომიტეტის მონაცემებისათვის იხ. „სამხრეთ ოსეთში დაღუპული 162 ადამიანის ვინაობა დადგინდა" *რია ნოვოსტი,* 23 დეკემბერი, 2008, იხ. http://www.rian.ru/society/20081223/157895855.html. „მემორიალის" მონაცემებისთვის იხ."Special Press-release by Memorial Human Rights Centre," 2008 წლის 11 სექტემბრიდან,იხ. http://www.memo.ru/2008/09/19/1909082.htm. სამხრეთ ოსეთის მონაცემები მოცემულია: სამხრეთ ოსეთში სამხედრო დანაშაულების გამოძიების სახელმწიფო კომისია, „სამხრეთ ოსეთში დახოცილ მცხოვრებთა სია", იხ. http://www.osetinfo.ru/spisok.

27 http://www.sweden.gov.se/sb/d/587/a/109203.

28 ეს ეუთოს მისიის ბრიფინგზე დადასტურდა — 8 აგვისტოს შუადღისას, როდესაც მისიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა დაბეჯითებით მოსთხოვა იმ დროს სიტყვით გამომსვლელ რაიან გრისტს რუსეთის სამშვიდობოების შტაბის რომელიმე ოფიციალურ წარმომადგენელს დაკავშირებოდა და დაეზუსტებინა, იყო თუ არა მსხვერპლი მათ რიგებში, რამდენადაც, ქართული მხარის განცხადებით, რუსი სამშვიდობოების პოზიციებისათვის მათ ცეცხლი არ გაუხსნიათ. რუსთა წარმომადგენელმა დაადასტურა — ქართველთა პირველი დაბომბვების დროს არც ერთი რუსი სამშვიდობო ჯარისკაცი არ დაღუპულაო.

29 ავტორისა და ბრიგადის გენერალ ყურაშვილის პირადი მიმოწერა.

30 ზარი 8 აგვისტოს, ნაშუაღამევს, 00:23 სთ-ზე გაისმა. ავტორს ამ საუბრის ჩანაწერი მიაწოდეს.

31 იხ. ალექსანდრ ვიქტოროვის ბლოგი ვებ-გვერდზე - http://kqrr.livejournal.com/23331.html.

32 იხ. ლეიტენანტ ოლეგ გოლოვანოვის ნეკროლოგი, სადაც სიტყვასიტყვით წერია: „7 აგვისტოს, ლეიტენანტი გოლოვანოვი თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა — ახორციელებდა საარტილერიო ცეცხლის დამიზნებასა და კორექტირებას. მისი სათვალთვალო პოსტი რუსული სამშვიდობო ბატალიონის შტაბ-ბინის სახურავზე იყო განლაგებული — ქალაქ ცხინვალის სამხრეთ გარეუბანში. 7-8 აგვისტოს ღამეს ეს ყველაზე სახიფათო წერტილი აღმოჩნდა, ვინაიდან ქართულ არტილერიას სწორედ სამშვიდობოები ჰყავდა მიზანში ამოღებული". იხ. http://www.osradio.ru/news/genocide/eid/14326.html.

33 გაზეთ *კომერსანტისათვის* მიცემულ ინტერვიუში „ნე მესტო ეტომუ პრეზიდენტუ ვ იუჟნოი

ოსეტიი" *კომერსანტი* 4 დეკემბერი, 2008. ანატოლი ბარენკევიჩი იხსენებს, როგორ შეაფარა თავი სამშვიდობოების შტაბს და მერე იქიდან უშენდა ცეცხლს ქართული ჯარის ნაწილებს. მისი თქმით, მან და მისმა თანამებრძოლებმა, სულ ცოტა, სამი ტანკი მაინც გამოიყვანეს მწყობრიდან, თუმცა ქართველები საპასუხო ცეცხლის გახსნისგან მაინც თავს იკავებდნენ. იხ. http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1089120

34 იხ. C.J. Chivers and E. Barry, "Accounts Undercut Claims by Georgia on Russian War", *New York Times*, November 7, 2008.

35 საქართველოს აქვს სეისმური მონიტორინგის ცენტრები. ერთ-ერთი მათგანი ეთნიკურად ქართული ანკლავის ჩრდილოეთ საზღვარზე, სოფელ კეხვში მდებარეობდა, ცხინვალიდან 7 კილომეტრის მოშორებით. თანამგზავრთან ცენტრის კავშირი 7 აგვისტოს, ზუსტად 24:00 საათზე გაწყდა რუსეთის მიზეზით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსკოვის შეტევა წინასწარ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული იყო. თუმცა, მონაცემები მაინც შეგროვდა და შემდგომში გაანალიზებულ იქნა. სეისმურმა ჩანაწერებმა დაადასტურა, რომ კეხვის სეისმური მონიტორინგის სადგურის მიმდებარე ქართული სოფლების ინტენსიური დაბომბვა 7 აგვისტოს განხორციელდა და გრძელდებოდა ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შემდგომ საათებშიც. დაბომბვა უფრო ინტენსიური გახდა მოგვიანებით, საღამოს, განსაკუთრებით კი 23:35 დროისათვის, როდესაც ქართველების თავდასხმა დაიწყო. მონაცემთა შემდგომი ანალიზით შეიძლება დაზუსტდეს, რა სახის არტილერია იქნა გამოყენებული ქართული სოფლების დაბომბვისას. ავტორი ფლობს 2009 წლის 25 აპრილით დათარიღებულ საქართველოს სეისმური მონიტორინგის ცენტრის დირექტორის დოქტორ ზურაბ ჯავახიშვილის წერილს, სადაც დასტურდება ზემოხსენებული.

36 იხ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის მოხსენება რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წინაშე. იხ. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1315&info_id=21693.

37 2008 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში „ჰუმან რაითს ვოჩმა" გამოაქვეყნა მოხსენება, რომელმაც დაადასტურა კლასტერული ჭურვების გამოყენება, როგორც რუსული ისე ქართული მხარის მიერ. მართალია მოსკოვი ოფიციალურად უარყოფდა მსგავსი იარაღის გამოყენებას, „ჰუმან რაითს ვოჩმა" ძალიან ბევრი სამხილი აღმოაჩინა, რაც რუსების შეიარაღებული ძალების მიერ მათ გამოყენებას ადასტურებდა. ასევე დადასტურდა მათი განურჩეველი გამოყენება დასახლებულ ადგილებში, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული უფლებების დარღვევაა. ნაპოვნია ასევე სამხილიც, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველომაც გამოიყენა კლასტერული ჭურვები ისეთ დასახლებულ ადგილებში, როგორიცაა ცხინვალის მიმდებარე ვერხნი გოროდოკი. თუმცა „ჰუმან რაითს ვოჩის" დასკვნის მიხედვით, ზუსტად არ იყო დადგენილი რამდენად განზრახ იყო გამოყენებული კლასტერული ჭურვები ქართველების მიერ, ხომ არ იყო იგი მწყობრიდან გამოსული, რადგან აღმოჩენილ იქნა აუფეთქებელი კლასტერული ჭურვების დიდი რაოდენობა. ქართული მხარე სრულ მზადყოფნას გამოთქვამდა გამოძიების ჩასატარებლად, მოსკოვმა კი ამგვარ გამოძიებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. იხ. "Georgia: More Cluster Bomb Damage Than Reported", Human Rights Watch, November 4, 2008.

38 თანამგზავრიდან მიღებული გამოსახულებები შეგიძლიათ იხილოთ UNOSAT-ის ვებ-გვერდზე: http://unosat.web.cern.ch/unosat/asp/prod_free.asp?id=111&All=on.

39 ომის შედეგად დაახლოებით 130 000 ქართველმა დატოვა სახლ-კარი. უმეტესობა სამხრეთ ოსეთის სიახლოვეს მდებარე რეგიონებიდან იყო და ომის შემდგომ უკან დაბრუნება მოახერხა. დაახლოებით 25 000 ქართველი კი სამხრეთ ოსეთიდან იყო და უკან ვერ დაბრუნდა. ეთნიკური წმენდა, მოროდიორობა და ქართული სოფლების გადაწვა „ჰუმან რა-

ითს ვოჩის" ორგანიზაციას დოკუმენტურად აქვს დადასტურებული. მაგალითად, 2008 წლის 12 აგვისტოს „ჰუმან რაითს ვოჩის"-ის მკვლევრები მოწმენი გახდნენ მასიური მარადიორობისა ოსური მილიციის მხრიდან და გადაიღეს ჯერ კიდევ ცეცხლმოკიდებული სახლები თამარაშენის რეგიონსა და მიმდებარე ქართულ სოფლებში. მათ ინტერვიუები აიღეს ადგილობრივი სოფლის მაცხოვრებლებისგან, რომლებიც ადასტურებდნენ მოროდიორობის ფაქტებს, და ასევე ოსი მილიციელებისაგან, რომლებიც საჯაროდ აღიარებდნენ, რომ სახლებისა და სოფლების გადაწვა გამიზნულად ხდებოდა, რათა ქართველები იქ აღარასოდეს დაბრუნებულიყვნენ. რეიჩელ დენბერის –„ჰუმან რაითს ვოჩის" ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორის მოადგილის თქმით ეს ყოველივე სამხედრო დანაშაულებებზე და ადამიანთა უფლებების მძიმე დარღვევებზე მეტყველებს. ამან უნდა დაარწმუნოს რუსეთის მთავრობა იმის აუცილებლობაში, რომ საჭიროა დანაშაულზე პასუხისმგებელი პირების გასამართლება". ყველასათვის ხელმისაწვდომ UNOSAT-ის სატელიტურ ფოტოებში აღბეჭდილია როგორ იყო ცეცხლი გაჩაღებული აქტიური შეტაკებების შემდეგ ეთნიკურ ქართულ სოფლებში 10, 12, 13, 17, 19 და 22 აგვისტოს. იხ. "Georgia: Satellite Images Show Destruction, Ethnic Attacks". იხ. http://www.hrw.org/en/news/2008/08/27/georgia-satellite-images-show-destruction-ethnic-attacks.

40 იხ. Richard C. Holbrooke, "David and Goliath: Putin Tries to Depose a Neighbor", *Washington Post,* November 27, 2007.

41 იხ. მაგალითად: Alex Rondos, "What Side Are We On?" *International Herald Tribune,* May 8, 2008.

42 იხ. Ronald D. Asmus, "A War the West Must Stop", *Washington Post,* July 15, 2008.

43 მიხეილ სააკაშვილის პიროვნული პორტრეტისათვის იხ. Melik Kaylan, "Georgia in the Time of Misha", *Travel and Leisure,* September, 2007; ასევე Gideon Rachman, "Lunch With the FT: Mikheil Saakashvili", *Financial Times,* April 26, 2008. იხ. http://blogs.ft.com/rachmanblog/2008/04/lunchwith-the-ft-mikheil-saakashvili. სააკაშვილი ასევე მოგვითხრობს საკუთარ ცხოვრებასა და შეხედულებებზე თავის ძალიან ვრცელ ინტერვიუში: Saakashvili with Raphael Glucksmann, *Je vous parle de liberte* (Paris: Hachette Literatures, 2008).

44 დამატებითი ინფორმაციისათვის ენერგიისა და საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნების დამოუკიდებლობის უნარის ურთიერთკავშირის საკითხზე, ისევე როგორც ომის მიზეზებზე იხ. Svante Cornell, "Pipeline Power: the War in Georgia and the Future of the Caucasian Energy Corridor", *Georgetown Journal of International Affairs* 10, no.1 (winter, 2009): 131-139 .

45 ორი შესანიშნავი წყარო საბჭოთა კავშირის დაშლაში საქართველოს როლსა და აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების პოლიტიკურ და ეთნიკურ წარმომავლობაზე იხ. Jack Matlock Jr., *Autopsy of an Empire: the American Ambassador's Account of the Collapse of the Soviet Union* (New York, Random House, 1995) and Charles King, *The Ghosts of Freedom: A History of the Caucasus* (Oxford: Oxford University Press, 2008).

46 აშერსონი იხსენებს: „მართალია ეროვნული მუზეუმი არ გადაუწვავთ, მაგრამ გაძარცვეს და გაანადგურეს.... ჯარისკაცები ამ საქმეს ყველა ოკუპირებულ ქალაქებში სჩადიან. მაგრამ სახელმწიფო არქივებს სხვა ბედი ეწია. შენობის ჩონჩხი ზღვასთან მდებარეობს. მისი სახურავი ჩანგრეულია, შიდა ნაწილი კი ფერფლად ქცეული ნარჩენების გროვაა. 1992 წლის ზამთრის ერთ დღეს, უნომრო ლადას მარკის ავტომობილი გაჩერდა, მასში საქართველოს ეროვნული გვარდიის ოთხი წარმომადგენელი იჯდა. გვარდიელებმა კარები გასროლით შეაღეს და ყუმბარები ჰოლში და კიბის ქვედა ნაწილში ისროლეს. ქუჩის ერთ-ერთი მაწანწალა ბიჭი, რომელსაც გარს შემოერტყნენ, აიძულეს ცეცხლი გაევრცელებინა, მაშინ როცა სოხუმის მოქალაქეთა ჯგუფი, ამაოდ ცდილობდა კორდონის გარღვევას და შენობაში შესვლას წიგნებისა და ქაღალდების გადასარჩენად. იმ არქივებში მთავრობისა და ადმინისტრაციის ბოლო ჩანაწერებთან ერთად მოიპოვებოდა ყველაზე იშვიათი და ფასეული წერილობითი წყაროები აფხაზეთის წარსულზე .... როგორც მოგვიანებით ათენში შექმ-

ნილ ანგარიშში აღინიშნა, „რეგიონის ისტორია ფერფლად იქცა". ეს გახლავთ ამონარიდი (ახალი და რედაქტირებული გამოცემა) აშერსონის წიგნიდან *Black Sea: Birthplace of Civilization and Barbarism* (London: Vintage Books, 2007) pp. 253-354 რომლის ერთი თავიც აფხაზეთს ეძღვნება.

47 ამ პერიოდის საქართველოს ეკონომიკის საინტერესო მიმოხილვა იხ. ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ლადო გურგენიძის სტატიაში: "Georgia's Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economics," American Enterprise Institute, No.2, June, 2009.

48 მუხლი სრულად ასე იკითხება: „ყოველ წევრ ქვეყანას აქვს თანასწორი უსაფრთხოების უფლება. ვადასტურებთ ყოველი მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, თავისუფლად აირჩიოს ან შეცვალოს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები — მათ შორის, ალიანსებში წევრობა. ყოველ სახელმწიფოს ასევე აქვს ნეიტრალიტეტის შენარჩუნების უფლება. ამ თვალსაზრისით, ყოველმა წევრმა სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს დანარჩენთა უფლებებს. მათ არ უნდა გააძლიერონ საკუთარი უსაფრთხოება სხვათა უსაფრთხოების ხარჯზე. ეუთოს ფარგლებში არც ერთ სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ჯგუფს თუ ორგანიზაციას არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე უპირატესი პასუხისმგებლობა ეუთოს ფარგლებში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე, ან ეუთოში შემავალი ნებისმიერი ქვეყანა საკუთარი გავლენის სფეროდ განიხილოს". იხ.1999 წლის ნოემბერში, ეუთოს სტამბოლის სამიტზე მიღებული *ევროპის უსაფრთხოების ქარტია*. იხ. http://www.osce.org/documents/mcs/1999/11/4050_en.pdf.

49 ლორდ რობერტსონის განცხადება რომის გარეთ მდებარე პრატიკა დე მარეს საჰაერო ბაზაზე იხ.http://www.nato.int/docu/speech/2002/s020528r.htn. პრეს-კონფერენციაზე პუტინის მიერ გაკეთებული შენიშვნები იხ. http://www.nato-russia-council.info/HTM/EN/documents28may02_5.shtml. ხოლო ბუშისა კი - http://www. nato-russia-council.info/ HTM/EN/documents28may02_6.shtml

50 იხ. ვლადიმერ პუტინის წლიური ანგარიში რუსეთის დუმაში: "Annual Address to the Federal Assembly of the Russian Federation," April 25, 2005. იხ. http://www.kremlin.ru/eng/speeches/2005/04/25/2031_type70029type82912_87086.shtml.

51 იხ. Ivan Krastev, "Russia's Post-orange Empire", October 20, 2005, იხ. http://www.opendemocracy.net/node/2947. ასევე იხ. Ivan Krastev and Fyodor Lukyanov, "The EU, Russia, and the Wider Black Sea Region," October 16, 2007,Black Sea Paper Series, No.4, http://www.gmfus.org/doc/Black%20Sea%20Paper%20No.%204%2010–26.pdf; Ivan Krastev "The Crisis of the Post–Cold War European Order: What to Do about Russia's Newfound Taste for Confrontation with the West," March 2008, Brussels Forum Papers. იხ. http://www.gmfus.org/brusselsforum/2008/doc/krastev_web.pdf.

52 ამის თაობაზე იხ. „ჰუმან რაითს ვოჩის" 2007 წლის ოქტომბრის მოხსენება: "Singled Out: Russia's Detention and Expulsion of Georgians," October 2007. იხ. http://www.hrw.org/sites/default/files/reports/russia1007webwcover.pdf.

53 ინტერვიუ აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან.

54 იხ. Brian Rohan, "Saakashvili 'Planned S. Ossetia Invasion': Ex-minister", 14, 2008. იხ. http://www.alertnet.org/thenews/newsdesk/LD123780.htm.

55 ლავროვ-ბეჟუაშვილის საუბარი შავი ზღვის ეკონომიკური საბჭოს (BSEC) სამიტის 2007 წლის ივნისის ღამეს შედგა. იხ. *კომერსანტის* სტატია "შეჯგასუდარსტვენი პერევაროტ" by V. Solovjev and V. Novikov, June 25, 2007. იხ. http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=777492.

56 რუსეთთან ურთიერთობაში დასავლეთის დიპლომატიის რთული და მრავალსახოვანი კურსისათვის კოსოვოს კონფლიქტის მიმდინარეობისას იხ. John Norris, *Collision Course: NATO, Russia and Kosovo* (Praeger Publishers, 2005); იხ. ასევე სტროუბ ტელბოტის პირადი ანგარიში მისი მოსკოვთან ურთიერთობის შესახებ: Strobe Talbott, *The Russia Hand : A Memoir of Presidential Diplomacy (New York:Random House, 2002).*

57 მაგალითისთვის იხ. ოქსანა ანტონენკოს "Russia and the Deadlock Over Kosovo", *Survival* 49, no. 3 (Autumn 2007): 91-106.

58 კოსოვოში ნატოს ინტერვენციის თაობაზე იხ. Ivo H. Daalder and Michael E.O' Hanlon, *Winning Ugly: NATO's War to Save Kosovo* (Washington D.C.:Brookings Institution Press, 2000); და Wesley K. Clark, *Waging Modern War. Bosnia, Kosovo, and the Future of Combat* (New York: Public Affairs, 2002). უფრო ზოგადი მიმოხილვისათვის კოსოვოს შესახებ იხ. Tim Judah, *Kosovo: War and Revenge* (Connecticut: Yale Nota Bene, 2000).

59 კოსოვოსა და აფხაზეთის გაყინულ კონფლიქტს შორის არსებული განსხვავებების შესახებ გამართული დებატებისათვის იხ. Zeyno Baran და Thomas de Waal, *"Abkhazia-Georgia, Kosovo-Serbia: Parallel Worlds?"* published by Open Democracy News Analysis. იხ. http://www.opendemocracy.net/democracycaucasus/abkhazia_serbia_3787.jsp.

60 იხ. ვლადიმერ პუტინის 2006 წლის 31 იანვრის რუსული და უცხოური მედიისათვის გამართული პრეს-კონფერენცია. იხ. http://www. kremlin.ru/eng/speeches/2006/01/31/0953_type82915type82917_100901.shtml.

61 იხ. *Report of the Special Envoy of the Secretary General on Kosovo's Future Status* http://www.unosec.org/docref/report-english.pdf. აჰტისაარის გეგმის ანალიზისისათვის იხ. The International Crisis Group, "Kosovo: No Good Alternatives to the Ahtisaari Plan," Europe Report No. 182, May 14, 2007.

62 იხ. გერმანელი ელჩის ვოლფგანგ იშინგერისა და მათიას ლუთენბერგის სტატია და მოგონებები: *"Eine Bruecke zwischen Serbien und Kosovo?"* . იხ. http://www.securityconference.de/medienberichte/kosovo.php. ელჩი იშინგერი იყო „ტროიკის" გერმანელი წარმომადგენელი, ლუთენბერგი კი მისი თანაშემწე.

63 იხ. ვლადიმერ პუტინის: "Speech at the 43rd Munich Security Conference on Security Policy," February 10, 2007. იხ. http://www.securityconference.de/konferenzen/rede.php?sprache=en&id=179.

64 იხ. "Putin Warns West over Kosovo Dispute", The Associated Press, February 22, 2008. იხ. http://www.thefreelibrary.com/Putin+warns+West+over+Kosovo+dispute-a01611463534.

65 იხ. მარინა პერევოზკინა, *„მოსკვა ოტვეტიტ ნატო აფხაზიეი"*, *ნეზავისიმაია გაზეტა*, 14 აპრილი, 2008. www.ng.ru/printed/209407.

66 პარალელები რუსეთის მოსაზრებებსა და რიტორიკას შორის საქართველოსა და კოსოვოს ომებთან დაკავშირებით მყისიერად აღიბეჭდა სტროუბ ტელბოტის მიერ. იგი იყო კლინტონის ადმინისტრაციის წარმომადგენელი მოსკოვთან ურთიერთობაში კოსოვოს კონფლიქტისას იხ. Strobe Talbott, "Russia's Ominous New Doctrine?" *Washington Post*, August 15, 2008.

67 პრეზიდენტ ბუშის 2001 წლის ივნისის სიტყვა, ვარშავაში, ნატოს გაფართოების თაობაზე. იხ. http://addition.cnn.com/2001/ALLPOLITICS/06/15/bush.warsaw.trans/index.html.

68 სათანადო არგუმენტებისთვის იხ. Ronald D. Asmus with Bruce P. Jackson, "The Black Sea and the Frontiers of Freedom", *Policy Review*, No. 125, 2004 June/July; ასევე, Ronald D. Asmus, Konstantin Dimitrov and Joerg Forbrig, *A New Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region* (Washington, D.C.: The German Marshall Fund of the United States, 2004); და Ronald D. Asmus, ed., *Next Steps in Forging a Euroatlantic Strategy for the Wider Black Sea* (Washington, D.C.: The German Marshall Fund of the United States, 2006).

69 ეს მოსაზრება მერკელმა გერმანიის შეიარაღებული ძალების მეთაურთა წლიურ შეხვედრაზე გაახმოვანა. 10 მარტი, 2008. იხ. http://www.bundeskanzlerin.de/nn_5296/Content/DE/Rede/2008/03/2008–03–10-rede-merkel-kommandeurtagung.html.

70 იხ. "President Bush Meets with President Saakashvili of Georgia", Office of the Press secretary, March 19, 2008. იხ. http://www.whitehouse.gov/news/releases/2008/03/print.20080319–4.html.

71 იხ. ბუშისა და პუტინის ერთობლივი პრეს-კონფერენციის მასალები ლიუბლიანას სამიტზე,

16 ივნისი, 2001. იხ. http://www.ljubljana-summit.gov.si/en/index.html.

72 იხ. "President Bush and President Yushchenko of Ukraine Exchange Luncheon Toasts", Office of the Press secretary, April 1, 2008. იხ. http://www.whitehouse. gov/news/releases/2008/04/20080402–4.html

73 ეს სიტყვები ბუშმა მერიოტ ბუქარესტ გრანდ ჰოტელში დე ჰოოპ სხეფერთან შეხვედრის შემდეგ წარმოთქვა. იხ. "President Bush Meets with NATO Secretary General Jaap de Hoop Scheffer," Office of the Press Secretary, April 2, 2008. იხ. http://www.whitehouse.gov/news/releases/2008/04/20080402–4.html.

74 მადრიდის სამიტის თაობაზე, იხ. 'Head-to-Head at Madrid?" in Ronald Asmus: *Opening NATO's Door: How the Alliance Remade Itself for a New Era* (New York: Columbia University Press, 2002), pp. 212-250.

75 2008 წლის აპრილში, ბუქარესტში NAC-ის წინაშე პრეზიდენტ პუტინის მოხსენების ამონარიდები შეგიძლიათ იხ. http://www.unian.net/eng/news/news-247251.html.

76 ციტირებულია: Helene Cooper, C.J. Chivers, and Clifford Levy, "US Watched as a Squabble Turned into a Showdown", *New York Times*, August 18, 2008.

77 იხ. "Russian Federation Withdraws from Regime of Restrictions Established in 1996 for Abkhazia" – Information and Press Department of the Russian Ministry of Foreign Affairs, March 6, 2008. იხ. http://www.mid.ru/brp_4.nsf/ e78a48070f128a7b43256999005bcbb3/79c58f476caec4e8c32574040058934c?OpenDocument.

78 იხ. რუსეთის დუმის მიერ 2008 წლის 21 მარტს გამოცემული დოკუმენტი. www.duma.gov.ru.

79 იხ. "On the Reply of President of Russia Vladimir Putin to the Messages of President of Abkhazia Sergey Bagapsh and President of South Ossetia Eduard Kokoity," Information and Press Department of the Russian Ministry of Foreign Affairs, April 3, 2008. იხ. http://www.mid.ru/brp_4.nsf/e78a48070f128a7b43256999005bcbb3/af03c091ee962106c3257424002c1427?Open Document.

80 იხ. ანდრეი ილარიონოვის "Another Look at the August War", Center for Eurasian Policy, Hudson Institute, September 12, 2008. იხ. http://www.hudson.org/files/documents/Andrei%20Illarionov%20speech.pdf.

81 Ibid.

82 იხ. "The Russian President's Instructions to the Russian Federation Government with Regard to Abkhazia and South Ossetia," რუსეთის საგარეოს საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტი, 16 აპრილი 2008. იხ. http://www.mid.ru/brp_4.nsf/e78a48070f128a7b43256999005bcbb3/b75734bac2796efbc325742d005a6f7c?

83 იხ. "Report of UNOMIG on the Situation of 20 April Involving the Downing of Georgian Unmanned Aerial Vehicle over the Zone of Conflict", May 26, 2008. იხ. http://www.reliefweb.int/rw/RWFiles2008.nsf/FilesByRWDocUnid File name/MUMA–7F34PW-full_report.pdf/$File/full_report.pdf.

84 იხ. ანდრეი ილარიონოვის "The Russian Leadership's Preparation for War, 1999-2008", in Svante Cornell and Frederick Starr, eds., *The Guns of August 2008 (New York and London: M. E. Sharpe, 2009)* p.69.

85 არჩევნების შემდგომმა გამოკითხვებმა უჩვენა, რომ დასაქმება და უმუშევრობა უმნიშვნელოვანეს საკითხებად იყო მიჩნეული ქართველების 52%-ის მიერ, მაშინ როცა აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემები მესამე ადგილზე იდგა –25% იანი ნიშნულით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ამომრჩეველთა ერთმა მეოთხედმა განაცხადა, რომ ტერიტორიების დაბრუნება ორი უმთავრესი საკითხიდან ერთ-ერთი იყო. ქართველების 89% - ს მაინც მიაჩნდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო „პროგრესის მიღწევა საქართველოს ტერიტორიების რეინტეგრაციის საქმეში", მაგრამ მხოლოდ 44% მიიჩნევდა, რომ ეს სწრაფად, მაგალითად მომავალი წლისათვის უნდა განხორციელებულიყო.

86 ნატო-რუსეთის თავდაცვის სარდლობათა შეხვედრა 2008 წლის 10 მაისს გაიმართა. რუსი

გენერლის „წინასწარმეტყველებაზე" გაკეთებული კომენტარისთვის იხ. John Vinocur "Georgia is Focal Point of US-NATO-Russia Tension", *New York Times*, May 5, 2009.

87 იხ. მაგალითად, „Russian Railroad Troops Enter Abkhazia to Help Rebuild Roads", RIA Novosty, May 31, 2007. იხ. http://en.rian.ru/russia/20080531/108953337.html. იხ. ასევე "Russia Sends 300 Troops to Abkhazia", *New York Times*, June 1, 2008.

88 იხ. "Russia Illegally Deploys New Troops in Abkhazia; Georgia Calls for Immediate Withdrawal, Condemns Reckless Escalation," by the Service of the Government of Georgia, May 31, 2008. იხ. www.president.gov.ge.

89 ინტერვიუ ყოფილ სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან ევროპისა და ევრაზიის საკითხებში – დენ ფრიდთან, 7 იანვარი, 2009 წ.

90 იხ. "Remarks by Secretary Rice with Georgian President Saakashvili", July 10, 2008. იხ. http://www.America.gov/st/ texttrans-english/2008/july/ 20080710161637gmnanahcubz.3613092.html.

91 იხ. ნიკოლაი მაკაროვის სიტყვები, რომელიც „ინტერფაქსის" მიერ გახმიანდა 2008 წლის 30 დეკემბერს. იხ. http://www.interfax.ru/politics/txt.asp?id=54787&sw=%EC%E0%EA%E0%F0%EE%E2&bd=28&bm=12&by=2008&ed=31&em=12&ey=2008&secid=1446&mp=0&p=1.

92 როგორც პროექტ Grey Goose-ის ავტორები ასკვნიან: "თუ ვივარაუდებთ, რომ რუსეთის მთავრობა გარეული იყო საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდებზე განხორციელებულ კიბერ-შეტევებში 2008 წლის ივლისსა და აგვისტოში, არსებობს ხელმისაწვდომი ხამხილი, რომელიც ამყარებს GRU/FSB-ის მიერ დაგეგმვასა და მაღალი დონის მართვას, Nashi -ს შუამავლებსა და ქრაოუდსორსინგის ფენომემენის გამოყენებით, მათი ჩარევის დაფარვისა და მათივე სტრატეგიის განხორციელების მიზნით." იხ. *Project Grey Goose Phase II Report: The Evolving State of Cyber Warfare, March 20, 2009.* ნატოსათვის ამ შეტაკებების იურიდიული ასპექტების შესახებ იხ. *Cyber Attacks against Georgia: Legal Lessons Identified, Cooperative Cyber Defense Center of Excellence (CCDCOE), Tallinn, Estonia, November 2008.*

93 ისრაელთან კავშირების თაობაზე, იხ. Barak Ravid and Amos Harel, "Russia Declares itself Ready to Make Peace with Georgia", *Haaretz*, August 11, 2008. იხ. www.haaretz.com/hasen/spages/1009946.html.

94 იხ. Pavel Felgenhauer, "The Russian-Georgian War Was Preplanned in Moscow", *Novaia Gazeta*, August 14, 2008. იხ. www.novayagazeta.ru/data/2008/59/04.html.

95 ციტირებულია: "Did Russia Plan Its War with Georgia?" Radio Free Europe/Radio Liberty, August 16, 2008.

96 იხ. გელა ბეჟუაშვილის მოხსენება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წინაშე, 25 ოქტომბერი, 2008. იხ. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1329&info_id=20940.

97 ინტერვიუ ალექსანდრე ლომაიასთან. ამ ინტერვიუში ლომაია ასევე ახსენებს თავის გამოსვლას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წინაშე, 27 ოქტომბერი 2008 წელი. ჩანაწერისთვის იხ. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1329&info_id=21134.

98 ქართულ დაგეგმვაზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შესანიშნავი ესსე Robert E. Hamilton: "The Bear Came through the Tunnel: An Analysis of Georgian Planning and Operations in the Russo-Georgian War." ჰემილტონი იყო თავდაცვითი თანამშრომლობის აშშ-ის ოფისის უფროსი 2006 წლის 2008 წლამდე.

99 იხ. რობერტ ჰემილტონის: "The Bear Came through the Tunnel".

100 ინტერვიუ სტივენ ჰედლისთან. აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ყოფილ მრჩეველთან.

101 იხ. Pavel Felgenhauer "After August 7: The Escalation of the Russia-Georgian War," in Svante E. Cor-

nell and S. Frederick Starr, eds., *The Guns of August 2008* (New York and London: M. E. Sharpe), p. 171.

102 ინტერვიუ ყოფილ სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან, 19 მაისი, 2009 წ.

103 ციტირებულია: Omid Memarian, "Saakashvili Asked to Step Down", Inter Press Service News Agency (IPS), August 12, 2008.

104 იხ. სააკაშვილის 2008 წლის 11 აგვისტოს მიმართვა – *Civil Georgia* 11 აგვისტო, 2008. იხ. http://www. civil.ge/eng/article.php?id=19051&search=.

105 იხ. "President Bush Discusses Situation in Georgia". იხ. www.whitehouse.gov/news/releases/2008/08print/20080811-1.html.

106 ციტირებულია: Samantha Shields, „Russian Pullout Fulfils Georgia Pledge", *Wall Street Journal,* October. 9, 2008. იხ. http://online.wsj.com/article/SB122345021244814657.html.

107 სარკოზის კრიტიკულ შეხედულებებზე რუსეთის შესახებ, მისი არჩევნების წინა პერიოდში იხილეთ მისი ინტერვიუ შემდეგ პირებთან: Pascal Bruckner, André Glucksmann, Michaël Prazan, and Yasmina Reza in *Le Meilleur des mondes*, No. 2 (Autumn 2006). სარკოზიმ რუს და ფრანგ ექსპერტებთან ლანჩზე განიხილა მისი სტრატეგია: ფოკუსირება უფრო მედვედევზე და არა პუტინზე, ამის შესახებ გვიყვება: Vincent Jauvert "Sarko le Russe: histoire secrète d'un revirement," Le nouvel observateur, November 13, 2008. რუსეთზე გამართული ფრანგული დებატების უფრო ვრცელი მიმოხილვისათვის იხ. Laure Mandeville, "Russie: l'empire contre-attaque," Politique internationale no. 121 (Autumn 2008). იხ. http://www.politiqueinternationale. com/revue/article.php?id_revue=121&id=752 &content=synopsis.

108 ნოემბრის შუა რიცხვებში, ელისეს სასახლეში მიღებაზე, სარკოზის უეცრად წამოსცდენია: „ჩემი გამგზავრების წინა დღეს ბუშმა დამირეკა და მითხრა — არ წახვიდე, რუსები სულ რაღაც 40 კილომეტრში არიან თბილისიდან და მგონი, შეტევასაც აპირებენო... არ წახვიდე, მხოლოდ დაგმე!" ციტირებულია: AFP, 13, 2008, იხ. http://afp.google.com/article/ALeqM5g4Xuk5Pg5t-BswZ-H22uBExGLQQ. შემდგომში თეთრი სახლი საერთოდ უარყოფდა ამგვარი სატელეფონო საუბრის არსებობას.

109 ციტირებულია გლებ პავლოვსკის გამოსვლიდან დისკუსიაში: „ვსეხ პოდ ტრიბუნალ?" რადიო *ეხო მოსკვი,* 12 აგვისტო, 2008. იხ. http://echo.msk.ru/programs/klinch/533352-echo/.

110 ამას იხსენებს: Jauvert, "Sarko le Russe." პუტინის პრეს-ატაშემ, დიმიტრი პესკოვმა შემდგომში ამ სიტყვების თარგმანის სიზუსტე დაადასტურა, როდესაც განაცხადა, "პუტინმა იმ სიტყვებით ილაპარაკა, რაც სტატიაში იყო დაწერილი." ზემოხსენებული ციტირებულია Steve Gutterman: "Putin Described Hanging Georgian Leader," *Associated Press*, November 14, 2008.

111 იხ. ინტერვიუ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარ კუშნერთან.

112 იხ. მედვედევ-სარკოზის პრეს-კონფერენციის მასალები, მოსკოვი, 12 აგვისტო, 2008. იხ. http://www.un.int/russia/new/MainRoot/docs/warfare/statement120808en4.htm.

113 იხ. "Text of Bush's Statement on the Georgia Conflict", AFP, August, 13, 2008.

114 ციტირებულია: Steven Myers and Thom Shanker: "Bush Aides Say Russia Actions in Georgia Jeopardize Ties", *New York Times, August, 15, 2008.* იხ. http://www.nytimes.com/2008/08/15/world/europe/15policy.html.

115 იხ. John McCain, "We Are All Georgians", *Wall Street Journal,* August 14, 2008.

116 იხ. "Bush and Georgia", *Wall Street Journal*, August 13, 2008.

117 სააკაშვილ-რაისის პრეს-კონფერენციის მასალები, 15 აგვისტო, 2008. იხ. http://www. president.gov.ge/?1=E&m=2&st=10&id=2712.

118 ინტერვიუ ყოფილ სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან, 19 მაისი, 2009.

119 2008 წლის 5 სექტემბრისთვის რუსეთის ჯარს უკვე ოცდაათამდე საკონტროლო-გამშვები პუნქტი ჰქონდა გახსნილი. აღსანიშნავია, რომ ისინი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე ხელის მოწერამდე არ არსებობდა და ე.წ. „უსაფრთხოების ზონის" მიღმა იყო განთავსებული

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე.

120 იხ. "Medvedev's Statement on South Ossetia and Abkhazia", *New York Times*, August 26, 2008. იხ. http://www.nytimes.com/2008/08/27/world/europe/27medvedev.htm

121 იხ. დიმიტრი მედვედევი: "Why I Had to Recognize Georgia's Breakaway Regions", *Financial Times*, August 27, 2008.

122 იხ. დიმიტრი მედვედევის მიერ მიცემული სატელევიზო ინტერვიუ რუსეთის პირველი არხის, NTV-სადმი, 31 აგვისტო, 2008. იხ. http://www.kremlin.ru/eng/speeches/2008/08/31/1850_type82912type82916_206003.shtml.

123 მედვედევი: „სააკაშვილი, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, აღარ არსებობს!" AFP, September 2, 2008. იხ.http://afp.google.com/article/ALeqM5jVDUlJhriAoLoWvbKCC6g5Isy1yA

124 იხ. Steven Erlanger, "European Union Struggles to Hold Moscow to Promises", *International Herald Tribune*, September 7, 2008. იხ. http://www.nytimes.com/2008/09/07/world/europe/07iht-union.4.15954445.html.

125 მოსკოვის გარეთ, მეიენდორფის სასახლეში შემდგარი მედვედევ-სარკოზის პრეს-კონფერენციის მასალები იხ. http://www.kremlin.ru/eng/speeches/2008/09/08/2208_type82912type82914type82915_206283.shtml.

126 იხ. პრეზიდენტ სარკოზის კომენტარები პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთობლივად გამართულ პრეს-კონფერენციაზე. იხ.https://pastel.diplomatie.gouv.fr/editorial/actual/ael2/bulletin.gb.asp?liste=20080911.gb.html&submit.x=8&submit.y=8&submit=consulter.

127 Ibid.

მადლიერების სიტყვები

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კრეიგ კენედის, აშშ-ის გერმანიის მარშალის ფონდის პრეზიდენტს, რომელმაც საშუალება მომცა დამეწერა ეს წიგნი. გრეგი არა მხოლოდ ჩემი უფროსი, არამედ ჩემი მეგობარიც იყო. მან და გერმანიის მარშალის ფონდმა უზრუნველყვეს ის თავისუფლება და შემოქმედებითი გარემო, რომელმაც საშუალება მომცა ჩემი იდეები ფურცელზე გადმომეტანა. გერმანიის მარშალის ფონდის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი კარენ დონფრიდი, ასევე საიმედო საყრდენი იყო პროექტის განხორციელებისას, კარგ და ცუდ პერიოდებში. გერმანიის მარშალის ფონდის მუშაობამ და მოღვაწეობამ შავი ზღვის რეგიონში გადამწყვეტი როლი შეასრულა და უფრო გააღრმავა საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებში მომხდარი მოვლენების ჩემეული ანალიზი.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო რიჩარდ ჰოლბრუკსა და სტროუბ ტელბოტს მეგობრობის, თანადგომისა და მხარდაჭერისათვის. რიჩარდი თავიდანვე ჩემი თანამებრძოლი და კოლაბორატორი იყო საქართველოს საკითხში. ისიც ხედავდა რა გვიახლოვდებოდა და უზუსტესად იწინასწარმეტყველა მოვლენები, რომელთაც საქმე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე მიჰყავდა. სტროუბ ტელბოტი და მე 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ვთანამშრომლობდით, ვმეგობრობდით და სახელმწიფო დეპარტამენტში ისეთ რთულ საქმეს ვეჭიდებოდით, როგორიც ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის აშენება იყო. ჩვენმა დისკუსიებმა რუსეთსა და მის პოლიტიკაზე მეზობლების მიმართ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩემი მოსაზრებების ჩამოყალიბებაში მათი კომენტარები წიგნის თავდაპირველ ვერსიაზე ასევე ფასდაუდებელი იყო.

ჩემს მხარდაჭერაში დიდი წვლილი მიუძღვის ბევრ ჩემს მეგობარს საქართველოში. ბევრმა მათგანმა უზრუნველყო და შესაძლებელი გახადა ინტერვიუების აღება და წყაროებთან მუშაობა და რა თქმა უნდა მოვიხსენიე ამ წიგნის ბოლოს – ბიბლიოგრაფიისა და გამოყენებული წყაროების მიმოხილვაში. მაგრამ განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ნატო ყანჩელს, დენიელ კუნინს, ალექს რონდელს, შოთა უტიაშვილს და თემურ იაკობაშვილს. იგივე ითქმის სხვა კოლეგებსა და მეგობრებზე, ატლანტიკის ორივე მხარეს, რომლებიც მოთმინებით იტანდნენ ჩემ ერთსა და იმავე კითხვებს, კრიტიკას, კითხულობდნენ ამ ხელნაწერის სამუშაო ვერსიებს, კამათობდნენ და დავობდნენ ამა თუ იმ მოვლენის ჩემეულ ინტერპრეტაციაზე გვიან საღამომდე, დროდადრო ჭიქა ქართული ღვინის თანხლებით. მათ რიგებში ასევე შედიან კარლ ბილდტი, მეთ ბრაიზა, დენ ფრიდი, ალექს რონდოსი, პიტერ სემნები, ჯონ ტეფტი და დეიმონ უილსონი.

ავტორებს აქებენ და აკრიტიკებენ კიდეც – წიგნს გააჩნია, მაგრამ წიგნის დაწერა დიდ ძალისხმევას და მხარდაჭერას მოითხოვს. ჩემმა სპეციალურმა ასისტენტმა – ივეტა კრუმამ მართლაც რომ გასაოცარი შრომა გასწია, რადგან დიდ

დახმარებას მიწევდა ორგანიზებაში, იწერდა უამრავ დეტალსა თუ ფაქტს, ასწორებდა შავ ვარიანტებს, თარგმნიდა რუსული წყაროებიდან და ამ პროექტს უამრავი ხერხებითა თუ გზებით დაეხმარა. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მოადგილეს ბრიუსელში დოქტორ კორინა ჰორსტს, რომელმაც ჩემი სამუშაოს დიდი ნაწილის შესრულება თავად იტვირთა და საშუალება მომცა ეს პროექტი დროულად დამესრულებინა.

ჩემი წარმომადგენელი, ენდრიუ სტიუარდი, მართლაც რომ ნამდვილი სპეციალისტი აღმოჩნდა და წიგნის მზადების ამა თუ იმ ეტაპზე დიდი დახმარება გამიწია. ჯეიკ კილისვიჩი და მისი გუნდი პალგრეივ მაკმილანში, დამეხმარნენ უფრო დამეხვეწა ჩემი თხრობა და მათთან მუშაობა ერთი სიამოვნება იყო. ჩემმა მეგობარმა დიტმარ მიულერ-ელმაუმ ბავარიაში, ელმაუს სასახლეში, მყუდრო და კომფორტული გარემო დაგვახვედრა, რათა ჩემი ხელნაწერის რედაქტირება დამესრულებინა.

ეს წიგნი მაშინ დავწერე, როდესაც გართულებულ სიმსივნეს ვებრძოდი. ჩემი გადაწყვეტილება იმ იმედის და წახალისების შედეგი იყო, რასაც ექიმებისაგან ვგრძნობდი– გამეგრძელებინა ოცნება მკურნალობის დროსაც. მადლობა მინდა მოვახსენო პროფესორ მაიკლ კიტინგს (მ.დ. ანდერსონის სახელობის კიბოს ცენტრის ლეიკემიის განყოფილება, ჰიუსტონი, ტეხასი) და დოქტორ ერიკ ვან დენ ნესტეს (სენ ლუკის უნივერსიტეტის კლინიკის ჰემატოლოგიის ცენტრი, ბრიუსელი, ბელგია). პროფესორი კიტინგი მეთაურობს ტრანსატლანტიკურ კოალიციას და მუშაობს კიბოს ამ ფორმის განკურნებაზე. ძალიან დიდი დახმარება გამიწია მისმა ხედვამ, შთაგონებამ, გადამდებმა თავდაჯერებულობამ და ენთუზიაზმმა.

დასასრულ, მინდა მადლიერებით აღსავსე სიტყვები ჩემს მეუღლეს ბარბარას და ჩემ ვაჟ ერიკს მივუძღვნა, იმ დახმარების, მოთმინებისა და იუმორისათვის, რაც მათ გასული წლის განმავლობაში გამოიჩინეს და ამ წიგნის დაწერის გიჟური იდეა რეალურ, დასრულებად პროექტად იქცა. მათ გაუძლეს სისტემატურ გასვლებს რეგიონებში, ქართველების ვიზიტებს ჩვენს სახლში და ხანგრძლივ დავა-კამათს, რომელიც გათენებამდე გრძელდებოდა სხვადასხვა ვიზიტორებთან, იმ იმედით, რომ თავისუფლების საზღვრები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ამ პატარა, მაგრამ მშვენიერ ქვეყანას მოიცავს. ეს წიგნი მათ ეძღვნება.

ელმაუ, გერმანია
2009 წლის აგვისტო